ბ რ. მ უ ზ ი ზ ვ ი ლ ი

კლასიკური ეკონომიის ლიბერალიზმის თეორია

ნაწილი პირველი

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო

ცნობილ წერილში: «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი» ლ ე ნ ი ნ ი სამართლიანად სთვლის მარქსიზმს «კანონიერ მემკვიდრედ» მოაზროვნე კაცობრიობის საუკეთესო მიღწევებისა XIX საუკუნეში. მარქსიზმის სამ წყაროდ ლენინი სახავს გერმანულ ფილოსოფიას, ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას და ფრანგულ სოციალიზმს. პირველს მეთაურობდნენ სახელგანთქმული ფილოსოფოსები — ჰ ე გ ე ლ ი და ფ ე ი ე რ ბ ა ხ ი. მეორეს — პირველი მეცნიერი ეკონომისტები — ს მ ი ტ ი და რ ი კ ა რ დ ო, ხოლო მესამეს — საყოველთაოდ ცნობილი უტოპისტები. მაშასადამე, მარქსიზმი არის კაცობრიობის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი განვითარების ნაყოფი, მაღალი საფეხური, რომელსაც მიაღწია კაცობრიობის გონებრივმა შემოქმედებამ საუკუნეთა მანძილზე.

ვერ გამოვუდგებით მარქსიზმის სამივე წყაროსა და შემადგენელი ელემენტის შესწავლა-განხილვას დასახული თემის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ორგანიული კავშირია და «მპირიულად» შეუძლებელია მათი გათიშვა განცალკევება ბუნებრივი მთლიანობის დაურღვევლად. ამიტომაც უნდა დავდგეთ მეცნიერული აბსტრაქციის გზას — გამოვყოთ მარქსიზმის ერთი წყარო და შემადგენელი ელემენტი და შედარებით დამოუკიდებლად, სპეციალურად გავარკვიოთ ის, ცხადია, მარქსიზმის მთლიანი მსოფლმხედველობის საფუძველზე. ასეთი წყაროა, ჩვენი კვლევა-ძიების საგნად ქცეული, ინგლისური კლასიკური ეკონომია, უფრო სწორად რომ ვთქვათ — მისი ღირებულების თეორია, რომელიც წარმოადგენს მ ა რ ქ ს ი ს მეცნიერულ წინამორბედთა უძირითადეს პრობლემას.

მარქსიზმის პოლიტიკური ეკონომია ციდან არ ჩამოვარდნილა მეტეორივით, არც გამოსულა იუპიტერის თავიდან მზა-მზარეულად მისი ფესვები იკრება დიდებული ინგლისელი ეკონომისტების ს მ ი ტ ი ს ა და რ ი კ ა რ დ ო ს ეკონომიურ მოძღვრებაში და აქ პოულობს ნიადაგს. მართალია, ეს ნიადაგი საკმაოდ მწირია. წინააღმდეგობათა ფენებით დასერილი. კლასიკური ეკონომია ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ა თავისი შინაარსით. მიუხედავად ამისა, აქ ვხვდებით პირველად შრომითი ღირებულების თეორიას, რომელიც წარმოადგენს მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ს.

ზედმეტი ღირებულების თეორია მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ქვაკუთხედია — ამტკიცებს ლ ე ნ ი ნ ი. «კაპიტალის» უმთავრესი თეორიული პრობლემაა ზედმეტი ღირებულება. ზედმეტი ღირებულების თეორია შუქსა ჰფენს წარმოების კაპიტალისტური წესის წარმოშობას, განვითარებას, მის ანტაგონისტურ ხასიათს და ისტორიულად აუცილებელ დაღუპვას. ამიტომ არა ღირებულების. არამედ ზედმეტი ღირებულების თეორიაა მარქსისტულ - ლენინური თეორიული ეკონომიის უმთავრესი ღერძი და გრანიტისებური საფუძველი.

კლასიკური ეკონომიის გენიოსურმა წარმომადგენლებმა სმიტმა და რიკარდომ დააყენეს ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების პრობლემა მეცნიერულ ნიადაგზე, თუმცა ამავე ნიადაგზე ვერ განავითარეს, ვერ გადასჭრეს ის. მაგრამ პრობლემის დაყენებით და მისი თავისებური, შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე გაგებითაც მათ შექმნეს მთელი ეპოქა ეკონომიური აზროვნების ისტორიაში და მოამზადეს ნამდვილი მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტული თეორიის — ნიადაგი. სმიტი და რიკარდო არიან მარქსის მეცნიერული წინამორბედნი. კლასიკური ეკონომიაც წყაროა მარქსიზმის. კლასიკოსმა ეკონომისტებმა — ამბობს ლენინი ზემოთ დასახელებულ წერილში, — «საძირკველი ჩაუყარეს შრომითი ღირებულების თეორიას. მარქსმა განაგრძო მათი საქმე. მან მკაცრად დაასაბუთა და განავითარა ეს თეორია». მარქსისებურად განვითარება და დასაბუთება თუ რას ნიშნავს, ამას ქვევით გავეცნობით. აქ კი საკმარისია აღვნიშნოთ: კლასიკური ეკონომიის შრომითი ღირებულების თეორიის «მკაცრად დასაბუთებითა» და «განვითარებით» მარქსმა მოახდინა უდიდესი მეცნიერული გადატრიალება თეორიულ-ეკონომიურ აზროვნებაში და სოციალიზმის თეორია უტოპიიდან მეცნიერებად გადააქცია.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორეტიკოსები ცდილობენ გამოაცალონ მარქსიზმს შორეული მეცნიერული წინაპრები, გადააფარონ შავი ზეწარი კლასიკურ ეკონომიას და ამით მარქსისტული ეკონომიის მეცნიერული გენეზისი პრობლემატიური გახადონ. ტუგან-ბარანოვსკი «მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებში» თავგამოდებით ამტკიცებს: «არაფერი არაა იმაზე უფრო ზეტი შეცდომა, ვითომც მარქსის ღირებულების თეორია წარმოადგენდეს რიკარდოს მოძღვრების ლოგიკურ განვითარებას», მარქსსა და კლასიკოსებს შორის «თითქმის არაფერია საერთო». ტუგანის აზრით, კლასიკური ეკონომიის ღირსეული მემკვიდრეა არა მარქსისტული ეკონომია, არამედ ბემ-ბავერკი და მისი საზღვრითი ფასეულობის თეორია. ამავე წიგნში — და სხვა მრავალშიაც — ბურჟუაზიული აზროვნების ეს სიკოფანტი აცხადებს: «ორივე (კლასიკოსებისა და ბემ-ბავერკის. გ. მ.) თეორია ეთანხმება ერთმანეთს და წარმოადგენს ლოგიკურ კორელატს. ერთი თეორია ჰგულისხმობს მეორეს, და პირიქით». როგორც ვხედავთ, ტუგან-ბარანოვსკი ცდილობს წაართვას მარქსიზმს მეცნიერული წარმოშობის მოწმობა და ამ მოწმობით აღჭურვოს საზღვრითი ფასეულების ჰიპოთეზა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შრომითი ღირებულების თეორიასთან.

მეორე მხრივ, ბურჟუაზიული ეკონომისტების მეორე წყება ამტკიცებს დიამეტრალურად საწინააღმდეგოს. მათი აზრით, მარქსს თვითონ არაფერი ახალი არ უთქვამს, არ შეუქმნია და იმეორებს, ანდა უბრალოდ აღრმავებს კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიას, ამ თეორიის დასკვნებს. მეტი კიდევ. სტრუვე თავის წიგნის — «მეურნეობა და ფასის» მესავალში წერს გარკვეულად; «არა მარტო ღირებულების თეორიაში, აგრეთვე ეკონომიური პროცესის საერთო კონცეპციაში» «მეცნიერული სოციალისტები» სხვედან «კლასიკური სკოლის» მხრებზე. სტრუვეს თეორიული ლაშქრობის სტრატეგიული გეზიც აშკარაა და გარკვეული: მარქსს არაფერი უთქვამს ახალი არა მარტო ღირებულების თეორიაში, არამედ «ეკონომიური პროცესის საერთო კონცეპციის» საკითხშიაც — კლასიკური ეკონომიიდანაა გადმოღებული ეს «საერთო კონცეპცია», მარქსის ენაზე რომ ვთქვათ — საზოგადოებრივი განვითარების იმანენტური კანონები. სტრუვე ცდილობს, მაშასადამე, მარქსისტული თეორიული ეკონომია დააქვეითოს, დაამდაბლოს კლასიკურ ეკონომიამდე. სიზიფის შრომას ეწევა ბურჟუაზიული ეკონომისტი: მან, ალბათ, არ იცის, რომ არა ყოველგვარი შრომა ქმნის ღირებულებას..

«თეორიების» რუსული გამოცემის წინასიტყვაში გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ადამ სმიტისა და მარქსის ეკონომიურ სისტემებს ადარებს ერთმანეთს, როგორც თესლსა და მცენარეს. მუხა რკოსაგან აღმოცენდება, მაგრამ ორივეს შუა განფენილია განვითარების რთული პროცესის თვალუწვდენი მანძილი. «ასევე უნდა ითქვას მარქსისა და სმიტის მოძღვრებათა მიმართებაზე: პირველი, ეტვი არაა, «ნასესხებია» («заимствовано») მეორისაგან; მაგრამ პირველი განსხვავდება მეორისაგან განვითარების მდიდარი პროცესით. და ამ განვითარებით მეცნიერება მოვალეა უმთავრესად მ ა რ ქ ს ი ს წინაშე». ვინც საფუძვლიანად იცნობს «კაპიტალსა» და «ხალხთა სიმდიდრეს», მ ა რ ქ ს ი ს ა და ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს ეკონომიურ შრომებს, გადაჭრით დაგვეთანხმება პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს ამ ანალოგიის სისწორეში. ღირებულების თეორია ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიაში მოცემულია ელემენტარულად, ასე ვთქვათ — ემბრიონალურად. მისი ღირსება იმაშია, რომ მიუხედავად სიმარტივის, განუვითარებლობისა და მეცნიერულად გაუშლელობის, ეს თეორია ობიექტურია, ობიექტივისტურ თვალსაზრისზე დამყარებული და ამდენად მეცნიერულიც. «თესლი», რომლიდანაც აღმოცენდა მარქსისტული თეორიული ეკონომია, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ა, და ამაშია სწორედ საქმის მთელი ვითარება მარქსიზმი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა, მისი წყაროც თეორიულ ეკონომიაში მეცნიერულია, მას უკავს თავისი შორეული მეცნიერული წინაპარი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის სახით. მართალია, ეს ეკონომია ბურჟუაზიულია, მაგრამ ამ ისტორიულ გარემოებას არ აქვს მნიშვნელობა მარქსიზმისათვის თეორიულ ეკონომიაში. ქვევით გავეცნობით, რით «იხსნება» ამ«კარა» წინააღმდეგობა: კლასიკური ეკონომიის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ - ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა და ამ ეკონომიის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი. ეს წინააღმდეგობა, როგორც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის ნაყოფი, ადვილად ასაგები და მეცნიერულად ასაბსნელი ხდება მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით.

კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის გაცნობა გვიადვილებს მარქსისტული თეორიული ეკონომიის შესწავლას. აფორიზმად ნუ მოგვეჩვენება, თუ ვიტყვით: კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს ა და რ ი კ ა რ დ ო ს ეკონომიურ მოძღვრებათა სახით წარმოადგენს მარქსიზმში შესასვლელ კარს, ის მარქსისტულ ეკონომიის თავისებური შესავალია. ვისაც სურს «კაპიტალის» შეთვისება საფუძვლიანად, სწადია გაიცნოს მ ა რ ქ ს ი ს ისტორიული როლი და მეცნიერული მნიშვნელობა ეკონომიურ აზროვნების განვითარებაში, ამავე დროს კარგად გაიგოს და უფრო ღრმად ჩასწვდეს მ ა რ ქ ს ი ს გენიოსობას, იგრძნოს ამ გენიოსობის ჭეშმარიტად ფიზიკური ღონე, — მან უსათუოდ სერიოზულად უნდა მიაკიდოს ხელი კლასიკოს-ეკონომისტების საფუძვლიან შესწავლას.

ჩვენი მიზანი არაა კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის არც გ ა დ მ ო ც ე მ ა, არც კ რ ი ტ ი კ ა თავისთავად აღებული. ასეთ ცალმხრივობას სრულებით არ ითმენს კლასიკური ეკონომიის მარქსისტული განხილვა. საზოგადოდ ცნობილია, თუ რამდენად დარბაისლურად და თავაზიანად ეპყრობა მ ა რ ქ ს ი თავის მეცნიერულ წინამორბედთ დიალექტიკური მეთოდიც სასტიკად ებრძვის მეტაფიზიკურ ცალმხრივობას. ამიტომ შევეცდებით ვაწარმოოთ — შეძლებისდაგვარად — კლასიკური ეკონომიის ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიის კ რ ი ტ ი კ უ ლ ი გ ა დ მ ო ც ე მ ა, გადმოცემაც და კრიტიკაც ერთ და იმავე დროს. ჩვენის აზრით, დასმული პრობლემის განხილვის ასეთი წესი უზრუნველყოფს უურადღების ცენტრში მოქცეულ საგანზე საფუძვლიან წარმოდგენის შეეშავებას. ცხადია, კრიტიკას ვაწარმოებთ მარქსის შეხედულებათა საფუძველზე, «თეორიებისა» და «კაპიტალის» მიხედვით. არ გაგვაჩნია — და არც შეიძლება გაგვა-

ჩნდეს — მეცნიერული კრიტიკის სხვა იარაღი. მატერიალისტურ-დიალექტიკური კრიტიკა არ არის კრიტიკის საგნის ვულგარული უარყოფა, ანდა მეტაფიზიკური მოსპობა. მარქსი დიალექტიკურად ხსნის და ამავე დროს ინახავს კლასიკური ეკონომიის კონცეპციებს. იქ, სადაც მარქსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სმიტისა და რიკარდოს შემცდარ შეხედულებას, ის როდი კმაყოფილდება ამ შეხედულების მოხსნით: ამ შეხედულების ნანგრევზე აღადგენს აშენებს ახალ, მკაცრად განსაზღვრულ მეცნიერულ თეორიას. მარქსის ჭენია არ ითმენს ცარიელ ადგილს. ამიტომ კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის კრიტიკული ანალიზი ამავე დროს გვაძლევს საშუალებას respective გავეცნოთ ღირებულების მარქსისტულ თეორიას.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ისტორია მეცნიერებით იწყება და თავდება უტოპიით. აქ ნათლად ვხედავთ ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნების «განვითარებას» მეცნიერებიდან უტოპიამდე. ბურჟუაზიული მეცნიერული ეკონომიური სისტემა, წარმოდგენილი სმიტისა და რიკარდოს თეორიებში, თავისი დეგრადაციის დასასრულს პოულობს ბემ-ბავერკისაზღვრითი ფასეულობის სუბიექტივისტურ კონცეპციაში. ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნების ეს რეაქციური უკუმსვლელობა გამოწვეულია კლასთა ბრძოლის შემდგომი გამახვილებით და ემყარება წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგანი წინააღმდეგობის უკიდურესად განვითარებას.

წინამდებარე შრომის მომდევნო ნაწილში კრიტიკულად განხილული იქნება რიკარდოსა და მისი სკოლის ეკონომიური თეორია.

ეკ. ბუხარინი

ტ ფ ი ლ ი ს ი
დეკემბერი, 1934.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თეორიული ეკონომიის საგანი და მეთოდი

I

მეცნიერული დისციპლინა კვლევა-ძიების საკუთარ საგანს ჰგულისხმობს. ამ საგნის ხასიათი განსაზღვრავს ამა თუ იმ მეცნიერული სფეროს თავისებურობას და ადგილს საზოგადოებრივი ადამიანის ცნობიერება-შემეცნების სისტემაში. ამიტომ ყოველგვარ გარკვეულ მეცნიერებას გააჩნია ამდენადვე გარკვეული საგანი. მაგრამ მეცნიერული საგნის განსაზღვრულობა, მისი გარკვეულობა სრულებით არ მოასწავებს ამ საგნის გადაქცევას «საგნად თავისთვის», მის წარმოდგენას აბსოლუტურ დამოუკიდებლობასა და მოვლენათა შინაგან კავშირის საყოველთაო კანონიდან განყენებაში. პირიქით, მეცნიერების თითოეული დარგი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და ეს კავშირი ხორციელდება თვით მეცნიერულ დისციპლინათა საგნების გარკვეულობის ნიადაგზე, ვინაიდან საგანთა განსაზღვრულობა ჰგულისხმობს მათ მოქცევას საერთო საზღვარში — შინაგან კავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებაში. თვით მეცნიერებათა კერძოულ საგნების შინაგანი კავშირი, მათი მთლიანობის შინაბუნება მტკიცდება მეცნიერებათა ზოგადი, უნივერსალური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ასეთი მეთოდოლოგიაა სწორედ მატერიალისტური დიალექტიკა. ცხადია, მეცნიერული აზრის კვლევა-ძიების საგანთა შინაგანი კავშირი შედეგია არა ადამიანის ლოგიკურ ოპერაციის: ეს კავშირი განხორციელებულია ობიექტურ ბუნებაში, არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. მისი ობიექტური ხასიათი სრულებით უდაოა მეცნიერული აზროვნებისთვის. ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტურ მოვლენათა შინაგანი კავშირი და მთლიანობა, მათი მოძრაობა-განვითარების კანონზომიერება და წესები გამოყვანილია ობიექტურ ბუნებიდან ადამიანის თავის საშუალებით, მაგრამ არა ამ თავიდან, როგორც ეს მოცემულია ჰეგელის ფილოსოფიაში.

თეორიული ეკონომია, რამდენად მისი კვლევა-ძიების საგანი ობიექტურია და მეთოდი დიალექტიკურ-მატერიალისტური, მეცნიე-

რ ე ბ ა ა, უკეთ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ მეცნიერებათა ერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგი. მას გააჩნია მეცნიერული ანალიზის საკუთარი საგანი, სპეციალური ობიექტი. იბადება კითხვა: რაში მდგომარეობს ეს საგანი, მეცნიერებათა დანარჩენ საგნისაგან განსხვავებული? თითოეული ზუსტი მეცნიერება, მაგ., მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია — თავის საგანზე იძლევა მეტად ზუსტ პასუხს, მისთვის საკუთარი კვლევა-ძიების საგნის სრული გარკვეულობა. ასევე არ ითქმის თეორიულ ეკონომიის სფეროში: აქ ადგილი აქვს აზრთა არევ-დარევას, წინააღმდეგობას, სხვაობას. თითოეული მიმართულება პოლიტიკურ ეკონომიაში თავისებურად საზღვრავს თეორიული ეკონომიის საგანს, ემყარება კვლევა-ძიების თავისებურ მეთოდს: ადრინდელი ეკონომისტების გაგებით, პოლიტიკური ეკონომიის მიზანია გამოიკვლიოს ხალხთა სიმდიდრე, მისი ბუნება, არსებობის წყარო. ისინი იკვლევენ ადამიანთა დამოკიდებულებას საგნებთან, ნივთებთან. ასეთი იყო, სახელდობრ, კლასიკური თეორიული ეკონომიის თვალსაზრისი კვლევა-ძიების საკუთარ საგანზე. შემდეგ, კლასიკური ეკონომიის მომდევნო ვულგარულმა ეკონომიამ უფრო დააბნელა თეორიულ ეკონომიის საგანზე წარმოდგენა — ეკონომიის საგნად საერთოდ ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს შესწავლა წამოაყენა. დაბოლოს, სუბიექტივისტურმა სკოლამ პოლიტიკური ეკონომიის საგნად «მეურნე სუბიექტის», «სამეურნეო სიკეთის» შესწავლა დაისახა მიზნად. აქ გადამწყვეტ მომენტად წარმოდგენილია თვით «მეურნე სუბიექტის» ემოციონალური განცდანი «სამეურნეო სიკეთესთან» დამოკიდებულების პროცესში. ეჭვი არაა, თეორიული ეკონომიის ნამდვილი საგნის არც ერთი ეს განმარტება არ არის მეცნიერულად სწორი და, მაშასადამე, მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის დამაკმაყოფილებელი.

თეორიული ეკონომია ნამდვილ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ იქცა მხოლოდ «კაპიტალის» გამოსვლით. კ. მ ა რ ქ ს მ ა ეკონომიური აზროვნება აიყვანა მეცნიერულ მწვერვალზე, პოლიტიკური ეკონომია ააშენა ურყევ მეცნიერულ საძირკველზე. ეს მოხდა გასაგები მიზეზით: მ ა რ ქ ს მ ა მიზნად დაისახა განსაზღვრული ეკონომიური ფორმაციის — კაპიტალისტური მეურნეობის — წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონების შესწავლა, მათი მეცნიერული ანალიზი და სოციალიზმის მეცნიერულად დასაბუთება. კ. მ ა რ ქ ს მ ა აღმოაჩინა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების იმანენტური კანონი, მატერიალისტურად გააშუქა ის და გამოიყვანა მისგან შესაფერი რევოლუციური დასკვნები. ცხადია, მ ა რ ქ ს ი წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგანი კანონზომიერების, კაპიტალიზმის იმანენტური კანონების პირველი ღ მ ო მ ჩ ე ხ ი ა და არა გ ა ა მ ო მ გ ო ნ ი.

კაპიტალისტური განვითარების «ისტორიული ტენდენცია» მ ა რ ქ ს მ ა გამოიყვანა არა საკუთარი გენიოსური თავიდან, არამედ — ობიექტურ სინამდვილიდან, კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობიდან, არსებულ ეკონომიურ-პოლიტიკურ სტრუქტურიდან. წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარება-დაღუპვის იმანენტური კანონი არსებობდა და არსებობს ობიექტურად, ეკონომისტ-მკვლევარისგან დამოუკიდებლად. «კაპიტალში» პ ი რ ვ ე ლ ა დ აღმოჩენილია ეს კანონი და დასაბუთებულია მეცნიერულად. პოლიტიკური ეკონომია მარქსის ხელში ნამდვილ მეცნიერებად იქცა. მაშასადამე, მას გააჩნია კვლევა-ძიების მეცნიერული მეთოდი და მეცნიერული საგანი. მატერიალისტური დიალექტიკა — აი, მარქსისტული თეორიული ეკონომიის მეთოდი. მაგრამ რა არის კონკრეტულად მისი საგანი?

როგორც ცნობილია საზოგადოდ, «ანტი-დიურინგში» ფრ. ე ნ გ ე ლ ს მ ა წამოაყენა თეორიული ეკონომიის ო რ ნ ა ი რ ი გაგება: პოლიტიკური ეკონომია ვ ი წ რ ო გაგებით და პოლიტიკური ეკონომია ფ ა რ თ ო გაგებით. ენგელსის ეს შეხედულება ამომწურავად გამოხატავს პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტულ განსაზღვრას. პოლიტიკური ეკონომია ფართო გაგებით იკვლევს, სწავლობს და იძიებს არა ნივთების დამოკიდებულებას ნივთებთან, ანდა ადამიანის დამოკიდებულებას ნივთთან, არც სახალხო მეურნეობას ზოგადად. მეცნიერული, მარქსისტული თეორიული ეკონომია ფართო გაგებით იკვლევს ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ს თითოეულ ისტორიულ-საზოგადოებრივ ფორმაციაში. თეორიული ეკონომია, ვიწრო გაგებით, კვლევა-ძიების საგნის ამავე განმარტებიდან გამოდის და ამავე საგანს ემყარება მთლიანად. ის იკვლევს ადამიანთა საწარმოო ურთიერთობას არა ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივ ფორმაციაში, არამედ ისტორიულად მოცემულ და კონკრეტულად განსაზღვრულ ისტორიულ გარემოებაში, მაგ. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. სახელდობრ, მისი საგანია ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის მეცნიერული კვლევა-ძიება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მეურნეობაში, წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონების, ამ წესის ანტაგონისტური შინაბუნების აღმოჩენა, მეცნიერულად დასაბუთება და ისტორიული განვითარების უმაღლეს საფეხურზე გადასვლის ისტორიული აუცილებლობის მეცნიერულად დასაბუთება. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია ვიწრო გაგებით არის, მაშასადამე, კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია.

სრულებით არ არის სწორი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის საგნის განსაზღვრა მ ხ ო ლ ო დ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობით, კაპიტალისტური ისტორიულ-საზოგადოებრივი ფორმაციით. ტ უ გ ა ნ - ბ ა რ ა ნ ო ვ ს კ ი პოლიტიკური ეკონო-

მიის საგნად აცხადებს მხოლოდ საქონლის მეურნეობას. მისი აზრით, პოლიტიკური ეკონომია «იკვლევს სტიქიურ კანონებს, რომლებიც განაგებს საქონლის მეურნეობას»[1]. ამავე თვალსაზრისს იცავენ თანამედროვე სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოს-ეკონომისტები. სამწუხაროდ, ასეთივე შეხედულებას იზიარებს და ამტკიცებს ამხ. ნ. ბუხარინიც მისი აზრით, თეორიული ეკონომიის საგანია ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის გამოკვლევა «მხოლოდ და მხოლოდ საქონლის მეურნეობის საზოგადოებაში»[2]. პოლიტიკური ეკონომია, ამ თვალსაზრისით, მეცნიერულ დისციპლინას წარმოადგენს მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, სადაც გაბატონებულია საქონლის კაპიტალისტური მეურნეობა. ამიტომ «კაპიტალისტური საზოგადოების დასასრული იქნება პოლიტიკური ეკონომიის დასასრული»[3]. საქონლის მეურნეობის დაღუპვა, ამხ. ბუხარინის კონცეპციის მიხედვით, მოასწავებს თვით თეორიული ეკონომიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, დაღუპვას. საქონლის მეურნეობა პოლიტიკური ეკონომიის ერთად-ერთი საგანია და ამ საგნის გამოცლით პოლიტიკური ეკონომია უსაგნოდ რჩება, მეცნიერება კი უსაგნოდ უშინაარსოა და, მაშასადამე, არსებითად შეუძლებელი. აქედან გამოდის, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი არ საჭიროებს თეორიულ ეკონომიას. ბუხარინული თეორიის თვალსაზრისით, ადამიანთა საწარმოო ურთიერთობა, წარმოების სოციალისტური წესი და მისი შინაგანი კანონები იმდენად ნათელი იქნება და ბროლივით გამჭვირვალე, რომ აქ გამოსაკვლევი, განვითარების შინაგანი კანონზომიერებისა და ტენდენციის აღმოსაჩენი და მეცნიერულად შესასწავლი არაფერი იქნება. პოლიტიკური ეკონომიაც, როგორც მეცნიერება, ზედმეტი გახდება, კაპიტალიზმთან ერთად ისტორიის არქივს ჩაბარდება.

თეორიული ეკონომიის ორტოდოქსალურ-მარქსისტული, ლენინური გაგება სრულებით შეუთავსებელია ბუხარინულ თვალსაზრისთან. ჯერ ერთი, ამხ. ბუხარინს არ სწამს პოლიტიკური ეკონომიის ფართოდ გაგება. ამით ის ეწინააღმდეგება ენგელსის შეხედულებას. მეორე, ბუხარინის შეხედულება შეიცავს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შინაგანი კანონზომიერების მეცნიერული შესწავლა-გამოკვლევის დაუფასებლობას. ამ შეცდომიდან ლოგიკურად

[1] М. Туган Барановский. Очерки из новейшей истории политической экономии и социализма, 1914. გვ. 15. აგრეთვე გვ. 21 etc. შეად. მისივე: Теоретические основы марксизма, 1905. გვ. 60.

[2] Н. Бухарин. Политическая экономия рантье, გვ. 46. ხაზი ჩვენია.

[3] Н. Бухарин. Экономика переходного периода, გვ. 7.

გამომდინარეობს ბ უ ხ ა რ ი ნ ი ს მთელი რიგი თეორიულ-პრაქტიკული და პოლიტიკური შეცდომებიც: გარდამავალი ეკონომიკის სტიქიური განვითარების კონცეპცია, კაპიტალისტური ელემენტების სოციალიზმში შეზრდის აუცილებლობა, წონასწორობის თეორია. ლ ე ნ ი ნ მ ა მკაცრად გაილაშქრა კიდევაც თეორიული ეკონომიის ბუხარინული გაგების წინააღმდეგ. ლ ე ნ ი ნ ი ს აზრით, პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, არ ისპობა წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობით, ამიტომ ბუხარინის განაჩენი თეორიულ ეკონომიაზე არაა სწორი, არც სამართლიანი. კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა მოსპობით პოლიტიკურ ეკონომიას არ ეცლება ხელიდან მეცნიერული შესწავლისა და კვლევა-ძიების საგანი. მართალია, ეს საგანი შეიცვლება, მოიხსნება, მაგრამ ამავე დროს თან «შეინახება» საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურზე. პოლიტიკურ ეკონომიას გაუჩნდება მეცნიერული ძიების სათანადო საგანი. ასეთი იქნება, მაგალითად, «წმინდა კომუნიზმის დროსაც კი თუ გინდ I v+m მიმართება II c-სთან და დაგროვება»[1]. ლ ე ნ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს იოტის ოდნავ არაა საეჭვო თეორიული ეკონომიის მეცნიერული მნიშვნელობა იმ საზოგადოებისათვის, სადაც მოსპობილი იქნება წარმოების ანტაგონისტური წესი და ადამიანთა საწარმოო ურთიერთობა სავსებით მოკლებული იქნება ფეტიშისტურ ხასიათს. ლ ე ნ ი ნ ი მტკიცედ დგას მეცნიერული ეკონომიის ფართო გაგებაზე და ანვითარებს ე ნ გ ე ლ ს ი ს თვალსაზრისს. პოლიტიკური ეკონომიის საგანია «არა მატერიალურ ღირებულებათა წარმოება, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე (ეს ტექნოლოგიის საგანია), არამედ — ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი»[1]. ამ მოკლე ფრაზაში ლ ე ნ ი ნ ი გენიოსურად აფორმულებს მარქსისტული თეორიული ეკონომიის საგანს სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმაციისგან დამოუკიდებლად. თეორიული ეკონომია მეცნიერულად იკვლევს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებრივ წარმოებაში, აღმოაჩენს და ასაბუთებს ამ ურთიერთობის შინაგან კანონზომიერებას. ეკონომიის საგანი არ განისაზღვრება მარტო წარმოების კაპიტალისტური წესით, მისი საგანი არაა არც მატერიალური ღირებულების წარმოება. თეორიულმა ეკონომიამ მეცნიერული შუქი უნდა მოჰფინოს ადამიანთა საწარმოო ურთიერთობას, ღირებულებათა, ნივთთა, საქონელთა ურთიერთობაში უნდა დაინახოს თვით ადამიანთა ურთიერთობა, წარმოების არსებული წე-

[1] Ленинский сборник, XI. გვ. 349.
Ленин. Собр. соч. გამოც. პირველი, ტ. II, გვ. 220. ხაზგასმა ჩვენია.

სის «მუდმივობაში» უნდა გაარკვიოს ამ წესის გარდამავალი ბუნება, მისი ისტორიული ხასიათი, მოკლედ, მეცნიერულმა ეკონომიამ უნდა გაარჩიოს, განასხვავოს რაობა მოვლენისაგან.

ეკონომიური აზროვნების განვითარების ისტორიულ მანძილზე ვერ ვხვდებით «კაპიტალის» გამოსვლამდე პოლიტიკური ეკონომიის საგნისა და მისი მეთოდის განსაზღვრას მეცნიერული თვალსაზრისით. მხოლოდ მარქსიზმში მიიღო ეკონომიურმა თეორიამ ღრმა მეცნიერული ხასიათი. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ხედავდა და არკვევდა ადამიანის დამოკიდებულებას ნივთთან, თვით ნივთთა მიმართებას, მათ ურთიერთობას — საქონლის გაცვლას საქონელზე. ამავე დროს კლასიკური ეკონომია წარმოადგენს ბურჟუაზიული მეცნიერების ისტორიულად განსაზღვრულ მიღწევას. მომდევნო ბურჟუაზიულ ეკონომიას ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ და არც კი ცდილა აეხსნა საქონლის ფეტიშიზმის საიდუმლოება. საქონლის ფეტიშიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის მეურნეობაში მწარმოებელთა ურთიერთობა ნივთიერ ფორმას ღებულობს, განივთიერებული გვევლინება. აქ იქმნება შთაბეჭდილება: უშუალო ურთიერთ დამოკიდებულებაში თვით ნივთები, სასაქონლო ღირებულებანი იჭრებიან და ადგილი არ აქვს ცოცხალ პირების, წარმოების სუბიექტების საწარმოო ურთიერთობას. საქონლის ეს ფეტიშიზმი მხოლოდ მარქსმა გააშიშვლა და მოვლენაში მოცემული რაობა აღმოაჩინა — ნივთთა დამოკიდებულებაში თვით ადამიანთა საწარმოო ურთიერთობა გამოააშკარავა და მეცნიერულად დაასაბუთა. თეორიული ეკონომიის საგანი მეცნიერულად გამოიკვეთა, ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ წარმოებაში მეცნიერული ეკონომიის კვლევა-ძიების ობიექტად იქცა. საქონლის ფეტიშისტური ხასიათი გამოაშკარავდა, კაპიტალის მარადიულობა და უცვლელობა ძირშივე შეირყა, გაიფანტა. პოლიტიკურ-ეკონომიურ აზროვნებაში ნამდვილი მეცნიერული გადატრიალება მოხდა. ჰეგელი ეკონომისტად ქცეული — აი, ასეთია მარქსი. ჩვენის აზრით, ამ შენიშვნაში უსათუოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი.

ამრიგად, პოლიტიკური ეკონომიის საგანი მეცნიერულად განსაზღვრულია მარქსისტული თვალსაზრისით. კაპიტალიზმის თეორიული ეკონომია იკვლევს ადამიანთა საწარმოო ურთიერთობას საქონლის კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში. მაგრამ ადამიანთა საწარმოო ურთიერთობა, კაპიტალისტურ მეურნეობაში გამოაშკარავებული, ცხადყოფილი არაა, რაკი ეს ურთიერთობა განივთიერებულია, მოცემულია თვით საქონელთა გაცვლა-გამოცვლის, მათი უშუალო მიმოქცევის ფორმაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოების კაპიტა-

ლისტური წესის ბატონობის პირობებში მწარმოებელთა საწარმოო ურთიერთობა მისტიურ-ფეტიშისტურ გარსშია გახვეული. ეს გარსი სკდება უმალვე, როგორც კი ნივთთა დამოკიდებულება თვით ადამიანთა საწარმოო ურთიერთობად ცხადდება. მეცნიერული ეკონომიური აზრი ერთბაშად როდი სწვდება საქონლის ფეტიშიზმის ნამდვილ რაობას. ამისათვის მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია მიმართავს აზროვნებისა და კვლევა-ძიების დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს და მეცნიერული აბსტრაქციის გზით იკვლევს საზოგადოებრივი ორგანიზმის ანატომიას. ადამიანთა საწარმოო ურთიერთობანი მრავალნაირია, მათი თეორიულად ასახვა და შინაბუნების მეცნიერული შემეცნება მოცემულია სწორედ პოლიტიკური ეკონომიის ძირითად კ ა თ ე გ ო რ ი ე ბ შ ი. თითოეული ეკონომიური კათეგორია შეიცავს ამა თუ იმ საწარმოო ურთიერთობის თეორიულ ახსნას და მისი შინაგანი კანონზომიერების ნათელყოფას. მეცნიერული ცნება, საზოგადოდ, შემოკლებული სინამდვილეა, მისი ბუნება ობიექტურია. კათეგორია ცნების განვითარების უმაღლესი საფეხურია. ეკონომიური კათეგორიაც, მაშასადამე, ობიექტური ბუნებისაა, ის ასახვაა ადამიანის თავში ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის, რომელიც რეალურად არსებობს სინამდვილეში.

ეკონომიური კათეგორია, გაგებული მატერიალისტურ-დიალექტიკურად, სრულებით არ წარმოადგენს უხეშს, ვულგარულ ემპირიზმს, უკეთ რომ ვთქვათ, სინამდვილეს უ შ უ ა ლ ო დ, იმ სახით, როგორითაც ეს სინამდვილე მოცემულია მის გამოვლინებაში. მარქსიზმის შემეცნების თეორია შორსაა ასეთ ვულგარიზმიდან. ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა იმიტომაა აბსტრაქცია, რომ ის უშუალოდ სინამდვილე არაა და ამ სინამდვილისაგან განყენებულია. მაგრამ ეს აბსტრაქცია იმიტომაა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი, რომ ის ობიექტურ სინამდვილეზეა დაფუძნებული და ემსახურება ამ სინამდვილის ასახვას მის მრავალმხრივობაში. «აბსტრაქცია მ ა ტ ე რ ი ი ს, ბუნების კანონის, შენიშნავს ლ ე ნ ი ნ ი, — აბსტრაქცია ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს და სხვ., ერთი სიტყვით ყ ვ ე ლ ა მეცნიერული (სწორი, სერიოზული და არა ბრიყვული) აბსტრაქცია გამოხატავს ბუნებას უფრო ღრმად, სწორად, უ ფ რ ო ს რ უ ლ ა დ. ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებისაკენ და ა ქ ე დ ა ნ კ ი პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა კ ე ნ — ასეთია ჰეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების 'დიალექტიკური გზა'». მეც-

[9] Лен. сб., IX, გვ. 183. ხაზი ლ ე ნ ი ნ ი ს ა ა. შეად. გვ. 203. ჰ ე გ ე ლ ი ს აზრზე იმის შესახებ, რომ ფილოსოფიას არ შეუძლია უარყოს «გონებით მიწვდომილი ჰეშმარიტება» იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ჰეშმარიტება «მოკლებულია სივრცითი და გრძნობითი მატერიას», ლენინი შეიშნავს: «აქაც მ ა რ თ ა ლ ი ა ჰეგელი არსე-

ნიერული აბსტრაქცია, მაშასადამე, უფრო სწორად გამოხატავს ობიექტურ სინამდვილეს. ეს აბსტრაქცია სინამდვილის ფაქტს ანთავისუფლებს ყოველივე შემთხვევითისგან, იმისგან, რაც მას არ ახასიათებს და მხოლოდ აბნელებს მოცემულ სინამდვილის შემეცნების საქმეს. მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნება სრულებით ა რ ს ც ი ლ დ ე ბ ა სინამდვილის სფეროს და არ იჭრება მიღმა არსებულიდან. ამავე დროს ეს აზროვნება არ უვარდება ტყვედ სინამდვილეს იმ სახით, როგორითაც ის გამოიელინება. მეცნიერული აბსტრაქციის მიზანია მოვლენათა რ ა ო ბ ი ს გამოცნობა, მისი მოძრაობა-განვითარების შინაგანი კანონზომიერების დ ა დ გ ე ნ ა და ცხადყოფა. ხოლო მეცნიერული აბსტრაქციის ეს მიზანი ემსახურება საზოგადოებრივი ადამიანის პრაქტიკას, მოქმედებას. არსებულის შემეცნება არის საშუალება ამ არსებულის შეცვლისა პრაქტიკის გზით. მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნება სწორედ ამ პრაქტიკას ექვემდებარება, აადვილებს, შესაფერისად ანვითარებს მას.

მეცნიერული აბსტრაქტული აზროვნება კონკრეტული სინამდვილით იწყება. როგორც ვთქვით, ეს აზროვნება ობიექტურ სინამდვილის მიღმა როდი იჭრება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აბსტრაქცია დაკარგავდა თავის მეცნიერულ ხასიათს და უშინაარსო გახდებოდა, გამოიფიტებოდა. მეცნიერული აბსტრაქციის შინაარსი კი ობიექტური სინამდვილეა, მისი ფესვები ამ სინამდვილეშია ჩარჭობილი. «აზროვნება, — განაგრძობს ლ ე ნ ი ნ ი, —რომელიც მიემართება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, კი არ შორდება — თუ კ ი ის ს წ ო რ ი ა...— ჭეშმარიტებას, არამედ უახლოვდება მას»[7]. მაშასადამე, მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნება, რამდენად თავის სათავეს კონკრეტულში ხედავს, უფრო უახლოვდება ობიექტურ ჭეშმარიტებას — აზრისგან დამოუკიდებელ არსის ყოველმხრივ შემეცნებას. ეკონომიური კათეგორია მეცნიერული აბსტრაქტული აზროვნების პროდუქტია, მისი ბუნება ობიექტურია, რადგან ის — მარქსის ენაზე რომ ვთქვათ — წარმოადგენს «რეალური მსოფლიოს ანარეკლს»[8], სახელდობრ, ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის მეცნიერულ ასახვას. «იდეალური არის არაფერი გარდა იმისა, თუ არა ადამიანის თავში გადატანილი და იქ გარდაქმნილი მატერიალური» — აცხადებს მ ა რ ქ ს ი «კაპიტალის» მეორე გამოცემის წინასიტყვაში ჰ ე გ ე ლ ი ს წინა-

ბითად: ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არის კათეგორია, რომელიც მოკლებულია გრძნობელობის ნიუთიერებას, მაგრამ ის უ ფ რ ო ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ა, ვინემ მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონი» (Op. cit. გვ. 187. ხაზი ლენინისაა).

[7] ibid.

[8] Капитал, ტ. I, 1928, გვ. 37.

აღმდეგ. მეცნიერული კათეგორია, როგორც სინამდვილის აბსტრაქტული ასახვა, ადამიანის თავში გარდაქმნილი სინამდვილეა, ის ნაყოფია «ადამიანის ტვინის». მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ ამტკიცებს მეცნიერული კათეგორიის სუბიექტურ ხასიათს. პირიქით, ამ კათეგორიის ობიექტური ბუნება მტკიცდება არა მარტო იმ ფაქტით, რომ ეს კათეგორია გამოყვანილია არა ადამიანის თავიდან, არამედ ობიექტურ სინამდვილიდან ამ თავის საშუალებით. მეტი კიდევ. თვით ადამიანი და მისი საგანგებო აპარატი - ტვინი — ბუნების განუყოფელი ნაწილია და ამიტომ თვით აბსტრაქტულ-მეცნიერული კათეგორიაც — საბოლოო ანგარიშში — ბუნების პროდუქტად გვევლინება. ეს დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს ენგელსის მსჯელობიდან: «თუ ვიკითხავთ, სახელდობრ რას წარმოადგენს აზრი და შეგნება, და საიდან ჩნდება ისინი, დავინახავთ, რომ ეს ადამიანის ტვინის პროდუქტია, ხოლო თვით ადამიანი — პროდუქტია თვით ბუნების... აქედან თავისთავად ცხადი ხდება, რომ ადამიანის ტვინის პროდუქტი, საბოლოო ჯამში, ბ უ ნ ე ბ ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ა დ გვევლინება»[10]. უდაოა, მეცნიერულ-აბსტრაქტული კათეგორია არსებითად თვით ბუნების ნაწარმოებია და, როგორც ასეთი, ობიექტური სინამდვილის ანარეკლი. ლ ე ნ ი ნ ი აცხადებს გადაჭრით: «ლოგიკის კანონები (resp. მეცნიერული კათეგორიები. გ. მ.) ობიექტურის ასახვაა ადამიანის სუბიექტურ შეგნებაში»[11]. აქ მოცემულია მეცნიერული კათეგორიის ორგვარი გაგება: ერთი — ეს კათეგორია სინამდვილის ა ს ა ხ ვ ა ა და, მეორე, ეს ასახული სინამდვილე გადატანილია და გარდაქმნილი «ადამიანის სუბიექტურ შეგნებაში», ამდენად, მაშასადამე, სინამდვილიდან განყენებული. ამ განყენების მეცნიერული აბსტრაქციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკურად ასახული კონკრეტული სინამდვილე, როგორც წესი, როდი გვევლინება სინამდვილის ზედაპირზე სახეშეუცვლელად[12]. წინაალმდეგ შემთხვევაში უხეში კონკრეტული სინამდვილე უშუალოდ შეიჭრებოდა «სუბიექტურ შეგნებაში» და თვით მეცნიერული აბსტრაქცია, მეც-

[9] ibid. გვ. 32.

[10] Энгельс. Анти-Дюринг. 1923. გვ. 27-28. ხაზი ჩვენია. შეად. ლ ე ნ ი ნ «ცნება უმაღლესი ნაყოფია ტვინის, მატერიის ამ უმაღლესი პროდუქტის» (Лен. сб. IX, გვ. 177). თვით ტვინი «იმავე ბუნების პროდუქტია» (გვ. 203).

[11] Лен. сб. IX, გვ. 205.

[12] ღირებულება, მაგ. თითქმის არასოდეს არ გამოვლინება ბუნებრივ ფორმაში (Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 128, 131, 137, აგრეთვე—106, 109 [illegible] შემდეგ). კაპიტალის ს ა შ უ ა ლ ო ორგანიული შემადგენლობა. საშუალო— [illegible] ფულად

ნიერული აზროვნება ზედმეტი გახდებოდა — შეუძლებელი იქნებოდა ობიექტური სინამდვილის «უფრო ღრმად, სწორად, უფრო სრულად» შემეცნება.

კათეგორია ღირებულების, ფულის, კაპიტალის, ხელფასის, ზედმეტი ღირებულების, მოგების, პროცენტის, რენტის წარმოადგენს კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა თეორიულ ასახვას. ღირებულების კათეგორია გამოხატავს საქონლის მწარმოებელთა საწარმოო ურთიერთობას. მათი საზოგადოებრივი კავშირი, რომელიც არსებითად ინასკვება წარმოების სფეროში, რეალურად გამოივლინება და ხორციელდება გაცვლის პროცესში. კაპიტალისა და ხელფასის კათეგორიები შეიცავს დამქირავებელისა და დაქირავებულის საწარმოო ურთიერთობას. პროცენტის კათეგორია უმთავრესად თვით კაპიტალისტების საწარმოო ურთიერთობას გამოხატავს, ხოლო რენტა — კაპიტალისტური ფერმერის, მიწათმფლობელისა და სოფლის მეურნეობაში დაქირავებული ძალის საწარმოო დამოკიდებულებას. შეგნებულად გამოვყავით ეკონომიურ კათეგორიათა რიგიდან ძირითადი კათეგორია — ზედმეტი ღირებულება. მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის ღერძს სწორედ ზედმეტი ღირებულების კათეგორია წარმოადგენს. «მოძღვრება ზედმეტ ღირებულებაზე — წერს ლენინი — არის მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედი»[13]. ზედმეტი ღირებულების კათეგორია მეცნიერულად ასახავს კაპიტალისტური მეურნეობის ძირითად საწარმოო ურთიერთობას — ურთიერთობას შრომასა და კაპიტალს შორის. ესაა ექსპლოატაციის მიმართებანი, რომელზედაც დამყარებულია წარმოების კაპიტალისტური წესი და რომლის გარეშე შეუძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებობა. მოგება, პროცენტი და რენტა ზედმეტი ღირებულების სახეცვლილი ფორმაა. აქ განძსაზღვრელი კათეგორია სწორედ ზედმეტი ღირებულების კათეგორიაა არსებითად.

აბსტრაქცია.» (Капитал, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 179). ასევე სწორედ საქონლის საშუალო ფასი, რომელიც «ყოველთვის განსხვავდება მისი ღირებულებისგან» (Теории прибл. стоимости, ტ. I, 1932. გვ. 113), დაბოლოს, წმინდა ანუ აბსტრაქტული კაპიტალიზმი, რომელიც შეადგენს «კაპიტალის» მეცნიერული ანალიზის საგანს. «სუფთა წმინდა სახით კაპიტალიზმი არ მოიპოვება ობიექტურად სინამდვილეში. მარქსი გარკვევით აღნიშნავს «კაპიტალის» პირველი გამოცემის წინასიტყვაში, რომ ის იკვლევს «პროცესს წმინდა სახით», ხოლო მისი კვლევა-ძიების საგანია «წარმოების კაპიტალისტური წესი, მისი შესაფერი მიმართება წარმოებისა და გაცვლისა».

[13] Три источника etc. Собр. соч. ტ. XII, ნაწ. 2, გვ. 75.

ამრიგად, მეცნიერული ეკონომიის თითოეული კათეგორია აბსტრაქტულია თავისი ფორმით, კონკრეტული და ობიექტურია თავისი საგნით, შინაარსით.

ადამიანთა საწარმოო ურთიერთობანი საქონლის კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში განივთიერებულ ფორმაში გვევლინებიან. აქ ნივთთა უშუალო დამოკიდებულება, სასაქონლო ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლა ჩრდილავს და აბნელებს თვით მწარმოებელთა საწარმოო ურთიერთობას. საქონელი, ფული, კაპიტალი ფეტიშად გამოიყურება. ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების კათეგორიები ფარდას ხდის ფეტიშიზმს და წარმოების კაპიტალისტური წესის რაობას აშიშვლებს ფიზიკური სიცხადით. აქ გადამწყვეტია ზედმეტი ღირებულების მეცნიერული ცნება და არა ღირებულების კათეგორია. ამის საფუძველია ის გარემოება, რომ ღირებულება ისტორიულად შესაძლებელია ზედმეტი ღირებულების გარეშე, ხოლო ზედმეტი ღირებულება აბსოლუტურად შეუძლებელია ღირებულების გარეშე. ღირებულების კათეგორია ჰგულისხმობს აგრეთვე საქონლის უბრალო, მარტივ მეურნეობას. ისტორიულად სწორედ საქონლის წერილ მეურნეთა საზოგადოებაში წარმოიშვა და თავის ბუნებრივ ფორმაში მოგვევლინა ღირებულება. ასევე არ ითქმის ზედმეტ ღირებულებაზე — ის მთლიანად წარმოების კაპიტალისტური წესის ნაყოფია და დაქირავებული შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაციის გამომხატველი. ამიტომ, არსებითად სწორედ ზედმეტი ღირებულების კათეგორია ხდის ნილაბს საქონლის ფეტიშიზმის საზოგადოების შინაგან კანონებს და ნივთთა მიმართებაში ააშკარავებს ადამიანთა საწარმოო მიმართებას, სახელდობრ — შრომისა და კაპიტალის საწარმოო ურთიერთობას, მოკლედ — ექსპლოატაციის მიმართებას. წარმოების კაპიტალისტური წესის მისტიფიკაციას ბოლო ეღება კიდევაც.

მეორე მხრივ, ღირებულება თამაშობს უდიდეს როლს სტიქიური წარმოების საზოგადოებაში. ღირებულების მოძრაობა განსაზღვრავს საბოლოო ანგარიშში — საქონლის ფასების მოძრაობას. საწარმოო კაპიტალის წარმოების ამა თუ იმ სფეროში მოთავსებას, მის სტიქიურ მოძრაობას განაგებს ღირებულების ბრმა კანონი. ზოგიერთი ღირებულების კანონს კაპიტალიზმის წონასწორობის კანონად აცხადებს. ასეთია, მაგ., ამხ. ბუხარინის შეხედულება. ამავე აზრს იცავს და თავისებურად ასაბუთებს სოციალ-ფაშისტური ეკონომისტი ი. რუბინი. მისი მტკიცებით, «ღირებულების კანონი არის საქონლის მეურნეობის წონასწორობის კანონი»[11]. ნამდვილად კი საქონლის

[11] იხ. ი. რუბინის ვრცელი წინასიტყვაობა წიგნში: И. Розенберг. Теория стоимости у Рикардо и у Маркса. მოსკოვი. 1924.

კაპიტალისტურ მეურნეობაში არ არსებობს რამდენადმე მ ყ ა რ ი წონასწორობა. მ ა რ ქ ს ი წერს «კაპიტალში»: კაპიტალისტურ საზოგადოებაში «გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ა ს რ უ ლ ი ა ნ ა რ ქ ი ა, რომლის ფარგლებში წარმოების საზოგადოებრივი კავშირი ხორციელდება მხოლოდ როგორც ბუნების ძლიერი კანონი, რომელსაც ემორჩილება ინდივიდუალური თვითნებობა»[15]. მაშასადამე, საზოგადოებაში, სადაც წარმოების სრული ანარქიაა გამეფებული, ინდივიდუალური კაპიტალი მოქმედებს მეორე ინდივიდუალური კაპიტალის წინააღმდეგ კაპიტალისტური კონკურენციის კანონის თანახმად, ცხადია, წონასწორობა არავითარ წესს არ წარმოადგენს. მ ა რ ქ ს ი ასკვნის: «წონასწორობა, ამ წარმოების სტიქიურად შედგენილ წყობილებაში, თვითონ შეადგენს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა ს»[16]. რაც შემთხვევითია, წესს არ წარმოადგენს. განვითარების კანონზომიერება სრულებით არ უარყოფს, პირიქით, ჰგულისხმობს შემთხვევითობას, მაგრამ არა როგორც მის განმსაზღვრელ მომენტს, არამედ როგორც ობიექტურად თანმხლებ ელემენტს. შემთხვევითი, შეფარდებითი წონასწორობა თვითონ არის მოძრაობის თავისებური ფორმა, სპეციფიკური სახე. ამიტომ ღირებულება კაპიტალისტური მეურნეობის წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს, მისი უძრაობის კანონი კი არა, ამ მეურნეობის მოძრაობის, განვითარების და დაღუპვის კანონია.

ასეა ეკონომიურ კათეგორიების პრობლემა მეცნიერულ, მარქსისტულ თეორიულ ეკონომიაში დასმული და გადაწყვეტილი.

II

პოლიტიკური ეკონომიის საგნის გამორკვევა ბუნებრივად აყენებს მ ე თ ო დ ი ს საკითხს. საგანი და მეთოდი ორგანიულ მთლიანობაშია მოცემული მეცნიერულ აზროვნებაში. მარქსისტული ეკონომიის საგანი განუყოფელია მის მეთოდისაგან, აქ საგნის მეცნიერული გაგება აუცილებლად ჰგულისხმობს თვით მეთოდის მეცნიერულობას. იდეალისტურ მსოფლმხედველობის არამეცნიერული და დუალისტური შინაბუნება იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ სისტემა და მეთოდი ხშირად ანტაგონისტურადაა დაპირისპირებული. ასეთია, მაგალითად, ჰ ე გ ე ლ ი ს ფილოსოფია. აქ სისტემა — აბსოლუტური იდეალიზმი — და მეთოდი — დიალექტიკა — შინაგან წინააღმდეგობაშია მოქცეული. მარქსიზმი, მისი ფილოსოფია — დიალექტიკური მატერიალიზმი —

[15] Капитал, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 341. კურსივი ჩვენია.
[16] Капитал, ტ. II, გვ. 362.

პირიქით, სისტემისა და მეთოდის ორგანიულ მთლიანობასა და განუკვეთელობას წარმოადგენს. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის საგანიც მის მეთოდთან შედუღებულია ბუნებრივად. უდაოა, ყოველივე ნამდვილად მეცნიერული მსოფლმხედველობის nervus rerum, მთავარი ძარღვი მდგომარეობს მის სისტემისა და მეთოდის ორგანიულ მთლიანობაში.

მეცნიერული აზროვნებისა, მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი არსებითად განსაზღვრავს მისი მეთოდის ხასიათს. აქ მიზანსა და საშუალებას, სისტემასა და წესს შორის შინაგანი კავშირია განმტკიცებული. სადაც არ არის ეს შინაგანი კავშირი, იქ მეცნიერებაზე უტოპია იმარჯვებს, თეორიული სისტემა უტოპიად იქცევა. ისტორიულად, უტოპიის ნიშანდობლივი ხასიათი მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ აქ მიზანი და საშუალება არ ეთანხმება ერთმანეთს, საშუალება არ აძლიერებს მიზანს. აქედან თვით მიზანი უტოპიად გვევლინება, იქცევა განუხორციელებელ იდეალად. პირიქით, ნამდვილი მეცნიერული აზროვნება იმთავითვე აღკვეთავს სისტემისა და მეთოდის შინაგან წინააღმდეგობას, იძლევა და აკანონებს მათ ორგანიულ მთლიანობას. მეცნიერული შესწავლის, მისი ანალიზის საგნის ყოველთვრივი წარმოდგენა, შინაბუნების გაშუქება, განვითარების შინაგან კანონზომიერების ცხადყოფა, ერთი სიტყვით, ამ საგნის ობიექტური შემეცნება, მისი შეცვლის მიზნით, უზრუნველყოფილი ხდება კვლევა-ძიების მეთოდის მეცნიერული ხასიათით. შემცდარი მეთოდი, რაკაკვირველია, შეუძლებელს ხდის შესწავლის საგნად გაჩენილი საზოგადოებრივი თუ ბუნებრივი მოვლენის მეცნიერულ შემეცნებას. მაშასადამე, არა მარტო მეთოდი დამოკიდებულია საგანზე, მეტი კიდევ, საგანიც დამოკიდებულია მეთოდზე. საგნისა და მეთოდის ეს დიალექტიკური ურთიერთ დამოკიდებულება და ზემოქმედება ხორციელდება მათ ორგანიულ მთლიანობაში.

უფრო ახლო გავეცნოთ საკითხს.

ზევით გარკვევით მოვხაზეთ მარქსისტული თეორიული ეკონომიის კვლევა-ძიებისა და მეცნიერული შესწავლის საგანი ესაა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოებაში. ცხადია, ეს ალგებრული ფორმულაა, რომელიც მოითხოვს დაშლას და წარმოდგენას ალითმეტიკული სიცხადით. ადამიანთა საწარმოო ურთიერთობათა სისტემა შეადგენს, როგორც ამბობს მარქსი, საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რომელსაც ემყარება განსაზღვრული ზედნაშენი საზოგადოების სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ნორმები და იდეოლოგიური ფორმები. საზოგადოების

ეკონომიური სტრუქტურა ხასიათდება მოძრაობა-განვითარების ობიექტური კანონებით. კანონი, საზოგადოდ, არის არსებითის ასახვა მოვლენაში. საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, როგორც ობიექტური მოვლენა, შეიცავს მთელი რიგ არსებით მომენტებს, რომელიც ასახულია განსაზღვრული კანონის სახით. ცხადია, საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის მეცნიერულმა ანალიზმა უნდა ნათელყოს ამ სტრუქტურის განვითარების შინაგანი კანონები. ეს კანონები თუ ობიექტურად დადგენილია, შესწავლილი და შემეცნებული, თვით საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურაც შემეცნებული ხდება და მისი განვითარების ისტორიული ტენდენციებიც მეცნიერულად მონიშნებული, გათვალისწინებული. საზოგადოებრივი განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა გვიმტკიცებს, რომ საზოგადოების ყოველგვარი მოცემული ფორმა ისტორიულია, გარდამავალი. კერძოდ, ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოება, სადაც გაბატონებულია წარმოების კაპიტალისტური წესი. ბურჟუაზიული საზოგადოების, როგორც ყოველგვარი კლასობრივი წყობილების, დამახასიათებელი კანონია კლასობრივი წინააღმდეგობა, ანტაგონიზმი, კლასთა ბრძოლა. ამის საფუძველია თვით საზოგადოებრივი წარმოების ანტაგონისტური ხასიათი. თეორიული ეკონომიის მეცნიერულმა მეთოდმა, მაშასადამე, უნდა მოგვცეს ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ანტაგონისტური შინაბუნების გამოკვლევა-ნათელყოფის სრული საშუალება, მან უნდა ცხადჰყოს წარმოების კაპიტალისტური წესის ისტორიული ხასიათი, მისი ისტორიულად აუცილებელი დაღუპვა და საზოგადოებრივი წარმოების ახალი წესის გამარჯვება. აქედან უკვე ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი აუცილებლად უნდა იყოს — მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ — «არსებითად კრიტიკული და რევოლუციური». ასეთია სწორედ კვლევა-ძიების მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდი. მატერიალისტური დიალექტიკის თეორია პოლიტიკურ ეკონომიაში «აშკარად ისახავს მიზნად აღმოაჩინოს ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმა თანამედროვე საზოგადოებაში, შეისწავლოს მათი ევოლუცია, დაამტკიცოს მათი გარდამავალი ხასიათი, მათი სხვა ფორმაში გადასვლის აუცილებლობა...»[17]. კაპიტალიზმის თეორიული ეკონომიის საგანი, მაშასადამე, თავისთავად ჰგულისხმობს, ბუნებრივად ემყარება კვლევა-ძიების დიალექტიკურ მეთოდს. ამ მეთოდის გარეშე პოლიტიკური ეკონომია

[17] Ленин. Что Такое „Друзья народа" etc. დამატება III. იხ. Сочинения, ტ. 1, გამოც. მეორე, გვ. 218.

დაკარგავს მეცნიერულ ხასიათს და იქცევა ტოპ-ად თავის მხრივ, მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდის კრიტიკულ-რევოლუციური ხასიათი ბუნებრივად ემყარება მისი საგნის ისტორიულ-გარდამავალ, შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ბუნებას. პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებას საქმე აქვს ისტორიულ, ე. ი. მუდმივად ცვალებად მასალასთან»[18]. მაშასადამე, მისი კვლევითი მეთოდიც ისტორიულია, ე. ი. დიალექტიკური. დიალექტიკა, როგორც შენიშნავს ლ ე ნ ი ნ ი, თვით შეიცავს ისტორიულობას.

ამრიგად, მეცნიერული, მარქსისტული თეორიული ეკონომიის მეთოდი არის მატერიალისტური დიალექტიკა. ეს მეთოდი ააშკარავებს წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგან კანონზომიერებას, ნათელყოფს საქონლის კაპიტალისტური მეურნეობის მოძრაობა-განვითარების იმანენტურ კანონებს. დიალექტიკა მოძრაობა-განვითარების მეცნიერებაა. დიალექტიკური მეთოდი იკვლევს თავის საგანს მის მოძრაობაში, განვითარებაში, დანარჩენ მოვლენასთან კავშირში, ურთიერთობაში. ეს მეთოდი ცხადყოფს ამ საგნის გარდამავალ, ისტორიულ, რელატიურ ხასიათს. თეორიული ეკონომია წარმოდგენილია მის ძირითად კათეგორიებში. ეს კათეგორიები მოძრავია, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ისტორიული განვითარებით წარმოშობილი და ამავე განვითარებით პირობადებული. აქედან აშკარაა, მაგალითად, რომ კაპიტალი ისტორიული კათეგორიაა. მხოლოდ კვლევა-ძიების დიალექტიკური წესი აშიშვლებს ამ კათეგორიის შინაგან ბუნებას და იძლევა მის მეცნიერულ ანალიზს. დიალექტიკური მეთოდი მ ა რ ქ ს ი ს გენიოსური ნაწარმოების — «კაპიტალის» — მეცნიერული კვლევა-ძიების ერთადერთი მკვეთრი იარაღია. «კაპიტალი» მთლიანად და საესებით აგებულია დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდზე, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ამ მეთოდით. ლ ე ნ ი ნ ი საპართლიანად შენიშნავს თავის «კონსპექტში», რომ მ ა რ ქ ს ს, მართალია, «ლოგიკის მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ზ ე», ე. ი. დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა ზ ე, სპეციალური შრომა არ დაუწერია, მაგრამ მან დაწერა «კაპიტალი», სადაც ეს მეთოდი გამოყენებულია ბრწყინვალედ. მაშასადამე, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი მატერიალისტურ-დიალექტიკურია. ამაზე გარკვევით მიგვითითებს თვით მ ა რ ქ ს ი «კაპიტალის» მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაში.

არ შევუდგებით მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონებისა და კათეგორიების გადმოცემას. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის თეორიას და

[18] Энгельс. Анти-Дюринг. განყ. II, თავი I.

დიალექტიკის გენიოსურ გამოყენებას «კაპიტალში»[19]. დიალექტიკური მეთოდით აღჭურვის გარეშე შეუძლებელია არა მარტო მარქსისტული თეორიული ეკონომიის გაგება, შეუძლებელია აგრეთვე კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის მეცნიერული გარკვევაც. მხოლოდ ბურჟუაზიული ეკონომისტი არ ამჩნევს მარქსის მეცნიერული კვლევა-ძიების მატერიალისტურ მეთოდს და ახდენს ამ მეთოდის მისტიფი-კაციას[20]. მეცნიერული აზროვნება კი, რომელიც არ იმყოფება ბურ-ჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში და არ გამოდის წარმოების კაპიტალისტური წესის აპოლოგეტად, თქმა არ უნდა, მარქსიზმში, უწინარეს ყოვლისა, მატერიალისტურ-დიალექტიკურ მეთოდს ხედავს და კიდევაც განსაკუთრებით აფასებს ამ მეთოდს.

თეორიული ეკონომიის მეცნიერულმა მეთოდმა უნდა ნათელჰყოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენათა ა რ ს ე ბ ი თ ი მხარე, აღმოაჩინოს და დაასაბუთოს მოვლენის წიაღში მოქცეული რაობა, ის ნიშანდობლივი და არსებითი რამ, რომელიც კანონად უდევს და განსაზღვრავს სინამდვილის ზე .აპირზე მოვლინებულის მოძრაობა-განვითარებას. უშუალოდ მოვლენა და რაობა არ ემთხვევა ერთმანეთს. მ ა რ ქ ს ი გენიოსურად შენიშნავს, როცა ამბობს: სინამდვილეში მოვლენა და რაობა უშუალოდ ერთმანეთს არ ხვდება, და რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ «ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი გახდებოდა»[21]. მეცნიერება იკვლევს მოვლენაში რაობას, აღმოაჩენს მას, ასაბუთებს. რაობა უშუალოდ რომ გვევლინებოდეს სინამდვილის ზედაპირზე, მეცნიერება უსაგნოდ დარჩებოდა, მეცნიერული აზრის განვითარებას ბოლო მოეღებოდა. სინამდვილის, ობიექტური მსოფლიოს შინაგანი კანონზომიერება მოვლენათა რაობის ცხადყოფით ხდება შესაცნობი, ხოლო მეცნიერული აზრის ეს რთული ოპერაცია შესაძლებელია მხოლოდ მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდის საშუალებით. ეკო-

[19] a priori ვგულისხმობთ მკითხველს, რომელიც—სხვათაშორის—იცნობს ამ თემაზე ჩვენს სპეციალურ შრომას (იხ. გ რ . მ უ შ ი შ ვ ი ლ ი. მატერიალისტური დიალექტიკა. სახელგამი, 1933. გამოცემა მეორე).

[20] ასე, მაგ. პ. ს ტ რ უ ვ ე ს «სწავლული» მტკიცებით, მ ა რ ქ ს მ ა დიალექტიკა „შეითვისა მხოლოდ გარეგნულად... არა დიალექტიკური მეთოდი ისესხა მარქსმა ჰეგელისაგან, არამედ — ლოგიკური რეალიზმი მისი ეშმარიტად ონტოლოგიური გაგებით და გაფართოებით. ორივესთვის... ამიტომ იყო ძალიან უცხო სული ემპირიზმის, რომლისათვის ასეთი სახის «რეალიზმი» არის საწამლავი» (იხ. Петр Струве. Хозяйство и цена. Критические исследования по теории и истории хоз. жизни. 1913 წ. ნაწ. I, გვ. XXV — XXVI). ცხადია, ს ტ რ უ ვ ე ს ამ პროფესორული ბოდვის კრიტიკაზე არ ვიტყოდით უარს, რომ ღირდეს, საზოგადოდ, შ ე შ ლ ი ლ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი ს სერიოზული გარჩევა...

[21] Капитал, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 288-289.

ნომიური თეორია, რამდენად ის მეცნიერულია, მიზნად ისახავს მოცემული საზოგადოებრივი წარმოების, საწარმოო ურთიერთობათა, ეკონომიურ სტრუქტურის მოძრაობა-განვითარების იმანენტური კანონების აღმოჩენას, მათ მეცნიერულად გაშუქებას და აქედან გამომდინარე ისტორიული განვითარების ტენდენციების გარკვევას. ამისათვის საჭიროა არა საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენათა სფეროში ტრიალი, აუცილებელია ამ მოვლენათა შინაბუნების შემეცნება, მათი რაობის ცხადყოფით. სხვანაირად თეორიული ეკონომიური აზროვნება დაკარგავს მეცნიერულ ხასიათს, პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი მეცნიერული არ გამოდგება.

ორიოდე მაგალითი მხოლოდ. ფასი მოვლენაა, ღირებულება — რაობა. საქონლის ფასების მოძრაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ობიექტური კანონების შემეცნება შეუძლებელია საქონლის ღირებულების, ამ ღირებულების მოძრაობის კანონების აღმოჩენა-დასაბუთების გარეშე. ეკონომიურ სინამდვილის ზედაპირზე, კაპიტალისტური წარმოების პირობებში, გვევლინება უშუალოდ ფასი და არა ღირებულება. ეკონომიურმა თეორიამ უნდა მოგვცეს განსაზღვრული მოვლენის მეცნიერული ახსნა — გააშუქოს, ნათელყოს ამ მოვლენის მოძრაობის შინაგანი კანონზომიერება. ანალოგიურია ხელფასისა და სამუშაო ძალის ღირებულება. პირველი მოვლენაა, ფაქტი, მეორე — მისი რაობა, მისი შინაგანი კანონი. ხელფასის ეკონომიური კათეგორია საიდუმლოდ დარჩება, თუ არ იქნა აღმოჩენილი და დასაბუთებული სამუშაო ძალის ღირებულება, მისი მოძრაობის კანონები. ასევე — მოგება და ზედმეტი ღირებულება. უკანასკნელი უშუალოდ არ გვევლინება ეკონომიურ სინამდვილეში. მოგების ნორმა — აი, რასთან აქვს საქმე უშუალოდ კაპიტალისტურ დამქირავებელს და, მაშასადამე, ბურჟუაზიულ ეკონომიას. მოგების ნორმის მოძრაობის ობიექტური კანონის გაგება შეუძლებელია ზედმეტი ღირებულების ნორმის მოძრაობის გაგების გარეშე. პირველი მოვლენაა, მეორე — რაობა. პირველი სინამდვილის გარეგანი მხარეა, მეორე - შინაგანი. მეცნიერული აზრი ცდილობს შეიჭრეს სინამდვილის შინასკნელში და მისი განვითარების შინაგანი კანონები აღმოაჩინოს. უამისოდ მეცნიერება უსაგნოდ დარჩებოდა.

მეორე მხრივ, მოვლენა და რაობა არაა ერთმანეთის აბსოლუტური დაპირისპირება. ორივე კათეგორია ობიექტური მსოფლიოს მხარეებია, ობიექტური ხასიათისაა და ეს მომენტი — მათი ობიექტურობა — უზრუნველყოფს მათ დიალექტიკურ მთლიანობას. საქონლის ფასის კათეგორია ისეთივე ობიექტური ცნებაა, როგორც თვით ღირებულება. ეს ასე რომ არ იყოს, შეუძლებელი გახდებოდა თვით

ეკონომიური მეცნიერების ობიექტურობა. მოვლენისა და რაობის ობიექტური ბუნება უზრუნველყოფს მეცნიერული აზრის პროდუქტულ მოქმედებას ამ აზოს გააჩნია ობიექტური საგანი. მოვლენის ობიექტური ხასიათი ამავე დროს უზრუნველყოფს თვით რაობის შემეცნების საქმეს. ფრ. ენგელსი ამტკიცებს «ნატურდიალექტიკაში»: მოძრაობა მატერიის არსებობის წესია, ხოლო მოძრაობათა ფორმების შესწავლით შევიცნობთ თვით მატერიას. ასევე ეკონომიურ სინამდვილეშიც. აქ მოვლენა რაობის არსებობის წესია და შეუძლებელია რაობის შემეცნება თვით მოვლენის ღრმა შესწავლა-გაანალიზების გარეშე. ეს დებულება თეორიული ეკონომიის დიალექტიკური მეთოდის არსებით მომენტს წარმოადგენს. ბურჟუაზიული, არამეცნიერული ეკონომიური აზროვნების ნიშანდობლივი თვისება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს აზროვნება სინამდვილის ზედაპირზე დასცურავს, მოვლენის სამეფოში თარეშობს და არ ცდილობს სინამდვილის შინაარსში შეჭრას. ამის მიზეზია ეკონომიური თეორიის კლასობრივი ხასიათი.

იბადება კითხვა: რაში მდგომარეობს ის წესი, რომლის მიხედვით დიალექტიკური აზროვნება ეკონომიურ მოვლენათა რაობას არკვევს და სინამდვილის შინაგან კანონებს ნათელყოფს? ამაზე პასუხს იძლევა ანალიზისა და სინთეზის მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგება, ამის გასაგებად საჭიროა მეცნიერული აბსტრაქციის გამოყენება.

ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ზოგადიდან კერძოსკენ და კერძოდან ზოგადისკენ, აზროვნების დიალექტიკური მეთოდის ცალკე მომენტებია. მეტაფიზიკურ სისტემაში ეს მომენტები დამოუკიდებელ, დამთავრებულ თეორიად გვევლინება. აზროვნების მეტაფიზიკური წესი მოქმედობს უშუალო დაპირისპირებით: ან — ან, ან სინთეზი, ან ანალიზი, ან ინდუქცია, ან დედუქცია. ამ წესისათვის ანალიზი და სინთეზი კვლევა-ძიების დამოუკიდებელი მეთოდებია და, მაშასადამე, ერთმანეთთან დიამეტრალურად დაპირისპირებულიც. მეცნიერული, დიალექტიკურ-მატერიალისტური აზროვნება, პირიქით, გამოდის ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის შინაგანი კავშირისა და მთლიანობიდან. ეს ნიშნავს, რომ ანალიზი და სინთეზი, როგორც კვლევა-ძიების იარაღი, დიალექტიკური მეთოდის კერძო შემთხვევაა. მატერიალისტური დიალექტიკა უარყოფს ინდუქცია-დედუქციას, სინთეზ-ანალიზს, როგორც დამოუკიდებელ თეორიებს, ვინაიდან ამ დამოუკიდებლობაში ხორციელდება მეცნიერული აზროვნების ცალმხრივობა, ობიექტურ მოვლენისადმი ცალმხრივი მიდგომა. დიალექტიკური აზროვნება არ ითმენს

ცალმხრივობას, ის ცდილობს შეიცნოს ობიექტური მსოფლიო ყოველმხრივ, მის მთლიანობაში. მაგრამ დიალექტიკური აზროვნება სრულებით არ უარყოფს ანალიზ-სინთეზს, ინდუქცია-დედუქციას, როგორც მის ობიექტურ, დამახასიათებელ მომენტს. მატერიალისტური დიალექტიკა შეიცავს როგორც ერთს, ისე მეორეს, შეიცავს მათ შინაგან კავშირსა და მთლიანობაში და არა მექანიკურ შეჯამებაში. ენგელსი ნატურდიალექტიკაში ამიტომ აცხადებს გადაჭრით, ანალიზი და სინთეზი ორივე აუცილებელია თავის ადგილზეო. მეცნიერული აზროვნება თავის ადგილას მიმართავს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს, იწყებს ერთით, ამთავრებს მეორეთი, გამოდის კერძოდან, ამთავრებს ზოგადით. აქ ანალიზიდან სინთეზზე უშუალო გადასვლაა, — ასევე სინთეზიდან ანალიზზე. ასეა გადაჭრილი მეცნიერული აზროვნების ამ მეთოდოლოგიური მომენტების პრობლემა მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში.

ანალიზისა და სინთეზის დიალექტიკური გაგება-გამოყენება შესაძლებელი ხდება მეცნიერული აბსტრაქციის გზით. მეცნიერული აბსტრაქცია წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინურ თეორიული ეკონომიის მეთოდოლოგიის differentia specifica-ს. მეცნიერული აბსტრაქციის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის მეცნიერული ანალიზი, საზოგადოებრივი განვითარების, წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონების აღმოჩენა და გაგება. საზოგადოებრივი ორგანიზმი განსხვავდება ორგანიულ და არაორგანიულ ბუნებისაგან არა მარტო იმით, რომ საზოგადოებაში მოქმედებენ სუბიექტები, შეგნებული არსებანი, ხოლო გარეგუნებაში ხდება მოლეკულარული შეუგნებელი მოძრაობა. აქ სპეციფიკური განსხვავება მდგომარეობს აგრეთვე საზოგადოებისა და გარეგუნების კვლევა-ძიების «ტექნიკურ საშუალებებში». ცოცხალი ორგანიზმის ანატომია ხორციელდება ლაბორატორულ-ექსპერიმენტალური წესით. ფიზიკურ კაბინეთში წარმოებს მეცნიერული ცდები, ნივთიერება იშლება შემადგენელ ქიმიურ ელემენტებად. ყველა ეს «ტექნიკური წესი» შეუძლებელია გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ერთეულის შესწავლის დროს. «ეკონომიურ ფორმათა ანალიზის დროს — წერს მარქსი — შეუძლებელია სარგებლობა არც მიკროსკოპით, არც ქიმიური რეაქტივებით»[22]. მაშ, რით უნდა ისარგებლოს მეცნიერულმა აზროვნებამ საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის, მისი ფორმების კვლევა-ძიების დროს, თუ კი მას არ გააჩნია მატერიალური,

[22] Капитал. ტ. I, პირველი გამოცემის წინასიტყვა.

კონკრეტული «ხელსაწყო»? მარქსი გადაჭრით გვიპასუხებს: ეკონომიურ ფორმათა შესწავლის დროს მიკროსკოპი და ქიმიური რეაქტივები «უნდა შესცვალოს აბსტრაქციის ძალამ»[23]. ესაა მეცნიერული აბსტრაქციის ძალა. მეცნიერული აბსტრაქცია აძლევს აზროვნებას ანალიზის საგნის წარმოდგენას უფრო სრულად, უფრო ობიექტურად.

მაგრამ მეცნიერული აბსტრაქცია როდია licentia poetica, პოეტური აღმაფრენა და გაქანება. მისი წყარო კონკრეტული მოვლენაა, ის კონკრეტულიდან გამოდის და ბოლოს უბრუნდება კვლავ ამ კონკრეტულს, უკვე მეცნიერულად შემეცნებულს. კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ — ასეთია მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდის გზა მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში, როდესაც ამ კვლევა-ძიების საგნად გამხდარია საზოგადოების ეკონომიურ ფორმათა სტრუქტურა.

«შესავალში» მარქსი სპეციალურად არკვევს პოლიტიკური ეკონომიის მეთოდს და აშუქებს მის მხარეებს. აი, ჩვენის აზრით, ცენტრალური დებულება, რომელსაც აყენებს მარქსი და რომლის გაგება გვაძლევს დასმული პრობლემის გასაღებს. მარქსი წერს: «კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ ის გვევლინება მთლიანობამდე დაყვანილად მრავალგვარი განსაზღვრით, ე. ი. წარმოადგენს ერთიანობას მრავალფეროვნებაში. აზროვნებაში ის გვევლინება ამიტომ როგორც გაერთიანების პროცესი, როგორც რეზულტატი და არა როგორც გამოსავალი პუნქტი, თუმცა ის სინამდვილეში გამოსავალი პუნქტია და, მაშასადამე, ასევე გამოსავალი პუნქტია განსახებისა და წარმოდგენისათვის»[24]. როგორც ვხედავთ, აქ მარქსი არკვევს აზროვნების მოძრაობის ორმხრივ პროცესს:. პირველ შემთხვევაში კონკრეტული წარმოდგენილია რეზულტატად, კვლევა-ძიების შედეგად, ხოლო მეორე შემთხვევაში — გამოსავალ წერტილად. ასეთია ორი გზა, რომელზედაც აზროვნება მოძრაობს. «პირველ გზაზე — განაგრძობს მარქსი — სრული წარმოდგენა ჰქრება აბსტრაქტული განმარტების დონემდე; მეორე გზაზე კი აბსტრაქტული განმარტებანი აღადგენენ კონკრეტულს აზროვნების გზით»[25]. მარქსის აზრით «უკანასკნელი მეთოდი, ცხადია, არის სწორი მეცნიერული თვალსაზრისით». და ეს იმიტომ, რომ «აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ გადასვლის მეთოდი არის მხოლოდ წესი, რომლის სა-

[23] ibid. ხაზი ჩვენია.
[24] К критике пол. экономии. 1933, გვ. 26. ხაზი ჩვენია.
[25] ibid.

შუალებით აზროვნება შეითვისებს კონკრეტულს, ალადგენს მას სულიერად, როგორც კონკრეტულს»[26]. ესაა სწორედ მეცნიერული აბსტრაქციის გზა, რომელზედაც მარქსი დგას მტკიცედ.

მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნებისათვის, მაშასადამე, კონკრეტული მხოლოდ კვლევა-ძიების გამოსავალი წერტილია. მაგრამ ეს კონკრეტული რეალურად მოცემულია. მეცნიერული აზროვნება იხდის ამ კონკრეტულს შესწავლის საგნად და იწყებს მის ანალიზს: იღებს მის ელემენტარულ, მარტივ, მაგრამ დამახასიათებელ, არსებით მომენტს და გადადის კონკრეტულის მთლიანობაში წარმოდგენაზე. ეს არის მარტივიდან რთულზე გადასვლის წესი, რომელიც ახასიათებს მეცნიერული ეკონომიის დიალექტიკურ მეთოდოლოგიას. ამრიგად, მარქსისტული თეორიული ეკონომიის მეთოდში კონკრეტული მოცემულია, როგორც ანალიზის გამოსავალი წერტილი. რა არის ეს კონკრეტული, რომელიც მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნების საგნადაა გამხდარი? ესაა წარმოების კაპიტალისტური წესი, უკეთ რომ ვთქვათ, ბურჟუაზიული საზოგადოება. «როგორც ყოველგვარ ისტორიულ, სოციალურ მეცნიერებაში — ამბობს მარქსი, — ეკონომიურ კათეგორიების განვითარების დროს მუდამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ როგორც სინამდვილეში, ისე საკუთარ თავში, აქ მოცემულია სუბიექტი, — ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული საზოგადოება...»[27]. ეს სუბიექტი მეცნიერული კვლევა-ძიების დროს «ჩვენს წარმოდგენაში მუდმივ უნდა არსებობდეს, როგორც წინნამძღვარი»[28]. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, მაშასადამე, წარმოადგენს მარქსისტული ეკონომიის კვლევა-ძიების კონკრეტულ საგანს. ეს კონკრეტული დიალექტიკურ აზროვნებაში წარმოდგენილია გამოსავალ პუნქტად, ის შეადგენს მეცნიერული ანალიზის ობიექტს. აბსტრაქტული მეცნიერული აზროვნების მოძრაობა ამ გასარკვევ, შესასწავლ კონკრეტულიდან იწყება და ეს კონკრეტული მუდამ ტრიალებს მეცნიერულ აზროვნებაში, მეცნიერ მკვლევარის თავში.

აქ მეთოდოლოგიური პრობლემა სწორადაა დასმული, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. კონკრეტული — ეს სუბიექტია, მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება. ახლა მეცნიერული მეთოდოლოგიის სიძნელის ცენტრი იმაში მდგომარეობს, თუ საიდან, რა მხრივ, რა მომენტით იქნეს დაწყებული მოცემული კონკრეტული მთელის ანალიზი. მარქსამდე ეკონომისტები იწყებდნენ მოსახლეობით.

[26] ibid. კურსივი ჩვენია
[27] К критике etc. გვ. 32.
[28] Op. cit. გვ. 27.

ცხადია, ყოველგვარი საზოგადოება მოსახლეობისაგან შედგება, მაგრამ საზოგადოების კვლევა-ძიების მოსახლეობით დაწყება მეცნიერული არ იქნება. მოსახლეობა — ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი — «არის მთელი საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საფუძველი და სუბიექტი»[29]. მაგრამ კვლევა-ძიების სათავე მოსახლეობიდან არ იწყება. მ ა რ ქ ს ი ს აზრით, მოსახლეობა აბსტრაქციაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კლასებს, რომლისაგან მოსახლეობა შედგება. შემდეგ, თვით კლასი უაზრობაა, თუ არ ვიცით დაქირავებული შრომა, კაპიტალი. თვით კაპიტალი უაზრობაა ზედმეტი ღირებულების წარმოების, ექსპლოატაციის, ფულის გარეშე. აქედან ცხადია, ასკვნის მ ა რ ქ ს ი, რომ თუ დავიწყებთ ჩვენი «სუბიექტის» — კონკრეტულის ანალიზს მოსახლეობით, პრობლემას ვერ გადავწყვეტთ და შევქმნით «მთელზე ქაოტურ წარმოდგენას». უნდა დავადგეთ საწინააღმდეგო გზას — დავიწყოთ უმარტივესი კათეგორიით, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიურ სტრუქტურას არსებითად ახასიათებს. სხვანაირად, კვლევა-ძიების პროცესი მარტივით უნდა დაიწყოს და მარტივიდან რთულზე უნდა გადავიდეს. მეცნიერული აზროვნება სხვა გზით არ წარიმართება. მარტივი — ეს მთელის ნაწილია, კერძოული. ნაწილის შემეცნების გზა ამავე დროს მთელის შემეცნებისკენაა მიმართული. «ცალკეული არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელიც გვაძლევს ზოგადს — შენიშნავს ლ ე ნ ი ნ ი. — ზოგადი არსებობს მხოლოდ კერძოობითში, კერძოობითის საშუალებით. ყოველგვარი კერძოული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველგვარი ზოგადი არის (ნაწილი ანუ მხარე, ანუ რაობა) ნაწილის»[30]. მეცნიერული ეკონომიის დიალექტიკური მეთოდი ამიტომ თავის ანალიზის საგნად იხდის კონკრეტულის მარტივ ნიშანდობლივ მომენტს და აქედან აზროვნებას მიაქანებს ამ კონკრეტული ზოგადის ყოველმხრივი წარმოდგენისაკენ. ასეთია შრომა. მ ა რ ქ ს ი ს აზრით «შრომა სრულებით მარტივი კათეგორიაა»[31]. ცხადია, ეკონომიურ ფორმათა ანალიზი შრომის ანალიზით უნდა დაიწყოს. მაგრამ უშუალოდ ეს შეუძლებელია — წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში შრომა ნ ი ვ თ ი ე რ დ ე ბ ა მის პროდუქტში — სასაქონლო ღირებულებაში.

მეცნიერული, მარქსისტული თეორიული ეკონომია ბურჟუაზიული საზოგადოების კვლევა-ძიებას სწორედ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ანალიზით იწყებს. საქონელი მ ა რ ტ ი ვ ი კათეგორიაა. ის, უწინარეს ყოვლისა, საგანია, ნივთი, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ადამიანის

[29] ibid. გვ. 25.
[30] Ленин. К вопросу о диалектике. იხ. Лен. сб., XII, გვ. 325.
[31] К критике etc. გვ. 29.

ამა თუ იმ მოთხოვნილებას. საზოგადოების სიმდიდრე წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში წარმოდგენილია საქონელთა თავმოყრით, თვით საქონელი ამ სიმდიდრის «ელემენტარული ფორმაა». ასეთია «კაპიტალის» პირველივე სტრიქონების აზრი. მ ა რ ქ ს ი აქედან ასკვნის: «ამიტომ ჩვენი გამოკვლევა იწყება საქონლის ანალიზით». საქონელი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე უფრო ელემენტარული ეკონომიური უჯრედია. მისი ანალიზი ვერ შესძლო ეკონომიურმა აზროვნებამ მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში. ეს «იმიტომ, რომ განვითარებული სხეულის შესწავლა უფრო ადვილია ამ სხეულის უჯრედის შესწავლაზე» - ამბობს მ ა რ ქ ს ი «კაპიტალის» წინასიტყვაში. მაგრამ სიძნელე დაძლეულ უნდა იქნას, რადგან სხეული უჯრედებისაგან შედგება და უჯრედის შესწავლის გარეშე თვით სხეული ვერ შეისწავლება. მ ა რ ქ ს ი აშკარად აცხადებს: მე გამოვდივარ უმარტივესი საზოგადოებრივი ფორმიდან, რომელშიაც წარმოდგენილია შრომის პროდუქტი თანამედროვე საზოგადოებაში, და სწორედ ეს არის საქონელი»[32]. საქონლის, ამ უმარტივესი ეკონომიური კათეგორიის, შესწავლამ უნდა მოგვცეს მთელი განვითარებული სხეულის — კაპიტალისტური მეურნეობის იმანენტური კანონების აღმოჩენისა და გამოკვლევის საშუალება. აქ მეცნიერული აზროვნების მიზანი გამართლებულია ამ აზროვნების კვლევა-ძიების მეთოდით.

საქონელი კაპიტალისტური სიმდიდრის მარტივი ეკონომიური ფორმაა. საქონელი მარტივი ეკონომიური კათეგორიაა, მაგრამ ეს სიმარტივე კი არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს საქონელს გახდეს კაპიტალისტური წარმოების ანტაგონისტური ხასიათის გამომხატველი ემბრიონალურ, ჩანასახის ფორმაში. საქონლის ანალიზი გვიჩვენებს იმ შინაგან წინააღმდეგობას, რომელსაც წარმოების კაპიტალისტური წესი შეიცავს. მ ა რ ქ ს მ ა დაიწყო ბურჟუაზიული საზოგადოების გამოკვლევა საქონლის ანალიზით, და სავსებით კანონზომიერად: საქონელი, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდიდრის მარტივი ფორმა, ამ სიმდიდრის ეკონომიური უჯრედი, ჩანასახად შეიცავს წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგან ანტაგონისტურ წინააღმდეგობას. ამიტომ საქონლის ანალიზმა უნდა მოგვცეს მთლიანი სხეულის - ბურჟუაზიული საზოგადოების ობიექტური შემეცნების შესაძლებლობა. აი, აქ აშკარავდება მ ა რ ქ ს ი ს მეცნიერული «აბსტრაქციის ძალა»: კვლევა-ძიების გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი წერტილია კაპიტალისტური მეურნეობა, ბურჟუაზიული საზოგადოება. ესაა ის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი, რომელიც მუდამ ტრიალებს აზროვნების ცენტრში.

[32] Архив Маркса и Энгельса. ტ. V. რეცენზია ვ ა გ ნ ე რ ი ს წიგნზე.

მაგრამ ამ კონკრეტულის კვლევა-ძიება შეუძლებელია, თუ არაა გარკვეული მისი ნიშანდობლივი ნაწილი, საერთო მთელის შინაბუნების გამომხატველი. ესაა ღირებულების კათეგორია. კვლევითი აზროვნების პროცესი, მაშასადამე, კონკრეტულიდან იწყება და აქედან მეცნიერულ აბსტრაქციის სფეროში იჭრება — ამ სფეროში უნდა გამოირკვეს კონკრეტულის რაობა, მისი მოძრაობა-განვითარების იმანენტური კანონები. კონკრეტული აღებულია არა იმ სახით, როგორითაც ის არსებობს სინამდვილეში. კონკრეტული მოცემულია მის წმინდა ფორმაში. ესაა აბსტრაქტული კაპიტალიზმი. «თეორიაში იგულისხმება — ამბობს მარქსი, — რომ წარმოების კაპიტალისტური წესის კანონები ვითარდება წმინდა სახით. სინამდვილეში კი ყოველთვის გვაქვს მხოლოდ ერთგვარი დაახლოვება»[33]. რამდენად კაპიტალისტური წარმოება უაღრესად განვითარებულია, იმდენად უახლოვდება ერთმანეთს მეცნიერული აბსტრაქცია და ამ აბსტრაქციის საგანი — კონკრეტული სინამდვილე. ანალიზის ობიექტად მოცემულია წმინდა კაპიტალისტური მეურნეობა. აქ იგულისხმება წარმოების მხოლოდ ერთადერთი წესი — კაპიტალისტური, და ორი მოწინააღმდეგე კათეგორია — შრომა და კაპიტალი. საშუალო მომენტები, წარმოების დრომოჭმული ფორმები, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაშთები აბსტრაქციისაშუალებით განდევნილია კვლევა-ძიების სფეროდან. სინამდვილეში ეს განდევნა როდია ნამდვილად განხორციელებული. აქ წარმოების კაპიტალისტური წესი გაბატონებულია, მაგრამ არა აბსოლუტურად, შედარებით. მას კიდევ სავსებით არ მოუსპია წინაკაპიტალისტური მეურნეობის ფორმები (გლეხური მეურნეობა, ხელოსნობა etc.). ისტორიულ-საზოგადოებრივი ფორმაციები, საერთოდ, როდია ჩინური კედლებით შემოზღუდული. აქ განხორციელებულია დიალექტიკური გადასვლები. მარქსის აზრით, «საზოგადოების თითოეული ფორმა შეიცავს განსაზღვრულ წარმოებას, რომელიც სჭარბობს დანარჩენებს და ამიტომ მისი მიმართებანი განსაზღვრავენ ყველა დანარჩენის ადგილსა და გავლენას. ეს — საერთო განათებაა, რომელშიაც იძირება ყველა დანარჩენი ფერი და რომელიც ახდენს მათ მოდიფიკაციას მათ თავისებურებაში. ეს — თავისებური ეთერია, რომელიც განსაზღვრავს ხვედრითი წონას ყოველივე არსების, რომელიც მასში იმყოფება»[34]. როგორც ვხედავთ, აქ მარქსი მდიდარ მხატვრულ სახეებში იძლევა ობიექტურ სინამდვილეს — წარმოების კაპიტალისტური წესის გაბატონებულ ფორმას, რომელშიაც იჩრდილება «ყველა დანარჩენი

[33] К критике etc. შესავალი.
[34] Op. cit გვ. 32.

ფერი» — წარმოების ყველა დრომოჭმული წესი, რომლის «მოდიფიკაციას» ახდენს კაპიტალიზმი — ხსნის, სპობს მას განვითარების პროცესში. მეცნიერული აზროვნება ამიტომ სრულუფლებიანია მოახდინოს დრომოჭმული ფორმათა აბსტრაქცია და გამოიკვლიოს წარმოების გაბატონებული წესი an sich. კვლევა-ძიების ასეთი წესი არის მხოლოდ საშუალება, გზა, და არავითარ შემთხვევაში მიზანი. მიზანია რეალური, არსებული სინამდვილის შემეცნება. ამისათვის საჭიროა მეცნიერული აბსტრაქტული აზროვნება, აბსტრაქციის ძალა.

საქონელი მარქსმა გამოჰყო აბსტრაქტულად დანარჩენ მსოფლიოდან და განიხილა დამოუკიდებლად, გაიხადა ანალიზის სპეციალურ საგნად. საქონლის ანალიზმა აღმოაჩინა საქონელში მოცემული შინაგანი წინააღმდეგობანი. გამოირკვა, რომ საქონელი წარმოადგენს წინააღმდეგობათა მთლიანობას: ერთის მხრივ, საქონელი სახმარი ღირებულებაა, მეორე მხრივ — საცვლელი ღირებულება. აქ ცხადი ხდება საქონლის ორმაგი ბუნება. საქონლის ორმაგი ხასიათი ემყარება თვით შრომის ორმაგობას. აბსტრაქტული შრომა ღირებულების სუბსტანციაა, კონკრეტული შრომა — სახმარი ღირებულების. სასაქონლო ღირებულება წარმოადგენს, მაშასადამე, აბსტრაქტული და კონკრეტული შრომის მთლიანობას. როგორც ვხედავთ, საქონელი შინაგანი წინააღმდეგობის მატარებელია, ის წარმოადგენს წინააღმდეგობათა მთლიანობას. ანალიზის შემდგომ საფეხურზე მარქსი ააშკარავებს, იკვლევს ღირებულების ფორმებს, მათ დაპირისპირებას და მეცნიერული ძიების ამ ნაწილს ამთავრებს ღირებულების საყოველთაო ფორმით ფულით. საქონლის შინაგანი წინააღმდეგობანი თანდათან ვითარდებიან საქონლის მეურნეობის განვითარებით. ფული, როგორც საყოველთაო ღირებულება, საქონელი, გამოიყოფა საქონელთა მსოფლიოდან და უპირისპირდება მას. ვითარდება საქონლისა და ფულის წინააღმდეგობა, რომელიც აშკარავდება საქონლის მეტამორფოზში და მწვავედ საგრძნობი ხდება კრიზისების დროს. მაშასადამე, საქონელი, ეს მარტივი ეკონომიური კათეგორია, „წინააღმდეგობათა რთულ კომპლექსს შეიცავს. ესაა თვით წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგანი წინააღმდეგობანი.[33] ახლა ჩვენთვის სავსებით ნათელი ხდება, თუ რათ იწყებს მეცნიერული თეორიული ეკონომია ბურჟუაზიული საზოგადოების კვლევა-ძიებას საქონლის ანალიზით და რატომ მიმართავს მეცნიერული აბსტრაქციის ძალას.

[33] Капитал, ტ. I, თავი პირველი: «საქონელი».

ვასკვნით. «მარქსი «კაპიტალში» ჯერ ანალიზის საგნად ხდის სრულებით მარტივ, ჩვეულებრივ. ძირითად, სრულებით მასობრივ, სრულებით ჩვეულებრივ, მილიარდჯერ შემხვედრ ურთიერთობას ბურჟუაზიულ სასაქონლო საზოგადოებისა: საქონელთა გაცვლას. ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ უჯრედში) ანალიზი აღმოაჩენს თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას (resp. ყველა წინააღმდეგობათა ჩანასახს)» [36]. ლენინის ეს სიტყვები გენიოსურად ასახავს და ამოსწურავს საქონლის მთელ შინაგან წინააღმდეგოვან ბუნებას და ბურჟუაზიული საზოგადოების ანტაგონისტურ ხასიათს. საქონელში წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტური ბუნება მოცემულია ჩანასახის ფორმაში, მაგრამ მოცემულია ობიექტურად და ამიტომ საქონლის ანალიზი ააშკარავებს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობათა დაუძლეველ შინაგან ანტაგონიზმს. ეს ანტაგონიზმი იშლება საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შორის და იხსნება კონფლიქტით — ძალდატანებითი პროლეტარული რევოლუციით. აი, ასეთია ის ლოგიკური და ისტორიული დასკვნა, რომელსაც აუცილებლად იძლევა თეორიული ეკონომიის დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდი, რომლის კრიტიკული და რევოლუციური ხასიათი დასაბუთებულია და ცხადყოფილი მთელი ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით. «დიალექტიკის კანონები — წერს ენგელსი — გამოყვანილ იქნა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიიდან. მაგრამ ეს კანონები რაც შეიძლება საერთო კანონებია ისტორიული განვითარების ორივე ფაზის, აგრეთვე — თვით აზროვნების» [37]. საზოგადოებრივი განვითარების შინაგანი კანონები დიალექტიკურია, თვით საზოგადოებათმეცნიერებაც შეუძლებელი ხდება დიალექტიკური მეთოდის გარეშე. მეცნიერული, მარქსისტული თეორიული ეკონომიის მეთოდი მატერიალისტურ-დიალექტიკურია. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ეკონომიურ ფორმათა მეცნიერულ ანალიზს.

ასეთია, გაკვრით, მეცნიერული თეორიული ეკონომიის საგანი და მეთოდი. მარქსიზმის ეკონომიური თეორიის საგნობრივ-მეთოდოლოგიური მხარე მოვხაზეთ წინასწარი მოფიქრებით: ახლა ჩვენს ხელთაა ის პროექტორი, რომელიც შუქსა ჰფენს კლასიკური ეკონომიის მე-

[36] Лен. сборник, XII, გვ. 324. შენიშვნები: К вопросу о диалектике. აგრეთვე: Лен. сб. IX, გვ. 197. აქ ლენინი შენიშნავს: «როგორც ღირებულების მარტივი ფორმა, ერთი მოცემული საქონლის მეორეზე გაცვლის კერძო აქტი უკვე შეიცავს განუვითარებელ ფორმაში კაპიტალიზმის ყველა მთავარ წინააღმდეგობას». შეად. ფრ. ენგელსი. Анти-Дюринг, 1923. გვ. 283.

[37] Архив Маркса и Энгельса, ტ. II, გვ. 221.

თოდოლოგიურ საფუძვლებს და ნათელყოფს მარქსისტული ეკონომიის მეცნიერულ წინამორბედთა კონცეპციებს მათ შინაგან წინააღმდეგობაში.

ეს წინააღმდეგობა არ არის მხოლოდ ლ ო გ ი კ უ რ ი ხასიათის, როგორც ამას ამტკიცებენ იდეალისტური ფილოსოფიისა და ბურჟუაზიული ეკონომიის წარმომადგენლები. მისი ფესვები ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ბუნებისაა უმთავრესად. ლოგიკურ-ისტორიული მომენტების დიალექტიკურ მთლიანობაში უნდა იქნან განხილული კლასიკური ეკონომიის შინაგანი წინააღმდეგობანი, დ ა უ ძ ლ ე ე ე ლ ნ ი ამ ეკონომიის მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

მანუფაქტურული პერიოდი და მისი ადრინდელი პოლიტიკური ეკონომია

I

მ ა რ ქ ს ი ს დახასიათებით, ა დ ა მ ს მ ი ტ ი — კლასიკური სკოლის ეს მამამთავარი — არის «მანუფაქტურული პერიოდის განმზოგადოებელი ეკონომისტი [1]. თვით პოლიტიკური ეკონომიაც «ნამდვილ მეცნიერებად გვევლინება მხოლოდ მანუფაქტურულ პერიოდში» [2]. კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურული სტადია არის პირვანდელი, დაწყებითი, «მსხვილი მრეწველობის მოსამზადებელი პერიოდი» [3]. მაშასადამე, ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს და თითქმის მთელი კლასიკური ეკონომიის საზოგადოებრივ-ისტორიული პერიოდი კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურულ ფორმებს შეიცავს. კლასიკური ეკონომიური თეორიის გაცნობა, მისი მეცნიერული ღირებულების ობიექტური შეფასება ამიტომ თვით ისტორიულად განსაზღვრული ეპოქის — მანუფაქტურისა და მანქანურ წარმოების განთიადის შესწავლით უნდა დაიწყოს. ამას მოითხოვს ჩვენგან ისტორიულ-მატერიალისტური თვალსაზრისი, ამაზე ინსტიქტურად მიგვითითებენ თვით კლასიკოს-ეკონომისტებიც [4]. ყოველი დიდი მოაზროვნე — ამბობს ჰ ე გ ე ლ ი — თავისი ეპოქის პროდუქტია უმთავრესად. ეს იმდენად უდაო ჭეშმარიტებაა, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს კლასიკური გერმანული ფილოსოფიის იდეალისტი-მესვეურის მატერიალისტური მსჯელობა.

წარმოების კაპიტალისტური წესის წარმოშობა დაკავშირებულია ისტორიულად დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შრომის წარმოშობასთან. დაქი-

[1] Капитал, ტ. I, 1928 წ., გვ. 262, შენიშვნა 44.

[2] ibid. გვ. 276.

К. Маркс. Теории etc. ტ. I, გვ. 55.

[4] მაგ. ა დ ა მ ს მ ი ტ ი «ხალხთა სიმდიდრის» მესამე გამოცემის წინასიტყვაში გაკვრით ლაპარაკობს: «უნდა ვიქონიოთ მხედველობაში მდგომარეობა, რომელიც არსებობდა იმ ხანებში, ანდა რამდენადმე ადრინდელ პერიოდში, როდესაც ვწერდი ამ წიგნს».

რავებული შრომა წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების საფუძველს. კაპიტალის არსებობა შეუძლებელია ზედმეტი ღირებულების წარმოების გარეშე. ზედმეტი ღირებულება აი, რა შეადგენს კაპიტალისტური მეურნეობის მამოძრავებელ მოტივს, მის შინაგან იმპულსს. მაგრამ ზედმეტი ღირებულების წარმოება აბსოლუტურად შეუძლებელია, თუ არ არსებობს დაქირავებული შრომა. კაპიტალიზმი საქონლის მეურნეობაა, რომლის differentia specifica-ს ორიგინალური საქონლის არსებობა წარმოადგენს. ასეთი ორიგინალური საქონელია თავისუფალი სამუშაო ძალა. ეს ძალა თავის საწარმოო მოქმედებით ქმნის ღირებულებას, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, კაპიტალისტური წარმოების ამ გამოსავალ პუნქტს და საბოლოო მიზანს.

მანუფაქტურული წარმოება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წარმოებაა. მისი საფუძველია დაქირავებული შრომა და სამუშაო ძალის კაპიტალისტური ექსპლოატაცია. ამიტომ მანუფაქტურა შეადგენს წარმოების კაპიტალისტური პროცესის დამახასიათებელ ფორმას მანუფაქტურა ისტორიულად წარმოიშვა საზოგადოებრივი განვითარების იმ პერიოდში. როდესაც მოხდა მთლიანის გაორება მოწინააღმდეგე ელემენტებად მწარმოებელი მოკლებული შეიქნა საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას, წარმოების საშუალებანი და თვით უშუალო მწარმოებელი ამის ნიადაგზე ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ უ რ ა დ დაუპირისპირდენ ერთმანეთს. ერთ მხარეზე აღმოჩნდა სამუშაო ძალა, დაქირავებული შრომა, მეორეზე დამქირავებელი თავისი საკუთარი საწარმოო იარაღებით. უშუალო მწარმოებელი საკუთარი საწარმოო საშუალებებით უკვე აღარ არსებობს, ეს მთლიანობა დაირღვა, დაიშალა მოწინააღმდეგე პოლუსებად[*]. მთლიანობა კვლავ აღმოცენდა უფრო განვითარებულ, მაღალ საფუძველზე ესაა დაქირავებული შრომისა და კაპიტალის ანტაგონისტური მთლიანობა. აქედან გამომდინარეობს თვით წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტური ხასიათი. მანუფაქტურა, როგორც კაპიტალიზმის დაწყებითი საფეხური, მ ი ს ი მ ა რ ტ ი ვ ი ფორმა, მაშასადამე, ემყარება წარმოების ანტაგონისტურ წესს და შეიცავს კაპიტალისტური მეურნეობის ყველა შინაგან წინააღმდეგობას.

კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული პერიოდი XVI საუკუნის მეორე ნახევრით იწყება და გრძელდება XVIII საუკუნის

Капитал, ტ. I, გვ. 252, აგრეთვე გვ. 278.

* «მანუფაქტურის პირველი წინნამძღვარია: წარმოების საშუალებათა ჯანცალკევება, მათი დაპირისპირება მუშისადმი კაპიტალის სახით» (Капитал, ტ. I, გვ. 271).

მიწურულამდე. ეს საკმაოდ გრძელი ისტორიული მანძილია. ამქრული წარმოება, საიდანაც მანუფაქტურა განვითარდა, თანდათან ირღვევა, ბატონდება შრომის განაწილება, ფეხს იკიდებს წარმოების კოოპერატიული ფორმები. კოოპერაცია მრავალ პირთა შეერთებული მოქმედებაა. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა «შრომის ის ფორმა, რომელშიაც მრავალი პირი გეგმაშეწონილად და შეერთებულად ღებულობს მონაწილეობას ერთდაიმავე შრომის პროცესში, ანდა სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ შრომის პროცესებში» [7]. შრომის კოოპერაცია თავის განვითარებულ სახეს ღებულობს სწორედ მანუფაქტურაში. ამიტომ მანუფაქტურა კოოპერაციის განვითარებულ ფორმად გვევლინება.

მანუფაქტურული კაპიტალიზმის—ვიხმაროთ ეს თერმინი—განვითარების ისტორია მანუფაქტურის ორგვარ ფორმას იძლევა. მანუფაქტურის პირველი, უფრო მარტივი სახეა ჰეტეროგენული მანუფაქტურა, ხოლო მეორე, უფრო მაღალი და განვითარებული ფორმაა ორგანული მანუფაქტურა [8]. მანუფაქტურის ორივე სახე ემყარება შრომის განაწილებასა და კოოპერაციას. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში შრომის განაწილება და კოოპერაცია განუვითარებელ ფორმაშია მოცემული, მეორე შემთხვევაში — უფრო განვითარებულში. ეს ფორმალურად უმნიშვნელო განსხვავება მნიშვნელოვანია არსებითად. ჰეტეროგენული მანუფაქტურა გულისხმობს შრომის მარტივ კოოპერაციას, აქ მწარმოებელი შინ მუშაობს დამოუკიდებლად და ადგილი არ აქვს შრომის განაწილების შედარებით მაღალ ფორმებს. თვით მწარმოებელთა თავმოყრა ერთ ჭერ ქვეშ ატარებს შემთხვევით ხასიათს. მაშასადამე, წარმოება არ წარმოადგენს ორგანულ მთლიანობას, ის დაქუცმაცებულია დამოუკიდებელ პროცესებად. მანუფაქტურის ჰეტეროგენული ფორმა ამიტომ «თითქმის შეუძლებელს ხდის შრომის იარაღების საერთო გამოყენებას» [9]. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტური წარმოების ჩქარი განვითარებისათვის — საწარმოო საშუალებათა საერთო მოხმარება-გამოყენება წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის გამოსავალ პუნქტს და მისი შემდგომი ევოლუციის აუცილებელ პირობას. ორგანული მანუფაქტურა, პირიქით, ემყარება სწორედ საწარმოო საშუალებათა საერთო მოხმარებას შრომის პროცესში. შრომის საგანი მრავალ, ერთმანეთთან დაკავშირებულ ოპე-

[7] Капитал, ტ. I, გვ. 243.

[8] ჩვენი მსჯელობა მანუფაქტურაზე კონსპექტურია. მარქსი ამ პრობლემას არკვევ : Капитал, ტ. I, თავი XII. რასაკვირველია, ვსარგებლობთ «კ.პიტალით».

[9] Капитал, ტ I, გვ. 258.

რაციას ემორჩილება. თითოეული ოპერაცია ორგანულადაა ერთმანეთთან შეერთებული. აქ შრომის პროდუქტი ერთდაიმავე დროს წარმოების რამდენიმე საფეხურს გაივლის. ასეთია, მაგ. ქინძისთავის მანუფაქტურა. აქ ერთი მუშის საწარმოო მოქმედება გამოსავალია მეორისათვის. შრომის განაწილება უაღრესად ვითარდება. ქინძისთავის წარმოებაში შრომა განაწილებულია 92 სხვადასხვა, ერთმანეთზე გადაჯაჭვულ, ორგანულად შეკავშირებულ დამოუკიდებელ ოპერაციად. შრომის ნაყოფიერება ვითარდება ფართო მასშტაბით. ორგანული მანუფაქტურა, ამრიგად, ანხორციელებს დროისა და სივრცის მთლიანობას, შრომის პროცესების ერთდროულობას, შრომის იარაღების განსაზოგადოებას, მათ საერთო მოხმარებას. სრულებით ბუნებრივია, ორგანული მანუფაქტურა ისტორიულად თამაშობს გადამწყვეტ როლს «მანუფაქტურის მსხვილ მრეწველობად გადაქცევაში» [10]. მანუფაქტურული პერიოდის გაბატონებული ეკონომიური ფორმა არის სწორედ ორგანული მანუფაქტურა.

მანუფაქტურის ორივე სახის — ჰეტეროგენულისა და ორგანულის - წარმოების ტექნიკური ბაზისი ერთნაირია. მანუფაქტუოის ნიშანდობლივი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ შრომის პროცესი მოკლებულია ოდნავ განვითარებულ ტექნიკურ საფუძველს — აქ არ აქვს ადგილი მანქანას. წარმოება დამყარებულია ცოცხალ შრომაზე, შრომის იარაღია მუშის მკლავები [11]. მარქსი წერს: «ხელოსნის ხელოვნება რჩება მანუფაქტურის საფუძვლად და მანუფაქტურაში მომქმედი შეერთებული მექანიზმი [კოლექტიური მუშა] მოკლებულია ობიექტურ ხერხემალს [მანქანას]. დამოუკიდებელს მუშისგან» [12]. «მანუფაქტურის ვიწრო ტექნიკურ ბაზისს» შეადგენს ხელოსნის ხელოვნება, აქ მოცემულია «საწარმოო მექანიზმი, რომლის ორგანოებია ცოცხალი ადამიანები» [13]. სხვანაირად: «მანუფაქტურული პერიოდის სპეციფიკურ მექანიზმად რჩება თვით კოლექტიური მუშა, რომელიც შედგენილია კერძოულ მუშებისგან» [14]. მაშასადამე, მანუფაქტურული წარმოება დამოკიდებულია თვით უშუალო მწარმოებლებზე: მათ ოსტატობაზე, ხელოვნებაზე, კოოპერაციაზე, შრომის ინტენსივობაზე. აქ არ არსებობს წარმოების ობიექტური ხერხემალი — მანქანა. სამუშაო ინსტრუმენტი ადამიანის ხელშია და ამ ადამიანის მოქ-

[10] ibid. გვ. 257.

[11] მანუფაქტურა ლათინური სიტყვაა — Manufacere, რაც ნიშნავს ხელით საქმობას.

[12] Капитал, ტ. I, გვ. 279.

[13] ibid. გვ. 254.

[14] ibid. გვ. 263.

ნილობა-ხელოვნებაზე, მის ოსტატობაზეა არსებითად დამოკიდებული მთელი წარმოება, პროდუქტული შრომა. მართალია, მანუფაქტურის დროს აქა-იქ შემოდის ხარჯებში ნარტივი სახის მანქანა, როდესაც ამას მოითხოვს აუცილებელი საჭიროება. მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევაა და არა წესი, მანუფაქტურის შინაგანი კანონზომიერება. «მანქანა მეტად ელემენტარულ ფორმაში—ამბობს მარქსი—გვიანდერძა ჯერ კიდევ რომის იმპერიამ წყლის წისქვილის სახით»[15]. მეორე მხრივ, შრომის ორგანული განაწილება და ცალკეული მუშის შრომის გარკვეულ იარაღთან მიჯაჭვა ქმნის თვით შრომის იარაღების გაუმჯობესების პირობას. ნანქანური წარმოება მანუფაქტურის წიაღში ისახება და მანუფაქტურის საშოდან გამოდის

განვიხილოთ მანუფაქტურის კაპიტალისტური ხასიათი.

ისტორიულად ნანუფაქტურული წარმოება პროგრესიული მოვლენაა. მანუფაქტურამ განავითარა შრომის კოოპერაცია, მუშებს თავი მოუყარა ერთ ჭერქვეშ და ამით შრომის ნაყოფიერება გაზარდა. ამავე დროს მანუფაქტურამ დაანგრია დრომოჭმული ,ამქრული წარმოების ძველი ფორმები, მოსპო ხელოსანთა დამოუკიდებელი არსებობა. ერთი სიტყვით, მანუფაქტურამ გზა გაუკაფა მსხვილ მანქანურ მრეწველობას. ყველა ეს მომენტი შეადგენს მანუფაქტურის დადებით მხარეს, მის ისტორიულ პროგრესიულობას. მაგრამ დადებითი შეუძლებელია უარყოფითის გარეშე, პირველი ჰგულისხმობს მეორეს. მანუფაქტურა შეიცავს უარყოფით მომენტს, ისტორიულად ამდენადვე აუცილებელს. ესაა დაქირავებული შრომის სასტიკი ექსპლოატაცია. ამაში მდგომარეობს მანუფაქტურის ორმაგი ხასიათი. შრომის განაწილება, როგორც მანუფაქტურის გამოსავალი პუნქტი, აუცილებლად ქმნის კაპიტალის შრომაზე ბატონობის ახალ პირობებს. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, ის გვევლინება ისტორიულ პროგრესად და საზოგადოების ეკონომიური განვითარების აუცილებელ მომენტად, მეორე მხრივ, ესაა ცივილიზაციური და მოქნილი ექსპლოატაციის იარაღი»[16]. რაში მდგომარეობს მანუფაქტურული შრომის განაწილების უარყოფითი სოციალური მომენტები? ამ კითხვაზე პასუხი მდგომარეობს შემდეგში: მანუფაქტურა შრომის განაწილების თავისი სისტემით «აქუცმაცებს ადამიანს»[17], ის «აჯაჭვებს მუშას ერთდაიმავე დეტალთან»[18], შლის მუშის ინტელექტუალურ მთლიანობას. მუშა ერთდაიმავე ოპერაციას იმეორებს მილიონჯერ,

[15] ibid. გვ. 262.
[16] Капитал, ტ. I, გვ. 276.
[17] ibid. გვ. 267.
[18] ibid. გვ. 259.

მისი გულისყური მიჯაჭვულია უშინაარსო, ყოველგვარ ინტერესს მოკლებულ წვრილმანთან. ხელოსანი, პირიქით, არაა «დაქუცმაცებული», დაშლილი ადამიანი. მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი ვითარდებიან ყოველმხრივ. მისი შრომა სახალისოა, რამდენად შრომის პროდუქტი წარმოადგენს მისი ინტერესის საგანს. ამას ადგილი არ აქვს მანუფაქტურულ წარმოებაში. აქ, ორგანულ მანუფაქტურაში, შრომის განაწილებამ მიაღწია მაღალ საფეხურს და მთლიანი მწარმოებელი დაიშალა შემადგენელ ნაწილებად. დამოუკიდებელი ხელოსნის შემოქმედებითი უნარი, ინიციატივა, გონებრივი განვითარება ახლა მას არ ახასიათებს, ყოველივე ეს სახელოსნოს, საწარმოს საერთო საკუთრება ხდება. კაპიტალისტური სახელოსნო მდიდრდება გამოცდილებით, აქ ხდება გამოგონება, იარაღების გაუმჯობესება, შრომის შემდგომი განაწილება და შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს—ერთ პოლუსზე. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ცალკე მუშის ხარჯზე. «კოლექტიური მუშა» მდიდრდება გამოცდილებით, ფართოვდება მისი გონებრივი ჰორიზონტი, მაგრამ ღატაკდება, ვიწროვდება, სახიჩრდება ინტელექტუალურად კერძოული მუშა, რომელიც კოლექტიური მუშის ორგანულ ნაწილს შეადგენს. ეს — მეორე პოლუსზე.

«მაშინ, როდესაც უბრალო კოოპერაცია — წერს მარქსი — ტოვებს კერძო პირთა წარმოების საშუალებას, საზოგადოდ რომ ვთქვათ, უცვლელად, მანუფაქტურა ძირეულად არევოლუციონერებს მას და მთლიანად იმორჩილებს ინდივიდუალურ სამუშაო ძალას. მანუფაქტურა აქცევს მუშას მახინჯად, რაკი ხელოვნურად ანვითარებს მასში მხოლოდ ერთ სპეციალურ ნიჭს და სპობს საწარმოო ჩანასახებისა და ნიჭიერების მთელ დანარჩენ მსოფლიოს. ის ახდენს მუშის უტილიზაციას ისევე, როგორც ხდება პირუტყვთა უტილიზაცია ლაპლატის სახელმწიფოებში, სადაც საქონელს კლავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ააცალონ მას ტყავი ან ქონი» [19].

ასეთია ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელსაც შეიცავს მანუფაქტურა. აქ მოვლენათა მოძრაობა ხდება ანტაგონისტური დაპირისპირებით. «მანუფაქტურაში კოლექტიური მუშის, მაშასადამე, კაპიტალის, გამდიდრება—ასკვნის მარქსი — საზოგადოებრივი საწარმოო ძალებით პირობადებულია მუშის გაღარიბება ინდივიდუალური საწარმოო ძალებით»... «წარმოების სულიერი პოტენცია ერთ ნხარეზე აფართოვებს თავის მასშტაბს სწორედ იმიტომ, რომ მრავალ სხვა მხარეზე ის ქრება სავსებით» [20]. შრომის მანუფაქტურული განაწილების

[19] Капитал, ტ. I, გვ. 272.

[20] ibid. გვ.273. აქვე: «ის, რასაც კარგავენ კერძოული მუშები, თავს ეყრის კაპიტალში მ თ საწინააღმდეგოთ».

განვითარება აძლიერებს, აღრმავებს ამ პროცესს. მის აუცილებელ შედეგად გვევლინება «წარმოების მატერიალური პროცესის სულიერი პოტენციის» გაძლიერება. ახლა ეს პოტენცია, რომელიც კოლექტიურ მუშას, კაპიტალს ახასიათებს, მის საკუთრებას შეადგენს, უპირისპირდება კერძოულ მუშებს, როგორც «სხვისი საკუთრება და მათი დამმონავებელი ძალა». აი, ეს სულიერი პოტენციის განცალკევების, გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთიდან გათიშვის და მათი დაპირისპირების ისტორიული პროცესი იწყება ჯერ კიდევ უბრალო კოოპერაციიდან და ვითარდება ორგანულ მანუფაქტურაში. ეს პროცესი «სრულდება მსხვილ მრეწველობაში, რომელიც [მსხვილი მრეწველობა] მუშისგან ანცალკევებს მეცნიერებას, როგორც წარმოების დამოუკიდებელ პოტენციას და იძულებულს ხდის მეცნიერებას ემსახუროს კაპიტალს»[21]. უბრალო მწარმოებელი, რომელიც კარგავს საკუთარ საწარმოო საშუალებებს და მანუფაქტურის ქ,აბში ვარდება, კარგავს ამავე დროს მის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა განვითარების საშუალებას. ახლა ინტელექტუალური წარმოება უპირისპირდება მატერიალურ წარმოებას, მათ შორის იქმნება ბატონობა-მონობის დამოკიდებულება. გონებრივი შრომა გამოიყოფა და ფორმდება თვითარსად, ვითარდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ანტაგონისტური მიმართება. გონებრივი შემოქმედების სფერო კაპიტალის საკუთრებად იქცევა. ისტორიული განვითარების შესაფერ საფეხურზე უკვე გამოიყოფა საზოგადოების განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც თავის სპეციალობად იხდის გონებრივ-მეცნიერულ მუშაობას და ემსახურება გაბატონებული კლასის ინტერესებს. მანუფაქტურაში, რასაკვირველია, ეს პროცესი განუვითარებელია, ვიწრო ბაზისზეა დამყარებული. აქ ჯერ კიდევ არ არის წარმოების მატერიალური ხერხემალი — მანქანები — მოცემული, ხელოსნის ოსტატობა და ვირტუოზობა ძალაშია დარჩენილი. ასეთ პირობებში ფიზიკური და გონებრივი შრომის გათიშვა და ერთმანეთთან დაპირისპირება ჯერ კიდევ ვერ პოულობს დასრულებულ ფორმას. მაგრამ ეს პროცესი მოცემული ფაქტია. ადამიანი ქუცმაცდება, გონებრივი შრომა უპირისპირდება ფიზიკურ შრომას, პირველი უკვე კაპიტალის საკუთრებას წარმოადგენს. ასეთია «შრომის მანუფაქტურული განაწილების დესპოტიის» ისტორიულად აუცილებელი ნაყოფი.

კაპიტალისტური წარმოების მარტივი, მანუფაქტურული ფორმა შეიცავს აგრეთვე წარმოების კაპიტალისტური წესის ნიშანდობლივ მომენტს, რომელიც გულისხმობს წარმოების პროცესის განსაკუთრე-

[21] ibid.

ბულ ორგანიზაციას. ერთ ჭერ-ქვეშ თავმოყრილი მუშები ძალაუნებურად ემორჩილებიან წარმოების კაპიტალისტურ რეჟიმს, კაპიტალისტურ დესპოტიზმს. შრომის მანუფაქტურული განაწილება ქმნის იერარქიას, ბატონობა-დამორჩილების მთელ სისტემას. ამ სისტემის სათავეში დგას კაპიტალისტი, მისი ბრძანებლობის ქვეშ მ.მდინარეობს შრომითი პროცესი. წარმოების საშუალებანი კაპიტალისტს ეკუთვნიან, ინტელექტუალური პოტენციაც მისი «ბუნებრივი» საკუთრება შეიქნა. ამიტომ მუშისათვის უდაო ხდება «კაპიტალისტის უსათუო ავტორიტეტი». კოოპერაცია და შრომის მანუფაქტურული განაწილება იწვევს თვისებრივ ცვლილებებს, ხოლო თვისება რაოდენობაში გადადის. მუშების თავმოყრამ შრომის პროცესში და თვით შრომის განაწილებამ გამოიწვია დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ენერგია, ასე ვთქვათ — დიალექტიკური ნამატი. ხუთი შეერთებული მუშის პროდუქტი გაცილებით მეტია იმავე ხუთი, მაგრამ დამოუკიდებლად, არა შეერთებულად მომუშავე მუშის საერთო პროდუქტზე. პირველ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერება აუცილებლად მეტია. და აი, ეს «მეტი» გვევლინება თვით კაპიტალის «თვისებად», მის «ბუნებად», რომელსაც გარეგნულად არაფერი აკავშირებს დაქირავებულ შრომასთან. «მანუფაქტურაში, როგორც უბრალო კოოპერაციაში,— წერს მ ა რ ქ ს ი — მომქმედი მუშათა სხეული არის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ფ ო რ მ ა. საზოგადოებრივ-საწარმოო მექანიზმი, რომელიც შედგება მრავალ ინდივიდუალურ კერძოულ მუშისაგან, ეკუთვნის კაპიტალს. ამის გამო საწარმოო ძალა, სხვადასხვა სამუშაოთა შეერთებისაგან წარმომდგარი, გვევლინება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ა დ»[22]. ასეთ პირობებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების მასშტაბს გაფართოება თვით კაპიტალის თილისმად გვეჩვენება და კაპიტალის ავტორიტეტი მანუფაქტურული მუშის თვალში მართლაც უეჭვო ხდება. შრომის პროცესის იერარქიული და დესპოტური ორგანიზაცია საბოლოოდ აქცევს დაქირავებულ მუშას კაპიტალის ბრძანებლობის ქვეშ. დაქირავებული შრომა, მუშის მომქმედი სხეული კაპიტალის არსებობის ფორმად გვევლინება.

ამის უშუალო შედეგი, რასაკვირველია, დაქირავებული ძალის სასტიკი ექსპლოატაციაა. მანუფაქტურული წარმოება არის აბსოლუტური და რელატივური ზედმეტი ღირებულების წარმოება. შ რ ო მ ი ს მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ უ ლ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა. მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ი ს ჰ ე ტ ე რ ო გ ე ნ უ ლ ი დ ა ო რ გ ა ნ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი წ ა ო მ ო ა დ გ ე ნ ს რ ე ლ ა ტ ი ვ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე-

[22] Op. cit. გვ. 272. ხაზი ჩვენია.

ბის მეთოდს. აქედან უკვე ცხადი ხდება, შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური ურთიერთობის საფუძველი მოცემულია თვით მანუფაქტურის წიაღში. კაპიტალისტი აწარმოებს დაქირავებული ძალის მოქნილ ექსპლოატაციას, ის მიმართავს შრომის გაყვლეფის ყოველგვარ საშუალებას. წარმოების სამხედრო-კაპიტალისტური რეჟიმის მხეცური ხასიათი გარკვეულად მოცემულია სინამდვილის ზედაპირზე. ამიტომ მტკიცება იმისა, რომ «სმიტის ეპოქაში მსხვილ კაპიტალს ქონდა უაღრესად მშვიდობიანი სახე»[23], მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს. მანუფაქტურული პერიოდის, განსაკუთრებით მისი ორგანული ფორმის ისტორიული შესწავლა არ იძლევა მსხვილი კაპიტალის უაღრესად მშვიდობიანი სახის ფოტოგრაფიულ ასახვას. პირიქით, მანუფაქტურის წარმოშობა-განვითარებასთან ერთად წარმოიშვა და განვითარდა თვით კლასობრივი წინააღმდეგობაც, შრომისა და კაპიტალის დაპირისპირება. ერთდროულად დაქირავებული მუშათა მასის ზრდასთან ერთად იზრდება მათი წინააღმდეგობაც, მაშასადამე, აუცილებლად იზრდება კაპიტალის მეტევაც, მიმართული ამ წინააღმდეგობის მოსასპობად»[24]. ამიტომ ბუნებრივია, თუ «ბრძოლა კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის თვით კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობიდანვე იწყება»[25]. მარქსი გარკვევით ლაპარაკობს ამ ურთიერთობის კლასობრივ ხასიათზე. მისი აზრით, როგორც კი ბაზარზე გამოდის სპეციფიკური საქონელი — სამუშაო ძალა და მას უპირისპირდება ფულადი კაპიტალი, აქ «კაპიტალისტსა და მუშას შორის კლასობრივი ურთიერთობა უკვე მოცემულია»[26]. კლასობრივი ურთიერთობა ნიშნავს კლასობრივ წინააღმდეგობას, კლასთა ბრძოლას სათანადო ფორმაში. მანუფაქტურული პერიოდი კლასთა ბრძოლის პერიოდია. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა მას შემდეგ, რაც «კომუნისტურმა მანიფესტმა» კლასებად დაყოფილი საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიად გამოაცხადა.

შევცდებით, თუ ვიტყვით, კლასიკური სკოლის ეკონომისტები არ ამჩნევდენ კაპიტალსა და შრომას შორის გაშლილ კლასობრივ დამოკიდებულებას, წინააღმდეგობას. მანუფაქტურული პერიოდი საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაში წარმოადგენს ისტორიულ უღელტეხილს, გარდამავალ პერიოდს ფეოდალიზმიდან მსხვილ

[23] Туган - Барановский. Op. cit. გვ. 27. ხაზი ჩვენია.

[24] Капитал, ტ. I, გვ. 248, შეად. გვ. 269. ხაზი ჩვენია.

[25] კაპიტალი, ტ. I, ქართ. თარგმანი მ. ტოროშელიძის რედაქციით, გვ. 377. ხაზი ჩვენია.

[26] Капитал. ტ. II, გვ. 6. შეად. გვ. 22.

კაპიტალისტურ, ინდუსტრიალურ მეურნეობაზე. ამიტომ მანუფაქტურა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას ეკონომიური ფენების თვალსაზრისითაც: აქ ამქრული წარმოების ელემენტები ებრძვის მანქანური მრეწველობის ჩანასახებს. კლასიკური ეკონომია მთელი არსებით იცავს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წარმოების ინტერესებს და ასაბუთებს კაპიტალიზმის პროგრესიულობას, მაგრამ არა წინაკაპიტალისტურ ფორმებთან შ ე დ ა რ ე ბ ი ი თ, არამედ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ. ამით ამთავითვე უდაო ხდება კლასიკური ეკონომიის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ხასიათი. ა დ ა მ ს მ ი ტ ი ც გარკვევით ხედავს კაპიტალისტსა და მუშის ინტერესთა სხვაობას, მაშასადამე—მათ წინააღმდეგობას. აიღეთ, მაგალითად, ხელფასის პრობლემა ს მ ი ტ ი ს მოძღვრებაში. ხელფასის სიდიდე — ამტკიცებს ს მ ი ტ ი — დამოკიდებულია შეთანხმებაზე, ხელშეკრულებაზე კაპიტალისტსა და მუშას შორის. სწორედ აქ ინასკვება წინააღმდეგობა: «ორი მხარის ინტერესები ამიერიდან იგივე არაა. მუშებს უნდათ მიიღონ რაც შეიძლება მ ე ტ ი, ხოლო დამქირავებელნი ცდილობენ მისცენ რაც შეიძლება ნაკლები»[27]. აქ იქმნება აშკარა წინააღმდეგობა. მუშები მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ ხელფასის გადიდებას. კაპიტალისტები კი — მის შემცირებას. მუშები კავშირდებიან, ცდილობენ შეთახმებას ურთიერთ შორის. ასევე იქცევიან კაპიტალისტებიც. იწყება ბ რ ძ ო ლ ა. ბრძოლის მოსაგებად ამბობს ს მ ი ტ ი — «მუშები ყოველთვის ასტეხავენ დიდ აურ-ზაურს, ხოლო ხანდახან კი მიმართავენ შ ე უ ფ ე რ ებ ე ლ ალიაქოთს და ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ებ ა ს», ეს იმიტომ, რომ «შიშის ზარი დასცენ თავიანთ დამქირავებელთ», «იძულებული გახადონ ისინი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი»[28]. არ სძინავთ, ცხადია, არც კაპიტალისტებს. ს მ ი ტ ი განაგრძობს: «მეორე მხრივ, დამქირავებელნი ასეთ შემთხვევაში აყენებენ არა ნაკლებ ხმაურს და მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ებ ი ს ჩ ა რ ე ვ ა ს ს ა ქ მ ე შ ი»[29]. ბრძოლა თავდება მუშების დამარცხებით, კაპიტალისტების გამარჯვებით. ს მ ი ტ ი არ ამბობს, რომ ამის მიზეზია «სამოქალაქო ხელისუფლების ჩარევა საქმეში», მაგრამ ეს თავისთავად იგულისხმება. ს მ ი ტ ი ს აზრით, მუშები იხევენ უკან იმიტომ, რომ მათთვის კაპიტალისტები უფრო საჭიროა, ვინემ კაპიტალისტებისათვის—მუშები. ამიტომ მუშები თავიანთი უზრდელი საქციელით და ძალდატანებით, ალიაქოთით და ხმაურობით უფრო ზარალობენ და საქმე «ჩვეულებრი-

[27] Адам Смит. Исследование о природе и причинах богатства народов. М. 1931. ტ. I, წიგნი I, თავი VIII. ხაზი ჩვენია.

[28] ibid. კურსივი ჩვენია.

[29] ibid. კურსივი ჩვენია..

ვად თავდება მხოლოდ მეთაურების დასჯითა და განადგურებით»[20]. სმიტიც კმაყოფილია ბრძოლის ასეთი დასრულებით.

მაშასადამე, ადამ სმიტი გარკვევით ხედავს შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ წინააღმდეგობას. მართალია, ის არ იცნობს მუშათა ორგანიზაციულად დარაზმულ მოძრაობას, ვინაიდან ასეთ მოძრაობას ადგილი არ ქონდა მის დროს. მაგრამ სმიტი ნათლად ამჩნევს მუშების სპორადულ გამოსვლებს, დამქირავებლისა და დაქირავებულის წინააღმდეგობას. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ სმიტის აზრით ეს წინააღმდეგობა, მუშათა «ალიაქოთი» და დამქირავებელთა «არა ნაკლები ხმაური» არაა დამახასიათებელი კაპიტალისტური წარმოებისათვის. ეს შემთხვევითი მოვლენაა, მუშების «მეთაურების» მიერ გამოწვეული. აქ მოსჩანს სმიტის როგორც სუსტი, ისე მისი ძლიერი მხარე. საქმე იმაშია, რომ სმიტის «ვიწრო ბურჟუაზიული ჰორიზონტი» მკაცრადაა შემოფარგლული თვით არსებული ეკონომიური სინამდვილით, საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობით. ერთი წუთითაც არ უნდა დავკარგოთ ისტორიული თვალსაზრისი და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სმიტი მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტია, ხოლო მანუფაქტურულ პერიოდში «მსხვილი მრეწველობა საშოში იწვა»[21]. სმიტის ეპოქამ არ იცის არც რკინისგზა, არც განვითარებული მანქანა-იარაღები. ჯემს უატმა ორთქლით მომქმედი ჩაქუჩი გამოიგონა «ხალხთა სიმდიდრის» დაწერის შემდეგ, ხოლო სტეფენსონმა ააგო პირველი ლოკომოტივი იმ დროს, როცა სმიტი უკვე საფლავში იწვა. პირველი მუშათა მასობრივი, ე. წ. ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში მხოლოდ XIX ს. ოცდაათიან წლებში დაიწყო. ისტორიულ-საზოგადოებრივ ვითარებას, ცხადია, არ შეეძლო ძირითადად არ განესაზღვრა ადამ სმიტის გონებრივი ჰორიზონტი და არ დაესვა ღრმა დაღი მის ეკონომიურ თეორიაზე.

მანუფაქტურული პერიოდი კლასობრივ წინააღმდეგობას შეიცავს და ისტორიული განვითარების ამ პერიოდის მამოძრავებელი შინაგანი ძალაა კლასთა ბრძოლა. მაგრამ კლასობრივი წინააღმდეგობისა და ბრძოლის ფორმები სხვადასხვანაირია ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მანუფაქტურული პერიოდის კლასობრივი წინააღმდეგობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ეს წინააღმდეგობა არაა აშკარად გამოკვეთილ, განვითარებულ ფორმაში, ორგანიზებულად მოცემული. მანუფაქტურის პერიოდში წარმოების წესი კაპიტალისტურია. ჩვენ კი ვიცით, წარ-

[20] ibid.
[21] Маркс. Теории etc., ტ. III, გვ. 252. შეად. გვ. 324 - 325.

მოების კაპიტალისტური წესი ანტაგონისტურია თავისი ხასიათით. ეს წესი წარმოადგენს შრომისა და კაპიტალის ანტაგონისტურ მთლიანობას. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, მანუფაქტურული პერიოდის კლასობრივ-საზოგადოებრივი ურთიერთობანიც ანტაგონისტურია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მანუფაქტურის პერიოდში მუშათა კლასი, როგორც ბურჟუაზიასთან ანტაგონისტურად დაპირისპირებული საზოგადოებრივი ფენა, არ წარმოადგენს ჯერ კიდევ კლასს «თავისათვის», für sich, ის—კლასია «თავისთავად», an sich. ამ პერიოდში, განსაკუთრებით მის დასაწყისში, მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები, არ არის შეკავშირებული მებრძოლ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, არ აწარმოებს კაპიტალზე პოზიციურ შეტევას. ამიტომ ის ჯერ არ იმყოფება კაპიტალთან შეგნებულ-ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში.

კლასიკური ეკონომიის ობიექტურ-მეცნიერული ხასიათი ემყარება სწორედ შედარებით განუვითარებელ კლასობრივ წინააღმდეგობას. მუშათა კლასი, როგორც «კლასი თავისთავად», არ აყენებს ეკონომიურ-პოლიტიკური ბრძოლის ძირეულ საკითხებს, ის ჯერ კიდევ არ გამოდის კაპიტალის წინააღმდეგ გადამწყვეტ პოლიტიკურ ბრძოლაში. მისი ნაწილობრივი მოთხოვნილებანი არ ეხებიან წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძვლებს. ასეთ პირობებში ბურჟუაზიულ მკვლევარ ეკონომისტს ეძლევა მიუდგომელობიექტური, მეცნიერული კვლევა-ძიების შესაძლებლობა. ადამ სმიტისა და რიკარდოს ეკონომიური სისტემები ამ შესაძლებლობის სინამდვილეა გადაქცეულა ისტორიულ განვითარების განსაზღვრულ პერიოდში. ხოლოდ ამით შეიძლება კლასიკური ეკონომიის ობიექტურ-მეცნიერული ხასიათის გაგება[32]. კლასიკური ეკონომიის ღირებულების ობიექტური თეორია არა მარტო ლოგი-

[32] ბურჟუაზიული ეკონომისტი, პირიქით, გამოდის საწინააღმდეგო თვალსაზრისიდან. ტუგან-ბარანოვსკის აზრით ადამ სმიტის თეორიის ობიექტური ხასიათი გამოწვეულია მისი ავტორის «ფართო ფილოსოფიური ინტერესით და აბსტრაქტული აზროვნების სიყვარულით» (op. cit. გვ. 22). «ეს ამბავია, ოა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის, მაინც რჩება ის, რაც თვითონ არის: სინდისიერი და სერიოზული გონებრივი მუშაობა ყოველთვის მიილტვის ჭეშმარიტების, არსებულის კანონების შემეცნებისკენ, მხოლოდ მათი გულისთვის, პრაქტიკული მიზნისგან დამოუკიდებლად» (ibid). აი, დამპალი იდეალიზმის კლასიკური ნიმუში! საკმარისია ვკითხოთ ავტორს: მისი თეორიულ-ეკონომიური მუშაობა განა აბსტრაქტული აზოვნების პლატონური სიყვარულით, ფართო ფილოსოფიური ინტერესით და არა კაპიტალისტური წარმოების აპოლოგეტობითაა გამოწვეული?

კური, უმთავრესად ისტორიული განვითარების ნაყოფია. მარქსი შენიშნავს კაპიტალის მეორე გამოცემის წინასიტყვაში: «როგორც მეცნიერება, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია აღმოჩნდა ასეთად კლასთა ბრძოლის განვითარებამდე. ეკონომისტებმა (სმიტმა, რიკარდომ და სხვ.) გამოიკვლიეს ეკონომიური მოვლენები ობიექტურად, ცოტად თუ ბევრად სწორად». განვითარებულ კლასთა ბრძოლაში შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული ობიექტივიზმი და ბურჟუაზიული სუბიექტივიზმი. აქ შეუძლებელია ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიის ობიექტურობა, მისი ნამდვილად მეცნიერულობა. ეკონომიური თეორია უაღრესად კლასობრივი და, მაშასადამე, პარტიულია არსებითად. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ მათი ეკონომიური სისტემების გახვევას ზეკლასიურობის ბურუსში და ამით ბურჟუაზიული ეკონომიის მეცნიერულად მოჩვენებას. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა და არა მოვლენის შინაგანი მხარე, მისი რაობა. პირიქით, კლასიკური ეკონომია ბურჟუაზიულია თავისი შინაარსით და ამავე დროს ობიექტურ-მეცნიერულიც. ეს — წინააღმდეგობაა, მაგრამ წინააღმდეგობა თვით მოცემულ ეპოქის, ისტორიულ სინამდვილის. კლასიკური ეკონომიის ეპოქა არ ხასიათდება საზოგადოებრივ კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განვითარებით იმ დონემდე, სადაც აუცილებლად იწყება მათი შეუთავსებლობა ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ამ საფეხურზე საწარმოო ძალები არ ამხედრებულა საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ეს ამხედრება აუცილებლად მზადდება და იწვევა იმ გარემოებით, რომ განვითარების განსაზღვრულ დონეზე საწარმოო ურთიერთობანი იქცევიან საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების ბორკილებათ. ეს ბორკილები იმსხვრევა ძალდატანებითი პროლეტარული რევოლუციით.

კლასიკური ეკონომიის ეპოქა, რასაკვირველია, არ წარმოადგენს საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა გაშლილი ანტაგონიზმის პერიოდს. აქ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი არ ავიწროებენ, არ ბორკავენ საწარმოო ძალთა განვითარებას, პირიქით, ანვითარებენ ამ ძალებს. ძველი, დრომოჭმული ეკონომიური ფორმები ირღვევა, ისპობა და გზას იკაფავს კაპიტალისტური მეურნეობა. ბურჟუაზია რევოლუციურ კლასს წარმოადგენს ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე, რადგან თვით წარმოების კაპიტალისტური წესი პროგრესიულია საქონლის წვრილ მეურნეობის წესთან შედარებით. სმიტი და რიკარდო ამიტომ კაპიტალისტურ წარმოებას თვლიან ყველაზე უფრო ნაყოფიერ, პრო-

დუქტულ წარმოებად. ცხადია, წარმოების კაპიტალისტური წესი მართლაც ასეთია «უეჭველად წარმოების წინამორბედ ფორმებთან შედარებით»[33], და არა აბსოლუტურად, თავისთავად აღებული, როგორც ეს წარმოდგენილია კლასიკური ეკონომიის სისტემაში. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ სისტემის ბურჟუაზიულობის დამახასიათებელი მომენტი. მაგრამ ეს შეცდომა გამართლებულია ი ს ტ ო რ ი უ ლ ად — არავის ძალუძს გადახდეს საკუთარ ყურებს. კლასიკოსებსაც ვერ მოვთხოვთ ეპოქის საზღვრების დატოვებას და მათთვის უცნობ სივრცეში, ჰაეროვან ოკეანეში შეჭრას.

II

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული ფორმა ხასიათდება საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განუვითარებლობით, უკეთ რომ ვთქვათ, მათი დაყენებით სწრაფი განვითარების «განიერ სამხედრო გზაზე». მანუფაქტურული პერიოდი, როგორც მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის, მანქანური წარმოების, ინდუსტრიის მოსამზადებელი ხანა, თავისივე წიაღში შეიცავს ინდუსტრიალური კაპიტალიზმის ყველა დამახასიათებელ ელემენტს. მანუფაქტურულ წარმოებიდან მანქანური წარმოება წარმოიშვა. მანუფაქტურა გამოხატავს განუვითარებელი კაპიტალიზმის როგორც აწმყოს, ისე მის მ ო მ ა ვ ა ლ ს ა ც. მარქსი გენიოსურად ახასიათებს მანუფაქტურას: «მანუფაქტურას არ შეეძლო თავის გავლენის ქვეშ მოექცია საზოგადოებრივი წარმოება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, არც მისი გარდაქმნა საფუძვლიანად. ქალაქური ხელოსნობისა და სოფლის ოჯახური მრეწველობის ფართო საფუძველზე აღმართული იყო ის, როგორც ეკონომიური კუნსტშტუკი. მისი საკუთარი ვიწრო ტექნიკური ბაზისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მოექცა წინააღმდეგობაში წარმოების მის მიერვე შექმნილ მოთხოვნილებებთან»[34]. მანუფაქტურის ამ დახასიათებაში მოცემულია სამი მომენტი: ერთი — მანუფაქტურას არ მოუქცევია თავის გავლენის ქვეშ შედარებით დაბალი, რეაქციური ეკონომიური ფორმები, როგორიცაა ხელოსნობა და გლეხური შინაოჯახური წარმოება; მეორე — მანუფაქტურას არ გარდაუქმნია საფუძვლიანად წარმოების ფეოდალური წესი, რომელსაც ეს ფორმები ახასიათებს; და, მესამე — მანუფაქტურის ვიწრო ტექნიკური ბაზისი მოექცა შინაგან წინააღმდეგობაში და ეს წინა-

[33] Теории etc. ტ. I, გვ. 196.
[34] Капитал, ტ. I, გვ. 279.

ალმდეგობა გადაწყდა კაპიტალისტური წარმოების ფართო ტექნიკური ბაზისის - მანქანური მეურნეობის წარმოშობა-განვითარებით. ეს სამი მომენტი შეადგენს კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ეკვივალენტს: პირველი მომენტი — საბოლოო ანგარიშით — განსაზღვრავს სმიტის ეკონომიური თეორიის შინაგან წინააღმდეგობათა კომპლექსს, ხოლო მესამე — სწყვეს რიკარდოს მარცხის საკითხს ღირებულების პრობლემაში.

მანუფაქტურული პერიოდის კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განვითარების დაბალმა დონემ განსაზღვრა საზოგადოებრივი ადამიანის ვიწრო გონებრივი ჰორიზონტი. განვითარებელ ბაზისზე განვითარებელი ზედნაშენი აღმოცენდა. შეგნების ფორმები ისტორიულად უკან რჩება საზოგადოებრივი ყოფის ფორმებს. მარქსიზმის ეს მატერიალისტური თეზა ააშკარავებს საზოგადოებრივი შეგნების ფორმათა განსაკუთრებულ სიმარტივეს კაპიტალიზმის მანუფაქტურულ პერიოდში.

მართლაც, მეცნიერული აზროვნება კლასიკური ეკონომიის ეპოქაში დაბალ საფეხურზე იდგა. გაბატონებულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა მეტაფიზიკური მატერიალიზმი. ფრანგი ენციკლოპედისტები იყვნენ «აზრთა მპყრობელნი». ეპოქის «გაბატონებულმა იდეებმა» კიდევაც განსაზღვრა კლასიკური ეკონომიის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკური ეკონომიის როგორც საგანი, ისე მეთოდი არის უაღრესად მეტაფიზიკური. რაში მდგომარეობს აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდი, რომელიც საფუძვლად უდევს კლასიკური ეკონომისტების სისტემას, შეადგენს მათი კვლევა-ძიების მეთოდოლოგიას? მეტაფიზიკური თვალსაზრისით «არსი უცვლელია, უძრავი. საგნები, ობიექტები და მათი ანარეკლი ადამიანის ტვინში — ცნებები — ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, გაქვავებული, სამუდამოდ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული სახით მარადიულად მოცემული... არ არსებობს მსოფლიო, როგორც მთლიანობა, პროცესი, განვითარება»[35]. მეტაფიზიკა არ იხილავს მოვლენას მის განვითარებაში, მოძრაობასა და, საერთოდ, შინაგან წინააღმდეგობაში. მეტაფიზიკური აზროვნებისათვის უცნობია ისტორიული შეხედულება ბუნებასა და საზოგადოებაზე. XVIII ს. მატერიალიზმმა განდევნა იდეალიზმი ბუნებისმეტყველებიდან და

[35] გრ. ფუშიშვილი. მატერიალისტური დიალექტიკა. გამოცემა მეორე, თავი I. აქ გაიქვს მეტაფიზიკური მეთოდი უფრო დაწვრილებით განხილული და ამიტომ აქ საკითხზე ვხერდებით გაკვრით.

ამდენად ბუნებისმეტყველებას მეცნიერული ნიადაგი შეუქმნა. მაგრამ ამ მატერიალიზმის მეტაფიზიკურმა ხასიათმა ძალზე შეზღუდა ბუნებისმეტყველების მეცნიერული ხასიათი და განსაზღვრა მისი პირობითობა. უეჭველია, მეტაფიზიკური მატერიალიზმი ისტორიულად პროგრესიული მოვლენაა და თვით აზროვნების მეტაფიზიკური წესიც პოულობს გამართლებას ისტორიულად. არც ერთი აღმოჩენა, რომელმაც გამოიწვია ბუნებაზე დიალექტიკური წარმოდგენა, არ მოგვეპოება კლასიკური ეკონომიის პერიოდში. ორგანიზმის უჯრედების აღმოჩენა, ენერგიის გადაქცევის კანონი და დარვინის მოძღვრება კაპიტალისტური საწარმოო ძალთა განვითარების ნაყოფია. ამ სამ დიდ აღმოჩენას მოკლებული მატერიალიზმი აუცილებლად მეტაფიზიკური უნდა ყოფილიყო და ვერ მივიდოდა «ბუნების, როგორც ერთი შეკავშირებული მთელის წარმოდგენამდე»[36]. ამისათვის საჭირო იყო საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარება და მეცნიერული აზროვნების დაყენება შესაფერ ნივთიერ საფუძვლებზე.

კლასიკური ეკონომიის მეთოდოლოგია მეტაფიზიკურია და ამიტომაც უხეშად ემპირული. კლასიკოსები არ იხილავენ ეკონომიურ კათეგორიებს მათ წარმოშობასა, განვითარებასა და მოსპობაში. ისტორიული თვალსაზრისი მათთვის უცნობია სრულებით. კაპიტალი, დაქირავებული შრომა, ფული და სხვა — მუდმივი, უცვლელი, ზეისტორიული ცნებებია, უკუნეთიდან მიღებული და საუკუნოდ შენახული. წარმოების კაპიტალისტური წესის მარადიულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს კლასიკური სკოლის ეკონომისტებში. ისინი ცდილობენ ახსნან ეკონომიური კათეგორიები იმ სახით, რა სახითაც ისინი გვეელინებიან. ისინი არ ცდილობენ მონახონ საქონლის, ფულის, კაპიტალის გენეზისი, განიხილონ ეს კათეგორიები მათ წარმოშობასა და განვითარებაში. გამოდიან ფაქტიდან და ფაქტითვე ამთავრებენ. მაშასადამე, საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენათა მუდმივობა, უცვლელობა, მარადიულობა, ზეისტორიულობა — აი, პირველი ძირითადი ნიშანდობლივი მომენტი, რომელსაც შეიცავს და რომელზედაც დამყარებულია კლასიკური ეკონომიის სისტემა და მთელი მეთოდოლოგია. აშკარაა, ეს თვალსაზრისი აშკარა ბურჟუაზიულია და ეკონომიური თეორიაც, ამ თვალსაზრისიდან გამოსული, ბურჟუაზიული თეორიაა. ამიტომ კლასიკური ეკონომია არის ბურჟუაზიული ეკონომია.

[36] Энгельс. Людвиг Фейербах, 1922 წ., გვ. 63.

მოვლენათა უცვლელობის. მარადიულობის კონცეპცია ემყარება (შეიძლება ითქვას გამომდინარეობს) მოვლენისა და რაობის მეტაფიზიკურ გაგებას. მეტაფიზიკა სწავლობს გარკვეულ საგნის გარეგან მხარეებს, ხედავს საგანთა მექანიკურ მოძრაობას, მაგრამ ვერ სწვდება მოვლენათა შინაგან, არსებით მხარეს, მათ რაობას. მეტაფიზიკოსის ყურადღებას იპყრობს საგნის გამოვლინება, მისი ფორმა და არა საგნის განვითარების შინაგანი კანონზომიერება. გარეგნულად საზოგადოებრივი მოვლენა, მაგალითად, კაპიტალისტური წარმოება, უცვლელი, მარადიული გვეჩვენება. აქედან გამომდინარეობს უხეში ემპირიზმი კვლევა-ძიებაში და ისტორიული თვალსაზრისის სრული უქონლობა. ქვევით, როცა კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის ანალიზს შევუდგებით, უფრო ნათელი გახდება კლასიკური ეკონომიის მეთოდოლოგიის მეტაფიზიკური ბუნება. ამიტომ შეგვიძლია აქ საერთო, ზოგადი დახასიათებით დავკმაყოფილდეთ. მ ა რ ქ ს ი ასე ახასიათებს ა დ ა მ ს მ ი ტ ს: «ყველა ბოლოდროინდელი ბურჟუაზიული ეკონომისტის, როგორც მისი [სმიტის], ეკონომიურ მიმართებათა ფორმალურ გარჩევის გაგებისათვის საჭირო თეორიული აზრის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უხეშად ესევიან მოცემულ ემპირულ მასალას და მხოლოდ მით არიან დაინტერესებული»[37]. ემპირულ მასალას იძლევა სინამდვილე, ეკონომიური სტრუქტურა ამ ემპირულ მასალებშია წარმოდგენილი. რაობა შეუძლებელია მოვლენის გარეშე. ბურჟუაზიული ეკონომისტი იკვლევს მოვლენას, ემპირულ მასალას, ფაქტს იმ სახით, რომელშიაც ის მოცემულია. ამას ეწოდება სწორედ უხეში ემპირიზმი, რომელიც შეუძლებელს ხდის მეცნიერულ-აბსტრაქტულ აზროვნებას და მოცემული ემპირული მასალის შინაბუნების გარკვევას. ამიტომაც ს მ ი ტ ი, მაგალითად, თავის გამოკვლევაში «ახდენს განყენებულ კათეგორიების ფიქსაციას»[38], ის გრძნობითი დაკვირვებიდან გამოდის უმთავრესად და არ მიმართავს აბსტრაქციას[39]. ის ხედავს შრომის მანუფაქტურულ განაწილების უარყოფით გავლენას მუშის ინტელექტუალურ განვითარებაზე, ნათლად არჩევს ამ ემპირულ ფაქტს, მაგრამ არ ცდილობს ამ ფაქტის ახსნას, მისი მიზეზის გამორკვევას. ს მ ი ტ ი ხედავს

[37] Теории etc., ტ. I, გვ. 110.

[38] ibid. გვ. 37.

[39] საყურადღებოა თვით ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს მსჯელობა: «მე ვნახე», «შემთხვევა მქონდა მენახა», «ვისაც არ უნახავს საკუთარი თვალებით, არ დაიჯერებს», «ხშირად მიხდებოდა ყოფნა», «რამდენ ჯერ შემეძლო დაკვირვება» etc. etc. სმიტამდე ეკონომიური გამოკვლევა არავის მოუხდენია არსებითად და, ცხადია, ს მ ი ტ ი ემყარება ნედლ მასალას, რომელსაც თვითონ აგროვებს და იხილავს «საკუთარი თვალებით», ემპირულად.

წინააღმდეგობას, მაგრამ არ იკვლევს ამ წინააღმდეგობის ფესვებს და იძლევა მისი მოსპობის თავისებურ რეცეპტს, ისიც «გომეოპატიურ დოზაში»[10]. მოვლენა — აი, ის სფერო, რომელსაც კლასიკური ეკონომისტების გენიოსური აზროვნება განაგებს.

მეორე მხრივ, კლასიკური ეკონომიის მეთოდოლოგია შეიცავს მომენტს, რომელიც გულისხმობს მოვლენათა რაობის შემეცნების გარკვეულ ცდას. ადამ სმიტის ეკონომიურ გამოკვლევაში ვხედავთ, მარქსის ენაზე რომ ვთქვათ, როგორც ეზოტერულ, ისე ექზოტერულ ნაწილებს. პირველი მოითხოვს მოვლენის არსებით მხარის შესწავლას, მეორე — იხილავს მოვლენას ემპირულად, მის გარეგნულ მხარეს. სმიტის მეთოდოლოგია შეიცავს წინააღმდეგობას, რადგან სმიტის სისტემაში ეზოტერული და ექზოტერული წესები მოცემულია არა მთლიანობაში, არამედ მათ ხელოვნურ გაორებაში. შინაგანის შემეცნება შესაძლებელია გარეგანის შემეცნების გზით. მაგრამ თუ გარეგანი შინაგანისაგან დამოუკიდებლადაა ნაგულისხმევი, ცხადია, მეთოდოლოგიური დუალიზმი იმარჯვებს და კვლევა-ძიების მეთოდი კარგავს მონისტურ ხასიათს, შინაგან დაუძლეველ წინააღმდეგობაში ვარდება. სმიტის გენიოსობა მეთოდოლოგიურ სფეროში იმაში მდგომარეობს, რომ მის თხზულებაში მოცემულია სწორედ ეს წინააღმდეგობა და არა «ჰარმონია» ექზოტერული თვალსაზრისის გამარჯვებისა და ეზოტერულის დამარცხების საფუძველზე. არავითარ გენიოსურ გონებას არ შეეძლო ამაზე შორს წასვლა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში.

«პოლიტიკური ეკონომია—წერს» მარქსი—განვითარდა ადამ სმიტის ნაწარმოებში ერთ დიდ მთლიანობად... თვით სმიტი დიდი გულუბრყვილობით ტრიალებს განუწყვეტელ წინააღმდეგობაში. ერთი მხრივ, ის იკვლევს ეკონომიურ კათეგორიების შინაგან კავშირს—ანუ ბურჟუაზიული ეკონომიური სისტემის ფარულ აღნაგობას. მეორე მხრივ, ის გვერდით იძლევა კავშირს, როგორი სახით ის გარეგნულად მოცემულია კონკურენციის მოვლენებში, და როგორც ის, მაშასადამე, წარმოდგენილი აქვს მეცნიერებაში უმეცარ დამკვირვებელს, სწორედ ისევე, როგორც ადამიანს, რომელიც პრაქტიკულად მონაწილეობს და დაინტერესებულია ბურჟუაზიული წარმოების პროცესში. გაგების ეს ორი წესი, რომელთა შორის ერთი იკრება შინაგან კავშირში, ასე ვთქვათ ბურჟუაზიულ სისტემის ფიზიოლოგიაში, ხოლო მეორე მხოლოდ ასწერს, ეწევა კატალოგიზაციას, მოგვითხრობს და ცნებათა სქემატურ განსაზღვრას ამყარებს იმაზე, რაც სასიცოც-

[10] Маркс. Капитал, ტ. 1, გვ. 274.

ხლო პროცესში გარეგნულად გვევლინება, და სწორედ ისევე, როგორც ის გამოიელინება და აშკარავდება,—ეს ორივე კვლევა-ძიება სმიტთან მიმდინარეობს ძალდაუტანებლად არა მარტო ერთმანეთის გვერდით, არამედ, ხვდება ერთმანეთს და იმყოფება მუდმივ წინააღმდეგობაში»[41].

ადამ სმიტის მეთოდოლოგიური შინაგანი წინააღმდეგობა, მაშასადამე, ემყარება კვლევა-ძიების ორ წესს, მათ თანარსებობას სმიტის ეკონომიურ თეორიაში. ერთის მხრივ, სმიტი უხეში ემპირული მასალის გადმომცემია, მომთხრობი. აქ მისი აზროვნება მხოლოდ მოვლენის ტყვეობაში იმყოფება და, მაშასადამე, სცილდება მეცნიერულ დანიშნულებას. მეორე ხხრივ კი, პირიქით, სმიტი «ცდილობს შეიჭრას ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში»[42], გამოაშკარავოს «ბურჟუაზიული ეკონომიური სისტემის ფარული აღნაგობა» და ნათელჰყოს შინაგანი კავშირი — «ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგია». ეს ორმხრივობა, მეთოდოლოგიური ორმაგობა, შინაგანი წინააღმდეგობა მოცემულია მთელ კლასიკურ ეკონომიის სისტემაში, განსაკუთრებით კი—ადამ სმიტის ღირებულების თეორიაში. კლასიკური ეკონომიის მეცნიერული ხასიათი სწორედ იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ მოცემულია ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი ფიზიოლოგიის შესწავლის ცდა. ამის გარეშე, უეჭველია, კლასიკური ეკონომია მოკლებული გახდებოდა მეცნიერულ ღირებულებას.

კლასიკური ეკონომიის მეტაფიზიკური მეთოდოლოგია შეეფერება მისი კვლევა-ძიების საგნის მეტაფიზიკურ გაგებას. კლასიკური ეკონომია იკვლევს არა ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებრივი წარმოების პროცესში, მისი საგანია ნივთთა ურთიერთობის გამოკვლევა, საქონლის საქონელზე გაცვლის კანონების გამონახვა. აქედან, ცხადია, კლასიკურ ეკონომიას არ ძალუძს საქონლის ფეტიშიზმის საიდუმლოების გამოაშკარავება და წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტური ხასიათის აღმოჩენა. ღირებულება, ფული, კაპიტალი — მატერიალურ საგანთა თვისებაა და, როგორც ასეთი, ზეისტორიული[43], რადგან წარმოების მატერიალურ საშუალებათა გარე-

[41] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2, გვ. 12.

[42] ibid.

[43] სწორედ წარმოების კაპიტალისტური წესის, ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობათა ზეისტორიული გაგება წარმოადგენს, მარქსის აზრით, სმიტისა და რიკარდოს «ბურჟუაზიულ თვალსაზრისს» (Капитал, ტ III, ნაწ. 2, გვ. 300). შეად Капитал, ტ. II, გვ. 51.

შე ადამიანთა საზოგადოება წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარეობს ნივთების დამოკიდებულების შესწავლის საჭიროება. კლასიკური ეკონომიის საგანი მეცნიერულად განსაზღვრული არაა და ბუნებრივია, ეკონომიური კათეგორია თუ წმინდა მატერიალურ გაგებაზეა დამყარებული. ისტორიული თვალსაზრისი გაუგებარია კლასიკოსებისათვის, აქედან — უცნობია მათთვის ეკონომიური კათეგორიების გარდამავალი, ცვალებადი, მათი საზოგადოებრივი, სოციალური ხასიათი. ქვევით დავინახავთ უფრო ახლოს, თუ რაში მდგომარეობს ეკონომიურ კათეგორიების განივთიერება კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური ეკონომია ბურჟუაზიულია, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები მეტაფიზიკურია, ხოლო საგანი—მეცნიერულად გაუმართლებელი, ეს პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს ნამდვილ მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინური თეორიული ეკონომიის წყაროს. მიზეზი გასაგებია: კლასიკური ეკონომიური თეორია ობიექტურია, ის ცდილობს მოგვცეს ბურჟუაზიული საზოგადოების ფიზიოლოგია, ემყარება შრომითი ღირებულებას და ამდენად ატარებს მეცნიერულ ხასიათს. ისევე, როგორც ისტორიულად ფაქტების დაგროვება, დალაგება, სისტემაში მოყვანა წინ უსწრებდა მათ წარმოდგენას პროცესად, განვითარებად, — სწორედ ასევე პოლიტიკური ეკონომიის საგნად ნივთთა ურთიერთობის შესწავლის დასახვა წინ უსწრებდა თვით ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის შესწავლას. კლასიკური ეკონომია ემყარება უმთავრესად მოვლენას, მის შემეცნებას. საქონელთა გაცვლა-გამოცვლა, ნივთთა ურთიერთობა არის სწორედ ის კონკრეტული მოვლენა, რომელიც შეიცავს რაობას — თვით ადამიანთა საწარმოო ურთიერთობას. ადამიანთა ურთიერთობა წარმოებაში მოცემულია ნივთიერ ფორმაში, ასე ვთქვათ, განივთიერებულია. კლასიკური ეკონომიაც ჰკიდებს ხელს სწორედ ამ «ნივთს», გულმოდგინედ სწავლობს მას და ვერ ამჩნევს, რომ ეს მხოლოდ მოვლენაა და არა რაობა. ეს არის კლასიკური ეკონომიის შეცდომა, მაგრამ შეცდომა ისტორიულად გამართლებული. ამ შემცდარი შეხედულებიდან გამოიკვეთა ჭეშმარიტად მეცნიერული, მარქსისტული თეორია. ცოდნა უცოდინარობიდან წარმოდგება, შემეცნება გადასვლაა უცოდინარობიდან ცოდნაზე. კლასიკური ეკონომია წარმოადგენს მარქსისტული ეკონომიის წყაროს, ის «თესლია», საიდანაც აღმოცენდა უზარმაზარი მცენარე. «კლასიკური პოლიტიკური ეკონომია — ამბობს ენგელსი— ესაა ბურჟუაზიის სოციალური მეცნიერება, რომელიც იკვლევს უმთავრესად... ადამიანის საქციელს, დაკავშირებულს წარმოებასა და გაცვლასთან. ეს სავსებით ეთანხმება საზოგადოებრივ წყობილებას,

რომლის თეორიულ ასახვას ის შეადგენს»[44]. ინგლისური კლასიკური ეკონომიის ძლიერი მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს თავისი დროის ეკონომიური ვითარების, საზოგადოებრივი წყობილების თეორიულ-ობიექტურ ასახვას და არა უტოპიურ-სუბიექტურ განსახებას.

III

საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის წყარო არის საზოგადოებრივი ადამიანის შრომა. ეს ჭეშმარიტება ისევე ძველია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება, წარმოებისა და მოხმარების ცნება. კონკრეტული შრომა, როგორც სახმარი ღირებულების შემქმნელი, ცნობილია უხსოვარ დროიდან. კლასიკურ ეკონომიას აქ არავითარი აღმოჩენა და სასწაული არ მოუხდენია. გასაკვირი არაფერია: «უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ საზოგადოდ არ არის არაფერი გაუგონარი ეკონომიური მეცნიერების არც ერთ აღმოჩენაში»[45]. ისტორიულად თვით ადამიანი შრომის ნაყოფია, შრომის პროცესში და არა მარტო «არსებობისათვის ბრძოლაში», ბუნებრივ-ბიოლოგიური ცვლილება-განვითარებაში გამოიკვეთა ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოველი. შრომა ქმნის მოხმარების საგანს, უადვილებს ადამიანს ბუნებასთან ბრძოლას, წარმოადგენს მისი ნივთიერი კეთილდღეობის მიზეზს — ყოველივე ეს შეუძლებელი იყო არ შეემჩნია ადამიანის გონებას საზოგადოებრივი განვითარების შესაფერ დონეზე. კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში მოიპოვება ამის უტყუარი საბუთები. მარქსი ირონიულად, ამავე დროს სამართლიანად შენიშნავს, როდესაც ამბობს: «შრომა, როგორც ნივთიერი სიმდიდრის წყარო, ისევე კარგად იყო ცნობილი სჯულმდებელ მოსესთვის, როგორც საბაჟოს მოხელე ადამ სმიტისთვის»[46]. მართლაც, ჯერ კიდევ არისტოტელემ თავის «პოლიტიკაში» მიაქცია ყურადღება საგანთა გაცვლას და განაცხადა, რომ ეს გაცვლა შეუძლებელია გასაცვლელ ნივთთა თანტოლობის გარეშე, ხოლო თვით ეს თანტოლობა შეუძლებელია, თუ არ არის თანაზომობა — ნივთთა თანტოლობის საზომი. ეს საზომია ადამიანის შრომა, მაგრამ არისტოტელე ასეთ დასკვნამდე არ მისულა: ის ცხოვრობდა მონური წარმოების საზოგადოებაში, სადაც როგორც შრო-

[44] Диалектика природы, გვ. 73
[45] К. Маркс. Нищета философии, 1922. გვ. 54.
[46] К критике etc. გვ. 55-56.

მა, ისე მისი კონკრეტული მატარებელი — მონა — წარმოადგენდა მონათმფლობელის ღვთაებრივ საკუთრებას. აქ შეუძლებელი იყო კონკრეტულ შრომათა განზოგადოება და მათი დაყვანა საზოგადოდ ადამიანთა შრომამდე. ამისთვის საჭირო იყო საქონლის მწარმოებელთა თანასწორობა და სამუშაო ძალის თავისუფალი გამოყენება. «ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც საქონლის ფორმა პროდუქტის საერთო ფორმაა, მაშასადამე, ადამიანთა, როგორც საქონლის მწარმოებელთა, ურთიერთობა ერთმანეთთან წარმოადგენს გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას»[17]. არისტოტელეს თანამედროვე ბერძნული საზოგადოება არ ინცობდა. მონური შრომის პროდუქტის საქონლის ფორმას, როგორც საერთო ფორმას და საქონლის მწარმოებელთა ურთიერთობა სრულებით არ შეადგენდა გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამიტომ არისტოტელესათვის შეუძლებელი შეიქნა შრომის პროდუქტთა საერთო ობიექტური ეკვივალენტის აღმოჩენა თვით ადამიანის შრომის სახით. მიუხედავად ამისა, «არისტოტელეს გენიოსობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქონელთა ღირებულების გამოხატვაში ის აღმოაჩენს თანტოლობის მიმართებას. მხოლოდ ისტორიულმა საზღვრებმა საზოგადოებისა, რომელშიაც ის ცხოვრობდა, ხელი შეუშალეს მას აღმოეჩინა, სახელდობრ რაში მდგომარეობს «სინამდვილეში» თანტოლობის ეს მიმართება»[18]. საქონელთა გაცვლის პრობლემა პირველად არისტოტელემ წამოაყენა, მან ის ვერ გადასჭრა, მაგრამ თვით პრობლემის დაყენებით გაუჩინა ისტორიული სათავე ეკონომიურ მეცნიერებას.

პოლიტიკურ ეკონომიას უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ოქსფორდის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორმა ვილიამ პეტიმ თავისი პატარა ბროშურით: «პოლიტიკური არითმეტიკა», რომელიც 1691 წელს დაიბეჭდა. პეტის აზრით, «ყველა საგანი უნდა შეფასდეს ორი ბუნებრივი ნივთით — მიწით და შრომით». აი, ეს ორი «ბუნებრივი ნივთი» წარმოადგენს ყოველგვარი ღირებულების წყაროს. პეტი ამ დებულებას მოკლედ ასე აფორმულებს: «მიწა სიმდიდრის დედაა, შრომა კი მისი მამა». ყოველგვარი პროდუქტი «წარმოშობა მიწისა და ადამიანის შრომისაგან». მაშასადამე, პეტი გარკვეულად ლაპარაკობს, რომ ღირებულების წყარო შრომაა, შრომა ქმნის ღირებულებას. ამავე დროს მას ღირებულების წყაროდ მიაჩნია აგრეთვე მიწაც, მაგრამ ეს შეცდომა ისტორიულად აუცილებელ

Капитал, ტ I, გვ. 21.

[18] Маркс. Op. cit. გვ. 21-22. შეად. К критике etc. გვ. 46, 85, 86.

შეცდომას შეადგენს და ჩვენთვის მას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. სიმდიდრის მამა შრომაა, შრომის გარეშე საზოგადოების სიმდიდრე შეუძლებელია — ამტკიცებს პეტი. საგანი ღირს იმდენი, რამდენი შრომაა მასში დახარჯული — ეს თეზა არსებითად წამოყენებულია პეტის ეკონომიურ თეორიაში. მეტი კიდევ. პეტი განსაზღვრავს «შრომის ღირებულებასაც». ის გენიოსურად ამტკიცებს, რომ «შრომის ღირებულება» განისაზღვრება არსებობის საშუალებათა ღირებულებით. ცხადია, ეს მეტად ორიგინალური აზრია, რომელსაც თეორიული ეკონომია პირველად ხვდება პეტის ეკონომიურ სისტემაში. მაშასადამე, ორი ეკონომიური ცნება თავისებურად უკვე განსაზღვრა პეტიმ — შრომა როგორც ღირებულების წყარო და თვით «შრომის ღირებულება». მაგრამ პეტი აქ არ შეჩერებულა, ის იძლევა აგრეთვე ზედმეტი ღირებულების ცნებასაც, რასაკვირველია, ელემენტარულ ფორმაში. პეტის შეხედულებით, ღირებულება, რომელსაც ქმნის შრომა, მეტია თვით «შრომის ღირებულებაზე», და ეს მეტი, ეს განსხვავება შრომის პროდუქტსა და «შრომის ღირებულებას» შორის, ე. ი. იმათ შორის, რაც შექმნა შრომამ და რაც მიიღო მან «შრომის ღირებულების», ხელფასის სახით, არის ზედმეტი ღირებულება. ის იქმნება სოფლის მეურნეობაში და გვევლინება მიწის რენტის სახით. რენტა ზედმეტი ღირებულების ერთადერთი ძირითადი ფორმაა, ხოლო მისი შემდგომი განშტოებაა პროცენტი. ცხადია, ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმა რენტა არაა, მაგრამ აქ საყურადღებოა არა ეს შეცდომა, არამედ თვით რენტის ბუნების გამორკვევა. მარქსის აზრით, პეტი რენტას უკავშირებს «ზედმეტ შრომას და, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას»[49]. მიწა, ისევე როგორც შრომა, ღირებულების წყაროა, მაგრამ არა ზედმეტი ღირებულების — ამ აზრს პირდაპირ გამოთქვამს პეტი. მაშ რენტა, როგორც ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმა, მიწიდან როდი წარმოდგება. რენტის წყაროა სასოფლო-სამეურნეო მუშის შრომა და არა ნიადაგი. აი, როგორ «ღრმად იჭრება პეტი საკითხის შინაარსში»[50]. რენტა ადამიანის ზედმეტი შრომის პროდუქტია და არა მიწისა და მისი ნაყოფიერების. პეტის ეს სწორი აზრი ვერ შეითვისა, მას ვერ ჩასწვდა ისეთი მიმართულება, პოლიტიკურ ეკონომიაში, როგორიცაა ფიზიოკრატული სკოლა.

[49] Теории etc. ტ. I, გვ. 20.

[50] ibid.

პეტის ეკონომიური თეორია დაჩრდილა «ახალი ქვეყნის ადამიანის» ბენჯამინ ფრანკლინის შრომამ, რომელიც გამოქვეყნდა ოცდაათი წლის შემდეგ «პოლიტიკური არითმეტიკის» გამოსვლიდან. «პირველი შეგნებული, საცვლელი ღირებულების თითქმის ტრივიალურად ცხადი ანალიზი — წერს მარქსი, — რომელიც საცვლელ ღირებულებას საზღვრავს სამუშაო დროით, ჩვენ გვხვდება» სწორედ ფრანკლინთან. იმდროინდელ ამერიკაში «ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი, შეზიდულნი იქ მათ მატარებლებთან ერთად, სწრაფად გაიფურჩქნენ ნიდაგზე, რომელზედაც ისტორიული ტრადიციის ნაკლებობა ნაზღაურდებოდა შავი ნიადაგის სიჭარბით»[51]. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩქარმა განვითარებამ გააფართოვა ფრანკლინის გონებრივი ჰორიზონტი. ფრანკლინის შეხედულებით, საცვლელი ღირებულების საზომი მხოლოდ შრომაა, შრომა შეადგენს ღირებულების წყაროს. არც მიწა, არც ვერცხლი არ გამოდგება საცვლელი ღირებულების საზომად, მის მასშტაბად. ღირებულების საზომია შრომა ანუ სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა პროდუქტის დასამზადებლად. ფრანკლინი წერს: «შრომით შეიძლება ვერცხლის გაზომვა სწორედ ისევე, როგორც ყველა დანარჩენი საგნის». თავისი ღირებულების თეორიის ამ ძირითად დებულებას ფრანკლინი ასაბუთებს დამაჯერებელი ფაქტებით და ასკვნის: «ამიტომ რომელიმე ქვეყნის სამდიდრე უნდა შეფასდეს შრომის იმ რაოდენობით, რომლის ყიდვა შეუძლიათ მის მცხოვრებთ». ან კიდევ: «რადგან ვაჭრობა არის შრომის გაცვლა შრომაზე, ყველა საგნის ღირებულება უფრო სწორად ფასდება შრომით». ამრიგად, ფრანკლინი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ღირებულების წყარო და საზომი არის მხოლოდ შრომა. გაცვლის სფეროში შრომა იცვლება შრომაზე. აშკარად ჩანს, ფრანკლინს მხედველობაში აქვს პროდუქტში განივთიერებული, კრისტალიზებული შრომა. მეტი კიდევ, ფრანკლინი გადაჰკრავს აგრეთვე აბსტრაქტულ შრომაზე, რადგან მხოლოდ ასეთი შრომის ნამდვილობა ხდის შესაძლებელს შრომის პროდუქტთა თვისებრივ ერთობილობას და რაოდენობითი გარჩევას. რა თქმა უნდა, ეს მომენტი განვითარებული და ნათლად წამოყენებულიც კი არ აქვს ფრანკლინს, მაგრამ მისი მეცნიერული ინსტინქტი მაინც იწვევს უდიდეს თეორიულ ინტერესს. ფრანკლინამდე ეკონომისტები ლაპარაკობდენ სახმარ ღირებულებაზე, კონკრეტულ შრომაზე. ფრანკლინი

[51] К критике etc. გვ. 74. ფრანკლინის ციტატები მოგვყავს მარქსის ამ ნაწარმოებიდან.

უკვე აყენებს ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღირებულების პრობლემას და ინსტიქ-ტურად მიგვითითებს აბსტრაქტულ შრომაზე, თუმცა ამ უკანასკნელს არ ანვითარებს, როგორც «აბსტრაქტულ საყოველთაო საზოგადოებრივ შრომას, რომელიც წარმოიშვება ინდივიდუალურ მუშაობათა ყოველმხრივი განურჩევლობიდან»[32]. შრომა, როგორც სახმარი ღირებულების შემქმნელი, კონკრეტული შრომაა, ძველის-ძველთაგან ცნობილი. მაგრამ შრომა, როგორც ღირებულების სუბსტანცია, განსაკუთრებული სახის საზოგადოებრივი, თვისებრივად განურჩეველი, აბსტრაქტული შრომაა, რომელიც ქმნის საცვლელ ღირებულებას, ამ «სიმდიდრის განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმას»[33]. აი, სწორედ ამ შრომას არ იცნობდა კაცობრიობა კლასიკურ ეკონომიამდე და არსებითად ვერც კლასიკოსებმა განმარტეს მისი ნამდვილი შინაბუნება.

გავეცნოთ ახლა მთელ პოლიტიკურ-ეკონომიურ სისტემას, რომელიც პირველად მოგვეველინა განსაკუთრებული მიმართულების სახით ეკონომიურ აზროვნებაში და რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა კლასიკურ ეკონომიას, ამ სიტყვის საკუთარი ბნიშვნელობით. ესაა ფ ი ზ ი ო კ რ ა ტ ი ზ მ ი. მისი გავლენა ადამ ს მ ი ტ ზ ე მეტად დიდია, და ეს ბუნებრივია: ფიზიოკრატული იდეები წარმოადგენდა ს მ ი ტ ი ს დროს გაბატონებულ იდეებს, არც საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონე იძლეოდა მათი სავსებით დაძლევის გასაქანს. «ა დ ა მ ს მ ი ტ ი ძალზე გაჟღენთილია ფიზიოკრატული წარმოდგენებით— ამბობს მ ა რ ქ ს ი — და მის ნაწარმოებში ხშირად გვხვდება მთელი ფენა იდეებისა, რომლებიც ეკუთვნის ფიზიოკრატებს და რომლებიც იმყოფება სრულ წინააღმდეგობაში იმ შეხედულებებთან, რომლებსაც ის თვითონ გამოთქვამს»[34]. რასაკვირველია, ფიზიოკრატული კონცეპცია ს მ ი ტ ს სრულებით არ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს, ის არ წარმოადგენს მისი ეკონომიური თეორიის დამახასიათებელ მომენტს. მაგრამ ს მ ი ტ ი ს თეორიის შინაგანი წინააღმდეგობანი ძალიან ხშირად პოულობენ ფიზიოკრატულ შეცდომებში გამართლებას. ფიზიოკრატული სისტემა იყო გაბატონებული ეკონომიური სისტემა, რომლის წიაღიდან წარმოდგა ინგლისური კლასიკური ეკონომია.

ფიზიოკრატული ეკონომიური თეორიის მამამთავრად სამართლიანად ითვლება ფ რ ა ნ ს უ ა კ ე ნ ე, რომლის Tableau economique-მ

[32] ibid. გვ. 75.

[33] ibid. გვ. 56.

[34] Теории etc ტ. I, გვ. 92. «გრეთვე გვ. 57. შ.ად. К критике etc. გვ. 29. აქ მარქსი აღნიშნავს, რომ სმიტი «დროგამოშვებით უბრუნდება ფიზიოკრატულ სისტემას».

მოახდინა უდიდესი გადატრიალება ეკონომიურ აზროვნების ისტორიაში. ამ «ეკონომიურ ცხრილში» კენემ სცადა მოეცა უბრალო რეპროდუქციის სქემა. კენე ემყარებოდა შემცდარ ფიზიოკრატულ შეხედულებას, რომ პროდუქტული შრომა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომაა, ხოლო მეურნეობის სხვა დარგში დაქირავებული შრომა უნაყოფოა, არ ქმნის არავითარ ღირებულებას. მეორე მხრით, კენე თვით «ცხრილში» უშვებს უბრალო მათემატიკურ შეცდომებსაც. მაგრამ მთავარი რჩება ძალაში: კენემ პირველად სცადა საზოგადოებრივი წარმოების ანალიზი მისი უბრალო რეპროდუქციის თვალსაზრისით. კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელია რეპროდუქციის გარეშე, ეს წარმოება მუდმივად უნდა მეორდებოდეს. საქონლის მიმოქცევა ამ რეპროდუქციის მომენტია და არა დამოუკიდებელი სფერო. ფულის მიმოქცევაც ასეთი მომენტია, ეს მიმოქცევა შეუძლებელია საწარმოო კაპიტალის წრებრუნვის გარეშე. კენე იხილავს აგრეთვე კაპიტალისტის შემოსავლის პრობლემას რეპროდუქციის მიხედვით. ამავე დროს კენე ცდილობს მოხაზოს სოფლისა და ქალაქის წარმოება უბრალო რეპროდუქციის ცალკე ფორმებად. «ყველაფერი ეს — ამბობს მარქსი — წარმოდგენილია მეთვრამეტე საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც პოლიტიკური ეკონომია ჯერ კიდევ საშოში იმყოფებოდა... ეს უსიტყვოდ იყო ერთ-ერთი უგენიალურესი გამოგონება, რომლითაც შეცოდა დღემდე პოლიტიკურმა ეკონომიამ»[55]. კენეს «Tableau» არის უდიდესი აღმოჩენა, როგორიც კი ახსოვს ეკონომიური აზროვნების ისტორიას «კაპიტალამდე».

ფიზიოკრატული სისტემა დასრულებულ-განვითარებული სახით გვევლინება ისტორიულად ცნობილ ტიურგოს ეკონომიურ თეორიაში. საერთოდ, ფიზიოკრატების გამოსვლამდე გაბატონებული იყო აზრი, რომელიც შეიცავდა მარტივ დებულებას: მოგება წარმოდგება გაცვლიდან. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება წარმოებაში კი არ იქმნება პროდუქტული შრომის საშუალებით, ზედმეტი ღირებულება გაცვლა-გამოცვლის სფეროში წარმოიშობა. ასეთი შეხედულების წინააღმდეგ ტიურგომ გამარჯვებული იერიში მიიტანა. ტიურგოს შეხედულებით, ზედმეტი ღირებულება (resp. მოგება) სრულებით არ იქმნება საქონლის მიმოქცევის სფეროში, ის აქ გამოიჟღინება და ნაღდდება. საქონელი იყიდება ღირებულების მისედვით. მოგება წარმოდგება იქიდან, რომ საქონელი შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, რომლის რეალიზაცია ხდება გაცვლის სფეროში და ამიტომ გვეჩვენება, ვითომ მოგება საქონლის მიმოქცევა-

[55] Теории etc. ტ. I, გვ. 73.

ში, ვაჭრობაში წარმოიშობა. რატომ შეიცავს საკონელი ზედმეტ ღირებულებას? იმიტომ—უპასუხებს ტ ი უ რ გ ო,—რომ გამყიდველი საკონელს ყიდის არა იმის მიხედვით, რაც ის ულირს მას: საკონელი შეიცავს ღირებულების ნაწილს, რომელიც არაფრად უღირს, რომლისათვის არაფერი გადაუხდია. აი, ამ უფასოდ მითვისებული ღირებულების ნაწილის განაღდება მიმოქცევაში ხდება და ამიტომ ეს სფერო წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის პირობას და არა წყაროს. ეს იყო უდიდესი ისტორიული ნაბიჯი, რომელიც გადადგა ფიზიოკრატულმა თეორიამ. «ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხი—ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი—ფიზიოკრატებმა გადაიტანეს მიმოქცევის სფეროდან უშუალო წარმოების სფეროში და ამით ჩაუყარეს საფუძველი კაპიტალისტური წარმოების ანალიზს»[56]. უმთავრესად ამაში მდგომარეობს «დამსახურება და განმასხვავებელი ნიშანი ფიზიოკრატიის»[57].

როგორც ვხედავთ, ფიზიოკრატული თეორია გულისხმობს როგორც ზედმეტ ღირებულებას, ისე ამ ღირებულების ნამდვილ წყაროსაც. ამავე დროს ეს თეორია გაურკვეველია თვითღირებულების საკითხში. ფიზიოკრატები, როგორც ჰ ა რ ქ ს ი ამტკიცებს, ღირებულების სუბსტანციად თვლიან არა აბსტრაქტულ შრომას, არამედ კონკრეტულს. მათ არ იციან, რომ ღირებულების საზომი არის სამუშაო დრო. მეტი კიდევ. ფიზიოკრატების შესედულებით ღირებულება ჩვეულებრივი ნივთია, მატერია, რომელსაც მიწა იძლევა და არა «ადამიანის მოქმედების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმა». მაშასადამე, ფიზიოკრატებს არ აქვთ ნამდვილი წარმოდგენა ღირებულებაზე. რაც შეეხება ზედმეტ ღირებულებას, აქ ისინი უფრო ძლიერი არიან. რით აიხსნება ეს წინააღმდეგობა? ამას ახლავე გავეცნობით.

ტ ი უ რ გ ო ამტკიცებს, ზედმეტი ღირებულება მიმოქცევაში ნაღდდება, მაგრამ წარმოებაში იქმნება. მას მხედველობაში აქვს მხოლოდ სასოფლო მეურნეობა, ვინაიდან, ფიზიოკრატების აზრით, ღირებულება სოფლის წარმოებაში იქმნება. პროდუქტული, ნაყოფიერია ისეთი შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას—ამტკიცებენ ფიზიოკრატები სრულებით სამართლიანად, მაგრამ ასკვნიან უსამართლოდ, როცა აყენებენ დებულებას, რომ ასეთი შრომა შესაძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. ეს შეცდომაა, მაგრამ შეცდომა ისტორიულად აუცილებელი. პროდუქტულია სასოფლო-

[56] Ibid. გვ. 38.
[57] Ibid. გვ. 41.

სამეურნეო შრომა, რადგან ეს შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ზედმეტი ღირებულების შექმნისათვის აუცილებელია შრომის შესაფერი ნაყოფიერება. მიზეზი გასაგებია: ზედმეტი ღირებულება იქმნება იქ, სადაც დაქირავებული შრომა ქმნის ღირებულებას, რომელიც მეტია თვით «შრომის» ღირებულებაზე. სხვანაირად, მუშამ უნდა შექმნას პროდუქტი, რომლის ღირებულება მეტია თვით მუშის არსებობის საშუალებათა ღირებულებაზე. ტიურგოს ეს წამს მტკიცედ. ფიზიოკრატული კონცეპცია გამოდის ამ შეხედულებიდან და ამტკიცებს, რომ როგორც შრომის ნაყოფიერება, ისე ზედმეტი ღირებულება სოფლის მეურნეობაში იქმნება, იქ ვითარდება. მარქსი შემდეგნაირად ხსნის ფიზიოკრატების ამ ცალმხრივობას. შრომის ნაყოფიერება და ზედმეტი ღირებულება ხელშესახებად ცხადი ხდება თავდაპირველად სოფლის მეურნეობაში. აქ ის ღირებულება, რომელიც მოიყვანა მწარმოებელმა და ის ღირებულება, რომელსაც ის ღებულობს ხელფასის სახით, აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი გაცილებით მეტია მეორეზე. განსხვავებას სწორედ ზედმეტი ღირებულება შეადგენს. მისი საყოველთაო ფორმაა რენტა. სოფლის მეურნეობაში ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესი «გამოიცლინება მატერიალურად შესაგრძნობად», აქ რენტა «მეტისმეტად ხელშესახები და თვალში აშკარად მცემი ფორმაა ზედმეტი ღირებულების, ზედმეტი ღირებულებაა კვადრატში»[58]. ასეთ პირობებში შესაძლებელია არ იყოს მოცემული სწორი წარმოდგენა ღირებულებაზე, მაგრამ დაახლოვებით სწორი წარმოდგენა ზედმეტ ღირებულებაზე ადვილად შესაძლებელია. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წარმოშობის პროცესი აქ «გასაგებია მაშინაც კი, როდესაც ღირებულება გაგებულია სახმარ ღირებულებად, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ნივთად»[59]. ამიტომაც ღირებულებაზე არა საკვლევით სწორმა შეხედულებამ ხელი არ შეუშალა ფიზიოკრატებს მოენახათ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის წყარო. ესაა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომა. ეს შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას და ამიტომ ის პროდუქტულია, ნაყოფიერი. სხვა დანარჩენი შრომა უნაყოფოა. ასეთია შრომა ქალაქის მრეწველობაში. აქ შრომა ცვლის ნივთიერების ფორმას, თვითონ კი არაფერს უმატებს მას და არც ღირებულებას ქმნის. ხოლო თვით ეს ნივთიერება, მრეწველობაში მომქმედი შრომის საგანი სოფლის მეურნეობის ნაყოფია. ამრიგად, მრეწველობაში არ იქმნება არც ღი-

[58] Теории etc. ტ. I, გვ. 40.
[59] Ibid.

რებულება, არც ზედმეტი ღირებულება. მოგება ამიტომ რენტიდან გამოიყვანება, როგორც მისი ნაწილი, რადგან თვით რენტა ზედმეტი ღირებულების ერთადერთი საყოველთაო ფორმაა. ასევე ითქმის პროცენტზე. ასეთია ფიზიოკრატული თეორიის დასკვნები. როგორც ვხედავთ, ფიზიოკრატები მთლიანად იმეორებენ ამ საკითხში თავიანთ წინამორბედთა შემცდარ შეხედულებებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არის სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომა ნაყოფიერი და რატომ სწორედ იქ იქმნება ზედმეტი ღირებულება? ფიზიოკრატების აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ტიურგო ამტკიცებს, რომ ის «ზედმეტი», რომელიც იქმნება სოფლის მეურნეობაში, არის «ბუნების წმინდა ნაყოფი», წარმოშობილი ნიადაგის მიერ. მუშა იმიტომ ქმნის საკუთარი «შორმის ღირებულებაზე» მეტს, რომ მიწის ნიადაგი ნოყიერია. ზედმეტ ღირებულებას ითვისებს მიწის მფლობელი, რადგან მიწა მის კერძო საკუთრებას შეადგენს, და, საერთოდ, შრომის საშუალებანი დაპირდაპირებულია მუშასთან, როგორც კაპიტალი შრომასთან. მიწა მიწათმფლობელს ეკუთვნის, ხოლო ზედმეტ ღირებულებას მიწა, ნოყიერი ნიადაგი იძლევა. ამიტომ ბუნებრივია, თუ ზედმეტი ღირებულება რენტის სახით მიწათმფლობელს მიაქვს. სხვანაირი დასკვნის გამოყვანა აქედან შეუძლებელია, და არც ფიზიოკრატებს გამოყავთ ის. ეს ილუზია არ შექმნილა შემთხვევით. საქმე იმაშია, რომ სოფლის მეურნეობაში «უსსოვარ დროიდან ფართო მასშტაბით არსებობდა ადამიანისა და ბუნების თანამშრომლობა, ადამიანის სამუშაო ძალის გადიდება ავტომატურად მომქმედ ბუნების ძალების ექსპლოატაციისა და მათთან შეგუებით»[60]. ეს გარემოება ქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას— ნიადაგის ნაყოფიერების დიდ მნიშვნელობას. რენტა ადვილად შეიძლება მიწის ნიადაგს მიეწეროს და ზედმეტი ღირებულების წყაროდ მიწის ნაყოფიერება იქნეს მიჩნეული. ფიზიოკრატული თეორია ასეთ დასკვნის წინაშე უკან არ იხევს.

მართლაც, რა გზით წარმოიშობა ზედმეტი ღირებულება სოფლის მეურნეობაში? ფიზიოკრატების აზრით, ზედმეტი ღირებულება იქმნება არა იმიტომ, რომ მუშა მუშაობს ზედმეტ დროს, რაც აუცილებელია მისი «შრომის ღირებულების» აღსადგენად. მუშა დამქირავებელს არ აძლევს იმაზე მეტ შრომას, რასაც ის ღებულობს დამქირავებლისგან სამუშაო ჭირის სახით. მაშასადამე, აქ არ ხდება დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია. ექსპლოატაციის ცნე-

[60] ibid. გვ. 41.

ბა უცხოა ფიზიოკრატებისთვის. ისინი მხოლოდ ამტკიცებენ: სასმარი ღირებულება, რომელსაც მუშა ქმნის წარმოებაში, მეტია იმაზე, რასაც ის ღებულობს. ეს «მეტი» არის ზედმეტი ღირებულება. ეს არ არის მუშის ზედმეტი შრომის, დამატებითი სამუშაო დროს ნაყოფი. სამუშაო დღე უცვლელია, ხელფასის მტკიცე მინიმუმიც მოცემულია. მუშა მთლიანად ღებულობს თავისი «შრომის ღირებულებას». თუ ის ქმნის ზედმეტ ღირებულებას, ეს არა იმიტომ, რომ ის ზედმეტ ხანს მუშაობს. ამაში ბრალი მიუძღვის თვით ბუნებას, მიწას, მის ნოყიერ ნიადაგს. ბუნება იძლევა ზედმეტ ღირებულებას. უკანასკნელის საყოველთაო ფორმაა რენტა. მაშასადამე, რენტა აღმოცენებულია მიწიდან ისევე, როგორც მცენარე. ამრიგად, დასკვნა ასეთია: «ფიზიოკრატების მოძღვრებით, ზედმეტი ღირებულება წარმოიშობა განსაკუთრებული სახის შრომის ნაყოფიერების წყალობით მიწათმოქმედებაში. და მთელი ეს განსაკუთრებული ნაყოფიერება თავისი არსებობით განსაზღვრულია თვით ბუნების მიერ»[61].

როგორც ვხედავთ, ზედმეტი ღირებულების რაობის გამორკვევის საკითხში ფიზიოკრატული თეორია შინაგან წინააღმდეგობაში ვარდება. ერთის მხრივ, ტიურგო გარკვევით ლაპარაკობს, რომ ზედმეტი ღირებულება იქმნება სოფლის მეურნეობაში დაქირაველებული შრომის საშუალებით. მუშა ღებულობს საკუთარი შრომის არა მთელ პროდუქტს, არამედ მის ნაწილს. ამ თვალსაზრისით ფიზიოკრატებს სწორად აქვთ გაგებული ზედმეტი ღირებულების წყარო, თუმცა სოფლის მეურნეობის ფარგლებში მხოლოდ. მეორე მხრივ, ეს შეხედულება ეწინააღმდეგება «ბუნების წმინდა ნაყოფის» კონცეპციას, რომელსაც იგივე ტიურგო აყენებს. აქ მოცემულია თეორიის ღრმა შინაგანი წინააღმდეგობა. ამ წინააღმდეგობის ფესვები თვით არსებულ სინამდვილეში, საზოგადოების ეკონომიური საფუძველების განუმტკიცებლობაში უნდა ვეძიოთ. «ყოველივე ეს—წინააღმდეგობაა, რაც ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოებას, რომელიც იზრდება ფეოდალური საზოგადოების წიაღში და ამ საზოგადოებას ხსნის ბურჟუაზიულად, მაგრამ კიდევ არ ძალუძს მონახოს თავისი საკუთარი ჭეშმარიტი ფორმა»...[62] მაშასადამე, ფიზიოკრატული თეორიის ეს შინაგანი წინააღმდეგობა ზედმეტი ღირებულების საკითხში თვით ეპოქის წინააღმდეგობაა უმთავრესად. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ლოგიკურიცაა ამავე დროს. ფიზიოკრატების გამოსვლა-

[61] ibid. გვ. 45—46.
[62] ibid. გვ. 44.

მდე საკითხი ისმებოდა იმის შესახებ, თუ როგორი შრომა ქმნის საზოგადოების სიმდიდრეს. ფიზიოკრატებმა საკითხი სხვანაირად, გაცილებით უფრო რთულ ფორმაში დააყენეს. მათ აინტერესებთ არა იმის გამორკვევა, თუ როგორი სახის შრომა ქმნის ღირებულებას, არამედ იმის გაგება, თუ როგორი შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას. მათ არ ჰქონდათ გამორკვეული მარტივი პრობლემა და უშუალოდ შეუდგენ რთული პრობლემის გადაჭრას. ისინი დაადგენ რთულიდან მარტივზე გადასვლის გზას. მარქსი ამიტომ შენიშნავს მოსწრებულად: ფიზიოკრატები, მაშასადამე, «იხილავენ საკითხს რთულ ფორმაში, სანამ გადაწყვეტდენ მას მის ელემენტარულ ფორმაში; ასე, ყველა მეცნიერების ისტორიული განვითარება მრავალ ურთიერთზე გადახლართულ და მიკიბულ-მოკიბული გზით უახლოვდება მათ ნამდვილ გამოსავალ წერტილს. დანარჩენი არქიტექტორებისგან განსხვავებით, მეცნიერება არამც თუ ხატავს ჰაერის კოშკებს, მეტი კიდევ, აშენებს შენობის სართულებს ამ შენობის საფუძველის აგებამდე»[63]. ჩვეულებრივ ენაზე, ამას ეწოდება შენობის დაწყება სახურავიდან. ასე მოიქცა სწორედ ფიზიოკრატული სკოლა. მას არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ღირებულებაზე და ამავე დროს შეუდგა ზედმეტი ღირებულების ანალიზს, მისი ბუნების გამორკვევას. ისტორიული მომენტის სირთულეს თან დაემატა ლოგიკური მომენტის სირთულე. ფიზიოკრატული სისტემაც ზედმეტი ღირებულების თეორიაში შინაგან წინააღმდეგობაში მოექცა. ამ წინააღმდეგობის დაძლევა შინაგანი ძალებით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ფიზიოკრატულმა თეორიამ მოგვცა კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზი — როგორც მარქსი ამბობს — «ბურჟუაზიული გაგების ფარგლებში». ამ თეორიის მიხედვით, ღირებულება მხოლოდ სახმარი ღირებულებაა და, როგორც ასეთი, ნივთიერებაა, მატერია. მაშასადამე, ეს თეორია სავსებით უხვევს გვერდს სოციალურ მომენტს, საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოადგენს ღირებულების გაგების აუცილებელ პირობას და რომლის გარეშე ღირებულება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ფიზიოკრატული სისტემის დიდი შეცდომა, პრინციპულად შემცდარი შეხედულება, რომელიც მთლიანად გაიზიარეს კლასიკური სკოლის ეკონომისტებმაც. ეს შეცდომა მდგომარეობს შემდეგში: თუ ღირებულება უბრალო მატერიაა, კაპიტალიც უბრალო ნივთიერებაა, რადგან კაპიტალი ღირებულებაა; მატერია, ნივთიერება ზეისტორიული, მარადიული ცნებაა. ამ სილოგიზმიდან აუცილებლად გამომდინარეობს

[63] К критике etc. გვ 76.

ფორმალურ ლოგიკური დასკვნა: მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, კაპიტალი ზეისტორიული, უცვლელი, მარადიული კათეგორიაა, თვით კაპიტალისტური წარმოება იარსებებს საუკუნოთ. ფიზიოკრატული თეორია კაპიტალს შლის შემადგენელ ელემენტებად და ნახულობს აქ მხოლოდ ნივთიერ ნაწილებს. მატერიალური აქ დიამეტრალურად დაპირისპირებულია სოციალურთან, ეს უკანასკნელი უარყოფილია სავსებით. კაპიტალი არ არსებობს წარმოების ნ ი ვ თ ი ე რ ი პირობების გარეშე, მაგრამ რათა ეს პირობები კაპიტალად იქცეს, აუცილებელია შესაფერი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ურთიერთობა, მეურნეობის სათანადო ფ ო რ მ ა, წარმოების შესაფერი წ ე ს ი. კაპიტალი არ არის აბსტრაქტული კათეგორია, ის ისტორიულია და, როგორც ასეთი, განსაზღვრული საწარმოო ურთიერთობათა შემცველი. ფიზიოკრატები პრობლემის ამ არსებით მხარეს უყურადღებოდ სტოვებენ, ისინი მოვლენიდან გამოდიან და მის საზღვრებს არ სცილდებიან. ამიტომ «წარმოების ბურჟუაზიული ფორმები მათთვის აუცილებლად იქცა ამ წარმოების ბუნებრივ ფორმებად»[44]. წარმოების ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი, მაშასადამე, ისტორიულად განსაზღვრული ფორმა—ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული—ფიზიოკრატებისათვის გადაქცეულია ბ უ ნ ე ბ რ ი ვ, მაშასადამე, ზეისტორიულ ფორმად. ამიტომაც კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანიც წარმოდგენილია მარადიულად მოცემულად. კაპიტალისტური წარმოების კანონები გადაქცეულია ისტორიულ განვითარების უცვლელ, ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ კ ა ნ ო ნ ე ბ ა დ.

ასეთია პრინციპული შეცდომა, რომელსაც ემყარება ფიზიოკრატების ეკონომიური სისტემა. ქვეეით დავინახავთ, ამ შეცდომის ნიადაგზე დგანან მტკიცედ კლასიკოსებიც. ეს შეცდომა იყო ისტორიულად აუცილებელი მანუფაქტურულ პერიოდში.

ფიზოკრატულ თეორიას ზოგიერთები თვლიან ფეოდალიზმის პოლიტიკურ ეკონომიად. გარეგნულად მართლაც ასე გამოდის: a) ზედმეტი ღირებულება იქმნება მიწათმოქმედებაში, რენტა არის ამ ღირებულების საყოველთაო ფორმა; в) პროდუქტული შრომა არსებობს მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, ხოლო ქალაქის მრეწველობა უნაყოფო კლასის საქმეა; c) რენტა თვით ბუნების საჩუქარია, ნოყიერი ნიადაგის ნაყოფი, ხოლო კაპიტალისტური მოგება ამ რენტის ნაწილია—კაპიტალისტი სწუწნის წვენს, მაშასადამე, მსხვილ მიწათმფლობელს. აი, ეს სამი პუნქტი, რომელიც შეიცავს ფიზიოკრატული თეორიის შინაარსს, ქმნის შთაბეჭდილებას: ფიზიოკრატიზმი არის ფეოდალური მიწათმოქმედების თეორიული ეკონომია. ნამდვილად ეს ასე ა რ ა რ ი ს.

[44] Теории etc. ტ. I, გვ. 37.

მარქსი სასტიკად ესხმის თავს ფიზიოკრატების ნაწარმოებთა გამომცემელს ევგენი დერის, რომელიც ფიზიოკრატულ სისტემას ფეოდალური საწარმოო ურთიერთობათა თეორიულ ანალიზად თვლიდა. მარქსი აშიშვლებს ფიზიოკრატული სისტემის ჭეშმარიტ ბუნებას ღრმა მეცნიერული ანალიზით. მარქსი ხაზს უსვამს «ამ სისტემის ფეოდალურ გარეგნობას», რაც შეეფერება «განმანათლებელი ეპოქის არისტოკრატულ ტონს», მაგრამ ეს სისტემა «არსებითად აღიარებდა წარმოების ბურჟუაზიულ წესს ფეოდალური წესის ნანგრევებზე».[1] მარქსი ააშკარავებს ფიზიოკრატული თეორიის შინაგან წინააღმდეგობათა კომპლექსს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ერთის მხრივ, ზედმეტი ღირებულება იქმნება მიწათმოქმედებაში და შეადგენს არსებითად სხვისი შრომის მუქთად მითვისებას, რენტა «განთავისუფლებულია თავისი ფეოდალური გარსიდან» და წარმოდგენილია როგორც ზედმეტი ღირებულება. მეორე მხრივ, რენტა წარმოდგენილია მიწის ნაყოფად, რაც სავსებით ეთანხმება ფეოდალურ აზროვნებას. მაშასადამე, აქ ებრძვის ერთმანეთს ორი მოწინააღმდეგე ტენდენცია, საბოლოოდ მაინც ბურჟუაზიული ტენდენცია იმარჯვებს. ეს აშკარად ჩანს იმ დასკვნებიდან, რომლებიც გააკეთეს ფიზიოკრატებმა. ჯერ ერთი: ზედმეტი ღირებულება იქმნება მიწათმოქმედებაში, მას ითვისებს რენტის სახით მიწათმფლობელი; მრეწველობაში არ აქვს ადგილი არც ღირებულების, არც ზედმეტი ღირებულების წარმოებას, მოგება რენტის ნაწილია; მაშასადამე, სახელმწიფოებრივი გადასახადები უნდა დაეწეროს მიწათმფლობელთა კლასს და არა მრეწველობას. ეს დასკვნა აშკარა ბურჟუაზიულია, კაპიტალიზმის ინტერესების გამომხატველი. მეორე: ფიზიოკრატული თეორია აყენებს თავისუფალი, შეუზღუდველი კონკურენციის პრინციპს. მან წამოაყენა ლოზუნგი: Leisser feire, leisser passer! ეს ლოზუნგი მოითხოვს კონკურენციის სრულ თავისუფლებას, სახელმწიფოს არ ჩარევას მრეწველობის საქმეში. მოკლედ—შორს ხელები ნივთებისგან! მრეწველობა არ ქმნის არავითარ ღირებულებას, იქ მხოლოდ იცვლება სოფლის ნაწარმოების ფორმა. თუ ეს ასეა, რათ უნდა იყოს მრეწველობის განვითარება კანონებით შეზღუდული, ფეოდალური არტახებით ხელფეხშეკრული, მაშ განვითარდეს ქალაქის წარმოება, რომელსაც ზიანი არ მოაქვს ფეოდალური სოფლის მეურნეობისათვის. ეს შესაძლებელია, რასაკვირველია, მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის გზით. როგორც ვხედავთ, ფიზიოკრატული

ibid, გვ. 45.

სისტემის «ფეოდალურ გარეგნობაში» იმალება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წარმოების ინტერესები, სრულებით საწინააღმდეგო შინაარსი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ «თავიანთი ცრუ-ფეოდალური სახის მიუხედავად, ფიზიოკრატები მუშაობდენ ენციკლოპედისტებთან ხელიხელ ჩაკიდებული»[66]. ამიტომ სრულებით ბუნებრივად ფიზიოკრატული თეორია ა რ ს ე ბ ი თ ა დ ბურჟუაზიულ თეორიად გადაიქცა. მაგრამ ფიზიოკრატები აშკარად არ გამოდიან წარმოების ბურჟუაზიული წესის დამცველად, ისინი რ ა დ ი კ ა ლ უ რ ა დ არ სწყვეტენ კავშირს გაბატონებული კლასის — ფეოდალური არისტოკრატიის იდეებთან. ფიზიოკრატული თეორიის ეს სიმორცხვე გამართლებულია ისტორიული განვითარებით: ფილოსოფიაც თავის დროზე რელიგიური მსოფლმხედველობიდან წარმოიშვა და გარეგნულად ემსახურება რელიგიას, მაგრამ შემდგომში ის სპობს რელიგიას — ამბობს მ ა რ ქ ს ი. ეს ანალოგია სრულებით მოსწრებულია, როდესაც ფიზიოკრატულ თეორიაზე ვმსჯელობთ. ფიზიოკრატულ სისტემაშიაც «მიწათმოქმედების ცრუ განდიდება იქცევა მისი [მიწათმოქმედების] ეკონომიურ ნაყოფად და კაპიტალისტური მეურნეობის განმტკიცებაში გადადის»[67]. ფიზიოკრატული სისტემის ნამდვილად ბურჟუაზიული ხასიათი ცხადზე უცხადესი ხდება. მხოლოდ ეს სისტემა პირდაპირ, უშუალოდ არ ასახავს განვითარების ბურჟუაზიულ ტენდენციებს. ის ერთგვარი ელამი სარკეა, სადაც კაპიტალისტი წარმოდგენილია მიწათმფლობელის სახით. მ ა რ ქ ს ი ს ენაზე რომ ვთქვათ, ამ სისტემაში «ფეოდალიზმი აღდგენილია და გაგებულია ბურჟუაზიული წარმოების sub specie [სახით]... «ფეოდალიზმი ღებულობს ამის გამო ბურჟუაზიულ სახეს, ბურჟუაზიული საზოგადოება ღებულობს ფეოდალურ გარეგნობას»[68]. ფიზიოკრატული ეკონომიური აზროვნების ეს მიკიბ-მოკიბული გზა შეეფერება თავის ისტორიულ ეპოქას. ეს არის «ბურჟუაზიული საზოგადოების ის ეპოქა, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოება იჩეკებოდა ფეოდალურიდან»[69]. ფიზიოკრატული ეკონომიუ-

[66] ibid. ტ ი უ რ გ ო, ფიზიოკრატული სისტემის ეს ხერხემალი, მ ა რ ქ ს ი ს დახასიათებით, იყო «საფრანგეთის რევოლუციის ერთერთი ნამდვილი მამა» (Op. cit. გვ. 74), ანდა: «რადიკალური ბურჟუაზიული მინისტრი, რომლის მოღვაწეობა შეადგენდა საფრანგეთის რევოლუციის შესავალს» (გვ. 45). საფრანგეთის რევოლუცია, როგორც ცნობილია, იყო პირველი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუცია, რომელმაც დაანგრია, მილეწ-მოლეწა ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

[67] Теории etc. ტ. I, გვ. 44.

[68] ibid. გვ. 42.

[69] ibid.

რი სისტემა თეორიულად ასახავს ბურჟუაზიული საზოგადოების ფეოდალური საზოგადოებიდან გამოჩეკის მწარე, ტანჯვით აღსავსე ეკონომიურ პროცესს.

ფიზიოკრატულმა თეორიამ გზა გაუწმინდა ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას. ჩვენც უშუალოდ მივადექით ამ ეკონომიის ღირებულების თეორიას, რომლის ანალიზი და საფუძვლია ნი გაგება უკვე გაადვილებულია საკმაოდ—გავეცანით ისტორიულ-ეკონომიურ პირობებს და ეკონომიური აზროვნების განვითარებას, მოკლედ—გავეცანით ნიადაგს, რომელზედაც კლასიკური თეორიული ეკონომია აღმოცენდა. ახლა ჩვენს წინაშე უნდა წარსდგეს კლასიკოსების ეკონომიური თეორია მთელი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ადამ სმიტის ღირებულების თეორია

I

ღირებულების პრობლემა

«ხალხთა სიმდიდრის» გამოქვეყნებით ბურჟუაზიულ თეორიულ ეკონომიას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. ადამ სმიტმა დაისახა გარკვეული მეცნიერული მიზანი — საზოგადოების სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების გამოკვლევა. უნდა ითქვას მეცნიერული ობიექტურობით, პოლიტიკური ეკონომია «ადამ სმიტის შრომაში ჩამოყალიბდა ერთ მთლიან სახეში»[1]. კლასიკური ეკონომიის წინაისტორია დასრულდა და დაიწყო მისი ნამდვილი ისტორია. ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნება პირველად გამოვიდა ფეოდალურ გარსიდან განთავისუფლებული. ადამ სმიტის ეკონომიურ მოძღვრებაში ისტორიულად პროგრესიული და რევოლუციური ბურჟუაზია პოულობს გარკვეულ იდეოლოგიურ სახეს, აყალიბებს ეკონომიურ თეორიას, დიამეტრალურად მიმართულს ფეოდალური საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ. ვილიამ პეტის ეკონომიური პრინციპები ადამ სმიტის თეორიაში პოულობს საფუძვლიან განვითარებას, ინგლისური კლასიკური ეკონომიის მოსამზადებელი პერიოდიც სრულდება და მეცნიერული ეკონომიური აზროვნება გადადის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. პეტის მიერ დაწყებულ საქმეს სმიტი და რიკარდო აგვირგვინებენ, კლასიკური ეკონომია დასრულებულ ფორმაში გვევლინება[2]. ბურჟუაზიულ ეკონომიურ

[1] К. Маркс. Теории etc. ტ. II, ნ. 1. გვ11.

[2] «შევნიშნავ ერთხელ და უკანასკნელად, რომ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად ვთვლი მთელ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც, დაწყებული ვილიამ პეტით იკვლევს წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შინაგან დაოკიდებულებას» (Капитал, ტ. I, გვ. 39. შენიშვნა 32). სხვანაირად: კლასიკური პოლიტიკური ეკონომია «იწყება ინგლისში ვილიამ პეტით, ხოლო საფრანგეთში ბუაგილბერით, და თავდება ინგლისში რიკარდოთი, ხოლო საფრანგეთში სისმონდით» (К критике etc. გვ. 71). აი, ასე ფართოდ ესმის მარქსს კლასიკური პოლიტიკური ეკონომია. მკითხველი ხედავს ნათლად, ჩვენ შემოვიფარგლეთ უმთავრესად ინგლისური პოლიტიკური ეკონომიით, რომელსაც ლენინი თვლის მარქსიზმის წყაროდ.

აზროვნების შემდგომ განვითარებას დაედო გარდაუვალი საზღვარი, რომელიც შეიქმნა კლასობრივი ურთიერთობის გამახვილებით.

სმიტი ამთავითვე აყენებს მნიშვნელოვან პრობლემას — ერთმანეთისგან ანსხვავებს სახმარ და საცვლელ ღირებულებას. მართალია, ეს აზრი პირველად არისტოტელემ წამოაყენა თავის «პოლიტიკაში», მაგრამ მან ვერ ჰპოვა საფუძვლიანი გამოძახილი ,ბურჟუაზიის აზროვნების განვითარების ორი ათასი წლის მანძილზე. ზევით უკვე დავინახეთ, ეკონომისტები ვერ ანსხვავებენ სახმარ და საცვლელ ღირებულებას ერთმანეთისგან და, ფრანკლინის გამოკლებით, გვერდს უხვევენ საცვლელ ღირებულების პრობლემას. ღირებულებაში ისინი ხედავენ სახმარ ღირებულებას, მაშასადამე, უბრალო ნივთს, მატერიას და არა საზოგადოებრივი შრომის სპეციფიკურ ფორმას. ამ შეცდომამ ისინი მიიყვანა კაპიტალისა და მისი შემადგენელი ელემენტების უბრალოდ განივთიერებამდე და, მაშასადამე, მათი აღიარებამდე ზეისტორიულ კათეგორიებად. სმიტიც მთლიანად იზიარებს ამ დასკვნას, მაგრამ მისი შემცდარი კონცეპციის სათავე განსხვავებულ ხასიათს ატარებს პოლიტიკური ეკონომიის საგანი, სმიტის აზრით, საცვლელი ღირებულებაა და, მაშასადამე, ის სახმარ ღირებულებისგან უნდა განსხვავდეს. სმიტი გარკვევით ხედავს სხვაობას, მაგრამ ვერ ამჩნევს მთლიანობას, აქ თავს იჩენს მისი აზროვნების მეტაფიზიკური ხასიათი. სმიტისათვის გაუგებარია საქონლის ორმაგი ხასიათი, მისი წინააღმდეგოვანი ბუნება, ამ შემთხვევაში — სახმარი და საცვლელი ღირებულების მთლიანობა. სმიტის სიძლიერე მდგომარეობს — მარქსის დახასიათებით — მის «გონიერ ინსტიქტში»[4]. სმიტს ეს ინსტიქტი არ ღალატობს ამ შემთხვევაშიაც: ის სამართლიანად ანსხვავებს ერთმანეთისგან ღირებულების ორ მომენტს და სწორად ასკვნის, რომ თეორიული კვლევა-ძიების საგანს სახმარი ღირებულება არ წარმოადგენს.

«უნდა შევნიშნოთ — წერს სმიტი — რომ სიტყვა ღირებულებას აქვს ორი სხვადასხვანაირი მნიშვნელობა. ხშირად ეს სიტყვა გულისხმობს მოცემული საგნის სარგებლობას, ხშირად კი ამ საგნით სხვა საქონლის ყიდვის შესაძლებლობას, რომელსაც იძლევა ამ საგნის ქონება. პირველს შეიძლება ეწოდოს სახ-

[3] არისტოტელე ამბობს: საგნით სარგებლობა შეიძლება იყოს ორგვარი. ერთი: როდესაც საგანს ხმარობენ და, მეორე, როდესაც ცვლიან (იხ. «Политика», 1911. გვ. 23).

[4] Теории. ч. II, ნ. 2, გვ. 201.

მარი ღირებულება, მეორეს კი—საცვლელი ღირებულება»[5].

სმიტი გადაჭრით მოითხოვს მათი ერთმანეთში გარჩევას. მეტი კიდევ, მან კარგად იცის, რომ საცვლელი ღირებულება შეუძლებელია გაიზომოს სახმარი ღირებულებით. ამ დებულებით კლასიკური ეკონომიის ეს გენიოსური წარმომადგენელი მახვილსა სცემს სუბიექტივიზმს თეორიულ ეკონომიაში. სმიტი განაგრძობს: «საგნები, რომლებსაც აქვთ მეტად დიდი სახმარი ღირებულება, ხშირად აქვთ ძალიან მცირე საცვლელი ღირებულება, ანდა სრულებით არ აქვთ ის. პირიქით, საგნები, რომლებსაც აქვთ ძალიან დიდი საცვლელი ღირებულება, ხშირად აქვთ ძალიან მცირე სახმარი ღირებულება, ანდა სრულებით არ აქვთ ის. არაფერია წყალზე უფრო სასარგებლო, მაგრამ წყლით თითქმის არაფრის ყიდვა არ შეიძლება. ის თითქმის არაფერზე არ გაიცვლება. პირიქით, მარგალიტს თითქმის არ გააჩნია არავითარი სახმარი ღირებულება, მაგრამ ხშირად ის იცვლება დანარჩენ საქონელთა მეტად დიდ რაოდენობაზე»[6]. ამრიგად, ადამ სმიტი აყენებს დებულებას, რომელსაც ძირეულად უარყოფს თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომია. ღირებულების სუბიექტივისტური კონცეპცია, რომელიც ემყარება მენგერისა და ბემ-ბავერკის საზღვრითი სარგებლიანობის თეორიას, ამტკიცებს: საგნის ღირებულება მის სარგებლიანობაში მდგომარეობს და ამიტომ საგანი რამდენად სასარგებლოა ადამიანისთვის, იმდენად დიდია მისი ღირებულება[7]. როგორც ვხედავთ, ადამ სმიტის მეცნიერული ალღო, ბრწყინვალე გონიერი ინსტიქტი მთელი საუკუნით ადრე ითვალისწინებს ბურჟუაზიული ეკონომიის საკალალო შთამომავლობას და სასაცილო თეორიას, რომელსაც საზღვრითი სარგებლიანობის თეორია ეწოდება და რომლითაც თავდება ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნების დეკადანსი. ჰაერს, წყალს უდიდესი სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის, უდიდესად სასარგებლოა ორივე სუბიექტისათვის. მიუხედავად ამისა, მათ არ აქვთ ღირებულება და არც გვევლინებიან საცვლელ ღირებულების ფორმაში. მეორე მხრივ, მარგალიტი სახმარი ღირებულების, მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით, სრულებით უმნიშვნელო საგანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი საცვლელი ღირებულება მეტად დიდია. აქედან გამომდინარეობს საკალდებულო

[5] Адам Смит. Исследование о природе и причинах богатства народов. ტ. I და II. მოსკოვი, 1931. წიგნი I, თავი IV. კურსივი ჩვენია.

[6] Ibid.

[7] სუბიექტური ღირებულების კრიტიკა იხ. მალაქია ტოროშელიძე, სუბიექტივიზმი და ობიექტივიზმი. ჟურ. «მარქსიზმის დროშა», 1925 წ. № 2-3.

წესი: სახმარი და საცვლელი ღირებულება უნდა იქნეს ერთ-მანეთისგან გარჩეული, შეუძლებელია მათი შერევა ერთმანეთში[8]. აი, ამ წესის აღნიშვნით იწყებს ადამ სმიტი ღირებულებაზე მსჯელობას.

სახმარი ღირებულება, ამრიგად, შესაძლებელია საცვლელ ღირებულების გარეშე. მაგრამ შესაძლებელია თუ არა საცვლელი ღირებულება სახმარი ღირებულების გარეშე, ამ კითხვას სმიტი არ აყენებს. სახმარი ღირებულება არის საცვლელი ღირებულების ნივთიერი მატარებელი. ამიტომ საცვლელი ღირებულება შეუძლებელია სახმარი ღირებულების გარეშე. საგანი, მოკლებული სახმარ ღირებულებას, ე. ი. იმას, რომ შესაძლებელია მისი მიზანშეწონილი მოხმარება, შეუძლებელია გახდეს საცვლელ ღირებულებად. სახმარი ღირებულება ყოველთვის მოცემულია საქონლის ღირებულებაში, მაგრამ ყოველგვარი სახმარი ღირებულება როდია საქონლის ღირებულების ფორმაში წარმოდგენილი. სმიტი, როგორც აღვნიშნეთ ზევით, ამჩნევს სხვაობას სახმარ და საცვლელ ღირებულებას შორის. სამაგიეროდ ის ვერ ხედავს მნიშვნელობას, რომელიც ეძლევა სახმარ ღირებულებას. სხვანაირად, ის ვერ ხედავს სხვაობაში მთლიანობას. საქონელი არის სწორედ სახმარი და საცვლელი ღირებულების ერთიანობა, სხვანაირად—წინააღმდეგობათა მთლიანობა. აქ მოცემულია საქონლის ორმაგი ხასიათი. საქონლის ორმაგობა სმიტისათვის არ შეადგენს შეუცნობელ საიდუმლოებას. მართალია, სმიტი ამაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ეს იგულისხმება, რადგან სახმარ და საცვლელ ღირებულებათა გარჩევა წამოყენებულია გარკვევით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სმიტს არ აქვს წარმოდგენა საქონლის ორმაგი ხასიათის შინაბუნებაზე, არ იცნობს იმ მიზეზს, რომელიც იწვევს საქონლის ორმაგობას. ამიტომ სმიტისათვის საქონლის შინაგანი წინააღმდეგობანი უცნობი რჩებიან.

[8] თერმინოლოგიურ სისწორეს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული აზროვნებისათვის. რუსულ ენაზე მოიხმარება ორი სიტყვა: ценность და стоимость. ხშირად მათ ერთმანეთის სინონიმად თვლიან, ნამდვილად კი ეს ასე არ არის: პირველი უფრო სუბიექტურია და გამოხატავს ,,რსებითად საგნის სარგებლიანობას, მეორე ობიექტურია და შეიცავს ღირებულების ობიექტურ სუბსტანციას — აბსტრაქტულ შრომას. ლენინი სწორედ ხმარობს стоимость-ს და არა ценность-ს. «ხალხთა სიმდიდრის» რუსი მთარგმნელი ბიბიკოვი სამართლიანად შენიშნავს: სიტყვა стоимость «უფრო უახლოვდება იმას, რაც ადამ სმიტის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს საცვლელი ღირებულების საზომად» (იხ Адам Смит. Исследования etc. გამოკ. 1866 წ. ტ. I, გვ. 133. ბიბიკოვის შენიშვნა). ასევე ქართულ ლექსიკონშიაც: ფასეულობა და ღირებულება. პირველი შეეფერება ბემბავერკის სუბიექტივისტურ თეორიას, მეორე კი—კლასიკოსებისა და მარქსის ობიექტივისტურ თეორიას.

რაში მდგომარეობს ხალხთა სიმდიდრის წყარო? რა არის საცვლელი ღირებულების ობიექტური საზომი? სმიტი ამაზე გადაჭრით გვიპასუხებს: ესაა ადამიანის შრომა. შრომა ქმნის სიმდიდრეს, შრომა არის საცვლელი ღირებულების საზომი—ამტკიცებს სმიტი. მოვუსმინოთ მას, გავეცნოთ მის არგუმენტებს. «ადამიანი მდიდარია ან ღარიბი მიხედვით შრომის იმ რაოდენობის, რომელიც მას გააჩნია, ანდა შეუძლია იყიდოს». სმიტი განაგრძობს: «ყველაფერი, რაც იყიდება ფულად ანდა იცვლება სხვა საქონელზე, შეიძინება შრომით, ასევე ყველაფერი ის, რასაც იძენს ადამიანი ოფლით; ფული და საქონელი გვინახავ' ამ შრომას. მასში [საქონელში] მოცემულია ღირებულება შრომის განსაზღვრული რაოდენობის, რომელიც იცვლება იმ საგანზე, რომელშიაც იგულისხმება შრომის ამავე რაოდენობის ღირებულება. ამრიგად, შრომა იყო პირვანდელი ფასი, ის საყიდველი ჯამი, რომელიც გადახდილ იქნა ყოველგვარი საგნის პირვანდელი ყიდვის დროს. არა ოქროთი და ვერცხლით, არამედ მხოლოდ შრომით იქნა პირველად ნაყიდი ქვეყნის მთელი სიმდიდრე... მაშასადამე, შრომა არის ყოველგვარი საგნის საცვლელი ღირებულების ნამდვილი საზომი»[9]. საცვლელი ღირებულების სხვა საზომი არ არსებობს, რადგან ეს ღირებულება შექმნილია შრომით. საქონელი «შეიცავს განსაზღვრული რაოდენობის შრომის ღირებულებას». და სწორედ ამ «შრომის ღირებულების» მიხედვით უნდა გაიზომოს საქონელი, მისი რაოდენობის მიხედვით უნდა მოხდეს გაცვლა-გამოცვლის აქტები. საქონელი იცვლება საქონელზე, ამავე დროს განსაზღვრული პროპორციით. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველგვარი საქონელი შრომის პროდუქტია, «შრომის ღირებულებას» შეიცავს და მათი პროპორციული მიმართება განსაზღვრულია მათში მოცემული «შრომის ღირებულებათა» პროპორციული მიმართებით. შრომით შეიძლება ყველაფრის ყიდვა, შეიძლება ყველაფრის გაყიდვა, რაც მიზანშეწონილი შრომის პროდუქტ' წარმოადგენს. ყოველგვარი საგნის საცვლელი ღირებულების ერთად-ერთი საზომი ამიტომაც არის სწორედ ადამიანის შრომა, საზოგადოების სიმდიდრის ეს ერთადერთი წყარო, შემქმნელი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ადამ სმიტი გარკვევით აყენებს და თავისებურად ასაბუთებს კიდეც შრომითი ღირებულების თეორიას.

საკითხს თუ დავსვამთ, რა არის ღირებულება, სახელდობრ, როგორი შრომაა ღირებულების შემქმნელი, ამაზე სმიტი ვერაფერს გვიპასუხებს. ეს არ წარმოადგენს სმიტის კვლევა-ძიების საგანს.

[9] Op. cit. თავი V.

მაშასადამე, სმიტი ვერ ააშკარავებს ღირებულების შინაბუნებას. ის იღებს მოვლენას, საცვლელ ღირებულებას, ცდილობს შეიჭრას მის არსებაში და აღმოაჩენს ადამიანის შრომას, როგორც ღირებულების შინაარსს. მაგრამ სმიტი ვერ სწვდება პრობლემის სიღრმეს და ვერ ააშკარავებს ყოველმხრივ ღირებულების ობიექტურ ბუნებას. შრომა უმარტივესი ეკონომიური კათეგორიაა, საქონელი—ბურჟუაზიული სიმდიდრის უჯრედი. მარტივის გამოკვლევა ძნელია რთულის გამოკვლევაზე, უჯრედის შესწავლა—ორგანიზმის შესწავლაზე. სმიტმა ვერ დაძლია ეს სიძნელე და მას გვერდი აუხვია. ამით ღირებულების ნამდვილი ბუნება არსებითად გამოურკვეველი დატოვა. მხოლოდ მარქსმა შეძლო პრობლემის მეცნიერული გადაჭრა.

თანამედროვე ბურჟუაზიული კრიტიკა სმიტს უსაყვედურებს არა იმას, თუ რათ არ არკვევს ის ღირებულების შემქმნელ შრომის ხასიათს და არ იძლევა პასუხს, როგორი შრომა წარმოადგენს ღირებულების სუბსტანციას. პირიქით, ეს კრიტიკა სმიტს უყენებს კითხვას: რატომ ქმნის შრომა ღირებულებას, რით შეიძლება ამის დასაბუთება. სუბიექტივური ეკონომიის მთავარი თეორეტიკოსი ბევ-ბავერკი აცხადებს: «სმიტმა და რიკარდომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ როგორც აქსიომა გამოთქვეს აზრი, რომ შრომა შეადგენს ღირებულების პრინციპს»[10]. როგორც ვხედავთ, ბემ-ბავერკი მოითხოვს კლასიკური სკოლის ეკონომისტებისგან იმის დამტკიცებას, თუ რატომ წარმოადგენს სწორი ხაზი ორ წერტილს შორის უმოკლესს მანძილს. სმიტი არ გაურბის თავის გამოსავალი დებულების დასაბუთებას, ამისათვის მას არ სჭირდება აბსტრაქტული აზროვნების ლოგიკური კონსტრუქციები. უტყუარი საბუთია თვით ემპირული სინამდვილე. ყოველგვარი კონკრეტული საგანი შრომის ნაყოფია. სახლი, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს, როდი ამოდის მიწიდან თავისთავად, როგორც სოკო წვიმებიან გაზაფხულზე. მხოლოდ ადამიანის შრომა ქმნის საზოგადოების სიმდიდრეს, მხოლოდ შრომისა და მისი იარაღების განვითარებით იმორჩილებს საზოგადოებრივი ადამიანი ბუნების სტიქიურ ძალებს, იპყრობს ბუნებას. შრომის გარეშე არ იქმნება არავითარი ღირებულება. ბურჟუაზიული მეცნიერი, რომელიც სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, სერიოზულად ფიქრობს ალბათ, რომ შრომა სიმდიდრეს არ ქმნის. ამიტომ ის მოითხოვს ემპირულად ცხადყოფილის თეორიულად დასაბუთებას.

[10] Бем-Баверк. Капитал и прибыль. 1909. გვ. 476. შეად. გვ. 472. ხაზგასმა ჩვენია.

მ ა რ ქ ს ი გენიოსურად შენიშნავს ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ცნობისმოყვარეობის დასამშვიდებლად: „ლაყბობა იმაზე, რომ აუცილებელია ღირებულების ცნების დამტკიცება, დამყარებულია მხოლოდ სრულ უმეცრებაზე როგორც იმის შესახებ, რაზედაც ლაპარაკია, ასევე თვით მეცნიერების მეთოდის შესახებაც. თითოეულმა ბავშვმაც კი იცის, რომ ყოველიე ნაცია, რომელიც თავს ანებებს შრომას, არ ვიტყვი ერთი წლით, მაგრამ რამდენიმე კვირით მაინც, იღუპება სიმშილით. თითოეულმა ბავშმა იცის აგრეთვე, რომ პროდუქტების მასა, მოთხოვნილებათა სხვადასხვაგვარი მასის თანაბარი, მოითხოვს საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვაგვარ განსაზღვრულ მასას“ [1]. ეს ანბანური ჭეშმარიტება თითოეულმა ბავშმა იცის, მართლაც, „ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ როგორც აქსიომა“. ა დ ა მ ს მ ი ტ ი არ ასაბუთებს ფაქტს, რადგან ფაქტის ბუნება არ მოითხოვს დასაბუთებას. საჭიროა მხოლოდ ფაქტის ახსნა, მისი შინაგანი კანონზომიერების შემეცნება, შინაბუნების გაგება. აი, ეს ვერ შეძლო ს მ ი ტ მ ა: მან ვერ გაარკვია ღირებულების შემქმნელი შრომის შინაგანი ხასიათი. ამდენად მან ვერ გაარკვია თვით ღირებულებაც.

შრომა ღირებულების ს ა ზ ო მ ი რომაა, ს მ ი ტ ი ცდილობს დაამტკიცოს შემდეგი მოსაზრებით. ს მ ი ტ ი ფიქრობს, ოქრო და ვერცხლი საქონლის ღირებულების საზომად არ გამოდგება. ორივე ეს თვითონაა საქონელი და, როგორც ასეთი, იცვლება მათი ღირებულება. ღირებულების საზომი უცვლელი, საყოველთაო, უეჭვო უნდა იყოს. შეუძლებელია საქონელთა ღირებულების მოძრაობის გაგება, თუ არ გვაქვს, ამ ღირებულების უძრავი, უცვლელი საზომი. ს მ ი ტ ი ს აზრით, სწორედ ასეთი უცვლელი კათეგორიაა თვით შრომა, მისი ღირებულება არ იცვლება და ამიტომ შრომის ღირებულება შეადგენს საქონელთა ღირებულების საზომს. „შეიძლება ითქვას — ამბობს ს მ ი ტ ი, — რომ ყველა დროსა და ყველა ადგილას შრომის თანაბარ რაოდენობას ჰქონდა ყოველთვის თანაბარი ღირებულება მუშისათვის... ფასი, რომელსაც ის იხდის, ყოველთვის უცვლელი რჩება, როგორიც გინდ არ იყოს საქონელთა რაოდენობა, რომელსაც ის მიიღებს თავისი შრომის გაცვლაში“ [12]. ს მ ი ტ ი ს ეს დებულება, რასაკვირველია შემცდარია. არსებობის საშუალებათა ღირებულება, სმიტის შეხედულებით, უცვლელი რჩება „ყველა დროსა და ყველა ადგილას“ კაპიტალისტური წარმოების განვითარების მანუფაქტურულ პერიოდ-

[11] Письма К. Маркса к Кугельману, 1907. გვ. 47—48.
[12] А. Смит. Op. cit. ტ. I, წ. 1, თავი V.

ში მართლაც ჰქონდა ადგილი დაახლოებით ასეთ მდგომარეობას. სმიტი უშუალოდ გამოდის ემპირულ სინამდვილიდან, ვერ ითვალისწინებს მის ცვალებად, გარდამავალ ხასიათს და ადგენს გაყინულ კანონს ყველა ეპოქისა და ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, სმიტი ნათლად ხედავს, რომ მუშა ღებულობს პირადი მოხმარების საგანთა ხან მეტ, ხან ნაკლებ რაოდენობას, მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ იცვლება «შრომის ღირებულება»: «იცვლება თვით ამ საგანთა ღირებულება და არა ღირებულება შრომის, რომელზედაც ეს საგნები იცვლება»[13]. პირადი მოხმარების საგანთა ღირებულება იცვლება, მაგრამ თვით «შრომის ღირებულება» უცვლელი რჩება. პირადი პირადი მოხმარების საგანთა ღირებულება თუ ეცემა, მუშა მიიღებს მათი მეტ რაოდენობას, და თუ იზრდება ეს ღირებულება, პირიქით, მუშა მიიღებს პირადი მოხმარების საგანთა ნაკლებ ღირებულებას. «შრომის ღირებულება» უცვლელი სიდიდეა, ხოლო პირადი მოხმარების საგანთა ღირებულება—ცვალებადი. აქედან ცხადია—ასკვნის სმიტი,—რომ საქონელთა ღირებულების საზომად მხოლოდ «შრომის ღირებულება» გამოდგება: «ერთად-ერთი შრომა არასოდეს არ იცვლებათავის ღირებულებაში და ის ერთი წარმოადგენს ნამდვილ და უკანასკნელ საზომს, რომლით განიზომება ყველა საქონლის ღირებულება ყველა დროსა და ყველა ადგილას»[14]. «შრომის ღირებულება» არ ემორჩილება ღირებულების მოძრაობის არავითარ კანონს, შრომა უცვლელია თავის ღირებულებაში, ამიტომ შრომაში პოულობს ყოველგვარი საქონელი თავისი ღირებულების ბუნებრივ საზომს.

ეს შემცდარი კონცეპცია შეიცავს ორგვარ სიყალბეს თეორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით. ჯერ ერთი «შრომაც» ისეთივე ცვალებადია თავის «ღირებულებაში», როგორც ყველა დანარჩენი საქონელი. მეორე—არ არსებობს არავითარი «შრომის ღირებულება». შრომა საცვლელი ღირებულების ობიექტური საზომია, ის შემქმნელია ღირებულების. მაგრამ თვით შრომას არ აქვს არავითარი ღირებულება. ღირებულება იზომება შრომით, მაგრამ თვით შრომა როგორ შეიძლება გაიზომოს შრომით? ისე, როგორც არშინი არშინით არ გაიზომება, შრომა ღირებულებით არ გაიზომება. შრომა ღირებულების სუბსტანციაა, მაგრამ თვით შრომას ღირებულება არ გააჩნია. ქვევით დავინახავთ, ეს პრინციპული შეცდომა რამდენად საბედისწერო აღმოჩნდა კლასიკური ეკონომიის

[13] ibid.
[14] ibid.

ღირებულების თეორიისათვის და როგორი როლი ითამაშა მან კლასიკური ეკონომიის დამარცხების საკითხში.

რიკარდომ იერიში მიიტანა სმიტის დებულებაზე, რომლის მიხედვით «შრომის ღირებულება» უცვლელია, მარადიული. რიკარდო ამტკიცებს, რომ «არ არის მართალი» სმიტის შეხედულება, ვითომცდა არ იცვლებოდეს «შრომის ღირებულება», ეს ღირებულებაც იცვლება[15]. მაშასადამე, რიკარდო ასწორებს სმიტის ერთ შეცდომას, არსებითად მეორეხარისხოვანს, ხოლო ხელუხლებლად სტოვებს მთავარს—«შრომის ღირებულებას». მეცნიერულმა ინსტიქტმა სწორად უკარნახა რიკარდოს, რომ სმიტის დებულება ყალბია, მაგრამ ინსტიქტი არაა საკმარისი იქ, სადაც საჭიროა ბასრი მეცნიერული ინტუიცია. რიკარდო ვერ ასაბუთებს თეორიულად, თუ რატომ იცვლება «შრომის ღირებულება» თავის სიდიდეში სწორედ ისევე, როგორც ყველა დანარჩენი საქონელი. მისი სისუსტე ბუნებრივია: ის მტკიცედ დგას პრინციპულ შეცდომაზე, სმიტთან ერთად დარწმუნებულია, რომ შრომას აქვს ღირებულება. თავის დროზე დავინახავთ—ჩვენი შრომის მეორე ნაწილში,—თუ რა გავლენა იქონია ამ შეცდომამ რიკარდოს ეკონომიურ სისტემაზე.

თვითონვე ვარდება სმიტი საკუთარ თეორიასთან წინააღმდეგობაში, როდესაც ამტკიცებს «შრომის ღირებულების» უცვლელობას დროსა და სივრცეში. მართლაც, რით განისაზღვრება «შრომის ღირებულება»? ღირებულებას შრომა განსაზღვრავს, შრომის ღირებულებასაც განსაზღვრავს შრომა. გამოდის ტავტოლოგია—შრომა განსაზღვრავს შრომას. სმიტი ვერ გრძნობს, რომ ის მოჯადოებულ წრეშია მოქცეული. მან ჰპოვა გამოსავალი თავისი გაგებით: შრომა ისეთივე საქონელია, როგორც ყველა დანარჩენი საქონელი. საქონელი ღირებულებაა, მაშასადამე, შრომაც ღირებულებაა ამავე დროს—ასკვნის სმიტი. შრომას, როგორც საქონელს, აქვს ორგვარი ფასი—ნამდვილი და ნომინალური. შრომის ნამდვილი ფასია მისი ღირებულება. რით განისაზღვრება შრომის ნამდვილი ფასი ანუ ღირებულება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სმიტი თავისი წინამორბედ ეკონომისტების პირით. შრომის ნამდვილი ფასი—იმეორებს სმიტი მათ დებულებას—«შედგება საგანთა რაოდენობიდან, რომელიც აუცილებელია ცხოვრების არსებობისა და კეთილდღეობისათვის»[16]. სხვანაირად, შრომის ღირებულებას შეიცავენ «შრომის არსებობის საშუალებანი, ანუ შრომის ნამდვილი ფასი»[17]. მეო-

[15] Рикардо. Начала политической экономии. განყ. I, თავი I.
[16] Исследование etc. წ. I თ. V.

რე მხრივ, შრომის ნომინალური ფასი გამოიხატება «ფულის რაოდენობაში», ესაა შრომის ღირებულების ფულადი გამოთქმა. ფული არის შრომის ღირებულების ნომინალური ფასი. სმიტი დაინტერესებულია და იკვლევს შრომის ნამდვილ ფასს, მის ღირებულებას, რომელიც შეიცავს არსებობის საშუალებათა ღირებულებას. ამთავითვე ვარდება სმიტი წინააღმდეგობაში: განა უცვლელია არსებობის საშუალებათა ღირებულება? ცხადია, არა.

მართლაც, სმიტი ივიწყებს მნიშვნელოვან დებულებას, რომელსაც თვითონ აყენებს თავისი გამოკვლევის დასაწყისში. შრომის განაწილება ზრდის შრომის ნაყოფიერებას—ამტკიცებს აქ სმიტი. ეს სრულებით სწორი დებულებაა. «შრომის განაწილების შედეგად ღებულობთ «ყოველგვარი საგნის წარმოების საგრძნობ გადიდებას»[18]. მეტი კიდევ. სმიტმა ისიც კი იცის, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება არა მარტო შრომის მიზანშეწონილი განაწილებით. სმიტი ყურადღებას აქცევს აგრეთვე შრომის იარაღების გაუმჯობესების გავლენას შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. «ერთი და იგივე რაოდენობის მუშათა საწარმოო ძალა—წერს სმიტი—შეიძლება გადიდებულ იქნას შედეგად გადიდებისა ან გაუმჯობესებისა მანქანებისა და იარაღების, რომლებიც აადვილებენ და ამოკლებენ შრომას, ან შედეგად შრომის უფრო მიზანშეწონილად განაწილების»[19]. შრომის ნაყოფიერება იზრდება ორივე შემთხვევაში. ამ პროცესს გარკვევით ხედავს სმიტი. თუ ეს ასეა, მან ისიც უნდა დაინახოს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ამცირებს საქონლის ღირებულებას საზოგადოდ, შრომის არსებობის საშუალებათა ღირებულებას — კერძოდ. მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდა ამცირებს თვით «შრომის ღირებულების». შრომის ღირებულება უცვლელი არ რჩება, ის ისეთივე ცვალებადია, როგორც ყველა დანარჩენი საგნის ღირებულება. სამუშაო დრო, აუცილებელი ამა თუ იმ საქონლის დასამზადებლად, იცვლება შრომის ნაყოფიერების განვითარებით. რამდენად დიდია შრომის ნაყოფიერება. იმდენად ნაკლებია პროდუქტში დახარჯული შრომა, და პირიქით, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საქონლის ღირებულებას შორის არსებობს უკუპროპორციული მიმართება. სრულებით უდაოა და ემპირულადაც ცხადი, რომ—როგორც მარქსი ამბობს—«სამუშაო დრო იცვლება შრომის ნაყოფიერებითი ძალის თითოეული

[17] ibid.
[18] Op. cit. თ. I.
[19] ნ. II, თავი III

ცვლით»[20]. შრომის ნაყოფიერებითი ძალა, თავის მხრივ, იცვლება შრომის იარაღების გაუმჯობესებით, შრომის კოოპერაციით და განაწილებით, წარმოების პროცესის რაციონალიზაციით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, და სხვა მრავალი გარემოებით. რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერების განვითარების ეს პირობები მანუფაქტურულ პერიოდში ატარებდა მეტად ელემენტარულ ფორმას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სმიტი თითქმის არ აქცევს ყურადღებას მანქანის შემოღებას წარმოებაში და მის მნიშვნელობას არ ითვალისწინებს. მაგრამ სმიტი კარგად იცნობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამ ზრდის საშუალებასაც არ უსვამს გვერდს. ასე გაიგეს სმიტი მისმა შემდგომმა მიმდევრებმა და კომენტატორებმაც[21]. სმიტის მეცნიერული გულუბრყვილობა იმაშია, რომ ის არ იხილავს, არ იკვლევს შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარების გავლენას ღირებულების სიდიდეზე და ამიტომაც შეუმჩნეველად სტოვებს შრომის არსებობის საშუალებათა ღირებულების ცვალებადობას. აქედან, ბუნებრივია, არ ამჩნევს თვით «შრომის ღირებულების» მოძრაობასაც. ემპირულმა სინამდვილემ შეზღუდა სმიტის გონებრივი ჰორიზონტი. საზოგადოებრივი განვითარების იმ პერიოდში მართლაც ნაკლებად იცვლებოდა საქონლის, კერძოდ—არსებობის საშუალებათა ღირებულება შრომის ნაყოფიერებითი ძალის ნელი განვითარებით. მოცემული იყო განვითარების გარკვეული ტენდენცია, მაგრამ მას სმიტი ვერ ამჩნევდა და ემპირულ მოვლენათა უშუალო შთაბეჭდილებით ადგენდა თეორიულ კონსტრუქციებს.

სმიტის შეცდომის თეორიული ძირი იმაშია, რომ სმიტი ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ეკონომიურ კათეგორიას. სმიტი განსაზღვრავს შრომის ღირებულებას არსებობის საშუალებათა ღირებულებით. ნამდვილად შრომას ღირებულება არ გააჩნია, ხოლო არსებობის საშუალებათა ღირებულება განსაზღვრავს დაქირავებული ძალის ღირებულებას. ამიტომ ყველგან, სადაც სმიტი ლაპარაკობს

[20] Капитал. ტ. I, გვ. 5, აგრეთვე გვ. 10. 237, 404, 493.

[21] გარნიე, სმიტის ეკონომიური თეორიის დამცველი, ასე განმარტავს სმიტის აზრს შრომის ნაყოფიერებაზე: «ძალა, რომლის საშუალებით ხალხი აწარმოებს ან ითვისებს ყველა თავის სიმდიდრეს, არის შრომა. ამ ძალის ნაწარმოებნი იზრდებიან თვით ამ ძალის გადიდებით. ეს ძალა შესაძლებელია გადიდებულ იქნას ორი საშუალებით: მისი ენერგიის გადიდებით და მისი გავრცელების გაფართოებით» (იხ. Исследования etc. 1866 წ. გამოცემა. გარნიეს შესავალი, გვ. 59). პირველი საშუალება გულისხმობს შრომის იარაღების გაუმჯობესებას, შრომის განაწილებას etc., ხოლო მეორე—შრომის რაოდენობრივი გადიდებას დაქირავებული ძალის საერთო რიცხვის აბსოლუტური ზრდით.

შრომის ღირებულებაზე, ნამდვილად საქმე გვაქვს სამუშაო ძალის ღირებულებაზე. ეს არსებითი განსხვავება ვერ აღმოაჩინა ვერც სმიტმა, ვერც რიკარდომ. ამიტომ სმიტი საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს შრომის ღირებულებით, ხოლო ღირებულებათა უცვლელ საზომად თვლის შრომის ღირებულებას. ნამდვილად ღირებულებათა უცვლელი საზომი არის არა შრომის ღირებულება, როგორც ეს წარმოუდგენია სმიტს. ასეთი საზომია თვით შრომის სიდიდის საზომი—სამუშაო დრო. სმიტი სამუშაო დროს ურევს შრომის ღირებულებაში და ლოგიკური აუცილებლობით ვარდება საკუთარ თეორიასთან წინააღმდეგობაში. სმიტის ეკონომიური მოძღვრება თუ სისტემაა, ეს უსათუოდ წინააღმდეგობათა სისტემაა არსებითად. ამ შემთხვევაში, როდესაც სმიტი დიოგენის ფარნით დაეძებს ღირებულების უცვლელ საზომს და შრომის ღირებულებაში პოულობს მას, საქმე გვაქვს სმიტის ეკონომიური თეორიის შინაგან წინააღმდეგობათა ერთ-ერთ მომენტის გამოვლენასთან. მარქსი ააშკარავებს სმიტის შეცდომას: «ის, რაც სწორია თვით შრომის მიმართ, და მაშასადამე მისი საზომის, სამუშაო დროს მიმართ, ე. ი. საქონელთა ღირებულება ყოველთვის დამოკიდებულია სწორედ მათში განაღდებული სამუშაო დროზე, როგორღაც გინდ არ იცვლებოდეს «შრომის ღირებულება»,—სწორედ ესაა აქ გამოყენებული შრომის ამ ცვალებადი ღირებულების მიმართ» [22]. შრომის სიდიდის საზომია სამუშაო დრო, დახარჯული შრომის მასა, მისი რაოდენობა სამუშაო დროის ხანგრძლივობით განისაზღვრება. სმიტი, რასაკვირველია, ვერ ამჩნევს ამას და «შრომის ღირებულებაზე» ავრცელებს იმას, რაც სამუშაო დროზე უნდა გავრცელდეს არსებითად.

საქონლის ღირებულების საზომია შრომის ღირებულება—ამტკიცებს სმიტი. ეს დებულება გამომდინარეობს შეხედულებიდან, რომელიც ზევით აღვნიშნეთ გაკვრით: საქონლის ღირებულება შეიცავს შრომის იმდენივე ღირებულებას, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ამ საქონელზე. სხვანაირად, საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომით, რომელიც იყიდება საქონლით. «შრომის ღირებულება» და თვით საქონელი, ამ შრომის პროდუქტი, ეკვივალენტურია, თანაბარია ღირებულების სიდიდით. ასეთია სმიტის შეხედულება ღირებულებაზე. ამ

К. Маркс. Теории прибавочной ценности. 1923. ტ. I, გვ. 96. შეენიშნავთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად: ვსარგებლობთ «თეორიების» 1923 წ. და 1932 წ. გამოცემებით. ყველგან, სადაც არაა დასახელებული 1923 წ. გამოცემა, იგულისხმება 1932 წ. გამოცემა.

თავითვე ცხადი ხდება, რომ ეს კონცეპცია არღვევს შრომითი ღირებულების თეორიის შინაგან მთლიანობას და ამზადებს ამ თეორიის მარცხის ნიადაგს. სმიტის თეორიის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას—გადამწყვეტი მომენტი დავიმახსოვროთ. ქვევით გავეცნობით, თეორიის შინაგანი წინააღმდეგობის როგორი კვანძი ისკვნება ასეთი დებულების წამოყენებით.

მართალია, სმიტმა აღმოაჩინა საქონლის ღირებულების უცვლელი საზომი— «შრომის ღირებულება», მაგრამ ჩვენი ეკონომისტი ამ აღმოჩენით არ მშვიდდება, რადგან ეს აღმოჩენა საკმარისი არ არის. ასლა საჭიროა ღირებულების უცვლელი საზომის მატერიალური, ნივთიერი გამოხატვა. სმიტი ემპირიკოსია, ხოლო ემპირული სინამდვილე ღირებულებათა პრაქტიკულ საზომს მოითხოვს. «შრომის ღირებულება» ამ მხრივ პრაქტიკულად გამოუყენებელია, აუცილებელია მისი მოცემა მატერიალურ ფორმაში. სმიტის აზრით, ოქრო და ვერცხლი არ გამოდგება «შრომის ღირებულების» ასეთ ნივთიერ საზომად. ოქრო და ვერცხლი იცვლება ღირებულების სიდიდით. მათი გამოყენება ღირებულების საზომად შეიძლება, მაგრამ მხოლოდ დროის მოკლე მანძილზე, სანამ მათი ღირებულება შედარებით უცვლელია. მაშასადამე, ოქრო და ვერცხლი საცველელი ღირებულების შედარებითი საზომია. ჩვენ ვიცით, ოქრო და ვერცხლი მართლაც იცვლება თავიანთი ღირებულების სიდიდით. საკმარისია გაიზარდოს შრომის ნაყოფიერებითი ძალა ოქროსა და ვერცხლის წარმოებაში და მათი ღირებულებაც დაიწევს. ამიტომ სმიტი ოქროსა და ვერცხლს თვლის საქონლის ღირებულების რელატივურ საზომად, ხელს იღებს მათ გამოყენებაზე და პოულობს საქონლის ღირებულების აბსოლუტურ საზომს, გამოსადეგს ყველა დროისა და ადგილისათვის. ასეთი საგანია, სმიტის აზრით, პური. «შრომის თანაბარი რაოდენობანი ერთმანეთისგან დიდად დაშორებულ ეპოქებში შეიძლება შეძენილ იქნან უფრო ადვილად პურის თანაბარი რაოდენობით, მუშაკის ამ ძირითადი საქმელით, ვინემ ოქროსა და ვერცხლის ან, შესაძლებელია, ყოველგვარი სხვა საქონლის თანაბარი რაოდენობით»[23]. აი, სად იჩინა თავი ფიზიოკრატების გავლენამ სმიტზე. ოქროსა და

[23] Исследование etc. წ. I, თ. V. ბუხანანი შენიშნავს: დოქტორი სმიტი ამ საკითხში უშვებს რამდენიმე სერიოზულ შეცდომას. როდესაც ის ლაპარაკობს ძვირფას ლითონთა ღირებულებაზე სხვადასხვა ეპოქაში, პურს თვლის ოქროსა და ვერცხლის შეფასების საფუძვლად. ის განიხილავს პურს მისი უცვლელი ღირებულების მიხედვით, როგორც დანარჩენ საქონელთა საიმედო საზომს» (იხ. Исследования etc. 1866 წ. ტ. I, გვ. 143. ბუხანანის შენიშვნა). ბუხანანი ხედავს შეუსაბამობას, მაგრამ ვერ ხსნის მას.

ვერცხლის ღირებულება იცვლება, მაგრამ ნაკლებად იცვლება პურის ღირებულება, ამიტომ შესაძლებელია მისი გამოყენება საქონლის ღირებულების საზომად ეპოქიდან ეპოქამდე. პურის თანაბარი რაოდენობა ყოველთვის გაიცვლება შრომის თანაბარ რაოდენობაზე. ასეთ პირობებში პურის ფასები «ყველაზე უფრო... შეეფერება შრომის საბაზრო ფასებს»[24]. როგორც ვხედავთ, სმიტი უკან იხევს ფიზიოკრატულ თეორიისკენ, აკეთებს მისკენ მნიშვნელოვან salto mortale-ს. სმიტის ამ შემცდარ თეორიულ შეხედულებას ისტორიულად ამართლებს მისი სოციალური ეკვივალენტი—მანუფაქტურული პერიოდის ეკონომიკა. კაპიტალისტური წარმოება გზას იკვლევდა ქალაქად, აქ ვითარდებოდა შრომის ნაყოფიერებითი ძალა. ოქროს ამოღება, როგორც მრეწველობის ერთ-ერთი დარგი, მანუფაქტურულ წარმოებას ემორჩილებოდა და ამიტომ ოქროს ღირებულება შედარებით უფრო იცვლებოდა, ვინემ პურის ღირებულება. პურის ღირებულების შედარებითი მუდმივობა აიხსნებოდა სოფლის მეურნეობის პატრიარქალური ხასიათით, იქ წარმოების კაპიტალისტური წესის დაუმკვიდრებლობით, მოკლედ—შრომის ნაყოფიერებითი ძალის განუვითარებლობით. სმიტი ნათლად ამჩნევს სინამდვილის ამ ზედაპირს, ხედავს, რომ პურის ღირებულება ძალიან ნაკლებად იცვლება და ასკვნის, საქონლის ღირებულების საზომი პურია და არა შრომის სხვა რომელიმე პროდუქტი.

მეორე მხრივ «გონიერი ინსტიქტი» არ ღალატობს აქ სმიტს, მას არ შეუძლია არ დაინახოს პურის ღირებულების ცვალებადობა. მართალია, შედარებით ძალიან ნელი, მაგრამ მაინც ცვალებადობა. სმიტი თვითონვე აყენებს საწინააღმდეგო დებულებას, წინააღმდეგობის რკალში ტრიალებს. ახლა ის აცხადებს: «ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა საქონელთა ნამდვილი ღირებულება... პურის რაოდენობით წლიდან წლამდე»[25]. პურის ღირებულებაც იცვლება, შედარებით ნელა, მაგრამ მაინც იცვლება ყოველწლიურად. მაშასადამე, საქონლის ღირებულების ეს საზომიც გამოუდეგარია საბოლოო ანგარიშით. სმიტი იძულებულია დაუბრუნდეს თავისი თეორიის გამოსავალ პუნქტს—შრომას და ეს შრომა აღიაროს საქონლის ღირებულების საზომად. მაგრამ ვერც აქ აღწევს თავს სმიტი წინააღმდეგობას—საცვლელ ღირებულებათა გაზომვა შრომით პრაქტიკულად განუხორციელებელია მიმოქცევის სფეროში. საქონლის ღირებულების რაოდენობა უშუალოდ შრომაში არ

[24] Ibid.
[25] Ibid.

გამოითქმება. ამის როლს ასრულებს ფ უ ლ ი. საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატვა იძლევა საქონლის ფ ა ს ს, და ეს ცვლილება სრულებით არ ეწინააღმდეგება, არ არღვევს შრომითი ღირებულების თეორიას, თუ ვიცნობთ თვით ფულის ნამდვილ ბუნებას. ამაშია საქმე—ს მ ი ტ ი ვერ იცნობს ფულს, როგორც ღირებულების საყოველთაო ფორმას, ღირებულების აბსტრაქტულ მატარებელს. ფული თვითონ საყოველთაო საქონელია, ღირებულება და ის შეადგენს ღირებულებათა საზომს. ფულის ამ ბუნებას არსებითად ს მ ი ტ ი არ იცნობს. ფულში ის ხედავს მხოლოდ ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც ჯერ კიდევ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე მ შეამჩნია. ფული, არისტოტელეს აზრით, არის «შუალობითი საქონელი ორ სხვა საქონლის ერთმანეთზე გაცვლის გამაადვილებელი»[26]. ს მ ი ტ ი ც ფულში პოულობს მხოლოდ მიმოქცევის საშუალებას. «ფულის ერთად ერთიდანიშნულებაა— წერს ის—გაადვილოს მოხმარების საგანთა გაცვლა-გამოცვლა. ფულის საშუალებით იყიდება და გაიყიდება, აგრეთვე ნაწილდება შესაფერ მომხმარებელთა შორის სასურსათო საგნები, ნედლეული და დამზადებული ნივთები»[27]. მაშასადამე, ფული როგორც აბსტრაქტული შრომის საყოველთაო ფორმა, უცნობი რჩება

[26] ვსარგებლობთ: Исследования etc. 1866 წ. ტ. I, გვ. 32.

[27] Op. cit. წ. II. თ. 3. აქვე უნდა გავარკვიოთ ს მ ი ტ ი ს შეხედულება ფულზე, როგორც ს ა ქ ო ე ლ ზ ე. ს მ ი ტ მ ა ი ც ის, რომ ფული ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა. მეტი კიდევ, მისი «გონიერი ინსტიქტი» იმდენად ძლიერია, რომ ს მ ი ტ ი ფულში ამჩნევს საცვლელი ღირებულების ს ა ზ ო მ ს ა ც კ ი. ს მ ი ტ ი ამ სწორ შეხედულებას არ არკვევს და არ ასაბუთებს მეცნიერულად, მაგრამ ის ინსტიქტურად, ემპირული სინამდვილის უშუალო გავლენით, გრძნობს, რომ ფული არ უნდა იყოს მხოლოდ მიმოქცევის საშუალება. ს მ ი ტ ი ს თ ე ო რ ი ა ფულის საკითხში შემდეგში მდგომარეობს: ფულის წარმოშობა გამოწვეულია საქონელთა გაცვლა გაქცვლით. ამიტომ ფული საქონელთა გაცვლის იარაღია. თავდაპირველად ფული იყო საქონელი. საქონელთა გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად «ყოველი გონიერი ადამიანი» უნდა ცდილიყო «ჰქონოდა განსაზღვრული რაოდენობა ასეთი საქონლის, რომელსაც, მისი აზრით, ყველა მიიღებს თავისი წარმოების პროდუქტის ნაცვლად» საზოგადოების ბარბაროსულ პირობებში ასეთი საქონელი იყო პირუტყვი, რომელიც წარმოადგენდა «გაცვლის საერთო იარაღს». მაგრამ პირუტყვი «მეტად უხერხულია ამ მიზნისთვის». შემდეგ, ფულის სახით არსებობდა სხვადასხვა საქონელი, სანამ საზოგადოება ლითონზე არ შეჩერდა. ადამიანები მივიდნენ ამ დასკვნამდე შეგნებულად «უეჭვო არგუმენტების კარნახით». ოქრო და ვერცხლი ატარებს განსაკუთრებულ თვისებებს და ამიტომ «სწორედ ეს თვისება, სხვა რომელიმე თვისებაზე უფრო მეტად, ხდის მათ გამოსადეგს გაცვლისა და მიმოქცევის საქმეში» (Op. cit. წ. I, თ. 4). მაშასადამე, ს მ ი ტ ი ხედავს, რომ ფული საქონელია და მისი ფუნქციაა იყოს მიმოქცევის საშუალება. «ყველა განათლებულ ხალხისთვის ფული გახდა ვაჭრობის საყოველთაო იარაღად, რომლის მეშვეობით იყიდება და გაიყიდება ან და გაიცვლება ერთმანეთზე ყოველგვარი საქონელი» (Ibid). მაშასადა-

სმიტისათვის. ამიტომ ის ფიქრობს, საქონლის ღირებულების საზომი შრომაა უშუალოდ.

ამრიგად, თეორიული კვლევა-ძიების ამ საფეხურზე სმიტი გარკვევით აყენებს შრომითი ღირებულებას და იცავს მას, რასაკვირველია, თავისებურ ფორმებში. რაც შეეხება ღირებულებათა საზომს, აქ სმიტი გაურკვეველ მდგომარეობაში რჩება. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ სმიტი—როგორც მარქსი ამბობს—«ღირებულების საზომს, როგორც იმანენტურ საზომს, რომელიც ამავე დროს შეადგენს ღირებულების სუბსტანციას, ურევს ღირებულებათა საზომს, გამოსაყენებელს იმავე აზრით, როგორიც მათი საზომია—ფული. აქედან მისწრაფება—წრის კვადრატურა—

მე, ფული მიმოქცევის საყოველთაო საშუალებაა, ფულით იყიდება «ყოველგვარი საქონელი». რატომ? ამ კითხვას სმიტი არ არკვევს.

სმიტი გარკვევით შენიშნავს, რომ ფული საცვლელი ღირებულების საზომია დროის განსაზღვრულ მანძილზე. «გარკვეულ დროსა და ადგილას ფული წარმოადგენს ყველა საქონლის ნამდვილი საცვლელი ღირებულების ზუსტ საზომს. მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ დროსა და ადგილას» (ibid. თავი 5). ამ თვალსაზრისით ფული «ღირებულების საზომია»—ასკვნის სმიტი. იბადება კითხვა: რატომ არის ფული ღირებულების საზომი, «ვაჭრობის საყოველთაო იარაღი»? სმიტი ამ პრობლემას ვერ არკვევს. მან არ იცის, რომ ფული ღირებულების საყოველთაო, ყველაზე უფრო აბსტრაქტული ფორმაა, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის განსაზღვრულ რაოდენობას. მარქსის ენაზე რომ ვთქვათ, ფული «როგორც ღირებულების საზომი, არის მხოლოდ საქონლის ღირებულების იმანენტური საზომის, სამუშაო დროს გამოვლინების აუცილებელი ფორმა» (Капитал, ტ. I, გვ. 49). ღირებულების საზომია დახარჯული შრომის რაოდენობა, რომელიც, თავის მხრივ, განიზომება სამუშაო დროის ხანგრძლივობით. ფული ამ საზომის როლში გამოდის, დახარჯული შრომის რაოდენობა ფულის განსაზღვრული რაოდენობით აღინიშნება. საქონლის ღირებულების «ფულადი ფორმა» არის მხოლოდ მოცემულ საქონელში განმტკიცებული ანარეკლი მისდამი დანარჩენ საქონელთა მიმართებისა» (ibid. 46). რასაკვირველია, სმიტისათვის, აგრეთვე მთელი კლასიკური ეკონომიისათვის, ეს დებულება სრულებით უცნობია.

ფული რომ საქონელია, ეს აღმოჩენა არ არის—ამტკიცებს მარქსი. მაგრამ ეს აღმოჩენად მიაჩნია მხოლოდ მათ, «ვინც გამოდის ფულის დასრულებულ ფორმიდან, როგორც თავისი ანალიზის საგნიდან». სმიტმა იცის ფულის სასაქონლო ბუნება, ამაში გასაკვირი არაფერია. «და თუ უკვე XVII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში... ფულის ანალიზი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფული საქონელია, ეს მაინც ანალიზის მხოლოდ დასაწყისია. სიძნელე მდგომარეობს არა იმაში, რათა გავიგოთ, რომ ფული საქონელია, არამედ იმაში, რათა გარკვეულ იქნას, როგორ და რატომ იქცევა საქონელი ფულად» (Капитал, ტ. I, გვ. 48. კურსივი ჩვენია). საქონელი ფულად გადაიქცა, ფული საქონელია—ეს ფაქტი იცის სმიტმაც. მაგრამ მარქსამდე ვერავინ ახსნა მეცნიერულად, როგორ და რატომ იქცა საქონელი ფულად. ფულის პრობლემა მარქსმა გადაჭრა მეცნიერულად, მან გასცა პასუხი ორივე კითხვაზე. ამას ქვევით გავეცნობით.

მოინახოს უცვლელი ღირებულების საქონელი, რომელიც გამოდგებოდა დანარჩენ საქონელთა მუდმივ საზომად»[28]. აი, რაში მდგომარეობს სმიტის შეცდომა. ღირებულების იმანენტური, შინაგანი, ბუნებრივი საზომი არის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ—აბსტრაქტული შრომა, ღირებულების სუბსტანცია. ეს უკანასკნელი სმიტის მიერ გაგებულია ფულის ანალოგიურ საზომად. ეს ორი არაერთნაირი ცნება ირევა ერთმანეთში და შედეგად ეღებულობთ იმას, რომ არსებითად სმიტი არ იძლევა საქონლის ღირებულების ნამდვილ საზომა იმ სახით, როგორითაც ეს საზომი იხმარება ობიექტურად. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის სმიტს დაიცვას ობიექტივიზმი ღირებულების თეორიაში და თეორიული აზროვნების ამ გარკვეულ საფეხურზე მტკიცედ განსაზღვროს შრომითი ღირებულების პრინციპი. საქონელთა გაცვლა-გამოცვლა, მაშასადამე, ხდება მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

●

შეავფასოთ ახლა ის ახალი სიტყვა, რომელიც თქვა სმიტმა ღირებულების თეორიაში განხილული პრობლემების საზღვრებში. სმიტის დამსახურებას ეკონომიური მეცნიერების წინაშე საქონლის ღირებულების გარკვევაში მარქსი ამომწურავად, მიუდგომლად ახასიათებს. «ადამ სმიტთან უდიდესი პროგრესია ის, რომ სმიტი უარყოფს ყოველგვარ განსაზღვრულობას მოქმედებისა, რომელიც წარმოშობს სიმდიდრეს—[მის ადგილზე აყენებს] შრომას როგორც ასეთს, არა მანუფაქტურულს, არა კომერციულს, არა სასოფლო-სამეურნეო შრომას, არამედ როგორც ერთს, ისე მეორეს. მოქმედების აბსტრაქტულ საყოველთაობასთან ერთად, რომელიც [მოქმედება] ქმნის სიმდიდრეს, [გამოდის] აგრეთვე საყოველთაობა საგნისა, განსაზღვრული, როგორც სიმდიდრე; ეს—პროდუქტია საზოგადოდ ანდა კიდევ შრომა საზოგადოდ, მაგრამ უკვე როგორც განვლილი, განივთიერებული შრომა»[29]. სხვანაირად: «მას შემდეგ, რაც რეალური შრომის განსაზღვრული ფორმები: მიწათმოქმედება, მანუფაქტურა, ზღვაოსნობა, ეაქრობა და სხვა რიგ-რიგობრივად ცხადდებოდა სიმდიდრის ქეშმარიტ წყაროდ, ადამ სმიტმა გამოაცხადა შრომა საზოგადოდ, ამავე დროს მეს საზოგადოებრივ-შეჯამებულ სახით... ერთად-ერთ წყაროდ ნივთიერი სიმდიდრის, ანუ სახმარ ღირებულებათა»[30]. მარქსის ამ სიტ-

Теории etc. ტ. I, გვ. 98. ხაზი ჩვენია.
К критике etc. გვ. 29. ხაზი ჩვენია.
[30] ibid. გვ. 77. ხაზი ჩვენია

ყვებში მოცემულია სმიტის მთელი მოძღვრება საქონლის ღირებულებაზე და ამ მოძღვრების დადებითი მომენტი.

მართლაც, ჩვენ უკვე ვიცნობთ ფიზიოკრატების ეკონომიურ თეორიას. ფიზიოკრატების აზრით, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომა ქმნის ღირებულებას. ამავე დროს ისინი ვერ არჩევდენ ერთმანეთში სახმარ ღირებულებას და ღირებულებას, ვერ ხედავდენ საქონლის ორმაგ ხასიათს. სმიტის თეორია აქ აშკარად უპირისპირდება ფიზიოკრატულ შეხედულებებს. სმიტი აცხადებს: არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო შრომა, არამედ შრომა საზოგადოდ ქმნის საზოგადოების სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის ნაწილს—საქონელს. როგორც ვხედავთ, სმიტი აფართოებს თავის წინამორბედთა ვიწრო გონებრივ ჰორიზონტს და პრობლემას აყენებს ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე. ეს ერთი. მეორე: სმიტს წარმოდგენილი აქვს ღირებულების შემქმნელი შრომა არა როგორც კონკრეტული, ამა თუ იმ ფორმის შრომა. სმიტი ემყარება შრომის აბსტრაქტულ საყოველთაობას, საზოგადოებრივ-შეჯამებულ შრომას. მაშასადამე, ის სამართლიანად აყენებს უკანა რიგზე ცალკეულ შრომათა თვისებრივ გარკვეულობას და არსებითად ემყარება ასეთ გარკვეულობას მოკლებულ შრომას. სმიტი სრულებით არ ფიქრობს, რომ ასეთი შრომა აბსტრაქტული შრომა უნდა იყოს. აბსტრაქტული შრომის ცნება უცნობია სმიტისათვის. მიუხედავად ამისა, სმიტის მეცნიერული ინტუიცია მეტად ძლიერია აქ და სმიტი წმენდს გზას აბსტრაქტული შრომის კათეგორიის შემეცნებისკენ.

საქონლის ორმაგი ხასიათი, რაც სახმარ ღირებულებისა და ღირებულების მთლიანობაში მდგომარეობს, ემყარება თვით შრომის ორმაგ ბუნებას. სახმარი ღირებულება კონკრეტული შრომის ნაყოფია, ღირებულება კი—აბსტრაქტულის. კონკრეტული შრომა ხასიათდება თვისებრივი გარკვეულობით, აბსტრაქტული კი—თვისებრივი გაურკვევლობით. აქედან, თვით სასმარი ღირებულება თვისებრივად გარკვეულია, ხოლო საცვლელი ღირებულება—თვისებრივად გაურკვეველი. სხვანაირად: კონკრეტული შრომა და მისი პროდუქტი სახმარი ღირებულება თვისებრივად სხვადასხვანაირია, რაოდენობით—ერთნაირი. პირიქით, აბსტრაქტული შრომა და მისი ნაყოფი ღირებულება თვისებრივად ერთნაირია, გათანაბრებული, განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია. ამის წყალობით ხდება საქონელთა გაცვლა-გამოცვლა. როგორ დგას ეს საკითხი სმიტის თეორიაში, საზოგადოდ—კლასიკურ ეკონომიაში? «რაც შეეხება ღირებულებას—შენიშნავს მარქსი—კლასიკური პოლიტიკური ეკონომია აშკარად არსად არ ანსხვავებს ერთმანეთისგან სრუ-

ლებით შეგნებულად და გარკვეულად შრომას, როგორც ის გამოხატულია ღირებულებაში, და იმავე შრომას, რამდენად ის განხორციელებულია პროდუქტის სახმარ ღირებულებაში. ფაქტიურად ის, რასაკვირველია, ანგარიშს უწევს ამ განსხვავებას, რადგან პირველ შემთხვევაში განიხილავს შრომას რაოდენობრივი თვალსაზრისით, მეორე შემთვევაში—თვისებრივი თვალსაზრისით. მაგრამ კლასიკურ ეკონომიას აზრადაც არ მოდის, რომ სამუშაოთა ყმინდა რაოდენობრივი გარეკვა გულისხმობს მათ თვისებრივ ერთიანობას ანუ თანასწორობას, მაშასადამე, მათ დაყვანას აბსტრაქტულ-ადამიანურ შრომამდე»[31]. ვერცსმიტი, ვერ რიკარდო შეგნებულად არსად არ ანსხვავებს კონკრეტულ შრომას აბსტრაქტულისგან. მაშასადამე, კლასიკური ეკონომია არ იძლევა შრომის ორმაგი ხასიათის შეგნებულ გაგებას. ამავე დროს ის ანსხვავებს ერთმანეთისგან სახმარ და საცვლელ ღირებულებას, რაც შეუძლებელია შრომის ორმაგი ბუნების გაგების გარეშე, რადგან ღირებულების შემქმნელი არის თვით შრომა. ამიტომ ფაქტიურად, ინსტიქტურად კლასიკური ეკონომია «ანგარიშს უწევს ამ განსხვავებას». მაგრამ მთავარი პრობლება შეუგნებელი და გადაუჭრელი რჩება კლასიკოსებისთვის—ესაა აბსტრაქტული შრომის პრობლემა, რაც გულისხმობს შრომის თვისებრივ ერთიანობას და მის რაოდენობრივ სხვაობას, რიცხვობრივ გარჩევას.

ამით აიხსნება კლასიკური ეკონომიის სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მომენტი ღირებულების თეორიაში. «ერთი ძირითადი ნაკლთაგანი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა—ამბობს მარქსი—მდგომარეობს იმაში, რომ მას ვერასოდეს ვერ გამოყავს საქონლის, კერძოდ, სასაქონლო ღირებულების ანალიზიდან ღირებულების ფორმა, რომელიც სწორედ აძლევს სასაქონლო ღირებულებას საცვლელი ღირებულების ხასიათს»[32]. კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ—განაგრძობს მარქსი, მოგვცა ღირებულების და მისი სიდიდის ანალიზი—თუმცა არა საკმარისად—და «აღმოაჩინა ამ ფორმებში დამალული შინაარსი. მაგრამ მან არც ერთხელ არ დააყენა კითხვა: რატომ ეს შინაარსი ღებულობს ასეთ ფორმას, სპვანაირად, რატომ გამოიხატება შრომა ღირებულებაში, ხოლო შრომის ხანგრძლივობა, როგორც მისი საზომი, შრომის პროდუქტის ღირებულების სიდიდეში»[33]. აი, ამ კარდინალურ პრობლემებზე ვერცსმიტმა და ვერ რიკარდომ ენაც ვერ დასძრეს, ეს პრობლემები არამც თუ ვერ გადასჭრეს მათ, მეტი კი-

[31] Капитал, ტ. I, გვ. 38. შენიშვნა 31. ხაზგასმა ჩვენია.

[32] ibid.

[33] Op. cit. გვ. 37—38.

დევ, ვერც კი დააყენეს გასარკვევად. კლასიკოსები ვერ იკვლევენ ღირებულების ფორმებს მათ ისტორიულ განვითარებაში, მათ ვერ გამოუავთ ღირებულების ფორმა თვით საქონლის ანალიზიდან. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ისინი არ იძლევიან საქონლის ნამდვილ მეცნიერულ ანალიზს და ვერ ხედავენ საქონელში მოცემულ წინააღ-ედეგობათა მთელ კომპლექსს, რომელიც ემბრიონალურად შეიცავს წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტურ წინააღმდეგობას.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ვერ შეძლო კლასიკურმა ეკონომიამ საქონლის საფუძვლიანი ანალიზი, ვერ გამოიყვანა სასა-ქონლო ღირებულებიდან ღირებულების ფორმა, ვერ გაიგო, თუ რა-ტომ ღებულობს შრომა ღირებულების სახეს, ვერ განიხილა ღირე-ბულების ფორმათა განვითარება, ვერ აღმოაჩინა საქონლის შინაგა-ნი წინააღმდეგობა და მასთან ერთად კაპიტალისტური წარმოების ანტაგონისტური ხასიათი? ცხადია, აქ გადამწყვეტია თვით საზოგა-დოებრივი განვითარების ისტორიული საფეხური, რომელზედაც იდ-გა კლასიკური ეკონომია და რომელმაც განსაზღვრა სმიტისა და რიკარდოს ვიწრო ბურჟუაზიული ჰორიზონტი. კლასიკურ ეკონო-მისტებს აკლიათ მთავარი პირობა—ისტორიული თვალსაზ-რისი. ისინი იხილავენ კათეგორიებს განყენებულად, უძრაობაში და არა მათ მოძრაობაში, განვითარებაში, მოკლედ—ისტორიულად. ასე-ვე ღირებულებაც. ღირებულება მათთვის მოცემულია დასაბამიდან, მისი ფორმა განსაზღვრულია საუკუნოდ, თვით კაპიტალისტური წარ-მოება—კაცობრიობის განვითარების უკანასკნელი სიტყვაა. «პროდუქ-ტის ღირებულების ფორმა—ვკითხულობთ «კაპიტალში»—არის ყვე-ლაზე უფრო აბსტრაქტული და ამავე დროს ყველაზე უფრო საყო-ველთაო ფორმა წარმოების ბურჟუაზიული წესის, რომელიც სწო-რედ მის მიერ ხასიათდება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული სახე, ამასთან ერთად ხასიათდება ისტორიუ-ლად. თუ განვიხილავთ წარმოების ბურჟუაზიულ წესს როგორც მარადიულ, ბუნებრივ ფორმას საზოგადოებრივი წარმოების, მა-შინ აუცილებლად დაგვრჩება შეუმჩნეველი აგრეთვე სპეციფიკუ-რი თავისებურებანი ღირებულების ფორმის, მაშასადამე, საქონლის ფორმის, ხოლო გამოკვლევის შემდგომ განვითარებაში — ფულადი ფორმის, კაპიტალის ფორმის და სხვ»[34]. კვლევა-ძიების ისტორიუ-ლი თვალსაზრისი იძლევა საქონლის, ღირებულების, კაპიტალის და მრავალი სხვა კათეგორიის შინაარსის ობიექტურად შემეცნების საშუალებას. ღირებულება არის «წარმოების ბურჟუაზიული წესის ყვე-

[34] Op. cit. გვ. 39. კურსივი ჩვენია.

ლაზე უფრო საყოველთაო ფორმა, რომლის ანალიზი ააშკარავებს თვით წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტურ ხასიათს. მაგრამ ეს ანალიზი შეუძლებელია, თუ მკვლევარი მოკლებულია დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს და არ იცნობს ისტორიულ თვალსაზრისს—არ იხილავს ეკონომიურ კათეგორიებს მათ მოძრაობაში, წარმავალობაში. აქედან აუცილებელი დასკვნა—კაპიტალისტური სიწარმოო ურთიერთობათა მარადიულობის აღიარება, წარმოების ბურჟუაზიული წესის მეურნეობის უცვლელ წესად გამოცხადება. ასეთი დასკვნა გააკეთა კლასიკურმა ეკონომიამ და ამაში მდგომარეობს მისი ბურჟუაზიული შინაარსი.

ამრიგად, საქონლის ღირებულების მეცნიერული ანალიზი ვერ მოგვცა სმიტმა. ის არ იკვლევს საქონლის გენეზისს და ამიტომაც ვერ ხედავს საქონლის მეურნეობის ისტორიულ დასასრულს. შრომა არის ღირებულების სუბსტანცია. შრომა ქმნის ღირებულებას. დავსვათ ელემენტარული კითხვა: განა ყოველგვარი შრომა ქმნის ღირებულებას, ყოველგვარი შრომა წარმოადგენს ღირებულების საზომს? ამ მარტივ კითხვაზე სმიტი და, საერთოდ, მთელი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მხრების აწევით გვიპასუხებს. ჩვენ ვიცით, არა ყოველგვარი შრომა შეადგენს ღირებულების საზომს. საზოგადოებრივად-აუცილებელი შრომა—აი, რაში მდგომარეობს ეს საზომი. საზოგადოებრივად აუცილებელ შრომის კათეგორიას სმიტი ვერ არკვევს ისევე, როგორც აბსტრაქტულ შრომას. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სმიტი მიზნად ისახავს ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების გამორკვევას, ის სწორად მიგვითითებს მიზეზისკენ—შრომისკენ, მაგრამ ვერ არკვევს სიმდიდრის ბუნებას. თვით სიმდიდრის ცნება სმიტისათვის ბუნდოვანია არსებითად. ბურჟუაზიული სიმდიდრის ანტოგონისტურ ხასიათს სმიტი ვერ ამჩნევს, რადგან ვერ ხედავს ამ სიმდიდრის ელემენტარული ფორმის—თვით საქონლის შინაგან წინააღმდეგობას, როგორც საცვლელ ღირებულებისა და ღირებულების მთლიანობას. ამიტომ ბუნებრივია, თუ სმიტი ვერ ააშკარავებს «ხალხთა» მატერიალური სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმისა და შინაარსის ისტორიულ ხასიათს. სმიტი გამოდის სიმდიდრის ნივთიერ შინაარსიდან და ვერ ამჩნევს მის საზოგადოებრივ, ისტორიულად განსაზღვრულ ფორმას[35]. მოკლედ

[35] საზოგადოების სიმდიდრე, სმიტის აზრით, წლიური შრომის ნაყოფია. «თითოეული ხალხის წლიური შრომა წარმოადგენს თ. ვისთავად პირველად ფონდს, რომელსაც მოაქვს მისთვის არსებობისა და კეთილდღეობისათვის ყველა აუცილებელი პროდუქტი, მოხმარებული მის მიერ წლის განმავლობაში» (იხ. Иссле-

რომ ვთქვათ, სმიტი, როგორც მთელი კლასიკური ეკონომია, არ ეშყარება ეკონომიურ ცნებათა გაგების სოციალურ თვალსაზრისს. იმიტომაც ეს ცნებები ზეისტორიული, მარადიული გვევლინებიან კლასიკოსების ეკონომიურ სისტემაში.

მაშასადამე, ღირებულების კათეგორიის ანალიზი სმიტის თეორიაში მეტად მარტივ ხასიათს ატარებს. ღირებულების ძირითადი პრობლემები აქ შეუმჩნეველი რჩება, ხოლო რაც შეეხება მათ გადაწყვეტას, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. კლასიკურმა ეკონომიამ მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას. საჭირო იყო ამ საფუძვლის განმტკიცება, გამაგრება ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიებით და მასზე მონუმენტალური ეკონომიური სისტემის აგება. ეკონომიური აზროვნების ისტორიამ ეს წილად არგუნა მარქსს. კლასიკოსების მიერ ჩაყრილ «თესლიდან» აღმოცენდა უზარმაზარი «მცენარე». მარქსი ობიექტურად, ნამდვილი, ჭეშმარიტი მეცნიერის მიუდგომლობით და გენიოსური დაფასებით აღნიშნავს იმ მემკვიდრეობას ღირებულების თეორიაში, რომელიც მიიღო მან ინგლისურ კლასიკურ ეკონომიიდან. მარქსი წერს: «ანალიზი, რომელსაც დაყავს საქონელი შრომამდე მის ორმაგ ფორმაში,—სახმარი ღი-

дование etc. Введение и план сочинения). სიმდიდრის რაოდენობა დამოკიდებულია ორ პირობაზე: ხალხის შრომის დახელოვნებაზე, ცოდნაზე, რომლითაც ეს შრომა გამოიყენება და, მეორე მხრივ, იმ ვითარებაზე, რომელიც არსებობს მომუშავეთა და არა მომუშავეთა რიცხვს შორის (ibid). კენეს შეხედულებით, საზოგადოების სიმდიდრეს შეადგენს მხოლოდ მიწის ნაყოფი, ადამიანის მიერ გადამუშავებული მოხმარების მიზნით, ხოლო მრეწველობის პროდუქტი სიმდიდრეში არ შედის. სმიტის მიხედვით კი, როგორც ვხედავთ, სიმდიდრე შეიცავს შრომის ყოველგვარ პროდუქტს, რომელსაც აქვს სახმარი ღირებულება. სმიტი აკეთებს დიდ პროგრესულ ნაბიჯს, მაგრამ სიმდიდრის ბუნებას მაინც ვერ არკვევს (იხ. მაგ., სისმონდის, მალტუსის, მაკ-კულოხის შენიშვნები: Исследования etc. 1866. ტ. I. გვ. 52, 91, 92, 198).

სიმდიდრის მეცნიერული ანალიზი მოგვცა მარქსმა, მან გამოაშკარავა ხალხთა სიმდიდრის ნამდვილი რაობა. «კაპიტალი»-ს პირველივე სტრიქონები სიმდიდრის გარკვევით იწყება: «სიმდიდრეს ზოგადოებისა, სადაც ბატონობს წარმოების კაპიტალისტური წესი, წარმოადგენს საქონელთა თავმოყრას, ხოლო თითოეული საქონელი—მის ელემენტარულ ფორმას». საქონლის შინაბუნების ანალიზი pro tanto სიმდიდრის ხასიათს ააშკარავებს. სახმარი ღირებულება კი «სიმდიდრის ნივთიერი შინაარსია, ამ სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმის მიუხედავად» (Капитал. ტ. I, გვ. 2. აგრეთვე გვ. 10. შად. К критике etc. გვ. 18). მარქსი იკვლევს არა კაპიტალისტური სიმდიდრის ნივთიერ შინაარს, არამედ ძის ფორმას—ღირებულებას. მარქსის თვალსაზრისი ძირეულად განსხვავდება სმიტის თვალსაზრისისაგან. მარქსი დგას ისტორიულ ნიადაგზე, სმიტი—ზეისტორიულზე. პირველისათვის კაპიტალისტური სიმდიდრე წარმავალია, მეორისათვის—მარადიული ..

რებულება რეალურ შრომამდე, ანდა მიზანშეწონილ საწარმოო მოქმედებამდე, ხოლო საცვლელი ღირებულება—სამუშაო დროამდე, ანდა თანაბარ საზოგადოებრივ შრომამდე,—არის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საუკუნე-ნახევარ მეტ მანძილზე წარმოებული გამოკვლევათა უკანასკნელი კრიტიკული დასკვნა»[36]. ეს დასკვნაა ის მარგალიტი, რომელიც ჰპოვა მარქსმა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში, ამით დაიწყო მან თავისი გენიოსური თეორიის მეცნიერულად დასაბუთება-ჩამოყალიბება. მარქსმა განავითარა კლასიკოსების შრომითი ღირებულების თეორია, გასწმინდა ის შინაგან წინააღმდეგობიდან, აღმოაჩინა და მეცნიერულად დაასაბუთა ახალ-ახალი მხარეები და, ბუნებრივად, გააკეთა ისტორიული დასკვნები, რომლებიც ამ თეორიიდან გამომდინარეობს ობიექტურად. გავეცნოთ მოკლედ მარქსის კონცეპციას დასმული პრობლემის ფარგლებში.

●

კაპიტალისტური სიმდიდრის ელემენტარულ ფორმას წარმოადგენს საქონელი. ეს არის «ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური უჯრედი». ბურჟუაზიული საზოგადოების მეცნიერული კვლევაძიება ამიტომ ამ უჯრედის ანალიზით უნდა დაიწყოს. საქონელი, ერთის შესედვით, «გარეგანი საგანია, ნივთი». მისი თვისება იმაშია, რომ ის აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას, სხვანაირად—ის მოსახმარი საგანია. როგორც ასეთს, მას მრავალი თვისება გააჩნია, შეიძლება მისი მრავალნაირი გამოყენება წარმოებითი თუ პირად მოხმარების პროცესში. სასარგებლო საგნის თვისებათა აღმოჩენა-გამოყენება ისტორიული განვითარების საქმეა. ეს დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესზე. სასარგებლო ნივთი ორი თვალსაზრისით განიხილება—რაოდენობრივი და თვისებრივი მომენტით. ნივთის, ამ შემთხვევაში საქონლის, თვისებრივი მომენტი გამოიხატება იმაში, რომ ის აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას. აი, ეს თვისება ნივთს «აქცევს სახმარ ღირებულებად». მაგრამ ეს თვისება ჰაერზე როდია დამოკიდებული, ის თვით შრომის პროდუქტში, საქონელშია მოცემული. მოხმარების საგანი თვითონვე შეიცავს მის მრავალ თვისებას. სახმარი ღირებულება თავის არსებობის დასასრულს მოხმარებაში პოულობს. ის მოხმარების საგანია და მას სხვა დანიშნულება არ გააჩნია. ყოველი საზოგადოების სიმ-

[36] К критике etc., გვ. 71.

დიდრე უსათუოდ შედგება სახმარ ღირებულებათა ჯამიდან—სახმარი ღირებულება შეადგენს „სიმდიდრის ნივთიერ შინაარსს [37]. სასაქონლო სხეული სახმარი ღირებულების სახით ხასიათდება თვისებრივი გარკვეულობით—სახმარი ღირებულებანი თვისებრივად სხვადასხვანაირია, ისინი აკმაყოფილებენ საზოგადოებრივი ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილებას, რადგან მათ გააჩნიათ სხვადასხვა თვისება. ამ თვისებათა გამოკვლევა არ შეადგენს ეკონომიური მეცნიერების საგანს, მათ სწავლობს საქონელთმეტყველება.

მეორე მხრივ, იმის გარდა, რომ ნივთი აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას, მოიხმარება და ამიტომაც შეიცავს სახმარ ღირებულებას, ის შეიძლება სხვა ნივთზე გაიცვალოს, გახდეს გაცვლა-გამოცვლის საგანი. ეს ნივთის მეორე მხარეა—მისი საცვლელი ღირებულება. მას არაფერი აქვს საერთო ნივთის ბუნებრივ სასიათთან, ის არ შეადგენს ნივთის ფიზიკურ თვისებას. ის გარემოება, რომ სახმარი ღირებულების ერთი სახე იცვლება მეორეზე, აძლევს საგანს საცვლელ ღირებულების ფორმას. „საცვლელი ღირებულება—წერს მარქსი—უწინარეს ყოვლისა წარმოადგენება რაოდენობრივი მიმართების სახით, პროპორციის სახით, რომელშიც სასმარ ღირებულებათა ერთი სახე გაიცვლება მეორე სახის სახმარ ღირებულებაზე [38]. ორი საგანი უნდა გაიცვალოს ერთმანეთზე, ორივე სახმარი ღირებულებაა და, მაშასადამე, თვისებრივად სხვადასხვანაირი. მაგრამ როგორც საცვლელი ღირებულება, ორივე საგანი თვისებრივად გათანაბრებული გვევლინება. საცვლელი ღირებულებანი თვისებრივად ერთნაირი არიან და მათი გარჩევა მხოლოდ რაოდენობრივია, რიცხვობრივი. იბადება კითხვა: რატომ იცვლება ორი თვისებრივად განსხვავებული სახმარი ღირებულება ერთმანეთზე, რა არის მათ შორის საერთო, რატომ ღებულობს საცვლელი ღირებულება თვისებრივად განურჩეველ ხასიათს? იმიტომ, რომ ორ სახმარ ღირებულებას შორის არის საერთო მესამე რაღაც, რომელიც ხდის მათ თვისებებს განურჩევლად, როგორც ეს ისინი საცვლელ ღირებულების ფორმაში გვევლინებიან. ეს საერთო არის სწორედ ადამიანის შრომა, ორივე სახმარი ღირებულება შრომის პროდუქტია. საცვლელი ღირებულება გულისხმობს აი ამ მესამეს, რაღაც საერთოს—შრომას. საცვლელ ღირებულებათა რომელიმე ბუნებრივი თვისება შეუძლებელია გახდეს საერთო საფუძვლად—ამტკიცებს მარქსი. ეს თვისება საინტერესოა იმდენად, რამდენად ის ხდის პროდუქტს

Капитал, ტ. I. გვ. 2.

[38] ibid.

მოხმარების საგნად. ხოლო «საქონელთა საცვლელი ღირებულება განყენებული ხდება მათ სარგებლიანობისაგან»[39]. მაგრამ «სასაქონლო სპეულის» სახმარ ღირებულებას, მის სარგებლიანობას, თვისებრივ მომენტს თუ განვდევნით მბედველობის არედან, მაშინ დაგვრჩება მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ სასაქონლო სხეული არის შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი. ახლა შრომის პროდუქტი გვეელინება არა სახმარ ღირებულებად, არამედ როგორც ღირებულება, რომელშიაც «ჩაქრა გრძნობით შესაცნაურებელი თვისებები».

სახმარი ღირებულება კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შრომის ნაყოფია. კონკრეტული შრომა თვისებრივად გარკვეულია. მისი პროდუქტი — სახმარი ღირებულებაც, თვისებრივად განსაზღვრულია. საცვლელი ღირებულება, პირიქით, თვისებრივად განურჩეველი შრომის ნაყოფია, მასში მოცემულია შ რ ო მ ა ს ა ე რ თ ო დ. აქ შრომის კონკრეტული ფორმა, თვისებრივი მომენტი დავიწყებულია და წარმოდგენილია «ადამიანის განურჩეველი შრომა», სამუშაო ძალის ხარჯვა ს ა ე რ თ ო დ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახლა შრომის პროდუქტში, მის თვისებრივ მხარეებიდან განყენებულში, «დაგროვებულია ადამიანის შრომა ეს არის სწორედ ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი შრომა, ღირებულების ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა. ამთავითვე ირკვევა, მაშასადამე, რომ საქონელი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ა: მასში განსახიერებულია საცვლელი ღირებულება და ღირებულება, კონკრეტული და აბსტრაქტული შრომა.

მაშასადამე. საქონლის ორმაგი ხასიათი გამოწვეულია მასში განსახიერებული შრომის ორმაგი ბუნებით. აბსტრაქტული შრომა შეუძლებელია კონკრეტული შრომის გარეშე. აქ მოცემულია წინააღმდეგობათა მთლიანობა. საქონლის რაობის გაგება ამიტომ შეუძლებელია თვით შრომის შინაბუნების მეცნიერული ანალიზის გარეშე. რა არის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შ რ ო მ ა? ესაა «ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ფ ო რ მ ა შ ი»[40]. მეჩექმეს შრომა კონკრეტულია, ის ქმნის კონკრეტულ ნივთს — სახმარ ღირებულებას, სახელდობრ — ჩექმას. ცხადია, როგორც «კონკრეტული სასარგებლო მუშაობა, შრომა ქმნის სახმარ ღირებულებას»[41]. მეჩექმეს შრომა თ ვ ი ს ებ ურ ად განსხვავდება, ვთქვათ, მკერავის შრომისგან. ორივე სახის შრომა სხვადასხვა კონკრეტულ პროდუქტს, სახმარ

ibid. გვ. 3. მკითხველი. ალბათ. ხედავს, კვალდაკვალ მივყვებით მარქსის მსჯელობათა მსვლელობას. ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ყველგან ამოღებულია «კაპიტალიდან».

[40] ibid. გვ. 10. ხაზი ჩვენია.

ibid.

ღირებულებას ქმნის. სახმარ ღირებულებაში განივთიერებული შრომის კონკრეტული, თვისებრივად გარკვეული ხასიათი ქმნის თვისებრივად გარკვეულ პროდუქტს—სახმარ ღირებულებას. კონკრეტული შრომა «მოცემულ ბუნებრივ საგანს უფარდებს ადამიანის მოთხოვნილებას». საზოგადოებრივი ადამიანის მოთხოვნილება მრავალნაირია და ამიტომაც კონკრეტული შრომის ფორმებიც მრავალფეროვანია. რითაა გამოწვეული ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების, კონკრეტული შრომის ფორმათა სიმრავლე? შრომის პროდუქტთა თვისებრივი გარჩევა გამოწვეულია შ რ ო მ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი გ ა ნ ა წ ი ლ ებ ი თ. სასარგებლო შრომა ნაწილდება სხვადასხვა «სახის, ოჯახის, ქვესახის და სახეცვლილების» შრომად. თითოეული მათგანი ემსახურება და აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ადამიანის კონკრეტულ საჭიროებას. შრომის საზოგადოებრივი განაწილების გარეშე შეუძლებელია შრომის კონკრეტული ფორმების არსებობა. მეტი კიდევ, შრომის საზოგადოებრივი განაწილება «შეადგენს საქონლის მეურნეობის არსებობის პირობას». მართალია, შრომის განაწილება ისტორიულად არ არის საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული: ძველ ინდოელთა თემში შრომა განაწილებული იყო, მაგრამ საქონლის მეურნეობა არ იყო კიდევ. მაგრამ მას უკან, რაც საქონლის მეურნეობა წარმოიშვა, ეს მეურნეობა შეუძლებელია შრომის საზოგადოებრივი განაწილების გარეშე. და აი, შრომის საზოგადოებრივი განაწილება მოითხოვს სასარგებლო შრომის კონკრეტულ ფორმებს. კონკრეტული შრომის გარეშე სახმარი ღირებულება შეუძლებელია გახდეს საცვლელ ღირებულებად. სახმარი ღირებულების სუბსტანცია არის კონკრეტული შრომა.

სასარგებლო შრომა მარადიული ცნებაა. შრომის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა, რა გინდ ფორმის არ იყოს ეს საზოგადოება. შრომა პროდუქტის წარმოებაა, ხოლო წარმოება გულისხმობს მოხმარებას. მოხმარება წარმოების გარეშე არ არსებობს. ამიტომ სასარგებლო შრომა, რომელიც ქმნის სახმარ ღირებულებას, არაა დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაზე, ის შეადგენს «ადამიანთა არსებობის პირობას, მარადიულ ბუნებრივ აუცილებლობას»[42]. სასარგებლო შრომა არის «ნივთიერებათა გაცვლა ადამიანსა და ბუნებას შორის», ამ შრომის გარეშე «შეუძლებელი გახდებოდა თვით ადამიანის სიცოცხლე». შრომა—ამბობს მ ა რ ქ ს ი—არის «პროცესი, რომელიც წარმოებს ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით გან-

[42] Капитал, ტ. I. გვ. 7.

საზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ბუნებასა და მის შორის ნივთიერებათა გაცვლას. ბუნების ნივთიერებას ადამიანი უპირისპირდება, როგორც ბუნების ძალა»[43]. სასარგებლო შრომის მიზანია ბუნებრივ მასალაზე, ბუნების ნივთიერებაზე ზემოქმედება, ამ ნივთიერებისათვის შესაფერი ფორმის მიცემა. შრომა ადამიანის «სამუშაო ძალის მოხმარებაა». ბუნების ნივთიერება თავისთავად არ იცვლის, არ ღებულობს ადამიანის მოხმარების შესაფერ ფორმას, ამისთვის საჭიროა, რომ ბუნების ნივთიერებას დაუპირისპირდეს ბუნების ძალა, გაიშალოს პროცესი ბუნებასა და ადამიანს შორის. ეს პროცესი არსებობდა, არსებობს და იარსებებს ყოველგვარ საზოგადოებაში მათ სპეციფიკურ ფორმათა მიუხედავად. ამ პროცესის გარეშე ადამიანთა საზოგადოება შეუძლებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოისპობა საზოგადოებრივი წარმოება. «შრომის პროდუქტი არის სახმარი ღირებულება, ბუნების ნივთიერება, შეფარდებული ადამიანთა მოთხოვნილებებთან ფორმის შეცვლის საშუალებით»[44]. მ ა რ ქ ს ი განაგრძობს: თუ განვიხილავთ ბუნებასა და ადამიანს შორის გამართულ პროცესს, თვით ამ პროცესის—შრომის—პროდუქტის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ე'ს პროცესი შეადგენს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა და შ რ ო მ ი ს შ ე ე რ თ ე ბ ა ს. ი ი, ამ შეერთების ხ ა ს ი ა თ ი, მისი შინაარსი განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების ფორმას, წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ს. იქ, სადაც წარმოების საშუალებანი თვით უშუალო მწარმოებელს ეკუთვნის, შრომა და შრომის პირობები შეერთებულია უკანასკნელთა კერძო საკუთრების ნიადაგზე, ხოლო მწარმოებელნი დაპირდაპირებულნი არიან ერთმანეთთან, როგორც წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლები, ადგილი აქვს საქონლის წვრილი მეურნეობის საზოგადოებას. პირიქით, თუ წარმოების საშუალებანი და შრომა შეერთებული არიან ანტაგონისტურ ფორმაში, ე. ი. შრომის პირობები უკვე კაპიტალად გადაიქცა, იქმნება წარმოების კაპიტალისტური წესი და თვით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სპეციფიკურ-ბურჟუაზიულ ფორმაში გვევლინება. მაშასადამე, შრომის პროცესის განხილვა გულისხმობს აგრეთვე ამ პროცესის სპეციფიკურ-საზოგადოებრივ ფორმის განხილვასაც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერული აბსტრაქციის გზით შეუძლებელია შრომის პროცესის განხილვა «განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაზე დამოუკიდებლად», პირიქით, თავდაპირველად შრომის პროცესი აუცილებლად სწორედ

[43] ibid. გვ. 119.
[44] ibid. გვ. 122.

ასე უნდა განხილულ იქნეს—ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი. ეს პროცესი არის ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება ბუნების ნივთიერებაზე, ამ უკანასკნელის ფორმის შეცვლის მიზნით. სხვანაირად, ესაა ადამიანის სასარგებლო შრომა, პროცესი, რომელიც გულისხმობს ნივთიერებათა გაცვლას ადამიანსა და ბუნებას შორის. ამ თვალსაზრისით ვღებულობთ დასკვნას: «შრომის პროცესი.. არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, ბუნების მიერ მოცემულის გამოყენება ადამიანის მოთხოვნილებებისთვის, საერთო პირობა ნივთიერებათა გაცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მ ა რ ა დ ი უ ლ ი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი პ ი რ ო ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს, და ამიტომ ის დ ა მ ო უ კ ი დ ებ ე ლ ი ა ამ ცხოვრების ყოველგვარ ფ ო რ მ ი ს ა გ ან, პირიქით, ე რ თ ნ ა ი რ ა დ ს ა ე რ თ ო ა მის ყველა საზოგადოებრივ ფორმისთვის»[45]. ამ გაგებით სასარგებლო შრომა, მის საზოგადოებრივ ფორმისაგან დამოუკიდებლად განხილული, «მარადიული ბუნებრივი აუცილებლობაა». შეიძლება ითქვას, მისი პროდუქტი—სახმარი ღირებულებაც მარადიული მოვლენაა. მაგრამ ეს აზრი მოითხოვს არსებით შესწორებას. კონკრეტული შრომა, დამყარებული შრომის საზოგადოებრივ განაწილებაზე სასაქონლო მეურნეობაში, ისტორიული კათეგორიაა. კონკრეტული შრომა, საქონლის წარმოების საზოგადოებაში საზოგადოებრივია ამავე დროს, მაგრამ არა უშუალოდ, პირდაპირ, არამედ შ უ ა ლ ო ბ ი თ—საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე. ამ საზოგადოებაში კონკრეტული შრომა ქმნის სახმარ ღირებულებას არა თავისთვის, არამედ ს ხ ვ ი ს თ ვ ი ს. სხვანაირად, ის ქმნის «საზოგადოებრივ სახმარ ღირებულებას»[46]. სოციალისტურ საზოგადოებაში თითოეულის შრომა ამავე დროს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ა უ შ უ ა ლ ო დ. აქ შრომა ქმნის საზოგადოებრივ პროდუქტს. ეს პროდუქტი არ არის ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა იმ გაგებით, როგორც ეს სასაქონლო მეურნეობაშია მოცემული.

გავეცნოთ ახლა, თუ რას წარმოადგენს აბსტრაქტული შრომა.

აბსტრაქტული შრომა შეადგენს ღირებულების სუბსტანციას. აბსტრაქტული შრომის გამოხატვა—აი, რა არის ღირებულება. მაგრამ რა არის თვით აბსტრაქტული შრომა? ჩვენ უკვე ვიცით, რომ სახმარი ღირებულებანი, რომლებიც თავისებურად განსხვავებული არიან ერთმანეთისგან, იცვლებიან ერთმანეთზე. მათ შორის არის საერთო რამ—ადამიანის შრომა. საცვლელი ღირებულება სახმარი ღირებულე-

[45] Капитал, ტ. I, გვ. 125, ხაზი ჩვენია.

[46] ibid. გვ. 6. სახმარ ღირებულების შესახებ იხ. მ ა რ ქ ს ი ს რეცენზია ვ ა გ ნ ე რ ი ს წიგნზე (Архив etc., ტ. V).

ბის გარეშე შეუძლებელია: საგანი, მოკლებული სახმარ ღირებულებას, მოკლებულია თვით ღირებულებასაც. პირიქით, შეიძლება საგანს ჰქონდეს სახმარი ღირებულება, მაგრამ არ გააჩნდეს ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღირებულება—არ იყოს გაცვლა-გამოცვლის საგანი, არ იყოს მასში ადამიანის შრომა განივთიერებული. ასეთია ჰაერი, წყალი, უდაბური ტყე და სხვა მრავალი. როგორც კი სახმარი ღირებულება საქონლის ღირებულების ფორმაში გვევლინება, ის კარგავს თვისებრივ გარკვეულობას, იმას, რომ ის თვისებრივად გარკვეული, კონკრეტული შრომის პროდუქტია და გამოიყურება, როგორც თვისებრივად გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ყ ლ ი შრომის პროდუქტი. საქონლის ღირებულებაში «ნივთიერდება ანუ მატერიალურდება აბსტრაქტულ-ადამიანური შრომა»[47]. საქონელში კონკრეტული შრომა, თვისებრივი მომენტი განყენებულია. ახლა საქმე გვაქვს ადამიანის შრომის ხარჯვასთან საზოგადოდ. თითოეული კონკრეტული შრომა, შრომის თითოეული ფორმა საქონელში, როგორც ღირებულებაში, პოულობს მხოლოდ რაოდენობრივ დახასიათებას. ახლა კონკრეტული შრომის პროდუქტი წარმოდგენილია როგორც პროდუქტი, რომელშიაც დახარჯულია შრომა საზოგადოდ: «ადამიანის ტვინის, კუნთების, ნერვების, ხელების და სხვ. წარმოებითი ხარჯვა»[48]. ასეთი შრომა თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ მომენტიდან განთავისუფლებულია, კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ხასიათს მოკლებულია და გადაქცეულია ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ შრომად. აი, სწორედ ეს აბსტრაქტული შრომა წარმოდგენილია ღირებულებაში. როგორც მ ა რ ქ ს ი ამბობს, «საქონლის ღირებულებაში გამოხატულია ადამიანის შრომა უბრალოდ, ადამიანის შრომის ხარჯვა საერთოდ»[49]. აქედან სრულებით ცხადია, რომ ღირებულების სუბსტანცია—აბსტრაქტული შრომა—რ ე ა ლ უ რ ი მოვლენაა, ის ადამიანის შრომის ხარჯვაა საერთოდ. ამიტომაც ვამბობთ მარტივად: შრომა არის ღირებულების საზომი, მისი შინაარსი, სუბსტანცია.

აბსტრაქტული შრომა წმინდა ისტორიული კათეგორიაა. მისი არსებობა საქონლის წარმოების საზოგადოებაშია მხოლოდ შესაძლებელი. ისეთ საზოგადოებაში, სადაც მწარმოებელთა კავშირი საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით ხორციელდება, განვითარებულია შრომის განაწილება და იწარმოება «საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება», «სახმარი ღირებულება სხვებისთვის», კონკრეტული შრომა თავის წინააღმდეგობაში—აბსტრაქტულ შრომაში გადადის.

[47] ibid. გვ. 4.
[48] ibid გვ. 8. აგრეთვე გვ. 31 და 113.
[49] ibid.

გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაში, სადაც საწარმოო შრომა უშუალოდ საზოგადოებრივი ხდება, აბსტრაქტული შრომა ისპობა და, მაშასადამე, ისპობა მისი ფორმა—ღირებულება. საქონლის მეურნეობასაც ბოლო ეღება. ღირებულების კანონი ირღვევა, იხსნება.

ღირებულება, როგორც აბსტრაქტული შრომის გამოხატვა, ეკონომიურ სინამდვილის ზედაპირზე უშუალოდ არ გვევლინება, ვინაიდან მისი სუბსტანცია—აბსტრაქტული შრომა—არ შეიცავს ბუნებრივ ნივთიერებას. «საქონლის ღირებულების სუბსტანცია—წერს მარქსი—იმით განსხვავდება ქვრივ დედაკაც კვიკლისგან, ფალსფატის მეგობრისაგან, რომ არავინ იცის, სად იმყოფება ის. სასაქონლო სხეულთა შესაგრძნობ უხეშ სუბსტანციის პირდაპირ საწინააღმდეგოდ, ბუნებრივი ნივთიერების არც ერთი ატომი არ შედის მათ ღირებულების სუბსტანციაში»[50]. აბსტრაქტული შრომა, მაშასადამე, ბუნების მიერ მოცემული ნივთიერების არც ერთ ატომს არ შეიცავს, და ეს გასაკვირიც არაა: აბსტრაქტული შრომა ადამიანის შრომაა საერთოდ, ადამიანის კუნთების, ტვინის, ხელების წარმოებითი ხარჯვაა. აქ ბუნების ნივთიერება თვით ხდება შრომის მატერიალურ პირობად, შრომის საწარმოო საშუალებად. შრომა ადამიანის ძალის გამოყენებაა, ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ძალა. სრულებით უდაოა, რომ შრომა, როგორც პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, ობიექტური, რეალური კათეგორიაა, ხოლო თვით ეს პროცესი მატერიალურია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მეორე მხრივ, როგორც საცვლელი ღირებულების ნივთიერი საფუძველი და მატარებელია სახმარი ღირებულება, სწორედ ასევე აბსტრაქტული შრომის საფუძველია კონკრეტული ფიზიკური შრომა. აბსტრაქტული შრომა კონკრეტული შრომის გარეშე, მისგან აბსოლუტურად განყენებული, არ არსებობს. შრომა საერთოდ, შრომა საზოგადოდ მეცნიერული აბსტრაქციაა და, როგორც ასეთი, ობიექტური. ამ დასკვნამდე მივყევართ თვით აზრთა ლოგიკურ მსვლელობას: აბსტრაქტული შრომა სუბსტანციაა ღირებულების, ღირებულება შინაარსია საცვლელ ღირებულების, საცვლელი ღირებულების ნივთიერი მატარებელია სახმარი ღირებულება, ხოლო სახმარი ღირებულების (რომელიც საქონლის ფორმაში გვევლინება) სუბსტანციაა კონკრეტული შრომა. მაშასადამე აბსტრაქტული შრომა, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების რეზულტატი, თავისი ფესვებით უერთდება კვლევა-ძიების გამოსავალ წერტილს—კონკ-

[50] Капитал, ტ. I, გვ. 11. აგრ. გვ. 3. შეად. გვ. 40. აქ ვკითხულობთ: «...საცვლელ ღირებულებაში არ მოიპოვება ბუნების მიერ მოცემულ ნივთიერების იმაზე მეტი, რაც, მაგ. მოიპოვება თამასუქის კურსში».

რეტულ შრომას. ამითაც მტკიცდება აბსტრაქტული შრომის კათეგორიის სავსებით ობიექტური ხასიათი.

საცვლელი ღირებულება არის ღირებულების ფორმა. საცვლელი ღირებულება «ღირებულების გამოვლენის ფორმაა». სხვანაირად, საცვლელი ღირებულება არის «ნივთზე დახარჯული შრომის გამოთქმის განსაზღვრული საზოგადოებრივი წესი»[51]. ამიტომაც «გამოვდივართ საცვლელ ღირებულებიდან ანდა საქონელთა საცვლელ მიმართებიდან, რათა მივაგნოთ მათში დამალული ღირებულების კვალს»[52]. საცვლელი ღირებულება, როგორც ღირებულების ფორმა, გამოხატავს საქონლის ღირებულებათა რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ მიმართებას. ღირებულების ისტორიული გენეზისი, მისი განვითარება და ისტორიული დასასრული ნათელი ხდება მისი ფორმათა ანალიზით. ეს ანალიზი საცვლელი ღირებულებით უნდა დაიწყოს. მ ა რ ქ ს მ ა განავითარა კიდევაც ღირებულების ფორმების ანალიზი და მეცნიერულად დაასაბუთა და გაარკვია ფულის ბუნება, საქონლის ფეტიშიზმის საიდუმლოება და ნათელჰყო სხვა მრავალი მ ა რ ქ ს ა მ დ ე გაურკვეველი კათეგორია.

ამრიგად, საქონელი შეიცავს «სახმარ ღირებულებისა და ღირებულების მთლიანობას»[53]. ეს იმიტომ, რომ თვით შრომა, რომელიც განივთიერებულია სასაქონლო სხეულში, ატარებს ორმაგ ხასიათს. ეს აღმოჩენა ეკუთვნის მ ა რ ქ ს ს, შრომის ორმაგი ხასიათი «პირველად კრიტიკულად ნაჩვენებია» მ ა რ ქ ს ი ს მიერ. მაშასადამე, მხოლოდ მ ა რ ქ ს მ ა მოგვცა საქონლის ღირებულების მეცნიერული ანალიზი. მ ა რ ქ ს ი სრულებით სამართლიანად ამბობს, რომ შრომის ორმაგი ბუნების გაგება არის მთავარი საქმე. «ეს პუნქტი წარმოადგენს ცენტრალურ პუნქტს, რადგან მის გაგებისკენ იხრება პოლიტიკური ეკონომია»[54]. ეს ცენტრალური პუნქტი კლასიკურ ეკონომიას განუხილველი დარჩა. ამიტომაც მან ვერ გაიგო თვით ღირებულების ნამდვილი ბუნება.

ღირებულება წარმოებაში იქმნება, ხოლო მიმოქცევაში გამოვლინება. ეს დებულება გარკვევით წამოყენებულია მ ა რ ქ ს ი ს მიერ და დასაბუთებულიც. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს «კაპიტალიდან», რომელიც ფიზიკური სიცხადით ააშკარავებს ობიექტურ ჭეშმარიტებას. მარქსი წერს: «შრომის პროდუქტები არ გადაიქცეოდა ს ა ქ ო ნ ლ ა დ, რომ ისინი არ იყონ ნაწარმოები დამოუკიდებელ, კ ე რ ძ ო მ უ შ ა ო ბ ი ს, რომელიც წარმოებს დამოუკიდებლად. ამ კერძო მუშაობათა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი კ ა ვ შ ი რ ი არსებობს

[51] ibid.
[52] ibid. გვ. 11.
[53] ibid. გვ. 127.
[54] ibid. გვ. 6.

ნივთიერად, თუ ისინი წევრებია თვითმყოფი შრომის განაწილების, და ამიტომ თავიანთი პროდუქტებით აკმაყოფილებენ სხვადასხვა მოთხოვნილებას, რომელთა ჯამისგან შედგება აგრეთვე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა თვითმყოფი სისტემა. კერძო მუშაობათა ეს ნივთიერ-სოციალური კავშირი, რომელნიც [მუშაობანი] ავსებენ ერთმანეთს ერთმეორისგან დამოუკიდებლად, არსებობს მხოლოდ შესაძლებლობაში, სინამდვილედ კი ის იქცევა ამ მუშაობათა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაში»[55]. როგორც ვხედავთ, მარქსი იქვის ნატამალსაც არ ტოვებს იმაში, რომ ღირებულება წარმოებაში იქმნება და მიმოქცევაში გამოიცდინება. შრომის პროდუქტს გადაქცევა საქონლად პირობადებულია ინდივიდუალურ წარმოებათა არსებობით და მათი დამოუკიდებლობით. ეს წარმოებანი ფორმალურად არიან დამოუკიდებელნი, ნამდვილად კი—ერთმანეთზე დამოკიდებულნი: ისინი შეადგენენ ცალკე მომენტებს შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში. მათი «საზოგადოებრივი კავშირი არსებობს ნივთიერად». ეს კავშირი ნივთიერია, სხვანაირად—განივთიერებულია, რადგან ეს საზოგადოებრივი კავშირი ნივთთა—სასაქონლო სხეულების—მოძრაობაში, მათ მიმართებაში გამოიხატება. ამავე დროს ეს კავშირი სოციალურია, საზოგადოებრივი ხასიათის—სასაქონლო ღირებულება განსაკუთრებულ სოციალურ ურთიერთობაში წარმოიშობა და ვითარდება. მაგრამ ინდივიდუალურ-კაპიტალისტურ მწარმოებელთა ნივთიერ-სოციალური კავშირი ჯერ კიდევ რეალურ შესაძლებლობაშია, სანამ არ გავცილებულვართ წარმოების სფეროს. მართალია, ეს კავშირი ამ სფეროში წარმოიშვა, აქ გაიბა, მაგრამ მისი გადაქცევა სინამდვილედ, ხორცშესხმა, გამოვლინება საქონლის მიმოქცევაში, გაცვლა-გამოცვლაში ხდება. «როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ—წერს მარქსი,—რომ საქონელი როგორც ღირებულება, ადამიანის შრომის უბრალო კრისტალია, აქ ჩვენს ანალიზს საქონელი დაყავს აბსტრაქტულ ღირებულებამდე, მაგრამ არ გამოხატავს მის ღირებულებას არავითარ ფორმაში, განსხვავებულში მის ნატურალურ ფორმისგან. ეს არ ითქმის ერთი საქონლის მეორე საქონელთან ღირებულების მიხედვით მიმართებაზე. საქონლის ხასიათი, როგორც ღირებულების, გამოიცდინება აქ მეორე საქონელთან მისი საკუთარი მიმართების წყალობით»[56]. მაშასადამე, საქონელი როგორც ღირებულება გამოიცდინება საბაზრო ურთიერთობაში, ხოლო წარმოებაში

[55] Капитал, ტ. I, გამოც. 1872 წ. გვ. 667. ხაზი მარქსისაა.
[56] Капитал, ტ. I, გამოც. 1928 წ. გვ. 14. კურსივი ჩვენია.

ეს ღირებულება არსებობს როგორც რეალური შესაძლებლობა, აბსტრაქტული ღირებულება. შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა საქონლის შემდგომ მოძრაობაში. მოვლენაში არაა ის, რაც არაა თვით რაობაში. სასაქონლო ღირებულებაში არაა ის, რაც არაა «აბსტრაქტულ ღირებულებაში». შესაძლებლობის ხასიათი არსებითად განსაზღვრავს თვით სინამდვილის ხასიათს, თუ ეს შესაძლებლობა ობიექტურია, სხვანაირად—მოხსნილი სინამდვილეა. მ ა რ ქ ს ი განაგრძობს მტკიცებას: «პროდუქტი საქონლის სახით გამოდის წარმოების პროცესიდან»[57]... «ნივთთა ხასიათი, როგორც ღირებულება, მიღებულია მხედველობაში უკვე თვით მათ წარმოებაში»[58]. ღირებულების წყარო, ამრიგად, თვით კაპიტალისტური წარმოებაა. ამ წარმოებაში უკვე მოცემულია საქონლის კაპიტალისტური მეურნეობის ბურჟუაზიული ურთიერთობანი. აქ გადამჭრელია «ნივთიერ-სოციალური კავშირი», რომელიც იქმნება ინდივიდუალურ მუშაობათა შორის საქონლის მეურნეობაში. შრომის საზოგადოებრივი განაწილების სისტემაში მოცემულია თითოეულ კერძო მწარმოებელთა განსაზღვრული ადგილი და ეს სისტემა, ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა უკარნახებს, აიძულებს მწარმოებელს მიიღოს მხედველობაში მისი პროდუქტების სასაქონლო ხასიათი «უკვე თვით მათ წარმოებაში». ამიტომ შრომის პროდუქტი არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში თვით მიმოქცევის სფეროში შეჭრამდე წარმოადგენს «პოტენციალურ საცვლელ ღირებულებას»[59]. ამრიგად, ეს პრობლემა მ ა რ ქ ს ი ს მიერ გადაჭრილია საფუძვლიანად.

მეორე მხრივ, მ ა რ ქ ს ი ასეთივე გულდასმით და მეცნიერული სიმტკიცით იკვლევს თვით მიმოქცევის მნიშვნელობას. ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი «კაპიტალს» უკეთებს შენიშვნას: «...იმისათვის, რათა გახდეს საქონლად, პროდუქტი უნდა იქნეს გადაცემული გაცვლის საშუალებით იმაზე, ვისთვისაც ის შეადგენს სახმარ ღირებულებას»[60]. აქედან დასკვნა: საქონელია ისეთი ნივთი, რომელიც გაცვლა-გამოცვლის საგანს წარმოადგენს. გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობათა გარეშე საქონელი, როგორც ეკონომიური კათეგორია, არ არსებობს. მ ა რ ქ ს ი ხაზს უსვამს ამ დებულებას. მ ა რ ქ ს ი წერს: «ეკონომიური კათეგორიები... ატარებს საკუთარი ისტორიის კვალს. რათა პროდუქტი გადაიქცეს საქონლად, ამისათვის საჭიროა განსაზღვრულ ისტორიულ პირობათა განხორციელება. მანამ, მაგალითად, სანამ ის

[57] Капитал, ტ. II, გვ. 137.
[58] Капитал, ტ. I, გვ. 32.
[59] ibid. გვ. 44.
[60] Капитал, ტ. I, თავი I, შენიშვნა 11a.

კეთდება მწარმოებლის მოთხოვნილებათა უშუალოდ დასაკმაყოფილებლად, არ იქცევა საქონლად»[61]. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი გაცვლის ობიექტს შეადგენს, ის საქონლის ფორმას ღებულობს. ამიტომ «საგანი, განზრახული გასაყიდად, არის საქონელი»[62]. როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულია «ისტორიული ელემენტი»: თითოეული ეკონომიური კათეგორია ატარებს საკუთარი ისტორიის დაღს. ის წარმოიშობა ისტორიულად, განსაზღვრულ ისტორიულ-საზოგადოებრივ პირობებში და ისპობა ისტორიულადვე, ამ პირობათა ძირეულად შეცვლით. აი, ეს «ისტორიული ელემენტი» ს ა ვ ს ე ბ ი თ შეუმჩნეველი აღმოჩნდა კლასიკურ ეკონომიისათვის, ეს ეკონომია დარჩა ბურჟუაზიულ მეცნიერების ვიწრო ფარგლებში. ღირებულების პრობლემის მარქსისტულ გაგებას ამოსწურავს ლ ე ნ ი ნ ი ს შემდეგი სტრიქონები: «ღირებულება არის მიმართება (отношение) ორ პირს შორის—თქვა ერთმა ძველმა ეკონომისტმა; მას უნდა დაემატებინა მხოლოდ: მიმართება, ნივთიერ გარსში გახვეული... მხოლოდ საზოგადოების ერთი განსაზღვრული ისტორიული ფორმაციის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის თვალსაზრისით, ამავე დროს იმ ურთიერთობათა, რომლებიც გამოივლინება გაცვლის მასობრივ, მილიარდჯერ განმეორებულ მოვლენებში, შეიძლება გავიგოთ, რა არის ღირებულება»[63]. ვფიქრობთ, ლ ე ნ ი ნ ი ს ამ ნათელ სიტყვებს არ სჭირდება არავითარი ახსნა-განმარტება.

ა დ ა მ ს მ ი ტ ი და, საერთოდ, მთელი კლასიკური ეკონომია სწორად განსაზღვრავს ღირებულების სიდიდეს, როცა ამტკიცებს: ღირებულების სიდიდე განისაზღვრება პროდუქტში დახარჯული შრომის რაოდენობით. საქონელში განივთიერებული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს საქონლის ღირებულების სიდიდეს. ბუნებრივად იბადება კითხვა: განა ღირებულების სიდიდე ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შრომით გაიზომება? ამ პრობლემას კლასიკური ეკონომია სრულებით ვერ ამჩნევს. ეს პრობლემაც მ ა რ ქ ს მ ა დააყენა და მეცნიერულად გადაჭრა. მარქსი აყენებს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ - ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ შრომის კათეგორიას. ღირებულებას ქმნის არა ყოველგვარი შრომა, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი და სასარგებლო შრომა. ქარის წისქვილებთან ბრძოლა უნაყოფო შრომაა, მას მხოლოდ ზიანი მოაქვს. ბაზარზე შორეული სოფლიდან ზურგით ჩამოტანილი საქონელი იმაზე მეტი არ ღირს, რაც ჩამოტანილია, ვთქვათ, ურმით, მიუხედავად იმისა, რომ პირველში მეტი შრომაა დახარჯული, მეორეში—ნაკლები

[61] Капитал, ტ. I, გვ. 112.
[62] ibid. გვ. 126.
[63] Собр. соч. გამოც. პირველი, ტ. XX დამატებითი, ნაწ. I, გვ. 480.

(რასაკვირველია, თუ ურემი იშვიათობას არ შეადგენს და ადამიანის ზურგი არ არის ტვირთზიდვის ძირითადი საშუალება). შრომა, რომელიც შეადგენს ღირებულების სუბსტანციას, არის «ადამიანის ერთნაირი შრომა, ადამიანის ერთი და იგივე სამუშაო ძალის ხარჯვა». საქონლის მეურნეობაში მთელი დახარჯული შრომა წარმოდგენილია შექმნილ ღირებულებაში. აქ სამუშაო ძალთა რაოდენობა მიღებულია მხედველობაში, როგორც ადამიანის ერთი და იგივე ძალა მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა სამუშაო ძალა «შედგება უამრავ ინდივიდუალურ სამუშაო ძალისგან», რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი ადამიანის სამუშაო ძალა მეტია მეორეზე, მესამის— აღემატება ორივეს, აღებულს თუ გნებავთ ერთად. მაგრამ ინდივიდუალურ სამუშაო ძალთა განსხვავება იხსნება, როდესაც საქმე გვაქვს მთელი საზოგადოების სამუშაო ძალასთან. თითოეული სამუშაო ძალა ახლა წარმოდგენილია «საზოგადოებრივ საშუალო სამუშაო ძალად»[64]. სწორედ ასეთი ძალის სახით მოქმედობს თითოეული ინდივიდუალური სამუშაო ძალა. ღირებულების შექმნის პროცესში მოქმედობს ეს ძალა და მისი გამოვლინება ანუ გამოყენება—შრომა—საზოგადოებრივად საშუალო შრომაა. სამუშაო ძალა, მაშასადამე, მოქმედობს «მხოლოდ საშუალოდ აუცილებელ ანუ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროის განმავლობაში»[65]. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო არის ის სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა საქონლის დასამზადებლად «წარმოების საზოგადოებრივ-ნორმალურ პირობათა არსებობაში და მოცემულ საზოგადოებაში შრომის ინტენსივობისა და კვალიფიკაციის საშუალო დონის მიხედვით»[66]. აქ წარმოდგენილია საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო, შრომის «ინტენსივობისა და ხელოვნობის საშუალო ხარისხი»[67]. ამიტომ «შრომა, გაობიექტებული საქონელში, არის საშუალო საზოგადოებრივი ღირსების, ე. ი. საშუალო სამუშაო ძალის გამოვლინება»[68]. ეს შრომა არის, მაშასადამე, საშუალო საზოგადოებრივი ღირსების, «უბრალო საშუალო შრომა»[69], «უბრალო შრომა, საშუალო საზოგადოებრივი შრომა»[70]. მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, შრომის მაღალი და დაბალი ინტენსივობა თანაბარდება ს ა შ უ ა ლ ო ს ა ზ ო-

[64] Капитал, ტ. I, გვ. 4.
[65] idid.
[66] ibid. შეად. გვ. 437.
[67] ibid. გვ. 431.
[68] ibid. გვ. 240.
[69] ibid. გვ. 9.
[70] ibid. გვ. 129.

გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი კვალიფიკაციისა და ინტენსივობის ცნებაში. საქონლის ღირებულებაში წარმოდგენილია სწორედ ასეთი შრომა.

საშუალო საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა, გაანივთიერებული საქონელში, იზომება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის ხანგრძლივობით. ღირებულების სიდიდე ამ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ აუცილებელი სამუშაო დროის ხანგრძლივობით იზომება და არა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ა დ აუცილებელი სამუშაო დროთი. აქედან აშკარაა, რომ «საქონლის ნამდვილი ღირებულება არის არა მისი ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ღირებულება, ე.ი. ეს ღირებულება იზომება არა იმ სამუშაო დროთი, რომელიც დაუჯდა ფაქტიურად მწარმოებელს ამ კერძო შემთხვევაში, არამედ სამუშაო დროთი, რომელიც საზოგადოებრივად აუცილებელია საქონლის საწარმოებლად»[71]. სხვანაირად: «საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება შრომის რაოდენობით, რომელიც აუცილებელია მის დასამზადებლად და არა მასში უკვე განივთიე-რებული შრომის რაოდენობით»[72]. საქონელში შეგიძლიათ გაანივთიეროთ 10 საათის შრომა, მაგრამ თუ ამ ათ საათში საზოგადოებრივად აუცილებელია მხოლოდ ექვსი საათი, ღირებულების სიდიდე ამ ექვსი საათით განისაზღვრება და ოთხი საათი დაკარგულად ჩაითვლება. ინდივიდუალური მწარმოებელი ზარალობს. პირიქით, საქონელში ფაქტიურად განივთიერებული 10 საათის ინდივიდუალური შრომა თუ უდრის 12 საათის საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს, საქონლის ღირებულება 12 ს. აღინიშნება და, მაშასადამე, ინდივიდუალური მწარმოებელი მოიგებს. საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით, ამ ინდივიდუალურ ქანაობათა რიგს მნიშვნელობა არ აქვს: აქ ბატონობს საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო.

ღირებულების სიდიდე, ამრიგად, საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით, საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის ხანგრძლივობით განისაზღვრება. მაგრამ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო ი ც ვ ლ ე ბ ა შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარებით. შრომის ნაყოფიერებითი ძალა «განისაზღვრება მრავალი რთული გარემოებით, სხვათა შორის მუშის დახელოვნების საშუალო ხარისხით, მეცნიერების განვითარების დონით და მისი ტექნიკური გამოყენებით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ორგანიზაციით, საწარმოო საშუალებათა სიდიდით და მოქმედების უნარით და, ბოლოს, ბუნებრივი პირობებით»[73]. ეს რთული პირობე-

[71] ibid. გვ. 236.
[72] ibid 418.
[73] ibid. გვ. 5.

ბი მუდმივ ცვლილებაშია და, ცხადია, იცვლება თვით შრომის ნაყოფიერებითი ძალა—იზრდება ან ეცემა ის. მეცნიერების, ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის, მოკლედ—წარმოების ნივთიერ და პირად ელემენტების განვითარებით ვითარდება, იზრდება თვით შრომის ნაყოფიერებითი ძალა, ჩვეულებრივად რომ ვთქვათ—შრომის ნაყოფიერება. მაგრამ რა არის შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება? ესაა «საერთოდ ყოველგვარი ცვლილება შრომის პროცესში, რომელიც ამცირებს სამუშაო დროს, საზოგადოებრივად აუცილებელს მოცემული საქონლის დასამზადებლად»[74]. სხვანაირად, შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება «პოულობს თავის გამოხატვას წარმოების საშუალებათა შეფარდებით სიდიდეში, რომლებსაც [წარმოებათა საშუალებებს] მუშა აქცევს პროდუქტად განსაზღვრულ დროის განმავლობაში სამუშაო ძალის მოცემული დაჭიმვით»[75]. თუ ერთი მუშა განსაზღვრულ დროში პროდუქტად აქცევს შრომის საგანთა x მასას, ხოლო მეორე—x^2-ს, ვამბობთ, რომ მეორე შემთხვევაში შრომის ნაყოფიერება მეტია პირველზე. ერთ და იმავე სამუშაო ხანზე აქ მოდის შრომის პროდუქტის სხვადასხვა რაოდენობა. საზოგადოებრივი შრომის პირობების გაუმჯობესებით ვითარდება შრომის ნაყოფიერებითი ძალა, მაშასადამე, იცვლება სამუშაო დრო. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო უცვლელი როდია, ის იცვლება და მასთან ერთად იცვლება ღირებულების სიდიდეც. საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროსა და საზოგადოებრივი ღირებულების სიდიდის მიმართება მ ა რ ქ ს ი ს მიერ ჩამოყალიბებულია კანონში: საქონლის ღირებულების სიდიდე იცვლება შრომის ნაყოფიერებითი ძალის ცვლილებით—რამდენად იზრდება შრომის ნაყოფიერებითი ძალა, იმდენად ეცემა საქონლის ღირებულება, და პირიქით. სხვანაირად: საქონლის ღირებულების სიდიდე პ ი რ დ ა პ ი რ პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა მასში განივთიერებულ საზოგადოებრივ შრომასთან და უ კ უ პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა ამ შრომის ნაყოფიერებითი ძალასთან[76]. «საქონელთა ღირებულება უკუპროპორციულია შრომის ნაყოფიერებითი ძალასთან»[77]—ეს დასკვნა აუცილებლად გამომდინარეობს ღირებულების სიდიდის მოძრაობის მეცნიერულ კვლევაძიებიდან. ეს ეკონომიური კანონი მეცნიერულად ვერ დაასაბუთა კლასიკურმა ეკონომიამ, მაშასადამე მან ვერ მოგვცა ღირებულების მოძრაობის ღრმა მეცნიერული ანალიზი. ქვევით, ზედმეტი ღირებულე-

[74] ibid. გვ. 234.
[75] Капитал, ტ. I, გვ. 493.
[76] ibid. გვ. 6.
[77] ibid. გვ. 238.

ბის თეორიის ძირეულ პრობლემების გარკვევაში, დავინახავთ, როგორი როლი ითამაშა ამ გარემოებამ კლასიკური ეკონომიის თეორიულ სისტემაში. ამ შემთხვევაშიაც მარქსმა ღირებულების თეორია გენიოსურად განავითარა და ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა. ღირებულების მოძრაობის ამ კანონის გაგება არსებითია რელატივური ზედმეტი ღირებულების წარმოების ანალიზისათვის. ამიტომაც მარქსი ანვითარებს მას, მეცნიერულად ხსნის და ასაბუთებს კვლევა-ძიების ვრცელ მანძილზე.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, საცვლელი ღირებულება არის ღირებულების გამოვლენის, მისი გამოაშკარავების ფორმა. ღირებულება გვევლინება საცვლელ ღირებულების ფორმაში. ღირებულების შინაბუნების, მისი ხასიათის, მოძრაობის კანონების შესწავლა, მეცნიერული შემეცნება ამიტომ მისი გამოვლენის ფორმათა შესწავლით უნდა დაიწყოს. რაობის შემეცნება მოვლენის შემეცნების გზით წარმოებს, მოძრაობათა ფორმების შესწავლა ააშკარავებს მათ შინაარსს—მატერიასა და მის ბუნებას. ამ შემთხვევაშიაც ძალაში რჩება მატერიალისტური დიალექტიკის ეს გნოსეოლოგიური თეზა: რათა მივაგნოთ—როგორც მარქსი ამბობს—საქონელში დამალულ ღირებულების კვალს, თავდაპირველად კვლევა-ძიების საგნად საქონელთა საცვლელი მიმართება, მათი საცვლელი ღირებულება, ამ ღირებულების ფორმები უნდა გავიხადოთ. ამავე დროს აქ აშკარავდება მარქსის ისტორიული მეთოდი—მარქსი იკვლევს ღირებულებას ისტორიულად, მის წარმოშობასა, განვითარებასა და მოსპობაში. მაშასადამე, კვლევა-ძიებამ უნდა დაასაბუთოს, ნათელყოს ობიექტური მოვლენა—ღირებულების ცვალებადი, გარდამავალი, ისტორიული ხასიათი. ისტორიულმა, დიალექტიკურმა მეთოდმა უნდა მიგვიყვანოს აგრეთვე «მსოფლიო გამოცანის» — ფულის რაობის მეცნიერულ გაგებამდე. დაბოლოს, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების აპოთეოზი, ამ მეთოდმა უნდა გააშიშვლოს თვით ადამიანთა საწარმოო ურთიერთობანი მათ ნივთიერ გარსიდან და ახსნას საქონლის მეურნეობის ფეტიშისტური ხასიათი, ცხადყოს საქონლის ფეტიშიზმი და მისი საიდუმლოება. მარქსმა ყველა ეს მეცნიერული ამოცანა, ურთულესი ეკონომიური პრობლემები გენიოსურად გადასჭრა.

მეცნიერული აზროვნების პროცესი მარტივიდან რთულზე გადასვლას გულისხმობს. მარქსი იწყებს ღირებულების უმარტივესი ფორმით—ორი საქონლის საცვლელი მიმართებით. ეს ორი საქონელი იცვლება ერთმანეთზე, ერთმანეთში გამოხატავს თავის ღირებულებას. რადგან საზოგადოებრივი წარმოება განუვითარებელია, შრომის განაწილება არ არის საგრძნობი, აღებ-მიცემობა საშოშია კიდევ,

ამიტომ საქონელთა გაცვლა-გამოცვლას აქვს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ხ ა-სიათი. ღირებულების პირვანდელი ფორმაც უბრალოა, კერძოული, შემთხვევითი. აქ, ღირებულების ამ უბრალო შემთხვევით ფორ-მაში, მოცემულია ორი საქონლის საცვლელი დამოკიდებულება: სა-ქონელი A იცვლება საქონელ B-ზე. ეს ღირებულების უბრალო ფორ-მაა, მაგრამ დავიმახსოვროთ, სწორედ ამაშია «ღირებულების ყოველ-გვარი ფორმის საიდუმლოება». საცვლელ დამოკიდებულებაში ერთი საქონელი ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ფორმაშია, მეორე—რ ე ლ ა ტ ი ვ უ რ-შ ი, შეფარდებითში. მაგალითი: 20 არშინი ტილო იცვლება 1 სერ-თუკზე. ორივე სხვადასხვა საცვლელი ღირებულებაა და თამაშობს სხვადასხვა როლს. 20 არშინი ტილო უფარდება სერთუკს და მასში პოულობს თავისი ღირებულების გამოხატვას. ხოლო სერთუ-კი—ტილოს ღირებულების გამოხატვის საშუალებაა, მისი სარკე. ცხადია, ტილო ა ქ ტ ი უ რ ი ა ამ პროცესში, ის უფარდდება ტილოს და მასში ეძებს თავის ღირებულებას. პირიქით, სერთუკი პ ა ს ი უ-რ ი ა, ის არ ეძებს თავის ღირებულებას, ის მხოლოდ სხვისი ღი-რებულებას გამოთქვამს. ტილოს ღირებულება იმყოფება რ ე ლ ა-ტ ი ვ უ რ ფორმაში, სერთუკის კი—ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ შ ი. სერთუ-კი არის ტილოს ეკვივალენტი ღირებულების მიხედვით. ღირებულე-ბის ეს მარტივი ფორმები ერთმანეთთან დაკავშირებულია, მოცემუ-ლია მთლიანობაში: ღირებულების ეკვივალენტური ფორმა შეუძლე-ბელია ღირებულების რელატივურ ფორმის გარეშე, და პირიქით. ერ-თი აუცილებლად გულისხმობს მეორეს, ერთის მოსპობით მეორეც ისპობა. მაგრამ ამავე დროს ორივე ფორმა პოლარულია და ამიტომ ერთმანეთთან დაპირისპირებული. ერთი და იგივე საქონელი შეუძ-ლებელია ერთ და იმავე დროს ეკვივალენტურ ფორმაშიც იყოს და რელატივურშიც. ტილოს ღირებულება შეუძლებელია თვით ტილო-ში გამოიხატოს. ამიტომ საქონელი, რომელიც რელატივურ ღირე-ბულების ფორმაშია მოცემული, შეუძლებელია ა მ ა ვ ე დროს ღირე-ბულების ეკვივალენტურ ფორმაში იქნეს წარმოდგენილი. რასაკვირ-ველია, სხვადასხვა დროს და სხვა საქონელთან მიმართებაში ფორმე-ბი იცვლება: ტილო აქ მოცემულია ღირებულების ეკვივალენტურ ფორმაში, ხოლო იქ—შეიძლება რელატივურში. მაგრამ ერთი და იგივე საგანი ერთ და იმავე დროს შეუძლებელია ატარებდეს ღი-რებულების ორივე ფორმას. თუ რომელ ფორმაში უნდა იყოს საქო-ნელი მოცემული, ეს დამოკიდებულია იმ ადგილზე, რომელიც უჭი-რავს მას გაცვლის პროცესში.

მ ა რ ქ ს ი მეცნიერულად იკვლევს ღირებულების რელატივურ და ეკ-ვივალენტურ ფორმას. ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ სწორედ

აქ არის კვლევა-ძიების «მთავარი სიძნელე». ეს სიძნელე უნდა გადაილახოს. აი, აქ აღმოჩნდა, რომ საქონელი იცვლება საქონელზე იმიტომ, რომ მათში არის რაღაც საერთო, სახელდობრ — ადამიანის შრომა, საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. საქონელიც «დაიყვანება აბსტრაქტულ ღირებულებამდე»[78]. პროდუქტი, როგორც საქონელი, კარგავს თავის თვისებრივ მომენტებს, წარმოდგენილია აბსტრაქტული შრომის განივთიერებად და ატარებს სახმარი ღირებულების კვალს. ტილო იცვლება სერთუკზე. რა ხდება აქ? «მიუხედავად იმისა, რომ სერთუკი გამოდის ყველა ფოლაქით შებნეული, ტილო იცნობს მასში ღირებულების თავის ნათესავ მშვენიერ სულს»[79]. ახლა ტილო სერთუკისებურია, გამოიყურება ისე, როგორც სერთუკი. ტილომ მიიღო ღირებულების ფორმა, რომელიც ძირეულად განსხვავდება მის ნატურალურ ფორმისგან. «მისი არსი, როგორც ღირებულება, გამოიელინება მის გათანაბრებაში სერთუკთან, როგორც ქრისტიანის ცხვრის ტყავი ღვთის ბატკანთან დამსგავსებაში»[80]. მეორე მხრივ, სერთუკის ნატურალური ფორმა ხდება ტილოს ღირებულების ფორმად, რადგან ტილო მასზე იცვლება. საქონელი, რომელიც თავის ღირებულებას მეორე საქონლის ღირებულებაში პოულობს, მოცემულია ღირებულების რელატივურ ფორმაში. ღირებულების ეს ფორმა გულისხმობს აგრეთვე *რაოდენობრივ გარკვეულობას*. ერთ სერთუკზე გაიცვლება მხოლოდ 20 არშინი ტილო და არა ნაკლები. რაოდენობრივი გარკვეულობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ პროპორციული მიმართება ემყარება საცვლელ საქონელში, საცვლელ ღირებულებაში განივთიერებულ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომათა პროპორციულობას. აი, რა არსებითი დასკვნა მოგვცა ღირებულების რელატივური ფორმის ანალიზმა.

არა ნაკლებ მნიშვნელობის დასკვნებს იძლევა ღირებულების ეკვივალენტური ფორმის ანალიზი. ტილო თავის ღირებულებას სერთუკში გამოხატავს და ამით სერთუკს აძლევს «ღირებულების სპეციფიკურ ფორმას, ეკვივალენტურ ფორმას». სერთუკი არ შეიცავს ღირებულების ისეთ ფორმას, რომელიც განსხვავებული შეიძლება იქნეს მის ნატურალურ, ნივთიერ ფორმისგან. სერთუკი იმიტომაა ეკვივალენტი, რომ ის იცვლება ტილოზე. ეს გაცვლა რომ არ შეიძლებოდეს, სერთუკის ღირებულება ეკვივალენტურ ფორმაში არ მო-

[78] Капитал, ტ. I, გვ. 14.
[79] ibid. გვ. 15.
[80] ibid.

გვეელინებოდა. გაცვლა ხდება, რადგან სერთუკი გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელ შრომის განივთიერებას. გაცვლის შესაძლებლობის გარეშე ეკვივალენტური ფორმა არ ხორციელდება. ამიტომ «მოცემული საქონლის ეკვივალენტური ფორმა არის ამ საქონლის მეორე საქონელზე უშუალოდ გაცვლის ფორმა»[81]. ამავე დროს ღირებულების ეკვივალენტური ფორმა გულისხმობს აგრეთვე რაოდენობრივ გარკვეულობასაც: 20 არშინი ტილო გაიცვლება მხოლოდ ერთ სერთუკზე და არა მეტზე. მაშასადამე, აქ გამეფებულია ორივე საქონელში განივთიერებული შრომათა რაოდენობრივი თანასწორობა. ღირებულების ეკვივალენტური ფორმა რაოდენობრივ გარკვეულობას მოითხოვს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც ღირებულების ამ უბრალო ფორმის ანალიზი არსებით დასკვნას იძლევა. მაგრამ ღირებულების ეკვივალენტური ფორმის გარკვევა ამით არ ამოიწურება.

ღირებულების ეკვივალენტურ ფორმის დროს საქონლის ნატურალური ფორმა ხდება მეორე საქონლის ღირებულების ფორმად. საქონელს არ შეუძლია იყოს საკუთარ თავთან ეკვივალენტურ მიმართებაში, ეს მიმართება შესაძლებელია მეორე საქონელთან მხოლოდ. ამ საქონელმა, მაგალითად, ტილომ, ამიტომ უნდა «გაიხადოს მეორე საქონლის ბუნებრივი გარეგნობა თავისი საკუთარი ღირებულების ფორმად». მაგალითი: შაქარი და რკინა. ამოცანა მდგომარეობს შაქრის სიმძიმის გამორკვევაში. ამ სიმძიმეს ვარკვევთ შაქრის აწონით, ე. ი. მისი სიმძიმის გაზომვით გირის მიხედვით. გირა, რკინის ეს ნაჭერი, ანსახიერებს მხოლოდ სიმძიმეს შაქართან დამოკიდებულებაში, შაქარი მასში პოულობს საკუთარი სიმძიმის გამოხატვას. ამ ორ სხეულს შორის არის საერთო — სიმძიმე, ეს თვისება ორივეს ახასიათებს და ამიტომ გააჩნია მათ საერთო ენა. მაშასადამე, შაქარი თავის საკუთარ სიმძიმის რაოდენობას მის მოპირდაპირე საგანში — რკინაში პოულობს. ასევე ხდება სწორედ ორი საქონლის გაცვლის დროსაც. როგორც რკინა შაქრის მიმართ წარმოდგენილია მხოლოდ სიმძიმედ, ისე სერთუკი ტილოს მიმართ წარმოდგენილია მხოლოდ ღირებულებად, განსაზღვრული რაოდენობის განივთიერებულ შრომად. აქ ხდება შემდეგი «საკვირველება»: სერთუკის საცვლელი ღირებულება იქცევა წინააღმდეგობად — ღირებულებად. აქედან არსებითი დასკვნა: «საცვლელი ღირებულება ხდება თავისი დაპირისპირების, ღირებულების გამოაშკარავების ფორმად». ეს დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით კონკრეტული შრომა, განივთიერებული სერთუკში (მკერავის

[81] ibid. გვ. 18.

შრომა), გადადის თავის წინააღმდეგობაში—აბსტრაქტულ შრომაში, ადამიანის შრომაში საერთოდ. აქედან მეორე არსებითი დასკვნა: «კონკრეტული შრომა აქ ხდება თავისი დაპირისპირების, აბსტრაქტული ადამიანური შრომის გამოვლინების ფორმად». ახლა მკერავის შრომა, (სერთუკი) და მქსოველის შრომა (ტილო) წარმოდგენილია ადამიანის შრომად საზოგადოდ, ორივე შრომის კონკრეტული, თვისებრივი სახე მხედველობის არედან ჰქრება და მის ადგილს იჭერს აბსტრაქტული შრომა. ღირებულების ეკვივალენტური ფორმის შესწავლამ, მისმა ანალიზმა, მაშასადამე, ნათელყო, რომ კონკრეტული შრომა ხდება აბსტრაქტული შრომის გამოვლენის ფორმად. «ამაში არ არის არავითარი საიდუმლოება»[82]. ამ დებულებიდან გამომდინარეობს მესამე არსებითი დასკვნა, უკვე ცხადი თავისთავად: «კერძო შრომა ღებულობს თავისი დაპირისპირების ფორმას, უშუალოდ საზოგადოებრივი შრომის ფორმას». მკერავის შრომა, როგორც კერძო შრომა, გამოდის როგორც საზოგადოდ ადამიანის შრომის უბრალო გამოსახვა. ის უთანაბრდება მეორე კონკრეტულ შრომას—თერძის შრომას, გამოდის საკუთარ საზღვრებიდან. ამიტომ ეს კერძო შრომა გვევლინება საზოგადოებრივი შრომის სახეში. აი, როგორ გადადის განსაზღვრული ცნება თავის წინააღმდეგობაში. აქ აშკარად ჩანს დიალექტიკური აზროვნების მეცნიერული სიმახვილე.

ღირებულების ამ მარტივ ფორმების ანალიზი ააშკარავებს საქონელში მოცემულ წინააღმდეგობას.

ჯერ ერთი, თავისთავად ცალკედ აღებულად შეუძლებელია ღირებულების როგორც ეკვივალენტურ, ისე რელატივურ ფორმათა არსებობა, მაშასადამე, შეუძლებელია საცვლელი ღირებულება, თვით საქონელი. რასაკვირველია, შეუძლებელი ხდება თვით ღირებულებაც. აქედან აშკარავდება აგრეთვე ღირებულების საზოგადოებრივი, მაშასადამე, ისტორიული ხასიათი. შემდეგ, ღირებულების უბრალო ფორმაში ერთი საქონლის ნატურალური ფორმა გვევლინება მეორე საქონლის ღირებულების ფორმად, ღირებულების გამოხატვად. ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. მაშასადამე, ღირებულების ამ მარტივ, შემთხვევით ფორმაში გამოიხატება, გამოივლინება საქონელში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის გარეგნული წინააღმდეგობის გზით—ორი საქონლის დაპირისპირების საშუალებით. ეს დაპირისპირება, საქონელთა ეს მიმართება საცვლელ ღირებულების ფორმაში გვევლინება. ამრიგად, ღირებულების მარტივი ფორმა ააშკარავებს საქონელს, როგორც წინააღმდეგობათა

[82] ibid. გვ. 20.

მთლიანობას—სახმარ ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობას. ღირებულების გამოვლინება საცვლელ ღირებულებაში ხორციელდება. შრომის პროდუქტი სახმარი ღირებულებაა, მისი დანიშნულებაა მოხმარება. მაგრამ განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა აქცევს შრომის პროდუქტს საცვლელ ღირებულებად. სპეციფიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში პროდუქტში დახარჯული შრომა ღებულობს ამ პროდუქტის ნივთიერ თვისების სახეს, შრომას ეძლევა მისი პროდუქტის ღირებულების ფორმა. სხვანაირად, შრომა ნივთიერდება პროდუქტში და გამოიხატება, როგორც ამ პროდუქტის ღირებულება. აქედან მარქსი ააშკარავებს ორ მომენტს: ერთი—საქონლის ღირებულების მარტივი ფორმა არის ამავე დროს შრომის პროდუქტის მარტივი ფორმა და, ამიტომ, მეორე—საქონლის ფორმის განვითარება მოასწავებს თვით ღირებულების ფორმის განვითარებას.

ღირებულების მარტივი ფორმა არის ღირებულების «ჩანასახისებური ფორმა», რომელიც «მთელ რიგ მეტამორფოზის გავლით მწიფდება ფასის ფორმამდე»[83]. მაშასადამე, ისტორიულად საქონლის ფასის ფორმა თავისი ძირით უერთდება ღირებულების ამ მარტივ ფორმას, აქედან იწყება. ღირებულების მარტივი ფორმა, ცხადია, არ არის თავისთავად საკმარისი ღირებულების ფორმის განვითარებისათვის ფასამდე. საჭიროა სათანადო პირობა—ღირებულების მარტივი ფორმის შემდგომი განვითარება, მისი გადასვლა «ღირებულების სრულ ანუ გაშლილ ფორმაზე». ასე მოხდა ეს ისტორიულად და მეცნიერულ-ლოგიკური აზროვნება ამ პროცესის ობიექტურ ასახვას ემსახურება.

რაში მდგომარეობს ღირებულების სრული, გაშლილი ფორმა? იმაში, რომ მოცემული საქონლის, მაგ. ჩვენი ნაცნობი ტილოს, ღირებულება გამოიხატება არა ერთ, არამედ მრავალ საქონელში. ყველა ისინი ტილოს ღირებულების სარკედ გვევლინება. ახლა უფრო ცხადი ხდება, რომ ღირებულება ადამიანის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის, აბსტრაქტული შრომის გამოხატვას წარმოადგენს. ახლა ტილოს «საზოგადოებრივი ურთიერთობა» დამყარებულია არა სერთუკთან მარტო, არამედ «მთელი სასაქონლო მსოფლიოსთან». ტილო, «როგორც საქონელი, ამ მსოფლიოს მოქალაქეა». ტილოს მიმართებათა დაუსრულებელი რიგი სხვა საქონელთან უფრო ააშკარავებს სასაქონლო ღირებულების გულგრილ, განურჩეველ დამოკიდებულებას ყოველგვარ საცვლელ ღირებულებასთან, რომელშიაც ის

[83] ibid. გვ. 23.

გამოივლინება. მკითხველი, ალბათ, ამჩნევს, რომ ღირებულების განვითარებული ფორმა შესაძლებელია უფრო განვითარებულ საზოგადოებრივ წარმოების პირობებში, სადაც საქონელთა გაცვლა-გამოცვლა არა შემთხვევით, არამედ ცოტად თუ ბევრად რეგულარულ ხასიათს ღებულობს. ცხადია, ეს დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზე საზოგადოებაში. ამრიგად, ტილოს საცვლელი ღირებულება გამოიხატება ახლა არა მარტო სერთუკის, არამედ ბევრ სხვა საქონლის სახმარი ღირებულებით. მისი ღირებულების სიდიდე უცვლელი რჩება, სულ ერთია, სერთუკზე იცვლება ის თუ ჩექმაზე. აქ გაცვლის მომწესრიგებელია ღირებულება, ე. ი. საქონელში განივითიერებული შრომა. ამიტომ «არა გაცვლა-გამოცვლა აწესრიგებს საქონლის ღირებულების სიდიდეს, პირიქით, საქონლის ღირებულების სიდიდე აწესრიგებს საცვლელ მიმართებას»[84]. ღირებულება მიმოქცევაზე რომ არაა დამოკიდებული წარმოშობის თვალსაზრისით, ეს ცხადი ხდება ღირებულების გაშლილ ფორმაშიაც კი.

ღირებულების მარტივ ფორმიდან წარმოიშვა მისი სრული, განვითარებული ფორმა. მაგრამ ღირებულების ფორმის განვითარება აქ არ სწყდება, ის ვითარდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე. ღირებულების სრული ფორმა გადადის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ფორმაში. მ ა რ ქ ს ი იკვლევს ამ ფორმას და უახლოვდება კვლევა-ძიების უახლოეს მიზანს—ფულის პრობლემას.

ღირებულების სრულ ფორმაში პროცესი დაუსრულებელი გვევლინება: საქონელი A იცვლება მრავალ საქონელზე, რომელთა რიცხვი უამრავია და ამიტომ ეს საქონელი თავის ეკვივალენტს პოულობს მრავალ საქონელში. ამას გარდა, თუ, მაგ. ტილო იცვლება მრავალ სხვა საქონელზე, ცხადია, მრავალი სხვა საქონელი გამოხატავს თავის ღირებულებას ერთ საქონელში—ტილოში. ამიტომ ეს ერთი გარკვეული საქონელი გვევლინება ღირებულების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ფ ო რ მ ა დ. მიმართება აქ შებრუნდა და ერთი გარკვეული საქონელი მრავალ საქონლის ეკვივალენტად იქცა. მაშასადამე, ღირებულების გაშლილი ფორმა ბუნებრივად იქცა ღირებულების საყოველთაო ფორმად. ახლა საქონელი თავის ღირებულების გამოხატვას პოულობს უ ბ რ ა ლ ო დ—ერთ საქონელში და ე რ თ ფ ე რ ო ვ ნ ა დ—ამავე ერთ საქონელში.

ღირებულების ამ სამი ფორმის ანალიზის შემდეგ მ ა რ ქ ს ი ამ ფორმათა განვითარების სოციალურ ეკვივალენტს ააშკარავებს. ღირებულების უბრალო, კერძოული, შემთხვევითი ფორმა გეხვდება

[84] ibid. გვ. 24.

«გაცვლა-გამოცვლის მხოლოდ ჩასახვის დროს, როდესაც შრომის პროდუქტები იქცევა საქონლად გაცვლა-გამოცვლის მხოლოდ იშვიათ და შემთხვევით აქტებში»[85]. მაშასადამე, ღირებულების ეს მარტივი ფორმა წარმოიშვა საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების მეტის-მეტად დაბალ საფეხურზე. ღირებულების სრული ანუ გაშლილი ფორმა გულისხმობს საქონლის ღირებულების მის სახმარ ღირებულებისგან განცალკევებას. აქ ერთი საქონლის ღირებულება მრავალ საქონელში პოულობს თავის ღირებულებითი ეკვივალენტს. ცხადია, ღირებულების სრული ფორმა შეუძლებელია შედარებით უფრო განვითარებული გაცვლა-გამოცვლის პირობებში. ეს გულისხმობს საწარმოო ძალთა განვითარების შედარებით მაღალ დონეს. ღირებულების საყოველთაო ფორმაში მხოლოდ ერთი გარკვეული საქონელი წარმოადგენს სხვა დანარჩენ საქონელთა ეკვივალენტს. ამ ფორმით დაწყებული გვევლინებიან საქონელნი საცელელ ღირებულებად ერთმანეთის მიმართ. თუ ღირებულების მარტივ და რთულ ფორმაში თითოეული საქონელი ეძებს თავის ღირებულებითი ეკვივალენტს, ღირებულების საყოველთაო ფორმაში ეს ეკვივალენტი უკვე მოცემულია, მისი ძებნა საჭირო არაა და ყოველი საქონელი ამ საყოველთაო ეკვივალენტში თავისუფლად გამოხატავს თავისი საკუთარ ღირებულებას, მის სიდიდეს. მ ა რ ქ ს ი ს არ იყოს, აქ ღირებულება წარმოშობილია როგორც მთელი სასაქონლო მსოფლიოს საერთო საქმ.ე. ღირებულების საყოველთაო ფორმაში გამოყოფილია მხოლოდ ერთი საქონელი (ისტორიულად ეს საქონელი სხვადასხვა იყო სხვადასხვა ხალხებში, მაგ. პირუტყვი, ტყავი, მარილი, რკინა etc.), რომელმაც მიიღო უკვე «საყოველთაო ეკვივალენტის ხასიათი». ღირებულების საყოველთაო ფორმა, ეჭვი არაა, საზოგადოებრივი საწარმოო ძალთა ფართოდ განვითარების ნაყოფია, ეს ფორმა გულისხმობს საქონლის უფრო განვითარებულ მეურნეობას, შრომის საზოგადოებრივ განაწილების უფრო მაღალ დონეს, გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობათა შედარებით ფართოდ განვითარებას.

ღირებულების ფორმათა განვითარება თავის დასრულებას ღირებულების ფ უ ლ ად ფ ო რ მ ა შ ი პოულობს. ამ ფორმის გაგება ახლა არავითარ სიძნელეს არ შეიცავს, რაკი უკვე ნათელყოფილია მისი წინამორბედი ფორმები. ღირებულების საყოველთაო ფორმის შესწავლამ დაგვანახა, რომ ისტორიულად აუცილებელი შეიქნა საქონელთა მსოფლიოდან ერთი განსაზღვრული საქონლის გამოყოფა და

[85] ibid. გვ. 26.

მისთვის ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტობის მინიჭება. «და მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ასეთი გამოყოფა საბოლოოდ ხვდება წილად ერთ სპეციფიკურ, განსაკუთრებულ სასაქონლო სახეს, —მხოლოდ ამ მომენტიდან საქონელთა მსოფლიოს მთლიანი რელატიური ფორმა ღირებულებისა ღებულობს ობიექტურ სიმტკიცეს და საყოველთაო საზოგადოებრივ მნიშვნელობას»[86]. საზოგადოებრივი განვითარების მთელი წარსული ისტორია და თანამედროვე სინამდვილე გვიმტკიცებს, რომ ასეთი წილი არგუნა «ბედმა» განსაზღვრულ საგანს—ოქროს. ოქრო თამაშობს ახლა საყოველთაო ეკვივალენტის როლს, და ეს როლი შეადგენს მის «სპეციფიკურად საზოგადოებრივ ფუნქციას», «მის საზოგადოებრივ მონოპოლიას». ოქრო, როგორც განსაზღვრული საქონელი, აბსტრაქტული შრომის განვითიერება, თვითონ ღირებულება, გვევლინება საქონელთა ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტად, მის უმთავრეს, სპეციფიკურ საზოგადოებრივ ფუნქციას შეადგენს იყოს ღირებულებათა ობიექტური საზომი. ოქრო—ფულადი საქონელია. «ოქრო იმიტომაა დაპირისპირებული სხვა საქონელთან როგორც ფული, რომ წინეთ ის უპირისპირდებოდა მას როგორც საქონელი»[87]. წინეთ ოქრო თვითონ ეძებდა თავის ღირებულების გამოხატვას სხვა რომელიმე საქონელში, ის ატარებდა რელატიურ ფორმას. ოქრო იყო ერთ-ერთი უბრალო საქონელი და არავინ მოელოდა, რომ მას ასეთი ბედი ხვდებოდა წილად. მხოლოდ შემდეგ თანდათან ოქრომ მოიპოვა საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქცია. ამაში ბრალი მიუძღვის იმ გარემოებას, რომ ოქროს, აგრეთვე ვერცხლს, გააჩნია მრავალი ფიზიკური თვისება, შესაფერი საყოველთაო ეკვივალენტისათვის: არ იჟანგება, არ ლპება, შეიძლება მისი გაყოფა და მრავალი სხვა. და ეს იმ მ თ ა ვ ა რ ი პირობის გარდა, რომ ოქრო, როგორც საქონელი, ანსასიერებს განვითიერებულ აბსტრაქტულ შრომას, წარმოადგენს ღირებულებას. მას შემდეგ, როგორც კი ოქრომ მოიპოვა საყოველთაო ეკვივალენტის უფლება, მან «დაიპყრო მონოპოლია ამ ადგილისა საქონელთა მსოფლიოს ღირებულებათა გამოხატვაში, ის გასდა ფულადი საქონელი»[88]. ფ უ ლ ი ს ფ ე ტ ი შ ი ზ მ ი გ ა ჰ ქ რ ა! ის უკვე აღარ არსებობს მეცნიერული აზროვნებისათვის. მ ა რ ქ ს მ ა გადასჭრა ურთულესი,

[86] ibid. გვ. 29, აგრეთვე გვ. 44–48 etc.

[87] ibid. გვ. 30. აგრეთვე: «საქონელი იმიტომ იქცევა ფულად, რომ მასში გამოხატავს თავის ღირებულებას ყველა დანარჩენი საქონელი» (გვ. 48. შეად. გვ. 61).

[88] ibid. ქვევით მ ა რ ქ ს ი წერს: «იმდენად, რამდენად ხორციელდება შრომის პროდუქტების გადაქცევა საქონლად, ხორციელდება აგრეთვე საქონლის გადაქცევა ფულად» (გვ. 44).

უსაიდუმლოესი პრობლემა, რომელსაც თავს დატრიალებდა კაცობრიობის აზროვნება ათეულ საუკუნოების განმავლობაში. ფული გააშიშვლა მარქსმა მისტიურ გარსიდან და დაგვანახა მისი ბრწყინვალე ყვითელი სხეული—სასაქონლო სხეული. თეორიულ ეკონომიაში უდიდესი მეცნიერული გადატრიალება მოხდა. ფულის პრობლემაზე «მსოფლიო გოდება» დასრულდა მეცნიერულ აზროვნებაში. მარქსმა ეს შეძლო სასაქონლო ღირებულების მეცნიერული ანალიზით, ღირებულების ფორმათა განვითარების მატერიალისტურ-დიალექტიკური კვლევა-ძიებით: მან დაიწყო ღირებულების მარტივი ფორმით და მისგან ღირებულების საყოველთაო ფულადი ფორმა გამოიყვანა. «უბრალო სასაქოლნო ფორმა არის ამიტომ ფულადი ფორმის ჩანასახი». აი, ეს ვერ გაიგო პოლიტიკურმა ეკონომიამ მარქსამდე, ამიტომაც ერთხელაც არ ცდილა ეს ეკონომია მოეცა ღირებულების ფორმათა ანალიზი მათ ისტორიულ განვითარებაში. აქედან მისი კრიტიკა და შიში საქონლისა და ფულის ფეტიშის წინაშე.

ღირებულების მეცნიერულმა ანალიზმა ნათელყო საქონლის ობიექტური შინაბუნება, მან გამოაშკარავა ფულის ნამდვილი სახე. აქედან მარქსი გადადის სასაქონლო მეურნეობის საიდუმლოების—საქონლის ფეტიშიზმის გაგებაზე.

საქონელი, ერთის შეხედვით, ტრივიალური, ყველასათვის ცხადი ნივთია. ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ეს ასე არ არის. საქონელი—«ნივთია, აღსავსე სასწაულით». როგორც სახმარი ღირებულება საქონელი არავითარ საიდუმლოებას არ შეიცავს, მისი სახმარი თვისებები ყველასათვის ცხადია. ადამიანი მიზანშეწონილი მოქმედებით სცვლის ბუნებრივი ნივთიერების ფორმას და ხდის ამ ნივთიერებას მოხმარების საგნად, სახმარ ღირებულებად. ადამიანის შრომა სცვლის ბუნებრივ ნივთიერების ფორმას, მაგრამ არ სცვლის ამ ნივთიერების მატერიალურ შინაარსს: შრომას არ შეუძლია ახალი ქიმიური ელემენტი შექმნას, ის აღმოაჩენს მას მხოლოდ. საცვლელ ღირებულებაში ამიტომ არაფერია საიდუმლო და გაუგებარი. მაგალითად, მაგიდა, როგორც სახმარი ღირებულება. მასში საიდუმლოების ნატამალიც არ მოიპოვება. მაგრამ საქმე ძირ-ბუდიანად იცვლება, როგორც კი ეს მაგიდა საქონლად გვევლინება. ახლა მაგიდა «იქცევა გრძნობით-ზეგრძნობითი (sinnlich-übersinnlich) ნივთად. ის არა მარტო დგას მიწაზე ყველა თავისი ოთხი ფეხით, მეტი კიდევ, ყველა დანარჩენ საქონელთა წინაშე დგება თავზე, და ეს მისი ხის თავი (Holzkopf) იწვევს სასწაულს, რომელშიაც უფრო მეტი საკვირველებაა, ვინემ ის, რომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მაგიდას ცეკ-

ვა»[89]. რით აიხსნება ეს? შრომის პროდუქტის საიდუმლო ხასიათი თავს იჩენს ამ პროდუქტის საქონლის ფორმაში მოცემით. საიდუმლოებაც თვით ამ ფორმაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ უკვე ვიცით, რას წარმოადგენს ეს ფორმა. საქონელში შრომის სხვადასხვა ფორმა თანასწორდება, თვისებრივად ერთნაირი ხდება, შრომა ნივთიერდება პროდუქტში და აბსტრაქტული შრომა ღირებულებათა სუბსტანციად გვევლინება. აქ იხსნება შრომათა თვისებრივი გარჩევა. ეს—ერთი. მეორე: ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვა გაიზომება მუშაობის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ი თ და ვღებულობთ შრომის პროდუქტის ღირებულების ს ი დ ი დ ი ს გამორკვევის საშუალებას. და, მესამე: დამოუკიდებელი მწარმოებელთა საწარმოო ურთიერთობით ღებულობენ თვით შრომის პროდუქტთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმას, სხვანაირად—ა დ ა მ ი ა ნ თ ა ურ თ ი ე რ თ ობ ა გ ა ნ ი ვ თ ი ე რ ი ბ უ ლ ი ა, საქონელთა მოძრაობის ფორმაშია გახვეული. «ღირებულების სასაქონლო ფორმის საიდუმლოება—ამბობს მ ა რ ქ ს ი—მდგომარეობს იმაში, რომ ეს ფორმა წარმოადგენს სარკეს, რომელიც ასახავს ადამიანებისათვის მათი საკუთარი შრომის საზოგადოებრივ ხასიათს, როგორც თვით შრომის პროდუქტთა ნივთიერ ხასიათს, როგორც მოცემულ ნივთთა საზოგადოებრივი თვისებები, ამ ნივთებისთვის მინიჭებული ბუნების მიერ. ამიტომ საზოგადოებრივი ურთიერთობა მწარმოებელთა... ეჩვენება მათ მათ გარეშე არსებულ ნივთთა ურთიერთობად»[90]. მაშასადამე, სასაქონლო ღირებულების ფორმა სარკეა, რომელშიც აისახება ადამიანთა შრომის საზოგადოებრივი ხასიათი, შრომის პროდუქტის ნივთიერი ბუნება და ის შეხედულება, რომ საზოგადოებრივი თვისებები გააჩნია ნივთებს ბუნებრივად. აქ წარმოდგენილია არა მწარმოებელთა ურთი-

[89] Ibid. გვ. 30 31.

[90] Ibid. გვ. 31. მ ა რ ქ ს ი ასე განმარტავს საქონლისა და ფულის ფეტიშიზმის სოციალურ ფესვებს: «ადამიანთა წმინდა ატომისტური ურთიერთობა მათ საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესში, უწინარეს ყოვლისა, იძლევა იმ დასკვნას, რომ მათი საკუთარი საწარმოო ურთიერთობანი, რომლებიც იმყოფებიან მათ კონტროლსა და შეგნებული ინდივიდუალური მოქმედების გარეშე, ღებულობენ ნივთიერ ხასიათს, რის გამო მათი შრომის ყველა პროდუქტი ღებულობს საქონლის ფორმას. ამრიგად, ფულადი ფეტიშიზმის გამოცანა არის საქონლის ფეტიშიზმის გამოცანა საზოგადოდ. მხოლოდ ფულში ეს გამოცანა უფრო მძლავრ დ გვცემს თვალში და გვაბრმავებს» (Op. cit. გვ. 47-49. აგრეთვე გვ. 65, 104). მაშასადამე, აქ მთავარია «ადამიანთა წმინდა ატომისტური ურთიერთობა მათ საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესში» (შეად. გვ. 60). მწარმოებელთა დამოუკიდებლობა წარმოების პროცესში და მათი კავშირი საქონლის მიმოქცევის საშუალებით, ე. ი. მათ შორის არსებული საწარმოო ურთიერთობათა განივთიერება—აი, ბაზისი, რომელზედაც ბუნებრივი აუცილებლობით აღმოცენდა საქონლისა და ფულის ფეტიშიზმი საქონლის მწარმოებელთა საზოგადოებაში.

ერთობა, არამედ მწარმოებელთა შრომის პროდუქტების ურთიერთობა უშუალოდ. ამიტომ მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთობა ეჩვენება ადამიანს თვით «ნივთთა საზოგადოებრივ ურთიერთობად». აშკარაა, ეს სარკე—ღირებულება—ადამიანებს აჩვენებს რეალურ სინამდვილეს ყირაზე მდგარად, საიდუმლოებით აღსავსედ. ნამდვილად კი საქმე გვაქვს «მხოლოდ თვით ადამიანთა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, რომელიც მათ თვალში ღებულობს ნივთთა ურთიერთობის ფანტასტიურ ფორმას»[91]. მარქსი აფორმულებს: «ამას მე ვუწოდებ ფეტიშიზმს, რომელიც ახასიათებს შრომის პროდუქტებს, რაკი ისინი იწარმოება, როგორც საქონელი». ეს ფეტიშიზმი გამოწვეულია «საქონლის მწარმოებელი შრომის თავისებური საზოგადოებრივი ხასიათით».

მოხმარების საგნები იქცევა საქონლად იმიტომ, რომ ისინი «ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კერძო შრომათა პროდუქტია». მწარმოებელთა ეს დამოუკიდებლობა შეადგენს პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლის აუცილებელ პირობას, ხოლო გაცვლის სფეროში პროდუქტი საქონლის ფორმაში გამოდის. კერძო მუშაობათა ჯამი იძლევა «საზოგადოების შეჯამებულ შრომას». საქონელთა მწარმოებელთა ურთიერთობა ხორციელდება მათ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობაში. აქედან საქონლის მწარმოებელთ ეჩვენებათ, მათი საწარმოო საზოგადოებრივი ურთიერთობა «არა უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობად თვით ადამიანთა და მათი მუშაობათა, არამედ, პირიქით, ადამიანთა ნივთიერ ურთიერთობად და ნივთთა საზოგადოებრივ ურთიერთობად»[92]. როგორც ვხედავთ, აქ რეალური სინამდვილე ყირაზეა დაყენებული. ადამიანები ცვლიან ერთმანეთში თავიანთ პროდუქტებს არა იმის შეგნებით, რომ ეს პროდუქტები მათთვის წარმოადგენს «ერთდაგვარ ადამიანური შრომის ნივთიერ გარსს». პირიქით, ისინი უფარდებენ ერთმანეთს თავიანთ პროდუქტებს, როგორც ღირებულებას, ადამიანის შრომას საერთოდ. «ეს არ აქვთ მათ შეგნებული, მაგრამ ამას ისინი შვრებიან»[93]. ხოლო «ღირებულებას არ აწერია შუბლზე, რას წარმოადგენს ის». მეტი კიდევ, ღირებულება «შრომის თითოეულ პროდუქტს აქცევს საიდუმლო საზოგადოებრივ იეროგლიფად». ადამიანი ცდილობს «შეიჭრას საკუთარი საზოგადოებრივი პროდუქტის საიდუმლოებაში». ის აღწევს ამ მიზანს ისტორიულ განვითა-

[91] ibid გვ 32.
[92] ibid ხაზი ჩვენია.
[93] ibid. გვ. 33.

რების მაღალ საფეხურზე: «მეცნიერული აღმოჩენა, რომ შრომის პროდუქტები, რამდენად ისინი ღირებულებაა, წარმოადგენენ მხოლოდ ადამიანის შრომის ნივთიერ გამოხატვას, შრომის, დახარჯულს მათ წარმოებაზე»—აი, ეს აღმოჩენა «შეადგენს ეპოქას კაცობრიობის ისტორიის განვითარებაში». მაგრამ ეს დიადი აღმოჩენა კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რათა «მოისპოს შრომის საზოგადოებრივი ხასიათის ნივთიერი მოჩვენება». კაპიტალისტურ მწარმოებელს აინტერესებს საქონლის გაცვლა შესაფერ პროპორციაში, ეს პროპორცია სტიქიურად მკვიდრდება მწარმოებელთა ზურგს უკან. ახლა მას ეჩვენება, რომ მოცემული პროპორცია, რომლის მიხედვით საქონელი იცვლება საქონელზე, «თვით შრომის პროდუქტის ბუნებით განისაზღვრება». მართლაც და, შრომის პროდუქტების ხასიათი აშკარავდება მათ რეალიზაციის დროს, როგორც განსაზღვრული სიდიდის ღირებულება. მაგრამ ღირებულების სიდიდე იცვლება გაცვლა-გამოცვლის პროცესში მონაწილე ადამიანთა «სურვილის, გათვალისწინების და მოქმედებისაგან დამოუკიდებლად». ჩვენ ვიცით, რა მიზეზებით ხდება ღირებულებათა სიდიდის მოძრაობა. მაგრამ მწარმოებელთა თვალში იქმნება ილუზია: «მათი საკუთარი საზოგადოებრივი მოძრაობა ღებულობს ნივთთა მოძრაობის ფორმას, რომლის [ნივთთა მოძრაობის] კონტროლ ქვეშ ისინი [მწარმოებელნი] იმყოფებიან, იმის მაგივრად, რომ გაუწიონ კონტროლი თვით ამ მოძრაობას»[94]. მაშასადამე, არა ადამიანები განაგებენ და თავიანთ კონტროლ ქვეშ აქცევენ საკუთარ პროდუქტების — საქონელთა მოძრაობას, პირიქით, საქონელთა მოძრაობა განაგებს ადამიანთა მოძრაობას. ნ ი ვ თ ი ბ ა ტ ო ნ ო ბ ს ა დ ა მ ი ა ნ ზ ე ი მ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ, რ ო მ ა დ ა მ ი ა ნ ი ბ ა ტ ო ნ ო ბ დ ე ს ნ ი ვ თ ზ ე. ღირებულების სიდიდე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის სიდიდით იზომება. მაგრამ სტიქიურ წარმოების საზოგადოებაში, სადაც ბატონობს ღირებულების ულმობელი კანონი, ფორმალურად დამოუკიდებელი მწარმოებელი მოკლებული ხდება გაიგოს საკუთარი მოქმედება. ახლა შრომის პროდუქტის, საქონლის მოძრაობის საზოგადოებრივი ფაქტორი რაღაც ზ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ, ზებუნებრივ ხასიათს ღებულობს, ბუნების ბრმა კანონად წარმოიდგინება. ეს კანონი შიშის ზარად ევლინება საქონლის მწარმოებელს და მისი გამანადგურებელი სიძლიერე შესაგრძნობი ხდება სწორედ ისევე, როგორც «მაგალითად მიმზიდველობის კანონი, როდესაც სახლი თავს ეცემა ვინმეს». ღირებულების სიდიდის მოძრაობა საზოგადოებრივად

[94] ibid. გვ. 33-34.

აუცილებელი სამუშაო დროის სიდიდით განისაზღვრება, მაგრამ ეს ობიექტური კანონი საქონელთა მსოფლიოს ზედაპირზე უშუალოდ არ გამოდის, ის წარმოადგენს «საიდუმლოებას, რომელიც იფარება რელატიურ სასაქონლო ღირებულებათა თვალით შესაჩნევ მოძრაობით». ამ საიდუმლოების გაგება ააშკარავებს ღირებულებათა სიდიდის მოჩვენებითი შემთხვევითობას, თუმცა «ღირებულების ნივთიერ ფორმას არ უკუაგდებს». საქონლის ფეტიშიზმი უფრო მტკიცდება და ვითარდება, როგორც კი საქონელთა ქვეყანა ფულად ფორმაში ეხვევა. ეს ფულადი ფორმა «აფარებს ზეწარს კერძო სამუშაოთა საზოგადოებრივ ხასიათს, მაშასადამე, კერძო მუშაკთა საზოგადოებრივ ურთიერთობასაც, და ეს იმის ნაცვლად, რომ გააშიშვლოს ეს ურთიერთობა მთელი სიწმინდით». აქ მთელი თავისი სიძლიერით იჩენს თავს «საქონელთა მსოფლიოს მთელი მისტიციზმი», რომელიც საიდუმლოების გარსში ახვევს შრომის პროდუქტს. ეს მისტიციზმი დამახასიათებელია მხოლოდ საქონლის მეურნეობისათვის. ხოლო წარმოების ისეთ პირობებში, როდესაც კონკრეტული შრომა უშუალოდ საზოგადოებრივი ხდება, მეურნეობა—გეგმიანი, ცხადია, მსგავს მისტიციზმსაც არ ექნება არავითარი ადგილი. საქონლის ფეტიშიზმი წარმოების განსაზვრულ წესს—საქონლის მეურნეობას, ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობას ახასიათებს, მოკლედ—წარმოების კაპიტალისტურ ფორმებს. გეგმიან მეურნეობაში შეუძლებელია საქონლისა და ფულის ფეტიშიზმი. ამიტომაც ფეტიშიზმის პრობლემა არ დგას და არც შეიძლება იდგეს საბჭოთა მეურნეობის თეორიაში. საბჭოთა ეკონომიკაში მოსპობილია ღირებულების კანონი და ბუნებრივია, თუ აღმოფსვრილია სამუდამოდ—მარქსის ენაზე რომ ვთქვათ—«საკუთარ ურთიერთობათა განუმჭვირვალე საიდუმლოება»[95]. საქონლის ფეტიშიზმი არ ახასიათებს არც «რობინზონადებს»—ის არ მოიპოება რობინზონის ცნობილ კუნძულზე. მისი სამეფოა საქონლის განვითარებული მეურნეობის, კაპიტალისტური წარმოების საზოგადოება. სოციალიზმის პირობებში, ანდა როგორც მარქსი ამბობს, ადამიანთა თავისუფალ კავშირში, «ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი მათ მუშაობასა და შრომის პროდუქტთან აქ ხდება ცხადზე უცხადესი როგორც წარმოებაში, ისე განაწილებაში»[96]. საქონლის ფეტიშიზმი ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში შეუძლებელია ისევე, როგორც ღირებულება საქონლის მეურნეობის გარეშე.

[95] ibid გვ. 86. შენიშვნა 100.
[96] ibid. გვ. 37.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ შეძლო საქონლის ფეტიშიზმის ახსნა. მეტი კიდევ, მისი საუკეთესო წარმომადგენლები უყურებდენ საქონლის ფეტიშიზმს, როგორც ბუნებრივად აუცილებელ მოვლენას. კაპიტალისტურ წყობილებაში «წარმოების პროცესი ბატონობს ადამიანებზე და არა ადამიანები ბატონობენ წარმოების პროცესზე»[97]. სმიტისათვის, აგრეთვე რიკარდოსათვის ეს ირაციონალური ფაქტი არ წარმოადგენს კვლევა-ძიების საგანს, რადგან მისი სრულებით ბუნებრივი ხასიათი მათთვის «თავისთავად იგულისხმება». ამიტომაც კლასიკური ეკონომიის კვლევა-ძიების საგანია ნივთთა მიმართება და არა თვით ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ წარმოებაში. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე კლასიკოსების შეხედულება ეკონომიურ კათეგორიების მარადიულობაზე, უცვლელობაზე, ზეისტორიულობაზე. ასეთია მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიის კონცეპცია. სამართლიანია მარქსის გესლიანი შენიშვნა: «დიდი ხანია კი გაჰქრა ფიზიოკრატების ილუზია, რომ მიწის რენტა აღმოცენდება მიწიდან და არა საზოგადოებიდან»[98]. რათა გაჰქრეს ეს ილუზია, ამისთვის საჭიროა ეკონომიურ მოვლენებზე მეცნიერული შეხედულების შემუშავება. ეს შეხედულება ააშკარავებს ეკონომიურ კათეგორიების ისტორიულ, გარდამავალ ხასიათს. შრომის პროდუქტს არავითარი ბუნებრივი თვისება არ აქვს იმის გარდა, რომ ეს პროდუქტი ბუნებასა და ადამიანს შორის წარმოებული პროცესის ნაყოფია და მას გააჩნია მხოლოდ ერთი ფიზიკურ-ბუნებრივი თვისება—დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება. საცვლელი ღირებულება არის მხოლოდ «შრომის გამოხატვის განსაზღვრული საზოგადოებრივი წესი» და სხვა არაფერი. უშედეგოდ ცდილობს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იპოვოს, აღმოაჩინოს საცვლელი ღირებულება თვით ნივთში, შრომის პროდუქტში და ამით წარმოების კაპიტალისტური წესი, ბურზუაზიული ეკონომიის ძირითადი კათეგორიები მარადიულობის მისტიურ გარში გაახვიოს. მის თავზე აღბეჭდილია, დამოკლის ხმალივით აღმართულია მარქსის სიტყვები, აღსავსე ცინიზმით: «დღემდე ჯერ კიდევ ვერც ერთმა ქიმიკოსმა ვერ აღმოაჩინა რკინასა და მარგალიტში საცვლელი ღირებულება». ამიტომ დღემდე ვერც ერთმა ბურზუაზიულმა ეკონომისტმა ვერ დაასაბუთა მეცნიერულად კაპიტალისტური წარმოების ზეისტორიული ხასიათი.

ვასკვნით: ადამ სმიტმა—კლასიკურმა ეკონომიამ საზოგადოდ—მოგვცა ღირებულების თეორიის «რაციონალური მარ-

[97] ibid. გვ. 39.
[98] ibid. გვ. 40.

ცვალი». ზევით უკვე დავინახეთ, რომ ეს «მარცვალია» მხოლოდ. საქონლის ღირებულების ნამდვილმა მეცნიერულმა ანალიზმა, რომელიც მოგვცა მარქსის ჰენიამ, დაგვისურათა ამ «მარცვლიდან» აღმოცენებული გრანდიოზული მეცნიერული შენობა მთელი თავისი დიადი მშვენიერებით.

გადავიდეთ ზედმეტი ღირებულების პრობლემაზე და გავეცნოთ შინაგან წინააღმდეგობას სმიტის ღირებულების თეორიაში.

II

ზედმეტი ღირებულების თეორია

ღირებულების გარკვევის მოცემულ საფეხურზე, როგორც ვთქვით, სმიტი საერთოდ სწორად განსაზღვრავს ღირებულებას და მის სიდიდეს. ღირებულების სუბსტანციაა შრომა და სამუშაო დროთი გაიზომება საქონლის ღირებულების სიდიდე. მართალია, სმიტის მსჯელობა მეტად მარტივია, სმიტი ვერ ასაბუთებს მეცნიერული ანალიზით თავის დებულებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მტკიცედ დგას ობიექტივიზმის თვალსაზრისზე და იცავს შრომითი ღირებულების თეორიას. მაგრამ სმიტი ბოლომდე არ რჩება ამ თეორიის ერთგული, ღალატობს თანმიმდევრობას მეცნიერულ აზროვნებაში და შინაგან წინააღმდეგობაში ვარდება. გავეცნოთ საკითხის ამ არსებით მხარეს სმიტის ღირებულების თეორიაში.

წარმოების კაპიტალისტური წესი გულისხმობს წარმოების ნივთიერ და პირად ფაქტორების, საწარმოო საშუალებათა და დაქირაველებული შრომის ანაგონისტურ მთლიანობას. კაპიტალისტურ წარმოებაში შრომის საგანი და იარაღი დაპირისპირებულია თვით შრომასთან, როგორც კაპიტალი. სამუდამოდ ჩაიქირა ისტორიის უფრსკულში ის დრო, როდესაც შრომის საშუალებანი თვითონ შრომის საკუთრებას შეადგენდა. ახლა ეს საშუალებანი, მანუფაქტურულ პერიოდში, კაპიტალისტურ საკუთრებად იქცენ და წარმოადგენენ კაპიტალისტური მეურნეობის ნივთიერ პირობებს. ადამ სმიტი კარგად ხედავს ამ გარემოებას. შრომისა და კაპიტალის დაპირისპირება, რომელიც, სმიტისაზრით, არ ატარებს ანტაგონისტურ ხასიათს, ყოველგვარი საზოგადოებრივი წარმოების მარადიული პირობაა, საზოგადოებრივი პროგრესი წარმოუდგენელია შრომისა და კაპიტალის გარეშე. მუშა და კაპიტალისტი ორივე ერთ მიზანს ემსახურება წარმოების პროცესში—ადამიანთა კეთილდღეობას, საზოგადოებრივ განვითარებას, წინმსვლელობას—ამტკიცებს სმიტი. კაპიტალი შრომას აძლევს სამუშაოს, კაპიტალისტის გარე-

შე მუშა სიმშილით მოკვდებოდა, რადგან ის სამუშაოს ვერსად იპოვიდა, ხელფასს ვერ მიიღებდა. შრომის პირობები დაპირისპირებულია შრომასთან კაპიტალის სახით. ამ საზოგადოებრივი მოვლენის სრული სამართლიანობა და აუცილებლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს სმიტის მსოფლმხედველობაში. შრომა და არა უსაქმობა ქმნის ღირებულებას. ეს დებულება სრულებით არაა, სმიტის აზრით, კაპიტალისტური დამქირავებელის წინააღმდეგ მიმართული: კაპიტალისტიც მშრომელი ადამიანია. რასაკვირველია, მანუფაქტურული პერიოდის კაპიტალისტი ფორმალურად განსხვავდება თანამედროვე კაპიტალისტისაგან. მას ჯერ კიდევ—როგორც წესი—არ გააჩნია არც დირექტორები, კომივოიაჟორები, მაკლერები, მსხვილი ბანკირები, მმართველები. მის ხელში ჯერ კიდევ არაა სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და მაღალი პოლიტიკა არ უტრიალებს მას თავში. მანუფაქტურული კაპიტალისტი თვითონ დარბის წარმოების საქმეების მოსაგვარებლად, თავის დროზე იარაგებს და აწვდის წარმოებას ნედლ მასალას, თვითონ დაეძებს ბაზარს. ერთი სიტყვით, მანუფაქტურული კაპიტალისტი მშრომელი ადამიანია და მისი შრომაც არ უნდა დარჩეს აუნაზღაურებელი, მან უნდა ნახოს მოგება. ამაში სმიტი დარწმუნებულია ღრმად.

კაპიტალისტურ მეურნეობაში წარმოების საშუალებანი მოვლენილია კაპიტალის სახით, შრომის ნივთიერი პირობები დაპირისპირებულია შრომასთან, როგორც კაპიტალი. ამ ფაქტიდან მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები გამომდინარეობს როგორც ლოგიკურად, ისე ისტორიულად. აი, აქ აყენებს სმიტი ზედმეტი ღირებულების პრობლემას და აშუქებს მას თვისებრივად. «შრომის მოყვარე ადამიანები—წერს სმიტი—თავიანთი შრომით უმატებენ მასალათა პირვანდელ ღირებულებას» ახალ ღირებულებას, ამით ადიდებენ მათ ღირებულებას. ეს «შრომის მოყვარე ადამიანები» ქმნიან ახალ ღირებულებას. მაგრამ შრომის პროდუქტს ღირებულება მთლიანად არ მიაქვთ ამ «შრომის მოყვარე ადამიანებს», ღირებულების ნაწილი მიაქვს კაპიტალისტს. მოვუსმინოთ თვითონ სმიტს. «მიღებული ნაწარმოების ფულზე, შრომაზე თუ სხვა ნაწარმოებზე გაცვლის დროს აუცილებელია, რათა მასალების ღირებულების ფასის გადახდის და მუშების ხელფასის ანაზღაურების შემდეგ დარჩეს კიდევ ზედმეტი ნაწილი, რომელიც შეადგენს მოგებას დამქირავებელისთვის, რომელმაც გაიმეტა ამ საქმეში თავისი კაპიტალი. აქეთ ღირებულება, რომელსაც მუშები უმატებენ თავიანთი შრომით მასალის პირვანდელ ღირებულებას, ამ შემთხვევაში იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი ნაწილი შეადგენს მუშათა ხელფასს, ხოლო

მეორე ნაწილი—დამქირავებელის მ ო გ ე ბ ა ს მის კაპიტალზე»[1]. მაშასადამე, დაქირავებული შრომით შექმნილი ღირებულების ნაწილი მიაქვს კაპიტალისტს მოგების სახით. ეს ასე რომ არ ხდებოდეს, «დამქირავებელი ვერ ნახავდა ვერავითარ სარგებელს» და თავის კაპიტალს არ დააბანდებდა წარმოებაში, მეურნეობა შეუძლებელი გახდებოდა. სხვანაირად: «მას არ ექნებოდა არავითარი ინტერესი ამ მუშების დაქირავების, რომ არ ჰქონდეს იმედი მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებთა გაყიდვიდან იმაზე მეტის მიღების, რაც საკმარისია მხოლოდ მისი კაპიტალის ასანაზღაურებლად»[2]. კაპიტალისტური წარმოების სტიმული არის მოგება, კაპიტალისტს მოგება აინტერესებს. მოგებას თუ ვერ მიიღებს კაპიტალისტი, წარმოებასაც არ შეუდგება. საქონლის გაყიდვიდან კაპიტალისტმა უნდა მიიღოს იმაზე მეტი, რაც მას უღირს ეს საქონელი. მან უნდა აანაზღაუროს წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი შესაფერი მოგებით. ს მ ი ტ ი სრულებით არ ამტკიცებს, რომ ეს მოგება მიმოქცევის სფეროში წარმოიშობა. ის არ იხევს უკან ფიზიოკრატულ დებულებიდან ამ პრობლემის გარკვევაში და გარკვეულად აღბობს, რომ ზედმეტი ღირებულება მუშების მიერ იქმნება, მაშასადამე, წარმოებაში წარმოიშობა და მიმოქცევაში ხდება მისი განაღდება. სხვა ადგილას ს მ ი ტ ი ამტკიცებს: კაპიტალისტი «ღებულობს მათ [მუშების] პროდუქტის ნაწილს ანუ ღირებულების ნაწილს, რომელსაც [ღირებულებას] შრომა უმატებს მათ მიერ დასამუშავებელ მასალას. ეს ნაწილი შეადგენს დამქირავებლის მოგებას»[3]. ამრიგად, ახლად შექმნილ ღირებულებას ს მ ი ტ ი ყოფს ორ ნაწილად: ერთი ნაწილი შეადგენს შრომის ხელფასს, ანდა, როგორც ს მ ი ტ ი ლაპარაკობს, «შრომის ღირებულებას», ხოლო მეორე ნაწილი—კაპიტალისტური დამქირავებლის მოგებას. მაშასადამე გამოდის დასკვნა, რომ კაპიტალისტი ი თ ვ ი ს ე ბ ს ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ის ს მ ი ტ თ ა ნ ერთად მოგებას უწოდებს. მოგება, მაშასადამე, კაპიტალიდან კი არ «ამოდის» ბუნებრივად, როგორც გონიათ ფიზიოკრატებს. მოგება—დაქირავებული შრომის პროდუქტის ნაწილია, ის «გამოქვითულია შრომის პროდუქტისგან». კაპიტალისტმა თუ არ მიიღო დაქირავებული შრომის პროდუქტის ნაწილი, ისე მუშას არ დაიქირავებს,—ამტკიცებს ს მ ი ტ ი. მისი გენიოსობა აქ იმაში მდგომარეობს, რომ მოგების ფეტიშიზმს ააშკარავებს, მის საიდუმლოებას ხსნის: კაპიტალისტური დამქირავებელი ი ს ა კ უ თ რ ე ბ ს დაქირავებული

[1] Адам Смит. Исследование etc. წ. I, თავი 6. კურსივი ჩვენია.
[2] Ibid.
[3] Op. cit. წ. I, თ. 8. შეად. თ. 7.

შრომის პროდუქტის ნაწილს, ანაღდებს მას მიმოქცევაში როგორც საქონელს და ღებულობს მოგებას.

მეორე მხრივ, სმიტი ააშკარავებს მეორე ფეტიშის საიდუმლოებასაც—რენტას. რაკი მიწა მიწათმფლობელის კერძო საკუთრებას შეადგენს, მიწათმფლობელი არ დაუშვებს კაპიტალისტურ მწარმოებელს საკუთარ მიწაზე სარგებელი თუ ვერ მიიღო. მიწათმფლობელი ღებულობს რენტას. საიდან, რა გზით? რენტა მიწიდან არ ამოდის, როგორც ეს წარმოუდგენიათ ფიზიოკრატებს. სმიტი გარკვევით ამტკიცებს, რომ რენტა შრომის პროდუქტის ისეთივე ნაწილია, როგორც კაპიტალისტური მოგება. «რენტა შეადგენს მიწის დამუშავებაში დახარჯული შრომის პროდუქტის პირველ გამონაქვითს»[4]. როგორც მოგება, ისე რენტა ზედმეტი ღირებულების ნაწილებია, ხოლო ზედმეტი ღირებულება ზედმეტი პროდუქტის, მაშასადამე, ზედმეტი შრომის ნაყოფია. სმიტის აზრით, მოცემულია ეკონომიურ მოვლენათა ბუნებრივი განვითარება. «ყოველგვარ ხელოსნობასა და წარმოებაში მუშაკთა უმრავლესობა საჭიროებს» კაპიტალისტურ დამქირავებელს, რომელიც აძლევს მუშას შრომის მასალას, «აგრეთვე ხელფასს». მოცემულია წარმოების ორი სუბიექტი: დამქირავებელი და დაქირავებული, კაპიტალისტი და მუშა. შექმნილი ღირებულებაც მათ შორის ნაწილდება: პირველი ღებულობს ღირებულების ნაწილს მოგების ფორმაში, მეორე—ღირებულების ნაწილს ხელფასის სახით. თავის მხრივ, კაპიტალისტური დამქირავებელი მოგებას უნაწილებს მიწათმფლობელს რენტის ფორმაში. როგორც ვხედავთ, სმიტი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს. ადამ სმიტს—ამბობს მარქსი—«მოგება გამოყავს შრომისგან», შრომის აუნაზღაურებელ ნაწილიდან, ამით სმიტმა «განსაზღვრა ზედმეტი ღირებულების ჰეშმარიტი წარმოშობა»[5], მან «მოგვცა უკვე სწორი ფორმულა. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ღირებულების განსაზღვრა შრომით, იმდენადვე მნიშვნელოვანი იყო ზედმეტი ღირებულების განსაზღვრა ზედმეტი შრომით, ამავე დროს სრულებით განსაზღვრულ გამოთქმებში»[6]. მოგება და რენტა წარმოდგება იქიდან, რომ დაქირავებული შრომა ქმნის არა იმდენ ღირებულებას, რომელიც მისი «შრომის ღირებულების»—ხელფასის ეკვივალენტს შეადგენს, ის ქმნის ამ ეკვივალენტზე მეტს, რომელსაც ისაკუთრებს კაპიტალისტური დამქირავებელი და უნაწილებს მიწათმფლობელს. რო-

[4] ibid. თავი 8. ხაზგასმა ჩვენია.

[5] Теории etc. ტ. I, გვ. 100. შეად. გვ. 114.

[6] Теории etc. ტ. II, ნ. 1, გვ. 89. შეად. ტ. III, გვ. 183.

გორც ვხედავთ, სმიტი სწორად აღნიშნავს მოგებისა და რენტის ნამდვილ წყაროს, როდესაც ორივე კათეგორია ზედმეტი ღირებულებიდან გამოყავს. სმიტის ფორმულა «წარმოადგენს თეორიულადაც ნაყოფიერ ფორმულას—ამბობს მარქსი.—სწორედ აქ სმიტს წარმოდგენილი აქვს მოგება და რენტა ზედმეტი შრომიდან გამომდინარედ... ეს ერთად ერთი სწორი შეხედულებაა, რომლის მიხედვით წარმოება ემყარება საცვლელ ღირებულებას»[7]. შრომის პროდუქტში მუშა არამც თუ აღადგენს თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას ხელფასის სახით, მეტი კიდეე, ქმნის ამ ღირებულებაზე მეტ ღირებულებას, რომელიც მიაქვს დამქირავებელს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება არის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც შეადგენს პროდუქტის სრულ ღირებულებასა და სამუშაო ძალის ღირებულების შუა არსებულ განსხვავებას. ეს დებულება ნათლადაა გარკვეული სმიტის ეკონომიურ თეორიაში. მართალია, ყველაფერი ეს ბუნდოვანად, ზედმიწევნით მარტივად და გულუბრყვილო ფორმაში აქვს სმიტს ნათქვამი, მაგრამ პრობლემის არსებითი მხარე მოცემულია გარკვევით.

ფიზიოკრატული თეორია ზედმეტ ღირებულებას ხედავს მხოლოდ მიწათმოქმედებაში. აქ იქმნება, როგორც ღირებულება, ისე ზედმეტი ღირებულება. სმიტმა გააფართოვა ფიზიოკრატების ეს ვიწრო თეორიული ჰორიზონტი. მან დაგვანახვა, რომ ზედმეტი ღირებულება იქმნება წარმოების ყველა დარგში, სადაც ადგილი აქვს შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას. ეს—ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ფიზიოკრატულ სისტემაში ზედმეტი ღირებულების ერთად ერთ ფორმად მოცემულია რენტა, ხოლო მოგება და პროცენტი რენტის განშტოებაა, მისი ფორმები. ადამ სმიტმა გაასწორა ფიზიოკრატების ეს შეცდომა. მან დაამტკიცა, რომ რენტა ზედმეტი ღირებულების ნაწილია, რენტა წარმოადგენს მოგების საშუალო ნორმაზე ნაჭარბს. ეს—მეორე მნიშვნელოვანი მომენტი სმიტის ღირებულების თეორიაში. ამავე დროს სმიტმა გამოაშკარავა მოგებისა და რენტის ნამდვილი წყარო, ნამდვილი ფესვები, როცა ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი შრომის კათეგორიაზე მიგვითითა. მართალია, სმიტი არც კი ხმარობს მეცნიერულად განსაზღვრულ თერმინს —«ზედმეტი ღირებულება», მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. არსებითია არა გამოთქმის ფორმა, თერმინოლოგიური მხარე, არამედ შინაარსი. აი, ეს შინაარსი—ზედმეტი ღირებულება—თავისებურად განმარტა სმიტმა და მოგვცა მისი ფორმები მოგებისა და რენტის სახით. ეს—მესამე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც შეადგენს სმი-

[7] Теории etc. ტ. II, ნ. 1. გვ. 197.

ტ ი ს მეცნიერული დამსახურების არსებით მხარეს. რენტა მიწიდან არ ამოდის, მოგება—კაპიტალიდან არ იბადება, ორივეს წყაროა «შრომის მოყვარე ადამიანის» შრომა. რენტის, მოგების, მიწისა და კაპიტალის ფეტიშიზმი გაჰქრა ამ აღმოჩენით. «კაპიტალი—მოგება (დამქირავებელის შემოსავალი პლიუს პროცენტი), მიწა—მიწის რენტა, შრომა—სამუშაო ქირა: აი, სამი, მაგრამ ერთიანი ფორმა, რომელიც შეიცავს წარმოების საზოგადოებრივი პროცესის ყველა საიდუმლოებას»[8]. მ ა რ ქ ს ი კლასიკური ეკონომიის «დიად დამსახურებას» ეკონომიური მეცნიერების წინაშე სწორედ იმაში ხედავს, რომ მან მოგვცა ამ საიდუმლოების საიმედო გასაღები. «კაპიტალი—მოგება, ანდა, კიდევ უკეთესი, კაპიტალი—პროცენტი, მიწა—მიწის რენტა, შრომა—სამუშაო ხელფასი—წერს მარქსი,—ამ ეკონომიურ სამებაში, რომელიც გამოხატავს კავშირს შემადგენელ ელემენტების ღირებულებისა და სიმდიდრის საზოგადოდ მისი წყაროებით, გვევლინება დასრულებულად წარმოების კაპიტალისტური წესის მისტიფიკაცია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განივთიერება, უშუალო შეზრდა წარმოების მატერიალურ ურთიერთობათა მათ ისტორიულად-საზოგადოებრივ ფორმასთან: დამახინჯებული და ყირაზე დაყენებული მსოფლიო, სადაც monsieur le Gapital და madame la Terre როგორც სოციალური ხასიათები და ამავე დროს უშუალოდ როგორც ნივთები, ასრულებენ თავიანთ შაბაშს. კლასიკური ეკონომიის დიადი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან დაანგრია ეს ყალბი გარეგნული მოჩვენება და ილუზია, ეს განკერძოება და ფიქსაცია სიმდიდრის სხვადასხვა საზოგადოებრივი ელემენტებისა ერთი მეორისაგან, ნივთების ეს პერსონიფიკაცია და წარმოების მიმართებათა განივთიერება, ყოველდღიური ცხოვრების ეს რელიგია,—დაანგრია იმით, რომ მან პროცენტი გამოაცხადა მოგების ნაწილად და რენტა—საშუალო მოგებაზე ნაჭარბად, ასე რომ ორივე ერთიანდება ზედმეტ ღირებულებაში»[9]. აი, რაში ხედავს მ ა რ ქ ს ი კლასიკური ეკონომიის დამსახურებას ღირებულების თეორიაში. ამ თეორიამ პირველად სცადა «ეკონომიური სამების» ფეტიშისტური ხასიათის მეცნიერული გაგება და მან კიდევაც «დაანგრია ეს ყალბი გარეგნული მოჩვენება და ილუზია», რომლის ტყვეობაში იმყოფებოდა პოლიტიკური ეკონომია ს მ ი ტ ა მ დ ე და ახლაც იმყოფება კლასიკური ეკონომიის მთელი თანმიმდევნო, აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნება.

[8] Капитал, ტ. III. ნაწ. 2. გვ. 286.
[9] ibid. გვ. 299.

შეცდომა, რომელსაც უშვებს სმიტი და ამით პრინციპულ წინააღმდეგობაში ვარდება, მდგომარეობს იმაში, რომ სმიტი ნათლად ვერ ანსხვავებს ზედმეტი ღირებულების კათეგორიას მოგებისა და რენტის კათეგორიებისგან. მან არსებითად არ იცის, რომ მოგება და რენტა ზედმეტი ღირებულების სახეშეცვლილი ფორმებია და არა დამოუკიდებელი ცნებები. რა როლი ითამაშა ამ შეცდომამ სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორიაში, გავეცნობით ქვევით. აქ სმიტი მაინც აკეთებს ნაბიჯს წინ ფიზიოკრატული თეორიიდან. მისი კონცეპცია შეიცავს იმ აზრს, რომ ეს კათეგორიები ერთი და იგივე არ არის, ძირითადია ზედმეტი ღირებულება, რომლის შემადგენელ ნაწილებად მოგება, პროცენტი და რენტაა წარმოდგენილი. მაგრამ სმიტი თვითონ «არ გამოყოფს ზედმეტ ღირებულებას, როგორც ასეთს, განსაკუთრებული კათეგორიის სახით იმ განსაკუთრებულ ფორმებისგან, რომლებსაც ის ღებულობს მოგებისა და რენტის სახით»[10]. ზედმეტი ღირებულების საერთო ფორმას სმიტი ვერ ანსხვავებს ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებულ ფორმებისგან «ყოველ შემთხვევაში შეგნებულად და თანმიმდევრობით»[11]. ამ საკითხში სმიტი გაუბედავია და ბუნდოვანი. ამან ხელი შეუწყო სმიტის ღირებულების თეორიის მოქცევას შინაგან წინააღმდეგობათა რკალში მოგების პრობლემის გადაჭრაშიაც.

ამრიგად, ეკონომიური კვლევა-ძიებისა და თეორიული აზროვნების ამ საფეხურზე ადამ სმიტი სწორად აყენებს ზედმეტი ღირებულების ძირეულ პრობლემას. მაგრამ სწორედ აქედან იწყება სმიტის ღირებულების თეორიის მთავარი შინაგანი წინააღმდეგობა — სმიტი მერყეობს ღირებულების საკითხში და ეპვი ეპარება, ნაწილობრივ ხელსაც ილებს შრომითი ღირებულების თეორიაზე. გამოვარკვიოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

კაპიტალისტური წარმოება ზედმეტი ღირებულების წარმოებაა. წარმოების ნივთიერი საშუალებანი შეადგენენ კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას. შრომის პირობები დაპირისპირებულია თვით შრომასთან. «ასეთ პირობებში — ვკითხულობთ «ხალხთა სიმდიდრეში» — შრომის პროდუქტი ყოველთვის როდი ეკუთვნის მხოლოდ მუშას. უმეტეს შემთხვევაში ეს პროდუქტი მან უნდა გაუნაწილოს კაპიტალის მფლობელს, რომელიც აძლევს მას, მუშას, სამუშაოს». აქედან სმიტი ასკვნის: «ამ შემთხვევაში შრომის რაოდენობა, დახარჯული ჩვეულებრივად რომელიმე საქონლის შესაძენად ანდა შესა-

[10] Теории etc. ტ. I, გვ. 102. შეად. გვ. 108.
[11] Op. cit. ტ. III, გვ. 196.

ქმნელად, არ წარმოადგენს უკვე ერთად ერთ საფუძველს განსაზღვრისათვის შრომის იმ რაოდენობის, რომელიც შეიძლება ამ საქონლის საშუალებით შესყიდულ, განკარგულებაში მიღებულ ანდა გაცვლილ იქნეს»[12]. სხვანაირად: «იმის გამო, რომ განათლებულ ქვეყანაში მოინახება მხოლოდ ცოტა საქონელი, რომლის საცვლელი ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ ერთი შრომით, და საქონელთა უმეტესობის საცვლელი ღირებულება შეიცავს მნიშვნელოვნად რენტას და მოგებას, ამ ქვეყნის წლიური პროდუქტი ყოველთვის გვევლინება საკმარისად იმისათვის, რათა ნაყიდ იქნეს ანდა მიღებულ იქნეს თავის განკარგულებაში შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა, ვინემ მისი ის რაოდენობა, რომელიც იქნა დახარჯული ამ პროდუქტის შოვნაზე, გადამუშავებასა და ბაზარზე მიტანაზე»[13]. მაშასადამე, სმიტის აზრით, «განათლებულ» ანუ კაპიტალისტურ ქვეყანაში ღირებულების კანონი ვერ პოულობს გამოყენებას და ამდენად ირღვევა კიდეც. აქ შრომის პროდუქტი მუშას როდი ეკუთვნის «ყოველთვის», მან ეს პროდუქტი «უმეტეს შემთხვევაში» უნდა გაუნაწილოს კაპიტალისა და მიწის მფლობელს. აქედან ცხადია, მუშა ღებულობს არა თავისი შრომის მთელ პროდუქტს, არამედ მის ნაწილს მხოლოდ. გამოდის ფორმულა: საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის რაოდენობით, რომელიც შეიძლება შესყიდულ იქნას ამ საქონელზე. სხვანაირად—საქონლის ღირებულება განისაზღვრება «შრომის ღირებულებით». აი, სმიტის ეს ფორმულა ახლა ირღვევა, ვინაიდან განსაზღვრულ პროდუქტში განივითიერებული შრომის რაოდენობა იცვლება შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე. «შრომის ღირებულება» არსებობის საშუალებათა ღირებულებით განისაზღვრება. კაპიტალისტი მუშას აძლევს—ხელფასის სახით—არსებობის საშუალებათა ღირებულებას, მუშა ყიდის თავის «შრომას», რომელიც ქმნის იმაზე მეტ ღირებულებას, საქონლის მეტ რაოდენობას, ვინემ ის ღებულობს კაპიტალისტისაგან არსებობის საშუალებათა ღირებულების, შრომის სელფასის სახით. როგორც ვხედავთ, აქ არ ხდება ღირებულებათა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთზე იცვლება არა თანაბარი, არამედ სიდიდით სხვადასხვანაირი ღირებულება. თუ ეს ასეა, შრომითი ღირებულების პრინციპი ირღვევა. სმიტი ასკვნის კიდეეაც, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში საქონლის საცვლელი ღირებულება მარტო

[12] Исследование etc. წ. I, თავი 6. ხაზი ჩვენია.
[13] ibid.

შრომით არ განისაზღვრება: «უმეტეს შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რენტასაც და მოგებასაც კაპიტალზე»[14]. წლიურ პროდუქტზე ახლა შეიძლება უფრო მეტი რაოდენობის შრომის ყიდვა, ვინემ თვით ამ პროდუქტშია მოცემული, განივთიერებული. სმიტი ფიქრობს, აქ დაუძლეველი წინააღმდეგობაა თეორიის წინაშე გადაღობილი. სმიტი უძლურია დაძლიოს ეს წინააღმდეგობა და დარჩეს შრომითი ღირებულების თეორიის ბოლომდე ერთგული, პრინციპულად თანმიმდევარი.

«განათლებულ ქვეყანაში», კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამრიგად, ღირებულების კანონი ირღვევა, აქ ღირებულებათა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა «უმეტეს შემთხვევაში» არ ხდება. სმიტი ამაში ახლა დარწმუნებულია. მაშ სად აქვს ღირებულების კანონს თავისი ძალა და მნიშვნელობა? ცხადია, არა «განათლებულ ქვეყანაში», საქონლის არა კაპიტალისტურ, არამედ მარტივ მეურნეობაში, სადაც არ არსებობს ზედმეტი ღირებულება და შრომის მთელი პროდუქტი თვით შრომას ეკუთვნის. საქონლის უბრალო მწარმოებელთა საზოგადოებაში ღირებულების კანონი გამეფებულია ყოველგვარ გამონაკლისისა და შეზღუდვის გარეშე. მხოლოდ «საზოგადოების პირველყოფილ, უკულტურო მდგომარეობაში, რომელიც [საზოგადოება] წინ ისწრებდა კაპიტალის დაგროვებას და მიწის გადაქცევას კერძო საკუთრებად, მიმართება შრომის სხვადასხვა რაოდენობის შორის, რომლებიც აუცილებელია სხვადასხვაგვარი საგნის შესაძენად, წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ერთად-ერთ საფუძველს, რომელიც გამოსადეგი იყო ამ საქონელთა სხვა საქონელზე გაცვლის დროს სახელმძღვანელოდ»[15]. მაშასადამე, ღირებულება ძალაში იყო და წარმოადგენდა საქონელთა ერთმანეთზე გაცვლის ერთად ერთ საფუძველს საზოგადოებრივ განვითარების დაბალ საფეხურზე, წინაკაპიტალისტურ საზოგადოებრივ წარმოებაში, «საზოგადოების პირველყოფილ, უკულტურო მდგომარეობაში». ახლა კი, «განათლებულ ქვეყანაში», წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, საქონელთა მიმოქცევა მათი ღირებულების მიხედვით ძალიან ნაკლებად ხდება, უმეტეს შემთხვევაში საქონელთა საცვლელი ღირებულება მასში დახარჯული შრომის რაოდენობით არ განისაზღვრება. მოკლედ, ღირებულება კაპიტალისტურ მეურნეობაში ვერ პოულობს ნიადაგს. ამრიგად, როგორც მარქსი შენიშნავს ირონიულად, სმიტის თეორიული მოსაზრებათა თანახმად, ღირებულების კანონი პოულობს განხორციელებას, მოქმე-

[14] ibid.
[15] ibid.

დების სრულ გასაქანს მხოლოდ «ბურჟუაზიული საზოგადოების დაკარგულ სამოთხეში, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაყოფილი კაპიტალისტებად, დაქირავებულ ბუშებად, მიწის მესაკუთრეებად, ფერმერებად, მევახშეებად და სხვ., მაგრამ იჭრებოდენ ერთმანეთთან დამოკიდებულებაში როგორც საქონელთა უბრალო მწარმოებელნი, რომელთა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდენ»[16]. ბურჟუაზიული საზოგადოების დაკარგულ, საოცნებო სამოთხეში, სადაც არ ჰქონდა ადგილი შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობას, საწარმოო საშუალებანი თვით მწარმოებელს ეკუთვნოდა, საქონლის ღირებულება მასში დახარჯული შრომით, სამუშაო დროის რაოდენობით განისაზღვრებოდა, საქონელი იცვლებოდა საქონელზე ღირებულების მიხედვით, ძალაში იყო ღირებულებათა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ ახლა, როდესაც საქმე გვაქვს კაპიტალისტურ წარმოებასთან, კაპიტალისტური წესით დამზადებულ საქონელთან, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, ხოლო მიწა მიწათმფლობელის კერძო საკუთრებას შეადგენს, შრომის პროდუქტი შრომას არ ეკუთვნის მთლიანად, ნაწილს ითვისებს კაპიტალისტური დამქირავებელი და მიწისმფლობელი. სმიტის შეხედულებით, ეს იმას ნიშნავს—ამბობს მარქსი—რომ «კანონი, მომქმედი საქონელთა, როგორც საქონელთა მიმართ, გამოდის ძალა დაკარგული, როგორც კი ისინი განიხილებიან კაპიტალად ანდა კაპიტალის პროდუქტად»[17]. ამის შემდეგ ეჭვი არაა, სმიტი წინააღმდეგობაში ვარდება და მისთვის «ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით უფრო და უფრო გამოუდეგარი ხდება «განათლებულ დროისთვის»[18] და სმიტიც ამდენად «უარს ამბობს ღირებულების საკუთარ განმარტებაზე»[19].

ლოგიკა გამოსავალს რომ ვერ იპოვის, საკუთარ კუდს დაუწყებს ღრღნასო—შენიშნავს ჰეგელი. სმიტის ფორმალური ლოგიკა ვერ ხედავს გამოსავალს და სმიტიც ახლა საკუთარ თეორიის საფუძვლის ნგრევას შეუდგა. მისი ეს მოქმედება არ არის არსებითად ლოგიკური აზროვნების სისუსტით გამოწვეული, ამას აქვს ისტორიული გამართლება. უნდა მოვნახოთ, მაშასადამე, სმიტის თეორიის შინაგანი წინააღმდეგობის ობიექტური საფუძველი. სმიტის შეცდომის საიდუმლოება ცხადჰყო მხოლოდ მარქსმა და ჩვენც გავყვეთ მას კვალდაკვალ.

ადამ სმიტის ღირებულების თეორიის ორმაგი ხასიათი, მისი შინაგანი წინააღმდეგობა ემყარება ერთ უმთავრეს, ძირითად შეცდო-

[16] К критике etc. 1923, გვ. 58.

[17] Теории etc. ტ. III, გვ. 54. აგრეთვე: Теории etc. ტ. I, გვ. 93-94.

[18] Op. cit. ტ. II, ნაწ. 1, გვ. 34. შეად. გვ. 81.

[19] ibid. ტ. II, ნაწ. 2, გვ. 64.

მას, პრინციპულად ყალბ შეხედულებას: შრომას აქვს ღირებულება. სმიტი ხედავს, შრომა იცვლება კაპიტალზე. ეს გაცვლა ეკვივალენტური არ არის, ვინაიდან ღირებულება, რომელსაც ქმნის ცოცხალი შრომა, და ღირებულება, რომელსაც ღებულობს ეს შრომა, თანაბარი არ არის. კაპიტალისტი აძლევს მუშას ხელფასს, უხდის მის «შრომის ღირებულებას». თავის მხრივ, მუშა ქმნის პროდუქტს, რომლის ღირებულება იმაზე მეტია, რაც მან მიიღო კაპიტალისტისაგან ხელფასის, შრომის ღირებულების სახით. ცხადია, ასკვნის სმიტი, აქ წინააღმდეგობაა, რომელიც ძირს უთხრის ღირებულების კანონს, საქონელთა ეკვივალენტურ გაცვლა-გამოცვლას. ამიტომაც სმიტი «მერყეობს საცვლელ ღირებულების განსაზღვრაში»[20]. რაში მდგომარეობს სმიტის მოჯადოებული წრის საიდუმლოება? იმაში, რომ სმიტი შრომას ღირებულებად თვლის, შრომა მიაჩნია საქონლად და მას უშუალოდ უპირისპირებს მიმოქცევაში კაპიტალს. არა მარტო სმიტი, მთელი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია გახდა ამ შეცდომის მსხვერპლი. მხოლოდ მარქსის გენიოსურმა გონებამ აღმოაჩინა კლასიკოსების საბედისწერო შეცდომა და პრობლემა გადასჭრა მეცნიერულად. შრომა არის ღირებულების სუბსტანცია, მაგრამ თვით შრომა ღირებულება არ არის, შრომას არ აქვს ღირებულება—ეს დებულება წამოაყენა მარქსმა და მისი უდაო შინაბუნება ნათელყო მეცნიერულად. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, შრომა არ არის საქონელი, მას არ აქვს საცვლელი ღირებულება.

შრომა არის სამუშაო ძალის გამოვლინება, მისი გამოყენება. კაპიტალისტურ წარმოებაში «სამუშაო ძალის გამოყენება არის თვით შრომა»[21]. ღირებულება აქვს სამუშაო ძალას და არა შრომას. «ადამიანის სამუშაო ძალა მიმდინარე მდგომარეობაში, ანუ ადამიანის შრომა, ქმნის ღირებულებას, მაგრამ თვით შრომა არ არის ღირებულება. ის გვევლინება ღირებულებად გაქვავებულ სახით, განივთიერებულ ფორმაში»[22]. სხვანაირად: «შრომა არის ღირებულების სუბსტანცია და იმანენტური საზომი, მაგრამ თვითონ მას არ აქვს ღირებულება»[23]. შრომას ღირებულება არ აქვს, რით მტკიცდება ეს დებულება? მარქსი მას ასე ასაბუთებს: «რა არის საქონლის ღირებულება? მასში დახარჯული საზოგადოებრივი შრომის საგნობრივი ფორმა. რით ვზომავთ ამ ღირებულების სიდიდეს? მასში მო-

[20] Теории etc. ტ. I, გვ. 92.
[21] Капитал, ტ. I, გვ. 119.
[22] ibid. გვ. 4.
[23] ibid. გვ. 419.

ცემული შრომის სიდიდით. რით შეიძლებოდა, მაგ. თორმეტი საათიან სამუშაო დღის ღირებულების განსაზღვრა? ცხადია, მხოლოდ 12 ს. შრომით, რომელსაც შეიცავს 12 საათიანი სამუშაო დღე; მაგრამ ეს ბრტყელი ტავტოლოგიაა»[24]. მაშასადამე, გამოდის, შრომა უდრის შრომას. თორმეტი საათის შრომა ქმნის თორმეტი საათის ღირებულებას, აქედან—თორმეტი საათის ღირებულება არის თორმეტი საათის ღირებულება. ეს, მართლაც, «ბრტყელი ტავტოლოგიაა», უშინაარსო განმეორება. შრომის ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია შრომის ღირებულების სიდიდის განსაზღვრაც. ამიტომ სავსებით ნათელია, რომ «გამოთქმაში «შრომის ღირებულება» ღირებულების ცნება არამც თუ სრულებით მოსპობილია, ეს ცნება თავის წინააღმდეგობაშია გადაქცეული. ეს ისეთივე მოჩვენებითი გამოთქმაა, როგორც მაგ. მიწის ღირებულება. მაგრამ ასეთი გამოთქმები წარმოიშობა თვით საწარმოო ურთიერთობიდან»[25]. ამრიგად, შრომა ღირებულების სუბსტანციაა, შინაარსი, მაგრამ თვით შრომა ღირებულება არ არის და მას არ გააჩნია არავითარი ღირებულება. აქედან თავისთავად იგულისხმება, შრომა არაა საქონელი, ის არ შეადგენს გაცვლა-გამოცვლის საგანს, შრომას არ აქვს საცვლელი ღირებულება ისევე, როგორც მას არ აქვს სახმარი ღირებულება. საქონელი ღირებულებაა, ხოლო შრომას ღირებულება არ გააჩნია. დასკვნა: საქონელი ღირებულების გარეშე შეუძლებელია და, მაშასადამე, შრომა საქონელი არ არის. «იმისათვის, რათა გაყიდულ იქნეს ბაზარზე საქონლის სახით, შრომა, რასაკვირველია, უნდა არსებობდეს ამ გაყიდვამდე. მაგრამ მუშას რომ ჰქონდეს შესაძლებლობა თავის შრომას მიანიჭოს დამოუკიდებელი არსებობა, ის გაყიდიდა შრომის მიერ შექმნილ საქონელს და არა თვით შრომას»[26]. როგორც ვხედავთ, მარქსი ყოველმხრივ უდგება პრობლემას და მეცნიერულად ასაბუთებს თავის დებულებას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ ჭეშმარიტებას. შრომა არ არის დამოუკიდებელი არსი, ის ასეთი რომ იყოს, მუშა გაიტანდა ბაზარზე თვით შრომის მიერ შექმნილ საქონელს. არც ღირებულებაა შრომა, არც—საქონელი. კლასიკურმა ეკონომიამ ეს ვერ დაინახა, ამ დასკვნამდე ვერ მივიდა ის და დაუძლეველ წინააღმდეგობაში მოექცა.

სმიტი ლაპარაკობს შრომის ღირებულებაზე, ნამდვილად კი ესაა სამუშაო ძალის ღირებულება. ეს ცხადი ხდება თვით სმიტის მსჯელობიდან. სმიტი სამართლიანად ღებულობს წინამორ-

[24] ibid. გვ. 417. იხ. აგრეთვე: Теории etc. ტ. I, გვ. 92.
[25] ibid. გვ. 419.
[26] ibid. გვ. 417.

ბედ ეკონომისტების შეხედულებას, რომლის თანახმად შრომის ხელფასი არსებობის საშუალებათა ღირებულებით განისაზღვრება. აქ სმიტი ახალს არაფერს ლაპარაკობს. მაგრამ არსებობის საშუალებათა ღირებულება არის სწორედ სამუშაო ძალის ღირებულება. პრობლემის მთელი სიმძიმე სწორედ იმაშია, რომ სმიტი არ იცნობს სამუშაო ძალის კათეგორიას, ის ამ კათეგორიას შრომის კათეგორიაში ურევს. საქონლის უბრალო მეურნეობა უმთავრესად, არსებითად იმით განსხვავდება საქონლის კაპიტალისტურ მეურნეობისგან, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონელთა მსოფლიოს ემატება სპეციფიკური, ორიგინალური საქონელი—როგორც ამბობს მარქსი. ესაა სწორედ სამუშაო ძალა. ამ საქონლის გარეშე კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელია. კაპიტალისტი უხვად პოულობს ბაზარზე ამ თავისებურ საქონელს, ის ყიდულობს არა თვით შრომას, არამედ მის წყაროს—სამუშაო ძალას. ხოლო «შრომის ღირებულება არის მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულების ირაციონალური გამოთქმა»[27]. ღირებულება აქვს—როგორც საცვლელი, ისე სახმარი—მხოლოდ სამუშაო ძალას, «ყველა სხვა საქონლის მსგავსად». სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება «სამუშაო დროთი, რომელიც აუცილებელია ვაჭრობის ამ სპეციფიკური საგნის წარმოებისათვის და, მაშასადამე, რეპროდუქციისათვის»[28]. საქონლის ღირებულების სიდიდე სამუშაო დროის სიდიდით, ხანგრძლივობით განისაზღვრება. ეს სამუშაო დრო განსაზღვრავს აგრეთვე სამუშაო ძალის ღირებულებასაც. ცხადია, ეს სამუშაო დრო იხარჯება არა სამუშაო ძალაზე უშუალოდ, არამედ არსებობის საშუალებებზე. ამიტომაც «სამუშაო ძალის ღირებულება არის არსებობის საშუალებათა ღირებულება»[29]. სამუშაო ძალის ღირებულება, მაშასადამე, განისაზღვრება ღირებულების საყოველთაო კანონით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სამუშაო ძალის ღირებულების განმარტება «შეიცავს ისტორიულ და მორალურ ელემენტს»[30]. აქედან დასკვნა: სამუშაო ძალა არის «საქონელთა მსოფლიოს» «თავისუფალი მოქალაქე», მას აქვს ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროთი.

მაგრამ სამუშაო ძალა არ არის ჩვეულებრივი, უბრალო საქონელი. ის ორიგინალური საქონელია, რომელსაც გააჩნია სპეციფი-

[27] ibid. გვ. 420.
[28] ibid. გვ. 113.
[29] ibid. იხ. აგრეთვე: გვ. 164, 191, 223, 238, 300, 403 და 449.
[30] ibid. გვ. 113. შეად. გვ. 437-438.

კ უ რ ი თვისება. რაში მდგომარეობს «ორიგინალური საქონლის, სამუშაო ძალის თავისებური ბუნება»? სხვანაირად, რაშია სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, სპეციფიკურობა? იმაში, რომ ამ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არავითარ შინაგან კავშირში არაა მის ღირებულებასთან. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება ხორციელდება მის მოხმარებაში. სამუშაო ძალის მოხმარება არის თვით ცოცხალი შრომა, რომელიც ქმნის ღირებულებას. ცოცხალი შრომის მიერ შექმნილი პროდუქტთა ღირებულება მეტია იმაზე, რასაც შეიცავს სამუშაო ძალის ღირებულება—არსებობის საშუალებებში განივითიერებული შრომა. ამიტომ «სამუშაო ძალის მოხმარება ამავე დროს არის საქონლისა და ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესი»[31]. აქედან აშკარავდება, სამუშაო ძალის, ამ სპეციფიკური საქონლის, სახმარი ღირებულება არავითარ კავშირში არაა მის საცვლელ ღირებულებასთან. ეს ასე რომ არ იყოს, ღირებულების კანონი მართლაც მოიხსნებოდა და ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი გ ა ხ დ ე ბ ო დ ა. ზედმეტი ღირებულების მთელი საიდუმლოება სწორედ ამაშია, და ეს საიდუმლოება გახსნა მხოლოდ მ ა რ ქ ს მ ა. კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობაში «თვით სამუშაო ძალა ხდება საქონლად»—ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი. «ამ სპეციფიკური საქონლის სახმარ ღირებულებას» არ აქვს «არაფერი საერთო მის საცვლელ ღირებულებასთან», სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება «წარმოადგენს ენერგიას, რომელიც ქმნის საცვლელ ღირებულებას»[32]. სამუშაო ძალის მოხმარება ქმნის პროდუქტს. ამ პროდუქტის ღირებულება იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი აღადგენს სამუშაო ძალის ღირებულებას ხელფასის სახით, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ითვისებს კაპიტალისტი. ეს ხდება ასე იმიტომ, რომ თვით სამუშაო დღე იყოფა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი სამუშაო ძალის ღირებულების აღდგენას შეიცავს, მეორე—ზედმეტ ღირებულებას. პირველი—აუცილებელი დროა, მეორე—დამატებითი. აუცილებელი სამუშაო დრო განსაზღვრავს სამუშაო ძალის ღირებულებას, დამატებითი დრო—იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც სამუშაო ძალის ღირებულებას ჭარბობს, ამ ღირებულების აღდგენის შემდეგ რჩება კაპიტალისტურ მწარმოებელს. სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, სახმარი ღირებულება ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ბუნების რომ არ იყოს, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წარმოება შეუძლებელი გახდებოდა. მუშა აწარმოებს

[31] ibid. გვ. 117.

[32] Теории etc. ტ. I, გვ 107.

იმაზე მეტს, რასაც თვითონ ღებულობს ხელფასის სახით. აქ შრომის პროდუქტის ღირებულება და სამუშაო ძალის ღირებულება არ უდრის ერთმანეთს: პირველი მეტია, მეორე—ნაკლები, განსხვავება უდრის ზედმეტ ღირებულებას. ეს ასეა, მაგრამ ამით ღირებულების კანონი, ღირებულებათა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა სრულებით არ ირღვევა. პირიქით, ეკვივალენტური გაცვლა სწორედ ამ ნიადაგზე ხდება შესაძლებელი და წარმოებს კიდეც. რატომ? იმიტომ, რომ კაპიტალი იცვლება არა შრომაზე, რომელიც ღირებულებას არ წარმოადგენს, არამედ სამუშაო ძალაზე. კაპიტალისტსა და მუშის შორის წარმოებს საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით: კაპიტალისტი აძლევს მუშას არსებობის საშუალებათა ღირებულებას, მუშა—თავის სამუშაო ძალას ყიდის. აქ მოცემულია შეფარდება, რომლის ორივე მხარე თანასწორია: არსებობის საშუალებათა ღირებულება, როგორც საქონელი, იცვლება სამუშაო ძალის ღირებულებაზე, როგორც საქონელზე; სამუშაო ძალა იყიდება მისი ღირებულების მიხედვით, არსებობის საშუალებანი—აგრეთვე მათი ღირებულების მიხედვით. აქ არავინ ატყუებს ერთმანეთს, საქონელთა გაცვლა-გამოცვლა ხდება მათი ღირებულების მიხედვით და, მიუხედავად ამისა, იქმნება მაინც ზედმეტი ღირებულება. ხელფასი არ გამოხატავს შრომის მიერ შექმნილი პროდუქტის სრულ ღირებულებას, სხვანაირად, არ ასახავს შრომის მთელ რაოდენობას, დახარჯულს საქონლის წარმოებაში. მუშა აძლევს კაპიტალისტს მეტ შრომას, ვინემ ღებულობს კაპიტალისტისაგან განივთიერებული შრომის—არსებობის საშუალებათა ღირებულების სახით. მაშასადამე, «მან in natura სამუშაო დროის მეტი რაოდენობით იყიდა მისი [სამუშაო დროის] ის რაოდენობა, რომელიც განხორციელებულია მის მიერ ხელფასის სახით მიღებულ ფულში»[33]. მუშა ყიდულობს მოხმარების საქონელს ღირებულების მიხედვით, მაგრამ თვითონ ღებულობს უფრო ნაკლებ განივთიერებულ შრომას, ვინემ მან თვითონ დახარჯა თავისი ცოცხალი შრომა. მეორე მხრივ, კაპიტალისტი აძლევს მუშას ხელფასის სახით უფრო ნაკლები რაოდენობის განივთიერებულ შრომას, ვინემ მან მიიღო მუშისგან სამუშაო ძალის გამოყენების შედეგად. როგორც ვხედავთ, აქ იქმნება წინააღმდეგობა, იქმნება ღირებულების კანონის დარღვევის თეორიული. სმიტი გრძნობს ამ წინააღმდეგობას, მაგრამ სრულებით ვერ ხსნის მას. ის ხედავს, რომ «ხდება ცვლილება, გარეგნულად (რეზულტატში აგრეთვე ფაქტიურად) ღირებულების კანონი თავის წინააღმდე-

[33] Теории etc. ტ. I, გვ. 106.

გობაში გადადის»[34]. ამ გარემოებას შეყავს სმიტი «ფორმალურ შეცდომაში».

როდესაც სამუშაო ძალა უპირისპირდება კაპიტალს, სამუშაო ძალა გვევლინება საქონლად და იცვლება სხვა საქონელზე, აქ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლა ეკვივალენტურია და ღირებულების კანონი სრულებით დაურღვეველი. მაგრამ ეკვივალენტური არ არის შრომის გაცვლა კაპიტალზე, აქ ღირებულების კანონი გამოუდეგარია. ეს გასაკვირიც არაა, რადგან შრომას ღირებულება არ გააჩნია. საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტი ცვლის ერთმანეთზე შრომის სხვადასხვა რაოდენობას: განივთიერებული შრომა ნაკლებია ცოცხალ შრომაზე. ეს ასე რომ არ იყოს, მუშა მიიღებდა თავისი შრომის მთელ პროდუქტს და კაპიტალისტური წარმოებაც შეუძლებელი გახდებოდა. ნამდვილად ეს ასე არ არის და ცოცხალი შრომის მეტი რაოდენობა იცვლება განივთიერებული შრომის ნაკლებ რაოდენობაზე, ე. ი. არსებობის საშუალებათა ღირებულებაზე. ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელი ხდება. არღვევს ეს გარემოება ღირებულების კანონს? არა, არ არღვევს: აქ საქმე გვაქვს სპეციფიკურ პირობასთან—შრომის გაცვლასთან კაპიტალზე. ეს გაცვლა სულ სხვა კანონს ემორჩილება. «გაცვლა-გამოცვლა დამზადებულ საქონელსა და ცოცხალ შრომას შორის ემორჩილება სხვა კანონს, იმიტომ რომ აქ ერთმანეთზე იცვლება არა ეკვივალენტები»[35]. ამაშია საქმე. სმიტმა ეს ვერ გაიგო და წინააღმდეგობა ვერ ასსნა. «და არც შეიძლებოდა ამ წინააღმდეგობის ახსნა, სანამ კაპიტალი უპირისპირდებოდა პირდაპირ შრომას და არა სამუშაო ძალას»[36]. შრომა ღირებულება არ არის, ის საქონელს არ წარმოადგენს, მაშასადამე, საქონელთა წარმოებისა და მიმოქცევის კანონს—ღირებულებას—არ ემორჩილება. ამის გაგება კლასიკურმა ეკონომიამ ვერ შეძლო და თეორიის შინაგანი წინააღმდეგობაც ვერ გადალახა.

სმიტი ერთმანეთში ურევს სამუშაო ძალის ღირებულებას და «შრომის ღირებულებას». პირველი ცნება მისთვის შეგნებულად არ არსებობს. აქედან მისი შეცდომის სათავეც: ის ვერ არჩევს შრომის რაოდენობას, დახარჯულს საქონლის დამზადებაში, ღირებულების რაოდენობისაგან, რომლითაც განისაზღვრება «შრომის ღირებულება», ჩვენს ენაზე—სამუშაო ძალის ღირებულება. სმიტი აშკარად ხედავს, შრომის პროდუქტის ღირებულება მეტია თვით «შრომის ღირებულე-

[34] ibid. გვ. 107.
[35] ibid. გვ. 100.
[36] ibid. გვ. 94.

ბაზე». მას ფიქრადაც არ მოდის, რომ სწორედ ამაშია კაპიტალისტური წარმოების ინტერესი—ზედმეტი ღირებულების წყარო. «კაპიტალისტური წარმოების განმსაზღვრელი მიზანი არის ზედმეტი ღირებულების წარმოება»[37], ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტური წარმოების მოტივია, მისი მამოძრავებელი ძალა. მუშა როდი ღებულობს თავისი შრომის მთელ პროდუქტს, ნაწილს ითვისებს კაპიტალისტური დამქირავებელი. სმიტის გულუბრყვილობით გაკვირვებული რიკარდო შენიშნავს სამართლიანად: «მუშის გასამრჯელო ყოველთვის იმის პროპორციული რომ იყოს, რაც მან გააკეთა, მაშინ შრომის რაოდენობა, დახარჯული საქონლის წარმოებაზე, და შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლება ამ საქონელზე, თანასწორი იქნებოდა, და თითოეული მათგანით თავისუფლად შეიძლებოდა სხვა საგანთა ღირებულების ცვლილებათა გაზომვა, მაგრამ ისინი თანაბარი არ არიან»[38]. მაშასადამე, შრომის რაოდენობა, განივთიერებული საქონელში, მეტია შრომის იმ რაოდენობაზე, რომელიც განივთიერებულია არსებობის საშუალებებში. მარქსის ენაზე რომ ვთქვათ, კაპიტალისტურ წარმოებაში მკვდარი, განივთიერებული შრომა იმორჩილებს ცოცხალ შრომას, მის მეტ რაოდენობას: «ცოცხალი შრომის განსაზღვრული რაოდენობა არ იცვლება მის თანაბარ საზოგადოებრივ შრომის რაოდენობაზე, ანდა საქონელში განივთიერებული შრომის განსაზღვრული რაოდენობა იმორჩილებს იმაზე მეტ ცოცხალ შრომას, რაც თვით საქონელში ამოცემული»[39]. ამაშია სწორედ წარმოების კაპიტალისტური წესის სპეციფიკური ხასიათი. შრომის მატერიალური პირობები ანტაგონისტურად დაპირისპირებულია, როგორც კაპიტალი, თვით შრომასთან, განივთიერებული შრომა იმორჩილებს ცოცხალ შრომას. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოების ფეტიშიზმი, რომელიც თვით ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობათა აუცილებელი ნაყოფია.

ამრიგად, სმიტი შრომას ვერ არჩევს სამუშაო ძალისაგან. მას შრომა საქონლად მიაჩნია, მაშასადამე, ღირებულების მქონედ. ამიტომ სმიტი ემწყვდევა გამოუვალ ჩიხში: «აქ ღირებულება მიჩნეულია ღირებულების ახსნის დროს მასშტაბად და საფუძვლად, ე. ი. ვღებულობთ cercle vicieux-ს, მოჯადოებულ წრეს»[40]. სმიტი ამ წრეში ტრიალებს უნუგეშოდ. დაეუშვათ, სმიტმა დასძლია თავისი გულუბრყვილო ემპირიზმი და შრომის ღირებულების ნაცვლად სამუშაო

[37] Капитал, ტ. I, გვ. 160.
[38] Рикардо. Начала пол. экономии, განყ. I, თავი 1.
[39] Теории etc. ტ. I, 1923 წ. გვ. 92-93. ხაზი ჩვენია.
[40] ibid. 1932 წ. გამოც., გვ. 92.

ძალის ღირებულება გაიხადა მსჯელობის საგნად. ამით არსებითად არაფერი არ იცვლება სმიტის თეორიაში. ამით პრობლემა ადგილიდან არ იძვრება და, ამას გარდა, სმიტის წინაშე ახალი თავსამტვრელი ამოცანა წარმოიშობა. პრობლემა გადაუჭრელი რჩება, რადგან ფორმულა: საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯული შ რ ო მ ი ს ღირებულებით, ახლა მიიღებს სახეს: საქონლის ღირებულება განისაზღვრება ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ღირებულებით. რასაკვირველია, ეს სწორი არ არის, როგორც უკვე ვიცით. ღირებულების საზომად სამუშაო ძალის საცვლელი ღირებულება არ გამოდგება, რადგან სამუშაო ძალის ღირებულება შეადგენს შრომის მიერ შექმნილ ღირებულების ნაწილს, მ ა რ ქ ს ი ს ენაზე—ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ პროდუქტს. რჩება ზ ე დ მ ე ტ ი პროდუქტი, ზედმეტი ღირებულება. ამას ნათლად ხედავს ს მ ი ტ ი და ამიტომაც აცხადებს, ზედმეტი ღირებულების წარმოშობა არღვევს ღირებულების კანონს, ყოველ შემთხვევაში, ძალზე ზღუდავს ამ კანონის მოქმედების არეს. მაშასადამე, ს მ ი ტ ი ს ღირებულების თეორია მაინც ვერ აღწევს თავს შინაგან წინააღმდეგობას ამ შემთხვევაშიაც, თუ შრომის ღირებულების ნაცვლად სამუშაო ძალის ღირებულება იქნება ნახმარი. საქონლის ღირებულების განსაზღვრის ს მ ი ტ ი ს ფორმულაში x-ს შეცვლა y-თ ვერ ცვლის ამ ფორმულის შინაარსს, ხოლო ერთი უცნობის შეცვლა მეორე უცნობით როდი ხდის აქ ამოცანას გამოსაცნობს. რატომ? იმიტომ, რომ თვით სამუშაო ძალის კათეგორია გაუგებარი რჩება ს მ ი ტ ი ს ა თ ვ ი ს, ს მ ი ტ ი ა რ იცნობს ამ საქონლის ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ბ უ ნ ე ბ ა ს, სმიტის გონება ვერ სწვდება პრობლემის სიღრმეს. ს მ ი ტ მ ა უნდა ახლა ნათელყოს სამუშაო ძალის, როგორც საქონლის ნამდვილი ხასიათი, აღმოაჩინოს, რომ ეს ორიგინალური საქონელი წინააღმდეგობათა მთლიანობაა, ის შეიცავს ს ა ხ მ ა რ და ს ა ც ვ ლ ე ლ ღირებულებას. ეს კიდევ არაფერი. ს მ ი ტ მ ა უნდა აღმოაჩინოს, რომ ამ სპეციფიკური საქონლის—სამუშაო ძალის ს ა ხ მ ა რ ი ღირებულება არავითარ ურთიერთობაში არაა მის ს ა ც ვ ლ ე ლ ღირებულებასთან. კაპიტალისტურ დამქირავებელს აინტერესებს სწორედ სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება, რადგან სამუშაო ძალის მოხმარება იძლევა ღირებულებას, რომელშიაც აღდგენილია ავანსად გაღებული კაპიტალი გადაჭარბებით—ზედმეტი ღირებულებით. ამ დასკვნამდე უნდა მივიდეს ს მ ი ტ ი, სხვანაირად შეუძლებელია თეორიის წინააღმდეგობათა რკალის გარღვევა და ზედმეტი ღირებულების შინაბუნების მეცნიერულად ნათელყოფა და დასაბუთება. ცხადია, მეცნიერული კვლევა-ძიების ამ სიშორეზე ს მ ი ტ ი არ წასულა, და არც შეეძლო მანუფაქტურულ პერიოდში წასულიყო. წინააღმდეგ შემთ-

ხვევაში ადამ სმიტი კარლ მარქსი გახდებოდა. მაგრამ მარქსი კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ სტადიაში ისტორიულად შეუძლებელი იყო.

კაპიტალისტურ მეურნეობაში ღირებულების კანონი, სმიტის აზრით, იზღუდება. სმიტიც მერყეობს ღირებულების თეორიაში. მთავარი დაბრკოლება, გადაღობილი შრომითი ღირებულების თეორიის განვითარების გზაზე, მოგებასა და რენტაში, ე. ი. ზედმეტ ღირებულებაში მდგომარეობს: შრომას ეკუთვნის არა მთელი პროდუქტი, არამედ ამ პროდუქტის ნაწილი. მაშასადამე, პროდუქტი ნაწილდება სხვადასხვა კლასს შორის და ამიტომ შრომა ეკვივალენტურად არ იცვლება კაპიტალზე. აქედან სმიტის იქვი და გაურკვეველობა ღირებულების თეორიაში. იბადება კითხვა: საქონლის ღირებულების შრომის რაოდენობით განსაზღვრის დროს რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ღირებულების ნაწილს—მოგებისა და რენტის სახით—არა უშუალო მწარმოებელი ღებულობს? რასაკვირველია, აბსოლუტურად არაფერი. «რამდენად შრომა ქმნის ღირებულებას და წარმოდგენილია საქონლის ღირებულებაში, მას არავითარი კავშირი არ აქვს საქონლის ამ ღირებულების სხვადასხვა კათეგორიებს შორის განაწილებასთან»[41]. შრომა ღირებულების სუბსტანციაა, შრომის რაოდენობა განსაზღვრავს ღირებულების სიდიდეს. რატომ არ უნდა იზომებოდეს საქონლის ღირებულება შრომით, თუ ღირებულების ნაწილი კაპიტალისტურ დამქირავებელს მიაქვს, ეს ხომ ღირებულების განაწილებას ეხება და არა წარმოებას. ამის გაგება არც ისე ძნელია. ამიტომ «მართლაც საკვირველია, რომ ადამ სმიტმა ვერ გაიგო, თუ რამდენად ნაკლებადაა დაკავშირებული საქონელთა გაცვლის კანონთან ის გარემოება, რომელიც მას ასე აოცებს. ორი საქონლის, A-ს და B-ს ერთმანეთზე გაცვლა მათში მოცემული სამუშაო დროს მიხედვით, ოდნავადაც არ ირღვევა იმ პროპორციით, რომლის მიხედვით ამ საქონელთა მწარმოებელნი იყოფენ მათ, უკეთ რომ ვთქვათ, მათ ღირებულებას ერთმანეთს შორის»[42]. ღირებულების განაწილებას არაფერი აქვს საერთო თვით ამ ღირებულებაში წარმოდგენილ აბსტრაქტულ შრომის რაოდენობასთან. საქონლის ღირებულება მასში განივთიერებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით განისაზღვრება. საქონელი ნაწილდება სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასს შორის, მაგრამ ამით არ იცვლება თვით საქონელში განივთიერებული, გაკრისტალებული შრომის რაოდენობა, არ

[41] Капитал. ტ. III, ნაწ. 2, გვ. 293.
[42] Теории etc. ტ. I, გვ. 94.

იცვლება საქონლის ღირებულება. ამის გაგება სმიტისათვის შეუძ-ლებელი აღმოჩნდა.

ასეთია, საერთოდ, სმიტის ღირებულების თეორიის შინაგა-ნი წინააღმდეგობა, მისი ორმაგობა.

ბურჟუაზიული ეკონომიის თეორეტიკოსები სმიტის თეორიაში არსებითად არ ამჩნევენ არავითარ შინაგან წინააღმდეგობას. მათთვის სმიტის ღირებულების თეორია შინაგან წინააღმდეგობას მოკლე-ბულია. ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მეთოდოლოგია იდეალი-სტურ-მეტაფიზიკურია და ამიტომ ბუნებრივია, თუ ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნების წარმომადგენლები სმიტის თეორიაში მხოლოდ ერთ მხარეს ხედავენ, მეორე მხარის არსებობას უარყოფენ. მეტაფიზიკური აზროვნება მთლიანობაში ვერ ამჩნევს სხვაობას, სხვაობაში—მთლიანობას. ან ერთი, ან მეორე—ასე დგას საკითხი იდეალისტურ ფორმალ-ლოგიკურ აზროვნებაში. ბურჟუაზიული ეკო-ნომიის თეორეტიკოსები მტკიცედ იცავენ ფორმალ-ლოგიკური აზ-როვნების წესს და არ იხილავენ როგორც ბუნებრივ-ისტორიულ მოვლენას, ისე თეორიულ-მეცნიერულ სისტემას მათ წინააღმდეგო-ბათა მთლიანობაში. მარქსმა გამოაშკარავა სმიტის ღირებულე-ბის თეორიის ორმაგი ხასიათი, მისი შინაგანი წინაღმდეგობა, ვი-ნაიდან მარქსი აღჭურვილია მატერიალისტურ-დიალექტიკური მე-თოდით, ამ ერთად ერთი მეცნიერული კვლევა-ძიების წესით. ამი-ტომაც მარქსი იკვლევს სმიტის ეკონომიურ სისტემას მის მთლია-ნობაში, ყოველ მხრივ, მაშასადამე—ობიექტურად. პირიქით, ბურ-ჟუაზიული ეკონომისტები ტენდენციურად, საკუთარი კლასის ინტე-რესების თვალსაზრისით უდგებიან სმიტის თეორიის შეფასებას. რაში მდგომარეობს ეს თვალსაზრისი? ერთ გარკვეულ დებულებაში: სმიტის ღირებულების თეორია სუბიექტივისტურია, სმიტი არ დგას ობიექტივიზმის საფუძველზე.

თავის დროზე ცნობილი პროფესორი მანუილოვი მოითხოვს სმიტის თეორიის განხილვას—როგორც ის ამბობს—«ჭეშმარიტ სინათლეში». ამ «სინათლეში» სმიტის თეორია მონისტურ, ორ-მაგობას მოკლებულ თეორიად გამოიყურება, ეს თეორია არ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. ამ დებულების დასაბუთება—მანუილო-ვის აზრით—მეტად ადვილია: სმიტი სავსებით უარყოფს ღირე-ბულების კანონს კაპიტალისტურ მეურნეობაში. სმიტის ფორმულის თანახმად, საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომით, რომე-ლიც შეიძლება ნაყიდ იქნეს ამ საქონლით. ამ მონისტურ ფორმულას იცავს სმიტი «თეორიული ეკონომიის მთელ სისტემაში, სარგებ-ლობს ამ პრინციპით, როდესაც ის ზომავს და ადარებს ერთმანეთს

სამეურნეო სიკეთეს»[43]. სმიტი ამ პრინციპს არსად არ ღალატობს და მთლიანად გარკვეული მონიზმის ნიადაგზე რჩება. თვით ეს პრინციპი რომ შეიცავს წინააღმდეგობას, ის სინამდვილეს არ შეეფერება, სინამდვილეს არ ასახავს მთლიანად, ამაზე მანუილოვი არაფერს ამბობს. მისთვის საინტერესოა სმიტის თვალსაზრისის მონისტური ხასიათის დამტკიცება და იმის დასაბუთება, რომ სმიტი უარყოფს შრომითი ღირებულებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რაკი მისი ფორმულა ვერ გამოდგა კაპიტალისტური წესით დამზადებული საქონლის ღირებულების განმსაზღვრელი. მაშასადამე, პროფ. მანუილოვის აზრით, სმიტი ტოვებს ობიექტივიზმის პოზიციას და, თავისთავად ცხადია, უახლოვდება სუბიექტივიზმს ღირებულების თეორიაში. რა წარმოადგენს სუბიექტივიზმის კვინტ-ესენციას, მის ნიშანდობლივ მომენტს? ამ კითხვაზე მანუილოვი გვიპასუხებს: «სუბიექტური შეფასების საფუძველს, საერთო წესის მიხედვით, შეადგენს სახმარ სიკეთეთა [ღირებულებათა] რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლება საგნით, მაგრამ ეს რაოდენობა არ იმყოფება... პირდაპირ დამოკიდებულებაში შრომასთან, დახარჯულთან წარმოებაში. ეს რაოდენობა წინანდებურად დამოკიდებულია საგნის მყიდველობითი ძალაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე არ გაიზომება მხოლოდ მუშის ენერგიით, მოხმარებულით პროდუქტის დამზადებაში»[44]. სუბიექტივიზმი ღირებულების თეორიაში, მაშასადამე, არ ცნობს შრომას ღირებულების სუბსტანციად. მანუილოვის ენაზე, ეს ნიშნავს: სახმარი სიკეთის რაოდენობა სუბიექტური შეფასების საფუძველია, ხოლო თვით ეს რაოდენობა დამოკიდებულია არა შრომის რაოდენობაზე, არამედ თვით «საგნის მყიდველობითი ძალაზე». რა არის ეს «საგნის მყიდველობითი ძალა»? ეს არ არის «მუშის ენერგია, მოხმარებული» ამ საგნის შექმნაში. ეს «ძალა» თვით «სუბიექტურ შეფასებაზეა» დამოკიდებული. მანუილოვს ეშინია აშკარად აღიაროს ბემ-ბავერკის საზღვრითი ღირებულების თეორია, დაიცვას თანმიმდევრობითი სუბიექტივისტური თვალსაზრისი. ამიტომ ის სუბიექტივიზმის ეპიგონად გვევლინება და სუბიექტივიზმს თავისებურ ასპექტში ასახავს. სმიტის კონცეპცია საკვლევით ეთანხმება მანუილოვისებურად გაგებულ სუბიექტივიზმს. სმიტის ფორმულა ახლა შეიძლება ასე გამოითქვას: «სუბიექტური შეფასების საფუძველია» «სახმარ საგანთა რაოდენობა, რომელთა ყიდვა შეიძლება საგანზე». როგორც ვხედავთ, მანუილოვი უკე-

[43] А. Мануилов. Понятие ценности по учению экономистов классической школы. მოსკოვი, 1901, გვ. 80.
[44] Op. cit. გვ. 98.

თებს უხეშ ოპერაციას სმიტის უფრო გარკვეულ დებულებას და, გამსჭვალული ამ ოპერაციის მშვიდობიანად დასრულების სურვილით, ასკვნის: «ჩვენ ვცნობთ სმიტის ფასეულობის თეორიას შრომითად მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს თეორია თვლის სამეურნეო პროდუქტთა ფასეულობის საზომად შრომის იმ რაოდენობას, რომელიც იყიდება ამ პროდუქტებზე»[45]. მანუილოვი აქ წინააღმდეგობაში ვარდება. აქედან შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სმიტი იძლევა «სუბიექტური შეფასების საფუძველს». ახლა თვითონ მანუილოვიც აღიარებს, სმიტი საქონლის ღირებულებას საზღვრავს შრომის რაოდენობით, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნას ამ საქონელზე. აქ სუბიექტივიზმის ნასახიც არაა არსებითად. სმიტის შეცდომა იმაშია მხოლოდ, რომ საქონლის ღირებულება არ განისაზღვრება მარტო «შრომის ღირებულებით», საქონელში განივთიერებული შრომა იცვლება უფრო მეტი რაოდენობის ცოცხალ შრომაზე. სმიტის ფორმულა ამიტომ სრული არაა, ის არ გამოხატავს ღირებულებას მთლიანად, მის მთელ სიდიდეს. სმიტის ფორმულა განსაზღვრავს ღირებულების ნაწილს, რომელსაც ქმნის აუცილებელი სამუშაო დრო. მაგრამ ამ ფორმულაში არ შედის ღირებულების მეორე ნაწილი, შექმნილი დამატებითი სამუშაო დროთი. მაშასადამე, სმიტის ფორმულა სრული არაა და ამიტომაც—არც სწორი. მიუხედავად ამისა, უდაოა სრულებით, სმიტი არ დგება საქონლის «სუბიექტური შეფასების» თვალსაზრისზე. არა, გვეუბნება მანუილოვი, სმიტის ამ ფორმულაში მოცემულია საქონლის «სუბიექტური შეფასების საფუძველი». «ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ სმიტის ეს იდეა რაღაც შემთხვევითია, რომელიც გაასწორა რიკარდომ. ჩვენ კი დაგანახეთ [sic!], ამ იდეაზეა აგებული სმიტის მთელი სისტემა და მას საფუძვლად უდევს ცდა—მონახულ იქნას საქონელთა მეურნეობაში საგანთა სუბიექტური შეფასების საფუძველი»[46]. მაშასადამე, სმიტის ღირებულების თეორიას საფუძვლად უდევს არა ობიექტური კათეგორია—შრომა, არამედ «სუბიექტური შეფასება». ეს თუ ასეა, სმიტი უეჭველად სუბიექტივისტია და მანუილოვის აზრიც გამართლებული. მაგრამ რით ასაბუთებს ამ შეხედულებას მანუილოვი? არაფრით. მისი სურვილია სმიტის ობიექტივისტურ თეორიას შეუქმნას «სუბიექტური შეფასების საფუძველი». ამ საფუძველზე სმიტის ეკონომიური სისტემის დამყარება არ შეიძლება, ეს მეტად ვიწრო და მერყევი საფუძველია ამ სისტემისათვის.

[45] ibid.
[46] Ibid. გვ. 104.

მეორე მხრივ, პროფ. დ ი ლ ი ცდილობს ს მ ი ტ ი ს თეორია სუბიექტივიზმის სახეობად წარმოიდგინოს. მისი აზრით, ს მ ი ტ ი ს ღირებულების თეორია არის «წარმოების ხარჯების თეორიის სუბიექტური ვარიანტი»[47]. გარეგნულად ს მ ი ტ ი ს თეორია მართლაც წარმოების ხარჯების თეორიას მოგვაგონებს, ნამდვილად ეს ასე არ არის. წარმოების ხარჯებში შედის არა მარტო «შრომის ღირებულება», ცვალებადი კაპიტალი, როგორც ეს მოცემულია ს მ ი ტ ი ს ღირებულების თეორიაში, არამედ შრომის საგანთა ღირებულება და შრომის იარაღთა ამორტიზაცია. ამიტომ ს მ ი ტ ი ს ფორმულა ვერ იტევს წარმოების ხარჯებს. შეიძლება ამაში მდგომარეობს ს მ ი ტ ი ს «თეორიის სუბიექტური ვარიანტი»—ეს სხვა საკითხია, რომელიც ჩვენთვის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს. პროფ. დ ი ლ ი ვერაფრით ამტკიცებს ს მ ი ტ ი ს შრომითი ღირებულების სუბიექტურ ვარიანტობას, მის სუბიექტივისტურ ხასიათს. რ უ ბ ი ნ ი, სოციალ-ფაშიზმის ეკონომისტი, სმიტის თეორიაში პოულობს სუბიექტივიზმის გარკვეულ ელემენტს. მართალია, მისი აზრით, ს მ ი ტ ი ს შეხედულება სუბიექტივიზმს არ წარმოადგენს მთლიანად, მაგრამ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ა დ—უეჭველად. რ უ ბ ი ნ ი ს აზრით, ს მ ი ტ ი ს თეორიამ «ნაწილობრივად მიიღო სუბიექტური ფასეულობის თეორიის ხასიათი»[48]. მაშასადამე, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ს მ ი ტ ი სუბიექტივიზმს იცავს ღირებულების თეორიაში. რ უ ბ ი ნ ი, როგორც სოციალ-ფაშიზმის ყოველი თეორეტიკოსი, ეკლექტიკოსია და ამიტომ ის მექანიკურად აერთებს სმიტის თეორიაში სუბიექტივიზმისა და ობიექტივიზმის მომენტებს, ღებულობს დებულებას: ს მ ი ტ ი ს თეორია არის «სუბიექტური შრომითი ღირებულების თეორია». ეს დებულება, ცხადია, შინაგან დაუძლეველ წინააღმდეგობას შეიცავს, ეკლექტიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ ამან არ უნდა აღგვაშფოთოს, რადგან ამ დებულებას «აქვს ერთგვარი საფუძველი»[49]. რაში მდგომარეობს ეს «საფუძველი», ამაზე რ უ ბ ი ნ ი დუმს.

კლასიკური ეკონომიის ღირებულების თეორიის ობიექტურ-მეცნიერულ ანალიზს იძლევა მ ა რ ქ ს ი. ზევით გავეცანით კრიტიკას, რომელსაც მ ა რ ქ ს ი უკეთებს ს მ ი ტ ი ს თეორიულ შეხედულებებს ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების პრობლემებში. ამთავითვე

[47] Диль. Комментарии к «Основным началам» Рикардо. ნაწ. I, 1912. გვ. 54.

[48] იხ. მისი წინასიტყვა წიგნში: В. Либкнехт. История теории стоимости в Англии и учение Маркса.

[49] იხ. რ უ ბ ი ნ ი ს შესავალი წიგნში: И Розенберг. Теория стоимости у Рикардо и у Маркса. 1924. მოსკოვი.

უნდა ითქვას გადაჭრით, მტკიცედ, პირდაპირ: მარქსი არსად, თავისი გენიოსურ თხზულებათა არც ერთ ადგილას არ ლაპარაკობს, არ მსჯელობს სმიტის, საერთოდ—მთელი კლასიკური ეკონომიის —სუბიექტივიზმზე, სმიტის ღირებულების თეორიის სუბიექტივისტურ მომენტებზე. არც ერთ ჭკუათმყოფელს არ შეუძლია იმის თქმა და დამტკიცება, რომ მარქსს გამოეპარა ადამ სმიტის ეკონომიური თეორიის სუბიექტივიზმი. მარქსი, პირიქით, აშკარად ნათელყოფს ამ თეორიის ობიექტივისტურ შინაარსს. მარქსი ოდნავადაც არ ფიქრობს, შესაძლებლობასაც არ უშვებს, ვითომც სმიტის თეორია არ იყოს შრომითი ღირებულების თეორია. ორტოდოქსალურ მარქსიზმში ეს პრობლემა სწორედ ასეა წარმოდგენილი.

მარქსი ყველგან ხაზს უსვამს სმიტის თეორიის შინაგან წინააღმდეგობას, მისი ორმაგობას. ერთის მხრით, სმიტი სწორად განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას მასში განივთიერებული, დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით. მაგრამ, მეორე მხრივ, სმიტი ვარდება წინააღმდეგობაში, მას გონია, რომ ღირებულების გაცვლა ღირებულებაზე ყოველვთის არ წარმოებს ეკვივალენტურად, ეს ეკვივალენტობა ირღვევა. მაშასადამე, ასკვნის მეცნიერული კრიტიკა, სმიტი წინააღმდეგობაში ვარდება. თვითონ სმიტი გარკვევით არც კი ლაპარაკობს შრომითი ღირებულების მის მიერ უარყოფაზე. სმიტი მერყეობს ღირებულების სწორად განსაზღვრის საკითხში. ეს მერყეობა შემთხვევითი არაა, მას გააჩნია სოციალური ეკვივალენტი, აქვს ისტორიული გამართლება. მანუფაქტურული პერიოდის ეკონომიკა არის ფეოდალიზმიდან სამრეწველო კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქის ეკონომიკა. აქ წვრილი, დამოუკიდებელი მწარმოებელი, ხელოსანი, წვრილი მეურნე ჯერ კიდევ ფესვებ აღმოფხვრილი არაა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობა კიდევ არ გვევლინება გაბატონებულ ურთიერთობად. მაშასადამე, წარმოების კაპიტალისტური წესი ჯერ კიდევ არ გვევლინება გაბატონებულ წესად მთელი საზოგადოებრივ მეურნეობის მასშტაბით. ასეთი ეკონომიური სტრუქტურა თვითონ შეიცავს წინაალმდეგობას, აქ ძველი ურთიერთობა ებრძვის ახალს. ძველი მიდის, მაგრამ სულ ჯერ კიდევ არ წასულა, ახალი მოდის, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით არ მოსულა და საბოლოოდ არ განმტკიცებულა. სმიტი მოქცეულია მისი ეპოქის წინააღმდეგობაში. ის შესანიშნავ ისტორიულ უღელტეხილზე დგას და ორთავიანი არწივივით გადაჰყურებს წარსულსა და მომავალს. წარსულში—ღირებულების ურყევი ბატონობა, აწმყოსა და მომავალში—ღირებულების კანონის ფორმალური დარღვევა, შელახვა. თვით მანუფაქტურული წარმოების პირობებ-

ში ნაწილობრივად მოქმედებს ღირებულების კანონი—ფიქრობს სმიტი. ის სშირად ხმარობს გამოთქმას: «ალ» საქონელი თავისი ღირებულების მიხედვით «ყოველთვის» არ იცვლება სხვა საქონელზე. თუ არა ყოველთვის, მაშ ხშირად მაინც იცვლება თურმე. სმიტის ეს თეორიული სისუსტე, მაშასადამე, გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური სტრუქტურის ისტორიული პროდუქტია.

სმიტი ღირებულების თეორიაში არ უარყოფს ობიექტივიზმს და არ დგება სუბიექტივიზმის თვალსაზრისზე. სმიტი წინააღმდეგობაშია მოქცეული, ის არ არჩევს ერთმანეთისგან სხვადასხვა კათეგორიას, როგორიცაა საქონლის ღირებულება და «შრომის ღირებულება», რომელიც ამ საქონელზე იცვლება. ის არ არჩევს შრომას სამუშაო ძალისგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სმიტი არსებითად არ უარყოფს შრომითი ღირებულების პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტ ღირებულებას ის ვერ გამოიყვანდა ზედმეტი შრომიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ «ნამდვილად ის, შეუგნებლად, ყველგან, სადაც ეხება ამ კითხვას, მტკიცედ იძლევა საქონელთა საცვლელი ღირებულების სწორ განმარტებას: განსაზღვრავს მათ მათში დახარჯული შრომისა და სამუშაო დროს რაოდენობით»[50]. მარქსი აქ გარკვევით ამბობს, რომ სმიტი მისდა უნებურად, შეუგნებლად, «გონიერი ინსტიქტის» კარნახით, ღირებულებას სწორად განსაზღვრავს, როდესაც ზედმეტ ღირებულებას არკვევს, ხოლო ზედმეტი ღირებულება არის თეორიის ცენტრალური მომენტი საზოგადოდ. ღირებულების განსაზღვრა შრომითი პრინციპის მიხედვით აძლევს სმიტს საშუალებას აღმოაჩინოს ზედმეტი ღირებულების ნამდვილი წყარო—დაქირავებული შრომა. ღირებულების პრინციპის უკუგდების პირობებში სმიტი ასეთ დასკვნამდე ვერ მივიდოდა და მისი თეორიული შეხედულებათა მეცნიერული მიმართულებით განვითარება იმთავითვე აღიკვეთებოდა. ლიბკნეხტი სავსებით სწორად შენიშნავს, როცა წერს: «საგნის საცვლელი ღირებულების ნამატი სმიტს გამოყავს დაქირავებული მუშის შრომიდან. მაშასადამე, შრომითი ღირებულების იმ თეორიას, რომელიც მან ამას წინეთ უარყო, ის ცნობს კანონიერად თანამედროვე საზოგადოებისათვისაც»[51]. ფაქტიურად volens-nolens ეს ასე გამოდის. სმიტის შინაგანი წინააღმდეგობაც სწორედ ამაში მდგომარეობს: ჯერ ის ღირებულებას სწორად განსაზღვრავს პროდუქტის დამზადებაში დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით, მერე კი ადამ სმიტი საქონლის «ღი-

[50] Теории etc. ტ. I, გვ. 92. აგრეთვე გვ. 95.

[51] В. Либкнехт. История теории стоимости etc. გვ. 60.

რებულების ამ განსაზღვრის ნამდვილობას ადამის წინადროს აკუთვნებს»[52]. ობიექტურად ადამ სმიტი შრომითი ღირებულების პრინციპს არ უარყოფს არც მანუფაქტურულ პერიოდის ეკონომიკაშიაც, სმიტი ფაქტიურად ხელს არ იღებს ღირებულების შრომითი თვალსაზრისზე უმეტეს შემთხვევაში. «მრავალი მაგალითის მიხედვით შეიძლება დამტკიცება—წერს მარქსი—როგორ ხშირად ადამ სმიტი... თვლის პროდუქტში მოცემულ შრომის რაოდენობას ღირებულებად და ელემენტად, რომელიც განსაზღვრავს ღირებულებას... ამაზეა დამყარებული მთელი მისი მოძღვრება საქონელთა ფასზე შრომის განაწილებისა და მანქანათა გაუმჯობესობის გავლენის შესახებ», და ეს მიუხედავად იმისა, რომ სმიტთან ვხედავთ «ბუნდოვანობას ღირებულების განსაზღვრაში»[53]. მართალია, სმიტი არ იძლევა საქონლის ღირებულების სრულ განსაზღვრას. ღირებულებას ის გამოხატავს შრომაში, რომელიც იცვლება კაპიტალზე. ეს სრული შეუსაბამობაა და აშკარა წინააღმდეგობა. მაგრამ ნიშნავს ეს გარემოება იმას, რომ სმიტი უარყოფს შრომითი ღირებულებას? როცა სმიტი იძლევა ღირებულების ამ არასწორ ფორმულას, «ამით ნამდვილად მას არ სურს თქვას—ასკვნის მარქსი,—რომ საქონელი აწი არ იცვლება მეორე საქონელზე მასში დახარჯული სამუშაო დროს მიხედვით, არამედ ამბობს მხოლოდ იმას, რომ გამდიდრება, საქონელში მოცემული ღირებულების გადიდება და ამ ზრდის ხარისხი დამოკიდებულია ცოცხალ შრომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე, რომელიც მოყავს მოძრაობაში განივთიერებულ შრომას. და ამ აზრით ეს მართალია. მაგრამ სმიტი რჩება ბუნდოვანი»[54]. დიახ, სმიტი ბუნდოვანია უსათუოდ. სმიტი საკუთარი თეორიის შინაგან წინააღმდეგობის ქსელშია გახლართული. სმიტი მერყეობს ღირებულების განსაზღვრაში, ის გაუბედავად იხევს უკან სწორი პოზიციიდან. მაგრამ სწორედ ამ მერყეობასა და შინაგან წინააღმდეგობაშია მოცემული სმიტის მთელი სიდიადე: მეცნიერული ინსტიქტი და მახვილი გონება არ ღალატობს სმიტს დაინახოს ღირებულების კანონის საკუთარ წინააღმდეგობაში გადასვლა საქონლის წარმოების კაპიტალისტური წესზე გადასვლით. ის გრძნობს კანონის მოჩვენებითი წინააღმდეგობას ფაქტიურ სინამდვილესთან. მას გონია, ეს წინააღმდეგობა ახსნას არ ემორჩილება, გაუგებარია. სმიტიც გაუგებარი რჩება. სმიტი მაღლა დგას რიკარდოზე იმ მხრივ, რომ რიკარდო ვერ ხედავს იმ

[52] К критике etc. გვ. 78.
[53] Теории etc. ტ. I. გვ. 97.
[54] ibib.

დაბრკოლებას, რომელიც იქმნება ღირებულების წინაშე კაპიტალისტური წარმოების განმტკიცებით. «ის განსაკუთრებული განვითარება, რომელსაც პოულობს ღირებულების კანონი კაპიტალის წარმოშობით, მას ერთხელაც არ აფიქრებს და არც აინტერესებს»[55]. პირიქით, ღირებულების კანონის ეს «განსაკუთრებული განვითარება» სმიტს გონებას უკარგავს და არ აძლევს მას საშუალებას—მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ—«მიაღწიოს მთლიანობას საერთო თეორიული შეხედულებისა კაპიტალისტური სისტემის განყენებულ საერთო საფუძვლებზე». სმიტის თეორიული ძალა მდგომარეობს არა იმაში უმთავრესად, რომ ის სწორად სწყვეტს პრობლემას, არამედ იმაში, რომ აყენებს ამ პრობლემას.

ამრიგად, გავეცანით სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორიას და დავინახეთ, ზედმეტი ღირებულება ანვითარებს ღირებულების თეორიის შინაგან წინააღმდეგობას. ზედმეტი ღირებულებიდან გამოყვანილია კაპიტალისტური მოგება. ამ მოგების განხილვა დაგვანახებს, თუ როგორ ვითარდება წინააღმდეგობა სმიტთან თვით ზედმეტი ღირებულების თეორიაში. სმიტის ეკონომიურ მოძღვრებაში ზედმეტი ღირებულება იწვევს ღირებულების შინაგან წინააღმდეგობას, ხოლო მოგება—ანვითარებს ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგან წინააღმდეგობას. ვღებულობთ, მაშასადამე, სმიტის ღირებულების თეორიაში წინააღმდეგობათა გაშლა-განვითარებას ყველა მიმართულებით.

III

მოგების კათეგორია და ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა სმიტთან

კაპიტალისტური მოგება, პროცენტი და რენტა სმიტმა ზედმეტი ღირებულებიდან გამოიყვანა. სმიტმა აღმოაჩინა ამ სამი კათეგორიის ნამდვილი წყარო—დაქირავებული შრომა. კერძოდ, მოგება მიმოქცევაში არ წარმოიშობა, საქონელთა გაცვლა-გაცვლიდან არ წარმოდგება. ეს ჰეშმარიტება შეგნებული აქვს სმიტს და ამ აზრს არ ღალატობს. გარეგნულად მოგება მიმოქცევაში იქმნება, ნამდვილად კი ის მიმოქცევამდე იბადება. მიმოქცევაში ხდება მოგების რეალიზაცია, მისი განაღდება, განხორციელება. მოგების წყაროა ფასგადაუხდელი შრომა, რომელსაც ითვისებს კაპიტალისტური მწარმოებელი. ამიტომ სმიტს «გამოყავს მოგება იქიდან, რომ კაპიტალისტმა არ

[55] ibid. გვ. 107.

გადაიხადა საქონელში დახარჯული შრომის ქირის ნაწილი და ამიტომ გაყიდვის დროს ღებულობს მოგებას»[1]. მოგება მიმოქცევაში იმიტომ გამოივლინება, რომ ის უკვე შექმნილია წარმოებაში. მუშის შრომის ნაწილი უფასოდ მიითვისა კაპიტალისტმა, ესაა ზედმეტი შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ პროდუქტს, მაშასადამე, კაპიტალისტურ ურთიერთობაში—ზედმეტ ღირებულებას. ეს ზედმეტი ღირებულება ნაღდდება, გამოივლინება მიმოქცევაში მოგების სახით. ეს მოგება რჩება კაპიტალისტურ დამქირავებელს.

სმიტი გარკვევით ამტკიცებს, მოგება არ არის კაპიტალისტის ხელფასი, მისი «შრომის ღირებულება». შრომის, ანდა ჩვენს ენაზე—დაქირავებული ძალის ღირებულება განისაზღვრება მუშის საარსებო საშუალებათა ღირებულებით. ამ ღირებულების ფულადი გამოხატვა შეადგენს ხელფასს. სმიტის აზრით, არსებობს ხელფასის მინიმალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს მუშის ცხოვრების პირობებს აუცილებელი მინიმუმით. კაპიტალისტის შრომაც არ წარმოადგენს გამონაკლისს, მაგრამ კაპიტალისტი ხელფასით არ ცხოვრობს: მოგება არ არის კაპიტალისტის ხელფასი. «შეიძლება ვიფიქროთ—ამბობს სმიტი,—რომ მოგება კაპიტალზე წარმოადგენს შრომის განსაკუთრებული სახის ხელფასის მეორენაირ განსაზღვრას, სახელდობრ ზედამხედველობისა და საქმის გამგებლობის ხელფასს»[2]. ასე ამტკიცებენ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები, სწორედ ამ აზრს იცავდა კლასიკური ეკონომიის ექსკრემენტი—ვულგარული პოლიტიკური ეკონომიაც. სეი არ ეთანხმება სმიტს და აცხადებს გადაჭრით: «თუ გნებავთ იგივე ხელფასია» მოგება[3]. სმიტის «გონიერი ინსტიქტი» ძირშივე უარყოფს ამ სიყალბეს, რომელიც კაპიტალისტური ექსპლოატაციას ახვევს ბურუსში. სმიტის აზრით, კაპიტალისტური დამქირავებლის მოგება «სრულებით არ გავს ხელფასს, ის დამყარებულია სრულებით სხვა საფუძველზე და არავითარ დამოკიდებულებაში არაა ზედამხედველობისა და გამგებლობის ნავარაუდევი შრომის რაოდენობასთან, სიმძიმესა და სირთულესთან»[4]. როგორც ვხედავთ, სმიტი აქ ჭეშმარიტებას გამოთქვამს. კაპიტალისტის «შრომა» და მისი მოგება არავითარ შინაგან კავშირში არ იმყოფება. ამ უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას სმიტი გარკვევით აყენებს და თავისებურად ასაბუთებს. იბადება კითხვა: მაშ რით აიხსნება კაპიტალისტის სრულებით უმნიშვნელო «შრომა» და მისი

[1] Маркс. Теории etc. ტ. I. გვ. 100.
[2] Исследование etc. წ. I. თ. 6.
[3] იხ. Исследования etc. 1866 წ. გამოცემა. ტ. I, გვ. 223. სეის შენიშვნა.
[4] Ibid. თ. 6.

დიდი მოგება? რასაკვირველია—ვუპასუხებთ ჩვენ—დაქირავებული შრომის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მასის მითვისებით, ეს დამოკიდებულია დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის მასშტაბსა და ინტენსივობაზე. სმიტი ამას ვერ ხედავს, მოგების რაოდენობას და მის ნორმას ამით არ ხსნის. აი, აქედან იწყება სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობის სათავე და განვითარებაც. სმიტის კონცეპცია, მისი შესედულება ამ შემთხვევაშიაც ორმაგობაში იღრჩობა. სმიტი გამოდის უშუალო ემპირული სინამდვილიდან, ემყარება ექზოტერულ მეთოდს და მიდის დასკვნამდე: მოგების რაოდენობა, მისი სიდიდე დამოკიდებულია კაპიტალის რაოდენობაზე, მის სიდიდეზე. მაშასადამე, მოგების წყაროა თვით კაპიტალი და არა მარტო დაქირავებული შრომა. ამ შემთხვევაშიაც სმიტი აყენებს პრობლემას, ამაშია მისი სიძლიერე, მაგრამ შემცდარად, არა სწორად სწყვეტს მას, ამაშია მისი სისუსტე.

მოგება, პროცენტი და რენტა ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმაა—ეს აზრი სმიტის თეორიიდან გამომდინარეობს არ.ებითად. მოგება, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულებიდან წარმოდგება და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. აქედან ბუნებრივია, მოგების მოძრაობა ზედმეტი ღირებულების მოძრაობიდან უნდა იქნეს გამოყვანილი, პირველი მეორით უნდა განისაზღვროს. სმიტი ამ შესედულებას არ იცნობს, და შეუძლებელიცაა იცნობდეს, იმიტომ რომ სმიტი «არ იხილავს ზედმეტი ღირებულების საერთო ფორმას მის განსაკუთრებულ ფორმებისგან დამოუკიდებლად»[5]. სმიტი არ ანსხვავებს ერთმანეთისგან ორ კათეგორიას: ზედმეტ ღირებულებას და მოგებას. ზედმეტი ღირებულება სმიტის მიერ წარმოდგენილია მოგების ფორმაში. სმიტის ამ გაურკვევლობას ზევითაც გავეცანით. ახლა ირკვევა, რა არასასიამოვნო შედეგს იძლევა ეს გაურკვევლობა სმიტის თეორიაში. სმიტი «ერთმანეთში ურევს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას» და ამით «ამავე დროს ანგრევს მის მიერვე დადგენილ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის კანონს»[6]. სმიტისათვის მოგება იგივე ზედმეტი ღირებულებაა. ემპირული სინამდვილე გვეუბნება, მოგება დამოკიდებულია კაპიტალზე. მაშასადამე, ასკვნის სმიტი, მოგების წყაროა არა შრომა, არამედ თვით კაპიტალი. აშკარაა, ამით სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორია შინაგან წინააღმდეგობისა და ორმაგობის ჯადოსნურ წრეში მოექ-

[5] Теории etc. ტ. I გვ. 110.
[6] ibid. გვ. 109.

ცა. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სმიტს ზედმეტი ღირებულება «წარმოდგენილი აქვს უშუალოდ მოგების ფორმაში»[7], და ეს მიუხედავად იმისა, რომ სმიტი ზედმეტი ღირებულების კათეგორიას არსებითად ანვითარებს მოგების, პროცენტისა და რენტის კათეგორიებისგან განსხვავებულად, «მაგრამ ეს განვითარება არ ღებულობს გარკვეულ ფორმას და ამიტომ ის [სმიტი] აქვე ურევს ზედმეტ ღირებულებას მოგების უფრო განვითარებულ ფორმებში»[8]. ამის შედეგია ის წინააღმდეგობა, რომელშიაც სმიტის თეორია მოექცა უნებლიეთ. ეს თვით რეალური ეკონომიური სინამდვილის წინააღმდეგობაა, რომლის ახსნა ამიტომ არც ისე ადვილია. სმიტმაც ვერ დასძლია ეს წინააღმდეგობა და მოგების პრობლემაც ვერ გადასჭრა მეცნიერულად, ზედმეტი ღირებულების თეორიაშიც ორმაგი და ბუნდოვანი დარჩა.

ემპირული სინამდვილე გვიჩვენებს, რომ მოგება კაპიტალის სიდიდეზეა დამოკიდებული. რამდენად მსხვილია წარმოებაში ავანსად გაღებული კაპიტალი, იმდენად მეტია კაპიტალისტური მოგების მასა, მისი რაოდენობა. ეს სრულებით უტყუარი ფაქტია, რომელსაც სმიტი მშვენივრად ხედავს. «მოგება მთლიანად დამოკიდებულია საქმეში მოხმარებული კაპიტალის ღირებულებაზე—წერს სმიტი—და მეტია ან ნაკლები იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია თვით კაპიტალის ღირებულება»[9]. სრული ჭეშმარიტებაა! აქედან კანონი: «მოგებათა სიდიდე... ყოველთვის განსაზღვრულ პროპორციულობაში უნდა იყოს კაპიტალის სიდიდესთან»[10]. კაპიტალისტური წარმოების სინამდვილეში მართლაც ეს ასეა: რამდენად დიდია კაპიტალი, იმდენად მეტია მოგებაც. სმიტი ამ უდაო დებულებას ფაქტიური მასალით ასაბუთებს. რასაკვირველია, ძალზე ადვილია ამ დებულების დამტკიცება, რადგან აქ საქმე გვაქვს გარკვეულ მოვლენასთან, შესაგრძნობ ფაქტთან, რომელიც უშუალოდ დასცურავს სინამდვილის ზედაპირზე. საილუსტრაციოდ სმიტს მოყავს ორი მანუფაქტურა. ორივეში დაქირავებულია თანაბარი რაოდენობის მუშა—20 კაცი თითოეულში, თანაბარი ხელფასით—15 გირვანქა სტერლინგი თითოეულ მუშაზე. მაშასადამე, თითოეული მანუფაქტურა ხარჯავს დაქირავებულ ძალაზე 300 გირ. სტერლინგს. განსხვავება ნედლ მასალაზე გაღებული კაპიტალების სხვადასხვა რაოდენობაშია: პირველი მანუფაქტურა ხარჯავს ნედლ მასალაზე 700 გირ. სტ. მეორე კი ათჯერ

[7] Ibid.

[8] ibid. გვ. 108. შეად. გვ. 102.

[9] Исследование etc. წ. I, თ. 6.

[10] Ibid.

მეტს—7000 გ. სტ. აქედან ცხადია, პირველ მანუფაქტურაში დაბანდებულია 1000 გირ. სტ., ხოლო მეორეში—7300 გ. სტ. მოგების საშუალო ნორმად აღებულია 10%. შედეგი: პირველი მანუფაქტურის მესაკუთრე კაპიტალისტი ღებულობს 100 გირ. სტ. მოგებას, ხოლო მეორე—730 გირ. სტ. დასკვნა აქედან: მოგების სიდიდე დამოკიდებულია არა დაქირავებული შრომის რაოდენობაზე—დაქირავებულთა რიცხვი ორივე შემთხვევაში თანაბარია,—არამედ ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე. გამოდის, მოგების წყარო ყოფილა არა მარტო დაქირავებული შრომა, აგრეთვე ნედლი მასალაც, კაპიტალი, განივთიერებული შრომა. ეს უკვე აშკარად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რასაც სმიტი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიაში გვიმტკიცებდა. სმიტი ამბობდა, რომ მხოლოდ დაქირავებული შრომა, ანდა მის ენაზე—«შრომის მოყვარე ადამიანი»—უმატებს მასალას ახალ ღირებულებას, რომელიც შეიცავს «შრომის ღირებულებას», ხელფასს და აგრეთვე ნამატს, ჩვენს ენაზე—ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ითვისებს კაპიტალისტური დამქირავებელი მოგების სახით. სმიტის თეორიული ანალიზის ამ საფეხურზე დავინახეთ, რომ სმიტის თანახმად «კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც შედგება ნედლეულისა და შრომის საშუალებისგან, არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვს ზედმეტი ღირებულების შექმნასთან»[11]. ეს პირდაპირ გენიოსური აზრი იყო, რომელიც სმიტმა გამოთქვა. მაგრამ სმიტი შინაგან წინააღმდეგობათა განსახიერებაა და ბუნებრივია, თუ მოგების გარკვევაშიაც სმიტი წინააღმდეგობაში ვარდება საკუთარ შეხედულებებთან. ახლა ირკვევა, სწორედ წარმოების საშუალებანი აგრეთვე მოგების წყაროს შეადგენენ და ზედმეტი ღირებულება როგორც ცოცხალ, ისე განივთიერებულ შრომისგან წარმოდგება. სმიტიც გაბედულად ამტკიცებს, რომ კაპიტალი და მიწის საკუთრება წარმოადგენს «პირვანდელ წყაროს» როგორც «ყოველგვარი შემოსავლის», ისე «ყოველგვარი საცვლელი ღირებულების»[12]. კაპიტალი და მიწა შემოსავლის წყაროა—ეს უეჭველია, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არაა საცვლელი ღირებულების არც «პირვანდელი», არც უკანასკნელი წყარო. ღირებულების ერთად ერთი წყაროა მხოლოდ ცოცხალი შრომა. კაპიტალი—წარმოების საშუალებანი—და მიწა მხოლოდ აუცილებელი პირობაა, იარაღი ღირებულების წარმოებისა და ზედმეტი ღირებულების მითვისების. კაპიტალი

[11] Теории etc. ტ. I, გვ. 107.
[12] Op. cit. თ. 6.

«გვეევლინება ღირებულების მწარმოებლად მხოლოდ როგორც მიმართება, მხოლოდ იმდენად, რამდენად ის, როგორც იძულებითი ძალა, აიძულებს დაქირავებულ შრომას აწარმოოს შრომის ნამატი და რამდენად ის აქეზებს შრომის ნაყოფიერებითი ძალას, აწარმოოს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება»[13]. ამით ამოიწურება კაპიტალის იდეფიქსი, ამით ხორციელდება მისი მიზანი—ზედმეტი ღირებულების წარმოება. ცხადია, კაპიტალი ანდა მიწა არ შეიძლება იყოს ზედმეტი ღირებულების resp. მოგების წყარო. ეს წყაროა მხოლოდ ცოცხალი შრომა. სმიტი უნებლიეთ ვარდება ფიზიოკრატულ ილუზიაში, როცა მოგების წყაროდ კაპიტალსა და მიწას მიიჩნევს: რენტა მიწიდან ამოდის, მოგება—კაპიტალიდან. სმიტი აშკარად ჩავარდა წინააღმდეგობაში.

აქ მოჯადოებული წრის გარღვევა შეეძლო სმიტს ორი პრობლემის გარკვევით. ერთი, მას უნდა განესხვავებინა ზედმეტი ღირებულება მოგებისაგან, მთლიანობაში უნდა დაენახა სხვაობა. სმიტმა ერთმანეთში აურია ორივე კათეგორია და პრობლემისაკენ მიმავალი სწორი გზა საკუთარი ხელით აღკვეთა. მეორე, რაც ამ შემთხვევაში სმიტისათვის ფეტიშია და გამოუცნობი იეროგლიფი—მოგების საშუალო ნორმა. რა არის ეს, რაში მდგომარეობს მისი საიდუმლოება? სმიტი არ ცდილობს ამ კითხვის დაყენებასაც კი. მან უშუალოდ ისესხა ემპირულ სინამდვილიდან 10%, მოგების საშუალო ნორმა, და მოგების რაოდენობაც მიიღო კაპიტალების სიდიდის პროპორციულად. მოგების საშუალო ნორმა არღვევს სმიტის შრომითი ღირებულების მთელ კონსტრუქციას. სმიტი კარგად ხედავს ამას, მაგრამ უძლურია მოგების საშუალო ნორმა ახსნას და ამით თეორიის თანმიმდევრობა ორმაგობას გადაარჩინოს. მაგრამ სმიტი არსად არ ცდილობს მოგების ნორმის განხილვას. სმიტმა კარგად იცის, რომ პროცენტი კაპიტალიდან არ ამოდის, ის ზედმეტი ღირებულების ნაწილს შეადგენს. ამ ნაწილს კაპიტალისტური მწარმოებელი ფულადი კაპიტალის მფლობელს უთმობს. ეს ასეა, მაგრამ სმიტი სრულებით უძლურია მოგების საშუალო ნორმის—10%-ს ფესვები გამოაშკარავოს. ამაშია სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორიის გადამწყვეტი შინაგანი წინააღმდეგობის მთავარი საფუძველი.

მოგების პრობლემას სმიტი გარეგნულად იხილავს და მის შინაარსში შეჭრას სრულებით არ ცდილობს. სმიტისათვის ემპირულად მოცემულია მოგების საშუალო ნორმა და სმიტი ასწერს

[13] Теории etc. წ. I. გვ. 111.

მხოლოდ მის მოძრაობას. «თითოეულ საზოგადოებაში ანდა თითოეულ ადგილას არსებობს ჩვეულებრივი ანუ საშუალო ნორმა როგორც ხელფასის, ისე მოგების... აგრეთვე არსებობს რენტის ჩვეულებრივი ანუ საშუალო ნორმა... ეს ჩვეულებრივი ანუ საშუალო ნორმები შეიძლება წოდებულ იქნას ხელფასის, მოგებისა და რენტის ბუნებრივ ნორმებად იმ დროისა და იმ ადგილისათვის, სადაც ისინი ჩვეულებრივად სჭარბობენ»[11]. მოგების საშუალო ანუ «ბუნებრივი» ნორმა იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით. მოგების ნორმა უცვლელი არაა, ეს ცნობილია სმიტისათვის. რატომ, საიდან წარმოდგა «ბუნებრივი ნორმა»—ამაზე სმიტი არც კი ფიქრობს. სამაგიეროდ, სმიტი ცდილობს მოგების ნორმის მოძრაობა ახსნას, მონახოს მისი მიზეზები. მოგების ნორმა ეცემა—ამ ფაქტით კმაყოფილია სმიტი. მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას სმიტი «შეცქერის სიამოვნებით»[15]. რატომ? იმიტომ რომ, სმიტის აზრით, მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია გამოწვეულია საზოგადოების გამდიდრებით, «ცისი აყვავებით», ნაწილობრივ კი «შრომისა და კაპიტალის გამოყენების განსაკუთრებული ბუნებით»[16]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს შესანიშნავი მოვლენა დამოკიდებულია კაპიტალისტური დაგროვების განვითარებაზე, კაპიტალისტური წარმოების პროგრესზე. სმიტს, რასაკვირველია, ახარებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება. რათ იწვევს კაპიტალისტური დაგროვების გაფართოება მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას? ორი მიზეზით: ხელფასის გადიდებით და კაპიტალისტური კონკურენციით—გვიპასუხებს სმიტი. როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესო პრობლემაა სმიტის მიერ დაყენებული, მაგრამ მისი გადაჭრა აღემატება სმიტის ძალღონეს. კაპიტალისტური დაგროვება, კაპიტალისტური წარმოების რეპროდუქცია გაფართოებული მასშტაბით იწვევს მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას. რატომ ხდება ეს, რა თქმა უნდა, სმიტმა არ უწყის. საჭიროა მოვლენის სიღრმეში ჩახედვა, აქ კი სმიტი უძლურია. სამაგიეროდ სმიტი ძლიერია იქ, სადაც საქმე სინამდვილის ზედაპირს ეხება. ასეთია ხელფასისა და კონკურენციის მოვლენები.

სმიტი აყენებს დებულებას, რომელსაც სხვადასხვა ვარიაციაში დღეს თავგამოდებით იცავს მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. სმიტის აზრით, შრომის ხელფასი იზრდება «შრომის განაწილებით გამოწვეული შრომის ნაყოფიერებითი ძალის ზრდასთან ერ-

[11] Исследование etc. წ. I, თ. 7.
[15] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2. გვ. 215.
[16] Исследование etc. ibid.

თად»[17]. შრომის ნაყოფიერების ზრდა იწვევს წარმოების განვითარებას, ეს უკანასკნელი კი აძლიერებს მუშა ხელზე მოთხოვნილებას, მაშასადამე, მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას და ხელფასიც მაღლა იწევს. მეორე მხრივ, შრომის ნაყოფიერების ზრდა იწვევს მოხმარების საგნების გაიაფებას და ამით მაღლა სწევს რეალურ ხელფასს. ორივე შემთხვევაში შრომის ხელფასი იზრდება კაპიტალიზმის განვითარებით, ასკვნის სმიტი. ეს შეხედულება ყალბია და მეცნიერულად გაუმართლებელი. პირიქით, შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება იწვევს სამუშაო ძალის ღირებულების დაცემას, ვინაიდან ეს ღირებულება არსებობის საგანთა ღირებულებით განისაზღვრება, ხოლო არსების საგანთა ღირებულება ეცემა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდით. სმიტისათვის ეს გაუგებარია, რადგან სმიტის აზრით კაპიტალისტური წარმოების მიზანი მოხმარებაა, «ხალხის დაბალი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება»[18]. სმიტმა არ იცის, რომ კაპიტალისტური წარმოება არის წარმოება წარმოებისათვის, სახელდობრ—ჭედმეტი ღირებულების წარმოება. ამის გარეშე კაპიტალისტური მეურნეობა ვერ იარსებებს. პირიქით, ამტკიცებს სმიტი, კაპიტალიზმის მიზანი მოხმარებაა და ამდენად «ხალხის დაბალი ფენების» კეთილდღეობა. კაპიტალიზმის განვითარებით «იზრდება ფონდი, რომელიც გათვალისწინებულია ხელფასის დასაფარავად»[19]. ამრიგად, შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება, სმიტის თეორიის თანახმად, ზრდის შრომის ხელფასს. ხელფასის ზრდა დამოკიდებულია კაპიტალისტური დაგროვების განვითარებაზე. შრომის განაწილება ზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ თვით შრომის განაწილება განსაზღვრულია კაპიტალისტური დაგროვების ფართო განვითარებით. სმიტი პირდაპირ აცხადებს, რომ «შრომის განაწილების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მარაგის წინასწარი დაგროვების ზრდის მიხედვით»[20]. მაგრამ რაზეა დამოკიდებული თვით ეს «მარაგის წინასწარი დაგროვება»? სმიტის აზრით, კაპიტალის დაგროვების საფუძველია კაპიტალისტის მომჭირნეობა. კაპიტალისტი რომ მფლანგველი იყოს და არა მომჭირნე, «ხალხთა სიმდიდრე» შეუძლებელი იქნებოდა. კაპიტალი იზრდება, კაპიტალისტური წარმოება ფართოვდება, ვითარდება, ამით «ხალხის დაბალი ფენების» კეთილდღეობა უმჯობესდება, და ეს იმიტომ, რომ კაპიტალისტი მომჭირნეა და არა რომელიმე გახუნებული ფეოდალივით მფლანგველი. მომჭირნე-

[17] Ibid. თავი 8.
[18] ibid.
[19] ibid.
[20] Исследование etc. მეორე წიგნის შესავალი.

ობას «მიეყევართ ამიტომ მოცემული ქვეყნის მიწისა და შრომიაწლიური პროდუქტის საცვლელი ღირებულების გადიდებისკენ. მას მოყავს მოძრაობაში შრომის დამატებითი რაოდენობა, რომელიც ანაყოფიერებს წლიურ პროდუქტს ზედმეტი ღირებულებით»[21]. აი, ამ «თავისი მომჭირნეობით წლის განმავლობაში მომჭირნე ადამიანი [კაპიტალისტი]... აძლევს არსებობის საშუალებებს საწარმოო მუშათა დამატებითი რაოდენობას»[22]. არა შრომა, არამედ მომჭირნეობა—აი, რა არის კაპიტალის ზრდის უშუალო მიზეზი: «კაპიტალი იზრდება მომჭირნეობის შედეგად... მომჭირნეობა და არა შრომის მოყვარეობა შეადგენს კაპიტალის გადიდების უშუალო მიზეზს»[23]. ასეთია სმიტის ფილოსოფია. მარქსი სამართლიანად შენიშნავს, როცა ამბობს, რომ «სმიტისა და მისი მიმდევრების რწმენით» «კაპიტალის დაგროვება განისაზღვრება კაპიტალისტების პირადი დანაკლისით, მომჭირნეობით და თავგანწირვით»[24]. სისმონდი კიდეც ამტკიცებს სმიტთან ერთად: კაპატალისტის «მომჭირნეობა არის დაგროვების ერთად ერთი საშუალება»[25]. კაპიტალისტის პირადი თავგანწირვა, მისი მომჭირნეობა, მაშასადამე, წარმოადგენს «დაგროვების ერთად ერთ საშუალებას», ხოლო დაგროვება იწვევს შრომის ხელფასის ზრდას. ასეთ დასკვნას აკეთებს სმიტი. კაპიტალისტურ დაგროვებასა და შრომის ხელფასს შორის უშუალო კავშირია და პირდაპირ პროპორციული მიმართება. სმიტი ემყარება ხელფასის ზრდის მრავალ მაგალითს და ამ შემთხვევით ფაქტებს აზოგადებს თეორიულ დონემდე. ერთი უდაოა ყოველ შემთხვევაში: «სმიტის ეპოქაში შრომაზე მოთხოვნილება მართლაც იზრდებოდა იმდენად მაინც, რამდენად ვითარდებოდა კაპიტალის დაგროვება»[26]. ბუნებრივია, ეს იყო კაპიტალიზმის აყვავების, მისი სინორჩის პერიოდი. შრომაზე მოთხოვნილების გაძლიერება იწვევს შრომის ხელფასის ზრდას. სმიტის დროს ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და სმიტიც ამან შეიყვანა შეცდომაში.

ამრიგად, კაპიტალისტური დაგროვების ზრდა, სმიტის აზრით, იწვევს დაქირავებული ძალის ხელფასის ზრდას. რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას მოგების ნორმის შემცირებისათვის? აქ სმიტი ბუნდოვანად აყენებს საგულისხმო პრობლემას—მოგებისა და ხელ-

[21] ibid. წ. II, თავი 3.
[22] ibid.
[23] ibid.
[24] Теории etc. ტ. I, გვ. 56.
[25] Исследование etc. ტ. I. 1866 წ. გვ. 92. შენიშვნა.
[26] Теории etc. ტ. III. გვ. 252. შეად. გვ. 324-325.

ფასის მოძრაობას ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით. კაპიტალის დაგროვება, მისი პროგრესიული ზრდა ადიდებს ხელფასს და ამდენად ამცირებს მოგებას—ამბობს სმიტი[27]. ის თანმიმდევრულად არ ამტკიცებს ამ დებულებას, ე. ი. ხელფასის ზრდის უარყოფითი გავლენას მოგების ზრდაზე, მაგრამ აქ «გონიერი ინსტიქტი» მიუთითებს სმიტს ამ სწორ დებულებისკენ. ხელფასის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, იწვევს მოგების შემცირებას, მოგების ზრდა—ხელფასის შემცირებას. ამ ორ ეკონომიურ კათეგორიას შორის უკუპროპორციული მიმართებაა. მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია, რომელსაც სმიტი ნათლად ხედავს და რომლითაც გახარებულია კიდეც, ხელფასის ზრდით უნდა იყოს გამოწვეული სხვა მიზეზებთან ერთად—ასე გამოდის სმიტის კონცეპციიდან. ამ დასკვნაში სიმართლეცაა და სიყალბეც. მართალია—ხელფასის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს მოგებას, სიყალბეა—კაპიტალისტური დაგროვება და შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება როდი იწვევს ხელფასის ასეთივე ზრდას, ეს არ არის კაპიტალიზმის იმანენტური და საყოველთაო კანონი. ამიტომ მოგების ნორმის შემცირების ტენდენციას სმიტი ვერ ხსნის. ხელფასის ზრდისა და მოგების შემცირების უშუალო კავშირი პრობლემის გადასაჭრელად არ გამოდგება—აქ არ არიან მოცემული ეკონომიური სინამდვილის რეალური მიმართებანი. მეორე მხრივ, სმიტი ხელფასისა და მოგების ურთიერთობის საკითხშიაც აშკარად ვარდება წინააღმდეგობაში და იჩენს მისთვის დამახასიათებელ ორმაგობას. სმიტი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ხელფასის ზრდა იწვევს საქონლის ფასის ზრდას და ამით კაპიტალისტური დამჭირავებელი ინარჩუნებს მაღალ მოგებას. შრომის ხელფასი იზრდება, მაშასადამე, საქონლის წარმოების ხარჯებიც იზრდება. სამაგიეროდ, კაპიტალისტი მაღლა სწევს საქონლის ფასს და შრომის ხელფასის ზრდით გამოწვეულ ზარალს ინაზღაურებს. სმიტის ეს შემცდარი კონცეპცია გაბატონებულ კონცეპციად ითვლებოდა მარქსამდე. მარქსმა კი გამოაშკარავა ამ შეხედულების შინაგანი სიყალბე თავის ცნობილ სპეციალურ ნაწარმოებში[28]. ხელფასის ზრდა იწვევს საქონლის ფასის ზრდას და ამიტომ მუშათა კლასის ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის მიზანშეუწონელია, რადგან ეს მოასწავებს ბრძოლას ცხოვრების გაძვირებისთვის—ასეთი იყო და არის დღესაც

[27] Op. cit. თავი ९. აქ სმიტი წერს: ხელფასის გადიდება «ამცირებს მოგებას კაპიტალზე», ხოლო შემცირება— «ადიდებს მოგებას კაპიტალზე».

[28] იხ. К Маркс. Заработная плата, цена и прибыль. არის ქართული გამოცემაც მ. ტოროშელიძის რედაქციით.

ბურჟუაზიული თეორიული ეკონომიის მთავარი არგუმენტი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სმიტმა. მარქსმა საპნის ბუშტივით გაქარო ეს შეხედულება. ხელფასის ზრდა სრულებით არ მოქმედობს საქონლის ფასზე, ხელფასის ზრდა იწვევს მხოლოდ მოგების შემცირებას. საქონლის ფასების მოძრაობა განსაზღვრულია ღირებულების მოძრაობით. ღირებულებაში მოცემულია ზედმეტი ღირებულება, რომლის სახეცვლილი ფორმაა მოგება. ხელფასის ზრდა ნიშნავს სამუშაო ძალის ღირებულების ზრდას და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების resp. მოგების შემცირებას. თვით საქონლის ღირებულება ამით სრულებით არ იცვლება, რადგანაც ეს ღირებულება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით განისაზღვრება. საქონელი, როგორც დაქირავებული შრომის პროდუქტი, შეიცავს აუცილებელ და ზედმეტ ნაწილს. უბრალო არითმეტიკული ანგარიში გვეუბნება: ჯამის სიდიდე არ შეიცვლება, თუ მისი შემადგენელი ერთი შესაერთი გადიდდება იმდენით, რამდენითაც შემცირდება მეორე, და პირიქით. ასე ხდება თვით საქონლის ღირებულებაშიც. აქ ხელფასის ზრდა მოასწავებს ზედმეტი ღირებულების resp. მოგების შემცირებას, ხოლო თვით საქონლის ღირებულება უცვლელი რჩება. ფასი არის ღირებულების ფულადი გამოთქმა. შეიძლება ფასის აწევა შველის საქმეს! არავითარ შემთხვევაში: ერთმა კაპიტალისტურმა მწარმოებელმა თუ ხელოვნურად გაადიდა ფასი თავის საქონელზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე ასეთიეე მწარმოებელსაც არ შეუძლია გაადიდოს ფასი თავის საქონელზე ამდენადვე. გამოვა ფასის საყოველთაო აწევა. ერთი კაპიტალისტი გაადიდის ძვირად თავის საქონელს, ვთქვათ, 10%-თ, სამაგიეროდ იყიდის მეორესგან საქონელს გაძვირებულს ამავე პროცენტით. მოგებას ფარავს ზარალი, ფოკუსი ვეღარ ხერხდება. ამიტომ მოგების გადიდების საიმედო საშუალებაა არა ფასის აწევა საქონელზე, არამედ შრომის ხელფასის დაწევა. ეს შეხედულება სმიტისათვის უცხოა. სმიტის თანახმად, «ხელფასის გადიდება, იმის ნაცვლად, რომ გამოწვეულ იქნას მოგების დაცემა, ვითომც ზრდის, საქონელთა ფასს»[29]. მარქსის ეს შენიშვნა სრულებით სამართლიანია, სმიტი ამ აზრს ხაზგასმით გამოთქვამს: «მოგება კაპიტალზე ქანაობს საქონელთა ფასის ქანაობასთან ერთად, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია ეს კაპიტალი»[30]. მაღალი ფასები—მაღალი მოგება, დაბალი ფასები—დაბალი მოგება, ასეთია სმიტის შემ-

[29] Теории etc. ტ. II, ნაწ. 1. გვ. 41.
[30] Исследования etc. წ. I, თავი 10.

ცდარი შეხედულება მოგების მოძრაობის საკითხში. აქედან აშკარაა, სმიტი ვერ სწყვეტს პრობლემას, რომელსაც ის თვითონვე აყენებს.

მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია გამოწვეულია, სმიტის აზრით, აგრეთვე კაპიტალისტური კონკურენციით. ჯერ ერთი, სხვადასხვა მანუფაქტურაში შეუძლებელია მოგების ნორმა სხვადასხვა იყოს, ეს ნორმა ყველასათვის საერთოა და სავალდებულო. მოგების სიდიდე ყველგან დამოკიდებულია წარმოებაში მოხმარებულ კაპიტალის სიდიდეზე, თანაბარ კაპიტალებს თანაბარი მოგება მოაქვთ. ამიტომ «მოგებათა მოჩვენებითი სხვადასხვაობა სხვადასხვა წარმოებაში ჩვეულებრივად სიცრუედ გვეევლინება»[31]. სმიტის აზრით, ეს ხდება კაპიტალისტური კონკურენციის წყალობით. კაპიტალების კონკურენცია აბათილებს მოგებათა სხვადასხვაობას, ხდება კაპიტალების გადაჯგუფ-გადმოჯგუფვა მეურნეობის ცალკე დარგებში. სმიტი გარკვევით ამტკიცებს, რომ კონკურენცია იწვევს მოგების ნორმის შემცირებას, მარქსის დახასიათებით «ამცირებს ამ x-ს»[32], ე. ი. მოგების ნორმას, რომელიც სმიტისთვის უცნობი რჩება კვლევა-ძიების მთელ მანძილზე. კონკურენცია კაპიტალისტური სინამდვილის მოვლენაა, მას ნათლად ხედავს სმიტი და გრძნობს მის გავლენას მოგების მოძრაობაზე. კაპიტალისტური კონკურენცია—აი «ერთადერთი, რასაც სმიტი ხედავს»[33]. ამას იქით სმიტი არ მიდის, ის არ სცილდება მცოცავ ემპირიზმს და ცდილობს მოვლენის შესწავლით შეისწავლოს თვით რაობა და აღმოაჩინოს მისი განვითარების შინაგანი კანონზომიერება. სმიტი ვერ ჭრის პრობლემას, ვერ იძლევა მეცნიერულ ანალიზს. «მოგების ნორმას ახასიათებს დაცემის ტენდენცია. რატომ? ადამ სმიტი ლაპარაკობს: «დაგროვების ზრდისა და მისი თანმხლები კაპიტალების კონკურენციის ზრდის გამო»[34]. კაპიტალისტური დაგროვების ზრდა და კონკურენციის განვითარება კაპიტალისტური მეურნეობის, ეკონომიური სინამდვილის ობიექტური მოვლენებია, მაგრამ რაში მდგომარეობს მათი შინაგანი არსი, რაობა? ამ ძირეულ კითხვას სმიტი სრულებით არ აყენებს. აქ აშკარად ჩანს სმიტის მეტაფიზიკური მეთოდოლოგიის მთელი სისუსტე, აქ ნათლად მოცემულია—მარქსის სიტყვებით—სმიტის «ნაწარმოების ექზოტერული ნაწილი», მისი კვლევითი საქმიანობის ექზოტერიზმი. აქ არ ჩანს «ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში შეჭრის ცდა», რასაც სმიტი არაა საკვლევით მოკ-

[31] ibid.

[32] Теории etc. ტ. III, გვ. 50.

[33] ibid. გვ. 208.

[34] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2. გვ. 118. შეად. გვ. 142.

ლებული. «კაპიტალზე მოგების გადიდება ან შემცირება—ამბობს სმიტი—დამოკიდებულია... საზოგადოების სიმდიდრის ზრდაზე ან შემცირებაზე ...კაპიტალის ზრდა, რომელიც იწვევს ხელფასის ზრდას, იძლევა მოგების შემცირებას.[35]. აი ფაქტი, რომელიც სმიტისთვის აუხსნელი და გამოუცნობი რჩება. ეს პრობლემა ვერ გადასჭრა მთელმა კლასიკურმა ეკონომიამ, ვულგარულზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მისი მეცნიერული გადაწყვეტა მოგვცა მხოლოდ «კაპიტალის» ავტორმა.

ამრიგად, მოგების პრობლემა იალბუზის მთასავით აღიმართა ადამ სმიტის ზედმეტი ღირებულების თეორიის წინაშე და ამ თეორიის შიგნიდან აფეთქების მასალად მოგვევლინა. სმიტის ღირებულების თეორია ამით უკვე ძირშივე შეირყა. სმიტის გენიოსობა ამ შემთხვევაშიაც იმაშია, რომ ის ამჩნევს პრობლემას და აყენებს მას. სმიტმა დააყენა, მაგრამ ვერ გადასჭრა ოთხი პრობლემა: a) მოგების სიდიდე დამოკიდებულია კაპიტალის სიდიდეზე, მათ შორის პირდაპირი პროპორციული მიმართებაა; b) არსებობს მოგების საშუალო ნორმა ყველა კაპიტალისთვის; c) მოგების ნორმას ახასიათებს დაცემის ტენდენცია, რაც გამოწვეულია კაპიტალისტური დაგროვებით და კონკურენციით; და, d) არსებობს შინაგანი კავშირი მოგების მოძრაობასა და ხელფასის მოძრაობას შორის. სმიტი ამჩნევს ამ პრობლემებს, მაგრამ ვერ სჭრის მათ შრომითი ღირებულების თეორიის მტკიცედ, თანმიმდევრობით დაცვის საფუძველზე და იჩენს უდიდეს თეორიულ მერყეობას. ამის მიზეზი აქ, მოგების პრობლემის ფარგლებში, მდგომარეობს იმაში, რომ სმიტს წარმოდგენაც კი არ აქვს მოგების საშუალო ნორმის ნამდვილ ბუნებაზე, მის წარმოშობასა და განვითარებაზე. ის გარკვევით არ ანსხვავებს მოგებას ზედმეტი ღირებულებისგან, ორივე კათეგორიას ურევს ერთმანეთში და ლოგიკური აუცილებლობით ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში. ვასკვნით მარქსის ამომწურავი სიტყვებით: «კონკურენციის—წარმოების მოვლენათა—დაკვირვება გვიჩვენებს, რომ.თანაბარი სიდიდის კაპიტალები საშუალოდ ერთნაირ მოგებას იძლევა, ანდა მოცემულ მოგების საშუალო ნორმის დროს (მხოლოდ ამას მოასწავებს მოგების საშუალო ნორმა) მოგების მასა დამოკიდებულია ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე. ადამ სმიტი ახდენდა ამ ფაქტის რეგისტრაციას. ის მასში არ იწვევდა არავითარ ეჭვს ამ ფაქტის მის მიერ წამოყენებულ ღერებულების თეორიასთან კავშირის საქმეში... საშუალო მოგებისა

[35] Op. cit. თავი 9.

და, მეტი კიდევ, მისი სიდიდის განსაზღვრის იმანენტური კანონი მასარ აქვს»[36]. აქედან გამომდინარეობს სმიტის თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა და ორმაგობა. სმიტი აქ გამოდის ეკონომიური ფაქტის რეგისტრაციის როლში, ის აღნიშნავს ამ ფაქტს, მაგრამ არც კი ცდილობს მის ახსნას. ამიტომ მას გონია, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება შრომითი ღირებულების თეორიას და, კერძოდ, შეუთავსებელია ზედმეტი ღირებულების კონცეპციასთან. ეს პრობლემა ვერ დასძლია რიკარდომაც და ის გადაუჭრელი დარჩა მარქსამდე. ზედმეტი ღირებულებისა და მოგების შინაგანი ბუნების გარკვევის სფეროშიაც მარქსმა მოახდინა უდიდესი მეცნიერული გადატრიალება, რომელსაც აუცილებლად უნდა გავეცნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც აღმოვჩნდებით სმიტთან ერთად გახვეული შინაგან წინააღმდეგობისა და გაურკვევლობის ბურუსში.

●

რა არის კაპიტალი, როგორია მისი გენეზისი და მისი განვითარების «ისტორიული ტენდენცია»? ამ ძირითად კითხვაზე კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, ისევე, როგორც ბურჟუაზიულ ეკონომიურ აზროვნებას საზოგადოდ, მეცნიერული პასუხი არ გააჩნია. ცხადია, თუ არ ვიცნობთ კაპიტალს, მის ნამდვილ შინაბუნებას, ვერ გავიგებთ ვერც მოგებას, რომელიც ამ კაპიტალზე იანგარიშება. კლასიკური ეკონომიის თანახმად, კაპიტალია წარმოების საშუალებანი ნატურალურ სახით, როგორც ისინი სინამდვილეში გვხვდებიან. წარმოების საშუალებანი გვხვდებიან მატერიალურ, ნივთიერ ფორმაში. მაშასადამე, მანქანა, მაგალითად, როგორც ასეთი, არის კაპიტალი. ისტორიულად მართლაც მანქანური წარმოება, მანქანების შემოღება-განვითარება კაპიტალიზმის ნაყოფის. კაპიტალიზმის მანუფაქტურულ პერიოდში მანქანები არ იყო შემოღებული, მაგრამ სამრეწველო კაპიტალიზმი განვითარებული მანქანური წარმოებაა. ვულგარული აზროვნება ასკვნის, შრომის იარაღები და საგანი, როგორც ასეთი, კაპიტალია. მაშასადამე, აქ კაპიტალის სოციალური კათეგორია წარმოდგენილია წმინდა მატერიალურ კათეგორიად. აქედან განომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომელსაც ემყარება ბურჟუაზიული შეხედულება კაპიტალისტურ წარმოებაზე: წარმოება იარაღ-მანქანების გარეშე შეუძლებელია ცივილიზაციის ეპოქაში; იარაღ-მანქანები, როგორც მატერიალური მოვლენა, ზეისტორიული ცნებაა; იარაღ-მანქანები კაპიტალია, მაშასადამე, კაპიტალი ზეისტო-

[36] Теории etc. ტ. III. გვ. 50. ხაზი ჩვენია.

რიული, მარადიული კათეგორიაა. კაპიტალისტური მეურნეობის მარადიულობა განსაზღვრავს ბურჟუაზიულ თვალსაზრისს საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაზე. კლასიკური ეკონომია ამ თვალსაზრისს არ გასცილებია.

ეკონომიური აზროვნების ისტორიაში პირველად მარქსმა ნათელყო და მეცნიერულად დაასაბუთა ფულის, კაპიტალის, მოგების და სხვა ძირითადი ეკონომიური კათეგორიის ნამდვილი შინაარსი და ხასიათი. ზევით უკვე გავეცანით, როგორ დაანგრია მარქსმა საქონლისა და ფულის ფეტიში. ახლა მარქსი ამსხვრევს კაპიტალისა და მოგების ფეტიშს. აქაც მარქსის გენიოსური აზროვნება განვითარების თვალუწვდენ საფეხურზე ადის. ამ შემთხვევაშიაც გავყვეთ კვალდაკვალ «კაპიტალის» ავტორს და გავეცნოთ მის მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეპციას.

კაპიტალისტური წარმოების ისტორიული გენეზისი საქონლის მარტივ მეურნეობაში მდგომარეობს. «საქონლის მიმოქცევა არის კაპიტალის გამოსავალი პუნქტი»[37]. წარმოების კაპიტალისტური წესი წარმოიშობა იქ, სადაც საქონლის მეურნეობამ მიაღწია «განვითარების განსაზღვრულ დონეს. საქონლის მიმოქცევის ისტორიული შესწავლა გვიმტკიცებს, რომ ამ მიმოქცევის უკანასკნელი პროდუქტი არის ფული. აი, «საქონლის მიმოქცევის ეს უკანასკნელი პროდუქტი არის კაპიტალის გამოვლინების პირველი ფორმა»[38]. ისტორიულადაც ფულის წარმოშობა წინ უსწრებდა კაპიტალის წარმოშობას. საქონლის უბრალო მეურნეობაში არის ფული, მაგრამ არ არის კაპიტალი. მხოლოდ შემდეგ, საქონლის მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე, ფული იქცევა კაპიტალად. ამისათვის საჭიროა მხიშვნელოვანი ცვლილებები. საქონლის უბრალო წარმოებაში ფული ღირებულების საზომია და საქონელთა მიმოქცევის საშუალებას წარმოადგენს. აქ საქონელი იცვლება ფულზე და ფული კვლავ საქონელზე. ფორმა: ს—ფ—ს. მიმოქცევის პროცესის გამოსავალი და დასასრული პუნქტი თვით საქონელია, ფული კი შუამავალი. საქონლის მეურნეობის შემდგომ საფეხურზე საქონლის მიმოქცევის ფორმა იცვლება და გვევლინება მეორე, პირველისგან «არსებითად განსხვავებული» ფორმა: ფ—ს—ფ. პირველი ფორმა გულისხმობს გაყიდვას ყიდვის მიზნით, მეორე ფორმა კი—ყიდვას გაყიდვის მიზნით. ახლა საქონელი იყიდება არა უშუალოდ მოხმარების მიზნით, არამედ კვლავ გაყიდვის მიზნით. მიმოქცევის გამოსავალი და დასასრული პუნქტია ფული. გა-

[37] Капитал, ტ. I, 1928. გვ. 93. ქვევით ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ყველგან მარქსს ეკუთვნის. აქ მარქსს კონსპექტურად გადმოვცემთ.

[38] ibid.

რეგულად აქ ფორმალური განსხვავებაა, ნამდვილად კი—არსებითი. მიმოქცევის ეს ფორმა: ფ—ს—ფ იწვევს გაკვირვებას. ფული იქცევა საქონლად და საქონელი კვლავ ფულად. გამოდის ფულის გაცვლა ფულზე, ფ—ფ. 100 გირ. სტერლინგი თუ 100 გირ. სტ. იცვლება, აშკარაა, მთელი პროცესი «სრულებით სისულელეა და უშინაარსო». საიდუმლოება იმაშია, რომ აქ მიმოქცევის პროცესმა უნდა მოგვცეს მოგება: 100 გირ. სტ. იცვლება საქონელზე, რომელიც კვლავ იყიდება 110 გირ. სტ. ასი გირ. სტერლინგი, მაშასადამე, უნდა გადაიქცეს ას ათ გირ. სტერლინგად. ვღებულობთ ფორმულას: ფ—ს—ფ'. მიმოქცევის ამ ფორმის გამოსავალი პუნქტი თვისებრივად სრულ ბით არაფრით განსხვავდება დასასრულ პუნქტისგან. პირველ ფორმაში ეს პუნქტები სწორედ თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, მოცემულია სხვადასხვაგვარი სახმარი ღირებულებანი და ამიტომაც გაცვლა ხერხდება. მეორე ფორმაში მიმოქცევის ორივე პუნქტი თვისებრივად ერთნაირია, ხოლო რაოდენობით განსხვავებული. ამიტომაც წარმოებს მიმოქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფული ფულს ვერ მოიტანდა და მთელი პროცესი უშინაარსო გახდებოდა. ახლა მიმოქცევას აზრი აქვს, ნაკლები რაოდენობის ფული მეტ რაოდენობად იქცევა. ფორმულა: ფ—ს—ფ იმით განსხვავდება ფ—ს—ფ'-სგან, რომ ეს უკანასკნელი შეიცავს პროცესის მიზანს—მიმოქცევის დასასრული პუნქტი სიდიდით მეტია გამოსავალ პუნქტზე, სახელდობრ 10 გირ. სტერლინგით. მიმოქცევის ამ ფორმის საიდუმლოებაც აშკარა ხდება: 100 გირ. სტერლინგი იმიტომ ჩაება მიმოქცევაში, რომ 110 გირ. სტერლინგად გადაქცეულიყო, გაზრდილიყო 10 გირ. სტერლინგით. მარქსი ასკვნის; «ამ მინაზარდს ანუ ამ ნაჭარბს პირვანდელ ღირებულებაზე მე ვუწოდებ ზედმეტ ღირებულებას»... «ამრიგად, პირველად ავანსად გაღებული ღირებულება არამც თუ ინახება მიმოქცევაში, არამედ იცვლის თავის სიდიდეს, იმატებს ზედმეტ ღირებულებას, ანუ თვითიზრდება [verwerthet sich]. და სწორედ ეს მოძრაობა აქცევს მას კაპიტალად»[39]. ფ—ს—ფ' არის «კაპიტალის ნამდვილად საერთო ფორმულა», კაპიტალის, რომელიც «უშუალოდ გამოიკვლინება მიმოქცევის სფეროში». ეს ფორმულა ასახავს მეტამორფოზს: ფული იცვლება საქონელზე, მაშასადამე, საქონლის ფორმას ღებულობს. მერე საქონელი იცვლება ფულზე, ფულად ფორმას ღებულობს. მაშასადამე, ფული კვლავ საკუთარ ფულად ფორმაში გვევლინება. მაგრამ ეს არაა ფულის ის რაოდენობა, რომელმაც საქონლის სახე მიიღო დროებით. ფულის ეს

[39] Капитал, ტ. I, გვ. 96. ხაზგასმა ავტორისაა.

რაოდენობა ახლა განაყოფიერებულია ზედმეტი ღირებულებით, ჩვენი მაგალითის მიხედვით — 10 გირ. სტერლინგით. ფულმა აუცილებლად უნდა მიიღოს საქონლის ფორმა. «ფულმა თუ არ მიიღო საქონლის ფორმა, ის არ გადაიქცევა კაპიტალად». ფული უპირისპირდება საქონელს, მაგრამ არა მტრულად: ყოველგვარი საქონელი ფულია და ამავე დროს «სასწაულთმომქმედი საშუალება ფულისაგან უფრო მეტი ფულის მისაღებად». ამრიგად, ფული შობს ფულს, მაშასადამე იქცევა კაპიტალად. კაპიტალი ღირებულებაა, რომელსაც მოაქვს ახალი ღირებულება, თვითიზრდება. აქ «ღირებულება იქცევა... თვითმზარდ ღირებულებად, თვითმოძრავ ფულად, და, როგორც ასეთი, ის კაპიტალია»[40]. ფული კაპიტალია, რამდენად ამ ფულს ახალი ფული მოაქვს, რამდენად ის იზრდება, თვითონ იცვლის თავის სიდიდეს. კ ა პ ი ტ ა ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ო მ ტ ა ნ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ა. კაპიტალისტი კი — «გაპიროვნებული, ნებით და შეგნებით აღჭურვილი კაპიტალია»[41], «პერსონიფიცირებული კაპიტალი»[42]. ასეთია კაპიტალის მარქსისტული განსაზღვრა ანალიზის ამ საფეხურზე.

ა დ ა მ ს მ ი ტ ი ხედავს, რომ ფულს მოაქვს ფული. «ფული, ამბობს ანდაზა, ქმნის ახალ ფულს»[43]. მაგრამ რატომ, რა გზით — ს მ ი ტ ი ამაზე სრულებით არ ფიქრობს. კაპიტალის ფორმულა უკვე ვიცით: ფ — ს — ფ', მაგრამ ეს პ რ ობლემის დ ა ყ ე ნ ებ ა ა და არა გადაჭრა. ფულის ფოკუსის პრობლემა უნდა მეცნიერულად გადაიჭრას. ამ საქმეს ემსახურება მ ა რ ქ ს ი ს მთელი ანალიზი.

კაპიტალის ზოგადი ფორმულა შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. მართლაც, საქონელი იყიდება ღირებულების მიხედვით, გაიყიდება აგრეთვე ღირებულების მიხედვით. აქ ხდება ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ი გაცვლა-გამოცვლა. მაშ საიდან წარმოიშვა ეს ზ ე დ მ ე ტ ი ღირებულება, რომლითაც ფული ნაყოფიერდება და კაპიტალად იქცევა? კაპიტალი შეუძლებელია ზედმეტი ღირებულების გარეშე. როგორ ხდება ის, რომ 100 გირ. სტ. გადაიქცა 110 გირ. სტერლინგად? ავიღოთ საქონლის მარტივი წარმოება. მიმოქცევის ფორმა: ს — ფ — ს არ შეიცავს ზედმეტი ღირებულების მომენტს, წარმოებს გაყიდვა ყიდვის, მოხმარების მიზნით. აქ წარმოებს მხოლოდ ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ ე ტ ა მ ო რ ფ ო ზ ი, ერთი საქონელი ღებულობს მეორე საქონლის ფორმას. ერთი და იგივე საქონელი ხან ფულის ფორმაშია, ხან საქონლის, მაგრამ მისი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს სიდიდე არ იცვლება.

[40] ibid. გვ. 100.
[41] ibid. გვ. 98.
[42] ibid. გვ 163. აგრეთვე გვ. 193, 229, 230, 466 etc.
[43] Исследование etc. წ. I, თავი 9.

საქონლის მეტამორფოზი არ შეიცავს ღირებულების თვითზრდის აზრს, აქ ფული გაცვლის იარაღია და კაპიტალად არ იქცევა, რადგან ზედმეტი ღირებულებით არ ნ ყოფიერდება. ასე ხდება «წესწყობილებაში, სადაც მწარმოებელი თვითონ ქმნის საკუთარი არსებობის საშუალებებს და მიმოქცევაში ყრის მხოლოდ ზედმეტს, რაც რჩება საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ»[44]. აქ გაყიდვა ყიდვისთვის წარმოებს. მაგრამ სხვა საქმეა «საზოგადოებაში საქონლის განვითარებული წარმოებით», აქ გაბატონებულია ყიდვა გაყიდვისათვის, მ ო გ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ფულმა უნდა ახალი ფული მოიტანოს. როგორ ხერხდება ეს?

მ ა რ ქ ს ი მტკიცედ იცავს შრომითი ღირებულების თეორიას, ურყევად დგას ამ თეორიის ნიადაგზე და გამოდის იმ დებულებიდან, რომ ღირებულება იცვლება იმავე რაოდენობის ღირებულებაზე, დაცულია ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა. ამიტომ «ფულის გადაქცევა კაპიტალად უნდა იქნეს აღმოჩენილი საქონელთა გაცვლა-გამოცვლის იმანენტური კანონების ნიადაგზე, ე. ი. ამოსავალ წერტილად უნდა იქნეს დასახული ეკვივალენტების გაცვლა»[45]. ცხადია, თუ დაცულია ეკვივალენტური, თანაბარი ღირებულებათა გაცვლა, რა თქმა უნდა, «ასეთ შემთხვევაში არ წარმოებს ზედმეტი ღირებულების წარმოშობა»[46]. ამოცანა გადაუჭრელი რჩება. მივმართოთ საწინააღმდეგო ხერხს და დავუშვათ, რომ ა რ ხ დ ე ბ ა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა. აქ ჩვენს წინაშე გადაიშლება ორი შესაძლებლობა. პირველი: საქონელი. იყიდება მისი ღირებულებაზე მეტად. ვთქვათ, საქონლის გამყიდველი «სარგებლობს გაუგებარ პრივილეგიით»—ყიდის თავის საქონელს იმაზე მეტ ფასებში, რაც საქონელი ღირს, მაგ 10%-თ ძვირად. ამასვე იზამს მეორე გამყიდველი, ისიც მოუმატებს 10%-ს. ორივე ცვლის ერთმანეთს შორის საქონელს, რომელიც გაძვირებულია 10%-თ. აქ საქონელი გაიყიდება ძვირად, მაგრამ ამდენადვე ძვირად იყიდება მეორე საქონელი. პლიუსი და მინუსი ერთმანეთს გააბათილებს, რადგან ორივე თანასწორია. მაშასადამე, მიმოქცევაში ფულის კაპიტალად გადაქცევა ვეღარ მოხერხდა, ეკვივალენტური გაცვლის დარღვევამ საქმეს ვეღარ უშველა. ფასების აწევით იცვლება საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატვა, მაგრამ თვით ეს ღირებულება იოტის ოდნავადაც არ იცვლება. პრობლემა გადაუჭრელი რჩება. შესაძლებლობა მეორე: საქონელი იყიდება ღირებულებაზე ნაკლებად. ამ შემთხვევაშიაც სრულებით ანალოგიური

[44] Капитал, ტ. I, გვ. 103.
[45] ibid. გვ. 109.
[46] ibid. გვ. 104.

მდგომარეობა იქმნება. ახლა საქონელი ღირებულების 10%-თ დაკლებულად იყიდება, სამაგიეროდ, ამდენადვე დაკლებულია საქონელი, რომელზედაც ის იცვლება. პლიუსი და მინუსი ანათილებს ერთმანეთს. ფასების დაწევით ღირებულება არ დაწეულა. მიმოქცევამ ვერ მოგვცა ზედმეტი ღირებულება resp. მოგება. მაშასადამე, პრობლემა გადაუჭრელი გვრჩება: ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლის დარღვევამ საქმეს ვერ უშველა. აქედან დასკვნა: «ზედმეტი ღირებულების შექმნა, მაშასადამე, ფულის გადაქცევა კაპიტალად არ შეიძლება აიხსნას იმით, რომ მყიდველები ყიდიან საქონელს ღირებულებაზე მომატებით, არც იმით, რომ ყიდიან ღირებულებაზე დაკლებით»[47]. იქმნება მოჯადოებული წრე: «რამდენიც გინდ არ იწვალო, ფაქტი რჩება ფაქტად: თუ იცვლება ეკვივალენტები, არ წარმოიშობა არავითარი ზედმეტი ღირებულება, და თუ იცვლება არა ეკვივალენტები, აგრეთვე არ წარმოიშობა არავითარი ზედმეტი ღირებულება. მიმოქცევა ანუ საქონელთა გაცვლა არ ქმნის არავითარ ღირებულებას»[48]. ასეთია პრობლემის პირობა. მაშასადამე, უნდა გასცილდეთ მიმოქცევის სფეროს. იმისათვის, რათა ზედმეტი ღირებულება წარმოიშვას, «მიმოქცევის ზურგს უკან უნდა წარმოიშვას რაღაც ისეთი, რაც თვით მიმოქცევის პროცესში არ გამოიცვლინება»[49]. ახლა იქმნება მეორე მოჯადოებული წრე: მართალია, ზედმეტი ღირებულება მიმოქცევაში არ იქმნება, მაგრამ ის არ წარმოიშობა არც მიმოქცევის გარეშე. «მიმოქცევა არის ყველა საქონლის მესაკუთრეთა სასაქონლო მიმართებათა ჯამი». მიმოქცევის გარეშე ისინი ინარჩუნებენ მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას საქონელთან. აქ ირკვევა, რომ მოცემული საქონელი შეიცავს შრომის განსაზღვრულ რაოდენობას, წარმოადგენს განსაზღვრული სიდიდის ღირებულებას, გამოხატულს ფასში. «საქონლის მწარმოებელს შეუძლია შექმნას თავისი შრომით ღირებულება, მაგრამ არ შეუძლია შექმნას თვითმზარდი ღირებულება». ამიტომ მიმოქცევის სფეროს გარეშე საქონლის მწარმოებელს არ შეუძლია მოახდინოს მეტამორფოზი და ფული თუ საქონელი კაპიტალად აქციოს. მან უნდა დაამყაროს გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობა საქონლის დანარჩენ მწარმოებელთან. «ამრიგად, კაპიტალი არ წარმოიშვება მიმოქცევიდან, და ასევე არ შეუძლია წარმოიშვას მიმოქცევის გარეშე. ის უნდა წარმოიშვას მიმოქცევაში და ამავე დროს არა მიმოქცევაში»[50]. აი, ორი მოჯადოებული წრე,

[47] ibid. გვ. 105.
[48] ibid. გვ. 106.
[49] ibid. გვ. 108.
[50] ibid. გვ. 109. შეად. გვ. 133.

რომელშიაც ტრიალებს კაპიტალის წარმოშობის პრობლემა. მ ა რ ქ ს ი ს გენიოსურმა გონებამ ორივე წრე გაარღვია და თეორიული ეკონომიის წინაშე წამოჭრილი ურთულესი პრობლემა — ზედმეტი ღირებულებისა და კაპიტალის წარმოშობის საკითხი — მეცნიერულად გადასჭრა, მეცნიერულად დაასაბუთა შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე, ამ თეორიის მტკიცედ დაცვით და განვითარებით.

ფული თავისთავად თავის ღირებულებას არ იცვლის, ფულის ღირებულებაში ცვლილება არ სდება. ფული «წარმოადგენს მ ხ ოლოდ ღირებულების გაცივებულ უცვლელ სიდიდის გაქვავებას». ამიტომ ღირებულების სიდიდის შეცვლა, მისი ზრდა შესაძლოა მოხდეს არა ფულის საშუალებით, არამედ თვით საქონლის მეოხებით. ფორმულა: ფ — ს — ფ[1] იყოფა ორ აქტად: ფ — ს და ს — ფ[1]. პირველი ყიდვის აქტია, მეორე — გაყიდვის. ამ ყიდვა-გაყიდვაში არავითარი ზედმეტი ღირებულება არ იქმნება. მართლაც, აქტი ფ — ს მოასწავებს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ე ბ ი ს გაცვლას, აქ ორი თანაბარი ღირებულება იცვლება ერთმანეთზე და ზედმეტ ღირებულებას ადგილი არ რჩება. მეორე აქტი ს — ფ[1] აგრეთვე არ შეიცავს ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესაძლებლობას. აქ საქონელი მხოლოდ იცვლის თავის ნატურალურ ფორმას და კვლავ ღებულობს ფულად ფორმას. რჩება მხოლოდ ერთად ერთი გამოსავალი: შესაძლებელია ზედმეტი ღირებულება იქმნებოდეს ანუ «გამომდინარეობდეს საქონლის სახმარი ღირებულებიდან, ე. ი. მისი მოხმარებიდან». მაშასადამე, ბაზარზე უნდა მოინახოს ისეთი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, რომლის «სახმარ ღირებულებას ექნება სპეციფიკური თვისება იყოს ღირებულების წყარო». სხვანაირად: გაცვლის სფეროში უნდა «აღმოჩენილ იქნას» საქონელი, რომლის «ფაქტიური მოხმარება, როგორც ასეთი, არის შრომის განივთიერება და, მაშასადამე, ღირებულების შექმნა»[51]. ბედმა თუ არგუნა კაპიტალისტს აღმოაჩინოს ასეთი საქონელი ბაზარზე, მისი ფულის კაპიტალად გადაქცევა — ზედმეტი ღირებულების შექმნა — დაუბრკოლებლივ განხორციელდება. მართლაც, ის უხვად პოულობს ასეთ ორიგინალურ საქონელს. ეს არის ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა. მუშა ყიდის სამუშაო ძალას, როგორც თავისებურ საქონელს, ღირებულების მიხედვით. რა არის სამუშაო ძალა? ესაა «ფიზიკური და სულიერ უნართა ჯამი, რომლებიც გააჩნია კონკრეტულ ორგანიზმს, ცოცხალ პიროვნებას, და რომლებიც გამოიყენება თითოეულ შემთხვევაში, როდესაც ის აწარმოებს რომელიმე სახმარ ღირებულებას»[52]. სამუშაო ძალა არ არის «ფსიხი-

[51] Капитал, ტ. I, გვ. 110.
[52] ibid.

კური კათეგორიაᲐ. პირიქით, სამუშაო ძალა «უწინარეს ყოვლისა არის ბუნების ნივთიერება, გარდაქმნილი ადამიანის ორგანიზმად»[53]. აი, ბაზარზე გამოდის თავისუფალი მუშა (თავისუფალი საწარმოო საშუალებათა საკუთრებისგან) და თავისუფლად ყიდის თავის საქონელს—სამუშაო ძალას. აქ მუშა და მისი საქონლის მყიდველი «იურიდიულად თანასწორი პირებია». ეს თანასწორობა იმაში მდგომარეობს, რომ მუშა თვითონ განაგებს საკუთარ «ორიგინალურ საქონელს» და ღირებულების მიხედვით ყიდის მას განსაზღვრული ხნით. ცხადია, სამუდამოდ თუ მიყიდა მან თავისი სამუშაო ძალა დ მქირავებელს, მონად გადაიქცევა და თავისუფალ მუშად არ მოგვევლინება, ის «გადაიქცევა თავისუფალ ადამიანიდან მონად, საქონლის მფლობელიდან—საქონლად». ამიტომაც მუშა დროებით ყიდის თავის საქონელს—სამუშაო ძალას, ის «უარს არ ამბობს ამ ძალის კერძო საკუთრებაზე». ესაა პირველი ძირითადი პირობა, რომელიც გულისხმობს, თავის მხრივ, წინასწარ პირობას: ამისთვის საჭიროა, რათა მუშას არ გააჩნდეს წარმოების საკუთარი საშუალებანი. «კაპიტალი წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც წარმოების საშუალებათა და არსებობის საშუალებათა მფლობელი პოულობს ბაზარზე თავისუფალ მუშას თავისი სამუშაო ძალის გამყიდველის როლში»[54]. სამუშაო ძალის გარეშე წარმოების კაპიტალისტური წესი შეუძლებელია. «კაპიტალისტური წარმოების მთელი სისტემა დამყარებულია იმაზე, რომ მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას როგორც საქონელს»[55]. ზემოტი ღირებულების წყარო უნდა ვეძიოთ სწორედ ამ ორიგინალური საქონლის მოხმარებაში—სამუშაო ძალის გამოყენებაში. სამუშაო ძალის გამოყენება კი არის შრომა.

ზევით უკვე გავეცანით სამუშაო ძალას, როგორც საქონელს და დავინახეთ, რომ ის წარმოადგენს წინააღმდეგობათა მთლიანობას: სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობას. სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება ამ ძალის არსებობის საშუალებათა ღირებულებით. ეს ღირებულება წარმოდგენილია ხელფასში, აქ ხელფასი უდრის სამუშაო ძალის ღირებულებას. სამუშაო ძალის ღირებულება შეიცავს «ფიზიკურად აუცილებელი არსებობის საშუალებათა ღირებულებას»[56]. მუშა გამოდის ბაზარზე, გამოაქვს თავისი ორიგინალური საქონელი და ღირებულების მიხედვით ყიდის მას. აქ წარმოებს ეკვივალენტების გაცვლა-გამოცვლა და, მაშასადამე, გაიძვე-

[53] ibid. გვ. 149. შენიშვნა 27. ხაზი ჩვენია.
[54] ibid. გვ. 112.
[55] ibid. გვ. 330.
[56] Ibid. გვ. 115.

რობითა და «ტკბილი ენით» ერთმანეთს არავინ ატყუებს. ღირებულების კანონი რჩება ძალაში. მაგრამ სამუშაო ძალას, როგორც საქონელს, აქვს აგრეთვე სახმარი ღირებულება. სამუშაო ძალის მოხმარება ხდება წარმოებაში. გაცვლის სფეროს ვშორდებით და, მაშასადამე, წარმოების სფეროში ვიჭრებით. აქ აშკარავდება ორიგინალური საქონლის—სამუშაო ძალის—სპეციფიკური თვისება. როგორც ვიცით, ეს თვისება მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო ძალის მოხმარება ქმნის ღირებულებას, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. «სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი არის ამავე დროს საქონლისა და ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესი»[57]. პრობლემის გადაჭრას ვუახლოვდებით. აქ «მოგების მიღების საიდუმლოება, ბოლოსდაბოლოს, უნდა გამოაშკარავდეს ჩვენს წინაშე». ეს საიდუმლოება აშკარავდება კიდეც: სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება, როგორც ზევით დავინახეთ, არავითარ კავშირში არაა ამ ძალის საცვლელ ღირებულებასთან. სამუშაო ძალის ღირებულება წარმოდგენილია განივთიერებულ შრომაში, არსებობის საშუალებათა ფორმაში. პირიქით, სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება ხორციელდება მის მოხმარებაში, გამოყენებაში. ესაა ცოცხალი შრომა. ღირებულება, რომელსაც ქმნის ცოცხალი შრომა, სხვანაირად, შრომის პროდუქტი, რომელშიაც ნივთიერდება ცოცხალი შრომა, მეტია იმ ღირებულებაზე, რომელზედაც იცვლება სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის საცვლელი და სახმარი ღირებულება სხვადასხვა, არსებითად განსხვავებული კათეგორიაა. აი, სადაა ზედმეტი ღირებულების resp. მოგების საიდუმლოების ნამდვილი სათავე. მუშა ყიდის სამუშაო ძალას, ვთქვათ, ერთი დღით. ის ღებულობს ეკვივალენტს, არსებობის საშუალებათა სრულ ღირებულებას ამ ერთი დღის განმავლობაში დახარჯული ძალ-ღონის აღსადგენად. ესაა სამუშაო ძალის ღირებულება. სამუშაო ძალა ახლა დამქირავებელის ხელში სახმარ ღირებულებას წარმოადგენს. სამუშაო ძალის გამოყენების, მოხმარების დრო გარკვეული არ არის: კაპიტალისტმა გადაიხადა სამუშაო ძალის მთელი დღის ღირებულება და ამიტომ ის მზადაა სამუშაო ძალა რაც შეიძლება მეტ ხანს ამოქმედოს. სამუშაო ძალის სპეციფიკურობა სწორედ იმაშია, რომ მისი მოხმარება ქმნის ღირებულებას, რომელშიაც აღიდგინება თვით სამუშაო ძალის ღირებულება plus ნამატი, ზედმეტი ღირებულება. საიდან გაჩნდა ეს უკანასკნელი? იქიდან რომ მუშა ამოქმედებს სამუშაო ძალას, ვთქვათ, 12 საათის განმავლობაში, მაგრამ აქედან მისი სამუშაო ძალის

[57] Капитал, ტ. I, გვ. 117. აგრეთვე გვ. 448 etc.

ღირებულების აღდგენას სჭირდება მხოლოდ პირველი 6 საათი. დანარჩენი 6 საათს შრომა ქმნის ღირებულებას კაპიტალისტური დამქირავებელის სასარგებლოდ. ეს არ არის აუცილებელი შრომა, რომელიც იხარჯება სამუშაო ძალის ღირებულების აღსადგენად, ეს — ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ა ა, ის ქმნის ზედმეტ დროში ზ ე დ მ ე ტ პ რ ო დ უ ქ ტ ს, რომელიც ღებულობს ზედმეტი ღირებულების ფორმას ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. «მაშასადამე, სამუშაო ძალის ღირებულება და მისი გამოყენება შრომის პროცესში ორი სხვადასხვა სიდიდეა»[58]. სამუშაო ძალის «სპეციფიკური სახმარი ღირებულება» აძლევს ამ ორიგინალურ საქონელს «თვისებას იყოს ღირებულების წყარო, ამავე დროს უფრო მეტი ღირებულების, ვინემ მას აქვს თვითონ»[59]. შრომა, ე. ი. სამუშაო ძალის გამოყენება, ქმნის ღირებულებას, რომელიც მეტია იმ ღირებულებაზე, რომელზედაც სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, იცვლება. ეს ასე რომ არ იყოს, კაპიტალისტური დამქირავებელი სამუშაო ძალას არ იყიდიდა, თვით წარმოების კაპიტალისტური წესი შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი გახდებოდა. იმისათვის, რათა შრომამ შექმნას ზედმეტი ღირებულება, საჭიროა შრომის ნაყოფიერებითი ძალის შესაფერ დონემდე განვითარება. ამას ემსახურება შრომის კოოპერაცია, შრომის საზოგადოებრივი განაწილება, მანუფაქტურა, მანქანური წარმოება, წარმოების პროცესის რაციონალური ორგანიზაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება.

ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რაში მდგომარეობს ზედმეტი ღირებულების ნამდვილი წყარო. ესაა ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ანუ ც ო ც ხ ა ლ ი შ რ ო მ ა. განივთიერებული, გაქვავებული შრომა, მოცემული წარმოებისა და არსებობის საშუალებათა სახით, არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ ქმნის და, მაშასადამე, მათ არ მოაქვთ მ ო გ ე ბ ა, მოგების წ ყ ა რ ო ს არ წარმოადგენენ, როგორც ფიქრობს ს მ ი ტ ი. ეს დებულება ახლა უკვე ფიზიკური სიცხადემდეა დაყვანილი. ზედმეტი ღირებულების resp. მოგების ფეტიში დაიმსხვრა. პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ კვლევა-ძიება ბოლომდე დაყვანილი არაა. უნდა გავარკვიოთ, როგორ იქცევა ფული კაპიტალად. სხვანაირად, უნდა შევიცნოთ «სამუშაო ძალა როგორც სიმდიდრის ობიექტური წყარო»[60]. ახლა პრობლემის დაყენება უკვე თვითონვე შეიცავს გადაწყვეტას — საკითხი გაადვილებულია და საკმაოდ გამარტივებული.

[58] ibid. გვ. 132.
[59] ibid. იხ. აგრეთვე გვ. 460.
[60] ibid გვ. 448. აგრ. გვ. 573.

გავეცნოთ არსებითად კაპიტალის ზოგად ფორმულას: ფ—ს—ფ[1]. პირველი ნაწილი შეიცავს ყიდვას: ფ—ს. კაპიტალისტური მწარმოებელი გამოდის ბაზარზე და ყიდულობს წარმოების ნივთიერ და პირად პირობებს, საწარმოო საშუალებებსა და სამუშაო ძალას, ყიდულობს მათი ღირებულების მიხედვით. მისი ფული გადაიქცა საქონლად, მან მიიღო საქონლის ფორმა. ვთქვათ, კაპიტალისტმა გაიღო წარმოებისათვის 27 შილინგი და ეს ფული აქცია საქონლად. საქონელი კი ორგვარია: ჩვეულებრივი და ორიგინალური. ჩვეულებრივი საქონელია წარმოების მატერიალური საშუალებანი, ორიგინალური—სამუშაო ძალა. დავუშვათ, ჩვეულებრივ საქონელზე დაიხარჯა 24 შილინგი, ხოლო ორიგინალურზე—3 შილინგი. იწყება წარმოების პროცესი: დაქირავებული შრომა ანტაგონისტურად უერთდება შრომის ნივთიერ პირობებს, მიმდინარეობს სამუშაო ძალის მოხმარება, ე. ი. წარმოებს შრომითი პროცესი. ეს არის საქონლის წარმოების პროცესი. ამიტომ აქტი ფ—ს შემდეგ იწყება წარმოების პროცესი, მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში ვეშვებით. ახლა ფ—ს თან სდევს მთავარი მომენტი—საქონლის წარმოება, მოკლედ—წ. სანამ წარმოების პროცესი არ დასრულდება, წრებრუნვის საქმე დროებით ჩერდება. წარმოება სრულდება, წარმოებიდან გამოდის შრომის პროდუქტი—საქონელი. მაგრამ ეს უკვე არ არის ის საქონელი, რომელზედაც ფული გაიცვალა. ესაა განაყოფიერებული საქონელი—ს[1]. მან ახლა არა მარტო ფორმა შეიცვალა შრომის უშუალო ზემოქმედებით. მეტი კიდევ, მან შეიცვალა თავისი ღირებულება: ახლა ამ 24 შილინგს მიემატა არა მარტო 3 შილინგი, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ძალის ღირებულების აღდგენას, და გადაიქცა 27 შილინგად, ე. ი. იმდენ რაოდენობად, რასაც ავანსად გაღების მომენტში წარმოადგენდა. სამუშაო ძალის მოხმარებამ შექმნა დამატებითი 3 შილინგი, როგორც ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, 27 შილინგს მიემატა 3 შილინგი და გადაიქცა 30 შილინგად. ამაში ახალი ღირებულება უდრის 6 შილინგს, რომელშიაც ზედმეტი ღირებულება 3 შილინგს უდრის. ახლა ვხედავთ, ფულმა ფული მოიტანა. «ამგვარად, 27 შილინგი გადაიქცა 30 შილინგად. ამ ფულმა მოიტანა ზედმეტი ღირებულება 3 შილინგის რაოდენობით. ბოლოსდაბოლოს ფოკუსი მოხერხდა. ფული გადაიქცა კაპიტალად»[61]. წარმოიშვა ღირებულება, რომელსაც მოაქვს ზედმეტი ღირებულება, თვითმზარდი ღირებულება ანუ კაპიტალი. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოება თუ გვინდა მთლიანად წარმოვიდგინოთ, როგორც

[61] Капитал, ტ. I, გვ. 133.

ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოება, როგორც მიმოქცევისა და წარმოების მთლიანობა. კაპიტალის წრებრუნვა უნდა გამოვხატოთ მთლიან ფორმულით. ახლა კაპიტალის ზოგადი ფორმულა ფ—ს—ფ[1] იშლება ფორმულად: ფ—ს...წ...—ს[1]—ფ[1]. საიდუმლოება გამოაშკარავდა: იმისათვის, რომ ფულმა ახალი ფული მოიტანოს [ფ—ფ[1]], აუცილებელია, რათა საქონელი გ ა დ ი დ დ ე ს ღირებულებაში [ს—ს[1]]. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფ[1] მიღება, რადგან აქ ს[1] იცვლება სწორედ ფ[1] [ს[1]—ფ[1]]. საქონლის წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი—აი, სად წარმოიშობა ზედმეტი ღირებულება, სად იქმნება ს—ს[1]. ზედმეტი ღირებულების პრობლემა, მაშასადამე, კაპიტალის წარმოშობის პრობლემა, ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვა და დასაბუთდა მეცნიერულად.

ამრიგად, ორივე მოჯადოებული წრე გაიხსნა. ერთი: საქონელი გაიყიდება და იყიდება ღირებულების მიხედვით, დაცულია ეკვივალენტების მიმოქცევა. ამავე დროს სწორედ ღირებულების ამ კანონის მიხედვით წარმოიშვა ზედმეტი ღირებულება. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, წარმოებისა და არსებობის საშუალებანიც ღირებულების მიხედვით იყიდება. ერთი სიტყვით, წარმოებს ეკვივალენტების მიმოქცევა. მიუხედავად ამისა, ანდა სწორედ იმის მიხედვით, წარმოიშობა ზედმეტი ღირებულება resp. მოგება. მეორე: კაპიტალი წარმოიშობა და თან არ წარმოიშობა მიმოქცევაში. მიმოქცევაში იმიტომ, რომ ამ სფეროში მოინახება ორიგინალური საქონელი, სამუშაო ძალა. წარმოებაში—იმიტომ, რომ აქ ხდება ამ ორიგინალური საქონლის გამოყენება, მოხმარება—შრომა, რომელიც ქმნის პროდუქტს, ღირებულებას, ზედმეტი ღირებულების შემცველს. «მთელი ეს პროცესი [ფულის გადაქცევა კაპიტალად]... ხდება მიმოქცევის სფეროში და თან არ ხდება ამ სფეროში. მიმოქცევის საშუალებით, რადგან პირობადებულია ბაზარზე სამუშაო ძალის ყიდვით. არა მიმოქცევაში, რადგან მიმოქცევა მხოლოდ ამზადებს ღირებულების გადიდების პროცესს, ხოლო ეს პროცესი წარმოების სფეროში ხდება»[62]. პრობლემა დაყენებული იყო დიალექტიკურად და გადაწყდა დიალექტიკური თვალსაზრისით.

გადავავლოთ თვალი კაპიტალისტურ წარმოებას მთლიანად. კაპიტალისტური წარმოების differentia specifica არის სამუშაო ძალა როგორც საქონელი—ამბობს მ ა რ ქ ს ი. ეს ძალა იყიდება არა პირადი მოხმარებისთვის, არამედ ზედმეტი ღირებულების წარმოებისთვის. «ზედმეტი ღირებულების წარმოება ანუ გამდიდრება—ასე-

[62] ibid.

თია წარმოების ამ წესის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი კ ა ნ ო ნ ი»[63]. ამ კანონის აბსოლუტური ხასიათი განსაზღვრავს წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობას, კაპიტალის მოძრაობა-განვითარებას. ს ა ქ ო ნ ლ ი ს წარმოება არის შრომის პროცესისა და ღირებულების შექმნის პროცესის მთლიანობა. საწარმოო პროცესი, განხილული «როგორც შრომის პროცესის და ღირებულების გადიდების პროცესი, არის წარმოების კაპიტალისტური პროცესი, საქონლის წარმოების კაპიტალისტური ფორმა»[64]. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალისტური წარმოება არის ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წარმოება. ახლა შეგვიძლია ამომწურავი პასუხი გავსცეთ ზევით დაყენებულ კითხვაზე—რა არის კაპიტალი. კაპიტალი არის ნივთი, მატერია, სახელდობ—მანქანა, შრომის საგანი, შენობა და მრავალი სხვა—ამტკიცებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომია. სრულებითაც არა! «ფული და საქონელი, სწორედ ისევე, როგორც არსებობის საშუალებანი და წარმოების საშუალებანი, არ წარმოადგენს კაპიტალს თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ. ისინი უნდა გადაიქცენ კაპიტალად»[65]. მაშასადამე, წარმოების საშუალებანი და არსებობის საშუალებანი თავისთავად, როგორც ასეთი, როგორც განივთიერებული შრომა, ბუნების ნივთიერება, არ არიან კაპიტალი. შესაფერი ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ქმნის მათ კაპიტალად. ამისათვის საჭიროა სათანადო პირობები. «კაპიტალი, როგორც ს ო ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ობ ა, წარმოიშობა ეკონომიურ ნიადაგზე, რომელიც წარმოადგენს ხანგრძლივი განვითარების პროცესის პროდუქტს», კაპიტალი «საჩუქარია არა ბუნების, არამედ ისტორიის, რომელიც შეიცავს არა საუკუნეების, არამედ ათას წლების პერიოდს»[66]. კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელია წარმოებისა და არსებობის საშუალებათა გარეშე. მაგრამ ეს საშუალებანი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ, როგორც ნ ი ვ თ ი ე რ ი არსი, არ წარმოადგენენ კაპიტალს, ეს არ არის მათი ფიზიკური თვისება, ეს—ს ო ც ი ა ლ უ რ ი მომენტია მათი. «ჩვენ ვიცით, რომ თუ წარმოების საშუალებანი და არსებობის საშუალებანი შეადგენენ უშუალო მწარმოებელთა საკუთრებას, თვით მუშის საკუთრებას, მაშინ ისინი არ წარმოადგენენ კაპიტალს. ისინი გვეელინებიან კაპიტალად მხოლოდ ისეთ პირობებში, რომელშიაც ისინი შეადგენენ ამავე დროს მ უ შ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ა და დ ა მ ო ნ ა ვ ე ბ ი ს ს ა შ უ-

[63] Капитал, ტ. I, გვ. 490. ხაზი ჩვენია.
[64] ibid. გვ. 135. აგრეთვე 191, 219, 395, 573.
[65] ibid გვ. 573. ხაზი ჩვენია.
[66] ibid. გვ. 398.

ალ ე ბ ა ს»[67]. მაშასადამე, კაპიტალი არაა ნივთი, როგორც ასეთი. მანქანა, როგორც ასეთი, კაპიტალი არ არის. ის იქცევა კ ა პ ი ტ ა ლ ა დ, ე ს ე ი გ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო მ ქ ა ჩ ე ლ ი ა რ ა ღ ა დ, შ რ ო მ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს საშუალებად განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში, როდესაც წარმოების ნ ი ვ თ ი ე რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი ანტაგონისტურად დაპირისპირებულია წარმოების პ ი რ ა დ პ ი რ ო ბ ე ბ თ ა ნ, შრომის იარაღი და საგანი—თვით შრომასთან. მხოლოდ ასეთ პირობებში იქცევა შრომის იარაღი და საგანი, არსებობის საშუალებები კ ა პ ი ტ ა ლ ა დ. ამიტომ კაპიტალი არ არის ნივთი, მატერია როგორც ასეთი. კაპიტალი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ა, «ურთიერთობა ადამიანთა შორის გაშუალებული ნივთებით». საწარმოო ურთიერთობანი აქ ღებულობენ ნივთიერ ფორმას, ადამიანთა საწარმოო დამოკიდებულება უშუალო არ არის, ეს დამოკიდებულება ხორციელდება ნივთების—საქონელთა მიმოქცევის—საშუალებით. მანქანა თავისი ბუნებით, თავისთავად კაპიტალი არაა, მაგრამ ეს მანქანა, კაპიტალისტური ექსპლოატაციის იარაღად გადაქცეული, კაპიტალია, კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობათა ნივთიერი მატარებელი. «კაპიტალი, მიწა, შრომა! მაგრამ კ ა პ ი ტ ა ლ ი—ე ს ნ ი ვ თ ი ა რ ა ა, ეს—განსაზღვრული, საზოგადოებრივი, საზოგადოების განსაზღვრული ისტორიული ფორმაციის დამახასიათებელი ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ა, რომელიც გ ა მ ო ი ვ ლ ი ნ ე ბ ა ნ ი ვ თ შ ი და აძლევს ამ ნივთს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ საზოგადოებრივ ხასიათს. კაპიტალი—ესაა კ ა პ ი ტ ა ლ ა დ გ ა დ ა ქ ც ე უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, რომლებიც თავისთავად კაპიტალი ისევე არ არიან, როგორც ოქრო და ვერცხლი თავისთავად არაა ფული. საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მიერ წარმოების საშუალებათა მონოპოლიზაცია, რომლებიც [წარმოების საშუალებანი] განკერძოებული პროდუქტები არიან ცოცხალი ძალისგან და თვით ამ სამუშაო ძალის რეალიზაციის პირობები,—აი, ამ დაპირისპირების წყალობით თუ რა პიროვნდება კაპიტალში»[68]. წარმოებისა და არსებობის საშუალებანი გვევლინებიან კაპიტალად სპეციფიკურ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში. ისინი ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს იარაღად არიან გადაქცეული. ამიტომ «კაპიტალი არის მკვდარი შრომა, რომელიც, ვამპირის მსგავსად, ცოცხლდება მხოლოდ ცოცხალი შრომის წოვით და ცოცხლობს იმდენად დიდხანს, რამდენად მეტად ყლაპავს ცოცხალ შრომას»[69]. მანქანა კაპიტალია,

[67] ibid. გვ. 615. ხაზი ჩვენია.

[68] Капитал, ტ. III, ნაწ. 2. გვ. 286-287. კურსივი ჩვენია.

[69] Капитал, ტ. I. გვ. 163. შეად. გვ. 183.

რადგან ის კაპიტალისტური ვამპირია: ის წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მატერიალურ პირობას, იარაღს. «ზანგი არის ზანგი. მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში ხდება ის მონად. საქსოვი მანქანა არის მანქანა ბამბის საქსოვად. მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იქცევა ის კაპიტალად. ამ პირობებიდან გამოთიშული ის იმდენად ნაკლებადაა კაპიტალი, როგორც ოქრო თავისთავად — ფულია, ანდა შაქარი — შაქრის ფასი»[70]. განსაკუთრებული, განსაზღვრული საწარმოო ურთიერთობანი აქცევენ წარმოებისა და არსებობის საშუალებებს კაპიტალად. ესაა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ურთიერთობანი. როგორც კი მოისპობიან ისინი, მოისპობა თვით კაპიტალი: წარმოებისა და არსებობის საშუალებანი დაკარგავენ სპეციფიკურ ფორმას, კაპიტალისტურ შინაარსს. ისინი უკვე აღარ მოგვევლინებიან შრომის ექსპლოატაციის, ზედმეტი ღირებულების წარმოების იარაღად. მათი ვამპირული როლი მოისპობა და ამასთან ერთად მოისპობა მათი კაპიტალისტური ხასიათი. მანქანა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა პირობებში არ არის კაპიტალი, და არც შეიძლება იყოს ასეთი. მანქანა ეკონომიური კათეგორიაა. ეს კათეგორია ასახავს განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობას. საწარმოო ურთიერთობანი მარადიული არ არიან, ისინი იცვლებიან წარმოების წესის ცვლასთან ერთად. აქედან დასკვნა: კაპიტალი ისტორიული კათეგორიაა, ის ისტორიის ნაყოფია და არა ბუნების. აი, ჭეშმარიტება, რომელიც ვერ შეიგნო კლასიკურმა — მთელმა ბურჟუაზიულმა — პოლიტიკურმა ეკონომიამ.

ზედმეტი ღირებულების ჭეშმარიტი ბუნება, მისი ნამდვილი წარმოშობა, კაპიტალის პრობლემა, მაშასადამე, მეცნიერულად გაარკვია და დაასაბუთა მარქსმა. ზედმეტი ღირებულების კათეგორია თეორიული ეკონომიის ცენტრალური კათეგორიაა. ზედმეტი ღირებულება მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ქვაკუთხედია — როგორც ამბობს ლენინი. მარქსმა მეცნიერულად დააყენა ზედმეტი ღირებულების პრობლემა. მისი გადაწყვეტა — ამბობს ენგელსი — «შეადგენს მარქსის დამსახურებას, რომელმაც შექმნა ახალი ეპოქა. ის შუქსა ჰფენს ეკონომიურ დარგებს, სადაც წინეთ სოციალისტები პოლიტიკო-ეკონომისტებზე არა ნაკლებად დასეტიალებდნენ ულრმეს სიბნელეში». ეს სიტყვები იოტის ოდნავ არ შეიცავს გადაჭარბებას. ზედმეტი ღირებულების მარქსისტული თეორია მთელი

[70] Маркс. Наемный труд и капитал. 1933. გვ. 27. ეს ადგილი მოყავს მარქსს აგრეთვე «კაპიტალში»: ტ. I, გვ. 615.

ეპოქაა ეკონომიური მეცნიერული აზროვნების განვითარებაში. პოლიტიკური ეკონომია ამით იქცა ნამდვილ მეცნიერებად.

გადავიდეთ ახლა მოგების პრობლემაზე და ეს სფინქსიც ავამეტყველოთ მარქსისტული თეორიული ეკონომიის მეცნიერულ ენაზე.

კაპიტალის ზოგადი ფორმულა: ფ—ს—ფ[1] წარმოადგენს მიმოქცევისა და წარმოების მთლიანობას. ამ ფორმულის პირველი ნაწილი ფ—ს გულისხმობს ყიდვას. რას ყიდულობს კაპიტალისტური მწარმოებელი, როდესაც ის წარმოებას კიდებს ხელს? მისი ფულადი კაპიტალი, ავანსად გაღებული წარმოების დასაწყებად, იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი იხარჯება წარმოების მატერიალურ საშუალებათა შესაძენად, მეორე ნაწილი—სამუშაო ძალას ხმარდება. წარმოების მატერიალური საშუალებანია შრომის საგანი და შრომის იარაღი, აგრეთვე შენობა და სხვა. ავანსად გაღებული კაპიტალის ეს ორი ნაწილი იჭრება კაპიტალისტური წარმოების სფეროში. აქ, ღირებულების წარმოებაში, მათი როლი სხვადასხვანაირია: წარმოების საშუალებანი არ ქმნიან ახალ ღირებულებას, ისინი განივითიერებული შრომაა, რომლის რაოდენობა არ იცვლება. წარმოების საშუალებათა ღირებულება არ იცვლება წარმოების პროცესში, არც მის გარეთ—მიმოქცევაში. შრომის საგანზე, მაგალითად ნედლეულზე, მოქმედობს შრომა, აძლევს მასალას შესაფერ ფორმას. ნედლეული პროდუქტად იქცევა. მისი ღირებულება იზრდება სწორედ იმდენი რაოდენობით, რამდენი ცოცხალი შრომაა ახლა მასზე დახარჯული. თვითონ ნედლი მასალა თავისთავად, ცოცხალი შრომის გარეშე, არ იცვლის თავის სიდიდეს, ის გადადის დამზადებულ პროდუქტში. მანქანა მოქმედობს წარმოების პროცესში, მაგრამ ის არ ქმნის ღირებულებას. პირიქით, მანქანა იცვითება და კლებულობს თავის საკუთარ ღირებულებაში. სამაგიეროდ ეს მისი დანაკლისი გადადის შრომის პროდუქტზე, მანქანის ღირებულების ნაწილი გადაიტანება შრომის მიერ ანდა მექანიკური საშუალებით პროდუქტზე. ესაა, როგორც მარქსი ამბობს «სულის გადასახლება»[71]. მაშასადამე, შრომის საგანსა და იარაღზე, მოკლედ—წარმოების საშუალებაზე ავანსად გაღებული კაპიტალი მთლიანად მხოლოდ აღიდგინება ახლად დამზადებულ საქონლის ღირებულებაში, ის თვითონ არ იცვლება ღირებულებისსიდიდის თვალსაზრისით, მისი ღირებულება უცვლელი რჩება. კაპიტალს ამ ნაწილს მარქსი უწოდებს მუდმივ კაპიტალს (constantes Kapital, შემოკლებით—c). მარ-

[71] Капитал, ტ. I, გვ. 142 etc. აგრეთვე გვ. 227. იხ. მთელი მეორე განყოფილება, დაწყებული 292 გვერდით.

ქსი წერს: «კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც იქცევა წარმოების საშუალებად, ე. ი. ნედლ მასალად, დამხმარე მასალად და შრომის საშუალებად, წარმოების პროცესში არ იცვლის თავისი ღირებულების სიდიდეს, ამიტომ ვუწოდებ მას კაპიტალის მუდმივ, უცვლელ ნაწილს, ანდა, მოკლედ, მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ს»[72]. კაპიტალის მეორე ნაწილი, გაღებული სამუშაო ძალაზე, ხელფასზე, პირიქით, ღირებულების შექმნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, მისი ღირებულება ი ც ვ ლ ე ბ ა, იზრდება. სამუშაო ძალის გამოყენება ქმნის ღირებულებას, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, წარმოების პროცესში კაპიტალის ეს ნაწილი იცვლის თავის სიდიდეს, ის ცვალებადი სიდიდეა. მ ა რ ქ ს ი აქვე შენიშნავს: «კაპიტალის ეს ნაწილი მუდმივ სიდიდ დან განუწყვეტლივ იქცევა ცვალებად სიდიდეთ. ამიტომ ვუწოდებ მას კაპიტალის ცვალებად ნაწილს, ანდა, მოკლედ, ც ვ ა ლ ე ბ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ს» (variables Kapital, მოკლედ —v). ღირებულების ცვლილება სწორედ ცვალებად კაპიტალში ხდება. სამუშაო ძალაზე გაღებული კაპიტალი იზრდება იმის მიხედვით, რამდენად ვითარდება ზედმეტი ღირებულების წარმოება. ცვალებადი კაპიტალი, ამრიგად, ნაყოფიერდება ზედმეტი ღირებულებით (Mehrwerth, მოკლედ—m). შრომის პროდუქტის ღირებულებაში არამც თუ უბრალოდ აღიდგინება ცვალებადი კაპიტალი, მეტი კიდევ, აღიდგინება მოგებით—ზედმეტი ღირებულებით. ეს არ ითქმის მუდმივ კაპიტალზე, რომელიც თავისი ღირებულების სიდიდეში უცვლელი რჩება[73]. ის არ იწვევს ღირებულების ზრდას, ღირებულებას ქმნის მხოლოდ ცოცხალი შრომა.

კაპიტალის შემადგენელი ელემენტების დაყოფა მუდმივ და ცვალებად ნაწილებად მთლიანად მ ა რ ქ ს ს ეკუთვნის და მის აღმოჩენას წარმოადგენს. ამ აღმოჩენამ უდიდესი როლი ითამაშა ზედმეტი ღირებულების, მოგების, სამუშაო ძალის ექსპლოატაციის მეცნიერულად

[72] ibid. გვ. 145.

[73] რასაკვირველია, ლაპარაკია მუდმივი კაპიტალის უცვლელობაზე ღირებულების წარმოების პროცესში, ღირებულების შექმნის თვალსაზრისით. შრომის ნაყოფიერებითი ძალის ზრდა იწვევს ცვლილებას მუდმივი კაპიტალის, წარმოების საშუალებათა ღირებულებაში. ღირებულება უკუპროპორციულ მიმართებაშია შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარებასთან. მუდმივი კაპიტალი მოცემულ მომენტში თუ გამოიხატება 1000 გირ. სტერლინგით, შემდეგ. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებით, რაც შრომის ნაყოფიერებითი ძალის ზრდაზეა დამოკიდებული, მუდმივი კაპიტალის ეს ღირებულება შეიძლება დაეცეს 100 და მეტი გირ. სტ. ამიტომაც «მუდმივი კაპიტალის ცნება სრულებითაც არ გამორიცხავს რევოლუციას მისი შემადგენელი ნაწილების ღირებულებაში» (Капитал. ტ. I. გვ. 145).

გაგების საქმეში. შეუძლებელია მოგების პრობლემის, ექსპლოატაციის სიძლიერის, მისი ნორმის გაგება, თუ არაა აღმოჩენილი მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის კათეგორიები. მარქსი აღნიშნავს, რომ «კათეგორიები ცვალებადი კაპიტალი და მუდმივი კაპიტალი პირველად ხმარებაში მე შემოვიტანე. პოლიტიკური ეკონომია ადამ სმიტის დროიდან მუდმივად ურევს მათში მოცემულ განმარტებებს ძირითად და საბრუნავ კაპიტალის ფორმათა გარჩევასთან, რომელიც წარმოშობილია მიმოქცევის პროცესის მიერ»[74]. კლასიკური ეკონომია ყოფს კაპიტალს ძირითად და საბრუნავ ნაწილებად. ძირითად კაპიტალში იგულისხმება, სმიტის აზრით, კაპიტალის უძრავი ელემენტები (შენობა etc.), საბრუნავში—მოძრავი (ცხადია, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ასეთი განმარტება სავსებით სწორი არ არის მეცნიერულად, მაგრამ ამ პრობლემას აქ არ ვიკვლევთ და მას მნიშვნელობა არ აქვს ამ ჟამად ჩვენთვის[75]). საბრუნავი კაპიტალია ნედლი მასალა, დამხმარე მასალა, თანხა, გაღებული შრომის ხელფასზე, და სხვა. აქ, როგორც ვხედავთ, ერთმანეთშია არეული კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ღირებულების წყაროს შეადგენს, და ის ნაწილი, რომელიც ღირებულებას არ ქმნის. ასეთ პირობებში იბნელება ზედმეტი ღირებულების resp. მოგების პრობლემა. «ის ერთნაირი ფორმა, რომელსაც ბრუნვაში ღებულობს ცვალებადი კაპიტალი და მუდმივი კაპიტალის მიმდინარე ნაწილი, ჩრდილავს მათ არსებით განსხვავებას ღირებულების გადიდებისა და ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესში, და, ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების მთელი საიდუმლოება კიდევ უფრო იჩრდილება. საერთო აღნიშვნა «საბრუნავი კაპიტალი» სპობს ამ არსებით განსხვავებას»[76]. საბრუნავი კაპიტალის ცნება შეიცავს როგორც შრომის საგანს, ნედლ მასალას, ისე შრომის ხელფასს, სამუშაო ძალას. ნედლი მასალა მუდმივი კაპიტალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, ის არის ძირითადი კაპიტალის მუდმივი ნაწილი. ნედლი მასალა ირევა სამუშაო ძალასთან, ორივე განსაზღვრულია ერთი ცნებით—საბრუნავი თანხით. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების resp. მოგების ნამდვილი წყარო—დაქირავებული შრომა—გათქვეფილია კაპიტალის ისეთ ნაწილებში, რომლებიც ღირებულებას არ ქმნიან. აშკარაა, აქ ზედმეტი ღირებულების resp. მოგების პრობლემა უფრო იჩრდილება და კაპიტალისტური წარმოების

[74] Капитал, ტ. I, გვ. 484.

[75] სმიტის კრიტიკა ამ საკითხში მოცემულია: Капитал, ტ. II, გვ. 124—144.

[76] Капитал, ტ. II, გვ. 132—133. ხაზი მარქსისაა.

მისტიურ გარსში ეხვევა. მ ა რ ქ ს ი ს გენიოსურმა გონებამ ეს პრინციპული შეცდომა ნათლად დაინახა და ძირშივე გაასწორა. ზედმეტი ღირებულების წყაროა დაქირავებული შრომა, სხვა დანარჩენი არ ქმნის ღირებულებას. მაშასადამე, მოგების გასაგებად საჭიროა სწორედ მოგების წყაროს გამოყოფა და მისი დაპირისპირება კაპიტალის დანარჩენ ნაწილთან. კაპიტალი, ღირებულების წარმოების თვალსაზრისით, იყოფა ორ ნაწილად: მუდმივ და ცვალებად კაპიტალად. მას შემდეგ, რაც პრობლემა ამ სწორ ნიადაგზე დაისვა, მისი მეცნიერული გადაწყვეტა უზრუნველყოფილი გახდა.

ამრიგად, ღირებულების თვალსაზრისით კაპიტალი შედგება მუდმივ და ცვალებად ნაწილებისგან. მუდმივი კაპიტალი წარმოდგენილია წარმოების საშუალებათა ღირებულების სახით, ხოლო ცვალებადი კაპიტალი—სამუშაო ძალის ღირებულების, ხელფასის სახით. ესაა კაპიტალის შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით. მეორე მხრივ, კაპიტალი შეიძლება განხილულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისითაც: საწარმოო კაპიტალი შედგება წარმოების საშუალებისა და სამუშაო ძალისგან. ამ თვალსაზრისით, როგორც მ ა რ ქ ს ი ამბობს, კაპიტალის შემადგენლობა განისაზღვრება იმ მიმართებით, რომელიც არსებობს შრომის საშუალებათა მასისა და მათი გამოყენებისათვის საჭირო შრომის რაოდენობის შორის. ამ ორი—ღირებულებისა და ტექნიკური - თვალსაზრისით განიხილება კაპიტალის შემადგენლობა. «პირველს მე ვუწოდებ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, მეორეს—კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს»[77]. ამ ორივე მომენტს შორის შინაგანი კავშირი არსებობს. კაპიტალის ცვლილება ღირებულების მიხედვით აუცილებლად ემყარება კაპიტალის ტექნიკურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებას. ორივე მომენტი გულისხმობს ერთმანეთს. «ორივეს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობა—ასკვნის მ ა რ ქ ს ი.—რათა გამოვხატოთ ეს ურთიერთობა, მე ვუწოდებ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ო რ გ ა ნ უ ლ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს მის შემადგენლობას ღირებულების მიხედვით, რამდენად ეს უკანასკნელი განისაზღვრება კაპიტალის ტექნიკური შემადგენლობით და ასახავს ტექნიკური შემადგენლობის ცვლილებებს»[78]. კაპიტალის ორგანულ შემადგენლობას გამოხატავს, მაშასადამე, მისი შემადგენლობა ღირებულების მიხედვით. ესაა კაპიტალის ცვალებადი ნაწილის მიმართება მუდმივ ნაწილთან. რამდენად დიდია ცვალე-

[77] Капитал, ტ. I. გვ. 485. ხაზი მ ა რ ქ ს ი ს ა ა.
[78] ibid. კურსივი ავტორისაა.

ბადი ნაწილი და ნაკლებია მუდმივი ნაწილი, იმდენად კაპიტალი დაბალი ორგანული შემადგენლობისაა: აქ ორგანული შემადგენლობა ასახავს კაპიტალის დაბალ ტექნიკურ შემადგენლობას, წარმოების დაბალ ტექნიკურ დონეს. პირიქით, რამდენად ნაკლებია ცვალებადი კაპიტალი და მეტია მუდმივი კაპიტალი, იმდენად უფრო მაღალია კაპიტალის ორგანული შემადგენლობა. მაღალია, მაშასადამე, მისი ტექნიკური შემადგენლობა. წარმოების განვითარება მოასწავებს სწორედ კაპიტალის ორგანულ შემადგენლობის განვითარებას, კაპიტალის მაღალ ორგანულ აღნაგობას.

მარქსის მეცნიერული ანალიზი აქ არ ჩერდება. მარქსმა აღმოაჩინა და დაასაბუთა კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონი, რომლის თანახმად კაპიტალის ორგანული შემადგენლობა პროგრესიულად იზრდება წარმოების განვითარების ნიადაგზე. როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი კაპიტალი განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ არა თანაბარი სისწრაფით: მუდმივი კაპიტალი იზრდება აბსოლუტურად და შედარებითაც (შედარებით ცვალებად კაპიტალთან), ხოლო ცვალებადი კაპიტალი იზრდება აბსოლუტურად, მაგრამ ეცემა შედარებით (მუდმივ კაპიტალთან). ასეთია «კაპიტალის მუდმივი ნაწილის ცვალებად ნაწილთან შედარებით მუდმივი ზრდის კანონი»[79], მარქსის მიერ ნათელყოფილი. სხვანაირად: «იმის მიხედვით, რამდენად კაპიტალი აქცევს შრომას უფრო ნაყოფიერად, მისი მოთხოვნილება შრომაზე მცირდება, მისი სიდიდესთან შედარებით»[80]. მაშასადამე, აქ ხდება სწორედ იმისი საწინააღმდეგო მოვლენა, რომელსაც ამტკიცებს სმიტი. მისი აზრით, კაპიტალის ზრდა იწვევს დაქირავებული შრომის ასეთივე ზრდას. «სმიტი ფიქრობს, რომ მოთხოვნილება შრომაზე იზრდება კაპიტალის დაგროვების პირდაპირ პროპორციულად»[81]. სმიტის დროს საერთოდ ეს ასე იყო, მაგრამ კაპიტალიზმისათვის ეს გარემოება კანონზომიერი იყო განვითარების პირველანდელ სტადიაზე და არა უფრო მაღალ საფეხურზე. მანქანური წარმოების განვითარება იწვევს კაპიტალის ტექნიკური შემადგენლობის ზრდას, ხოლო ეს უკანასკნელი ახდენს ცვლილებებს კაპიტალის ორგანულ შემადგენლობაში. მუდმივი კაპიტალი იზრდება აბსოლუტურად და რელატივურად, ხოლო ცვალებადი—იზრდება აბსოლუტურად, მცირდება რელატივურად. ამავე დროს არის შემთხვევაც, როცა

[79] ibid. გვ. 495.

[80] ibid. იხ. აგრეთვე ამის შესახებ: გვ. 340, 345, 347, 351, 497.

[81] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2, გვ. 242.

ცვალებადი კაპიტალი მცირდება არა მარტო რელატიურად, აგრეთვე ხშირად აბსოლუტურადაც[92]. კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, ე. ი. პროპორცია, რომელშიაც წარმოდგენილია ცვალებადი კაპიტალისა და მუდმივი კაპიტალის მიმართება $\left(\frac{v}{c}\right)$, იცვლება კაპიტალის მ ა ღ ა ლ ი ორგანული შემადგენლობის მიმართულებით. ასეთია კაპიტალისტური წარმოების განვითარების კანონი.

კაპიტალისტური წარმოების ერთი და იგივე დარგი გულისხმობს კაპიტალის ორგანული შემადგენლობის დონის სხვადასხვაობას. არის წარმოება, სადაც კაპიტალის ორგანული შემადგენლობა მაღალია, ტექნიკა უაღრესად განვითარებულია, სამუშაო ძალა მცირეა. არის წარმოება, სადაც, პირიქით, კაპიტალის ორგანული შემადგენლობა შედარებით დაბალია, დაქირავებული შრომის რაოდენობა ამიტომ დიდია. ზედმეტ ღირებულებას ქმნის დაქირავებული შრომა. აქედან ცხადია, კაპიტალის ორგანული შემადგენლობის დონის სხვადასხვაობა აუცილებლად გულისხმობს ზედმეტი ღირებულების მასის resp. მოგების რაოდენობის სხვადასხვაობას. აი, პრობლემა, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე ლოგიკური აუცილებლობით წამოიჭრა. მაგრამ ეს პრობლემა თვითონვე შეიცავს თავის გადაწყვეტას—პრობლემის გასაღები უკვე მოცემულია.

ავანსად გაღებული კაპიტალი, ამრიგად, შედგება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისგან. მისი ფორმულა შეიძლება ასე გამოითქვას: $K=c+v$. კაპიტალისტური წარმოება ზედმეტი ღირებულების წარმოებაა. წარმოების პროცესში მუდმივი კაპიტალი უცვლელი რჩება ღირებულების მიხედვით, იცვლება, იზრდება მხოლოდ ცვალებადი კაპიტალი. ეს ზრდა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების სიდიდით. ზედმეტი ღირებულება ემატება ავანსად გაღებულ კაპიტალს. ეს კაპიტალი ახლა განაყოფიერებულია ზედმეტი ღირებულებით, გადიდებულია ღირებულების თვალსაზრისით, რადგან ის შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. წარმოების დასასრულ კაპიტალი გვევლინება გადიდებული. ახლა მისი ფორმულა ასე გამოიხატება: $K_1=(c+v)+m$. გავარკვიოთ ეს ფორმულა. ცვალებადი კაპიტალის მიმართება მუდმივ კაპიტალთან $\left(\frac{v}{c}\right)$ იძლევა კაპიტალის ორგანულ შემადგენლობას. იბადება კითხვა: რას წარმოადგენს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიმართება ცვალებად კაპიტალთან, $\frac{m}{v}$? ესაა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა. მთელი სამუშაო დღე, რომლის განმავლობაში დაქირავებუ-

[92] Капитал, ტ. II, გვ. 43, 70.

ლი ძალა მუშაობს, გაიყოფება ორ ნაწილად. ერთი ნაწილია, როგორც ვიცით, აუცილებელი სამუშაო დრო, რომლის განმავლობაში «მუშა ქმნის ღირებულებას საკუთარი სამუშაო ძალის აღსადგენად»[63]. მეორე ნაწილი შეიცავს დამატებითი სამუშაო დროს, რომლის განმავლობაში იხარჯება დამატებითი შრომა. აი, სწორედ დამატებითი სამუშაო დროსი ანუ დამატებითი შრომის მიმართება აუცილებელი სამუშაო დროსთან ანუ აუცილებელ შრომასთან იძლევა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ხარისხს, მის ნორმას. დაქირავებული ძალის ექსპლოატაციას გამოხატავს სწორედ ზედმეტი ღირებულების ნორმის კათეგორია. უბრალო მაგალითი: სამუშაო დღე უდრის 12 საათს, აქედან აუცილებელი სამუშაო დრო—6 ს., ხოლო დამატებითი სამუშაო დრო—6 ს. პირველი 6 ს. აღადგენს v-ს, მეორე 6 საათი განსაზღვრავს m-ს. ზედმეტი ღირებულების ნორმა აქედან: $\frac{m}{v}=\frac{6}{6}=100\%$. ჩვეულებრივად რომ ვთქვათ, მუშა ღებულობს თავისი შრომის პროდუქტის ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს ითვისებს კაპიტალისტი. დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის ცნება გამოხატავს ზედმეტი ღირებულების მითვისებას კაპიტალისტური დამქირავებელის მიერ. ამ ექსპლოატაციის სიძლიერე გამოიხატება ზედმეტი ღირებულების ნორმაში. ცვალებადი კაპიტალი გადიდდა შედარებით, რაკი მას ზედმეტი ღირებულება ემატება. «ცვალებადი კაპიტალის ამ შედარებითი გადიდებას —წერს მარქსი—ანუ ზედმეტი ღირებულების შედარებითი სიდიდეს მე ვუწოდებ ზედმეტი ღირებულების ნორმას»[64]. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების შედარებითი სიდიდე—შედარებითი ცვალებად კაპიტალთან, ხელფასთან—შეადგენს ზედმეტი ღირებულების ნორმას. ვიმეორებთ, ეს ნორმა გამოხატავს დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის დონეს და, მაშასადამე, კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდის ხარისხსაც დანარჩენ თანაბარ პირობებში.

ზედმეტი ღირებულების ნორმის გამორკვევა, მაშასადამე, წარმოებს m და v შეფარდების გზით. ეს შეფარდება იძლევა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტურ სურათს. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ამ შეფარდებაში მუდმივი კაპიტალიც იქნეს წარმოდგენილი? არა, არ შეიძლება. მარქსის გენიოსური გამჭრიახობა სწორედ ამაში მდგომარეობს აქ, რომ მან ზედმეტი ღირებულების ნორმის ანალიზიდან მუდმივი კაპიტალი გამორიცხა და ის

[63] Капитал, ტ. I, გვ. 161.
[64] ibid. გვ. 149. აგრეთვე გვ. 160,162.

O-ს გაუთანასწორა. მუდმივი კაპიტალი არ ქმნის ღირებულებას, ის არ იცვლის თავისი სიდიდეს ღირებულების თვალსაზრისით. მუდმივი კაპიტალი ღირებულების შექმნაში მონაწილეობას არ ღებულობს. ის მხოლოდ ღირებულების შექმნის აუცილებელი პ ი რ ო ბ ა ა და არა წ ყ ა რ ო. მარქსის მეცნიერულად ჭრეული არგუმენტები მდგომარეობს შემდეგში. «ზედმეტი ღირებულება არის მხოლოდ უბრალო შედეგი ღირებულების იმ ცვლილებისა, რომელიც ხდება v-ში, კაპიტალის ნაწილში, რომელიც გადაქცეულია სამუშაო ძალად»[65]. საქმის ნამდვილ ვითარებას ართულებს, ზედმეტი ღირებულების ნორმის მეცნიერულად გამორკვევას აბნელებს ის გარემოება, რომ ცვალებადი კაპიტალის შეცვლით იცვლება მთელი ავანსად გაღებული კაპიტალი. მეცნიერული აზრი სძლევს ამ დაბრკოლებას, ის მიმართავს აბსტრაქციის მეთოდს, გამორიცხავს მუდმივ კაპიტალს. ეს სრულებით ბუნებრივია: «ის გარემოება, რომ ცნობილი ქიმიური პროცესისათვის საჭიროა რეტორტა და სხვა ჭურჭელი, სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ ანალიზის დროს მოვახდინოთ ამ რეტორტის აბსტრაქცია»[66]. მ ა რ ქ ს ი სწორედ «წმინდა სახით» იხილავს ღირებულების ცვალებადობას. «წარმოების საშუალებანი, მუდმივი კაპიტალის ეს მატერიალური ფორმები იძლევიან მხოლოდ მატერიას, რომელშიაც უნდა მოხდეს ღირებულების შემქმნელი სამუშაო ძალის ფიქსაცია»[67]. ამიტომ მ ა რ ქ ს ი სამართლიანად ასკვნის, რომ «პროცესის ანალიზი მისი წმინდა სახით» აუცილებლად მოითხოვს მოვახდინოთ განყენება, აბსტრაქცია კაპიტალური ღირებულების იმ ნაწილის, რომელიც წარმოადგენს მუდმივი კაპიტალური ღირებულების უბრალო აღდგენას. მოკლედ, ეს ანალიზი მოითხოვს «მუდმივი კაპიტალის გათანასწორებას ნულთან». ამით აშკარავდება დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის ნამდვილი დონე და ქრება კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოება ამ ძირეულ საკითხში. დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის ნამდვილ სურათს გამოხატავს სწორედ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, m-სა და v-ს მიმართება. «ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა არის სამუშაო ძალის კაპიტალის მიერ ანუ მუშის კაპიტალისტის მიერ ექსპლოატაციის დონის ზუსტად გამოთქმა»[69]. მ ა რ ქ ს მ ა, ამრიგად, ცხადჰყო დაქირავებელი ძალის ექსპლოატაციის დონის, სიძლიერის ნამდვილი სახე ზედმეტი ღირებუ-

[65] ibid გვ. 148.
[66] ibid. გვ. 149.
[67] ibid.
[68] ibid. გვ. 151.

ლების ნორმის კათეგორიის დადგენით და მეცნიერული დასაბუთებით.

ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მისი მასის მოძრაობათა მიმართება ემყარება შინაგან კანონზომიერებას. მარქსი აყენებს საშ კანონს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოგების ნორმის მოძრაობის კვლევა-ძიების დროს. «კაპიტალის» პირველ ტომში მარქსი ემყარება დებულებას: სამუშაო ძალა იყიდება მისი ღირებულების მიხედვით და ეს ღირებულება მოცემული სიდიდეა. იცვლება მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის სიდიდე და ზედმეტი ღირებულების ნორმა. პირველი კანონი გულისხმობს როგორც ცვალებადი კაპიტალის რაოდენობას, ისე ზედმეტი ღირებულების ნორმის სიდიდის გარკვეულობას—ორივე უცვლელია. ამ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მასის, რაოდენობის მიმართების პირველი კანონი გამოითქმება ორი ფორმულით: პირველი—ზედმეტი ღირებულების მასა (M) უდრის ცვალებად კაპიტალის რაოდენობას (V), გამრავლებულს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე (ვთქვათ—60%). მოკლედ, $M=\frac{m}{v}\times V$ [89]. მეორე—ზედმეტი ღირებულების მასა უდრის ცალკე სამუშაო ძალის ღირებულებას (k), გამრავლებულს ამ ძალის ექსპლოატაციის ხარისხზე $\left(\frac{a'}{a}\right)$, გამრავლებულს დაქირავებული ძალის ჯამსე (n)[90]. ამრიგად, კანონი შემდეგ ფორმულაში ყალიბდება[91]:

$$M=\begin{cases}\frac{m}{v}\times V\\ k\times\frac{a'}{a}\times n\end{cases}$$

ახლა დავუშვათ, მოგების მასა რჩება უცვლელი, იცვლება ცვალებადი კაპიტალის, ე. ი. დაქირავებული ძალის რაოდენობა და ამ

[89] აბსოლუტურ ციფრებში: დავუშვათ, ცვალებადი კაპიტალი, რომელიც ერთი მუშის ხელფასის სახით იხარჯება დღეში, უდრის 5 მან. ე. ი. მუშა დღეში ღებულობს 5 მან., ზედმეტი ღირებულება—3 მან. ცვალებადი კაპიტალი მთლიანად შეადგენს 100 მ. აქედან ფორმულა $M=\frac{m}{v}\times V$ ასე წარმოიდგინება: $M=\frac{3}{5}\times 100=60$. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა უდრის 60 მ.

[90] $k=5$ მან; $\frac{a'}{a}\left(\frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}\right)=60\%$, ანდა $\frac{3ს}{5ს}$; $n=20$. ფორმულა ახლა ასე იშლება:

$$M=5\times\frac{3}{5}\times 20=60.$$

მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა ამ შემთხვევაშიაც უდრის 60 მან.—60m-ს.

[91] Капитал, ტ. I, გვ. 224.

ძალის ექსპლოატაციის ხარისხი ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა. ამ შემთხვევაში მოგების მასა შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ ცვალებადი კაპიტალი მ ც ი რ დ ე ბ ა იმდენად, რამდენად ი ზ რ დ ე ბ ა ექსპლოატაციის ხარისხი, ანდა თუ ცვალებადი კაპიტალი ი ზ რ დ ე ბ ა იმდენად, რამდენად მ ც ი რ დ ე ბ ა ექსპლოატაციის ხარისხი ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა. ავიღოთ ჩვენი მაგალითი. M=60m. დავუშვათ, V შემცირდა ორჯერ, 20v-ს ნაცვლად გვაქვს 10v, ე. ი. 10 დაქირავებული მუშა. სამაგიეროდ ამავე ხარისხით გაიზარდა ექსპლოატაცია: $\frac{a^1}{a}$ ახლა უდრის არა 60%-ს ანუ $\frac{3}{5}$-ს (3—ზედმეტი დრო, 3ს., ხოლო 5—აუცილებელი დრო, 5ს.), არამედ ორჯერ გადიდებულს —120% ანუ $\frac{6}{5}$. წინეთ თუ თითო მუშა იძლეოდა 3m რვასაათიან სამუშაო დღეში, ახლა ეს დღე გ ა გ რ ძ ე ლ დ ა იმდენად, რომ ზედმეტი ღირებულების მასა ერთ მუშაზე მოდის არა 3m, არამედ—6m. ახლა სამუშაო დღე უდრის 11 საათს. გამოდის დასკვნა: M=6m×10=60m. ეს — პირველი ფორმულის თანახმად. ასევე მეორე ფორმულის მიხედვითაც, შედეგი იგივეა ამ შემთხვევაშიაც[92]. აქედან ვღებულობთ შემდეგ კანონს: «ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა კ ო მ პ ე ს ი რ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ა ს ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ნ ო რ მ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი გ ა დ ი დ ე ბ ი თ»[93]. აშკარაა, ექსპლოატაციის ნორმის პროპორციული გადიდება მოითხოვს სამუშაო დღის გადიდებას. სამუშაო დღის გადიდებას აქვს «საზღვარი, რომელსაც ის ვერ გადალახავს». მართლაც, დღე-ღამე მტკიცედაა განსაზღვრული 24 საათით. აქედან რამოდენიმე საათი, მინიმუმი 6 ს.

[92] სახელდობრ, ჩვენი მაგალითის მიხედვით: $\kappa=5, \frac{a^1}{a}=120\%$ ანუ $\frac{6}{5}$, n=10. მაშასადამე $M=5\times\frac{6}{5}\times10=60m$. ახლა დავუშვათ საწინააღმდეგო მოვლენა. ვქვათ, V გაიზარდა ორჯერ, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნორმა დ ა ე ც ა ამდენადვე. ამ შემთხვევაშიაც ზედმეტი ღირებულების მასა არ იცვლება. ახლა V=40, m ერთ მუშაზე=$1^1/_2$. ცხადია, $M=1^1/_2\times40=60m$. ეს პირველი ფორმულის მიხედვით. მეორე ფორმულა: $\kappa=5$ (ეს უცვლელი სიდიდეა—ხელფასი არ იცვლება წინასწარი მოფიქრების მიხედვით), $\frac{a^1}{a}=30\%$ ანუ $\frac{3}{10}$, n=40. მაშასადამე, $M=5\times\frac{3}{10}\times40=60m$ რისი დამტკიცებაც გვინდოდა [მკითხველს მოვაგონებთ, საილუსტრაციო მაგალითები ჩვენია. «კაპიტალში» მოყვანილია კ. კ ა უ ც კ ი ს სხვა მაგალითი (იხ. Капитал, ტ. I, გვ. 224—225)].

[93] ibid. გვ. 215. ხაზი ჩვენია.

მაინც, აუცილებელია სამუშაო ძალის აღსადგენად და ძალ-ღონის მოსაკრეფად, დასასვენებლად. ამას მოითხოვს ბიოლოგიური კანონი. მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის ანუ დაქირავებული ძალის რაოდენობის შემცირება უნდა მოხდეს ექსპლოატაციის ნორმის პროპორციული გადიდებით «მხოლოდ სამუშაო დღის ფიზიოლოგიური საზღვრის ჩარჩოებში»[94]. ასეთია ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მასის დამოკიდებულების მეორე კანონი. ამ კანონის გაგებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიურ კათეგორიათა შემდგომ ანალიზისათვის. კაპიტალისტის მიზანია ზედმეტი ღირებულების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წარმოება. «შემდეგში დავინახავთ, რომ ის განუწყვეტლივ ცდილობს ამავე დროს შესაძლებლობის მიხედვით შეამციროს ცვალებადი ნაწილი ანუ დაქირავებული მუშათა რიცხვი თავისი სარეწაოს სიდიდესთან შედარებით. ეს ორი ტენდენცია [ზედმეტი ღირებულების მასის გადიდება და ამავე დროს დაქირავებული ძალის, რომელსაც მოაქვს ეს ზედმეტი ღირებულება, შემცირება] ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაკი შეუძლებელი ხდება გაწონასწორება ერთი ფაქტორისა იმ ორი ფაქტორიდან, რომლებიც განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების მასას, მეორე ფაქტორის გადიდებით»[95]. გარეგნულად საოცარი ამბავი ხდება: იმის მაგიერ, რომ კაპიტალისტმა გაადიდოს დაქირავებული ძალის რიცხვი და ამით გაადიდოს ზედმეტი ღირებულების მასა resp. მოგების რაოდენობა, კაპიტალისტი მუდამ ცდილობს სწორედ შეამციროს ეს რიცხვი თავისი მუდმივი კაპიტალთან შედარებით. აქ მოცემულია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც შემთხვევითი არაა და განსაზღვრულია სწორედ ღირებულების კანონით. ამას ქვევით დავინახავთ. კლასიკური ეკონომიისათვის ეს ძირეული პრობლემა გაუგებარი დარჩა.

დაბოლოს, მესამე მეტად მნიშვნელოვანი კანონი. ის გულისხმობს როგორც სამუშაო ძალის ღირებულების უცვლელობას, ისე ზედმეტი ღირებულების ნორმის განსაზღვრულობასაც, უცვლელობას. იცვლება, მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის, დაქირავებული ძალის რაოდენობა. ამ შემთხვევაში «ღირებულების მასა ზედმეტი ღირებულების ჩათვლით, რომელსაც ანაღდებს კაპიტალისტი, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ექსპლოატირებულ მუშათა რაოდენობით, ხოლო ეს რაოდენობა თავის მხრივ დამოკიდებუ-

[94] ibid. გვ. 226.

[95] ibid.

ლია ავანსად გაღებულ ცვალებად კაპიტალის სიდიდეზე»[96]. ეს კანონი ადვილად გასაგებია. ჩვენ ვიცით, ღირებულებას ქმნის დაქირავებული შრომა. თუ სამუშაო ძალის ღირებულება და ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელია, როგორც ეს ახლა წარმოდგენილია, შექმნილი ღირებულების მასა—მასში იგულისხმება ზედმეტი ღირებულების მასაც—პირდაპირ პროპორციულია დაქირავებული ძალის რაოდენობასთან. «რადგან ღირებულება განაღდებული შრომაა, ღირებულების მასა, რომელსაც კაპიტალისტი აიძულებს აწარმოოს, აშკარაა, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ შრომის მასაზე, რომელსაც ის მოქმედებაში მოიყვანს»[97]. ღირებულების სიდიდე დახარჯული სამუშაო დროის ხანგრძლივობით ანუ შრომის რაოდენობით განისაზღვრება. შრომის ამ რაოდენობის განივთიერება პროდუქტში წარმოადგენს ახლად შექმნილი ღირებულების—plus ზდმეტი ღირებულება—მასას, მის რაოდენობას. აქ მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ მიიღება მხედველობაში, ის გამორიცხულია ანალიზიდან ღირებულების წარმოების განხილვის დროს. კაპიტალის ორგანიული შემადგენლობა სხვადასხვანაირია, მაშასადამე, სხვადასხვანაირია დაქირავებული ძალის რაოდენობაც. მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მიმართება «ერთი და იგივე დარგში წარმოებისა... იცვლება ტექნიკური საფუძვლისა და წარმოების პროცესის საზოგადოებრივ პირობათა ცვლასთან ერთად»[98]. მაშასადამე, დაქირავებული ძალის რაოდენობა ყველგან სხვადასხვანაირია და ყველგან იქმნება ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა მასა. მუდმივი კაპიტალის ღირებულება შედის პროდუქტის ღირებულებაში, მაგრამ ის არ წარმოადგენს ახალ ღირებულებას, ის გადატანილია მხოლოდ. ახალი ღირებულება წარმოდგენილია ფორმულით: v+m. აქ კაპიტალის ორგანული შემადგენლობა არავითარ შუაშია. ახლადშექმნილი ღირებულების მასის—ზედმეტი ღირებულების ჩათვლით—რაოდენობა სრულებით არ არის დამოკიდებული კაპიტალის ორგანულ შემადგენლობაზე, ე. ი. იმ მიმართებაზე, რომელიც არსებობს v-სა და c-ს შორის, დაქირავებული ძალის საჭირო ღირებულებასა და წარმოების საშუალებათა ღირებულების შორის, რადგან მუდმივი კაპიტალი «არ ღებულობს მონაწილეობას ახალი ღირებულების შექმნაში». ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ გადაჭრით: «სხვადასხვა კაპიტალის მიერ შექმნილი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულე-

[96] Капитал, ტ. I, გვ. 226—227.

[97] ibid. გვ. 226.

[98] ibid. გვ. 227.

ბის მასა, სამუშაო ძალის მოცემულ ღირებულებისა და ექსპლოატაციის ერთნაირ ხარისხის დროს, პირდაპირ პროპორციულია ამ კაპიტალების ცვალებადი შემადგენელი ნაწილების რაოდენობასთან, ე. ი. მათ შემადგენელ, სამუშაო ძალად გარდაქმნილ ნაწილებთან»[99]. ასეთია საბოლოო სახით, მესამე კანონი. გარეგნულად ეს კანონი ეწინააღმდეგება სინამდვილეს. სავსებით უტვინო კაპიტალისტმაც კი იცის, რომ ის თავის კაპიტალზე იმაზე მეტ მოგებას resp. ზედმეტ ღირებულებას არ მიიღებს სამუშაო ძალის რაოდენობის გაორკეცებით, რასაც ღებულობს მეორე, მასზე არა ნაკლებად უტვინო კაპიტალისტი ამავე რაოდენობის კაპიტალზე, დაქირავებული ძალის სულ უმნიშვნელო რაოდენობის დროს. ამას ამტკიცებს «მოვლენათა გარეგნული მოჩვენება» და იქმნება მოჩვენებითი წინააღმდეგობის ილუზია, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა ადამ სმიტი და, საერთოდ, მთელი პოლიტიკური ეკონომია მარქსამდე. ამ შეცდომამ იმსხვერპლა რიკარდოს სკოლაც. რიკარდო შეეცადა «ძალდატანებითი აბსტრაქციით» ღირებულების კანონის დაცვას, ღირებულებისა და მისი გამოვლენის შორის არსებული წინააღმდეგობის მოსპობას, ამ წინააღმდეგობის მეცნიერულად მოხსნის ნაცვლად. ამას ჩვენი შრომის მეორე ნაწილში გავეცნობით.

ამრიგად, რაობა და მოვლენა მოცემულია წინააღმდეგობათა მთლიანობის ფორმაში. რაობაა ზედმეტი ღირებულება, ის სამი კანონი, რომელიც ესაა გავარკვიეთ. მოვლენა ეწინააღმდეგება რაობას, მოგება—ღირებულების კანონს. სინამდვილის ზედაპირზე ვხედავთ, მოგება resp. ზედმეტი ღირებულება დამოკიდებულია არა v-ს რაოდენობასა და $\frac{a^1}{a}$-ზე, როგორც მარქსი მეცნიერულად ცხადყოფს, არამედ ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე, როგორც ამას ადამ სმიტი გულუბრყვილოდ ამტკიცებს. რაობა სინამდვილეში უშუალოდ არასოდეს არ გვევლინება. შინაარსი ყოველთვის გულისხმობს ფორმას, უფორმო შინაარსი შეუძლებელია ისევე, როგორც უშინაარსო ფორმა ობიექტურ სინამდვილეში. მატერია მოძრაობაშია წარმოდგენილი, მოძრაობა მატერიის არსებობის წესია, მატერია მოძრაობაა. ზედმეტი ღირებულება რაობაა, ხოლო მოგება—მოვლენა, ზედმეტი ღირებულების გამოვლენის ფორმა. ობიექტურ სინამდვილეში რაობა და მოვლენა მოცემულია არა მეტაფიზიკურ დაპირისპირებასა და აბსოლუტურ გამორიცხვაში, არამედ წინააღმ-

[99] ibid. ხაზი მარქსისაა.

დეგობათა დიალექტიკურ მთლიანობაში. მოვლენისა და რაობის მთლიანობის საფუძველია ორივე კათეგორიის ობიექტური ხასიათი. მათი სხვაობა, მარქსის ენაზე რომ ვთქვათ, რაობის სხვაობაა და არა არსებობის სხვაობა. მოგება, როგორც მოვლენა, ობიექტურია, ის რაობის—ზედმეტი ღირებულების—გამოვლენის ობიექტური ფორმაა. აქედან ამთავითვე ირკვევა, რომ შეუძლებელია ზედმეტი ღირებულებისა და მოგების მეტაფიზიკური დაპირისპირება, მათ მიერ ერთმანეთის აბსოლუტური გამორიცხვა, როგორც ამას ვხედავთ ადამ სმიტის თეორიაში. ახლა ჩვენ უკვე მოგების, მოვლენათა სფეროში შევიჭერით.

როგორც დავინახეთ, მარქსი დაადგა მეცნიერული აბსტრაქციის საიმედო გზას და ზედმეტი ღირებულების ნორმის კვლევის პროცესში მოახდინა მუდმივი კაპიტალის განყენება. ამით გამოაშკარავდა ობიექტური ჭეშმარიტება: გამოირკვა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნამდვილი ხარისხი და კაპიტალისტური სიმდიდრის ერთად ერთი წყაროს ნამდვილი ბუნება, ამ წყაროს სიდიდე და მოქმედების სიძლიერე. იბადება კითხვა: რას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ არ მოვახდინეთ მუდმივი კაპიტალის აბსტრაქცია და ზედმეტი ღირებულების ნორმის განსაზღვრაში, ზედმეტი ღირებულებისა და ცვალებადი კაპიტალის მიმართებაში მუდმივი კაპიტალიც ჩავურიეთ? პასუხი ნათელია: შეუძლებელი გახდება დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის ნამდვილი ნორმის გამორკვევა, დაიჩრდილება ეს ექსპლოატაცია. მოხდება სწორედ ის, რასაც თავგამოდებით იცავს და ამტკიცებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. მაშინ მივიღებთ არა ზედმეტი ღირებულების ნორმის ფორმულას: $\frac{m}{v}$, მივიღებთ ახალ ფორმულას, ახალ შინაარსის გამომხატველს, სახელდობრ: $\frac{m}{c+v}$. როგორც ვხედავთ, ამ ფორმულით ახალი მიმართებაა გამოთქმული: აქ მოცემულია ზედმეტი ღირებულების შეფარდება როგორც ცვალებად, ისე მუდმივ კაპიტალთან, მოკლედ—მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან. რასაკვირველია, ახლა ნორმა ძალზე მცირდება გამყოფის ძლიერი გადიდებით. ეს ფორმულა უკვე არ გამოხატავს ზედმეტი ღირებულების ნორმას მის ბუნებრივ ფორმაში, ეს ფორმულა აბნელებს დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის სურათს. აი, სწორედ ამ ფორმულით გამოთქმულია ის ეკონომიური კათეგორია, რომელიც ეკონომიური სინამდვილის ზედაპირზე უშუალოდ გვეევლინება—მოგების ნორმა. მაშასადამე, მოგება არის ზედმეტი ღირებულება, წარმოდგენილი მთელი ავანსად გაღებული კაპიტალის ნაყოფად, სხვანაირად—ზედმეტი ღირებულების დამახინჯებული, სახეცვლილი

ფ ო რ მ ა. როგორც ვხედავთ, მოგების მთელი საიდუმლოება მ ა რ ქ ს ი ს «კონების ფიზიკური ღონით» აშკარად გამოიჩკვა. უფრო ახლოს გავეცნოთ საქმის ვითარებას.

სასაქონლო ღირებულება შედგება სამი ელემენტისგან: კაპიტალის მუდმივ და ცვალებად ნაწილებისგან plus ზედმეტი ღირებულება. ამას გამოხატავს ფორმულა: ს=c+v+m. საქონლის წარმოებაში კაპიტალისტს დახარჯული აქვს მხოლოდ წარმოების საშუალებათა ღირებულება და დაქირავებული ძალის ღირებულება. ეს შეადგენს ავანსად გაღებულ კაპიტალს, c+v, სხვანაირად—კაპიტალისტური წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ებ ს. ეს არ არის საქონლის ს რ უ ლ ი ღირებულება, რადგან მასში არაა მოცემული ზედმეტი ღირებულება. ფორმულა c+v გამოხატავს საქონლის ღირებულებას კაპიტალისტისთვის, საქონელი კაპიტალისტს უღირს სწორედ c+v. მას გონია, რომ საქონლის ღირებულება ამ ფორმულით გამოთქმულია სრულად. ნამდვილად ეს ასე არ არის. ეს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების ხარჯებია, ე. ი. წარმოადგენს ავანსად გაღებულ კაპიტალს. ზედმეტი ღირებულება ამაში არ შედის. ამიტომ საქონლის წარმოების ხარჯები ნ ა კ ლ ებ ი ა საქონლის სრულ ღირებულებაზე. განსხვავება წარმოდგენილია ზედმეტ ღირებულებაში. აღვნიშნოთ წარმოების ხარჯები ასოთი k, რომელიც უდრის, მაშასადამე, c+v. ახლა საქონლის სრული ღირებულება შეიძლება ასე გამოითქვას: ს=k+m, საქონლის წარმოების ხარჯები კი: k=ს—m. აქედან ჩანს, რომ «ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს უწინარეს ყოელისა საქონლის ღირებულების ნამატს მისი წარმოების ხარჯებზე»[100]. სხვანაირად, ზედმეტი ღირებულება გ ვ ე ვ ლ ი ნ ებ ა ავანსად გაღებული მ თ ე ლ ი კაპიტალის ნამატად: (c+v)+m, ანდა, რაც იგივეა, k+m. ფორმულა (c+v)+m გულისსმობს, რომ ზედმეტი ღირებულება (m) თანაბრად წარმოიშობა როგორც v-სგან, ისე c-სგან. კაპიტალისტმა ავანსად გაიღო c+v და წარმოების პროცესიდან გამოვიდა (c+v)+m. წარმოების პროცესში მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი შეადგენს მთლიანობას და ამ მთლიანობის ანტაგონისტური ხასიათი მაინც არ იძლევა კაპიტალის ამ ორი სხვადასხვა ნაწილის გარჩევის საჭიროებას. კაპიტალისტმა გაიღო c+v და ის მოელის მოგებას მთლიანად ამ კაპიტალზე. ახლა საქმე ისე «წარმოიდგინება, ვითომც ზედმეტი ღირებულება თანაბრად წარმოიშობა კაპიტალის ღირებულების სხვადასხვა შემადგენელ ელემენტისგან, რომლებიც დახარჯულია წარმოების საშუალებებსა და შრომაზე: აკი ეს ელემენტები ერთნაირად მონაწილე-

[100] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 9.

ობს წარმოების ხარჯების შეკმნაში»[101]. ამიტომ კაპიტალისტური მწარმოებელი ემყარება ფორმულას: (c+v)+m და არა c+(v+m). ამ ფორმულებს შორის ძირეული განსხვავებაა: პირველი ფორმულის მიხედვით m წარმოდგენილია მთელი ავანსად გაღებული კაპიტალის ნამატად, ხოლო მეორე ფორმულის თანახმად m მხოლოდ v-ს ნამატია, რაც სინამდვილეს შეიცავს. ეს სინამდვილე მახინჯდება და იქმნება შთაბეჭდილება, ვითომც ზედმეტი ღირებულების წყაროა მთელი ავანსად გაღებული კაპიტალი და არა მისი ცვალებადი ნაწილი. ახლა ზედმეტი ღირებულება წარმოების ხარჯების ნამატადაა წარმოდგენილი. «ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი მ თ ე ლ ი ა ვ ა ნ ს ა დ გ ა ღ ე ბ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ნ ა ყ ო ფ ა დ, ღ ე ბ უ ლ ო ბ ს მ ო გ ე ბ ი ს ს ა ხ ე ც ვ ლ ი ლ ფ ო რ მ ა ს»[102]. აღვნიშნოთ მოგება ასოთი p (სიტყვა Profit-იდან). ახლა საქონლის ნამდვილი ღირებულების ფორმულა: ს=c+v+m=k+m იქცევა ფორმულით: ს=(c+v)+p, მოკლედ k+p, ანდა, როგორც მ ა რ ქ ს ი ასკვნის, «საქონლის ღირებულება=წარმოების ხარჯებს+მოგება». როგორც ვხედავთ, საქონლის ნამდვილი ღირებულება ბურუსში გაეხვია, ხოლო ზედმეტი ღირებულება მოგების დამახინჯებულ, სახეცვლილ ფორმაში მოგვევლინა. ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ო გ ე ბ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ა.

მაშასადამე, მოგების საიდუმლოება უკვე გამოაშკარავდა, მოგების ბუნება გამოირკვა. აქ «მოგება იგივეა, რაც ზედმეტი ღირებულება, მაგრამ მხოლოდ დაბნელებულ ფორმაში, რაც აუცილებლად წარმოდგება წარმოების კაპიტალისტურ წესიდან»[103]. სხვანაირად: «მ ო გ ე ბ ა ა რ ი ს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ც ვ ლ ი ლ ი ფ ო რ მ ა, ფ ო რ მ ა, რ ო მ ე ლ შ ი ა ც მ ი ს ი წ ა რ მ ო შ ო ბ ა დ ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა დ ა ჩ რ დ ი ლ უ ლ ი ა დ ა წ ა შ ლ ი ლ ი... მ ო გ ე ბ ა ა რ ი ს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ს ფ ო რ მ ა»[104]. მოგება «მისტიური გარსია», რომელშიაც ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი ახვევენ ზედმეტ ღირებულებას და ჩრდილავენ, აბნელებენ დაქირავებული ძალის ნამდვილ ექსპლოატაციას. პირიქით, «ზედმეტ ღირებულებაში ურთიერთობა კაპიტალსა და შრომას შორის ვაშიშვლებულია». მოგება ბურუსში ახვევს ზედმეტ ღირებულებას, «ანალიზის საშუალებით შესაძლებელია უკანასკნელის გამოცნობა პირველიდან». ამრიგად, მოგება «არის თვით

[101] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 10.

[103] ibid.

[102] ibjd. გვ. 11.

[104] ibid. გვ. 20. ხაზი ჩვენია.

ზედმეტი ღირებულების მხოლოდ მეორე გამოთქმა, რომელიც [ზედმეტი ღირებულება] აღებულია მთელი კაპიტალის მიმართ და არა მხოლოდ ცვალებად კაპიტალის მიმართ, საიდანაც ის წარმოიშობა»[105]. ასეთია მოგება, როგორც ეკონომიური კათეგორია.

მოგება ზედმეტი ღირებულებიდან წარმოდგება, უკანასკნელის გამოვლენის, გამოაშკარავების ფორმაა. მოგების გაგება შესაძლოა მხოლოდ ზედმეტი ღირებულების გაგებით. მაგრამ როგორ გამოიყვანება მოგება ზედმეტი ღირებულებიდან? «ზედმეტი ღირებულების გადაქცევა მოგებად უნდა იქნას გამოყვანილი ზედმეტი ღირებულების ნორმის მოგების ნორმად გადაქცევიდან და არა პირიქით»[106]. ისტორიულად მოგების ნორმის ცნება წინ უსწრებდა ზედმეტი ღირებულების ცნებას. მოგების ნორმა ეკონომიური სინამდვილის ზედაპირია, მოვლენა. მოგების ნორმა ყოველთვის «აშკარავდება მოვლენათა ზედაპირზე». ზედმეტი ღირებულების ნორმის მოგების ნორმად გადაქცევიდან აშკარავდება ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალისტურ მოგებად. ახლა გავეცნოთ, რას წარმოადგენს მოგების ნორმა.

ზედმეტი ღირებულება არის ცვალებადი კაპიტალის ნამატი, სხვანაირად—ესაა საქონლის ნამდვილი ღირებულების ნამატი საქონლის წარმოების ხარჯებზე (m=ს—k). მოგება, პირიქით, წარმოდგენილია მთელი ავანსად გაღებული კაპიტალის ნამატად. ზედმეტი ღირებულების ნორმა მდგომარეობს ზედმეტი ღირებულების მიმართებაში ცვალებად კაპიტალთან—$\frac{m}{v}$, მოგების ნორმა კი—ზედმეტი ღირებულების მიმართებაა მთელ კაპიტალთან—$\frac{m}{c+v}$. ავანსად გაღებულ კაპიტალს თუ აღვნიშნავთ ასოთი K (Kapital), მოგების ნორმის (p^1) ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს: $p^1 = \frac{m}{K}$. აქედან გამომდინარეობს მტკიცე დებულება: «ზედმეტი ღირებულების რაოდენობა აღებული ცვალებადი კაპიტალთან მიმართებაში იწოდება ზედმეტი ღირებულების ნორმად; ზედმეტი ღირებულების რაოდენობა აღებული მთელ კაპიტალთან მიმართებაში იწოდება მოგების ნორმად. ეს—ორი სხვადასხვა საზომია ერთი და იგივე სიდიდის, რომლებიც მასშტაბის სხვადასხვაობის გამო გამოხატავენ ამავე დროს

[105] ibid. გვ. 158.

[106] ibid. გვ. 16.

სხვადასხვა პროპორციას ანდა მიმართებას ერთი და იგივე სიდიდის»[107]. ან კიდევ: «თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ცნობილია და მისი სიდიდე მოცემულია, მაშინ მოგების ნორმა გამოხატავს იმას, რაც არის ის სინამდვილეში: ზედმეტი ღირებულების სხვანაირი გაზომვას, მის გაზომვას მთელი კაპიტალის ღირებულებით და ღირებულებით კაპიტალის იმ ნაწილისა, საიდანაც და რომლის გაცვლით შრომაზე ეს ზედმეტი ღირებულება უშუალოდ წარმოდგება»[108]. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ნორმები სხვადასხვანაირად გამოთქვამენ ერთი და იგივე სიდიდის—ზედმეტი ღირებულების—მიმართებას: პირველი შეიცავს $\frac{m}{v}$, ცხადყოფს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნამდვილ სურათს, მეორე გამოხატავს $\frac{m}{K}$, აბნელებს ამ ექსპლოატაციას, უმნიშვნელოდ ხდის მის ხარისხს. ვთქვათ, მოცემულია კაპიტალური ღირებულების შემდეგი შემადგენლობა: 60c+20v+20m. აქ ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 100%-ს, ხოლო მოგების ნორმა კი 25%. კაპიტალისტს, რასაკვირველია, სრულებით არ აინტერესებს $\frac{m}{v}$, პირიქით, ის დაინტერესებულია ამ მიმართების დაბნელებაში. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების მიმართება «კაპიტალის განსაკუთრებულ ნაწილებთან და მისი შინაგანი კავშირი ამ ნაწილებთან არამც თუ არ აინტერესებს კაპიტალისტს, მისი ინტერესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა ნისლში გახვეულ იქნას ეს განსაზღვრული მიმართება და ეს შინაგანი კავშირი»[109]. ამას ემსახურება სწორედ მოგების ნორმა, რომელიც მართლაც ბურუსში ახვევს შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას.

როგორია ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის მოძრაობათა ურთიერთობა? ეს მეტად ძნელი პრობლემაა, რომლის გადაჭრაში თეორიული ეკონომია მხოლოდ მარქსის გენიოსური გონებას უნდა უმადლოდეს. მოგების ერთი და იგივე ნორმა შეიძლება გამოხატავდეს ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმას, და პირიქით. ამაშია სწორედ პრობლემის მთელი სიძნელე, რომელმაც რიკარდოს ფეხი წაამტვრევინა. «უნაყოფოა მოგების ნორმის კანონების უშუალოდ ზედმეტი ღირებულების ნორმის კანონე-

[107] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 16. აგრ. გვ. 20.

[108] ibid. გვ. 19.

[109] ibid. გვ. 16.

ბად ანდა პირიქით წარმოდგენის ცდა»[110]. მ ა რ ქ ს ი ამტკიცებს: «ზედმეტი ღირებულების მოგებად გადაქცევა განისაზღვრება როგორც მიმოქცევის პროცესით, ისე წარმოების პროცესით... მოგების ნორმა წესრიგდება საკუთარი კანონებით, რომლებიც შესაძლებელს ხდის და განსაზღვრავს კიდეც მის მოძრაობას, ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობის მიუხედავად. ყველაფერი ეს უფრო და უფრო აბნელებს ზედმეტი ღირებულების ბუნებას, და ამიტომ კაპიტალის ნამდვილ მექანიზმსაც»[111]. მოგების ნორმის მოძრაობა უ შ უ ა ლ ო დ ზედმეტი ღირებულების ნორმის მოძრაობაზე არაა დამოკიდებული, მას გააჩნია საკუთარი კანონები, რომლებიც გასაგები ხდება სწორედ ღირებულების კანონის საფუძველზე და არა ამ კანონის უარყოფით. მოგების ნორმის მოძრაობის კანონის ეს რელატივური დამოუკიდებლობა ძალაში რჩება იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება «გამოხატავს სიდიდეს, რიცხვობრივადაც განსხვავებულს ზედმეტი ღირებულებისგან»[112]. მოგებისა და ზედმეტი ღირებულების ეს რიცხვობრივი და არა მარტო შეფარდებითი განსხვავება იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ზედმეტი ღირებულება იშლება სხვადასხვა «დაქვემდებარებულ ფორმებად», როგორიცაა მაგალითად რენტა და პროცენტი. კაპიტალისტურ წარმოებაში, რასაკვირველია, ზედმეტი ღირებულება აუცილებლად ნაწილდება ამ დაქვემდებარებულ ფორმებად: ზედმეტი ღირებულების ნაწილს ითვისებს მსხვილი მიწათმფლობელი, ფულადი კაპიტალის მესაკუთრე, სახელმწიფოებრივი მანქანა გადასახადების სახით. ასეთ პირობებში მოგება და ზედმეტი ღირებულება სიდიდით სხვადასხვაობას წარმოადგენს აუცილებლად. ეს გარემოება უფრო ართულებს ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის, ფორმულის ენაზე—m^1 და p^1 მოძრაობათა მიმართების პრობლემას. ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება ზედმეტი ღირებულების ნორმიდან მოგების ნორმის უ შ უ ა ლ ო დ გამოყვანა, და პირიქით. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მთელი რიგ შ უ ა ლ ო ბ ი თ ი მომენტის მეცნიერულ ანალიზს. ამ შემთხვევაშიაც საჭიროა «მრავალი შუალობითი რგოლი, როგორც ელემენტარულ ალგებრაში საჭიროა მრავალი შუალობითი რგოლი იმის გასაგებად, რომ % შეიძლება წარმოადგენდეს ნამდვილ სიდიდეს»[113]. ამიტომ მ ა რ ქ ს ი ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ნორმათა მიმართების

[110] ibid. გვ. 18. ხაზი ჩვენია.

[111] Капитал, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 298.

[112] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 20.

[113] Капитал, ტ. I, გვ. 227.

ანალიზს იწყებს კვლევა-ძიების დიალექტიკური წესის მიხედვით: მარქსი იწყებს შედარებით მარტივი მომენტით, ანალიზის საგნად იხდის მოვლენას წმინდა სახით და ამ მეცნიერული აბსტრაქციის გზით გადადის რთულზე, მოვლენათა კომპლექსზე და ააშკარავებს მის იმანენტურ კანონებს. დასმული პრობლემის კვლევა-ძიების ამ საფეხურზე მარქსი გამოდის წინასწარი დებულებიდან: ზედმეტი ღირებულება და მოგება თანასწორი სიდიდეებია, მათი რიცხვობრივი გამოთქმა ერთნაირია, განსხვავებაა მათი შეფარდებითი გამოხატვაში, ნორმებში. შემდეგ, ფულის ღირებულება იგულისხმება უცვლელი, კაპიტალის ბრუნვა აბსტრაქტულად გამორიცხულია, შრომის ნაყოფიერება მოცემული სიდიდეა, ასევე მოცემულია სამუშაო დღის ხანგრძლივობა, შრომის ინტენსივობა, ხელფასის რაოდენობა. ასეთია პრობლემის გადაწყვეტის წინასწარი პირობა. ეს მეთოდი აუცილებელია პრობლემის «გამარტივებისთვის», როგორც ამბობს მარქსი.

აქ მიღწეული ანალიტიკური კვლევა-ძიების შედეგი მდგომარეობს შემდეგში: $\frac{m}{v} = m'$. ჩვეულებრივ ენაზე ეს ნიშნავს: ზედმეტი ღირებულების მასა გაყოფილი ცვალებად კაპიტალზე შეადგენს ზედმეტი ღირებულების ნორმას. ზედმეტი ღირებულების მასა, წინასწარი დაშვების თანახმად, მოცემული რაოდენობაა და მოგების აბსოლუტური სიდიდე თანაბარია მისი. ამ ფორმულიდან გამოიყვანება მოგების მასის ფორმულა: $m = m'v$. თუ ამავე m აიღებთ არა მარტო ცვალებადი, არამედ მთელი ავანსად გაღებული კაპიტიალს მიმართებაში, მივიღებთ, როგორც ვიცით, მოგების ნორმას: $p^1 = \frac{m}{K}$. ზედმეტ ღირებულების მასა (m) აქ გაყოფილია მთელ კაპიტალზე (K, რაც იგივეა: $c+v$). მაგრამ ზედმეტი ღირებულების მასა ჩვენ ეასა გამოვხატეთ ფორმულით: $m = m^1v$. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა გამრავლებული ცვალებად კაპიტალზე იძლევა ზედმეტი ღირებულების მასას. ასე რომ m და m^1v თანაბარი სიდიდეა, პირველის ნაცვლად შეგვიძლია მეორე ვიხმაროთ. ამიტომ ფორმულა $p^1 = \frac{m}{K}$ შეიძლება სხვანაირადაც გამოვთქვათ: m-ს მაგიერ m^1v ჩავსვათ, ამით ფორმულის შინაარსი უცვლელი რჩება. ახლა მოგების ნორმა ასე წარმოიდგინება: $p^1 = \frac{m^1v}{K} = m^1\frac{v}{K}$. მაშასადამე, მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმას გამრავლებულს ცვალებადი და მთელი ავანსად გაღებული კაპიტალის ნაწევარზე, ფორ-

ძულის ენაზე: $p^1 = m^1 \frac{v}{K}$. აქ იგულისხმება, რომ ამ ფორმულის თითოეული წევრი უცვლელი სიდიდეა. ნამდვილად კი ისინი ცვალებადი სიდიდეებია და უნდა გამოირკვას, მაშასადამე, ეს ფორმულა მის მოძრაობაში. მარქსი გამოყოფს ნაწარმოებიდან ორივე მწარმოებელს—m^1 და $\frac{v}{K}$ და იხილავს ყველა შესაძლებელ ხუთ შემთხვევას. ჩვენ ვერ შევუდგებით აქ მარქსის მიერ ჩატარებულ ანალიტიკური მუშაობის შედეგების გადმოცემას. საკმარისია აღვნიშნოთ ზოგადი დასკვნა, რომელიც მარქსის გენიოსური კვლევა-ძიებიდან გამომდინარეობს. მარქსი ასკვნის: «ამრიგად, ხუთივე შემთხვევიდან გამომდინარეობს, რომ მოგების ნორმის ზრდა შესაძლებელია ეთანაბრებოდეს ზედმეტი ღირებულების ზრდას ან შემცირებას, მოგების ნორმის შემცირება—ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას ან შემცირებას, ხოლო მოგების ნორმის უცვლელი ნორმა—ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას ან შემცირებას»[114]. ზედმეტი ღირებულების მასისა და მოგების მასის თანასწორობის დროს «მოგების ნორმა განისაზღვრება ორი უმთავრესი ფაქტორით: ზედმეტი ღირებულების ნორმით და კაპიტალის შემადგენლობით ღირებულების მიხედვით»[115]. სხვანაირად: «მოგების ნორმის გადიდება ყოველთვის იმითაა გამოწვეული, რომ ზედმეტი ღირებულება იზრდება შეფარდებით ანდა აბსოლუტურად მისი წარმოების ხარჯებთან შედარებით, ე. ი. მთელი ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდესთან შედარებით, სხვა სიტყვებით, იმის გამო, რომ განსხვავება მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმას შორის მცირდება»[116]. მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების მიმართებაა მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან. ფორმულა: $p^1 = \frac{m}{c+v}$ შეიცავს p^1 გადიდების ან შემცირების სხვადასხვა შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც m უცვლელია. ვთქვათ, შეიცვალა მხოლოდ c, ის გაიზარდა ან შემცირდა. აშკარაა, ამით გაიზრდება ან შემცირდება p^1, მოგების ნორმა. დავუშვათ, შემცირდა v, აშკარაა გაიზრდება p^1. ზედმეტი ღირებულების მასა ყველა შემთხვევაში უცვლელია, მაგრამ მოგების ნორმა იცვლება. ეს დასკვნა გამოდის ამ ფორმულის უბრალო მათემატიკური მანიპულიაციიდან. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ეწევა მუდ-

[114] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 38. შეად. გვ. 73.

[115] ibid. გვ. 39.

[116] ibid. გვ. 98, აგრეთვე გვ. 96.

მივი და ცვალებადი კაპიტალის ეკონომიას და ამით ადიდებს მოგების ნორმას ზედმეტი ღირებულების მასის უცვლელად დატოვების დროს. ავიღოთ მაგალითი: $\frac{10m}{30c+10v}$. აქ $p^1=25\%$. ვთქვათ, გადიდდა მუდმივი კაპიტალი 10c-თი, მივიღებთ: $p^1=\frac{10}{50}=20\%$. ასევე იმ შემთხვევაში, თუ იცვლება ცვალებადი კაპიტალი. ამიტომ კაპიტალისტი ეწევა მუდმივი კაპიტალის სასტიკ ეკონომიას და უფრო სასტიკ, მხეცურ ეკონომიას ეწევა ცვალებადი კაპიტალის, ხელფასის, დაქირავებული ძალის რაოდენობის[117]. ავიღოთ ახლა მოგების ნორმის მეორე ფორმულა: $p^1=m^1\frac{v}{K}$. აქედან აშკარაა, რომ ზედმეტი ღირებულების არა მარტო მასის, არამედ ნორმის უცვლელობის პირობებში მოგების ნორმა შეიძლება შეიცვალოს $\frac{v}{K}$—ში მომხდარ ცვლილებებით. ეს შემთხვევაც ადვილად გასაგებია უბრალო მათემატიკური მანიპულიაციით. ამავე დროს აქედან ჩანს, რომ $\frac{v}{K}$ უცვლელობის პირობებში p^1 იცვლება m^1 ცვლილებით პირდაპირ პროპორციულად. ფაქტი ფაქტად რჩება: ამრიგად, მოგების ნორმა «შეიძლება შეიცვალოს—აიწიოს ან დაიწიოს—ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობის დროს»[118], და პირიქით. კაპიტალისტურ მწარმოებელს «პრაქტიკულად აინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ მოგების ნორმა», ამიტომ მოგების ნორმის ცვალებადობა ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობის მიუხედავად «აუცილებლად აბნელებს», მისტიურ გარსში ახვევს ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ბუნებას.

ამრიგად, ზედმეტი ღირებულების მასის უცვლელობის დროს მუდმივი კაპიტალის ეკონომია იწვევს მოგების ნორმის ზრდას. «რამდენად ნაკლებია ხარჯები მუდმივ კაპიტალზე, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის წარმოებისათვის, იმდენად მეტია ზედმეტი ღირებულების ეს მიმართება მთელი ავანსად გაღებული კაპიტალთან, მაშასადამე, ამდენად მაღალია მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების მოცემულ სიდიდის დროს»[119]. ეს იცის პრაქტიკულად თითოეულმა კაპიტალისტმა. იქმ-

[117] ამის ანალიზს მარქსი იძლევა: Капитал, ტ. III, ნაწ. 1, თავი V.

[118] ibid.

[119] Теории etc. ტ. I, გვ. 124.

ნება შთაბეჭდილება, ვითომცდა მოგების ნორმის გადიდების წყარო მუდმივი კაპიტალია ისევე, როგორც ცვალებადი კაპიტალი. მეორე მხრივ, ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის პირობებში ცვალებადი კაპიტალის შემცირება, ე. ი. დაქირავებული ძალის რაოდენობის შემოკლება იწვევს მოგების ნორმის არა შემცირებას, არამედ—პირიქით—მის ზრდას. ეს გარემოება უკვე ექვის ნატამალსაც არ ტოვებს ბურჟუაზიული ეკონომისტის აზროვნებაში და ქმნის ილუზიას, რომ მოგების წყარო მარტო დაქირავებული შრომა არაა, მაშასადამე, შრომა როდია ღირებულების სუბსტანცია. ეს ილუზია ბატონობდა მარქსამდე. ახლა ამ ილუზიის ტყვეობაში მხოლოდ ბურჟუაზიული ეკონომიური აზროვნება იმყოფება.

მოგების ნორმის მოძრაობას იწვევს აგრეთვე სხვა გარემოებაც, სხვა არა ნაკლებად მნიშვნელოვანი პირობები. ასეთია კაპიტალის ბრუნვის პერიოდი, ფასების მოძრაობის გავლენა და სხვა. სმიტი არ არკვევს ამ საკითხებს, მის დროს კაპიტალის ბრუნვის მოგებაზე გავლენის პრობლემა არ იყო წამოყენებული მწვავედ. ამ პრობლემის გადაჭრას შეუდგა რიკარდო, რომელმაც მიზანს ვერ მიაღწია არსებითად. კაპიტალის ბრუნვის გავლენას მოგების ნორმაზე განვიხილავთ, როდესაც რიკარდოს თეორიის განხილვას შეუდგებით. აქ კი გამოვარკვიოთ მოგების საშუალო ნორმა და მისი დაცემის ტენდენცია—პრობლემა, რომელიც დასვა სმიტმა და ვერ გადაჭრა. სმიტის თეორიაში მოგების საშუალო ნორმა წარმოდგენილია ფეტიშად, ხოლო მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია შემჩნეულია ემპირულად.

ყოველივე მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ წინამძღვარს შეადგენს ანალიზის საგნის განთავისუფლება შემთხვევით, არა დამახასიათებელ მომენტებისგან, უნდა მოხდეს მათი განყენება განსახილველი ობიექტის წმინდა სახით წარმოდგენისათვის. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მოცემული სინამდვილის იმანენტური კანონების აღმოჩენა და მეცნიერულად გაშუქება. მეცნიერულ კვლევა-ძიების სფეროში «საზოგადოდ ყოველთვის იგულისხმება, რომ ნამდვილი მიმართებანი ყოველთვის ეთანაბრებიან თავიანთ ცნებას, ანდა, რაც იგივეა, ნამდვილი მიმართებანი გამოიხატებიან მხოლოდ იმდენად, რამდენად ისინი გამოხატავენ თავიანთ საერთო ტიპს»[120]. ეს მეცნიერულ-აბსტრაქტული და ამავე დროს უაღრესად კონკრეტული მეთოდი მოგების საშუალო ნორმის პრობლემის გარკვევაშიაც მოითხოვს «ნამდვილ მიმართებათა» «თავიანთ ცნებასთან» გათანაბრებას

[120] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 100.

და მათი «საერთო ტიპის» მოხაზვას. ამიტომ ახლა იგულისხმება, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა—დაქირავებული ძალის ექსპლოატაცია—და სამუშაო დღის სიდიდე წარმოების ყველა დარგში, ყველა კაპიტალისტურ საწარმოში უცვლელია, ხოლო ყველა დანარჩენი ელემენტი იცვლება.

როგორც უკვე ვიცით, კაპიტალების ორგანული შემადგენლობა კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა სფეროში და თვით ამ სფეროთა შიგნით სხვადასხვანაირია. კაპიტალის ორგანული შემადგენლობა გამოხატავს კაპიტალის «აქტიურ და პასიურ შემადგენელ ნაწილების მიმართებას, ცვალებად და მუდმივ კაპიტალს შორის არსებულ შეფარდებას»[121]. აი, სწორედ კაპიტალის ამ «აქტიურ და პასიურ შემადგენელ ნაწილების» მიმართება სხვადასხვანაირია და ამიტომ ზოგი კაპიტალი მაღალი ორგანული შემადგენლობისაა, ზოგი—დაბალი. ამ კათეგორიებს უკვე ვიცნობთ და მათ არ დავუბრუნდებით. კაპიტალების ორგანული შემადგენლობათა სხვადასხვაობა გამოწვეულია მათი ტექნიკური შემადგენლობის სხვადასხვაობით. წარმოების საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობა გულისხმობს დაქირავებული ძალის განსაზღვრულ რაოდენობას. ზოგიერთ წარმოებაში საჭიროა დიდძალი ცოცხალი შრომა მოცემული ნედლეულისა და შრომის იარაღების მოსაყვანად მოქმედებაში. აქ წარმოების ტექნიკური ბაზისი განუვითარებელია შედარებით და წარმოების პროცესში ჭარბობს დაქირავებული ძალა. პირიქით, ზოგიერთ წარმოებაში დაქირავებული ძალა უმნიშვნელოა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოქმედებაშია წარმოების საშუალებათა დიდი რაოდენობა. მაშასადამე, აქ წარმოების ტექნიკური ბაზისი ფართოა. რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში იგულისხმება წარმოების საშუალებათა საშუალოდ თანაბარი ხარისხი და დაქირავებული ძალის თანაბარი კვალიფიკაცია. პირველ შემთხვევაში კაპიტალის ტექნიკური შემადგენლობა დაბალია, მეორე შემთხვევაში—მაღალი. აქედან გამომდინარეობს კაპიტალის ორგანული შემადგენლობის სხვადასხვაობა. კაპიტალის ტექნიკური შემადგენლობა «წარმოადგენს მისი ორგანული შემადგენლობის ნამდვილ საფუძველს»[122]. ეს ხომ სრულებით ცხადია, რომ კაპიტალისტებს ერთნაირად როდი აქვთ წარმოების ტექნიკური საფუძველი განვითარებული. წარმოების ანარქიული წესის პირობებში ეს სრულებით ბუნებრივია. სინამდვილე გვეუბნება—კაპიტალების ორგანული შემადგენლობა ერთნაირი არაა, ზოგან—მაღალია ეს შემადგენლობა, ზოგან

[121] Ibid. გვ. 101.

[122] Ibid. გვ. 102.

—საშუალო, ზოგან—დაბალი. მოგების ნორმათა სხვადასხვაობაც აქედან გამომდინარეობს (რასაკვირველია, მოგების ნორმაზე მოქმედობს კაპიტალების ბრუნვის პერიოდიც ისევე, როგორც ორგანული შემადგენლობა. მაგრამ კაპიტალის ბრუნვის პერიოდს აქ არ ვეხებით). სხვადასხვა საწარმოში ამიტომ ფაქტიურად მოგების სხვადასხვა ნორმა არსებობს. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს ღირებულების კანონის მოქმედებას.

მართლაც, ორგანული შემადგენლობის სხვადასხვაობა გულისხმობს დაქირავებული ძალის რაოდენობათა სხვადასხვაობას, მაშასადამე, ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ა ს ი ს სხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა ს. თუ m^1 უცვლელი რაოდენობაა, მაშინ M, ე. ი. ზედმეტი ღირებულების მასა უდრის m^1v. ზედმეტი ღირებულების მასა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე ანუ დაქირავებული ძალის რაოდენობაზე. თავის მხრივ, ზედმეტი ღირებულების მასის ზრდა აქ იწვევს მოგების ნორმის ზრდას, ვინაიდან მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალს შეეფარდება ზედმეტი ღირებულების მეტი რაოდენობა. ამას გვეუბნება ფორმულა: $p^1 = m^1 \frac{v}{K}$. რამდენად მეტია v, იზრდება p^1, მოგების ნორმა. აქედან დასკვნა: რამდენად დაბალია კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, იმდენად მეტია ზედმეტი ღირებულების მასა, მაშასადამე, მეტია მოგების ნორმა და პირიქით: მაღალი ორგანული შემადგენლობის კაპიტალზე მოდის მოგების დაბალი ნორმა. აქ ღირებულების კანონი მოქმედობს ლეგალურად. ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი—სხვადასხვა ორგანული შემადგენლობის კაპიტალი. ვთქვათ, $m^1 = 100\%$, ეს მოცემული სიდიდეა. აქვე შევნიშნავთ: კაპიტალის ორგანული შემადგენლობა მის სიდიდეზე დამოკიდებული როდია, აქ მთავარია მიმართებითი სიდიდე: კაპიტალის ყოველ ას ნაწილზე რამდენი c და რამდენი v მოდის, ვინაიდან სწორედ მათი მიმართება გამოხატავს ორგანულ შემადგენლობას. ამიტომ, მაგ. კაპიტალი $600c + 200v$ ორგანული შემადგენლობის თვალსაზრისით იგივეა, რაც კაპიტალი $60c + 20v$. ახლა ავიღოთ ხუთი კაპიტალი, რომელთა ორგანული შემადგენლობა სხვადასხვანაირია: I. $80c + 20v$; II. $70c + 30v$; III. $60c + 40v$; IV. $85c + 15v$, და V. $95c + 5v$ [23]. ზედმეტი ღირებულების ნორმა ყველგან 100%-ია, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა უდრის შესაფერ ცვალებად კაპიტალს. აქედან მოგების ნორმათა სხვადასხვაობაც: I—20%, II—30%, III—40%, IV—15% და V—5%. მეხუთე კაპიტალი ყველაზე უფრო მაღალი ორგანული შემადგენლობისაა, აქ დაქირავებული

[123] მაგალითი ამოღებულია «კაპიტალიდან».

ძალის რაოდენობა ყველაზე უფრო ნაკლებია, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასაც მცირეა. ამიტომ ამ კაპიტალზე მოგების მეტად მცირე ნორმა მოდის—5%. პირიქით, მესამე კაპიტალი ყველაზე უფრო დაბალი ორგანული შემადგენლობისაა, აქ ზედმეტი ღირებულების მასა ყველაზე მეტია (40m) და ამიტომ მოგების ნორმაც დიდია—40%. აქ კაპიტალები სიდიდით ერთნაირია (c+v ყველგან=100), მაგრამ თითოეულზე მოგების სხვადასხვა ნორმა მოდის—ფაქტი, რომელსაც ადამ სმიტი წარმოდგენაშიაც ვეღარ დაუშვებს. «მიუხედავად კაპიტალების თანაბარი სიდიდისა, მოგებათა ნორმა აქ სხვადასხვანაირია, რადგან ზედმეტი ღირებულების თანაბარი ნორმის დროს წარმოებული ზედმეტი ღირებულების, მაშასადამე, მოგების მასა სხვადასხვაა იმის გამო, რომ მოძრაობაში მოყვანილია ცოცხალი ძალის არა ერთნაირი რაოდენობა»[124]. «მაშასადამე, წარმოების სხვადასხვა სფეროში მოგება არაა ამ სფეროში დაბანდებული სათანადო კაპიტალების სიდიდესთან პროპორციული»[125]. მარქსი ამტკიცებს, რომ ორი სხვადასხვა ორგანული შემადგენლობის კაპიტალის, მაგ. 90c+10v და 10c+90v, სადაც წარმოებულია ზედმეტი ღირებულების სულ სხვადასხვა რაოდენობა,—აი ეს ორი კაპიტალი რომ თანაბარ მოგებას, ზედმეტი ღირებულების ერთნაირ მასას იძლეოდეს ნამდვილად, მაშინ «ცხადი იქნებოდა, როგორც დღე, რომ ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, ღირებულება საზოგადოდ იქნებოდა გამომდინარე სულ სხვა წყაროდან, შრომისგან განსხვავებულიდან, და ამასთან ერთად პოლიტიკურ ეკონომიას დაეკარგებოდა ყოველგვარი რაციონალური საფუძველი»[126]. ნამდვილად ეს ასე არ არის, კაპიტალი 90c+10v იძლევა მოგების ნორმას 10%, ხოლო 10c+90v კი 90%. მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის რაციონალური საფუძველია ღირებულების კანონი, რომელიც სტიქიურად მოქმედობს კაპიტალისტურ მეურნეობაში.

ამრიგად, ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში მოგების ნორმა სხვადასხვანაირია, რადგან სხვადასხვანაირია კაპიტალების ორგანული შემადგენლობა, მაშასადამე, თანაბარი ტოლია წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა. აქ მოგებათა რაოდენობა სრულებით არაა პროპორციული კაპიტალების სიდიდესთან. მაგრამ კოკონომიურ სინამდვილეში, მოვლენათა სფეროში ადგილი აქვს საწინააღმდეგო მდგომარეობას. საკვლევით უდაოა, რომ «თითოეულ ქვეყნის ფარ-

[124] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 104.

[125] ibid. გვ. 106.

[126] ibid. გვ. 105.

გლებში იქმნება მოგების ცნობილი საერთო ნორმა»[127]. ამიტომ «მრეწველობის სხვადასხვა დარგში არ არსებობს განსხვავება მოგების საშუალო ნორმათა შორის, და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალისტური წარმოების მთელი სისტემის დანგრევის გარეშე»[128]. სინამდვილეში არსებობს არა მოგების ინდივიდუალური ნორმები, არამედ საერთო ანუ ს ა შ უ ა ლ ო ნორმა, და მოგების რაოდენობაც პირდაპირ პროპორციულია ავანსად გაღებული კაპიტალის ღირებულებასთან. მაშასადამე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ღირებულების კანონი უქმდება, მას ძალა ეკარგება კაპიტალისტურ წარმოებაში. ნამდვილად ეს ასე არაა, რასაც გავეცნობით რ ი კ ა რ დ ო ს თეორიის კრიტიკაში.

იბადება კითხვა: რას შეიცავს და როგორ წარმოიშვა მოგების საშუალო ნორმა?

კაპიტალის ორგანული შემადგენლობის სხვადასხვაობის ნიადაგზე იქმნება მოგების სხვადასხვა ნორმა ინდივიდუალურ კაპიტალზე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზოგიერთ კაპიტალზე მოდის მოგების მაღალი ნორმა, 30—40%, ზოგზე კი—15-5%. მაშასადამე, ერთი კაპიტალი იზრდება ჩქარა, მეორე—ძალიან ნელად. ჩვენ ვიცით, კაპიტალისტური წარმოება ზედმეტი ღირებულების resp. მოგების წარმოებაა. კაპიტალისტის, ამ გაპიროვნებული, შეგნებითა და ნებით აღჭურვილი კაპიტალის, ერთად-ერთი მამოძრავებელი მოტივი, მიზანი სწორედ მოგებაა. რაც მეტია მოგების ნორმა, მით მეტია მოგების მასა დანარჩენ თანაბარ პირობებში. ამიტომ კაპიტალისტი შეგნებულად და სტიქიურად მიილტვის წარმოების იმ სფეროსაკენ, სადაც მოგების ნორმა მაღალია. ვთქვათ, ფეხსაცმელის წარმოებაში მოგების ნორმა მაღალია, ფეხსაცმელზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებაც საკმარისია. მეორე მხრივ, ქუდების წარმოებაში მოგების ნორმა დაბალია. რა თქმა უნდა, ქუდების მწარმოებელი კაპიტალისტი მიაშურებს ჩექმების წარმოებისკენ, ის თავის კაპიტალს ამოიღებს ქუდების წარმოებიდან და დააბანდებს ჩექმების წარმოებაში. ასევე მოხდება, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით, იმ შემთხვევაში, თუ ქუდების წარმოებაში მოგების ნორმა მაღალია, ხოლო ჩექმების წარმოებაში—დაბალი. როგორც ვხედავთ, აქ იწყება კაპიტალების მიმოქცევათა ძლიერი ღელვა, რომლის ტალღები ხან ერთ კლდეს ეხეთქება, ხან—მეორეს. მოკლედ, კაპიტალი «ამოიღება მოგების უფრო დაბალი ნორმის დარგიდან და გადაისროლება სხვა დარგში, სადაც

[127] ibid. გვ. 100.

[128] ibid. გვ. 109.

მოგების ნორმა უფრო მაღალია», აქ წარმოებს კაპიტალების «მუდმივი ემიგრაცია და იმიგრაცია»[129]. ვითარდება მაშასადამე კ ა პ ი - ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა. ჩექმების წარმოებაში თუ მოგების ნორმა მაღალი იყო, ახლა მდგომარეობა იცვლება—ამ წარმოებას დაესია კაპიტალის დიდძალი რიცხვი, ჩექმების პროდუქცია დიდად გაიზარდა, გაიზარდა მიწოდებაც, ხოლო მოთხოვნილება შედარებით უცვლელი დარჩა. წარმოება იწვევს მოთხოვნილებას, მაგრამ მოთხოვნილებაც იწვევს წარმოებას. აქ ორივე კათეგორიის შორის შინაგანი კავშირია, ორივე მოცემულია დიალექტიკურ მთლიანობაში წარმოების საფუძველზე. მოთხოვნილება ჩექმების წარმოებაში იზრდება აბსოლუტურად, მაგრამ არა შედარებით, ე. ი. ამ საქონლის პროდუქციის ზრდასთან შედარებით. ამიტომაც მიწოდება ჭარბობს მოთხოვნილებას. აუცილებელი შედეგი—ფ ა ს ე ბ ი ს დაწევა, დ ა - ც ე მ ა. ფასების მოძრაობა მოქმედობს მოგების როგორც მასაზე, ისე—ნორმაზე. მოგების ნორმა ჩექმების წარმოებაში ეცემა. ახლა ამ სფეროში დაბანდებული კაპიტალი არ ჯერდება მოგების დაბალ ნორმაზე და მიილტვის წარმოების სხვა დარგისკენ, სადაც მოგების ნორმა მაღალია შედარებით. წარმოების ამ ახალ სფეროშიაც მეორდება იგივე ამბავი. კაპიტალი კვლავ იწყებს მოძრაობას, წარმოების ერთი სფეროდან გადადის მეორეში. ერთი სიტყვით, იქმნება ნამდვილი perpetuum mobile, სანამ არ დამყარდება დროებით შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი წონასწორობა.

კაპიტალისტური კონკურენცია იშლება ღირებულების საფუძველზე. კაპიტალისტური წარმოება, სადაც წარმოების ხარჯები შედარებით მცირეა, იძლევა საქონელს შედარებით დაბალ ფასებში. პირიქით ხდება იქ, სადაც წარმოების ხარჯები მაღალია შედარებით. საქონლის წარმოების ხარჯები, როგორც ვიცით, უდრის საქონლის არა მთელ ღირებულებას, არამედ გარკვეულ ნაწილს, რომელიც ავანსად გაღებული კაპიტალის აღდგენას შეიცავს. კაპიტალისტური საწარმოო ხარჯებში არ შედის ზედმეტი ღირებულება. საქონლის წარმოების ხარჯებსა და საქონლის ფასებს შორის მოცემულია განსხვავება—პირველი ნაკლებია, მეორე—მეტი ნორმალურ პირობებში. ეს განსხვავება წარმოდგენილია მოგების სახით. რამდენად მცირეა ეს განსხვავება, იმდენად ნაკლებია მოგება, და პირიქით. რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშში ეს განსხვავება განსაზღვრულია საქონლის ნამდვილ ღირებულებასა (c+v+m) და მისი წარმოების ხარჯებს (c+v ანუ k) შორის არსებული განსხვავებით. ეს განსხვავება არის

[129] ibid. გვ. 144. აგრ. გვ. 154.

სწორედ ზედმეტი ღირებულება. კაპიტალისტს შეუძლია საქონელი გაყიდოს ღირებულებაზე ნაკლებად, მაგრამ მოგება მაინც მიიღოს. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში თუმცა არ ანაღდებს მთელ ზედმეტ ღირებულებას, რაც ხდება საქონლის სრული ღირებულების რეალიზაციის დროს, მაგრამ მაინც ანაღდებს ზედმეტი ღირებულების ნაწილს, სხვანაირად—ყიდის საქონელს წარმოების ხარჯზე მეტად. «საქონლის მინიმალური გასაყიდი ფასის საზღვარი მოცემულია მისი წარმოების ხარჯებში»[130]. რაც ამ საწარმოო ხარჯს აღემატება, კაპიტალისტის მოგებათ ითვლება. ამიტომ არაა გასაკვირი ის ფაქტი, რომელიც გვეუბნება: «კაპიტალისტს შეუძლია გაყიდოს საქონელი მოგებით იმ შემთხვევაშიაც, როცა საქონელი იყიდება მისი ღირებულებაზე ნაკლებად»[131]. მოგება მაინც რჩება, რადგან წარმოების ხარჯები იფარება გადაჭარბებით: საქონლის წარმოების ხარჯებსა და გასაყიდ ფასებს შორის მოცემულია განსხვავება. რასაკვირველია, საქონელი თუ მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდა, მოხდება მთელი ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია და მოგებაც მეტი იქნება. მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევამი, როდესაც საქონლის საწარმოო ხარჯებსა და გასაყიდ ფასებს შორის განსხვავება ჰქრება, ანდა—უარეს შემთხვევაში—საქონელი წარმოების ხარჯებზე ნაკლებად იყიდება? განსხვავება თუ ნულს უდრის, კაპიტალისტი არც ზარალობს, არც იგებს. მაგრამ უმოგებოდ დარჩენა კაპიტალისტისათვის იგივეა არსებითად, რაც ზარალი, წაგება: კაპიტალისტის მიზანი—მოგება—მიულწეველი რჩება. ამას გარდა, გაშმაგებული კაპიტალისტური კონკურენციის პირობებში შეუძლებელია კაპიტალის «გაყინვა», კაპიტალი უნდა იზრდებოდეს განუწყვეტლივ, უნდა წარმოებდეს დაგროვება. «კაპიტალისტური წარმოების განვითარება ქმნის კაპიტალის მუდმივი ზრდის აუცილებლობას... ხოლო კონკურენცია თავზე ახვევს თითოეულ ინდივიდუალურ კაპიტალისტს წარმოების კაპიტალისტური წესის კანონებს, როგორც მის გარეშე არსებულ იძულებით კანონებს. ის არ აძლევს მას თავისი კაპიტალის შენახვის საშუალებას, თუ ის მუდმივად არ ადიდებს ამ კაპიტალს»[132]. ასეთია კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონი, რომლის მოქმედება აბსოლუტურია და უძლეველი. მეორე შემთხვევაში, თუ წარმოების ხარჯებსა და გასაყიდ ფასებს შორის განსხვავება უარყოფითია, ე. ი. პირველი მეტია მეორეზე, ცხადია, მოგება ისპო-

[130] ibid. გვ. 12.

[131] ibid. გვ. 11.

[132] Капитал, ტ. I, გვ. 467.

ბა და მის ადგილს იჭერს მისი პირდაპირი წინააღმდეგობა—წაგება. ახლა კაპიტალისტის გაკოტრება ბუნებრივი აუცილებლობაა. საქონელი «თუ იყიდება მისი წარმოების ხარჯებზე ნაკლებად, მაშინ საწარმო კაპიტალის დახარჯული შემადგენელი ნაწილები შეუძლებელია მთლიანად აღდგენილ იქნას გასაყიდი ფასებით. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, მაშინ ავანსად გაღებული კაპიტალური ღირებულება გაქრება»[133], კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელი გახდება. მაშასადამე, კაპიტალისტური მწარმოებლის ბედი დამოკიდებულია. წარმოების ხარჯებსა და საქონლის გასაყიდ ფასებს შორის არსებულ განსხვავებაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბოლოო ანგარიშით საკითხს წყვეტს ზედმეტი ღირებულების სიდიდე—განსხვავება წარმოების ხარჯებსა და საქონლის ნამდვილ ღირებულებას შორის. აქედან აშკარაა, კაპიტალისტმა უნდა შეამციროს საქონლის წარმოების ხარჯები, აწარმოოს c და v სასტიკი ეკონომია. ამას უკარნახებს მას კაპიტალისტური კონკურენცია, რომელიც სტიქიურად მოქმედობს.

აქედან გამომდინარეობს კაპიტალისტური კონკურენციის მეორე მხარე—კონკურენციის საშუალებით «ხორციელდება მოგების საშუალო ნორმა»[134]. «კაპიტალისტური კონკურენციის ძირითადი კანონი, რომელიც დღემდე გაუგებარია პოლიტიკური ეკონომიისათვის», მდგომარეობს «საერთო ნორმის მოწესრიგებაში»[135]. სხვადასხვა წარმოებაში კაპიტალის ორგანული შემადგენლობა სხვადასხვანაირია, აქედან წარმოდგება მოგების ნორმების სიჭრელე. კონკურენციას გარკვეულობა და ერთფეროვნება შეაქვს ამ სიჭრელეში. «კონკურენციის მეშვეობით მოგების სხვადასხვა ნორმა თანაბრდება, იქმნება მოგების საერთო ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ სხვადასხვა ნორმათა საშუალო სიდიდეს. მოგება, რომელიც მოდის მოცემულ კაპიტალზე მისი ორგანული შემადგენლობის მიუხედავად ამ საერთო ნორმის თანახმად, იწოდება საშუალო მოგებად»[136]. საშუალო მოგება უშუალოდ გამოივლინება ეკონომიურ სინამდვილის ზედაპირზე და იანგარიშება ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე. ახლა ინდივიდუალურ კაპიტალთა მოგების ინდივიდუალური ნორმები იხსნება, მათ ადგილს იჭერს მოგების საშუალო ნორმა, რომელიც სავალდებულოა ყველა კაპიტალისთვის. მოგების **რ ა ო დ ე ნ ო ბ ა** დამოკიდებუ-

[133] Капитал, ტ. III. ნაწ. I, გვ. 12.

[134] ibid. გვ. 109.

[135] ibid. გვ. 12.

[136] ibid. გვ. 112.

ლი ხდება ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე, რაკი მოგების ნორმა უკვე მოცემული სიდიდეა. კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა მხედველობის არედან ჰქრება, მის ადგილს მოგების მასა იკერს. რაობა მოვლენაში ეხვევა და საგანზე ნათელი წარმოდგენა იბნელება. «სამრეწველო კაპიტალი იძლევა ერთნაირ მოგებას, როგორიც არ უნდა იყოს მისი შემადგენლობა»[137]. ახლა კაპიტალი $90_c + 10_v$ იძლევა იმდენივე მოგებას, რამდენიც კაპიტალი $10_c + 90_v$, რაკი მოგების საშუალო, ყველასათვის სავალდებულო ნორმა სტიქიურად წარმოიშვა კონკურენციის საფუძველზე. კაპიტალისტურ მიმოქცევაში «საქონელი იცვლება მეორე საქონელზე არა უბრალოდ როგორც საქონელი, არამედ როგორც კაპიტალის პროდუქტი და ამიტომ აცხადებს მისი სიდიდის პროპორციულ... ზედმეტი ღირებულების მთელ მასაში მონაწილეობის პრეტენზიას»[138]. ძლიერდება ილუზია იმისა, რომ მოგება თანაბრად წარმოიშობა ავანსად გაღებული კაპიტალის როგორც ცვალებად, ისე მუდმივ ელემენტისგან, მოგების წყაროს შეადგენს კაპიტალის როგორც აქტიური, ისე პასიური ნაწილი. თანაბარი სიდიდის კაპიტალები იძლევა მოგებათა თანაბარ მასას მათი ორგანული შემადგენლობის სხვადასხვაობის მიუხედავად. კაპიტალისტური კონკურენცია ათანაბრებს მოგებათა ინდივიდუალურ ნორმებს და ქმნის საშუალო, საზოგადოებრივ ნორმას. მოგების წყარო რომ ზედმეტი ღირებულება არ არის, ამის ილუზია სინამდვილის გამომხატველად გვეელინება. «ამრიგად, კონკურენციის თვალსაზრისით ყველაფერი წარმოდგენილია მახინჯ სახეში»[139]. კონკურენცია წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონის გამოვლინებაა, კონკურენცია მასიური მოვლენაა და ამიტომ მატერიალისტურ-დიალექტიკურ მეთოდს მოკლებული ეკონომიური აზროვნება ბუნებრივი აუცილებლობით ვარდება მის ტყვეობაში. ასე მოუვიდა ადამ სმიტს.

კონკურენცია მოგებათა ინდივიდუალურ ნორმებს ათანაბრებს და ამტკიცებს მოგების საშუალო ნორმას. მაგრამ როგორ ხდება ამ ნორმის წარმოშობა, როგორია მისი ბუნება? ეს კითხვა საფუძვლიანად თუ ვერ გავარკვიეთ, საშუალო მოგების ფეტიში ხელუხლებელი დაგვრჩება და სმიტთან ერთად მოვემწყვდევით ჯადოსნურ წრეში ღირებულების თეორიის გაშუქების დროს. მარქსის შეუდარებელმა გენიო-

[137] ibid. გვ. 123.

[138] ibid. გვ. 127.

[139] ibid. გვ. 154. აგრეთვე გვ. 173.

სურმა აზრმა ეს წრე გაარღვია და მოგების საშუალო ნორმის გენეზისი დაასაბუთა სწორედ ზედმეტი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. გავეცნოთ მარქსის მეცნიერულად ურყევ არგუმენტაციას. სხვადასხვა ორგანული შემადგენლობის ხუთი კაპიტალი, რომელიც ზევით მოვიყვანეთ, იძლევა მოგების სხვადასხვა ინდივიდუალურ ნორმას. აქ გაუგებარი არაფერია და ილუზიის ნასახიც გაფანტულია. ილუზია იქმნება, როდესაც ყველა ეს კაპიტალი მოგების საზოგადოებრივ ანუ საშუალო ნორმას იძლევა. სწორედ აქ იქმნება ფიზიოკრატული შთაბეჭდილება, რომ მოგება კაპიტალიდან აღმოცენდება, როგორც მცენარე დედამიწიდან. ნამდვილად ეს ასე არ არის. დავუშვათ ხუთივე კაპიტალი ერთი მთლიანი, საზოგადოებრივი კაპიტალია, ავანსად გაღებული წარმოებაში. ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 100%, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა და ცვალებადი კაპიტალის რაოდენობა თანაბარია. მთლიანად საზოგადოებრივი კაპიტალი წარმოგვიდგება შემდეგი სახით: $390c + 110v + 110m$. მაშასადამე, $P^1 = \frac{110m}{390c+110v} = 22\%$. ეს 22% საშუალო ნორმაა, ყველა ინდივიდუალური კაპიტალისტისთვის სავალდებულო[140]. მაგრამ რა არის ეს 22%?—მიმართება ზედმეტი ღირებულების მთელი მასისა ავანსად გაღებულ კაპიტალთან. აქ ზედმეტი ღირებულება მოგების ფორმაშია გამოთქმული. საქმე გვაქვს ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვანაირ გამოთქმასთან. აქ ზედმეტი ღირებულების მასა და მოგების მასა თანაბარია (22% 500-დან უდრის 110-ს, ანუ 110m-ს). ხუთივე კაპიტალის საშუალო ორგანული შემადგენლობა იძლევა $390c + 110v$. პროცენტულად გამოთქმული ეს იქნება $78c + 22v$. მაშასადამე, თუ ავიღებთ საშუალო ანუ მთელ საზოგადოებრივ კაპიტალს, მისი ორგანული შემადგენლობა სწორედ ასეთი იქნება. აქ ზედმეტი ღირებულების მასა უდრის 22m, ხოლო მოგების საშუალო ნორმა—22%-ს. აქედან ცხადია, რომ «საშუალო მოგება ეთანაბრება საშუალო ზედმეტ ღირებულებას, წარმოებულს კაპიტალით თითოეულ მეასედზე»[141]. სხვანაირად რომ ვთქვათ, საშუალო მოგება არის «ზედმეტი ღირებულების მთელი მასა, რომელიც განაწილებულია წარმოების თითოეულ სფეროში მასში დაბანდულ კაპიტალზე უკანასკნელის სიდი-

[140] შეიძლება მოგების საშუალო ნორმის გამოანგარიშება აგრეთვე უბრალო არითმეტიკული წესით: ხუთივე კაპიტალის %% შეადგენს 110, რომლის გაყოფა 5-ზე იძლევა საშუალოს—22%. მაგრამ, რასაკვირველია, ეს წესი სრულებით არ გამოდგება მოგების ნორმის შინაბუნების გამოსარკვევად, არ ააშკარავებს, პირიქით, ახვევს მისტიურ ბურუსში მოგების ნორმის შინაარსს.

[141] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 145.

დესთან პროპორციულად»[142]. ამრიგად, მარქსმა მზის სინათლეზე გამოიტანა საშუალო მოგების მთელი საიდუმლოება. მეცნიერულად გამოირკვა, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის მიხედვით მოგების მასა უდრის ზედმეტი ღირებულების მასას, პირველის წყარო, მისი მოძრაობის კანონი სწორედ უკანასკნელია, ზედმეტი ღირებულება. მოგების ნორმა, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წარმოებაზეა დამოკიდებული. ამ პრინციპული დებულების სისწორეში ახლა ეჭვის შეტანაც შეუძლებელია. მოგების საშუალო ნორმის ფეტიში უკვე დამსხვრეულია და მისი აღდგენა—შეუძლებელი.

მოგების საშუალო ნორმის კვლევა-ძიებიდან მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს. ამ დასკვნისკენ მიუთითებს მარქსი რევოლუციურ მუშათა კლასს კაპიტალიზმთან ბრძოლაში. მართლაც, სხვადასხვა ორგანული შემადგენლობის, მაგრამ სიდიდით თანასწორი კაპიტალი თანაბარ მოგებას იძლევა. აქედან აშკარაა, რომ ხდება მთელი ზედმეტი ღირებულების მასის განაწილება კაპიტალისტებს შორის, მათი კაპიტალებთან პროპორციულად. ახლა «ცალკე კაპიტალი განიხილება როგორც მთელი კაპიტალის უბრალო ნაწილი, თითოეული ცალკე კაპიტალისტი —როგორც მთელი საწარმოს აქციონერი, რომელიც მონაწილეობს საერთო მოგებაში, საერთო კაპიტალში თავისი წილის პროპორციულად»[143]. ინდივიდუალური კაპიტალი საზოგადოებრივი კაპიტალის ორგანული ნაწილია. მთელ საზოგადოებრივ კაპიტალს თუ ერთ აქციონერულ კაპიტალად წარმოვიდგნეთ, მაშინ თითოეული კაპიტალისტი უბრალო აქციონერად გვევლინება. წარმოებული ზედმეტი ღირებულების საერთო მასა ახლა ნაწილდება ცალკე კაპიტალისტებს შორის მოგების სახით. ზედმეტი ღირებულების ერთად-ერთი წყაროა დაქირავებული ძალა, შრომა. მაშასადამე, «წარმოების თითოეული სფეროს კაპიტალი თავისი სიდიდის პროპორციულად უნდა ღებულობდეს მონაწილეობას მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ მუშებისგან გამოწოვილ მთელი ზედმეტი ღირებულების მითვისებაში თავისი სიდიდის პროპორციულად»[144]. ახლა თითოეული კაპიტალი გადაქცეულია «საზოგადოებრივ ძალად»[145], რომლის დაძლევა შესაძლებელია საზოგადოებრივი ძალით—მუშათა კლასის ორგანიზებული, შეერთებული ბრძოლით. მუშის სისხლის

[142] ibid. გვ. 126.

[143] ibid. გვ. 154.

[144] Ibid. აგრეთვე გვ. 145.

[145] Ibid. გვ. 144.

მწოველია არა მარტო ის კაპიტალისტი, რომლის ბრძანებლობის ქვეშ ?უმა იმყოფება უშუალოდ. მუშის ექსპლოატატორია ყველა კაპიტალისტი. ცალკე მუშა კი არ უნდა ებრძოდეს ცალკე კაპიტალისტს, არამედ მთელი მუშათა კლასი მთელ კაპიტალისტურ კლასს. ასეთია დასკვნა, რომელსაც «კაპიტალის» გენიოსური ავტორი აკეთებს და რომელსაც ანხორციელებს რევოლუციური პროლეტარიატი კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელობით. მეორე მხრივ, კაპიტალისტების კლასსაც კარგად აქვს შეგნებული საკუთარი კლასიური ინტერესები. მართალია, კონკურენციის ქარ-ცეცხლში კაპიტალისტები კანიბალიზმამდე მიდიან, მაგრამ მუშათა კლასთან ბრძოლაში ისინი საღვთო კავშირს ქმნიან. «ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს მათემატიკურად სწორი განმარტება იმისა, რატომ კაპიტალისტები იჩენენ ამდენად ნაკლებ ძმურ გრძნობას ერთმანეთთან მეტოქეობაში, კონკურენციაში და ამავე დროს შეადგენენ ჰეშმარიტად მასონურ ძმობას მუშათა კლასთან, როგორც მთელთან ბრძოლაში»[146]. ვფიქრობთ, ზედმეტია მარქსის ამ ნათელი და მხატვრულად გამოთქმული აზრის ახსნა-განმარტება. სამუშაო ძალის მთელი მასის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მთელი მასა ნაწილდება კაპიტალისტების მასას შორის. აი საფუძველი, რომელსაც ემყარება მთელი მუშათა კლასის ბრძოლა მთელ კაპიტალისტურ კლასთან.

მოგების საშუალო ნორმა მისტიურ გარსში ახვევს წარმოების კაპიტალისტური წესის მთელ საიდუმლოებას—ზედმეტ ღირებულებას. ახლა განმტკიცებულია ილუზია, რომ მოგება «წარმოდგება არა მარტო შრომიდან, რომელიც კაპიტალისტების მიერ გამოყენებულია წარმოების სფეროში. ეს სრულებით სწორია, რამდენად საქმე ეხება ცალკე კაპიტალისტის საშუალო მოგებას. ხოლო რამდენად ეს მოგება განისაზღვრება მთელი კაპიტალის, ე. ი. ყველა ამხანაგ-კაპიტალისტის მიერ შრომის საერთო ექსპლოატაციით—ეს შეადგენს მისთვის [კაპიტალისტისთვის] სრულ მისტერიას, მით უმეტესად, თვით ეკონომისტებმა, ბურჟუაზიის თეორეტიკოსებმა, დღემდე არ გამოაშკარავეს ეს საიდუმლოება»[147]. ადამ სმიტმაც ვერაფერი გაიგო ამ მისტერიის. ამიტომ მან არამც თუ ვერ გახსნა კაპიტალისტურ წარმოების მამოძრავებელი მოტივის მთელი შინაგანი მხარე, პირიქით, მოგების კათეგორია ზედმეტი ღირებულების თეორიის დამრღვევად წარმოიდგინა. ამიტომ ადამ სმიტი მოექცა შინაგან წინააღმდეგობათა ჩიხში, საიდანაც ის მშვიდობიანად ველარ დაბრუნდა. საშუალო

[146] Op. cit. გვ. 146.

[147] ibid. გვ. 123.

მოგების პრობლემა ვერ გადასჭრა ვერც რიკარდომ, ვერც შემდგომმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. ამ შემთხვევაშიაც მარქსმა მოახდინა ძირეული რევოლუცია ეკონომიურ მეცნიერებაში.

მოგების საშუალო ნორმა იცვლება, მას ახასიათებს დაცემის ტენდენცია. ადამ სმიტი ამჩნევს ამ ტენდენციას და, როგორც ზევით დავინახეთ, ხსნის მას კაპიტალისტური დაგროვების შედეგად. მაგრამ რატომ იწვევს კაპიტალისტური დაგროვების განვითარება მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას, ამ კითხვაზე სმიტი—აგრეთვე მთელი პოლიტიკური ეკონომია მარქსამდე—მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს ვერ იძლევა. მარქსი სამართლიანად აღნიშნავს, როდესაც წერს, რომ მოგების საშუალო ნორმის დაცემის ტენდენციის «ახსნა ვერ შესძლო მთელმა წარსულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ», ამ ტენდენციის კანონი «შეადგენს საიდუმლოებას, რომლის გადაწყვეტაზე თავს იმტვრევს მთელი პოლიტიკური ეკონომია ადამ სმიტის დროიდან», მას «არასოდეს არ ღირსებია ამ ამოცანის გადაწყვეტა»[148]. მარქსის აზრით, ეს მოხდა იმიტომ, რომ თუმცა პოლიტიკური ეკონომია ინსტიქტურად უახლოვდება კაპიტალის ორგანული შემადგენლობის გაგებას, მის წარმოდგენას მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, მაგრამ ამ სწორი კონცეპციის გარკვევით აღნიშვნა და დასაბუთება ვერ შესძლო მან. ამას გარდა, კლასიკურმა ეკონომიამ ვერ განასხვავა მოგების კათეგორია ზედმეტი ღირებულების კათეგორიისგან, მთლიანობაში ვერ დაინახა სხვაობა, ვერ გაარკვია მოგების საშუალო ნორმა. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელი აღმოჩნდა მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის საიდუმლოების აღმოჩენა.

კაპიტალის ორგანული შემადგენლობა მუდმივ იცვლება. მუდმივი კაპიტალი იზრდება შედარებით და აბსოლუტურად, ხოლო ცვალებადი კაპიტალი—მხოლოდ აბსოლუტურად. კაპიტალის მუდმივი ელემენტი უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ მისი ცვალებადი ელემენტი. წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონი მდგომარეობს სწორედ «ცვალებადი კაპიტალის განუწყვეტლივ შეფარდებითი შემცირებაში მუდმივ და, მაშასადამე, მთელ კაპიტალთან შედარებით»[149]. ცვალებადი კაპიტალის შედარებითი, რელატივური შემცირება არ ნიშნავს ამ კაპიტალის აბსოლუტურ შემცირებას. აბსოლუტურად, თავისი სიდიდის მიხედვით, ცვალებადი კაპიტალი იზრდება მუდმივ კაპიტალის ზრდასთან ერთად. ცვალებადი კაპიტა-

[148] ibid. გვ. 158.

[149] ibid. გვ. 157. შეად. გვ. 160 etc.

ლი, ე. ი. დაქირავებული ძალის რაოდენობა რომ კლებულობდეს აბსოლუტურადაც, მაშინ წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობა შეუძლებელი გახდებოდა, მ ა რ ქ ს ი ს ენაზე რომ ვთქვათ, «მცხოვრებთა უმრავლესობა ტირაჟში გასული აღმოჩნდებოდა»[150]. კაპიტალისტური წარმოება მოასწავებს გაფართოებულ რეპროდუქციას. ეს პროცესი შეიცავს გაფართოებულ რეპროდუქციას კაპიტალის როგორც მუდმივ, ისე ცვალებად ელემენტის. წარმოების კაპიტალისტური წესი იკვლევს გზას მეურნეობის ყველა სფეროში, ბატონდება ყველგან. წარმოების ახალ-ახალი დარგი იჩენს თავს. ყოველივე ეს იწვევს დაქირავებული ძალის რაოდენობის, მაშასადამე, მასზე გაღებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდის ზრდას აბსოლუტურად. მაგრამ ცვალებადი კაპიტალი, შედარებით მუდმივ კაპიტალთან, მცირდება, კაპიტალის ორგანული შემადგენლობა იზრდება. ამის საფუძველია შრომის ნაყოფიერებითი ძალის გიგანტური ზრდა, ტექნიკური პროგრესი, რომელსაც იწვევს წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარება განსაზღვრულ საფეხურამდე. გაშმაგებული კონკურენცია აიძულებს კაპიტალისტურ მწარმოებელს შეამციროს საქონლის წარმოების ხარჯები, გააიაფოს საქონელი. ეს შეუძლებელი ხდება, თუ შრომის ნაყოფიერებითი ძალა არ განვითარდა. ხოლო შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება აუცილებლად გულისხმობს—ყველაზე უწინ—შ რ ო მ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს გაუმჯობესებას. ესაა სწორედ წარმოების ტექნიკური ბაზისის გაფართოება, წარმოების გაუმჯობესებულ ტექნიკურ წესებზე გადასვლა. თავისი ნებით ამას კაპიტალისტი არ იზამს, ვინაიდან ეს იწვევს კაპიტალის მუდმივი ელემენტის გაძვირებას და, მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემას. ამიტომ «არც ერთი კაპიტალისტი არ შემოიღებს ხმარებაში წარმოების ახალ წესს ნებაყოფილობით, რაც გინდ ნაყოფიერი არ იქნეს ის და რამდენადაც არ ზრდიდეს ზედმეტი ღირებულების ნორმას»[151]. კაპიტალისტი ცდილობს ჯერ ამოსწუროს შრომის ტექნიკურ საშუალებებზე გაღებული კაპიტალი, ეს საშუალებანი გამოიყენოს მათი ბუნებრივ სიკვდილამდე, არ მოხდეს მათი ნაადრევი სიკვდილი—მორალური ამორტიზაცია. ასეთია კაპიტალისტური წარმოების ტენდენცია. ამას ეწინააღმდეგება მეორე ტენდენცია, კონკურენციით გამოწვეული: წარმოების გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებანი ანვითარებენ შრომის ნაყოფიერებითი ძალას, მაშასადამე, ამცირებენ პროდუქციის თითოეულ ერთეულში განივთიერებულ შრომას, ამით ეცემა სა-

[150] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 200.

[151] ibid. გვ. 201.

ქონლის ღირებულება, კერძოდ—მისი საწარმოო ხარჯები ცალკეულ პროდუქტზე. გაუმჯობესებულ ტექნიკურ საშუალებებზე გადასული კაპიტალისტი ამცირებს თავისი საქონლის თვითღირებულებას და, თუ სხვა კაპიტალისტები ჯერ კიდევ არ გადასულან მსგავსს საშუალებებზე, ყიდის საქონელს წარმოების ფასებში, რომელშიაც ნაღდდება ექსტრაორდინალური მოგება. «მაშასადამე, მისთვის მოგების ნორმა იზრდება მანამ, სანამ კონკურენცია არ გაათანასწორებს მას»[152]; გათანაბრება ხდება კონკურენციის კანონის მთელი სისასტიკით. დანარჩენი კაპიტალისტებიც გადადიან შრომის გაუმჯობესებულ ტექნიკურ იარაღებზე, ანვითარებენ შრომის ნაყოფიერებითი ძალას, ამცირებენ წარმოების ხარჯებს კერძოულ პროდუქტზე და უწევენ კონკურენციას თავიანთი პირვანდელ მეტოქეს. მოგების ნორმა თანაბრდება. პროცესი კვლავ მეორდება და ასე დაუსრულებლივ. მეორე მხრივ, წარმოების გაუმჯობესებულ საშუალებათა შემოღება იწვევს მუდმივი კაპიტალის ძირითადი ელემენტის ღირებულების ზრდას, მაგრამ ეს ზრდა გულისხმობს პროდუქტის ღირებულების შემცირებას. საქონლის მ ა ს ი ს ზ რ დ ა შეადგენს აქ აუცილებელ კომპენსაციას მოგების მასის ზრდის საქმეში. «შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარების დროს ცალკეულ საქონლის ანდა საქონლის მოცემული რაოდენობის ფასი ეცემა, საქონელთა რიცხვი იზრდება, ცალკეულ საქონელზე მოგების მასა და საქონელთა ჯამზე მოგების ნორმა მცირდება, ხოლო საქონელთა მთელ ჯამზე მოგების მასა იზრდება»—ასეთია წესი, რომელიც «გამომდინარეობს წარმოების კაპიტალისტური წესის ბუნებიდან»[153]. მოგების ნორმა კლებულობს, მაგრამ მოგების მასა იზრდება კაპიტალის ზრდასთან ერთად. შრომის გაუმჯობესებული საშუალებათა ღირებულება უცვლელი რომ რჩებოდეს, არ იზრდებოდეს წარმოების ახალი ტექნიკური წესების შემოღებით, ცხადია, მოგების ნორმა უცვლელი დარჩებოდა ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობის პირობებში. მაგრამ ეს ხომ ყოვლად წარმოუდგენელი საქმეა: ახალი ტექნიკური საშუალებანი ციდან არ ვარდებიან, ისინი შრომის პროდუქტი არიან და, მაშასადამე, არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ღირებულებას წარმოადგენენ. მათი შემოღება მოითხოვს კაპიტალის ავანსად გაღებას მუდმივი კაპიტალის ფორმაში, რაც უარყოფითად მოქმედობს მოგების ნორმაზე. ასეთია ორი ერთმანეთის გამომრიცხველი, თან ერთმანეთისგან განუშორებელი ტენდენცია, წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათე-

[152] ibid. გვ. 173.

[153] ibid. გვ. 17[illegible]. აგრეთვე: გვ. 168—169, 171.

ბელი. ორივე ტენდენციის მთლიანობა განსაზღვრავს კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ცვალებადობას.

აქედან აშკარაა, რომ კანონზომიერად იცვლება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის ორგანული შემადგენლობა. საზოგადოებრივი კაპიტალის პასიური ელემენტი, მუდმივი ნაწილი იზრდება რელატივურად და აბსოლუტურად, ხოლო აქტიური ელემენტი, ცვალებადი ნაწილი—მხოლოდ აბსოლუტურად. ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური ზრდა ზედმეცა ღირებულების მოცემული ნორმის დროს (მაგალითად 100%) იწვევს ზედმეტი ღირებულების მასის ასეთივე ზრდას. ზევით დავრწმუნდით, მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის თვალსაზრისით ზედმეტი ღირებულების მასა უდრის მოგების მასას, აქ ზედმეტი ღირებულება და მოგება თანაბარია სიდიდით. საზოგადოებრივი კაპიტალის ზრდა გულისხმობს ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტურ ზრდას, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ ზრდასაც. ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური ზრდა იწვევს მოგების მასის ზრდას. მოგების მასა იზრდება, ვინაიდან იზრდება ზედმეტი ღირებულების მასა resp. ცვალებადი კაპიტალი. მაგრამ ზედმეტი ღირებულების გადიდებული რაოდენობა ახლა მოდის საზოგადოებრივი კაპიტალის უფრო მეტ რაოდენობაზე, ხოლო აქედან იცვლება მოგების ნორმა—ის ეცემა. იქმნება წინააღმდეგობა: ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელია, მისი რაოდენობა იზრდება, იზრდება მოგების მასა, მაგრამ ეცემა მოგების ნორმა. ეს თვით კაპიტალისტური წარმოების სინამდვილის წინააღმდეგობაა და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების კანონის თანახმა. მაგალითი: ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელია—100%. ავიღოთ საზოგადოებრივი კაპიტალი თავისი განვითარების სხვადასხვა მომენტში. ვთქვათ, ერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი კაპიტალი ასეთია: 150c+50v; აქ $p^1=25\%$. მეორე შემთხვევაში: 320c+80v; აქ $p^1=20\%$, ხოლო მესამე შემთხვევაში: 500c+100v; აქ $p^1=16^2/_3\%$. როგორც ვხედავთ, მოგების ნორმა გარკვეულად ეცემა. ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური რაოდენობა იზრდება, ამ რაოდენობის თანაბარია მოგების მასაც, მაგრამ მოგების ნორმა აშკარად ეცემა კაპიტალის ორგანულ შემადგენლობის ზრდის საფუძველზე. ამის მიზეზია ცვალებადი კაპიტალის რელატივური შემცირება. ცვალებადი და მუდმივი კაპიტალი თანაბრად რომ იცვლებოდეს, პროპორციულად, მოგების ნორმა უცვლელი დარჩებოდა. კაპიტალი 200c+50v იძლევა 20% მოგების ნორმას, ხოლო ამავე კაპიტალის შემადგენელი ელემენტები თანაბრად გადიდებული ათჯერ: 2000c+500v იძლევა მოგების ამავე ნორმას. საქმე იმაშია, რომ წარმოების კაპი-

ტალისტური წესის იმანენტური კანონი შეუძლებელს ხდის მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის პროპორციულ ზრდას, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ადამ სმიტს. ცვალებადი კაპიტალი მხოლოდ აბსოლუტურად იზრდება. ზედმეტი ღირებულების მასა ამიტომ აბსოლუტურად იზრდება, მაგრამ ეს გადიდებული აბსოლუტური რაოდენობა ახლა მოდის შედარებით უფრო მეტ საზოგადოებრივ კაპიტალზე. აქედან მოგების ნორმის დაცემაც. საზოგადოებრივი კაპიტალის მოგების საშუალო ნორმა ეცემა არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობის პირობებში, როგორც ეს ამ შემთხვევაში გვაქვს წარმოდგენილი. პირიქით, მოგების ნორმის შემცირება შესაძლებელია დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის გადიდების დროსაც. კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ზრდის «უშუალო შედეგია ის, რომ შრომის ექსპლოატაციის უცვლელ და გაზრდილ ხარისხშიაც კი ზედმეტი ღირებულების ნორმა გამოიხატება მოგების მუდმივად დამცემი საერთო ნორმაში»[1:4]. სხვანაირად, დაქირავებული ძალის ექსპლოატაცია იზრდება, ხოლო მოგების საშუალო ნორმა მცირდება. რით აიხსნება ეს? იმით, რომ ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შეფარდება სრულებით სხვანაირია, ვინემ ზედმეტი ღირებულებისა და ცვალებადი კაპიტალის შეფარდება. არ შეიძლება ასეთი პროპორციის შედგენა: v : c = m : v. ეს ყოველად შეუძლებელია.

ამრიგად, საზოგადოებრივი კაპიტალის ორგანული შემადგენლობა მუდმივ იცვლება და აი, სწორედ აქედან წარმოდგება მოგების საშუალო ნორმის მოძრაობა. კლასიკური ეკონომიისათვის ეს გაუგებარი დარჩა. კერძოდ, სმიტმა თუმცა სწორად შენიშნა ემპირული ფაქტი, მაგრამ ვერ ახსნა, ვერ გაარკვია ის. აქედან ის წინააღმდეგობაში ჩავარდა ზედმეტი ღირებულების თეორიაში. მან გულუბრიყვილოდ დაასკვნა, რომ მოგების ნორმა არღვევს ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგან მთლიანობას და ეს მოვლენა შეუძლებელია აიხსნას ღირებულების პრინციპის თანმიმდევრობითი დაცვით. ემპირული სინამდვილე გარკვეულად ამტკიცებს, რომ მოგების სიდიდე დამოკიდებულია კაპიტალის სიდიდეზე და არა მარტო დაქირავებული შრომის რაოდენობაზე. სმიტისათვის გაურკვეველი დარჩა, რომ სწორედ მოგების მასა უდრის ზედმეტი ღირებულების მასას მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მასშტაბით. მაშასადამე, მოგების მოძრაობა ზედმეტი ღირებულების მოძრაობით აიხსნება. ზედმეტი ღირებულების მოძრაობა, თავის მხრივ,

Op cit. გვ. 157. აგრეთვე: 164, 181, 185 etc.

ემყარება დაქირავებული ძალის რაოდენობას, ცვალებად კაპიტალს —მისი სათავე და მთელი მდინარება აქედან იწყება. მოგების ნორმა ეცემა, იმიტომ რომ რელატივურად ეცემა ცვალებადი კაპიტალი. «მოგების ნორმის შემცირება წარმოიშობა .. მთელი კაპიტალის ცვალებადი შემადგენელი ნაწილის რელატივური შემცირებიდან, ამ ნაწილის შემცირებიდან კაპიტალის მუდმივი ნაწილთან შედარებით»[155]. ვინც დაარღვევს ამ დებულებას, მას შეუძლია დაიკვეხოს, რომ მეცნიერულ, მარქსისტულ ლენინურ თეორიულ ეკონომიას აღმოუფხვრა ძირი. მაგრამ ეს ისევე შეუძლებელია, როგორც დედამიწის —სამყაროს ამ სრულებით პატარა კუნძულის—საკუთარ მხრებზე წამოგორება. მეორე მხრივ, მოგების ნორმა და ზედმეტი ღირებულების ნორმა სიდიდით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი დიდად ნაკლებია მეორეზე, ამაშია კაპიტალისტური მწარმოებლის ინტერესიც: დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის სიძლიერე, მისი ხარისხი საიდუმლოებად გვევლინება, იჩრდილება. მოგების ნორმა შეუძლებელია უდრიდეს ზედმეტი ღირებულების ნორმას, რადგან კაპიტალი არ შედგება მარტო ცვალებადი ნაწილისგან. «მოგების ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლოა უდრიდეს ზედმეტი ღირებულების ნორმას, თუ $c = 0$-ს, ე. ი. თუ მთელი ავანსად გაღებული კაპიტალი იხარჯება მხოლოდ ხელფასზე»[156]. მაგრამ სინამდვილეში ეს არ ხდება, შრომა შეუძლებელია შრომის საგნისა და იარაღის გარეშე. წარმოების პირადი პირობები შეუძლებელია ნივთიერ პირობების გარეშე, ხოლო ნივთიერი პირობები ავანსად გაღებული კაპიტალის მუდმივ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ თუ არ არსებობს თანასწორობის ნიშანი p^1 და m^1 შორის, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ მოქმედებდეს მოგების ნორმაზე. «ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება არის ფაქტორი, რომელიც ღებულობს მონაწილეობას ზედმეტი ღირებულების მასის და, მაშასადამე, მოგების ნორმის განსაზღვრაში»[157]. თუ მოცემულია კაპიტალის სიდიდე, არ იცვლება ის, მაშინ «ზედმეტი ღირებულების ნორმა შეიძლება გაიზარდოს, თუმცა მისი მასა კლებულობს, და პირუკუ... პირიქით, კაპიტალური ღირებულების მოცემულ სიდიდის დროს მოგების ნორმას არასოდეს არ შეუძლია აიწიოს ან დაიწიოს, თუ არ გაიზარდა ან

[155] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 161. ხაზი ჩვენია.

[156] ibid. გვ. 181.

[157] ibid. გვ. 175.

შემცირდა ზედმეტი ღირებულების მასა»[158]. ამ თვალსაზრისითაც აშკარაა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა წარმოადგენს «ერთად ერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოგების ნორმას»[159]. აქედან გამომდინარეობს მეცნიერულად ურყევი დასკვნა: მოგება არის ზედმეტი ღირებულების სახეცვლილი ფორმა, მისი გამოვლენა სინამდვილის ზედაპირზე, მოგების ერთად ერთი წყაროა მხოლოდ დაქირავებული შრომა. მოგების კათეგორია კი არ უკუაგდებს ღირებულების პრინციპს, პირიქით, მოგების გაგება შეიძლება მხოლოდ ღირებულების თეორიის საფუძველზე.

მოგების საშუალო ნორმა იცვლება ნელად. მოგების ნორმის დაცემა ტენდენციის კანონის სახით გვევლინება და არა დაუძლეველი კანონის ფორმაში. საზოგადოებრივი კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ზრდა წარმოების კაპიტალისტური წესის კანონია და სადაც ეს კანონი არ ხორციელდება, იქ კაპიტალისტური წარმოება კოლიზიაში ვარდება. ამ კანონის მიხედვით «შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოგების საერთო ნორმა უნდა იცვლებოდეს ყოველდღე»[160], მოგების ნორმის დაცემა ტენდენცია კი არა, «ბუნებრივი აუცილებლობის» კანონია. ნამდვილად ეს ასე არაა, მოგების ნორმას ახასიათებს მხოლოდ დაცემის ტენდენცია და არა უბრალოდ დაცემის კანონი. რაში მდგომარეობს ამის საიდუმლოება? ეს ხომ ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ცვლილების კანონს? საქმე იმაშია, რომ მოგების ნორმის დაცემის კანონს წინ ეღობება მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც «ასუსტებენ და ანელებენ საერთო კანონის გავლენას და აძლევენ ამ კანონს მხოლოდ ტენდენციის ხასიათს». ამიტომაც ეწოდება «მოგების საერთო ნორმის შემცირებას მხოლოდ ტენდენცია შემცირებისადმი»[161]. ასეთია ექვსი ფაქტორი, რომლებსაც მარქსი არკვევს. პირველი — დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის გაძლიერება, ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება. აქამდე ვგულისხმობდით, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემული სიდიდეა. ცხადია, კაპიტალისტი ცდილობს ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებას და ზედმეტი ღირებულების წარმოების გაფართოებას. ცვალებადი კაპიტალი თუ მცირდება შედარებით, ეს შედარებითი შემცირება ახლა იმდენად არ მოქმედობს მოგების ნორმის

[158] ibid. გვ. 176.

[159] ibid. გვ. 160. ეს ციტატა ფრჩხილებში აქვს მარქსს ჩასმული.

[160] ibid. გვ. 122.

[161] ibid. გვ. 174.

შემცირებაზე, რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება. ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია აქ ერთმანეთს ხვდება და მოგების ნორმის აუცილებლად დაცემის კანონის მოქმედება სუსტდება. მეორე—ხელფასის შემცირება. ეს იწვევს ცვალებადი კაპიტალის ეკონომიას ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის პირობებში. ახლა ეს მასა მოდის ავანსად გაღებულ უფრო ნაკლებ კაპიტალზე და, ცხადია, მოგების ნორმაც იზრდება. ხელფასის შემცირება «წარმოადგენს ერთ-ერთ უძირითადეს მიზეზს, რომელიც ანელებს ნორმის ტენდენციას შემცირებისადმი»[162]. მესამე—მუდმივი კაპიტალის ელემენტების ეკონომია, რომელსაც უკვე გავეცანით. მეოთხე—შედარებითი უმუშევრობა, რომელიც ძლიერია იმდენად, რამდენად განმტკიცებული და განვითარებულია წარმოების კაპიტალისტური წესი. მის ნიადაგზე ხელფასი ეცემა საშუალო დონეზე დაბლა და, ცხადია, იზრდება მოგების ნორმა. მეხუთე—საგარეო კაჭრობა. ის ხელს უწყობს მოგების ნორმის გადიდებას. კოლონიალურ ქვეყნებში წარმოების კაპიტალისტური წესი იმდენად განვითარებული არაა, შრომის ხელფასი ძალზე მცირეა და შრომის ექსპლოატაციაც უფრო მაღალია. ამიტომ კაპიტალი, დაბანდებული კოლონიალურ ქვეყნებში, ღებულობს მოგების უფრო მაღალ ნორმას. მეორე მხრივ, კოლონიალურ ქვეყნებში კაპიტალი მოგების უფრო მაღალ ნორმას ღებულობს იმიტომ, რომ აქ არ არსებობს ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანასა და კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყანას შორის. უკანასკნელი აძლევს პირველს «განივთიერებულ შრომას in natura იმაზე მეტს, ვინემ ღებულობს და ამავე დროს ღებულობს საქონელს უფრო იაფად, ვინემ ეს საქონელი მას დაუჯდებოდა»[163]. «უფრო მოწინავე ქვეყანა ყიდის თავის საქონელს ღირებულებაზე მეტად, თუმცა მეტოქე ქვეყანაზე უფრო იაფად»[164]. შრომის ნაყოფიერებითი ძალა კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში გაცილებით უფრო განვითარებულია, ვინემ კოლონიალურ ქვეყანაში. ამიტომ საქონლის ღირებულება პირველში უფრო მცირეა, მეორეში—უფრო დიდი. კაპიტალისტური ქვეყანა საქონელს ყიდის ღირებულებაზე მეტად, მაგრამ ეს შედარებით კოლონიალურ ქვეყანაში დამზადებულ საქონელზე მაინც უფრო იაფია. მაშასადამე, კაპიტალისტური ქვეყანა ნაკლებ რაოდენობის შრომას ცვლის უფრო მეტი

[162] ibid. გვ. 176.

[163] Капитал, ტ III, ნაწ. 1, გვ. 178.

[164] ibid.

რაოდენობის შრომაზე. რასაკვირველია, ეს იწვევს მოგების ნორმის გადიდების ტენდენციას. ეს არ სპობს მოგების ნორმის დაცემის კანონს, მხოლოდ ასუსტებს მას. ამიტომ «კანონი მოქმედობს როგორც ტენდენცია». საგარეო ვაჭრობა, ერთი მხრივ, ადიდებს მოგების ნორმას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამცირებს მას. ამ შემთხვევაშია, ორი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს. მეორე, საწინააღმდეგო ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ვაჭრობა მოვაჭრე ქვეყანაში უფრო «ანვითარებს წარმოების კაპიტალისტურ წესს და, მაშასადამე, იწვევს ცვალებადი კაპიტალის შემცირებას მუდმივთან შედარებით». საგარეო ვაჭრობა ზრდის მოგების ნორმას, ეს უკანასკნელი ანვითარებს კაპიტალისტურ დაგროვებას, კაპიტალის ცენტრალიზაციას. ამის აუცილებელი შედეგია შრომის ნაყოფიერებითი ძალის შემდგომი განვითარება და ამის ნიადაგზე საზოგადოებრივი კაპიტალის—აგრეთვე ინდივიდუალური კაპიტალის—ორგანული შემადგენლობის მუდმივი ზრდა. ცხადია, ამით მოგების ნორმა ეცემა. ასეთია საგარეო ვაჭრობის ორმაგი ტენდენცია მოგების ნორმის მოძრაობის სფეროში. დაბოლოს, მ ე ე ქ ვ ს ე—ა ქ ც ი ო ნ ე რ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ზრდა. აქციონერული კაპიტალი (როგორც ის გაგებულია ამ შემთხვევაში) არ ღებულობს მონაწილეობას მოგებათა ინდივიდუალურ ნორმების გათანაბრების პროცესში და ამით მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას დაბრკოლებად ეევლინება.

ასეთია ის ფაქტორები, რომლებიც მოგების ნორმის დაცემის კანონს ეწინააღმდეგება, ასუსტებს, ანელებს მის მოქმედებას, მაგრამ სავსებით ვერ სპობს და აძლევს მას ტენდენციის ხასიათს. ამ ფაქტორებისგან ჩვენ აქამდე განყენებული ვიყავით, რადგან მოგების ნორმის მოძრაობის შინაგან კანონზომიერებას მ ა რ ქ ს ი იკვლევს მისი წმინდა სახით. ამას მოითხოვდა მეცნიერული აბსტრაქციის გზა. «თეორიაში ყოველთვის იგულისხმება, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის კანონები ვითარდება წმინდა სახით. სინამდვილეში ყოველთვის გვაქვს მხოლოდ ერთგვარი დაახლოება; მაგრამ ეს დაახლოება იმდენად დიდია, რამდენად უფრო განვითარებულია წარმოების კაპიტალისტური წესი, რამდენად ეს წესი ნაკლებად მახინჯდება და რთულდება განვლილ ეკონომიურ მდგომარეობათა ნაშთებით»[165]. საგარეო ვაჭრობა კოლონიებთან გულისხმობს ამ ქვეყნებში საწარმოო ძალთა განუვითარებლობას და ამ ნიადაგზე არა ეკვივალენტურ გაცვლა-გამოცვლას, მაშასადამე, იქ დაბანდებული კაპიტალის მოგების ნორმის უფრო მაღალ დონეს. აქციონერული კაპი-

[165] ibid. გვ. 127.

ტალი სახეს უცვლის «თავისუფალი კონკურენციის რეჟიმს», მარ-ქსის თერმინით რომ ვთქვათ. სამუშაო ძალა არ იყიდება სინამ-დვილეში მისი ღირებულების მიხედვით, არც ამ ძალის ექსპლოატა-ციის ხარისხია უცვლელი. ამ მოვლენების განყენება აუცილებელი იყო კანონის აღმოსაჩენად, ხოლო კანონის აღმოჩენით აშკარა ხდება ეკონომიურ მოვლენათა დედაარსის გაგება, მათი შინაბუნების მეცნიერული შემეცნება.

ამრიგად, მარქსმა მეცნიერულად გაარკვია მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია და ეკონომიური აზროვნება იხსნა იმ ლოგიკურ წრიდან, რომელშიაც ის მოექცა ადამ სმიტის თეორიის წყალობით. მარქსმა აღმოაჩინა მოგების ნორმის მოძრაობის იმანენტური, შინაგანი კანონები, მაგრამ ამ კანონების მხოლოდ აღმოჩენით არ დაკმაყოფილდა მარქსი. მან აქედან შესაფერი დასკვნები გამოი-ყვანა: მეცნიერულად ნათელყო წარმოების კაპიტალისტური წესის ისტორიული, გარდამავალი ხასიათი,—დაამტკიცა, რომ კაპიტალის მოძრაობა-განვითარების საზღვარია თვით კაპიტალი. წარმოების კაპიტალისტური წესი ანტაგონისტურია, ის შეიცავს შინაგან დაუძლეველ წინააღმდეგობას. ეს წესი ერთ პოლუსზე აგროვებს სიმდი-დრეს, ანვითარებს კაპიტალისტურ დაგროვებას, ხოლო მეორე პო-ლუსზე ზრდის სიღატაკეს, ქმნის შრომის აუტანელ პირობებს, აღრ-მავებს კლასობრივ ბრძოლას. კაპიტალისტური საზოგადოების ძირი-თადი კლასობრივი ანტაგონიზმი გაშლილია შრომასა და კაპიტალს შორის, ეს ანტაგონიზმი ვითარდება და პოულობს გამოსავალს პრო-ლეტარულ რევოლუციაში. კაპიტალისტური გაფართოებუ-ლი რეპროდუქცია არის ამავე დროს კლასობრივი ანტაგონიზმის რეპროდუქციაგაფართოებულიმასშ-ტაბით. სხვანაირად, რამდენად ვითარდება წარმოების კაპიტალი-სტური წესი, ფართოვდება კაპიტალისტური დაგროვება, იმდენად ვითარდება ორი პოლუსის—სიმდიდრისა და სიღარიბის, კაპიტა-ლისა და შრომის, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგო-ნისტური, შეურიგებელი წინააღმდეგობა. მართლაც, აიღეთ მოგე-ბის ნორმის დაცემის ტენდენცია. მოგების ნორმა ეცემა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეცემა დაქირავებული ძალის ექსპლოატა-ცია? სრულებითაც არა. მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი გამოწვეულია კაპიტალის ორგანულ შემადგენლობის მუდმივი ცვალებადობით, მისი ზრდით. საშუალო ანუ საზოგადოებრივი მო-გებისა და ზედმეტი ღირებულების მასა თანაბარია აბსოლუტური სიდიდით. მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების შეფარდებაა მთე-ლი ავანსად გაღებულ კაპიტალთან. იმ შემთხვევაში, როდესაც ავან-

სად გაღებული კაპიტალი მოცემულ სიდიდეს წარმოადგენს, მოგების ნორმის მოძრაობა უშუალოდ დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმის, ე. ი. დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის სიძლიერეზე. როგორც დავინახეთ, მოგების ნორმის დაცემა კანონი არაა, ეს—ტენდენციაა. ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი ამისა არის სწორედ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება და ხელფასის შემცირება, ცვალებადი კაპიტალის შემოკლება ზედმეტი ღირებულების მასის უცვლელობის, ხშირად მისი გადიდების პირობებში. ამიტომ სრულებით უდაოა, რომ მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია არ მოასწავებს ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის ტენდენციას. პირიქით, მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია აუცილებლად გულისხმობს ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას, დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის გაძლიერებას. «მოგების ნორმა მცირდება არა იმიტომ, რომ მუშას ნაკლებად ყვლეფენ, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოდ უფრო ნაკლებ რაოდენობის შრომას იყენებენ გამოყენებულ კაპიტალთან შედარებით» [166]. დაქირავებული შრომის რაოდენობა იზრდება აბსოლუტურად, მაგრამ მცირდება რეალიტივურად—მუდმივ კაპიტალთან შედარებით. აბსოლუტურად გადიდებული შრომის ექსპლოატაცია იზრდება და არა მცირდება წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებით. ეს წესი ემყარება აბსოლუტური და რელატივური ზედმეტი ღირებულების წარმოებას, მაშასადამე, დაქირავებული ძალის გაშმაგებულ ექსპლოატაციას. ერთი სიტყვით, მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია სრულებით არაა ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის მაჩვენებელი. მ ა რ ქ ს ი ს მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებით, მოგების ნორმის დაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში გულისხმობს დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის შემცირებას, ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემას, თუ კაპიტალის ორგანული შემადგენლობა უცვლელია, დაქირავებული ძალის რაოდენობა და მუდმივი კაპიტალის ელემენტების მასა უცვლელ შეფარდებაშია მოცემული. აქ იგულისხმება, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა განსაზღვრულია. მეორე მხრივ, იგივე მოვლენა მეორდება, თუ ცვალებადი კაპიტალი იზრდება, ხოლო მუდმივი—უცვლელი რჩება სიდიდის მიხედვით. მხოლოდ ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მოგების ნორის დაცემა მოასწავებს ზედმეტი ღირებულების ნორმის, დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის დაცემას. მაგრამ ეს შემთხვევა მართლაც ძნელად წარმოსადგენი შემთხვევაა და მას არ აქვს მნიშვნელობა. კაპიტალისტური წარმოება არ ემყარება ამ შემთხვევას. აქ მუდმივი

[166] Капитал, ტ. III, ნაწ. 1. გვ. 185. შეად. გვ. 157, 164. etc.

და ცვალებადი კაპიტალი განუწყვეტლივ მოძრავ მიმართებაშია და ადგილი არ აქვს აბსოლუტურობას. ამიტომ წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონი ძალაში რჩება სავსებით: მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია მოასწავებს ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას, დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის განვითარებას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა ისტორიული და ლოგიკური აუცილებლობით: მაშასადამე, შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონიზმი იზრდება, კლასობრივი წინააღმდეგობა მახვილდება, ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი ხდება წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძველზე. კაპიტალის მოძრაობის საზღვარია თვით კაპიტალი.

მეორე მხრივ, მარქსი იკვლევს მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის როლს კაპიტალისტური წარმოების იმანენტური წინააღმდეგობათა განვითარებაში. მოგების ნორმის დაცემა მოასწავებს კაპიტალისტური დაგროვების ზრდას, რამდენად მოგების ნორმის დაცემა გამოწვეულია შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარებით, რაც თავის გამოხატულებას პოულობს კაპიტალის ორგანულ შემადგენლობის მუდმივ ცვალებადობაში, ზრდაში. პირიქით, კაპიტალისტური დაგროვების განვითარება იწვევს მოგების დაცემას—კაპიტალისტური დაგროვების ზრდა ცვლის ზედმეტი ღირებულების მასისა და ავანსად გაღებული კაპიტალის შეფარდებას. ამავე დროს, თავის მხრივ, მოგების ნორმის დაცემა ანელებს კაპიტალისტურ დაგროვებას. ეს თავისთავად გასაგებია: ახლა შედარებით ზედმეტი ღირებულება უფრო ნაკლებად იქცევა კაპიტალად, ხდება ზედმეტი ღირებულების შედარებით—არა აბსოლუტური—შემცირებული კაპიტალიზაცია. თავისთავად ცხადია, მოგების მაღალი ნორმა გულისხმობს დაგროვების მაღალ ტემპს, ხოლო დაბალი ნორმა—დაბალ ტემპს. როგორც ვხედავთ, მოგების ნორმის მოძრაობა და კაპიტალისტური დაგროვება ართულებს კაპიტალისტური წარმოების შინაგან წინააღმდეგობას. აქ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იშლება შინაგან დაუძლეველ წინააღმდეგობათა დიალექტიკა. მოგების ნორმის შემცირება ანელებს კაპიტალისტურ დაგროვებას იმ მხრივ, რომ ის აფერხებს ახალ კაპიტალის დაბანდებას წარმოებაში და ამდენად, როგორც მარქსი ამბობს, «წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური პროცესის განვითარების საშიშროებას». ამ შემთხვევაშიაც კაპიტალის შემდგომი განვითარება პოულობს გარდაუვალ ზღუდეს თვით კაპატალში.

წარმოების კაპიტალისტური წესის მამოძრავებელი მოტივი ზედმეტი ღირებულების წარმოებაა. ზედმეტი ღირებულება «წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების უშუალო მიზანსა და განმსაზღვრელ მო-

ტივს»[167]. ა დ ა მ ს მ ი ტ ი უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანი მოხმარებაა, რომ ეს წარმოებაა მოხმარებისთვის. პირიქით, კაპიტალისტური წარმოება წ ა რ მ ო ე ბ ა ა წ ა რ მ ო ე ბ ი-ს თ ვ ი ს, სპეციალურად—წარმოება ზედმეტი ღირებულების, მოგების წარმოებისთვის. «კაპიტალის მიზანია არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ მოგების წარმოება»[168]. მოგების, უკეთ, რომ ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების წარმოების გარეშე კაპიტალისტური მეურნეობა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ადამიანის ცოცხალი ორგანიზმი სუნთქვის პროცესის გარეშე. კაპიტალისტური წარმოების «უშალო მიზანი და განმსაზღვრელი მოტივი» ზედმეტი ღირებულებაა და აქედან გასაგები ხდება, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო-ბ ი ს მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს წ ო რ ე დ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე-ბ უ ლ ე ბ ა ა. მ ა რ ქ ს ი გარკვეულად ამტკიცებს: «მოგების ნორმა ის ძალაა, რომელსაც მოყავს მოძრაობაში კაპიტალისტური წარმოება; იქმნება მხოლოდ ის და იმდენად, რაც და რამდენად შესაძლებელია წარმოებულ იქნას მოგებით»[169]. მოგება resp. ზედმეტი ღირებულება არის სწორედ კაპიტალის მამოძრავებელი ძალა. ესაა კაპიტალის მოძრაობის აუცილებელი კანონი. მოგების ნორმა ეცემა, მაგრამ სამაგიეროდ ი ზ რ დ ე ბ ა მ ი ს ი მ ა ს ა, რადგან იზრდება ცვალებადი კაპიტალი აბსოლუტურად, იზრდება დაქირავებული ძალის რაოდენობა. აქ მოგების ნორმის შემცირება მასის გადიდებაში პოულობს კომპენსაციას. ზედმეტი ღირებულების რაოდენობა ზღაპრულად იზრდება. ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული მასის წარმოებით მთავრდება კაპიტალისტური მეურნეობის ერთი ძირითადი მომენტი, ახლა მას უნდა მოყვეს მეორე მომენტი—წარმოებულ ღირებულების რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა. ესაა «პროცესის მეორე აქტი». ზედმეტი ღირებულების წარმოების აქტი განცალკევებულია ამ ღირებულების გაყიდვის აქტიდან. კაპიტალისტური მეურნეობა ღირებულების წარმოებისა და მიმოქცევის მთლიანობაა. სადაც არაა ეს მთლიანობა, იქ წარმოების კაპიტალისტური წესი ირღვევა. საქმეც იმაშია, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობა აუცილებლად გულისხმობს წარმოებისა და მიმოქცევის აქტების დაპირისპირებას. ჯერ კიდევ საქონლის მარტივი წარმოების პირობებში საქონელი უპირისპირდება ფულს, ს—ფ—ს, და ამ დაპირისპირებაში უკვე მოცემულია კრი-

[167] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 183.

[168] ibid. გვ. 194.

[169] ibid. გვ. 196.

ზისის შესაძლებლობა, რომელიც საქონლის მეურნეობის ამ დაბალ საფეხურზე არ იქცევა სინამდვილედ. სხვა მდგომარეობაა საქონლის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მეურნეობის პირობებში. აქ კრიზისის შესაძლებლობა ბუნებრივ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა დ, სინამდვილედ იქცევა. ამის ძირითადი მიზეზია წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ი და გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ე ს ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი. ამის ნიადაგზე კაპიტალისტური გაფართოებული წ ა რ მ ო ე ბ ა აუცილებლად ემყარება მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ‚ვიწრო ბაზისს. წარმოებისა და რეალიზაციის პირობები—ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი—თანაბარი როდია. «ისინი არ ეთანაბრებიან ერთმანეთს არა მარტო ადგილისა და დროის მიხედვით, არამედ ცნებაშიაც. პირველი განსაზღვრულია მხოლოდ საზოგადოების ნაყოფიერებით› ძალით, ხოლო მეორე—წარმოების სხვადასხვა დარგის პროპორციულობით და საზოგადოების მოხმარებითი ძალ‹ თ›[170]. თავის მხრივ, საზოგადოების მოხმარებითი ძალა, საზოგადოებრივი რეალური მოსმარება განისაზღვრება «მოხმარებითი უნარიანობით განაწილების ანტაგონისტური მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც [მიმართებანი] საზოგადოების უდიდესი მასის მოხმარებას ამცირებენ მინიმუმამდე, რომელიც იცვლება მეტად თუ ნაკლებად ვიწრო ფარგლებში». საზოგადოების მოხმარებითი ძალა განსაზღვრული› აგრეთვე კაპიტალისტური დაგროვებით, ზედმეტი ღირებულების წარმოებით—ასკვნის მ ა რ ქ ს ი. ამას მოითხოვს «მუდმივი რევოლუციები თვით წარმოების მეთოდებში». ღირებულების ბაზარი უნდა გაფართოვდეს წარმოების გაფართოებასთან ერთად, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, წარმოება და მოხმარება უპირისპირდება ერთმანეთს. «რამდენად ვითარდება ნაყოფიერებითი ძალა, იმდენად ვარდება ის წინააღმდეგობაში იმ ვიწრო ბაზისთან, რომელზედაც დაფუძნებულია მოხმარება»[171]. ამის აუცილებელი შედეგია კაპიტალების ჭარბი წარმოება, კ რ ი ზ ი ს ი, რომელიც «ყოველთვის წარმოადგენს არსებულ წინააღმდეგობათა დროებითი ძალდატანებითი გადაწყვეტას, ძალდატანებითი აფეთქებას, რომელიც წუთიერად აღადგენს დარღვეულ წონასწორობას»[172]. მეორე მხრივ, კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ზრდა აძლიერებს უმუშევრობას, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო ავიწროვებს საზოგადოებრივი მოხმარების ისედაც ვიწრო ბაზისს. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და კაპიტალისტური მითვისება, განაწილე-

[170] Op. cit. გვ. 184.

[171] ibid.

[172] ibid. გვ. 188.

ბის კაპიტალისტური წესი—აი, რა განსაზღვრავს კაპიტალისტურ კრიზისს. ადამ სმიტს წარმოდგენაც არ აქვს კრიზისზე, და ეს გასაგებია: კაპიტალიზმის მანუფაქტურულმა პერიოდმა სრულებით არ იცის კრიზისი. წარმოების კაპიტალისტური წესის ამ შინაგან წინააღმდეგობათა მეცნიერულ ანალიზიდან მარქსს გამოყავს გენიოსური დასკვნები, რომლებიც წარმოადგენს მეცნიერული ეკონომიური თეორიის მდიდარ განძეულის განუყოფელ ელემენტს. მარქსი წერს:

«კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი საზღვარია თვით კაპიტალი, ეს ნიშნავს: კაპიტალი და მისი თვითზრდა წარმოადგენს წარმოების გამოსავალ და საბოლოო პუნქტს, მოტივსა და მიზანს; წარმოება არის მხოლოდ წარმოება კაპიტალისთვის, და არა პირიქით: წარმოების საშუალებანი არ წარმოადგენენ მწარმოებელთა საზოგადოების სასიცოცხლო პროცესის მუდმივი გაფართოების უბრალო საშუალებებს. საზღვრები, მხოლოდ რომელშიაც შესაძლებელია კაპიტალური ღირებულების შენახვა და გადიდება, დამყარებულ მწარმოებელთა ფართო მასების ექსპროპრიაციასა და გაღარიბებაზე, ეს საზღვრები მუდმივად ვარდება ამიტომ კონფლიქტში წარმოების მეთოდებთან, რომლებიც უნდა გამოიყენოს კაპიტალმა თავისი მიზნების გულისთვის და რომლებიც მიმართულია წარმოების განსაზღვრულ გადიდებისკენ,—წარმოებისკენ, როგორც თვითმიზნისკენ, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებითი ძალის უსათუო განვითარებისკენ. საშუალება—საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განსაზღვრული განვითარება—ვარდება მუდმივ კონფლიქტში განსაზღვრულ მიზანთან—არსებული კაპიტალის ღირებულების გადიდებასთან»[173].

როგორც ვხედავთ, აქ მარქსი ასაბუთებს იმ ძირითად თეზას, რომელიც მან «კაპიტალი»-ს პირველ ტომში წამოაყენა და ნათელყო მეცნიერულად. კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრულ საფეხურზე საწარმოო ძალები და საწარმოო ურთიერთობანი ვეღარ თავსდებიან კაპიტალისტურ ქერქში, «კაპიტალის მონოპოლია გვევლინება ბორკილებად წარმოების იმ წესისა, რომელიც მასთან ერთად და მისი წყალობით გაიფურჩქნა. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს დონეს, რომელზედაც ისინი შეუთავსებელი ხდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი იხევა. კაპიტალისტური კერძო საკუთრების საათი რეკავს. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციაქმნილი ხდებიან»[174]. საწარმოო ძალები

[173] Ibid. გვ. 189. შეად. გვ. 197. ხაზგასმა მარქსისაა.

[174] Капитал, ტ. I. გვ. 613.

ჯანყდება არსებულ საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგ, შრომა— კაპიტალის წინააღმდეგ. ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია ამსხვრევს წარმოების კაპიტალისტურ წესს და ამტკიცებს პროლეტარიატის რევოლუციურ დიქტატურას. მაშასადამე, მარქსმა გამოიკვლია არა მარტო კაპიტალიზმის გენეზისი, მან მეცნიერულად დაასაბუთა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების იმანენტური კანონები და წარმოების კაპიტალისტური წესის დაღუპვის ისტორიული აუცილებლობა. მარქსმა კაპიტალისტური წარმოება განიხილა ისტორიულად და მეცნიერულად დაასაბუთა ამ წარმოების ისტორიული, გარდამავალი ხასიათი. «კაპიტალმა» ნათელყო კაპიტალის არა აბსოლუტური ბუნება, «წარმოების კაპიტალისტური წესის გარდამავალი ხასიათი», ეს წესი «არაა წარმოების აბსოლუტური წესი... პირიქით, განსაზღვრულ საფეხურზე ის ვარდება კონფლიქტში საკუთარ შემდგომ განვითარებასთან»[175]. წარმოების კაპიტალისტური წესი ისევე ისტორიულია, როგორც მეურნეობის ყველა წინაკაპიტალისტური წესი. ეს დასკვნა ბუნებრივი აუცილებლობით გამომდინარეობს მარქსის გენიოსური კვლევა-ძიებიდან. მარქსმა აღმოაჩინა კაპიტალისტური მეურნეობის იმანენტური კანონები მატერიალისტურ-დიალექტიკური აზროვნებით, მეცნიერულად დაასაბუთა ეს კანონები და წარმოების კაპიტალისტური წესის ისტორიული ხასიათი ცხადყო, მან ნათლად მოხაზა მეცნიერულ სოციალიზმისკენ მიმავალი გზა და მეცნიერულ კომუნიზმს გრანიტისებური თეორიული საფუძვლები ჩაუყარა.

წარმოების კაპიტალისტური წესის ისტორიული ხასიათი ვერ გაიგო, ვერ დაინახა ინგლისურმა კლასიკურმა ეკონომიამ. ამაშია სწორედ ამ ეკონომიის ბურჟუაზიული დედააზრი. რასაკვირველია, ამით კლასიკოსებს არ ვამართლებთ, მაგრამ არც ვასამართლებთ. წინაალმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ ისტორიულ თვალსაზრისს, ვუღალატებთ დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს.

IV

ფასების თეორია

მოვლენა და რაობა ერთმანეთს უშუალოდ არ ხვდება. რაობა უშუალოდ არ გვევლინება სინამდვილის ზედაპირზე, მას გამოვლენის შესაფერი ფორმა გააჩნია. რაობის შემეცნება გულისხმობს მოვლე-

[175] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 182.

ნის შემეცნებას. მაგრამ მოვლენა რაობას არ ემთხვევა და მეცნიერული კვლევა-ძიების აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა აღმოჩენილ იქნას მოვლენაში მოცემული რაობა. მოვლენა და რაობა ერთი და იგივე რომ იყოს, მეცნიერული აზროვნება უსაგნო დარჩებოდა და, როგორც მარქსი შენიშნავს, თვით მეცნიერება ზედმეტი გახდებოდა. ნამდვილად ეს ასე არ არის. მოვლენის რაობა, მისი დედაარსი გაიგივებული არაა რაობის გამოვლენასთან. მეცნიერების მიზანია სწორედ რაობის შემეცნება. მეორე მხრივ, მოვლენაში არაა ის, რაც არაა რაობაში. მოვლენა და რაობა წინააღმდეგობათა მთლიანობაა, მათი გათიშვა ერთმანეთისგან შეუძლებელია: არ არსებობს მოვლენა რაობის გარეშე, რაობა—მოვლენის გარეშე. მოვლენისა და რაობის დაპირისპირება დიალექტიკურია და არა მეტაფიზიკური, აბსოლუტური. მარქსის ფილოსოფიურ ენაზე რომ ვთქვათ, აქ საქმე გვაქვს რაობისა და არა არსებობის სხვაობასთან. როგორც რაობა, ისე მოვლენა ობიექტური კათეგორიაა, ორივე სინამდვილის ნაწილია და სწორედ ისევე, როგორც მსოფლიოს მთლიანობა მდგომარეობს მის მატერიალურობაში, ასევე მოვლენისა და რაობის მთლიანობაც მათი ობიექტურობით განისაზღვრება არსებითად.

მეტაფიზიკური მეთოდოლოგია მოვლენის სფეროს არ სცილდება და მისი კვლევა-ძიების საგანს შეადგენს ობიექტური ფაქტი იმ სახით, როგორითაც ის გვევლინება და შეგრძნობათა გზით შესაცნობი ხდება. ასეთია უმთავრესად ადამ სმიტის მეთოდოლოგიური მსოფლმხედველობა. სმიტი მთელი თავისი სიძლიერით გვევლინება იქ, სადაც ის სინამდვილის ზედაპირზე დანავარდობს და ეზოტერულ მეთოდს ექზოტერული მეთოდით ცვლის. ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების კონცეპციით—მისი შინაგანი წინააღმდეგობათა მიუხედავად—სმიტი იძლევა ბურჟუაზიული საზოგადოების ფიზიოლოგიას. როგორც დავინახეთ, ამის შესახებ მარქსი გარკვეულ აზრს გამოთქვამს. მაგრამ, მეორე მხრივ, სმიტის მეთოდოლოგიური დუალიზმი დაუძლეველი აღმოჩნდა და ექზოტერიზმი წარმოადგენს სმიტის მეთოდოლოგიურ საფუძველს. პრობლემა, რომელსაც ახლა სმიტი იკვლევს, სწორედ რაობის გამოვლენის ფორმას შეიცავს და, მაშასადამე, უშუალოდ მოცემულია ეკონომიური სინამდვილის ზედაპირზე. ესაა ფასების პრობლემა. საქონლის ფასი მოვლენაა, მისი რაობაა ღირებულება. ფასის კათეგორია ღირებულების კათეგორიისგან დამოუკიდებლად არ განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ფასი ეკონომიურ სინამდვილეში, საქონელთა სამყაროში დამოუკიდებელ ცნებად გვევლინება. ადამ სმიტი იკვლევს საქონლის ფასის ბუნებას, ის ცდილობს ცხადყოს ფასების მუდმივი

მოძრაობის კანონზომიერება. ფასი მოვლენაა, ხოლო სმიტის მეცნიერული გონება ძლიერია სწორეთ მოვლენათა სფეროში. აქედან შეგვიძლია a priori დავასკვნათ, რომ ამ პრობლემის განხილვაში სმიტმა უნდა მიაღწიოს ლოგიკური თანმიმდევრობისა და კვლევაძიების საფუძვლიანობის უმაღლეს საფეხურს. ნამდვილად ასე გადაჭრით ამის თქმა შეუძლებელია: ღირებულების პრობლემა სმიტმა ვერ გადაჭრა მეცნიერული თანმიმდევრობით, ღირებულების თეორიაში სმიტი შინაგან წინააღმდეგობათა ხლართში გაეხვია და, ბუნებრივია, თუ ადამ სმიტი წინააღმდეგობაში ვარდება ფასების თეორიაშიც. უნდა ითქვას, ფასების თეორიაში სმიტის შეხედულებათა შინაგანი წინააღმდეგობანი არ არიან იმდენად მწვავე და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, როგორც ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობანი. ეს აიხსნება იმ საზოგადოდ ცნობილი ფაქტით, რომ მოვლენათა მსოფლიოში სმიტი საკმაოდ ძლიერია, მას ემარჯვება ფაქტიური მასალის სისტემატიზაცია და ამიტომ ფასების პრობლემის განხილვაში შედარებით შინაგან მთლიანობას იჩენს. ეს მთლიანობა უმალვე ირღვევა, როგორც კი სმიტი ღირებულების ზუსტ მეცნიერულ განსაზღვრას ღალატობს და არა სავსებით სწორ კონცეპციას იცავს.

რა არის ფასი? ამ კითხვაზე სმიტი უპასუხებს: «საქონელთა ფულად ფასად მე ყოველთვის მიმაჩნია წმინდა ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, რომელზედაც ისინი იყიდებიან» [1]. ეს დებულება სავსებით სწორია. მარქსის აზრით «საქონლის ღირებულების გამოთქმა ოქროთი» «არის საქონლის ფულადი ფორმა ანუ ფასი» [2]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფასი არის, «საქონელში განივთიერებული შრომის ფულადი სახელწოდება»[3]. მაშასადამე, ღირებულება ფულად ფორმაში ფასის სახეში გვევლინება. თვით ფული «გარდაქმნილი საქონელია», «უშუალო განხორციელებაა საზოგადოებრივი შრომის, საერთო სამუშაო დროსი», ესაა «საქონელი მის დამოუკიდებელ ფორმაში»[4]. ოქროში განივთიერებულია საზოგადოებრივი შრომა, ამიტომ ის შეიცავს ღირებულებას. თითოეული დანარჩენი საქონელი ოქროში ხედავს თავის საყოველთაო ეკვივალენტს, ოქრო ახლა საქონელია დამოუკიდებელ ფორმაში. საქონლის ფასი ამიტომ ოქროს განსაზღვრულ რაოდენობაში გამოიხატება. ფასი არის ღირებულების ფულადი გა-

[1] Исследование etc. წ. I, თ. 5.

[2] Капитал, ტ. I, გვ. 30.

[3] ibid. გვ. 55.

[4] Теории etc. ტ. I, გვ. 105.

მოხატულება. საქონლის ღირებულება უშუალოდ სამუშაო დროთი არ გამოითქმება, აქ აუცილებელი ხდება მისი გამოხატვა ფულით. მაშასადამე, ღირებულება სინამდვილის ზედაპირზე ფასის ფორმაში გამოიჟღინება. ადამ სმიტმა სწორად აღნიშნა «საქონლის ფულადი ფასის» ნამდვილი შინაარსი, როდესაც ეს ფასი ოქროსა და ვერცხლის განსაზღვრულ რაოდენობაში გამოხატა. ამ დებულების ანალიზს არ ანვითარებს სმიტი. საქონელი «ფულად ფასში» გამოიხატება, მაგრამ აქვს თუ არა თვით ფულს ფასი—ეს მნიშვნელოვანი პრობლემა სმიტის ცნობიერებაში არც კი წარმოიშობა. საქონლის ღირებულება გამოიხატება ფულში, ფულის ღირებულება—საქონელში, მაგრამ თვით ფულს ფასი არ აქვს. საქონლის ფასი ფულით გამოითქმება, ფული კი ფასით არ გამოიხატება—ფულს ფასი არ აქვს. ამ შემთხვევაში პრობლემა ისეა დაყენებული, როგორც ის დასმულია შრომის მიმართ: შრომა ღირებულების სუბსტანციაა, მაგრამ თვით შრომა ღირებულება არაა, მას არ გააჩნია ღირებულება. სმიტმა ელემენტარულად დააყენა ფასის შინაბუნების პრობლემა, მაგრამ მან მაინც მოგვცა «რაციონალური მარცვალი». ფასი საქონლის ღირებულების ფულადი გამოთქმაა და ეს მეცნიერულად უდაო აზრი საერთოდ სწორად აქვს გამოთქმული სმიტს. «წმინდა ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა» შეადგენს «საქონლის ფულად ფასს». აქ სმიტი აყენებს ოქროსა და ვერცხლის როლის პრობლემასაც, რომელიც ვერ გაიგო და ანტიმარქსისტულად გადაჭრა რუდოლფ ჰილფერდინგმა. ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სმიტის ღირებულების თეორიის მარქსისტულ გაგებასა და შეფასებაში.

სმიტი არჩევს საქონლის ორნაირ ფასს—ბუნებრივსა და ფაქტიურს. საქონლის ბუნებრივი ფასი, სმიტის აზრით, არის ღირებულება, გაგებული სმიტის ცნობილი მეორე ფორმულით. აქ სმიტი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება: მისი გამოკვლევიდან ირკვევა, რომ ბუნებრივი ფასი არის საქონლის წარმოების ფასი, ხოლო ეს უკანასკნელი უდრის ღირებულებას. ამ შემცდარი ლოგიკის მიხედვით ბუნებრივი ფასი უდრის საქონლის ნამდვილ ღირებულებას, ხოლო ღირებულება—წარმოების ფასს. რა თქმა უნდა, საქონლის წარმოების ფასი საქონლის ღირებულება არაა, მაგრამ სმიტისთვის გაუგებარი რჩება ამ დებულების სიყალბე. რა არის საქონლის ბუნებრივი ფასი? სმიტთან ვკითხულობთ: «თუ რომელიმე საქონლის ფასი იმაზე ნაკლები ან მეტი არაა, რაც აუცილებელია მიწის რენტის, ხელფასის და კაპიტალზე მოგების... გადასახდელად მათი ბუნებრივი ნორმის მიხედვით, მაშინ ეს საქონელი იყიდება, შეიძლება ითქვას, მისი ბუნებრივი ფასის თანახმად.

ამ შემთხვევაში საქონელი იყიდება იმდენად, რამდენიც ის ღირს— რამდენიც ის დაუჯდა იმას, ვისაც გამოაქვს ის ბაზარზე»[5]. ამ დებულებიდან ირკვევა, რომ საქონლის ბუნებრივი ფასი განისაზღვრება ხელფასის, მოგებისა და რენტის საერთო ჯამით, ამავე დროს სამივე ეს კათეგორია წარმოდგენილია ბუნებრივ ანუ საშუალო ნორმაში. სმიტს მოგება «სამართლიანად შეაქვს საქონლის ბუნებრივ ფასში»[6]. ამის გარეშე შეუძლებელია კაპიტალისტური წარმოება. ბუნებრივ ფასში იგულისხმება რენტა და ხელფასიც. სმიტი ივიწყებს კაპიტალის მუდმივ ელემენტს, რომელიც აუცილებლად შედის საქონლის «ბუნებრივ ფასში». ამ ჟამად სმიტის ამ პრინციპულ შეცდომას თავს ვანებებთ, რადგან მას ქვევით გავარკვევთ სპეციალურად. მაშასადამე, ამ შეცდომას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საქონლის ბუნებრივი ფასი არსებითად საქონლის წარმოების ფასია, ვინაიდან საქონლის წარმოების ფასი შედგება სწორედ იმ ელემენტებისგან, რომელსაც სმიტი გულისხმობს. რა არის წარმოების ფასი? ესაა საქონლის წარმოების ხარჯები plus საშუალო მოგება. წარმოების ხარჯები შეიცავს მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალს, მაშასადამე, მის ცვალებად ნაწილსაც ხელფასის ფორმაში. საქონლის გაყიდვა წარმოების ფასების მიხედვით გულისხმობს აგრეთვე რენტის—ამ საშუალო მოგების ნამატის ანდა დამატებითი ზედმეტი ღირებულების—რეალიზაციას. აქედან აშკარად ირკვევა, რომ საქონლის ბუნებრივი ფასი არსებითად წარმოების ფასია. სმიტი ვერ ამჩნევს განსხვავებას, რომელიც წარმოების ფასსა და ღირებულებას შორის არსებობს, ამიტომ ის ღირებულებას საქონლის ბუნებრივ ფასად წარმოიდგენს. სმიტი გარკვეულად აცხადებს, საქონლის გაყიდვა მისი ბუნებრივი ფასის მიხედვით ნიშნავს საქონლის გაყიდვას იმის მიხედვით, «რამდენიც ის ღირს». აქ სმიტის წინაშე ახალი ჯადოსნური წრე იშლება: ბუნებრივი ფასი=წარმოების ფასი=ღირებულება. წარმოების ფასის გაიგივეობა საქონლის ღირებულებასთან უეჭველად, «შემცდარი დოგმაა»[7], რომლის ნიადაგზე სმიტი დგას მტკიცედ. ამრიგად, სმიტის კონცეპციის თანახმად, «წარმოების ფასი ეთანაბრება საქონლის ღირებულებას, რადგან აკი დაშვებულია, რომ საქონლის ღირებულება შედგება ხელფასის, მოგებისა და რენტის ღირებულებისგან... საქონლის ღირებულება თანაბარია წარმოების ფასის, ხო-

[5] Op. cit. თავი 7.

[6] Теории etc. ტ. III, გვ. 62.

[7] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2, გვ. 80

ლო უკანასკნელი—საქონლის ბუნებრივ ფასის»[8]. მ ა რ ქ ს ი ს ეს კრიტიკული შენიშვნა სრულებით სამართლიანია და საფუძვლიანი: ს მ ი ტ ი წარმოების ფასსა და ღირებულებას აიგივეობს და ამით გზას უჭრის ეკონომიური კვლევა-ძიების, მეცნიერული ეკონომიური აზროვნების შემდგომ განვითარებას. წარმოების ფასისა და ღირებულების მიმართების პრობლემა ამთავითვე იხსნება. ს მ ი ტ ი ს ამ ყალბი კონცეპციის სათავე მდგომარეობს ს მ ი ტ ი ს მეტაფიზიკურ მეთოდოლოგიაში: მოვლენა რაობასთან გაიგივებულია, მთლიანობაში დავიწყებულია სხვაობა. თავის მხრივ, მეცნიერულად არა სწორი მეთოდოლოგიური თვალსაზრისი პირობადებულია ისტორიული პირობებით—არსებულ საზოგადოებრივი მდგომარეობით, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი საწარმოო ძალთა განუვითარებლობით მანუფაქტურის პერიოდში. ს მ ი ტ ი ს ეპოქაში მეტაფიზიკური აზროვნება მეფობდა განუსაზღვრელად. ს მ ი ტ ი თავისი «იდეოლოგიური და სოციოლოგიური» ეპოქის შვილია და, ცხადია, მისი მეცნიერული აზროვნების გასაქანი შეზღუდული იყო არსებული მანუფაქტურული და ინტელექტუალური წარმოების დაბალი დონით. ს მ ი ტ ი მოვლენის სფეროში გრძნობს თავს გაცილებით უფრო ძლიერად. კონკურენციის მოვლენები ბოჭავს ს მ ი ტ ი ს გონებრივ გაქანებას და ს მ ი ტ ი ც შემცდარ აზრს იცავს საქონლის წარმოების ფასისა და საქონლის ღირებულების მიმართების საკითხში. «კონკურენციაში გამოიკვლინება წარმოების ფასი—ამბობს მ ა რ ქ ს ი—და არა ღირებულება, როგორც საბაზრო ფასების რეგულიატორი, ასე ვთქვათ, როგორც იმანენტური ფასი—როგორც საქონელთა ღირებულება»[9]. ს მ ი ტ ი ურევს ერთმანეთში ღირებულებასა და წარმოების ფასს, საქონლის იმანენტური ფასი—ღირებულება—წარმოდგენილი აქვს წარმოების ფასად, რომელიც მტკიცდება კაპიტალისტური კონკურენციის მეოხებით. საქონლის ღირებულებას არაფერი აქვს საერთო კონკურენციის პირობებთან, რომლებიც მიმოქცევის სფეროში იქმნება. ამრიგად, საქონლის ბუნებრივი ფასი, რომლის შესახებ ს მ ი ტ ი მსჯელობს, ნამდვილად არის საქონლის წარმოების ფასი[10]. ბუნებრივი ფასი, გაგებული სმიტისებურად, არ არის საქონლის იმანენტური ფასი, ღი-

[8] Теории etc ტ. II, ნაწ. 1, გვ. 57. შეად. გვ. 56.

[9] ibid. გვ. 70.

[10] ს ე ი ს აზრით, ბუნებრივი ფასი წარმოების ხარჯებია (Смит. Исследование etc. ტ I, 1866 წ. გამოცემა, გვ. 178, ს ე ი ს შენიშვნა). ეს აზრი ძირშივე ყალბია. წარმოების ხარჯები შეიცავს c+v. მართალია, ს მ ი ტ ი მხედველობაში არ ღებულობს c-ს, მუდმივ კაპიტალს, მაგრამ ბუნებრივ ფასში ის გულისხმობს არა მარ-

რებულება. ესაა წარმოების ფასი, რომელიც სმიტის თეორიაში წარმოდგენილია ღირებულებად. ცხადზე უკეთესია აქ სმიტის შემცდარი კონცეპცია. მაგრამ დავუშვათ, ბუნებრივი ფასის კათეგორია სმიტთან არაა წარმოების ფასის კათეგორიასთან გაიგივებული და, მაშასადამე, საქონლის ბუნებრივი ფასი არის სწორედ საქონლის იმანენტური ფასი—მისი ღირებულება. სმიტის შეცდომის ასეთი განყენება გვაძლევს საშუალებას განვაგრძოთ ფასების პრობლემის ანალიზი თვით სმიტის ღირებულების თეორიის ფარგლებში. ხშირად აუცილებელია ავტორის თვალსაზრისზე დადგომა ავტორის ღრმად გაგების მიზნით.

საქონლის ფაქტიური ანუ ნამდვილი ფასი, სმიტის აზრით, ის ფასია, რომლის მიხედვით «საქონელი იყიდება ჩვეულებრივად, ატარებს საბაზრო ფასის სახელწოდებას. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ბუნებრივ ფასზე, ანდა უდრიდეს მას»[11]. სმიტის ეს დებულება პრინციპულად საინტერესოა. მართალია, სმიტი არ იცნობს ინდივიდუალური ღირებულების, საბაზრო ღირებულებისა და წარმოების ფასების კათეგორიებს, ეს კათეგორიები სმიტის თეორიაში ვერ პოულობს რამდენადმე მნიშვნელოვან გაშლა-დასაბუთებას. ამავე დროს მათ გარეშე შეუძლებელია თვით საქონლის ფასის პრობლემის გადაჭრა მეცნიერულად. მაგრამ სმიტი ნათლად ამჩნევს და კიდევაც არკვევს ემპირულ ფაქტს: ის ხედავს, რომ საქონლის ბუნებრივი ფასი ხშირად არ ეთანხმება იმ ფასს, რომლის მიხედვით საქონელი ბაზარზე იყიდება ფაქტიურად. ცნობილია, საქონელი ფაქტიურად იყიდება მისი წარმოების ფასების თანახმად. ვფიქრობთ, სმიტი საქონლის ფაქტიურ ფასების კათეგორიაში არსებითად გულისხმობს წარმოების ფასებს. ეს თუ ასეა, სმიტის მიერ დაყენებული პრობლემა საკმაოდ მარტივდება და მისი გადაწყვეტა ადვილდება. ახლა ხელში გვრჩება ორი კათეგორიის დაპირისპირება—საქონლის ღირებულება უპირისპირდება საქონლის წარმოების ფასს. სმიტი მოსწრებულად შენიშნავს, რომ ეს ორი კათეგორია ერთი და იგივე არაა, საქონლის საბაზრო ფასი ხან მეტია, ხან—ნაკლები ბუნებრივ ფასზე, ამ შემთხვევაში ღირებულებაზე, ხან კი ეთანხმება ამ უკანანასკნელს. სმიტს არ აქვს ნათელი წარმოდგენა კაპიტალის ორგანულ შემადგენლობაზე, მან არ იცის

ტო v-ს, ხელფასს, არამედ საშუალო მოგებასა და რენტას. წარმოების ხარჯებში ეს ორი უკანასკნელი კათეგორია არ შედის. სეის შენიშვნა მეცნიერულად სრულებით უსაფუძვლოა.

Исследование etc. წ. I, თ. 7.

კაპიტალის საზოგადოებრივი ანუ საშულო ორგანული შემადგენლობა. მიუხედავად ამისა, სმიტის «გონიერული ინსტიქტი» ცდილობს გაიგოს ფაქტიური და ბუნებრივი ფასების მოძრაობის შინაგანი კანონზომიერება. უმთავრესად საგულისხმო, რაც სმიტმა თქვა აქ, იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის ბუნებრივი ფასი განსხვავდება საქონლის ფაქტიურ ფასისგან და თვით ეს განსხვავება ცვალებადი სიდიდეა. უნდა ითქვას, აქ სმიტის მეცნიერული ალღო აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს. სმიტი არ კმაყოფილდება ემპირული ფაქტის კონსტატაციით, ის. ცდილობს ფაქტის ახსნას. კითხვა დაყენებულია პირდაპირ: რატომ არ ხვდება ერთმანეთს საქონლის ბუნებრივი და ფაქტიური ფასები, რათ არ არიან ისინი გაიგივებულნი? მარტო ამ კითხვის დაყენებიდან ირკვევა, რამდენად ძლიერია სმიტში ბურჟუაზიული საზოგადოების ფიზიოლოგიის გაგების ტენდენცია. სმიტს ანალიზს უადვილებს თვით კვლევა-ძიების საგნის შედარებით ადვილი ხასიათი. აქ სმიტს საქმე აქვს მოვლენებთან, რომლებიც უშუალოდ გვევლინება ეკონომიური სინამდვილის ზედაპირზე. ესაა სწორედ კაპიტალისტური კონკურენციისა და მიწოდება-მოთხოვნილების კანონები.

საქონლის საბაზრო ანუ ფაქტიური ფასი, სმიტის აზრით, განისაზღვრება მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონით. სმიტისათვის ეს კანონი აბსოლუტურია, ის მოქმედებს ბუნებრივი აუცილებლობით. სმიტი გაკვრითაც არ არკვევს, ვერ ამჩნევს ამ კანონის დამოკიდებულ, განსაზღვრულ ხასიათს, სახელდობრ იმას, რომ მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონი დაქვემდებარებულია ღირებულების საყოველთაო კანონზე. ამიტომ სმიტის თეორიიდან გამომდინარეობს, ვითომცდა ფაქტიური ფასი მოძრაობის განყენებულ წესებს ემყარება, ის ერთგვარი თვითარსია. მეცნიერული ინსტიქტი ამ შემთხვევაშიაც არ ღალატობს სმიტს და ჩვენი ეკონომისტი ცდილობს ფაქტიური ფასი დაუკავშიროს ბუნებრივ ფასს. სმიტი ვერ ააშკარავებს და ვერც ასაბუთებს შინაგან კავშირს, რომელიც ფაქტიურ და ბუნებრივ ფასებს შორის არსებობს. აქ სმიტი ბავშვურ უძლურებას იჩენს, ის მოვლენის სფეროს იშვიათად სცილდება და მოვლენათა ორგანულ კავშირს უმეცრების ბურუსში ახვევს. სმიტი სამაგიეროდ კარგად ხედავს ემპირულ მოვლენას. საქონლის ფაქტიური ანუ საბაზრო ფასი გარკვეული ემპირული ფაქტია, რომლის შეგრძნობაც კი ემარჯვება სმიტს. რით განისაზღვრება საქონლის საბაზრო ფასი? მიწოდებითა და მოთხოვნილებით—გვიპასუხებს სმიტი. «თითოეული საქონლის საბაზრო ფასი—წერს სმიტი—განისაზღვრება ამ საქონლის ფაქტიური რაოდენობით ბაზარზე

და მასზე მოთხოვნილების მიმართებით»[12]. მაშასადამე, საქონლის ფაქტიური ფასი დამოკიდებულია ამ საქონლის რაოდენობაზე, ე. ი. მიწოდებაზე—ერთის მხრივ, და ამ საქონელზე არსებულ მოთხოვნილებაზე—მეორე მხრივ. ეს ორი მომენტი—მიწოდება და მოთხოვნილება—ვითარდება ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით; რამდენად დიდია მიწოდება, იმდენად ნაკლებად იგრძნობა მოთხოვნილება, და პირიქით. საქონლის ფაქტიური ფასი მოძრაობს ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით, მოძრაობს ორ პოლუსს შორის. ამ მოძრაობის ამპლიტუდა ძლიერია იმდენად, რამდენად ძლიერია მიწოდებისა და მოთხოვნილების დაპირისპირება. მიწოდება დიდია, მოთხოვნილება ნაკლები. ამ შემთხვევაში საქონელი დამზადებულია გადამეტებული რაოდენობით, საქონლის მთელ მასაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება არ არის. მაშასადამე, საქონლის გაყიდვა მისი ბუნებრივი ფასის მიხედვით შეუძლებელია, საქონელზე ფასი ეცემა, საქონელი ფაქტიურად დაბალ ფასებში იყიდება. პირიქით, ძირეულად საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც საქონლის მიწოდება მცირეა, ხოლო საზოგადოებრივი მოთხოვნილება დიდია. ამ შემთხვევაში საქონლის მასა ნაკლებია და საქონლის ამ რაოდენობით შეუძლებელი ხდება საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ახლა კაპიტალისტურ მწარმოებლებს შორის კონკურენცია ძალზე ნელდება, თითოეულ კაპიტალისტურ მწარმოებელს აქვს საშუალება საქონელზე ფასი ხელოვნურადაც კი ასწიოს, სანამ მოთხოვნილება რეალურია. ასეთ პირობებში საქონელზე ფასი «მაღლა ვარდება» და საქონლის ფაქტიურმა ფასმა შესაძლოა მის ბუნებრივ ფასს გადააჭარბოს. ამ გარკვეულ მოვლენას ყოველდღე ააშკარავებს ეკონომიური ცხოვრება. ამიტომ სმიტი გულმოდგინედ იკვლევს მას. სმიტი არჩევს ნამდვილ და აბსოლუტურ მოთხოვნილებას. ნამდვილი მოთხოვნილება რეალური, ფაქტიური მოთხოვნილებაა, აქ ადამიანის სურვილი და შესაძლებლობა ეთანაბრება ერთმანეთს. აბსოლუტური მოთხოვნილება, პირიქით, არაა ნამდვილი მოთხოვნილება: აქ მოცემულია მოთხოვნილება პოტენციაში, იგულისხმება საქონლის შეძენის სურვილი, საჭიროება, მაგრამ ორივე განუხორციელებელი რჩება: საზოგადოებრივ ადამიანს ეკონომიური შეძლება ღალატობს. ამ შემთხვევაში მოთხოვნილება მოთხოვნილებად რჩება, ის რეალური არაა, აბსოლუტურია მხოლოდ. სმიტის აზრით, აბსოლუტური მოთხოვნილებაა, მაგალითად «ღარიბი კაცის» მოთხოვნილება ექვსცხენიან კარეტაზე. ასეთი მოთხოვნილება რეა-

[12] Адам Смит. Op. cit. იქვე.

ლური არაა და მას არ შეუძლია მოახდინოს გავლენა საქონლის ფაქტიურ ფასზე.

ამრიგად, საქონლის ფაქტიური ფასი მუდამ მოძრაობს საქონლის ბუნებრივი ფასის გარშემო. ამ მოძრაობას განსაზღვრავს მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონი, რომელსაც სმიტისათვის აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. მიწოდება თუ უდრის მოთხოვნილებას, საქონლის ფაქტიური ფასი გაეთანაბრება ბუნებრივ ფასს. ამ შემთხვევაში საქონელი გაიყიდება მისი ბუნებრივი ფასის ანდა ღირებულების მისედვით. მიწოდება თუ მეტია მოთხოვნილებაზე, საქონლის ფაქტური ფასი სცილდება ბუნებრივ ფასს, ეცემა და საქონლის რეალიზაცია არასელსაყრელ პირობებში ხდება. საქონელი შეიძლება ღირებულებაზე ნაკლებად გაიყიდოს, მაგრამ კაპიტალისტურმა გამყიდველმა ამით ზარალი სრულებითაც არ ნახოს, პირიქით, მოიგოს. ეს გარეგნულად გასაოცარი ფაქტი ადვილად გასაგებია, თუ ვიცით ზედმეტი ღირებულება. სმიტისათვის უცნობია ეს გარემოება: მას ვერ წარმოუდგენია საქონლის ღირებულებაზე ნაკლებად გაყიდვიდანაც კი განსაზღვრული მოგების მიღება. აქ საზღვარია წარმოების ხარჯები და არა საქონლის მთელი ღირებულება. უნდა ითქვას, არა მარტო სმიტმა, არამედ მთელმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მარქსამდე ვერ გაიგო ამ პრობლემის საიდუმლოება. მიწოდება თუ ნაკლებია მოთხოვნილებაზე, კაპიტალისტური საქონელთმფლობელი საქონლის ფაქტიურ ფასს საქონლის ბუნებრივ ფასზე მაღლა სწევს და დამატებითი მოგებას ღებულობს. ამ შემთხვევაში კაპიტალისტს ეძლევა საშუალება მიიღოს, როგორც სმიტი ამბობს, «ექსტრაორდინალური მოგება ახალი მეტოქეთა გარეშე»[13]. მოგების ნორმა საშუალოზე ზევით იწევა, კაპიტალისტური დაგროვება ძლიერდება. კაპიტალი, რომელიც ამ მეტად მომგებიან წარმოების სფეროშია დაბანდებული, სწრაფად იზრდება. სმიტი აქ უახლოვდება ახალ პრობლემას—კაპიტალების დაუძლეველ ლტოლვას წარმოების ნაკლებად მომგებიან დარგიდან უფრო მომგებიან დარგისკენ. თითოეული კაპიტალისტი ცდილობს მოაშოროს თავისი კაპიტალი წარმოების წამგებიან ანდა ნაკლებად მომგებიან სფეროს და გადაიტანოს მომგებიან სფეროში. კაპიტალი მუდამ მოძრაობს, და ამ მოძრაობის შინაგანი იმპულსი, მისი მოტივია მოგების მაღალი ნორმა. კაპიტალების ტალღისებურ მიმოქცევას სმიტი გარკვეულად ხედავს და საკმაოდ აშუქებს კიდეც. სმიტი წერს: «ნამდვილი მოთხოვნილების გადიდების წყალობით მოცემული საქონლის საბაზრო

[13] ibid.

ფასი თუ მნიშვნელოვნად მაღლა იწევს ბუნებრივ ფასზე, მაშინ ამ დარგში მომქმედი კაპიტალისტები ცდილობენ ჩვეულებრივად საიდუმლოდ შეინახონ არსებული ცვლილებანი მიწოდებისა და მოთხოვნილების პირობებში. ეს საიდუმლოება თუ გაიხსნა, მაშინ ამ კაპიტალისტების მიერ მიღებული გადიდებული მოგება აამოძრავებს დიდძალ ახალ კონკურენტებს თავიანთი კაპიტალის საქონლის მოცემული კათეგორიის საწარმოებლად, ნამდვილი მოთხოვნილება ამით დაკმაყოფილდება მთლიანად და საბაზრო ფასი დაეცემა ბუნებრივი ფასის დონემდე, შეიძლება უფრო დაბლაც კი დაეცეს»[14]. კაპიტალისტის ექსტრაორდინალური, განსაკუთრებული მოგება ამიტომ შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს, დანარჩენ კაპიტალისტებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს. მოგების მაღალი ნორმა არ დაიმალება კაპიტალისტური კონკურენციის საზოგადოებაში. გაძლიერებული მოთხოვნილებისა და მცირე მიწოდების საიდუმლოება უსათუოდ გამოაშკარავდება. დაიწყება კაპიტალების ლტოლვა წარმოების მომგებიან სფეროსკენ და ეს პროცესი არ შენელდება მანამ, სანამ მოცემული საქონლით საზოგადოებრივი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდება მიწოდება გაუთანაბრდება ანდა გადააჭარბებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. წარმოების მოცემულ სფეროში ექსტრაორდინალური მოგების კათეგორიაც საპნის ბუშტივით გაჰქრება. მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონი აქ მოქმედებს დაუზოგავად. ეს კანონი რომ არ არსებობდეს საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის, სტიქიურობის პირობებში, შეუძლებელი გახდებოდა საზოგადოებრივი ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. როგორც ენგელსი შენიშნავს ირონიულად, მაშინ ფოლაქების წარმოება იქნებოდა, ან—შარვლის, დავრჩებოდით უფოლაქებოდ, ან—უშარველოდ. ნამდვილად კი ერთიცაა და მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა სტიქიურად მოძრაობს და ადგილი არ აქვს საზოგადოებრივ წარმოებასა და მოთხოვნილებაში გეგმიანობას. აქ მოქმედებს მიწოდებისა და მოთხოვნილების, კაპიტალისტური კონკურენციის ბრმა კანონი, რომლის წინაშე კრთის ყოველი კაპიტალისტური მწარმოებელი.

ექსტრაორდინალური მოგება წარმოდგება იქიდან, რომ საქონელი «ბუნებრივ ფასზე» ზევით იყიდება. ამ თეზას სმიტი ამტკიცებს არა მარტო კონკურენციისა და მოთხოვნილება-მიწოდების კანონის საფუძველზე. სმიტის გამოკვლევის თანახმად საქონლის ფაქტიური ფასი შეიძლება მეტი აღმოჩნდეს ბუნებრივ ფასზე აგრეთვე

[14] Ibid. იხ. აგრეთვე: Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 140, 144, 153, 284.

ორი გზით: ახალი აღმოჩენით წარმოებაში და მონოპოლიით. ორივე ეს საშუალება საქონლის ფაქტიურ ფასს მაღლა სწევს საქონლის ბუნებრივ ფასზე და ამიტომ წარმოადგენს ზედმეტი მოგების, მოგების მაღალი ნორმის რეალურ წყაროს. სმიტი გარკვევით ამტკიცებს, რომ ახალი აღმოჩენა ანუ «სეკრეტი მანუფაქტურულ წარმოებაში» უსათუოდ უზრუნველყოფს «კაპიტალზე განსაკუთრებულ მოგებას». მართალია, სმიტი ამ ემპირულ ფაქტს მეცნიერული ანალიზის საგნად არ იხდის, ის ვერ არკვევს, რომ ახალი გამოგონება წარმოებაში იწვევს—მარქსის ენაზე რომ ვთქვათ—რევოლუციას ღირებულებაში, რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ამდენად ამცირებს საქონლის ღირებულებას, აიაფებს შრომის პროდუქტს და კაპიტალისტურ მწარმოებელს საშუალებას აძლევს გაუმჯობესებული წესით წარმოებული საქონელი გაყიდოს მის ღირებულებაზე, ანდა «ბუნებრივ ფასზე» ზევით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მოგება უზრუნველყოფილია. სმიტი არ უდგება პრობლემას ამ თვალსაზრისით. მაგრამ მან იცის გამოცდილებით, ემპირულად ახალი გამოგონებათა გავლენა ფასების მოძრაობაზე. სმიტის არგუმენტი მარტივია ისევე, როგორც მთელი მისი თეორიული კონსტრუქციები. სმიტი ამტკიცებს: «მღებავი, რომელმაც გამოიგონა ნაქსოვის რომელიმე ფერზე ღებვა ორჯერ იაფი მასალების საშუალებით,—იაფი იმ მასალებზე, რომლებიც ჩვეულებრივად გამოყენებულია ამ მიზნისთვის,—ღებულობს თავისი გამოგონების სარგებელს საქმის სწორად დაყენების დროს»[15]. ასეთ შემთხვევაში მწარმოებელი განსაკუთრებულ მოგებას ღებულობს, რადგან ის თავის საქონელს ყიდის ბუნებრივ ფასზე გადაჭარბებით. სმიტის აზრით, ამ მოგების წყაროა «მაღალი ფასი». იბადება კითხვა, საიდან წარმოდგა ეს «მაღალი ფასი»? შეიძლება ვიფიქროთ, ჩვენი მღებავის პროდუქტი იყიდება დანარჩენ მღებავთა პროდუქტზე უფრო მაღალ ფასებში. სმიტის მსჯელობაზე ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. მაგრამ ამის დაშვება შეუძლებელია თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციისა და მიწოდება-მოთხოვნილების კანონის ბატონობის დროს. ამიტომ ჩვენი გამომგონებელი მღებავის საქონელი შეუძლებელია იყიდებოდეს იმ ფასზე ზევით, რაც არსებობს საზოგადოდ საღებავ წარმოებაში. მისი საქონელი ჩვეულებრივ ფასში იყიდება და მიუხედავად ამისა ის ღებულობს ექსტრაორდინალურ მოგებას—საქონელს ყიდის «მაღალ ფასებში», ამეტებს «ბუნებრივ ფასს». რატომ? იმიტომ, რომ ახალი გამოგონება ანვითარებს შრომის ნაყო-

[15] ibid.

ფიერებითი ძალას, ამცირებს საქონლის ღირებულებას, როგორც სმიტი ამბობს—ამ შემთხვევაში ორჯერ აიაფებს მას. ამავე დროს საქონელზე ჩვეულებრივი ფასები კი უცვლელი რჩება. სხვანაირად: წარმოების პირობების გაუმჯობესება, ახალი გამოგონება ზრდის შრომის ნაყოფიერებითი ძალას, ეცემა საქონლის ინდივიდუალური ღირებულება, ხოლო საქონლის საბაზრო ღირებულება საერთოდ ჯერ კიდევ უცვლელი რჩება. აქ იქმნება მნიშვნელოვანი განსხვავება საქონლის ინდივიდუალურ და საბაზრო ღირებულებას შორის, პირველი ნაკლებია მეორეზე, და აი, სწორედ ამაში მდგომარეობს განსაკუთრებული მოგების წყარო. ჩვენი გამომგონებელი მღებავი წარმოების წესის გაუმჯობესებით ამცირებს საქონლის წარმოების ხარჯებს, ამცირებს ინდივიდუალურ ღირებულებას, ასე ვთქვათ—ინდივიდუალურ ფასს, ხოლო საქონელს ყიდის ჩვეულებრივი ფასების მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, ამ საქონლისათვის «მაღალ ფასად» ითვლება. აქ გადამწყვეტია ცვლილება, რომელიც საქონლის ინდივიდუალურ ღირებულებაში ხდება შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარებით. მაშასადამე, განსაკუთრებული მოგება ახალ გამოგონებათა პირობებში გამოწვეულია არა იმით, რომ საქონლის საბაზრო ფასი ქანაობს ბუნებრივ ფასიდან, პირიქით, გამოწვეულია იმით, რომ საქონლის «ბუნებრივი ფასი» იხრება საქონლის საბაზრო ფასიდან. სანამ გამოგონება ჯერ კიდევ საიდუმლოებას შეადგენს და წარმოების გაუმჯობესებული წესი საერთო გამოყენების საგნად არ გამხდარა, ინდივიდუალურ მწარმოებელს აქვს სრული შესაძლებლობა თავისი გაიაფებული საქონელი «მაღალ ფასებში» გაყიდოს და დამატებითი მოგება უზრუნველყოფილი გაიხადოს. როგორც კი მისი გამოყენების საიდუმლოება გამომჟღავნდება და დანარჩენი მწარმოებლებიც გადავლენ წარმოების გაუმჯობესებულ წესზე, საქონლის საბაზრო ფასი შეიცვლება, საქონელი გაიაფდება და ფაქტიური ფასი არავისთვის არ მოგვევლინება განსაკუთრებული მოგების წყაროდ. რასაკვირველია, სმიტი ვერ აღწევს დასმული საკითხის კვლევა-ძიების ამ დონეს. მიუხედავად ამისა, სმიტი გარკვეულად ამჩნევს ეკონომიურ სინამდვილის ემპირულ მხარეებს და საკმაო სიცხადით აღნიშნავს მათ.

მონოპოლური ფასი «ბუნებრივ ფასზე» გაცილებით უფრო მაღალია—ამაში სმიტი აბსოლუტურად დარწმუნებულია. ამიტომ მონოპოლია შეადგენს აგრეთვე ექსტრაორდინალური მოგების წყაროს. «მონოპოლია, რომლითაც სარგებლობს ცალკე პიროვნება ანდა სავაჭრო კომპანია—ამბობს სმიტი—იწვევს ისეთივე შედეგს, როგორც სეკრეტი ვაჭრობასა და მანუფაქტურულ წარმოებაში. მონოპოლისტები იწვევენ პროდუქტების მუდმივ ნაკლებობას ბაზარზე და ნამდვილ

მოთხოვნილებას არასოდეს არ აკმაყოფილებენ, ამით ყიდიან თავიანთ საქონელს ბუნებრივ ფასზე გაცილებით უფრო მეტად და ადიდებენ თავიანთ შემოსავალს... მის ბუნებრივ ნორმაზე გაცილებით გადაჭარბებით. ყველა შემთხვევაში მონოპოლური ფასი გვევლინება მაღალ ფასად, რომლის მიღებაც კი შესაძლებელია»[16]. სმიტი ქვევით «ამტკიცებს, რომ მონოპოლური ფასი ყველაზე უფრო მაღალი ფასია, «რომლის გამოწუწვნა შეიძლება მყიდველისგან», ხოლო «ბუნებრივი ფასი ანუ თავისუფალი კონკურენციის ფასი» — ესაა «დაბალი ფასი, რომელზედაც გამყიდველნი თანხმდებიან თავისი საქმის შეუწყვეტლად». სმიტი მთელი თავისი არსებით იცავს თავისუფალ კონკურენციას და ამდენადვე ებრძვის მონოპოლიას, რადგან კარგად იცნობს მის უარყოფით გავლენას კაპიტალისტური წარმოების განვითარებაზე[17]. სმიტი არ აღნიშნავს გარკვეულ ფაქტს, სახელდობრ იმას, რომ მონოპოლური ფასი იძლევა განსაკუთრებულ მოგებას არა საქონლის ღირებულების ცვალებადობის საფუძველზე, არამედ საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მონოპოლური უფლების ნიადაგზე, რაც წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას ემყარება.

ამრიგად, განსაზღვრული აზრით სმიტს სწორედ ესმის ფასების მოძრაობის რთული მექანიზმი. საქონლის ფასები მუდმივ მოძრაობს, რადგან კაპიტალისტური კონკურენციისა და მიწოდება-მოთხოვნილების კანონი აბსოლუტურია და დაურღვეველი. იბადება კითხვა: არსებობს თუ არა ერთგვარი ღერძი, რომლის გარშემო ხდება საქონელთა ფასების განუწყვეტელი მოძრაობა? შეიძლება ასეთი ღერძი, ასეთი ცენტრი არ არსებობს და ფასების მოძრაობა არავითარ განსაზღვრულობას არ ეშორჩილება. სმიტის აზრით, ფასების მოძრაობას გააჩნია თავისი ცენტრი, და ეს ცენტრია სწორედ საქონლის ბუნებრივი ფასი. როგორც ვხედავთ, აქ სმიტი მეტად მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს. «ბუნებრივი ფასი — ამტკიცებს სმიტი — ერთგვარი ცენტრია, რომლისკენ მუდმივ მიილტვის ყველა საქონლის ფასი... თითოეული ცალკე საქონლის ფასი მუდმივად მიილტვის... მის, ასე ვთქვათ, ბუნებრივ ფასისკენ»[18]. მარქსის ენაზე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს: წარმოების ფასი, რომელზედაც საქონელი იყიდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მუდამ ტრიალებს თავისი ღერძის — ღირე-

[16] ibid.

[17] მონოპოლიის შედეგს სმიტი ვრცლად არკვევს: Исследование etc. წიგნი IV, თავი 7. აქ მოცემული სმიტის დასკვნების განხილვა სცილდება ჩვენი მსჯელობის სფეროს და ამიტომ მათ ვუხვევთ გვერდს.

[18] ibid.

ბ ულ ე ბ ი ს გარშემო. ღირებულება ცენტრია, რომლისაკენ მიილ-ტვის საქონლის წარმოების ფასები. «წინასწარი დაშვება იმისა—წერს მ ა რ ქ ს ი,—რომ წ. რმოების სხვადასხვა სფეროთა საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით, ნიშნავს, რასაკვირველია, მხოლოდ იმას, რომ მისი ღირებულება წარმოადგენს სიმძიმის ცენტრს, რომ-ლის გარშემო ტრიალებს მისი ფასი და რომლის მიხედვით თანა-ბარდება საქონელთა ფასების მუდმივი ქანაობა ზევით და ქვევით»[19]. სხვანაირად, ღირებულება ფასების მოძრაობის ღერძია. ს მ ი ტ ი ინ-სტიქტურად გრძნობს, რომ ფასების მოძრაობა არ ხდება განუსაზ-ღვრელ, დაუსრულებელ სივრცეში. მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ მას არ აქვს ღირებულების კათეგორია წარმოების ფასების კა-თეგორიისგან გამიჯნული, ბუნებრივ ფასებში არსებითად წარმოების ფასებს გულისხმობს და არა საქონლის ნამდვილ ღირებულებას. აქედან გამოდის, ფასების მოძრაობის ღერძია თვით ფასები. ეს უში-ნაარსობაა, ტავტოლოგია. ს მ ი ტ ი მაღლა დგას მსგავს ტავტოლო-გიაზე და ამიტომ ობიექტურობა მოითხოვს აღნიშნულ იქნას, რომ საქონელთა ფაქტიურ ფასების მოძრაობის ცენტრად ს ძ ი ტ ს მიაჩ-ნია «ბუნებრივი ფასები», გაგებული ღირებულების თვალსაზრისით. ეს თუ ასეა, ს მ ი ტ ი ს «გონივრული ინსტიქტის» სიძლიერე ამ შემ-თხვევაში მეტად საგრძნობი ხდება.

საქონლის ღირებულების მოძრაობაზე მოქმედებს მიწოდება-მოთ-ხოვნილების კანონი—ამტკიცებს ს მ ი ტ ი. ეს ძირშივე შემცდარი აზრია. ს მ ი ტ ი ს მტკიცების თანახმად, საქონლის «ბუნებრივი ფასი» ემორჩილება რეალიზაციის პირობებს, საბაზრო ურთიერთობას, კონ-კურენციისა და მოთხოვნილება-მიწოდების კანონებს. ს მ ი ტ ი ს შეხე-დულებით «საქონლის საბაზრო ფასის შემთხვევითი და დროებითი ქანაობა» «აიხსნება როგორც ღირებულებაზე, ისე ხელფასისა და მო-გების ნორმაზე იმის მიხედვით, სავსეა თუ არა ბაზარი ან ის განიც-დის ნაკლებობას—საქონელთა თუ შრომის, უკვე შესრულებულ თუ შესასრულებელ მუშაობისა»[20]. როგორც ვხედავთ, ს მ ი ტ ი შემცდარ პოზიციაზე დგება, როდესაც ამტკიცებს, რომ საბაზრო ფასის ქანაო-ბა აისახება საქონლის ღირებულებაზე. გავეცნოთ ს მ ი ტ ი ს არგუ-მენტაციას. ავიღოთ საზოგადოებრივი გლოვა. ის აძლიერებს მოთ-ხოვნილებას შავ მატერიაზე, მაშასადამე, მაღლა სწევს მის ფასს, ადიდებს ვაჭართა მოგებას. მაგრამ მქსოველთა ხელფასზე არ მოქ-მედებს ეს მოულოდნელი მოთხოვნილება: «ბაზარი განიცდის საქონ-

[19] Капитал, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 129.

[20] Исследование etc. წიგნი 1, თავი 7.

ლის და არა შრომის ნაკლებობას—ამბობს სმიტი,—ნაკლებობას უკვე შესრულებულ და არა შესასრულებელ მუშაობის». მაგრამ გლოვა ზრდის მკერავთა ხელფასს—დიდია შავ ტანსაცმელზე მოთხოვნილება. აქ ბაზარი განიცდის შრომის ნაკლებობას, შრომაზე მოთხოვნილება იზრდება და, ცხადია, იზრდება შრომის ხელფასიც. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი მგლოვიარება ამცირებს ფერად აბრეშუმისა და მატყლეულ მატერიაზე მოთხოვნილებას, მაშასადამე, ამცირებს მათ ფასს, ამით კი ამცირებს ამ მატერიით მოვაჭრეთა მოგებას. ამ წარმოებაში მცირდება აგრეთვე დაქირავებულ ძალაზე მოთხოვნილება და ეცემა ხელფასი, რადგან აქ ბაზარი სავსეა როგორც სამუშაო ძალით, ისე საქონლით—ფერადი მატერიით. ასეთია სმიტის არგუმენტები.

აქედან აშკარავდება, რომ საბაზრო ურთიერთობანი მოქმედებენ ხელფასისა და მოგების მოძრაობაზე, საქონლის ფასზე მთლიანად. მაგრამ ეს ურთიერთობანი რა მხრივ იწვევენ ღირებულების მოძრაობას, როგორ ახდენენ გავლენას საქონლის ღირებულებაზე—ამ მაგალითებიდან ეს სრულებით ან ჩანს, და არც შეიძლება ჩანდეს: საბაზრო ურთიერთობანი, საქონლის რეალიზაციის პირობები სრულებით უძლურია ღირებულების მოძრაობის გამოსაწვევად. ღირებულების მოძრაობა წარმოების პირობებით განისაზღვრება და მიმოქცევის სფეროს არ ემორჩილება. შავ მატერიაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაიზარდა. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ ერთს: ამ საქონელზე საბაზრო ფასები მაღლა იწევა, მოგება იზრდება, ხელფასიც დიდდება. ამ ცვლილებებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თვით შავი მატერიის ღირებულებისათვის გასაგები მიზეზით: საქონლის ღირებულება დახარჯული შრომისრაოდენობით განისაზღვრება და სრულებით არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ იცვლება ღირებულების ფულადი გამოხატულება—ფასი.

სმიტს ეს არ ესმის, ეს ვერ გაიგო სმიტის შემდგომმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მარქსამდე. ღირებულების მოძრაობას განაგებს წარმოების და არა მიმოქცევის იმანენტური კანონები. «ბუნებრივი ფასის» მოძრაობა სმიტმა აქ საბაზრო ფასების მოძრაობას დაუმორჩილა არსებითად. ამით სმიტი მოულოდნელად ჩავარდა შინაგან წინააღმდეგობაში. ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სმიტს არ ესმის საფუძვლიანად ფასისადა ღირებულების რეალური მიმართება, მათ შორის არსებული დამოკიდებულება. ფასი ღირებულების იდეალური გამოხატვაა და ფასისა და ღირებულების სიდიდენი ერთმანეთს არ ეთანაბრებიან არც რაოდენობით, არც

თვისებით[21]. სმიტი ამ პრობლემას სრულებით არ იცნობს და მას გონია, ფასის მოძრაობა იწვევს ამავე დროს ღირებულების მოძრაობას. თქმა არ უნდა, სმიტი აქ იცავს ძირეულად შემცდარ კონცეპციას, რომელიც მხოლოდ მარქსმა გაასწორა საფუძვლიანად. მეორე მხრივ, სმიტის ეს პრინციპული შეცდომა ემყარება აგრეთვე «ბუნებრივი ფასის» ელემენტებზე არა სწორ შეხედულებას. ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ სპეციალურად.

საქონლის ღირებულების ანდა ბუნებრივი ფასის დაშლა შემადგენელ ელემენტებად სმიტმა სცადა ყველა ეკონომისტზე ადრე. ეს დამსახურება თეორიულ ეკონომიაში სმიტს ეკუთვნის უსათუოდ. მართალია, ამ შემთხვევაშიაც სმიტი უშვებს პრინციპულ შეცდომას და ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში. მიუხედავად ამისა, ღირებულების შემადგენელ ელემენტების პრობლემის დაყენებითაც კი სმიტი იწვევს დიდეს ინტერესს. სმიტის აზრით, საქონლის ბუნებრივი ფასი ანდა საცვლელი ღირებულება შედგება სამი ელემენტისგან. ესაა «მიწის რენტა, შრომის ხელფასი და მოგება კაპიტალზე»[22]; აქედან ცხადია, რომ—როგორც მარქსი ამბობს—«ეს დოგმა შესაძლებელია გავიგოთ ისე, რომ საქონლის ღირებულება =v+m, ე. ი. უდრის ავანსირებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას+ზედმეტი ღირებულება»[23]. შრომის ხელფასი, რაზედაც სმიტი ლაპარაკობს, შეადგენს ცვალებად კაპიტალს, ხოლო მოგება და რენტა—ზედმეტ ღირებულებას. აქედან ცხადია, სმიტის კონცეპციის მიხედვით s=v+m. ამთავითვე აშკარავდება სმიტის შეხედულების შემცდარობა: ღირებულების ფორმულიდან გამორიცხულია შემადგენელი ელემენტი c—მუდმივი კაპიტალური ნაწილი, განივთიერებული შრომა, რომელიც აუცილებლად შედის საქონლის სრულ ღირებულებაში. წარმოების საშუალებათა ღირებულება გადადის საქონლის ღირებულებაში. მაგალითად, შრომის იარაღი წარმოების პროცესში იხმარება, მისი ღირებულება გადაიტანება შრომის პროდუქტზე. ნედლი მასალა, შრომის საგანი იცვლის თავის ფორმას წარმოების პროცესში, ის მთლიანად შედის საქონლის ღირებულებაში. როგორც შრომის იარაღი, ისე შრომის საგანი, მოკლედ—წარმოების ნივთიერი პირობები წარმოადგენს ავანსირებული კაპიტალური ღირებულების მუდმივ ნაწილს, რომელიც აღიდგინება საქონლის ღირებულებაში. სმიტი კი «გამოთქ-

[21] ეს პრობლემა გაშუქებულია: Капитал, ტ. I, გვ. 55—57, აგრეთვე გვ. 109. შენიშვნა 37.

[22] Исследование etc. წ. I, თავი 7.

[23] Капитал, ტ. II, გვ. 264.

ვამს შემცდარ შეხედულებას, რომ მთელი ავანსირებული კაპიტალი შედგება მხოლოდ ცვალებად კაპიტალისგან»[24]. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება ემპირულ მოვლენას, რომლის შემეცნება სმიტისათვის არ წარმოადგენს დაუძლეველ სიძნელეს. კაპიტალისტი ავანსირებული კაპიტალურ ღირებულებას ახმარს არა მარტო დაქირავებული ძალის ხელფასს, არამედ წარმოების მატერიალურ საშუალებებსაც. ავანსად გაღებული კაპიტალი იყოფა მუდმივ და ცვალებად ნაწილად. საწარმოო კაპიტალი შეუძლებელია არ შედგებოდეს ამ ორი ძირითადი ელემენტისგან. სხვანაირად კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელი ხდება. «ვაშლების კრეფის დროს—შენიშნავს მარქსი—შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მათი ღირებულება შედგება მხოლოდ და მხოლოდ ხელფასისგან, თუმცა აქაც საჭიროა უმეტეს შემთხვევაში შრომის იარაღების სახით ზოგიერთი საშუალება, მაგალითად კალათი და სხვ. მაგრამ მსგავსი მაგალითები აქ, სადაც ლაპარაკია კაპიტალისტურ წარმოებაზე, საერთოდ სრულებით უადგილოა»[25]. შრომის პროცესი შეუძლებელია შრომის იარაღების გარეშე კაპიტალისტურ მეურნეობაში. ჯერ მონურ საზოგადოებაშიაც მონები ხმარობდნენ შრომის პრიმიტიულ საშუალებებს. კაპიტალისტური წარმოება აბსოლუტური და რელატივური ზედმეტი ღირებულების წარმოებაა, ზედმეტი ღირებულება შეადგენს კაპიტალისტური წარმოების ერთად ერთ მამოძრავებელ მოტივს. შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება ბუნებრივ აუცილებლობად გვევლინება. რასაკვირველია, ეს შეუძლებელია შრომის ტექნიკურ საშუალებათა განვითარების გარეშე. წარმოების პროცესში მოქმედებს არა მარტო წარმოების პირადი ფაქტორები, არამედ წარმოების ნივთიერი პირობებიც. წარმოება ცოცხალი შრომისა და წარმოების საშუალებათა პროცესია, და ეს პროცესი შეუძლებელია იქ, სადაც წარმოების რომელიმე განმსაზღვრელი პირობა გამორიცხულია. საქონლის ღირებულებაში ამიტომ აუცილებლად შედის ავანსად გაღებული კაპიტალის მუდმივი ნაწილი, ეს ნაწილი აუცილებლად აღიდგინება ღირებულებაში. სმიტის აზრით, ღირებულებაში მოცემულია ხელფასი, რენტა და მოგება. პირველი შეადგენს დაქირავებული მუშის შემოსავალს, მეორე—მიწათმფლობელის შემოსავალს, ხოლო მესამე—კაპიტალისტის შემოსავალს. როგორც ვხედავთ, მთელი ღირებულება მხოლოდ შემოსავლით ამოიწურება. საქონელში განივთიერებული შრომა, სმიტის მიხედვით, დაქირავებული ძალი-

[24] Теории etc. ტ. II, ნაწ. 2, გვ. 139.

[25] Op. cit. ტ. I, გვ. 116.

სა და კაპიტალისტის შემოსავლის წყაროდაა წარმოდგენილი. ამ შრომის აუცილებელი ნაწილი შეადგენს ხელფასს, მუშის შემოსავალს, ხოლო ზედმეტი ნაწილი—მოგებასა და რენტას, კაპიტალისტის და მემამულის შემოსავალს. იბადება კითხვა: სადაა შრომის იარაღების ღირებულება, რომელიც შემოსავლის ელემენტს არ წარმოადგენს, არც აუცილებელ შრომას მიეკუთვნება, არც—ზედმეტს? სრულებით უდაოა, საქონლის ღირებულებაში მოცემულია როგორც v+m, ისე c, მასში აღდგენილია ზედმეტ ღირებულებასთან ერთად მთელი ავანსირებული კაპიტალური ღირებულება, რომელშიაც აუცილებლად შედის მუდმივი ელემენტი. აქედან მეცნიერულად სწორი დასკვნაც: «ყოველგვარი კაპიტალისტურად წარმოებული საქონლის ღირებულება გამოიხატება ფორმულით: ს=c+v+m»[26]. სმიტის ფორმულა სრული არაა, რადგან მასში გამორიცხულია კაპიტალური ღირებულების მუდმივი ელემენტი.

ორმაგობა და წინააღმდეგობა ამ შემთხვევაშიაც თან სდევს სმიტს. ემპირული ფაქტი აიძულებს მას ცალკე კაპიტალისტური მწარმოებელის სასაქონლო ღირებულებაში დაინახოს ხელფასის, მოგებისა და რენტის გარდა აგრეთვე მეოთხე ელემენტი—კაპიტალის მუდმივი ნაწილი. ახლა სმიტი ამტკიცებს, რომ, მაგალითად, ფერმერის მიერ წარმოებული ხორბლის ღირებულებაში შედის არა მარტო ცნობილი სამი ელემენტი (=v+m), არამედ წარმოების საშუალებათა ღირებულებაც, მაგ. ცხენი, თესლი etc. ამ შემთხვევაში სმიტს არ ღალატობს «გონიერი ინსტიქტი» და მუდმივ კაპიტალს გარკვევით ხედავს თითოეულ კაპიტალისტთან, აღებულთან ცალ-ცალკე. ცალკე კაპიტალისტის ღირებულება, მაშასადამე, უდრის c+v+m. აქედან იგულისხმება, რომ ცალკე საქონლის ღირებულებაც შეიცავს მუდივ ელემენტს. სმიტი ვერ იკავებს თავს ამ სწორ პოზიციაზე და ყირამალა ეშვება, როგორც კი მთელი საზოგადოებრივ კაპიტალს, საზოგადოებრივ პროდუქტს ეხება. რაც სწორია ცალკედ აღებული ფერმერისათვის, არაა სწორი მთელი ფერმერული წარმოებისათვის საზოგადოდ—ამტკიცებს სმიტი. რატომ? სმიტი გვიპასუხებს: რაც ერთი ფერმერისათვის მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს (მაგალითად ცხენი), მეორე ფერმერისთვის, რომლისაგან ეს ცხენი ნაყიდია, ეს მუდმივ კაპიტალს უკვე არ წარმოადგენს, მისთვის ცხენის ღირებულება უდრის მხოლოდ v+m, ე. ი. სხვადასხვა კლასის შემოსავალს. აქედან სმიტი ასკვნის: თითოეულ მწარმოებლისთვის თუ ღირებულებაში წარმოდგენილია მუდმივი ელემენტი, ეს არ ითქმის მწარმოებელთა საზო-

[26] Капитал, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 3, აგრეთვე გვ. 106, 198, 237, 248.

გადოებაზე მთლიანად, აქ ღირებულების მუდმივი ელემენტი ჰქრება.

ამიტომ ახლად შექმნილ წლიურ პროდუქტში არ შედის კაპიტალური ღირებულების მუდმივი ნაწილი. მარქსი წერს: «ადამ სმიტის მთელი წარმოდგენა ემყარება შემდეგს: ყოველივე საქონლის ღირებულება არის შრომის პროდუქტი და, მაშასადამე, წლიური შრომის პროდუქტის ღირებულებაც არის წლიური საზოგადოებრივი სასაქონლო პროდუქტის ღირებულება. მაგრამ ყოველი შრომა იყოფა 1) აუცილებელ სამუშაო დროზე, რომლის განმავლობაში მუშა მხოლოდ აღადგენს ეკვივალენტს კაპიტალის, გაღებულს მისი სამუშაო ძალის საყიდლად, და 2) დამატებითი შრომაზე, რომლის საშუალებით მუშა აწვდის კაპიტალისტს ღირებულებას, რომლისათვის ის არ იხდის არავითარ ეკვივალენტს, ე. ი. აძლევს კაპიტალისტს ზედმეტ ღირებულებას; ამრიგად, ყოველგვარი სასაქონლო ღირებულება შესაძლებელია დანაწილდეს მხოლოდ ამ ორი სხვადასხვაგვარი შემადგენელი ნაწილების მისედვით და საბოლოო ანგარიშით შეადგენს ხელფასის სახით მუშათა კლასის შემოსავალს, ხოლო ზედმეტი ღირებულების სახით—კაპიტალისტების კლასის შემოსავალს. რაც შეეხება მუდმივ კაპიტალურ ღირებულებას, ე. ი. წარმოების საშუალებათა ღირებულებას, მოხმარებულს წლიური პროდუქტის წარმოებაში, თუმცა არ შეიძლება ითქვას, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ფრაზას, რომ კაპიტალისტი ახდევინებს მას მყიდველს თავისი საქონლის გაყიდვის დროს, რანაირად შედის ეს ღირებულება ახალი პროდუქტის ღირებულებაში, მაშინ საბოლოო ანგარიშში—ultimately—ღირებულების ეს ნაწილი თავის მხრივ შესაძლოა შედგეს მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის ეკვივალენტისა და ზედმეტი ღირებულებისგან»[27]. ასეთია სმიტის კონცეპცია. რაც სწორია და მისაღები კერძო კაპიტალის თვალსაზრისით, არაა სწორი საზოგადოებრივი კაპიტალის თვალსაზრისით. სხვანაირად, რაც კერძო კაპიტალისტური მწარმოებლისთვის მუდმივი კაპიტალური ღირებულებაა და არ შეადგენს შემოსავლის კათეგორიას, მეორე კაპიტალისტური მწარმოებლისთვის, რომლისაგან ეს მუდმივი ელემენტი მიღებულია, იგივე ელემენტი იყოფა v+m-ზე, მუშათა კლასისა და კაპიტალისტების შემოსავალზე. ასეთია სმიტის თეორიული მოსაზრებანი, რომლებიც მარქსმა გაატარა მეცნიერული კრიტიკის ქარცეცხლში.

[27] Капитал, ტ. II, გვ. 275—276. ხაზგასმა ჩვენია.

მართლაც, სმიტის არგუმენტაციის მთელი სიმძიმე იმაში მდგომარეობს, რომ რაც კანონზომიერია ინდივიდუალური კაპიტალის თვალსაზრისით, მიუღებელია მთელი საზოგადოებრივი წარმოების თვალსაზრისით.

ეს დებულება ძირშივე ყალბია. «საზოგადოებრივი კაპიტალი—ამბობს მარქსი—უდრის მხოლოდ ინდივიდუალურ კაპიტალების ჯამს და ამიტომ საზოგადოების წლიური პროდუქტიც (ანუ სასაქონლო კაპიტალი) უდრის ამ ინდივიდუალურ კაპიტალთა სასაქონლო პროდუქტების ჯამს»[28]. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, ვითომც საზოგადოებრივი კაპიტალი ინდივიდუალურ კაპიტალთა უბრალო მექანიკურ შეერთებას, შეჯამებას წარმოადგენდეს. საზოგადოებრივი კაპიტალის მოძრაობას გააჩნია სპეციფიკური მომენტები. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური კაპიტალთა არსებობა-მოქმედება განსაზღვრავს მთელ საზოგადოებრივ კაპიტალის მოძრაობა-განვითარების საქმეს. სრულებით ადვილი, მარტივი ლოგიკური ოპერაციაა საჭირო იმის გასაგებად, რომ თუ ინდივიდუალური კაპიტალის ღირებულება უდრის c+v+m-ს, მაშინ საზოგადოებრივი კაპიტალის ღირებულებაც უნდა შედგებოდეს ამ ელემენტებისგან. საზოგადოებრივი კაპიტალი ხომ არაა დამოუკიდებელი ინდივიდუალურ კაპიტალთა შეერთებისგან, არ წარმოადგენს თვითარსს. კერძო პროდუქტის ღირებულება თუ უდრის c+v+m—ს, ცხადია, წლიური ღირებულებაც ამ ფორმულით უნდა გამოიხატოს. მარქსი იკვლევს ამ პრობლემას და აკეთებს კათეგორიულ დასკვნას: «მაშასადამე, ყოველგვარი ცალკე საქონლის ღირებულების მსგავსად, აგრეთვე მთელი წლიური პროდუქტის ღირებულება... შედგება c+v+m»[29]. სმიტისათვის ეს უდაო ჭეშმარიტება გაუგებარი რჩება, სმიტი გადაჭრით უკუაგდებს მუდმივ ელემენტს წლიური პროდუქტის ღირებულებაში. მარქსი სამართლიანად შენიშნავს, ამით სმიტმა «გზა აურია ყველა ბოლოდროინდელ ეკონომისტს» და ამავე დროს «საკითხის ყოველგვარი მეცნიერული გაგება... პირდაპირ შეუძლებელი გახადა»[30]. სმიტის კონცეპციის მიხედვით შეუძლებელია ისეთი ძირითადი პრობლემების მეცნიერული გაგება, როგორიცაა კაპიტალისტური გაფართოებული რეპროდუქცია და კრიზისები. საკმარისია ხელოვნურად განდევნოთ საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან მუდმივი ელემენტი,

[28] Op. cit. გვ. 264, აგრეთვე გვ. 276.

[29] ibid. გვ. 285. შეად. გვ. 308, 315, 346.

[30] Теории etc. ტ. II, ნაწ. 1, გვ. 197. შეად. გვ. 201.

რომელიც შემოსავლის კათეგორიას არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს,—საკმარისია დაუშვათ ეს თეორიული შეუსაბამობა, რათა შეუძლებელი გახდეს კაპიტალისტური დაგროვებისა და კრიზისების მეცნიერული გაგება.

საზოგადოების მთელი წლიური პროდუქტის ღირებულება შესდგება v+m-დან, ე. ი. შემოსავლიდან, გვეუბნება სმიტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწოდება და მოთხოვნილება უცვლელი რჩება, ყოველ შემთხვევაში მათი პროპორციული დამოკიდებულება ძალაში რჩება. როგორც უკვე დავინახეთ, სმიტის თეორიის თანახმად ცვალებადი კაპიტალი ისეთივე ტემპით იზრდება, როგორც მუდმივი კაპიტალი. ამიტომ მოთხოვნილება და მიწოდება არ ირღვევა, საზოგადოებრივი მოთხოვნილება ყოველთვის ფარავს საზოგადოებრივ წარმოებას. სმიტის ეს შემცდარი შეხედულება პოულობს თავის დასაბუთებას იმაში, რომ საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან ხელოვნურად იდევნება მისი შემადგენელი მუდმივი ელემენტი. საზოგადოებრივი წარმოებისა და მოთხოვნილების ჰარმონია უსათუოდ ემყარება საქონლის ღირებულების, როგორც შემოსავლის, წარმოდგენას. საზოგადოებრივი წარმოებისა და მოხმარების დისპროპორცია, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობას ახასიათებს, სმიტმა არ იცის, რადგან მანუფაქტურულ პერიოდში ასეთ დისპროპორციას ადგილი არ ჰქონია. სმიტის აზრით, ზედმეტი ღირებულება მიდის ცვალებად კაპიტალზე, სამუშაო ძალის ახალი რაოდენობის შესაძენად. მან არ იცის, რომ ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაცია შეიცავს აგრეთვე კაპიტალური ღირებულების მუდმივი ელემენტის გადიდებასაც, რის გარეშე კაპიტალისტური დაგროვება შეუძლებელი ხდება. მართლაც, თუ კაპიტალის მუდმივი ელემენტი გამორიცხულია კაპიტალური ღირებულებიდან, მაშ რა ფორმაში წარმოებს კაპიტალისტური დაგროვება? სმიტის აზრით—წერს მარქსი—«თითოეული საქონლის ღირებულება ნაწილდება სხვადასხვა შემოსავლად და, მაშასადამე, წილად ხვდება მოსახმარებელი ფონდის სახით ამა თუ იმ კლასს, რომელიც ცხოვრობს მოცემული სახის შემოსავლით. ხოლო რაკი, მაგალითად, მოცემული ქვეყნის წლიური წარმოების შეჯამებული პროდუქტი შედგება მხოლოდ წარმოებულ საქონელთა ღირებულების ჯამისგან და რაკი თითოეული ამ საქონლის ღირებულება წარმოდგენილია შემოსავლად, მაშასადამე, მათი ჯამიც—შრომის წლიური პროდუქტი, მთელი შემოსავალი—შესაძლებელია მოხმარებულ იქნას შემოსავლის ფორმაში ამავე ხნის განმავლობაში»[31]. მაშასადამე, კაპიტალისტური გაფართოე-

[31] Теории etc. ტ. I, გვ. 116.

ბული რეპროდუქციის პრობლემა იხსნება. ასევე იხსნება ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის პრობლემაც. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების კრიზისი შეუძლებელი სდება, რადგან ის კაპიტალების გადაჭარბებული წარმოების ფორმაში გვეელინება. მარქსს მოყავს ელემენტარული მაგალითი, ადვილად გასაგები სმიტისათვის. ავიღოთ ფერმერული წარმოება. ფერმერის სიმდიდრე დამოკიდებულია მის მოგებაზე. მეორე მხრივ, ფერმერს შეუძლია გაყიდოს მთელი თავისი მუდმივი კაპიტალი, როგორიცაა წარმოების საშუალებანი. ამ შემთხვევაში სრულებით აშკარაა, რომ ფერმერის სიმდიდრე დამოკიდებულია მისი მუდმივი კაპიტალის სიდიდეზე. მუდმივი კაპიტალის გარეშე კაპიტალისტური სიმდიდრე, კაპიტალისტური დაგროვება ვეღარ წარმოიდგინება. სმიტს არ შეუძლია არ დაინახოს მანუფაქტურული კაპიტალის ზრდა, კაპიტალის გაშმაგებული დაგროვება. ასეთია ემპირული ფაქტი, რომლის ახსნა სმიტს არ შეუძლია. კაპიტალისტურ დაგროვებაში სმიტი ხედავს მხოლოდ—როგორც მარქსი ამბობს—«საზოგადოებრივი ნაციონალური სიმდიდრისა და კეთილდღეობის გაძლიერებას»[32]. სმიტი აღფრთოვანებულია კაპიტალისტური წარმოების განვითარებით, კაპიტალისტური დაგროვების ზრდით. სმიტის აზრით, კაპიტალიზმის პირობებში «უღარიბესი კლასი ფხიზელი ცხოვრებით და შრომის მოყვარეობით» სარგებლობს სასმარ ღირებულებათა დიდი რაოდენობით, რაც შეუძლებელი იყო წინეთ. ამიტომ სმიტი მთელი თავისი არსებით კაპიტალიზმის მხარეზე დგას და იცავს კაპიტალისტურ დაგროვებას, მაგრამ იცავს ემპირულად, შეგნებულად. კაპიტალისტური დაგროვების შინაგან კანონზომიერებას სმიტი ვერ ააშკარავებს, კაპიტალისტური დაგროვების თეორიას ვერ ასაბუთებს. პირიქით, კაპიტალური ღირებულების მუდმივი ელემენტის გამორიცხვით სმიტი შეუძლებელს ხდის კაპიტალისტური დაგროვებისა და კრიზისების მეცნიერულ გაგებას.

ამრიგად, სმიტმა ეკონომიურ მეცნიერებაში დიდი საქმე გააკეთა, როდესაც შეეცადა ღირებულების დაშლას მის შემადგენელ ელემენტებად. სამწუხაროდ, მან აქ პრინციპული შეცდომა დაუშვა ღირებულების შემადგენლობიდან მუდმივი ელემენტის განდევნით. ეს შეცდომა ამხილა და გაასწორა მარქსმა.

მეორე მხრივ, ამავე დროს სმიტი უშვებს მორიგ პრინციპულ შეცდომას ღირებულების შემადგენელ ელემენტების კვლევა-ძიებაში.

[32] Теории etc. ტ. II, ნაწ. 1, გვ. 201.

ახლა ის ვარდება ახალ წინააღმდგობაში. როგორც დავინახეთ, სმიტმა საქონლის ბუნებრივი ფასი დაანაწილა სამ ელემენტად: ხელფასი+მოგება+რენტა. მაშასადამე, v+m სმიტმა ღირებულებიდან გამოიყვანა, და არა პირიქით. ეს საესებით სწორი გზაა, მაგრამ სმიტი მალე უხვევს ამ გზიდან. ის დგება საწინააღმდეგო შეხედულებაზე და ცდილობს ღირებულების გამოყვანას მის სამი ელემენტიდან. ხელფასი, მოგება და რენტა ახლა მოცემულია დამოუკიდებელ კათეგორიებად, რომლებიც წარმოადგენენ ღირებულების წყაროს. «იმის მაგიერ, რომ ღირებულება იყოს მათი წყარო, ისინი თვითონ ხდებიან ღირებულების წყაროდ»[33]. ხელფასი, მოგება და რენტა ღირებულებით განისაზღვრება, და არა პირიქით, როგორც ამას სმიტი სჩადის. ამ კათეგორიებს არ შეუძლია განსაზღვროს ღირებულება. ხელფასის, მოგებისა და რენტის მოძრაობა არ ასდენს გავლენას ღირებულების მოძრაობაზე. მხოლოდ გარეგნულად გვეჩვენება, იქმნება შთაბეჭდილება კაპიტალისტური კონკურენციისა და საქონლის საბაზრო ფასების მუდმივ ქანაობაში, რომ ხელფასი, მოგება და რენტა საზღვრავს ღირებულებას. ხელფასის, მოგებისა და რენტის მოძრაობა უშუალოდ მოქმედებს არა საქონლის ღირებულებაზე, არამედ მის ფასზე. როგორც ვიცით, სმიტს არ აქვს სწორი წარმოდგენა ფასისა და ღირებულების პრობლემაზე, ის ამ კათეგორიებს ხშირად ურევს ერთმანეთში და აქედან აუცილებელი ხდება შეცდომის დაშვება ამ შემთხვევაშიაც. სმიტს არ ძალუძს «სწორად განავითაროს ხელფასის, მოგებისა და სხვ. ქანაობის გავლენა საქონლის ფასებზე»[34], დააღწიოს თავი «საგანთა გარეგნულ კავშირს, რამდენად ეს კავშირი გამოიცლინება კონკურენციაში, სადაც ყველაფერი აშკარავდება პირუკუ—ღებულობს საწინააღმდეგო სახეს»[35]. სმიტი მოვლენის სფეროში ტრიალებს და ამიტომ უძლურია პრინციპულად სწორი დებულება ბოლომდე ლოგიკურად განავითაროს და თანმიმდევრულად დაიცვას. როდესაც ღირებულებაშია წარმოდგენილი ხელფასი, მოგება და რენტა, მოვლენათა შინაგანი კავშირი აშკარავდება. მაგრამ როგორც კი ეს სამი კათეგორია განიხილება ღირებულებისგან დამოუკიდებლად, ღირებულების განმსაზღვრელ კათეგორიებად, შინაგანი კავშირი ისპობა და მის ადგილს იჭერს სინამდვილის გარეგნული მხარე. სმიტი «პირველ შემთხვევაში გვიჩვენებს დაფარულ კავშირს, მეორე

[33] ibid. გვ. 56. შეად. გვ. 69. აგრეთვე Теории etc. ტ. II, ნაწ. 2. გვ. 89.

[34] Теории etc. ტ. I, გვ. 114. შეად. გვ. 115.

[35] Теории etc. ტ. II, ნაწ. 1, გვ. 56.

შემთხვევაში—მოვლენას»[36]. სმიტი სწორედ ამ მეორე შემთხვევას—მოვლენას ემყარება, როდესაც ამტკიცებს, რომ საქონლის ფაქტიური ფასი მოქმედებს საქონლის ბუნებრივ ფასზე. მართლაც, საქონლის ბუნებრივი ფასი თუ სამი ელემენტის ჯამისგან შედგება (ხელფასი+მოგება+რენტა), ცხადი უნდა იყოს, რომ რომელიმე შესაერთის შეცვლით ჯამი უნდა შეიცვალოს. სმიტი გარკვევით ამტკიცებს: «თვით ბუნებრივი ფასი იცვლება მისი შემადგენელი ნაწილის—ხელფასის, მოგებისა და რენტის ბუნებრივ ნორმასთან ერთად»[37]. ხელფასის გადიდება, მაშასადამე, ცვლის საქონლის ბუნებრივ ფასს, ჩვენს ენაზე—ღირებულებას. საქონლის ღირებულება თუ ხელფასის, მოგებისა და რენტის «ბუნებრივი ნორმით» განისაზღვრება, ცხადია, ამ ნორმის გადიდება ან შემცირება უნდა ზრდიდეს ან ამცირებდეს თვით ღირებულების სიდიდეს. აქ ხელფასი, მოგება და რენტა წარმოდგენილია საცვლელი ღირებულების წყაროდ, რაც შრომითი ღირებულების თეორიას ძირშივე ეწინააღმდეგება. ახლა ჩვენთვის გასაგები ხდება ღირებულების მუდმივი ელემენტის გამორიცხვის საიდუმლოება: ღირებულებაში თუ მუდმივი ელემენტი იგულისხმება, შეუძლებელი ხდება ღირებულების განსაზღვრა ხელფასით, მოგებით და რენტით. ამ შემთხვევაში ეს სამი უკანასკნელი კათეგორია კარგავს დამოუკიდებელ ხასიათს და ღირებულების განმსაზღვრელ ელემენტებად მეტად არ გვევლინება. სმიტი დგება შემცდარ შეხედულების საფუძველზე და მზადაა ობიექტური ჭეშმარიტება მიიტანოს ზვარაკად შემცდარი კონცეპციის სამსხვერპლოზე.

ვასკვნით: სმიტის ფასების თეორია ისევე ორმაგი ბუნებისაა და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი, როგორც მისი შრომითი ღირებულების თეორია. პირველის გაგებისათვის აუცილებელია მეორის გაგება, ვინაიდან პირველი მეორისგან გამომდინარეობს, მას ემყარება. ამ შემთხვევაშიაც სმიტის გენიოსობა მდგომარეობს არა იმაში, რომ სმიტი სწორად სწვეტს ურთულეს ეკონომიურ პრობლემებს, არამედ იმაში უმთავრესად, რომ სმიტი აყენებს ამ პრობლემებს და ამით აფართოვებს მეცნიერული აზროვნების ჰორიზონტს.

V

პროდუქტული შრომის კათეგორია

ზედმეტი ღირებულების წარმოება, მაშასადამე, წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობა შეუძლებელია შრომის ნაყოფიერები-

[36] Теории etc. ტ. III, გვ. 368.
[37] Исследование etc. წ. I, თავი 7.

თი ძალის განვითარების გარეშე. ზედმეტი ღირებულება იქმნება ისეთ პირობებში, სადაც დაქირავებული შრომის პროდუქტის ღირებულება უსათუოდ აღემატება ავანსირებულ კაპიტალურ ღირებულებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების წარმოება შეუძლებელია, თუ დაქირავებული შრომა ვერ ქმნის იმაზე მეტ ღირებულებას, რასაც სამუშაო ძალის ღირებულება შეიცავს. მუშამ უნდა შექმნას იმაზე მეტი ღირებულება, რასაც ის ხელფასის ფორმაში ღებულობს საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების ეკვივალენტად. სადაც არ არის ეს პირობა, არ არის არც ზედმეტი ღირებულების წარმოება. ხოლო ამისთვის კი, როგორც თავისთავად იგულისხმება, აუცილებელია შრომის ნაყოფიერებითი ძალის შესაფერი განვითარება. წარმოებ-ს თითოეული წესი იმით განსხვავდება, სხვათა შორის, ერთმანეთისგან, რომ ერთი ემყარება შრომის ნაყოფიერებითი ძალის შედარებით დაბალ დონეს, მეორე—მაღალს. წარმოების ფეოდალური წესი გულისხმობს შრომის ნაყოფიერებითი ძალის განუვითარებლობას, ხოლო კაპიტალისტური წესი--პირიქით, შედარებით განვითარებულ შრომის ნაყოფიერებითი ძალას ემყარება. შრომის ნაყოფიერებითი ძალის შემდგომი განვითარება წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობის პირობებში პოულობს აბსოლუტურ საზღვარს თვით კაპიტალში. მხოლოდ სოციალისტური, კომუნისტური წესი სპობს ამ საზღვარს და შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარებას აძლევს განუსაზღვრელ გასაქანს. ეს წესი შეუდარებლად უფრო მაღალ, განვითარებულ შრომის ნაყოფიერებითი ძალას გულისხმობს, ვინემ წარმოების კაპიტალისტური წესი. ისტორიულ-საზოგადოებრივი პროგრესის აზრი წინააღმდეგ შემთხვევაში მ.ისპობოდა. ადამ სმიტი გარკვევით ხედავს, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი გაცილებით უფრო პროგრესიულია ფეოდალურზე. კაპიტალისტური წარმოება ემყარება შრომის ნაყოფიერებითი ძალის მნიშვნელოვან განვითარებას. წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათებელია ის ნიშანდობლივი მომენტი, რომელიც მდგომარეობს შრომისა და წარმოების საშუალებათა ანტაგონისტურ შეერთებაში. შრომა დაქირავებულია, თვით შრომის პირობები დაპირისპირებულია შრომასთან კაპიტალის სახით. შრომისა და კაპიტალის ანტაგონისტური მთლიანობა, დროებითი და გარდამავალი ისტორიულად, განსაზღვრავს წარმოების კაპიტალისტურ წესს. მარქსის აზრით, სმიტი «ძალიან მოხდენილად შენიშნავს, რომ ნამდვილად შრომის ნაყოფიერებითი ძალის ძლიერი განვითარება მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება,

როდესაც შრომა ხდება დაქირავებული და შრომის პირობები უპირისპირდება მას, ერთის მხრივ, მიწის საკუთრების სახით, მეორე მხრივ—კაპიტალის სახით»[1]. სმიტი წარმოების კაპიტალისტური წესის მტკიცე დამცველია, ის დარწმუნებულია, რომ ეს წესი ემყარება შრომის ნაყოფიერებითი ძალის მაღალ დონეს და ამიტომ მთელი საზოგადოების კეთილდღეობაც ამ წესის განვითარებაზეა დამოკიდებული. შრომის ნაყოფიერებას ზრდის შრომის საზოგადოებრივი განაწილება—ამტკიცებს სმიტი. თავის «ხალხთა სიმდიდრესაც» სმიტი შრომის განაწილების მნიშვნელობის კვლევა-ძიებით იწყებს. «შრომის ნაყოფიერებითი ძალის უდიდესი პროგრესი... მოგვევლინა, როგორც ჩანს, შრომის განაწილების შედეგად»[2]. შრომის განაწილება იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას სამი მიზეზით: ვითარდება თითოეული მუშის მოქნილობა-ოსტატობა, ხდება სამუშაო დროს ეკონომია და ფეხს იკიდებს ახალი გამოგონება. შრომის ნაყოფიერებითი ძალა ამით იზრდება, რომელიც—სმიტის შეხედულებით—განსაზღვრავს «საყოველთაო კეთილდღეობას... საზოგადოების ყველა ფენაში»[3]. მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესი აძლევს ფართო გასაქანს შრომის განაწილებას, მაშასადამე, მხოლოდ ეს წესია ბუნებრივად მოწოდებული ანვითაროს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებითი ძალა. ასეთია სმიტის კონცეპცია, ბურჟუაზიული ჰორიზონტით შემოფარგლული.

შრომის ნაყოფიერებითი ძალის გაგება შეიძლება ორნაირად—აბსოლუტური და რელატივური თვალსაზრისით. ზედმეტი ღირებულების წარმოება ემყარება შრომის არა აბსოლუტურ, არამედ რელატივურ, შედარებითი ნაყოფიერებას. შრომა ნაყოფიერია აბსოლუტურად, შეუდარებლად, რადგან ის ქმნის განსაზღვრულ პროდუქტს. ამ პროდუქტის ღირებულება იმაზე მეტი თუ არაა (ანდა ნაკლებია), რაც საჭიროა სამუშაო ძალის ღირებულების აღსადგენად, ასეთი შრომის ნაყოფიერება მხოლოდ აბსოლუტურია, ის არ იძლევა ზედმეტ ღირებულებს. შრომის ასეთი აბსოლუტური ნაყოფიერება, კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, არაა ნაყოფიერი, პროდუქტული. კაპიტალისტური წარმოება ზედმეტი ღირებულების resp. მოგების წარმოებაა და სადაც არაა კაპიტალის ეს «მამოძრავებელი მოტივი», არაა არც პროდუქტული შრომის კათეგორია.

[1] Теории etc. ტ. I, გვ. 91.

[2] Исследование etc. წ. I, თავი 1.

[3] ibid.

პირიქით, შრომის რელატივური, შეფარდებითი ნაყოფიერება შეადგენს ზედმეტი ღირებულების წარმოების საფუძველს. ამ შემთხვევაში შრომა ქმნის ღირებულებას, რომელშიაც აღიდგინება არა მარტო ავანსირებულ კაპიტალური ღირებულება, არამედ—ზედმეტი ღირებულებაც. პროდუქტული შრომა ანდა შრომის რელატივური ნაყოფიერება აღადგენს სამუშაო ძალის ღირებულებას plus ზედმეტი ღირებულება. სხვანაირად, აქ ხდება ზედმეტი ღირებულებით განაყოფიერებული კაპიტალური ღირებულების რეპროდუქცია. კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით ნაყოფიერია შრომა, რომელიც ემყარება რ ე ა ლ ა ტ ი ვ უ რ ნაყოფიერებას. «კაპიტალისტების კლასის, მაშასადამე, თვით კაპიტალის არსებობა—წერს მ ა რ ქ ს ი—დამყარებულია შრომის ნაყოფიერებაზე, მაგრამ შრომის არა აბსოლუტურ, არამედ შედარებითი ნაყოფიერებაზე»[1]. მხოლოდ შრომის რელატივური ნაყოფიერება უზრუნველყოფს ზედმეტი ღირებულების წარმოებას ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობათა არსებობის პირობებში.

ეკონომიურ მეცნიერებაში პირველად ა დ ა მ ს მ ი ტ მ ა წ ა მ ო ა ყ ე ნ ა პროდუქტული და არაპროდუქტული, ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის პრობლემა. მართალია, ეს პრობლემა ს მ ი ტ მ ა ვერ გადასჭრა თანმიმდევრულად, ამ შემთხვევაშიაც ტრიალებს ის შ ი ნ ა გ ა ნ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა მოჯადოებულ წრეში. «ნაყოფიერი შრომისა და უნაყოფო შრომის განსაზღვრაში ს მ ი ტ ი რჩება ისევე ორმაგი, როგორითაც დავინახეთ ის ყველგან»[2]. მაგრამ ს მ ი ტ ი ს ა თ ვ ი ს იმანენტური ამ ორმაგობისა და შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის კათეგორიის განსაზღვრაში ს მ ი ტ ი მაინც აღწევს მეცნიერული აზროვნების თავისებურ მწვერვალს, ს მ ი ტ ი ს მომდევნო ეკონომისტებთან შედარებით. ს მ ი ტ ი იძლევა პროდუქტული შრომის როგორც მეცნიერულად სწორ, ისე შემცდარ გაგებას. ს მ ი ტ ი ამ შემთხვევაშიაც ვერ აღწევს თავს წინააღმდეგობათა ამ დაპირისპირებას. სადაც ს მ ი ტ ი მიმართავს კვლევა-ძიების ეზოტერულ წესს, ის იპოვნება მოვლენათა შუაგულში და აღმოაჩენს მათ შინაგან კავშირს. მაგრამ როგორც კი ს მ ი ტ ი ღალატობს ამ წესს და დგება ექსოტერიზმის თვალსაზრისზე, ის მოვლენათა ბურუსში ეხვევა, სინამდვილის ზედაპირზე ეძებს იმას, რისი პოვნა აქ შეუძლებელია არსებითად. ს მ ი ტ ი ს მეთოდოლოგიური დუალიზმი ყველგან საზღვრავს სმიტის ეკონომიურ-თეორიულ კონ-

[1] Теории etc. ტ. I, გვ. 164. აგრეთვე გვ. 172.

[2] ibid. გვ. 163—164

ცეპციების ორმაგობას, მათ წინააღმდეგოვან ხასიათს. რა თქმა უნდა, სმიტის მეთოდოლოგიური დუალიზმი სმიტის აზროვნების დამოუკიდებელი ქმნილება არაა, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი პროფესორი[6]. საკითხის ეს მხარე ამ ჟამად არ შეადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სმიტის მთელი თეორიული კონსტრუქცია თავიდან ბოლომდე უშუალო დაპირისპირებაში ვითარდება, ყველგან შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, სამწუხაროდ არა დიალექტიკურ წინააღმდეგობას. ჯერ გავეცნოთ სმიტის სწორ შეხედულებას პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის კათეგორიაზე.

სმიტი წერს: «შრომის ერთი სახე ადიდებს საგნის ღირებულებას, მეორე კი—ვერ იწვევს ასეთ მოქმედებას. პირველს, რამდენად ის ქმნის ერთგვარ ღირებულებას, შეიძლება ეწოდოს ნაყოფიერი შრომა, მეორეს—არა ნაყოფიერი»[7]. მაგალითად, მანუფაქტურული წარმოების მუშა ადიდებს პროდუქტის ღირებულებას თავისი ხელფასისა და დამქირავებელის მოგების რაოდენობის მიხედვით. პირიქით, შინამოსამსახურის შრომა «არაფერს არ მატებს ღირებულებას». მუშა ღებულობს კაპიტალისტისგან ხელფასს, მაგრამ კვლავ უბრუნებს მას შესაფერი მოგებით. შინამოსამსახურეც ღებულობს ხელფასს, მაგრამ ის კაპიტალისტს მას უკანვე აღარ უბრუნებს არც მოგებით, არც მის გარეშე. «მოსამსახურის ხარჯები არასოდეს არ ნაზღაურდება». ამიტომ მანუფაქტურული მუშის შრომა, რომელიც უშუალოდ იცვლება კაპიტალზე და ქმნის ზედმეტ ღირებულებას, არის პროდუქტული შრომა, ხოლო შინამოსამსახურის შრომა, რომელიც კაპიტალზე კი არა შემოსავალზე იცვლება, არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას დამქირავებელისათვის და ამიტომ ის არა პროდუქტული შრომაა. დაქირავებული მუშა ღებულობს კაპიტალისტისაგან ხელფასს, რომელიც შეადგენს ავანსირებული კაპიტალის ნაწილს, სახელდობრ მის ცვალებად ნაწილს. პროდუქტის ღირებულებაში ეს ნაწილი მთლიანად აღიდგინება, უბრუნდება კაპიტალისტურ დამქირავებელს უკვე გადიდებული რაოდენობით—მოგების დართვით. ეს არ შეიძლება ითქვას შინამოსამსახურეზე. ის

[6] მაგალითად, პროფ. მანუილოვი. იხ. მისი Понятие ценности etc. გვ. 118. ავტორის აზრით, სმიტის ორმაგობის მიზეზი «напрасно искать в данных исторической эпохи», რადგან ეს ორმაგობა არის «главным образом логическое построение».

[7] Исследование etc. წ. 2, თავი 3.

ღებულობს ხელფასს არა ავანსირებული კაპიტალიდან, არამედ დამქირავებელის შემოსავლიდან, მისი მოგებიდან. შინამოსამსახურის შრომა უშუალოდ შემოსავალზე იცვლება, ის კი არ ადიდებს ამ შემოსავალს, პირიქით, ამცირებს მას. აქედან სმიტი აკეთებს შესანიშნავ დასკვნას: «ადამიანი მდიდრდება, როდესაც აძლევს სამუშაოს მანუფაქტურულ მუშათა დიდძალ რაოდენობას. ის ღარიბდება, თუ აყვანილი ყავს შინამოსამსახურეთა დიდი რაოდენობა»[8]. მიზეზი გასაგებია: მანუფაქტურული წარმოების მუშა ქმნის ღირებულებას, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, მისი შრომა პროდუქტული შრომაა კაპიტალისტის თვალსაზრისით. რამდენად ბევრია ასეთი მუშა წარმოების პროცესში, იმდენად მეტია ზედმეტი ღირებულების მასა დანარჩენ შესაფერ პირობებში, იმდენად იზრდება ავანსად გაღებული კაპიტალი, მდიდრდება კაპიტალისტი. პირიქით, რამდენად ბევრია შინამოსამსახურეთა რიცხვი, იმდენად მცირდება კაპიტალისტის შემოსავალი, მაშასადამე, მცირდება კაპიტალისტური დაგროვება, ღარიბდება კაპიტალისტი. პროდუქტული შრომა ისეთი შრომაა, რომელიც კაპიტალზე იცვლება, ხოლო არაპროდუქტული შრომა ისეთი შრომაა, რომელიც შემოსავალზე იცვლება. ეს დებულება სავსებით სწორია. სმიტი განაგრძობს თავის არგუმენტაციას. «ადამიანმა თავისი მარაგის რაც გინდ ნაწილი არ დახარჯოს, ის ყოველთვის მოელის, რომ ეს ნაწილი დაუბრუნდება მას მოგებით. ამიტომ ის ხარჯავს ამ ნაწილს მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო მუშებზე». საწარმოო მუშები, მაშასადამე, თავიანთ შემოსავალს ავანსად გაღებული ცვალებად კაპიტალში ხედავენ, მათი შრომა კაპიტალზე იცვლება. პირიქით, «არა საწარმოო მუშაკები და ისინი, ვინც სრულებით არ მუშაობენ, ცხოვრობენ შემოსავალზე»[9]. ისინი არ არიან ღირებულების შემქმნელნი, მათი შრომა უნაყოფო შრომაა, საზოგადოების ეს ნაწილი არაპროდუქტულია. მათი «მთავარი წყაროა» რენტა და მოგება. საზოგადოება იმდენად მდიდარია, რამდენად ბლომად გააჩნია მას პროდუქტული შრომა, საწარმოო მუშები; იმდენად ღარიბია, რამდენად ბევრია მუქთა-ხორები, უნაყოფო შრომის წარმომადგენლები. სმიტი მუქთა-ხორებში გულისხმობს საზოგადოების მეტად «წარჩინებულ» ფენას: სამღვდელოებას, დაქირავებულ ჯარს, მოხელეებს, ფეოდალურ არისტოკრატიას და თვით მეფესაც კი. მხოლოდ სიტყვა მუქთა-ხორას სმიტი არ ხმარობს და მიმართავს მის უახლოეს სინონიმს—უნაყოფო

[8] ibid.

[9] ibid.

შრომის ადამიანს. უნაყოფოა, სმიტის აზრით, იურისტის, ექიმის, მწერლების შრომა, რამდენად ის არ იცვლება კაპიტალზე. სმიტი გარკვევით ამჩნევს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციას—ნაყოფიერი შრომის ზრდას და უნაყოფო შრომის შემცირებას რელატივური თვალსაზრისით. სიმდიდრის შემქმნელია პროდუქტული შრომა: «მთელი წლიური პროდუქტი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიწის ბუნებრივ ნაყოფს, წარმოადგენს პროდუქტული შრომის ნაყოფს»[10]. მთელი საზოგადოება ამ წლიურ პროდუქტით ცხოვრობს, ეს პროდუქტი ნაწილდება როგორც ნაყოფიერი შრომის ადამიანს, ისე უნაყოფო შრომის ადამიანს შორის. აი, აქ ინასკვება კლასობრივი წინააღმდეგობის კვანძი, რომელსაც სმიტი ვერ ამჩნევს: პროდუქტს ქმნის ნაყოფიერი შრომა, მაგრამ მას მაინც ინაწილებს უნაყოფო შრომის წარმომადგენელი—მეფე, არისტოკრატია, დაქირავებული ჯარი და ოფიცრობა, სამღვდელოება და სხვა მრავალი. წლიური პროდუქტი—როგორც ამბობს თვით სმიტი—«არასოდეს არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიჯნა». აქედან სმიტი გაბედულად ასკვნის: «იმის მიხედვით, ამ პროდუქტის მეტი თუ ნაკლები ნაწილი იხარჯება წლის განმავლობაში არა მწარმოებელი ხალხის შესანახავად, მწარმოებელი მუშაკებისთვის ერთ შემთხვევაში რჩება პროდუქტის ნაკლები რაოდენობა, მეორე შემთხვევაში კი—მეტი». ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, რამდენად მეტია ზედმეტი ღირებულების ნორმა, იმდენად მეტია დაქირავებული ძალის ექსპლოატაცია, იმდენად ნაკლებია სამუშაოძალის ღირებულება, მისი ხელფასი, იმდენად ნაკლებია მუშათა კლასის მონაწილეობა წლიურ პროდუქტის განაწილებაში. არამწარმოებელი ელემენტები—აცხადებს სმიტი,—«რამდენად ისინი თვითონ არაფერს არ აწარმოებენ, ცხოვრობენ დანარჩენთა შრომის პროდუქტის ხარჯზე»[11]. ასე გაბედულად ლაპარაკობს სმიტი, ვინაიდან ეს არგუმენტები მიმართულია საზოგადოების არამწარმოებელ ფენების წინააღმდეგ და ამავე დროს წარმოადგენს ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განმტკიცებას ფეოდალური ურთიერთობის ნანგრევებზე. კლასობრივი ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის ჯერ კიდევ არაა ძალზე გამწვავებული, ბრძოლა წარმოებს კაპიტალიზმსა და ფეოდალიზმს შორის და არა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. სმიტისათვის კაპიტალისტიც «მშრომელი ადამიანია» და მისი ანტაგონისტური დაპირისპირება მანუფაქტურულ

[10] ibid.

[11] ibid.

მუშასთან, სმიტის აზრით, ყოვლად წარმოუდგენელია. კაპიტალსა და შრომას შორის კლასობრივი ანტაგონიზმის განუვითარებლობა საშუალებას აძლევს სმიტს დადგეს ობიექტივიზმის თვალსაზრისზე. მხოლოდ ამით აიხსნება სმიტის კონცეპციის მეცნიერულობა როგორც ღირებულების თეორიაში მთლიანად, ისე პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის კათეგორიის განსაზღვრაშიაც. ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიის მეცნიერულობა ყოვლად შეუძლებელია შრომასა და კაპიტალს შორის გაშლილი კლასობრივი ბრძოლის გამახვილების პირობებში. ამაზე მოწმობს კლასიკური ეკონომიის მომდევნო და მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია: ობიექტივიზმი ეკონომიურ თეორიაში ძირშივე შეიცვალა კლასობრივ ინტერესებზე დაქვემდებარებულ სუბიექტივიზმით.

ამრიგად, ადამ სმიტის შეხედულებით, «ნაყოფიერი და არანაყოფიერი შრომას შორის მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველი იცვლება უშუალოდ კაპიტალზე, მეორე—უშუალოდ შემოსავალზე»[12]. ნაყოფიერი შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას და ადიდებს კაპიტალს, უნაყოფო შრომა კი არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას, ის არ აწარმოებს კაპიტალს. მარქსის აზრით, ასეთი შეხედულება მეცნიერულად სწორია და ამიტომ საესებით მისაღები. «ნაყოფიერია მხოლოდ ის შრომა, რომელიც აწარმოებს კაპიტალს—ამბობს მარქსი.—ფული და საქონელი იქცევა კაპიტალად მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ცვლიან პირდაპირ ხელფასზე, და ცვლიან მხოლოდ იმიტომ, რათა ისინი აღდგენილ იქნან შრომის მეტი რაოდენობით, ვინემ მოცემულია მათში»[13]. ან კიდევ: «ნაყოფიერია ის დაქირავებული შრომა, რომელიც აწარმოებს კაპიტალს»[14]. კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, პროდუქტული შრომა არის დაქირავებული შრომა, რომელიც იცვლება უშუალოდ კაპიტალზე და რომელიც აღადგენს პროდუქტის ღირებულებაში სამუშაო ძალის ღირებულებას, ცვალებად კაპიტალს ზედმეტი ღირებულების დამატებით. რას ნიშნავს დაქირავებული შრომის უშუალო გაცვლა კაპიტალზე? კაპიტალისტი ავანსირებული კაპიტალის ერთი ნაწილით ყიდულობს ორიგინალურ საქონელს—სამუშაო ძალას, რომელიც გამოაქვს ბაზარზე თავისუფალ მუშას. აქ სპეციფიკური საქონლის განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მისი

[12] Теории etc. ტ. III, გვ. 311.

[13] Теории etc. ტ. I, გვ. 167. შეად. გვ. 164. აგრეთვე: Капитал, ტ. III, ნაწ. 1. გვ. 223, 224, 2 6, 232, 299 და 301.

[14] ibid.

სახმარი ღირებულება არავითარ მიმართებაში არ იმყოფება მის საცვლელ ღირებულებასთან. კაპიტალისტს აინტერესებს სწორედ დაქირავებული ძალის სახმარი და არა საცვლელი ღირებულება, ვინაიდან სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებაში მდგომარეობს ზედმეტი ღირებულების ერთად-ერთი წყარო. კაპიტალი, უკეთ რომ ვთქვათ — ცვალებადი კაპიტალი, იცვლება სამუშაო ძალაზე, ხოლო სამუშაო ძალის მოყვანა მოქმედებაში წარმოადგენს შრომის პროცესს, რომლის შედეგია ახალი ღირებულება. ამ ღირებულებაში ახლა მოცემულია არა მარტო ცვალებადი კაპიტალის ღირებულება, არამედ ზედმეტი ღირებულებაც. ავანსად გაღებული კაპიტალური ღირებულებაც იზრდება, კაპიტალისტური წარმოება შესაძლებელი ხდება. ამიტომ შრომა, რომელიც აწარმოებს კაპიტალს, არის პროდუქტული შრომა, კაპიტალისტური გაგებით. ადამ სმიტის «ერთ-ერთი უმთავრესი მეცნიერული დამსახურება... იმაში მდგომარეობს—ამტკიცებს მარქსი,—რომ ის განსაზღვრავს ნაყოფიერ შრომას, როგორც შრომას, რომელიც იცვლება უშუალოდ კაპიტალზე... ამით უკვე სრულებით ირკვევა, თუ რა არის არანაყოფიერი შრომა. ესაა შრომა, რომელიც იცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე.[15]. იქ, სადაც შრომა თვითონ ინაზღაურებს თავის «ხელფასს» (მონობა და ბატონყმობა) ანდა იცვლება შემოსავალზე (მანუფაქტურული შრომა აზიის ქალაქებში),—«იქ არ არსებობს კაპიტალი და დაქირავებული შრომა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით»[16]. პროდუქტული შრომის კათეგორია შეუძლებელია, თუ დაქირავებული შრომა არ იცვლება კაპიტალზე, ე. ი. არ აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას.

პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის თეორიული კვლევა-ძიების ამ საფეხურზე სმიტი მეცნიერულად სწორ შეხედულებას იცავს. მაგრამ არც ამ შემთხვევაში გვევლინება სმიტი თანმიმდევარი თავის მსჯელობაში და მალე ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში, ააშკარავებს მისთვის ჩვეულებრივ, მის დამახასიათებელ ორმაგობას. ახლა სმიტი უშვებს ორ შეცდომას, თუმცა მნიშვნელობით არა გაიგივებულს. შეცდომა პირველი, არა არსებითი: სმიტის აზრით, «მოიჯარადრეთა [sic!] და სოფლის მუშათა შრომა უფრო ნაყოფიერია [sic!] ხელოსნებისა და მანუფაქტურულ მუშების შრომაზე». სმიტის ამ მტკიცებაში ორი პრინციპული შეცდომაა ერთბაშად მოცემული. ჯერ ერთი, მოიჯარადრეთა და ვაჭრების

[15] ibid. გვ. 167—168. ხაზგასმა ჩვენია.

[16] ibid. გვ. 168.

შრომა სმიტს მიაჩნია პროდუქტულ შრომად. რა მოსაზრებით? ამაზე პასუხის გაცემა სმიტს არ შეუძლია, ვინაიდან ეს ძირშივე ეწინააღმდეგება პროდუქტული შრომის კონცეპციას, რომელიც თვით სმიტმა ჩამოგვიყალიბა. მოიჯარადრისა და ვაჭრის შრომა ხომ კაპიტალზე არ იცვლება, პირიქით, ისინი თვითონ კაპიტალისტები არიან და მათ კაპიტალზე იცვლება წარმოებასა და მიმოქცევაში დაქირავებული მუშათა შრომა. აქ სმიტი აშკარა შეუსაბამობას იჩენს. ალბათ, ამის გამართლება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სმიტის გაგებით მოიჯარადრეც და ვაჭარიც მშრომელი ადამიანებია! ეს პრიმიტიული შეხედულება, რასაკვირველია, შეუძლებელია მოცემული პრინციპული შეცდომის გამართლებად გამოდგეს. ამავე დებულებაში მეორე შეცდომაცაა დაშვებული, შეცდომა ფიზიოკრატული ხასიათის: სოფლის მუშების შრომა უფრო ნაყოფიერია მანუფაქტურულ მუშების შრომაზე. როგორც ვიცით, ფიზიოკრატული სკოლა ნაყოფიერ შრომად თვლის მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ შრომას. სმიტი ასწორებს ფიზიოკრატების ამ შეცდომას, მაგრამ თვითონაც ექცევა ფიზიოკრატული კონცეპციის გავლენის ქვეშ: მანუფაქტურული მუშის შრომა ნაკლებად ნაყოფიერია სოფლის მეურნეობის მუშის შრომაზე. რატომ? სმიტი ამაზე არაფერს ლაპარაკობს. ჩვენის აზრით, სმიტის ეს ფიზიოკრატული შეცდომა შემთხვევითი როდია, მისი ფესვები თვით ფეოდალიზმიდან სამრეწველო კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში უნდა ვეძიოთ არსებითად. მანუფაქტურული კაპიტალი ვერ ააშკარავებდა წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტურ კანონებს მათი ბუნებრივ ფორმაში, ნათლად და ცხადად. ორთქლის მანქანა, სამრეწველო კაპიტალიზმის ეს ტექნიკური ადეკვატი, მანუფაქტურულ პერიოდში არ იყო გავრცელებული და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერებითი ძალაც არ იყო სათანადოდ განვითარებული. სმიტის თეორიული სისუსტე ამ შემთხვევაში თვით ეპოქის «სისუსტეში» უნდა ვეძიოთ. სოფლის მეურნეობაში მონაწილეობს—ცოცხალი შრომის გარდა—თვით ბუნებაც, აქ წარმოების ნივთიერ პირობების შემავსებელ ელემენტად გვევლინება ბუნებრივი პირობებიც. სმიტი ნათლად ხედავს ამას და ფიქრობს, შრომის ნაყოფიერება სოფლის წარმოებაში მაღლა დგას შრომის ნაყოფიერებაზე მანუფაქტურულ წარმოებაში. სმიტი აქ აშკარად მოქცეულია ფიზიოკრატულ ილუზიაში. ასეთია პირველი შეცდომა, რომელსაც სმიტი უშვებს პროდუქტული შრომის თეორიაში და ამით ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში. ჩვენის აზრით, ეს შეცდომა არაა სმიტის თეორიაში

არსებითი და გადამწყვეტი. ეს, ასე ვთქვათ, ერთგვარი lapsus-ია, რომელსაც სერიოზული თეორიული კრიტიკა აღარ გამოეკიდება.

მნიშვნელოვანია და არსებითი სმიტის მეორე შეცდომა, პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის—ასე ვთქვათ—ნატურალისტური გაგება. აი, რაში მდგომარეობს ამ პრინციპული შეცდომის დედააზრი. რატომ არის მანუფაქტურული მუშის შრომა პროდუქტული? იმიტომ, რომ ის იძლევა პროდუქტს—გვიპასუხებს სმიტი. ეს პროდუქტი მოცემულია ნივთიერ ფორმაში და გვევლინება, როგორც საქონელი. ახლა ირკვევა, პროდუქტული შრომა იმიტომ კი არაა ნაყოფიერი, რომ ის აწარმოებს კაპიტალს, ზედმეტ ღირებულებას, არამედ იმიტომ, რომ ამ შრომის პროდუქტია საქონელი, სახმარი ღირებულებისა და ღირებულების მთლიანობა. საქონელი, როგორც მარქსი ამბობს, უწინარეს ყოვლისა «გარეგნული საგანია, ნივთი, რომელიც თავისი თვისებით აკმაყოფილებს ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას». ამ თვალსაზრისით საქონელი არის სახმარი ღირებულება. სმიტი სწორედ გამოდის საქონლის ამ ერთი მხარიდან—სახმარი ღირებულებიდან—და ამტკიცებს, რომ პროდუქტული შრომა აწარმოებს მხოლოდ პროდუქტს მის ნივთიერ ფორმაში, უშუალო სახმარ ღირებულებას. შრომა, რომელიც არ იძლევა ნაყოფს მატერიალურ ფორმაში, უნაყოფოა. სმიტის აზრით, მანუფაქტურული მუშის შრომა ნაყოფიერია, იმიტომ რომ ეს შრომა «მტკიცდება და ხორციელდება რომელიმე ცალკე საგანსა ანუ საქონელში... შრომის განსაზღვრული რაოდენობა ვითომცდა მარაგდება და გროვდება»[17]. ეს არ შვიძლება ითქვას «საზოგადოების ზოგიერთი მეტად პატივცემული წოდებათა» შრომაზე. ეს შრომა «არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას, არ მტკიცდება და არ ხორციელდება არც ერთ ხანგრძლივად არსებულ საგანსა ანუ საქონელში, რომლის გაყიდვა შესაძლებელია და რომელსაც შეუძლია არსებობა შრომის შეწყვეტის შემდეგ და რომელიც გაიცვლება შემდეგ შრომის თანაბარ რაოდენობაზე»[18]. როგორც ვხედავთ, სმიტი გამოდის შრომის პროდუქტის უშუალო ნივთიერ ფორმიდან, საქონლიდან და ამტკიცებს, რომ მანუფაქტურული მუშის შრომა პროდუქტულია, რადგან ეს შრომა ნივთიერდება პროდუქტში, ხოლო «საზოგადოების ზოგიერთ მეტად პატივცემულ წოდებათა» შრომა არაა პროდუქტული, რადგან ეს შრომა არ ნივთიერდება, «არ მტკიცდება და ხორციელდება» მატერიალურ პროდუქტში.

[17] Исследование etc. წ. II, თავი. 3.

[18] ibid.

სმიტი საკვლევით სამართლიანად ამბობს, რომ უნაყოფოა მაგ. მეფის და მისი მოხელეების, ოფიცრებისა და არმიის შრომა. სმიტის სამართლიანი შეხედულებით, ამავე კათეგორიას ეკუთვნის ხალხი «ყველაზე უფრო ფშუტურა პროფესიის—სამღვდელოება». დებულება აბსოლუტურად სწორია, დასაბუთება კი—ასევე სწორი არაა. სმიტის ბურჟუაზიულმა კრიტიკოსებმა, რომლებიც ჯერ კიდევ შეირყენ მეფისა და სამღვდელოების, ხალხისა და ღვთის «მოსაგსახურეთა» შრომის უნაყოფოდ გამოცხადების გაგონებაზე, ისარგებლეს სმიტის არასწორი დასაბუთებით და შეეცადენ ამ შეცდომით ფონს გასვლას. სმიტმა უღალატა პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის კათეგორიების მეცნიერულ განსაზღვრას, სასელდობრ იმას, რომ პროდუქტული შრომა იცვლება კაპიტალზე და აწარმოებს კაპიტალს, სოლო არაპროდუქტული შრომა იცვლება შემოსავალზე და არ აწარმოებს კაპიტალს, რასაკვირველია, კაპიტალისტური წარმოების გაგებით. სმიტმა დაკარგა პრობლემის გაგების სოციალური თვალსაზრისი და დაადგა უხეში ემპირიზმის, ვულგარულ-ნატურალისტურ გზას. სმიტი გადაჭრით ამტკიცებს, რომ მსახიობი, მომღერალი, მოცეკვავე, ექიმი, მასწავლებელი, იურისტი, მწერალი, მუსიკოსი—ყველა ესენი არაპროდუქტული შრომის წარმომადგენლებია. რატომ? იმიტომ, რომ მათი შრომა არ ნივთიერდება საქონელში, არ მტკიცდება მატერიალურ პროდუქტში, რომლის გაყიდვა შეიძლება. «მსახიობის დეკლამაციის, ორატორის სიტყვის ანდა მუსიკოსის მელოდიის მსგავსად—წერს სმიტი—მათი შრომა ისპობა ამ შრომის შესრულების მომენტში»[10]. ამიტომ მათი შრომა უნაყოფოა—ასკვნის სმიტი. შრომის მატერიალიზაცია თუ არ ხდება, ასეთი შრომა პროდუქტული არ შეიძლება იყოს. პროდუქტული შრომის ნიშანდობლივი თვისება იმაშია, რომ მისი პროდუქტი ნივთიერ სახეში გვევლინება, ეს შრომა მატერიალურ საგანში ხორციელდება და მტკიცდება. პროდუქტულია შრომა, რომელიც ქმნის საქონელს. ასეთია სმიტის მეორე თეზა, რომელიც პირველ დებულებასთან შინაგან მთლიანობაში არ იმყოფება.

მარქსი სასტიკი ირონიით შეხვდა სმიტის ამ შემოდარ შეხედულებას. მან გასწმინდა სმიტის კონცეპცია შინაგან წინააღმდეგობისგან, ორმაგობისგან და ჩამოაყალიბა მეცნიერულად სწორი და ლოგიკურად თანმიმდევრული თეორია. სმიტის თვალსაზრისით, პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის განსაზღვრაში მთავარია ნივთიერი მომენტი, შრომის დახასიათება დამყარებუ-

[10] ibid.

ლია იმაზე, აწარმოებს ეს შრომა საქონელს, თუ არ აწარმოებს მას. რა თქმა უნდა—ამტკიცებს მარქსი—რამდენად კაპიტალი იმორჩილებს მთელ საზოგადოებრივ წარმოებას და სამუშაო ძალა იყიდება საქონლის წარმოების მიზნით, «სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ნივთიერი განსხვავება შრომის ნაყოფიერ და არანაყოფიერ სახეთა შორის»[20]. შინამოსამსახურეთა კლასი მცირდება, საწარმოო მუშათა რაოდენობა იზრდება—ასეთია წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონი. ახლა მუშები აწარმოებენ «უშუალოდ ნივთიერს, საქონლისგან შემდგარ სიმდიდრეს». სმიტმა სწორად შენიშნა კაპიტალისტური წარმოების ეს რეალური ტენდენცია და გააზოგადა აზრი: ნაყოფიერია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის ღირებულებას, საქონელს, ხოლო არაა ნაყოფიერი შრომა, რომლის ფიქსაცია გარკვეულ ნივთში არ ხდება, არ ნივთიერდება პროდუქტში, არ ტოვებს კვალს შესრულების შემდეგ. «ასეთი გაგებით—ამტკიცებს მარქსი—სიტყვა: ნაყოფიერი და არანაყოფიერი ღებულობს არა იმ აზრს, რა აზრიც მას ჰქონდა თავდაპირველად. ახლა ლაპარაკია არა ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე, რომელიც თავისთავად გულისხმობს მოხმარებული ღირებულების ეკვივალენტის რეპროდუქციას»[21]. ნაყოფიერი შრომა აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, აწარმოებს კაპიტალს და არა უბრალოდ საქონელს. საქონლის წარმოება შეიძლება ზედმეტი ღირებულების წარმოების გარეშეც, მაგ., ასეთია საქონლის მარტივი წარმოება. პროდუქტული შრომის მთავარი დამახასიათებელი და განმსაზღვრელი მომენტია სწორედ ზედმეტი ღირებულების წარმოება და არა პროდუქტის წარომება საზოგადოდ. შრომა შეიძლება ნივთიერდებოდეს პროდუქტში, სახმარ ღირებულებაში, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით ის არ იყოს პროდუქტული შრომა, რადგან შრომის პროდუქტი არაა კაპიტალი, შრომა არ გაცვლილა კაპიტალზე. აიღეთ შინამზარეულის შრომა. ის უსათუოდ ნივთიერდება პროდუქტში, ქმნის სახმარ ღირებულებას, მზარეული პროდუქტს ანაყოფიერებს თავისი შრომით, მოკლედ—ხდება შრომის ფიქსაცია. მიუხედავად ამისა, შინამზარეულის შრომა პროდუქტული შრომა არაა კაპიტალისტური წარმოების გაგებით, ეს შრომა არ ქმნის ღირებულებას, არ აწარმოებს კაპიტალს. აკი თვით სმიტის აზრით შინამოსამსახურენი არ არიან პროდუქტული შრომის წარმომადგენელნი! ამას სმიტი თავგამოდებით ამტკიცებს. მაშასადამე, სმიტი თვითონვე ეწინააღმდეგება საკუთარ შეხედულებას. მკერავი, რომელიც კაპიტა-

[20] Теории etc. ტ. I, გვ. 171.

[21] ibid. გვ. 172.

ლისტს ემსახურება შინ, მას უკერავს «განპიროვნებული კაპიტალის» შესაფერ სერთუკს, ქმნის სახმარ ღირებულებას, მისი შრომა «მტკიცდება და ხორციელდება» განსაზღვრულ ნივთიერ პროდუქტში. მიუხედავად ამისა, სმიტი ვერ იტყვის, რომ ასეთი მკერავის შრომა პროდუქტული შრომაა. სმიტი აშკარაა, აქ გვიპასუხებს: მკერავი, როგორც შინამოსამსახურე, არ აწარმოებს საქონელს და ამიტომ არ არის მისი შრომა პროდუქტული. ასეთი პასუხი უსაფუძვლოა არსებითად. მკერავი აწარმოებს პროდუქტს, მისი შრომა ნივთიერდება საგანში, სასმარ ღირებულებაში. ეს პროდუქტი არ გვევლინება საქონლის ფორმაში, რადგან კაპიტალისტის პირადი მოხმარების ობიექტს, სასმარ ღირებულებას შეადგენს. კაპიტალისტი რომ სერთუკს თვითონ იცვამს და არ ყიდის, ამაში მკერავი დამნაშავე სრულებით არაა. ეს ხომ უდაოა, რომ მისი შრომის პროდუქტი საქონელია შესაძლებლობაში, საქონელია თავისთავად. ხოლო «ყოველი საქონელი ფულია an sich»[22], ფული კი—კაპიტალი. მაშასადამე, საქმე მარტო ნივთიერ მომენტში როდია.

ავიღოთ მეორე მაგალითი. სმიტის თანასმად, პროდუქტული შრომა უსათუოდ საქონელს აწარმოებს. დავუშვათ, ეს განმარტება სწორია. ახლა ჩვენს წინაშე ახალი სიძნელე წარმოიშვება. მთელი საქონელთა ქვეყანა, როგორც მარქსი ამბობს, იყოფა «ორ ვრცელ კათეგორიად: ერთის მხრივ—სამუშაო ძალა, მეორე მხრივ—დანარჩენი საქონელი». ჩვენ ვიცით, სამუშაო ძალაც საქონელია, თუმცა საქონელი თავისებური, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსებით მხარეს—სამუშაო ძალის სასაქონლო ხასიათს. იბადება კითხვა: პროდუქტულია თუ არა შრომა, რომელიც აწარმოებს სამუშაო ძალას? სმიტი შემოგვძახებს: აქ შრომა არაა მატერიალურად განივთიერებული. მაგრამ განა ყოველგვარი კონკრეტული შრომა ყოველთვის ნივთიერდება მატერიალურად? მარქსი პირდაპირ ლაპარაკობს: «შესაძლებელია, რომ კონკრეტული შრომა, რის შედეგია საქონელი, არ ტოვებდეს საქონელზე არავითარ კვალს»[23]. შრომა ინდუსტრიალურ წარმოებაში ცვლის შრომის საგნის ფორმას, გარეგან სახეს—ამაში აშკარად ჩანს შრომის კვალი. მაგრამ აიღეთ მიწათმოქმედება. «აქ თუმცა საქონლის ფორმა, მაგ. მარცვლეული, ხარი და სხვ. ადამიანის შრომის პროდუქტს წარმოადგენს, შრომის, რომელიც მიღებულია მემკვიდრეობით და დაგროვებულია მოდგმიდან მოდგმამდე, მაგრამ ეს არ ჩანს პროდუქტზე»[24]. ხარი საწარმოო ძალაა, მასზე შრომაა დახარ-

[22] ibid. გვ. 182.
[23] ibid. გვ. 179. ხაზი ჩვენია.
[24] ibid.

ჯული. მაგრამ სრულებით არ ჩანს ხარზე დახარჯული პროდუქტული შრომის კვალი. სმიტი ხომ ვერ იტყვის, ეს შრომა პროდუქტული არაა. მეტი კიდევ, თვით მრეწველობაშიაც კი შრომა ხშირად არ ცვლის შრომის საგნის, ნედლი მასალის ფორმას და არავითარ კვალს არ ტოვებს ამ საგანზე, ე. ი. არ ნივთიერდება მატერიალურად, უშუალოდ. აიღეთ, მაგალითად, ინდოეთიდან ინგლისში ჩატანილი ნედლი მასალა. ამ შეთხვევაში ჩამოტანილ ნედლ მასალას შუბლზე არ აწერია, რომ მის გადატანაზე შრომაა დახარჯული და ამიტომ მისი ღირებულება გადიდებულია. «განა ვინმე მოიგონებს კი, რომ მოცემული ნივთი არაა ინგლისური წარმოების». პროდუქტის გადაზიდვაში საზოგადოებრივი შრომა იხარჯება, მაგრამ ეს შრომა ამ პროდუქტში უშუალოდ არ ნივთიერდება, არ ცვლის ამ პროდუქტის ფორმას, არ ტოვებს კვალს. აქ «იცვლება საქონლის სივრცითი ყოფა და ამით იცვლება მისი სახმარი ღირებულება, რადგან იცვლება ამ სახმარი ღირებულების სივრცითი ყოფა»[25]. აქ ერთის შეხედვით გაუგებარი ხდება, თუ «რაში მდგომარეობს შრომის განივთიერება საქონელში»[26]. შეიძლება მსგავსი მაგალითების კიდევ მოყვანა, მაგრამ ჩვენი გარკვეული მიზნისათვის ესეც საკმარისია. დავუბრუნდეთ სამუშაო ძალას. სამუშაო ძალა საქონელია მუშისათვის, ხილო ეს საქონელი «არ წარმოადგენს ნივთს», ის არსებობს მხოლოდ სამუშაო ძალის ფორმაში. პროდუქტული შრომა საქონლის წარმოებით თუ განისაზღვრა, მაშ უნდა ითქვას, რომ შრომა, რომელიც აწარმოებს სამუშაო ძალას, ე. ი. საქონელს (მაგ. სქესობრივი კავშირი მეძავსა და კაპიტალისტური დეგენერატს შორის), პროდუქტული შრომაა. ადამ სმიტი არ აკეთებს ასეთ აბსურდულ დასკვნას. ის «მაინც ხელმძღვანელობს ერთგვარი სწორი ინსტიქტით, რომელიც უკარნახებს მას», რომ თუ მან პროდუქტული შრომის კათეგორიაში შეიტანა ის შრომაც, რომელიც სამუშაო ძალის წარმოებაზე მიდის, ის «ამით ფართოდ გაუღებს კარს ყალბ წარმოდგენას ნაყოფიერ შრომაზე»[27]. სმიტი არ აკეთებს ყალბ დასკვნას, რადგან ის ეწინააღმდეგება საკუთარ კონცეპციას—პროდუქტული შრომის, როგორ საქონლის ნწარმოებელი შრომის, არა სწორ განსაზღვრას. მაშასადამე, პროდუქტული შრომის პრობლემის არსებითი მომენტი მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ხდება ამ შრომის ფიქსაცია ნივთიერ პროდუქტში, ეს შრომა აწარმოებს საქონელს. პროდუქტული

[25] ibid. გვ. 273. ხაზი ჩვენია.
[26] ibid. გვ. 1[illegible]0.
[27] ibid.

შრომის ასეთი გაგება არაა მეცნიერულად ამოსწურავი. მეცნიერულად მისაღებია და ყოველმხრივ გამართლებული დებულება: პროდუქტული შრომა, კაპიტალისტური წარმოების გაგებით, ისეთი შრომაა, რომელიც ი ც ვ ლ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე, ქმნის ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, აწარმოებს კაპიტალს. აი, ამ შეხედულებიდან გამოდის მ ა რ ქ ს ი და გენიოსურად ანვითარებს პროდუქტული შრომის თეორიას.

ს მ ი ტ ი ს კონცეპციის თანახმად, შრომა პროდუქტულია ან არაა პროდუქტული იმიტომ, რომ ასეთია მოცემული შრომის ბუნებრივი თ ვ ი ს ე ბ ა. ს მ ი ტ ი გამოდის შრომის ნივთიერ პროცესიდან და ამტკიცებს, შრომა ან პროდუქტულია ან არაა პროდუქტული თავისი შინაგანი ხასიათის, ფიზიკურ-ბუნებრივი თვისებით. ეს თვალსაზრისი უსუშ ნატურალისტური თვალსაზრისია, რომელიც ემყარება ს მ ი ტ ი ს მეტაფიზიკურ მეთოდოლოგიას. ს მ ი ტ ი ძირშივე უარყოფს ეკონომიურ კათეგორიათა ს ო ც ი ა ლ უ რ ხასიათს და თვლის მათ ზ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ მოვლენად. საქონელი, ფული, კაპიტალი, მოგება და სხვა მრავალი ეკონომიური კათეგორია, ს მ ი ტ ი ს შეხედულებით, მ ა რ ა დ ი უ ლ ი, უცვლელი, ზეისტორიული კათეგორიაა და ამაშია სწორედ ს მ ი ტ ი ს ეკონომიური მოძღვრების ბურჟუაზიული ხასიათი. პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის კათეგორიაც არ წარმოადგენს არავითარ გამონაკლისს ს მ ი ტ ი ს ეკონომიურ სისტემიდან, ეს კათეგორიაც ზეისტორიულია, მარადიული. ამ შემთხვევაშიაც ს მ ი ტ ი ს შეხედულება ბურჟუაზიულია არსებითად. ს მ ი ტ ი ს შეცდომა იმაშია, რომ მას პროდუქტულობა და არაპროდუქტულობა თვით შრომის ნივთიერ თვისებად წარმოუდგენია. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. შრომის პროდუქტულობა თუ არა პროდუქტულობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაგებულია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. ამის მიხედვით შრომა პროდუქტულია, თუ ის აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, იცვლება უშუალოდ კაპიტალზე, შრომა არაა პროდუქტული, თუ ის არ აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, არ ადიდებს კაპიტალს, იცვლება უშუალოდ შემოსავალზე. ასეთია კაპიტალისტური მწარმოებლის თვალსაზრისი. პირიქით, დაქირავებული ძალის თვალსაზრისით შრომის ასეთი გაყოფა სრულებით უსაფუძვლოა. აიღეთ, მაგალითად, მკერავი. როდესაც ის კაპიტალისტურ საწარმოში მუშაობს, მისი შრომა იცვლება კაპიტალზე, მისი ხელფასი შეადგენს კაპიტალური ღირებულების ცვალებად ელემენტს, ეს მკერავი ქმნის პროდუქტს, რომლის ღირებულებაში შედის ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, შეადგენს კაპიტალს. აქ მკერავის შრომა აწარმოებს კაპიტალს. ამიტომ მისი

შრომა, კაპიტალისტური დამქირავებელის თვალსაზრისით, არის პროდუქტული შრომა. აიღეთ ახლა ი გ ი ვ ე მკერავი, მხოლოდ განსხვავებულ საწარმოო ურთიერთობაში. ვთქვათ, ის შინამკერავია, მუშაობს ოჯახში და ემსახურება დამქირავებელს პირადად, უკერავს მას ტანსა მელს. მკერავი ხარჯავს ი გ ი ვ ე შრომას, კერავს ი გ ი ვ ე ტანსაცმელს, მაგრამ ახლა მისი შრომა პროდუქტული არაა დამქირავებელის შეხედულებით. რატომ? იმიტომ, რომ მკერავი თუმცა მუშაობს ზედმეტ დროს, ე. ი. იმაზე მეტს, რაც საჭიროა მისი ხელფასის დასაფარავად, ის ქმნის ზედმეტ პროდუქტს, მაგრამ ეს პროდუქტი არ იქცევა ზედმეტ ღირებულებად, მისი პროდუქტი არაა კაპიტალი, მკერავის შრომა ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ ს კ ა პ ი ტ ა ლ ს. ამის მიზეზია არა თვით მკერავის შრომის ბ უ ნ ე ბ ა, მისი ფიზიკური თვისება. არა, მიზეზი მდგომარეობს განსაკუთრებულ ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ობ ა შ ი: ერთ შემთხვევაში მოცემულია შრომისა და კაპიტალის ურთიერთობა, შრომა იცვლება კაპიტალზე და აწარმოებს კაპიტალს, კაპიტალისტურ ურთიერთობას, ხოლო მეორე შემთხვევაში შრომა იცვლება კაპიტალისტის შემოსავალზე, აქ მოცემულია შინამოსამსახურისა და ბატონის ურთიერთობა, რომელიც არ აწარმოებს კაპიტალს. ამიტომ შინამოსამსახურის შრომა, დამქირავებელის თვალსიზრისით, არ არის პროდუქტული შრომა. მკერავის შრომა ერთ შემთხვევაში პროდუქტულია, მეორე შემთხვევაში—არა. თავისთავად ცხადია, პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის ასეთი განსაზღვრა მოცემულია აქ «მხოლოდ ფულის მფლობელის და არა მუშის თვალსაზრისით»[28]. ამიტომ «პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის ასეთ განსაზღვრასთან არაფერი კავშირი არ აქვს შრომის, მაშასადამე, მისი პროდუქტის განსაზღვრულ ნივთიერ ხასიათს»[29]. შრომის ასეთი განსაზღვრა ემყარება «შრომის არა ნივთიერ პროცესს, არა შრომის პროდუქტის ბუნებას, არა შრომის აქტს როგორც კონკრეტულ შრომას, არამედ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმას, წარმოების იმ საზოგადოებრივ მიმართებას, რომელშიაც ეს შრომა ხორციელდება»[30]. რასაკვირველია, შ რ ო მ ის პ რ ო დ უ ქ ტ ის ნ ი ვ თ ი ე რ ი ხ ა ს ი ა თ ი ა ქ ს რ უ ლ ე ბ ი თ ა რ ა ა დ ა ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი, მხოლოდ ხაზგასმულია ის მ თ ა ვ ა რ ი მ ო მ ე ნ ტ ი, რომელიც შრომის დახასიათებას იძლევა. ესაა ს ო ც ი ა ლ უ რ ი მომენტი, რომელიც განსაზღვრულ საწარმოო ურთი-

[28] Теории etc. ტ. I, გვ. 163.
[29] ibid. გვ. 169.
[30] ibid. გვ. 164.

ერთობათა კომპლექსს შეიცავს. კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ურთიერთობანი ნივთიერ ფორმაში გვევლინებიან. საქონელი ამ ურთიერთობათა ნივთიერ ფორმას წარმოადგენს. სოციალური არ არის მატერიალურის გარეშე. ამაშია კაპიტალისტური მეურნეობის ფეტიშისტური ხასიათი. სმიტი ამ ფეტიშიზმის ტყვეობაშია პროდუქტული შრომის კათეგორიის გარკვევის დროს. სმიტი «აქ შეყავს შეცდომაში იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოდგენილია ნივთის ფორმაში»[31]. სმიტი ხედავს ფორმას, მაგრამ ვერ ამჩნევს შინაარსს. ამიტომ სმიტი პროდუქტულ შრომასაც ანივთიერებს, მას აწერს ნივთის თვისებას. სმიტს არ გააზრნია ეკონომიურ ცნებათა გაგების ისტორიული, სოციალური თვალსაზრისი.

სმიტი თავგამოდებით იცავს, რომ არაა პროდუქტული არა მარტო მეფის, სამღვდელოების, მოხელეების, ოფიცრების შრომა. სმიტის აზრით, ასეთივეა შინამოსამსახურეების, მსახიობების, მომღერლების, მწერლების შრომაც. აი, ხალხის ეს უკანასკნელი კათეგორია მართლაც შეიძლება არ იყოს ან იყოს პროდუქტული იმის მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობაში წარმოებს მისი შრომა. მსახიობის შრომა პროდუქტულია კაპიტალისტური დამქირავებელის—ანტრეპრენიორის გაგებით, თუ ეს შრომა იცვლება კაპიტალზე, მსახიობი დაქირავებული ძალაა და მის შრომას მოაქვს მოგება დამქირავებელისთვის. პირიქით, მსახიობის შრომა არაა პროდუქტული, თუ ის შინაოჯახურ სცენაზე გამოდის, მისი შრომა იცვლება შემოსავალზე და არა კაპიტალზე. «პირველის შრომა იცვლება კაპიტალზე, მეორის შრომა კი—შემოსავალზე. შრომის პირველი სახე აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, მეორის შრომით—იხარჯება შემოსავალი»[32]. ავიღოთ, თუ გნებავთ, მწერალი. სმიტი ხელაღებით ამტკიცებს, რომ ყოველი მწერლის შრომა არაპროდუქტულია. ნამდვილად კი ამ შემთხვევაშიაც საკითხი დასმულია დიალექტიკურად: მწერლის შრომა ერთ შემთხვევაში შეიძლება პროდუქტული იყოს, მეორე შემთხვევაში—არაპროდუქტული. მარქსი წერს: «მწერალი ნაყოფიერი მუშაა არა იმიტომ, რომ ის ქმნის იდეებს, არამედ იმიტომ, რომ ის ამდიდრებს წიგნის გამყიდველს, რომელიც სცემს მის ნაწარმოებს, ე. ი. მწერალი ნაყოფიერია იმდენად, რამდენად კაპიტალისტის დაქირავებული მუშაა»[33]. მარქსს

[31] Ibid. გვ. 180.
[32] Ibid. გვ. 168. შეად. გვ. 197.
[33] ibid.

ნეტად საინტერესო მაგალითი მოყავს. მ ი ლ ტ ო ნ მ ა დაწერა «დაკარგული სამოთხე», მაგრამ მ ი ლ ტ ო ნ ი ამით ნაყოფიერ მუშაკად არ გამხდარა კაპიტალისტური გაგებით: «მილტონმა დაწერა თავისი «დაკარგული სამოთხე» იგივე მოტივით, რომელიც აიძულებს აბრეშუმის ჭიას აწარმოოს აბრეშუმი. ეს იყო მისი ბუნების ჭმედობითი გამოვლენა»[31]. სხვა საქმეა მაგ. «ლეიპციგელი ლიტერატურული პროლეტარი», რომელიც ადგენს პოლიტიკური ეკონომიის სასელმძღვანელოს კაპიტალისტური გამომცემლობის წინადადებით. მისი შრომა უშუალოდ კაპიტალზე იცვლება, ქმნის ზედმეტ ღირებულებას, აწარმოებს კაპიტალს. «მომღერალი ქალი—განაგრძობს მ ა რ ქ ს ი,—რომელიც თავის სიმღერას ყიდის საკუთარი რისკის მიხედვით, არაპროდუქტული მუშაკია. მაგრამ იგივე მომღერალი ქალი, რომელიც მოწვეულია ანტრეპრენიორის მიერ, რომელიც აიძულებს მას იმღეროს იმისათვის, რათა მოხვეჭოს ფული, პროდუქტული მუშაკია, რადგან ის აწარმოებს კაპიტალს»[33]. ყველა ამ შემთხვევაში შრომა პროდუქტულია ან არაა პროდუქტული არა იმიტომ, რომ ასეთია მისი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი თ ვ ი ს ე ბ ა, მისი ნივთიერი ხასიათი. პირიქით, შრომის პროდუქტულობა განისაზღვრება არსებული ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ურთიერთობით, რომელიც ატარებს ნ ი ვ თ ი ე რ ფორმას და ამიტომ იწვევს თვით შრომის ნამდვილ ხასიათზე ფეტიშისტურ წარმოდგენას—იქმნება ილუზია, რომ პროდუქტულობა ანდა არაპროდუქტულობა თვით დაქირავებული შრომის ბუნებრივი თვისებაა, მაშასადამე, ზეისტორიული, მარადიული მოვლენა. შრომის პროდუქტულობა თუ არაპროდუქტულობა «არ განისაზღვრება არც სამუშაოს ხასიათით, არც მუშაკთა პროდუქტის გამოვლენის ფორმით»[36]. აქ განმსაზღვრელია ის საზოგადოებრივი პირობები, საწარმოო ურთიერთობანი, რომლებშიაც შრომას უხდება მოქმედება. «ერთი და იგივე შრომა შეიძლება იყოს პროდუქტული, თუ მე ვყიდულობ მას როგორც კაპიტალისტი, როგორც მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მოგების გულისთვის, და არ იყოს პროდუქტული, თუ მე ვყიდულობ მას როგორც მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი, თავისი შემოსავლის მხარჯველი»[37]. მაშასადამე, აქ გ ა დ ა მ ჭ რ ე ლ ი ა «წარმოების განსაზღვრული საზოგადოებრივი მიმართება» და არა შრომის პროდუქტის რეზულტატი, როგორც სახმარი ღირებულება.

[31] Теории dic. ტ. I, გვ. 2 4.
[33] ibidem.
[36] ibid გვ. 174.
[37] ibid. შეად. გვ 170.171.

ამრიგად პროდუქტული შრომა, მარქსის შეხედულებით, არის ისეთი შრომა, რომელიც იცვლება უშუალოდ კაპიტალზე და აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, ქმნის კაპიტალს, ანვითარებს კაპიტალისტურ ურთიერთობას. მარქსი აფორმულებს: «პროდუქტული შრომა--კაპიტალისტური წარმოების სისტემაში—არის ისეთი შრომა, რომელიც... შრომის ობიექტურ პირობებს აქცევს კაპიტალად, ხოლო მათ მესაკუთრეთ—კაპიტალისტებად, მაშასადამე, შრომა, რომელიც ქმნის თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ პროდუქტულ შრომაზე, ჩვენ სახეში გვაქვს საზოგადოებრივად განსაზღვრული შრომა, ე. ი. შრომა, რომელიც გულისხმობს შრომის მყიდველსა და გამყიდველს შორის სრულებით განსაზღვრულ ურთიერთობას»[38]. პროდუქტული შრომის ასეთი განმარტება ყოველმხრივია და მეცნიერულად დაზუსტებული. ეს განმარტება შეიცავს საქონლის წარმოებას, ზედმეტ ღირებულების შექმნას, შრომის გამოყენების ყველა სფეროს გულისხმობს, ზუსტად განსაზღვრავს პროდუქტულ შრომას არაპროდუქტულისგან, ემყარება წარმოების და არა მოხმარების თვალსაზრისს. მოკლედ, პროდუქტული შრომის მარქსისტული გაგება იძლევა წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონების მეცნიერული შემეცნების საშუალებას. სმიტის ფორმულა: პროდუქტულია შრომა, რომელიც აწარმოებს საქონელს, ელემენტარულია, ხოლო მარქსის ფორმულა—რთული, ყოველმხრივი, სრული და ცოცხალი, ობიექტური სინამდვილის ამსახველი. «საქონელი არის ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე უფრო ელემენტარული ფორმა—წერს მარქსი.—მაშასადამე, პროდუქტული შრომის განსაზღვრა ისეთ შრომად, რომელიც აწარმოებს საქონელს, გაცილებით უფრო ელემენტარულია, ვინემ მისი განსაზღვრა ისეთ შრომად, რომელიც აწარმოებს კაპიტალს»[39]. სმიტი ბოლომდე გაორებული რჩება პროდუქტული შრომის თეორიაში: ის ხან ამ შრომის ელემენტარულ განსაზღვრას იცავს, ხან—მეცნიერულად სრულს და მისაღებს. სმიტი ამ შემთხვევაშიაც შინაგან წინააღმდეგობაში ტრიალებს. მართალია, სმიტის ეპოქაში «საერთოდ პოლიტიკური ეკონომიის სისტემა მხოლოდ სდგებოდა»[40], სმიტი მრავალი ეკონომიური პრობლემის დაყენებაში პიონერია, ის ვერ სწყვეტს ამ პრობლემებს, მაგრამ მათ

[38] ibid. გვ. 265. ხაზგასმა მარქსისაა. შად. გვ. 263.
[39] ibid. გვ. 181. ხაზი ავტორისაა.
[40] Теории etc. ტ. II, ნაწ. 1, გვ. 216.

აყენებს მაინც, ამაშია მისი გენიოსობა. სმიტმა დააყენა პროდუქტული და არაპროდუქტული შრომის პრობლემა, მაგრამ მეცნიერული თანმიმდევრობით, შინაგანი მთლიანობით ვერ გადასწყვიტა ის. ეს პრობლემა მეცნიერულად გადასჭრა, პროდუქტული შრომის თეორია ჩამოაყალიბა და განავითარა მარქსმა. მისმა გენიოსურმა აზროვნებამ ამ შემთხვევაშიც მოახდინა გადატრიალება ეკონომიურ მეცნიერებაში.

ამრიგად, ადამ სმიტი პროდუქტული შრომის საკითხშიაც ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში და ამ შემთხვევაშიც ააშკარავებს მთელი მისი ეკონომიური სისტემის დამახასიათებელ ორმაგობას.

მარქსი სამართლიანად ამბობს სმიტის შესახებ: «ადამ სმიტი, როგორც დავინახეთ, გულუბრყვილოდ გამოთქვამს ყველა ერთმანეთის საწინააღმდეგო ელემენტს, და ამრიგად ის გვევლინება ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებათა წყაროდ, გამოსავალ პუნქტად»[41]. სმიტი ორმაგობას იჩენს ღირებულების, ზედმეტი ღირებულების, მოგების, ფასის, პროდუქტული შრომის ძირითად პრობლემებში, ყველგან გამოთქვამს «ერთმანეთის» დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებას». სმიტი შინაგან წინააღმდეგობის ქსელშია გახვეული, მაგრამ სმიტის წინააღმდეგობანი როდია მაინც მნიშვნელობას მოკლებული. სმიტის «წინააღმდეგობას აქვს ის დადებითი მნიშვნელობა, რომ ის შეიცავს ამოცანებს, რომლებსაც სმიტი, მართალია ვერ სწყვეტს, მაგრამ ააშკარავებს ამ ამოცანებს იმით, რომ ვარდება საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში»[42]. მარქსმა გადასჭრა ის ამოცანები, რომლებიც სმიტმა და მთელმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მოხსნა მხოლოდ.

რიკარდომ სმიტის მრავალი წინააღმდეგობა სრულებით ვერ დაინახა, ხოლო იქ, სადაც სმიტი ამოცანას ხედავს, რიკარდო პრობლემას გადაწყვეტილად თვლის. სმიტი აქ მაღლა დგას რიკარდოზე. მეორე მხრივ, სადაც სმიტი ხედავს წინააღმდეგობას და ამიტომ სწორ თვალსაზრისს უხვევს, რიკარდო არ უხვევს ამ თვალსაზრისს, თუმცა წინააღმდეგობასაც მეცნიერულად ვერ ხსნის. აქ რიკარდო მაღლა დგას სმიტზე. მაგრამ კლასიკური ეკონომიის ორივე გენიოსური მესვეური თანასწორი არიან და ერთნაირად იცავენ ძირითად შემცდარ შეხედულებას—წარმოების კაპიტალისტური წესის მარადიულობას, კაპიტალის ზეისტორიუ-

[41] Теории etc. ტ. III, გვ 11.
[42] Теории etc. ტ. I, გვ. 119.

ლობას. ამაშია კლასიკური ეკონომიის, მარქსისტულ-ლენინური ეკონომიის ამ მეცნიერული წყაროს, ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ხასიათი. რ ი კ ა რ დ ო ს ეკონომიური თეორიის კრიტიკული განხილვა უფრო დაგვარწმუნებს ამ დებულების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში.

რ ი კ ა რ დ ო ს ა და მისი სკოლის კრიტიკით ამოიწურება ჩვენი შრომის საგანი და ამით ფიზიკური სიცხადით შესაგრძნობი გახდება ის «რაციონალური მარცვალი», რომელსაც კლასიკური პოლიტიკური ეკონომია შეიცავს და საიდანაც აღმოცენდა მ ა რ ქ ს ი ს მეცნიერულად სრულქნილი ეკონომიური თეორია, «კაპიტალში» წარმოდგენილი და გენიოსურად დასაბუთებული.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა 5 8

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თ ე ო რ ი უ ლ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ს ა გ ა ნ ი დ ა მ ე თ ო დ ი 9–35

I მეცნიერებათა საგნების გარკვეულობა და მათი შინაგანი კავშირი.—თეორიული ეკონომიის მეცნიერულობის პრობლემა.—პოლიტიკური ეკონომია ვიწრო და ფართო გაგებით.—ადამიანთა საწარმოო ურთიერთობანი, როგორც მეცნიერული ეკონომიის საგანი.—ბუხარინელი კონცეპციის კრიტიკა.—საწარმოო ურთიერთობათა ფეტიშისტური ხასიათი.—ეკონომიური კათეგორიის შინაბუნება.—მეცნიერული აბსტრაქცია და მისი მნიშვნელობა.—ზედმეტი ღირებულების კათეგორიის განმსაზღვრელობა. II. თეორიული ეკონომიის საგნისა და მეთოდის შინაგანი მთლიანობა.—საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა და მისი კვლევა-ძიების მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდი.—ეკონომიური კათეგორიების ისტორიული ხასიათი.—დიალექტიკური მეთოდის გამოყენება «კაპიტალში». მოვლენისა და რაობის პრობლემა.—ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია.—მეცნიერულ-აბსტრაქტული აზროვნება.—საზოგადოებრივი ორგანიზმის შესწავლის სპეციფიკურობა.—კონკრეტულის ბუნება.—მარტივიდან რთულზე გადასვლის დიალექტიკური პროცესი.—საქონელი, როგორც მარტივი ეკონომიური კათეგორია.—საქონლის ანალიზი და წარმოების კაპიტალისტური წესის მეცნიერული გაგება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ს ლ ი პ ე რ ი ო დ ი დ ა მ ი ს ი ა დ რ ი ნ დ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა 36—70

I. ადამ სმიტი, როგორც მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი.—მანუფაქტურული წარმოება.—კაპიტალისტური კოოპერაცია.—ჰეტეროგენული და ორგანული მანუფაქტურა.—მანუფაქტურის ტექნიკური ბაზისი.—მანუფაქტურული წარმოების კაპიტალისტური ხასიათი.—ფიზიკური და გონებრივი შრომის ანტაგონიზმის წარმოშობა.—შრომის პროცესის იერარქიული და დესპოტური ორგანიზაცია.—რელატივური ზედმეტი ღირებულების წარმოება.—კლასობრივი წინააღმდეგობის განვითარება. კლასობრივი ბრძოლა და კლასიკური ეკონომია.—კლისიკური ეკონომიის ბერჟუაზიული ხასიათი. —II. კლასიკური ეკონომიის მეთოდოლოგიური საფუძვლები.—მეტა-

ფიზიკური მეთოდი.—უხეში ემპირიზმი.—ისტორიული თვალსაზრისის უქონლობა.—ეკონომიური კათეგორიების ზეისტორიულობა.—მოვლენა და რაობა.—ეზოტერიზმი და ექზოტერიზმი.—სისტემის შინაგანი მეთოდოლოგიური წინააღმდეგობა.—მეთოდოლოგიური დუალიზმი.—კლასიკური ეკონომიის საგნის მეტაფიზიკურობა.—ინგლისური კლასიკური ეკონომია, როგორც მარქსიზმის ერთერთი წყარო.—III. შრომა როგორც სიმდიდრის შემომქმედი.—არისტოტელის თვალსაზრისი.—ვილიამ პეტის კონცეპცია.—ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების პრობლემა.—რენტის წარმოდგენა ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმად.—შრომა როგორც საცვლელი ღირებულების საზომი ფრანკლინის თეორიაში.—მატერიალურისა და სოციალურის საკითხი.—ფიზიოკრატიზმის შინაბუნება.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე :

ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა 7—271

I.

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა 71—123

საცვლელი და სახმარი ღირებულება.—ფასეულობა და ღირებულება.—საქონლის შინაგანი წინააღმდეგობა.—შრომა, როგორც ღირებულების სუბსტანცია.—შრომის ბუნების პრობლემა.—შრომის აქსიომატიურობა.— ღირებულების უცვლელი საზომის საკითხი.—«შრომის ღირებულება».—რიკარდოს პოზიცია.—შრომის ნამდვილი ფასი.—ნაყოფიერება და «შრომის ღირებულება». შრომის და სამუშაო ძალის ღირებულება.—სამუშაო დრო, როგორც შრომის რაოდენობის გამომხატველი.—სმიტის შემცდარი ფორმულა ღირებულების.—შრომის ღირებულების მატერიალიზაცია.—ფულის პრობლემა სმიტის თეორიაში.—ობიექტივიზმი.—ფორმით განურჩეველი შრომა.— აბსტრაქტული შრომის პრობლემა.—შრომის ორმაგი ხასიათი.—ღირებულების კათეგორიის ისტორიულობა.—საქონლის ანალიზი სმიტთან.—საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პრობლემა.—კაპიტალისტური სიმდიდრის ბუნება.—საქონლის ღირებულების მარქსისტული თეორია.—კონკრეტული და აბსტრაქტული შრომის ხასიათი.—საცვლელი ღირებულება, როგორც ღირებულების ფორმა.—ღირებულების შექმნა წარმოებაში და მისი გამოვლინება მიმოქცევაში.—საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის კათეგორია.—ღირებულების სიდიდის მოძრაობა.—ღირებულების ფორმები.—ფულადი ფორმის გენეზისი.—საქონლისა და ფულის ფეტიშიზმი.

II.

ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა 123—149

წარმოების ნიეთიერი და პირადი ფაქტორების ანტაგონისტური მთლიანობა.—ზედმეტი ღირებულება და მოგება.—მათი წყარო.—რენტის პრობლემა.—ფიზიოკრატული კონცეპციის კრიტიკა.—კლა-

სიკური ეკონომიის მეცნიერული დამსახურება.—ზედმეტი ღირებულების ფორმები და სმიტის შეცდომა.—ზედმეტი ღირებულების კათეგორია, შრომის გაცვლა კაპიტალზე და ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა.—ღირებულების კანონი საქონლის მარტივ და კაპიტალისტურ მეურნეობაში.—სმიტის ღირებულების თეორიის ორმაგობის თეორიული საფუძვლები.—მარქსის შეხედულება «შრომის ღირებულებაზე».—სამუშაო ძალა, როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი ღირებულება.—სამუშაო ძალის სახმარი და საცვლელ ღირებულებათა მიმართება.— ღირებულების კანონის ნამდვილობა.—შრომის კაპიტალზე გაცვლის კანონი.—თეორიის შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევის გზები.—სმიტის ორმაგობის მარქსისტული გაგება.—ბურჟუაზიული კრიტიკის კრიტიკა.—სუბიექტივიზმის პრობლემა.—სმიტის თეორიის ობიექტივისტური ხასიათი.

III.

მოგების კათეგორია და ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა სმიტთან 149—226

მოგების წარმოშობა და მისი შინაბუნება.—ხელფასი და მოგება.—ზედმეტი ღირებულების თეორიის შინაგანი წინააღმდეგობის სათავე.—მოგების მასა და კაპიტალის სიდიდე.—მოგების საშუალო ნორმის პრობლემა.—«ბუნებრივი ნორმა».—მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია.—შრომის ნაყოფიერებითი ძალის ზრდა და სამუშაო ძალის ღირებულება.—კაპიტალისტური დაგროვების საფუძველი.—კაპიტალისტური დაგროვება და ხელფასის მოძრაობა.—ხელფასის ზრდა და მოგების ნორმის ცვალებადობა.—ხელფასი და საქონლის ფასი.—კაპიტალისტური კონკურენცია.—კაპიტალის მარადიულობა კლასიკურ ეკონომიაში.—კაპიტალის ზოგადი ფორმულა.—ფულის გადაქცევა კაპიტალად.—ზედმეტი ღირებულების წარმოშობა.—კაპიტალისტური წარმოება მთლიანად.—წარმოების საშუალებანი როგორც ასეთი. მანქანა როგორც კაპიტალი —მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი. — ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი. — კაპიტალის ორგანული შეშადგენლობა. — ზედმეტი ღირებულების მასის სხვადასხვაობა.—ზედმეტი ღირებულების ნორმა და მასა.—მოგების მარქსისტული კონცეფცია —მოგების ნორმის პრობლემა.—ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის მიმართება.—მოგების საშუალო ნორმა.—კაპიტალების მოძრაობა.—კონკურენციის როლი—დაქირავებული ძალის ექსპლოატაციის მისტიფიკაცია.—მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის მარქსისტული ანალიზი.—წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტური და ისტორიული ხასიათი.

IV.

ფასების თეორია . 226—250

მოვლენისა და რაობის ობიექტურობა, მათი დიალექტიკური მთლიანობა.—ფასის კათეგორიის განსაზღვრა.—ფულის ფასის ირა-

ციონალობა.—ოქროსა და ვერცხლის მნიშვნელობა.—საქონლის «ბუნებრივი ფასი», წარმოების ფასები და ღირებულება.—თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა.—საქონლის იმანენტური და ბუნებრივი ფასი.—ფაქტიური ანუ ნამდვილი ფასი.—ბუნებრივი და ფაქტიური ფასების მიმართება.—მიწოდებისა და მოთხოვნილების კანონი.—ნამდვილი და აბსოლუტური მოთხოვნილება.—კონკურენცია.—ექსტრაორდინალური მოვება.—ახალი აღმოჩენისა და მონოპოლიის როლი.—ფასების მოძრაობის ღერძი.—ღირებულება და მიწოდება-მოთხოვნილების კანონი.—სმიტის არგუმენტები.—ფასისა და ღირებულების მიმართება.—საქონლის ღირებულების შემადგენელი ელემენტები.—სმიტის კონცეპციის კრიტიკა.—კაპიტალისტური დაგროვებისა და კრიზისების პრობლემა.—ღირებულების შემადგენელი ელემენტების დამოკიდებულება.—სმიტის მეცნიერული დაჩსახურება.

V

პროდუქტული შრომის კათეგორია. . 251—271

შრომის ნაყოფიერებითი ძალის განვითარება და ზედმეტი ღირებულება.—წარმოების წესების გარჩევა.—შრომისა და შრომის პირობების წინააღმდეგობა.—შრომის საზოგადოებრივი განაწილება.—შრომის პროდუქტულობის გაგება აბსოლუტური და რელატივური თვალსაზრისით.—სმიტის ორმაგობა პროდუქტული შრომის თეორიაში.—შრომა, რომელიც იცვლება კაპიტალზე.—შრომა, რომელიც იცვლება შემოსავალზე.—პროდუქტული და არაპროდუქტული შრომა.—სიმდიდრის წყარო.—კლასობრივი წინააღმდეგობის პრობლემა.—სმიტის ობიექტივიზმის საფუძველი.—თეორიის შინაგანი წინააღმდეგობანი.—ფიზიოკრატული კონცეპციის გავლენა სმიტზე.—პროდუქტული შრომის ნატურალისტური გაგება.—შრომა, რომელიც აწარმოებს საქონელს.—პროდუქტული შრომის მარქსისტული თეორია.

ბ—I
33
მ. 94—კ

ტექნ. რედ. ვ. გორგაძე. კორექ. ჩ. გაბესკირია. გამ. ს. ლორთქიფანიძე. გად. წარმ. 20—XI—1934 წ. ხელმ. დას. 15—I 1935. ქ. 62×94, ⅛ 6×10. მთვ. რწმ. № 2111. ტირ. 4000. შეკ. № 1555. სტამბა «კომუნისტი» კამოს ქ. № 68.

ბ ა ს წ ო რ ე ბ ა

95 გვერდზე ზევ. 21 სტრ. დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა: «საცვლელი ღირებულება და ღირებულებაა», უ ნ დ ა ი ყ ო ს: «სახმარი ღირებულება და ღირებულებაა». 180 გვ. ქვ. 5 სტრ. დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა: «ესაა კაპიტალის ცვალებადი ნაწილის მიმართება მუდმივ ნაწილთან», უ ნ დ ა ი ყ ო ს: «ესაა კაპიტალის მუდმივი ნაწილის მიმართება ცვალებად ნაწილთან». 182 გვ. ზევ. 3 სტრ. დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა: «ცვალებადი კაპიტალისა და მუდმივი კაპიტალის მიმართება $\left(\frac{v}{c}\right)$», უ ნ დ ა ი ყ ო ს: «მუდმივი კაპიტალისა და ცვალებადი კაპიტალის მიმართება $\left(\frac{c}{v}\right)$». იქვე, ქვევიდან 7 სტრ. ფორმულა ასევე უნდა გასწორდეს.